

საქართველო – სომხეთი

1

გურამ მაისურაძე

ქართულ-სომხური ურთიერთობის
ისტორიოგრაფიიდან



გამგებელი სახლი
თბილისი
2008

The Javakhishvili Institute of History and Ethnology

Georgian Academy of Sciences

პროექტის ავტორი

ნაირა გელაშვილი

მხატვარი

კოტე სულაბერიძე

რედაქტორი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
დევი ბერძენიშვილი

რეცენზინტები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ლიანა დავლიანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ალექსანდრე დაუშვილი

Guram Maisuradze

**FROM THE HISTORIOGRAPHY OF
GEORGIAN-ARMENIAN RELATIONS**

გადლობას ვუხდით ევროპულ ვონდ
HORIZON-ს ვინანსური დახმარებისივის

Our deep gratitude for financial support
to the European Foundation HORIZON

შინაარსი

რედაქტორისაგან	9
შესავალი	11
თავი I	
შუა საუკუნეების სომხური ისტორიოგრაფიის ძირითადი ტენდენციები და მისი არეკვლა თანადროულ ქართულ ისტორიოგრაფიაში	15
თავი II	
XIX საუკუნის სომხური ისტორიოგრაფია ცარიზმის ანტიქართული იდეოლოგიური პოლიტიკის სამსახურში	95
თავი III	
ქართულ-სომხური ისტორიული ურთიერთობის ასახვა მეზობელთა საბჭოურ ისტორიოგრაფიაში	139
თავი IV	
ახალი ხედვა თუ ძველი ინერცია?	246
დასკვნა	279
From the of Georgian – Armenian Resations (Summary)	285
საძიებლები	296

რედაქტორისაგან

გურამ მაისურაძის წიგნი – „ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან“, საყურადღებო ნაშრომია, სადაც ორი მეზობელი ხალხის ურთიერთობებზე დაწერილი თითქმის ყველა ნაწარმოებია განხილულ-შეფასებული უძველესი დროიდან დღემდე. ავტორი ვრცლად მოიხილავს ძველი სომები ისტორიკოსების ტენდენციურ თუ გაზვადებულ ცნობებს, რომლებიც სომხეთის სახელმწიფოს უპირატესობას ამტკიცებდნენ ამიერკავკასიაში და მის გარეთაც. გ. მაისურაძე ახსნას უძებნის ამ ტენდენციურობას.

სომები ისტორიკოსების საპირისპიროდ აქვე შესწავლილია შუა საუკუნეების ქართველ ისტორიკოსთა ცნობები და შეფასებულია ისინი, როგორც საპასუხო რეაქცია.

ცალკე თავებშია განხილული XIX და XX საუკუნეების სომხურ-ქართულ ურთიერთობათა ამსახველი ლიტერატურა. ობიექტურად ახსნილი და შეფასებულია ცილობისა თუ დაპირისპირების ფაქტები; აღსანიშნავია ავტორის ზომიერი ტონი პაექრობისას, რაც მის არგუმენტაციას დამაჯერებლობას მატებს. სასურველი იქნებოდა ამ წიგნის გამოცემა უცხო ენაზეც.

დ. ბერძენიშვილი

5.07.05

შესავალი

ხალხთა ისტორიულ ურთიერთობათა თემა ყოველთვის აქტუალური იყო ამიერკავკასიურ ისტორიოგრაფიაში, რაც, ალბათ, თვით ამ ქვეყნის წარსულის თავისებურებებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. კავკა-სია ძველთაგანვე მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიული მაგისტრალების გზასაყარს წარმოადგენდა, რამაც ის აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამყაროს დამაკავშირებელ ოქროს ხიდად აქცია. განგების მიერ კუთვნილმა ამ ერთობ საპატიო და, ამასთანავე, სახიფათო როლმა კავკასია დიდ სახელმწიფოთა საცილო-ბელ ქვეყნად განირა. კავკასიის დაუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის ფაქტები ცხადყოფს, რომ მის გასაკონტროლებლად მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა მეტოქეობა ადგილობრივ ხალხებს, თუ ერთი მხრივ, პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ნაწილებად თიშავდა, მეორე მხრივ, საერთო მტრის ფაქტორი მათ გაერთიანებისაკენაც უბიძგებდა. ეს სიტუაცია მთელი სისრულით აისახა ამიერკავკასიურ ისტორიოგრაფიაში, სადაც ერთიმეორის გვერდით თანაარსებობდა და ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედებდა, როგორც კავკასიის გაერთიანების იდეა, მისთვის დამახასიათებელი საერთო ტენ-დენციების გამოვლენით, ისე მის საპირისპიროდ, ჰეგემონისტური მის-წრაფებების შესაბამისად გააზრებული ფაქტებისა და მოვლენების არა მარტო სუბიექტური, არამედ ზოგჯერ, გაყალბებული წარმოადგენდა. პირველმა ყველაზე მკაფიო გამოვლინება შეუ საუკუნეებში, ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკურ კონცეფციაში პოვა თავისი ადგილი, ხოლო მეორე, უპირატესად ძველი სომხური ისტორიოგრაფიის დამახასიათებელ მოვლენად იქცა.

კავკასიის ისტორიის გადმოცემისას ისტორიოგრაფიაში გამჟღავნებული ერთმანეთისაგან განსხვავებული დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით იყო განპირობებული და საშინაო და საგარეო პოლიტიკური ფაქტორების რთული გადახლართვის შედეგს წარმოადგენდა, სადაც საგარეო ფაქტორი, კავკასიის გეოგრაფი-

ული მდებარეობის გამო, მაინც განსაკუთრებულ, თითქმის გადამწყვეტ როლს თამაშობდა ამ ქვეყნის ისტორიაში და ისტორიოგრაფიაშიც, ასეთ ვითარებაში, პოლიტიკური ბრძოლის იარაღის მნიშვნელობა შეიძინა. როგორც, ჩვენს დროში, მთიანი ყარაბაღის პრობლემების გამწვავებამ გვიჩვენა, კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნაში არცთუ უმნიშვნელო წილი ედო ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მიერ ისტორიული ფაქტების ტენდენციურ გაშუქებას. ასევე, აფხაზთა მიერ გამოგონილი ისტორიული სურათი დაედო საფუძვლად აფხაზური საზოგადოების გაუთვითცნობიერებელი ნაწილის ჩამახა იმპერიის გეგმების რეალიზაციაში. იგივე სურათის მოწმენი ვართ შიდა ქართლში დატრიალებული ამბებისას და სხვ.

საქართველოსა და სომხეთის, მასთან ერთად კი, საერთოდ, კავკასიის ისტორიის კვლევის პოლიტიზირებამ ბევრი არაკომპეტენტური პირი მიიზიდა და მიატმასნა მეცნიერებას, რის შედეგადაც ისტორიის სუბიექტურ გააზრებაში უკვე პრივატივიზმაც გაიდგა ღრმა ფესვები. სამწუხაროა, აგრეთვე, რომ ნაჩეარევი დასკვნები და ზოგჯერ სუსტი პროფესიული მომზადების მიზეზით დამახინჯებული ისტორიული სურათია ასახული საშუალო და უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოებში, რაც ახალგაზრდობაში არაჯანსაღი განწყობილების გავრცელების უმთავრესი წყარო ხდება. ამ მხრივ განსაკუთრებით საგანგაშოა ვითარება ამიერკავკასიის ისტორიული გეოგრაფიის მეცნიერული კვლევის საქმეში. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ ისტორიულ გეოგრაფიას, როგორც ისტორიულ მეცნიერებას, ზოგან (მაგალითად, აზერბაიჯანში) არავითარი ტრადიცია არა აქვს. ასეთ დროს მეზობელთა გამოცდილებისა და მიღწევების გაუთვალისწინებლობა უკვე წინასწარ განაპირობებს მკვლევრის გარდაუვალ მარცხს. ამიერკავკასიის ისტორიის სუბიექტური გააზრების მიზეზების ძიებისას არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს ის საგულისხმო ფაქტიც, რომ ამ ტენდენციას სომხეთში ისტორიული ტრადიციაც კვებავს. ძველ სომხურ წყაროებს ასეთი მიმართულება ნამდვილად ახასიათებთ. საგარეო ფაქტორის ზეგავლენით სომხეთისათვეს თავსმოხვეული იდეოლოგიური პოლიტიკა საზოგადოების ზედა ფენებში ხშირად ეროვნული ინტერესების გამომხატველადაც აღიქმებოდა, რაც სათანადო ასახვას პოვებდა საისტორიო მწერლობაში. რაღაცა მსგავსი ხდება თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაშიც, სადაც ობიექტური, მეცნიერული კვლევის საზიანოდ, განსაკუთრებით, ისტორიული

გეოგრაფიის საკითხების განხილვისას, უპირატესობა თითქმის, ყოველთვის პოლიტიკურ მოსაზრებებს ეძლევა.

XX ს-ის 90 წლების დასაწყისში დამოუკიდებელი ქართული და სომხური სახელმწიფოების აღმოცენებამ, ბუნებრივია, ისტორიკოსებს შორის პოლიტიკური კონიუნქტურისაგან თავისუფალი, გულწრფელი საუბრის საჭიროება წარმოშვა საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების გარშემო. თავისუფლების პირობებში საუბრის მსურველი საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა. პერიოდული გამოცემების, ძირითადად, გაზეთების ფურცლები აფრელდა მომზადებული თუ მოუმზადებელი ავტორების, სპეციალისტებისა თუ არასპეციალისტების სტატიებით. ვისაც როგორ შეეძლო ისე იცავდა საკუთარი ისტორიის ღირსებას. ამაში საგანგაშო, რა თქმა უნდა, არაფერია. ჭეშმარიტება ხომ კამათში უნდა დაიბადოს. მთავარია მოკამათესთან კეთილმოსურნე დამოკიდებულების შენარჩუნება და სხვისი აზრის პატივისცემის უნარის გამომჟღავნება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ისტორიულ მეზობლებთან ურთიერთობას ეხება, მით უმეტეს, ათეული საუკუნეებით ერთმანეთთან უმჭიდროესად დაკავშირებულ საქართველოსა და სომხეთის ისტორიას. დიდი ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ, XX ს-ის დასაწყისში წერდა: „შეუძლებელია ქართველი ერის ისტორიას სწერდე და ამასთან არ იცნობდე და არ აფასებდე სომეხთა ძველ და მდიდარ ისტორიას. მარტო გეოგრაფიული მეზობლობა როდი აკავშირებდა ქართველს და სომებს. ამ მოძმე ერთა კავშირურთიერთობა არა მარტო ათეულ საუკუნეებს ითვლის, არამედ სიხარულისა და ჭირის თითქმის განუყოფლობას ითვალისწინებს. ისტორიული ბედის ერთგვაროვნება იმაში პოულობს თავის გამოხატულობას, რომ არასდროს ერთი ერის ბედნიერება მეორის სარჯზე არ მომხდარა და ყოველთვის ერთი და იგივე საერთო მტერი ჰყავდათ და თავს ყოველთვის ერთად იცავდნენ*. დიდი წინაპრის ეს შეგონება დღესაც აქტუალურად უდერს და ურთიერთსასიკეთო თანამშრომლობისაკენ მოგვიწოდებს.

წარმოდგენილი წაშრომი არ ითვალისწინებს დასმულ საკითხზე ქართული და სომხური ისტორიოგრაფიის სრულ მიმოხილვას. ის მხოლოდ ერთი შედარებით ვიწრო პრობლემით იფარგლება და უკვე სსენები,

* სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი, 1981, გვ. 502.

ული იმ ცნობილი ტენდენციის აღმოცენებისა და განვითარების პირობების შესწავლას ცდილობს, რომელიც დიდი ხანია ხელს უშლის არა მარტო ქართულ-სომხური ისტორიული ურთიერთობის ობიექტურ გაშუქებას, არამედ მთლიანად ამიერკავკასიის ისტორიის რეალური სურათის წარმოსახვასაც. ამ თვალსაზრისით, ყურადღება, ძირითადად, სომხურ ისტორიოგრაფიაზეა გამახვილებული, რამდენადაც ასეთი ტენდენციის განვითარებისათვის შესაფერისი პოლიტიკური ნიადაგის არსებობა სომხეთის ისტორიულ პირობებში ბევრად უფრო თვალსაჩინოდ იკვეთება.

თავი 1

შუა საუკუნეების სომხური ისტორიოგრაფიის ძირითადი ტემათიკის და მისი არაკვლა თანადროულ ეართულ ისტორიოგრაფიაში

სომხური ისტორიოგრაფიის „ოქროს საუკუნე“ მაშინ დადგა (V ს.), როცა სომხური სახელმწიფოებრიობის დიდმა მარცხმა (ეროვნული ხელისუფლება დასავლეთ სომხეთში 391 წ. გააუქმეს რომაელებმა, აღმოსავლეთში კი, სპარსელებმა 428 წ.), ეროვნული თვითშეგნების დაცვას სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქცია დააკისრა. ასეთ სიტუაციაში სომხეს ისტორიკოსთა პატრიოტულ მოვალეობად იქცა ძლიერების ხანის სომხეთის ისტორიის მთელი დიდებულებით, თუნდაც გაზვიადებით, წარმოჩენა, ოღონდაც მას დამოუკიდებლობისათვის ხალხის დარაზმვა და სულიერად განმტკიცება შეძლებოდა. აქედან გამომდინარე სომხეთისა და სომხეთი გამორჩეულობის იდეამ შუა საუკუნეების სომხურ ისტორიოგრაფიაში მყარად დამკვიდრა ადგილი და სახელმწიფოებრივი მარცხით შელაბული ღირსების დაცვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად იქცა.

ძველ სომხეს ისტორიკოსთა თხზულებებში თავდაპირველად რელიგიურ-პოლიტიკური უფლებების დაცვისაკენ მიმართულმა მოტივებმა იმძლავრეს (კორიუნი, აგათანგელოსი, ფავსტოს ბუზანდი), რამდენადაც სომხეთის გაყოფისა (387 წ.) და სამეფოს გაუქმების შემდეგ ირანმაც და ბიზანტიამაც ეს ქვეყანა საკუთარი იდეოლოგიური და კულტურული წნების ქვეშ მოაქციეს და მისი საშუალებით ცდილობდნენ უპირატესად თავიანთი ბატონობის უზრუნველყოფას მათ კუთვნილ ნაწილებში. ირანელები, რომელთა ხელში სომხეთის 4/5 აღმოჩნდა, თავიანთი მთავარი მეტოქის, ბიზანტიის გავლენის შესასუსტებლად შეუდგნენ ქრისტიანთა დევნას და შეეცადნენ ზორაოსტრული რელიგიის გავრცელებას სომხეთა შორის. ამავე მიზნით, კრძალავდნენ ბერძნული ენის ფუნქციონირებას და აძლიერებდნენ სირიული ენის პოზიციებს, რომელიც სპარსეთში ქრისტიანთა ენად იყო მიღებული. მფარველობდნენ და სომხურ ეკლესიაში ანინაურებდნენ სირიელ სამღვდელო პირებს. შაჰინშაჰის

განსაკუთრებული მფარველობის პირობებში სელევკის სირიელი კათალიკოსი თავს უკვე მთელი აღმოსაცვეთის ქრისტიანთა მეთაურად გრძნობდა და მიისწრაფოდა რა ასეთი მდგომარეობის მოსაპოვებლად, თავის ტიტულატურაში სომხეთის გარდა საქართველოცა და ალბანეთიც შეიტანა¹. ამის საპირისპირო ვითარება იყო შექმნილი დასავლეთ სომხეთში, სადაც სახელმწიფო და საეკლესიო ენად მხოლოდ ბერძნული იყო მიღებული. სომხური ეკლესიის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ თავიდანვე საღვთისმსახურო ენა სომხეთში ბერძნული და სირიული იყო, რამდენადაც ქრისტიანობა სომხეთში სირიელებისა და ბერძნების საშუალებით გავრცელდა და სომხურ ეკლესიაში წირვა თავიდანვე უცხო ენაზე წარმოებდა², რაც საკუთარი პოლიტიკური ხელისუფლების არყოფნის პირობებში, სომხურ ეკლესიას გადაგვარებით, ხოლო ეროვნულ თვითშეგნებას განადგურებით ემუქრებოდა. ამ დიდი საშიშროების წინააღმდეგ მიიმართა, პირველ რიგში, სომხური ეკლესიის მოღვაწეთა მთელი ძალისხმევა, რასაც აქტიურად დაუჭირა მხარი სომებს არშაკუნთა ერთ-ერთმა უკანასკნელმა ხელისუფალმა მეფე ვრამშაპუჰმა. სომხური ეკლესიის ნაციონალიზაცია წირვა-ლოცვის, სამსახურისა და ქადაგების სომხურ ენაზე წარმართვას საჭიროებდა, რისთვისაც აუცილებელი იყო სომხური დამწერლობისა და სასულიერო ლიტერატურის სომხურსავე ენაზე შექმნა. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა ამ დიდი კულტურული ამოცანის გადაჭრას კათალიკოს საპატარა და მეუდაბნოებერს მაშტოცს მიანერს. სომხური ეკლესიის გაეროვნებულობასთან ერთად, როგორც ამის შესახებ ძველი სომხური წყაროები გადმოგვცემენ, ინყება მისი ავტორიტეტის ამაღლებისათვის ფართო პროპაგანდა. ნიმანდობლივია, რომ ძველი სომხური საისტორიო მწერლობის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა უმაღლესი რანგის სასულიერო პირები იყვნენ (კათალიკოსი, ეპისკოპოსი და ა. შ.) და ეტყობა, ამიტომაც მათ თხზულებებს ქრისტიანობისა და სომხური ეკლესიის აპოლოგია ლაიტ-მოტივად გასდევს თავიდან ბოლომდე. როგორც მ. აბელიანი შენიშნავს, მაგალითად, აგათანგელოსის მიზანი იყო სომხური ეკლესიის აღმოცენების ისტორია ისეთნაირად წარმოედგინა, რომ მას ღრმა შთაბეჭდილება მოეხდინა და ღირსი ყოფილიყო გაკვირვებისა... და რამდენადაც სომხური ეკლესია უკვე თავს დამოუკიდებლად გრძნობდა ბერძნებისა და სირიელების გავლენისაგან, საჭირო იყო მემატიანეს, ასევე,

¹ Манук Абегян, История древнеармянской литературы, Ереван, 1975, с. 57.

2 օյջո, 83. 51-52

ეჩვენებინა, რომ ის დაარსებულია არა წმ. გრიგოლის მიერ III ს-სა, თუ IV ს. დასაძყისში, არა მოციქულების მიერ, არამედ თვით ციდან ჩამოსული ქრისტეს მიერ³.

ასეთ წრეგადასულ ამბიციებს თავისთავად ხელი უნდა შეეწყო არა მარტო ქრისტიანობის წინაშე სომხური ეკლესიის განსაკუთრებული დამსახურებისა და მისი უპირატესობის განცდისათვის, არამედ, სირიული ეკლესიის ანალოგიურად, აღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიანთა მეთაურის პრეტეზიების გაჩენისთვისაც, რის საბაბსაც ბიზანტიისათან დაპირისპირებული სასანიანთა ირანის პოლიტიკა იძლეოდა. სასანიანები სომხეთს, როგორც აღმოსავლური ტრადიციების მატარებელ ქვეყანას, საკუთარი კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ და თავიანთი პოლიტიკის საყრდენ ბაზად ითვალისწინებდნენ კავკასიაში. მაზდეანურ რელიგიასთან დაპირისპირების მიუხედავად, სომხური ეკლესიის დოგმატური უთანხმოება ბიზანტიასთან, ირანს საშუალებას აძლევდა მასზე დაყრდნობით იდეოლოგიური სიტუაცია კავკასიაში თავისი მთავარი მეტოქის სანინააღმდეგოდ წარმართა. ამიტომ, ირანი სულ მალე სომხური ეკლესიის შეზღუდვიდან მისი მფარველობის ტაქტიკას დაადგა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 554 წ. დვინის საეკლესიო კრების დადგენილებით სომხურმა ეკლესიამ საბოლოოდ განყიტა კავშირი ბიზანტიის ეკლესიასთან. ამ დროიდან ირანელთა ხელშეწყობით სომხური ეკლესიის ფუნქციები ქვეყანაში გამუდმებით ფართოვდებოდა. მას გადასახადების აკრეფაც კი მიენდო. მალე ის, სომხური სახელმწიფოებრიობის არარსებობის პირობებში, სომეხი ხალხის ერთადერთი ოფიციალური წარმომადგენელი გახდა. სომხური ეკლესია თანდათან ირანელთა ბატონობის საყრდენ ბაზად იქცა კავკასიაში, ხოლო ქრისტიანობის მონოფიზიტური მიმართულება ბიზანტიის წინააღმდეგ იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს იარაღად. გასაგებია, რომ სომხური ეკლესიას ამ ფუნქციის განსამტკიცებლად ირანის ხელისუფლებას მისი გავლენის სფეროს გეოგრაფიული საზღვრების გაფართოებისთვისაც უნდა ეზრუნა. 614 წ. კტეზიფონში ცნობილი სპარსული საეკლესიო კრება შაჰის პირით ბრძანებდა: „ყველა ქრისტიანმა, ვინც ჩემს ხელმწიფობას ემორჩილება, სომხეთა სარწმუნოება უნდა მიიღოს“⁴. ამით სომხური

³ იხ. მ. აპელიანის დასახელებული ნაშრომი, გვ. 102-103.

ეკლესიის იერარქიულმა პრეტენზიებმა კავკასიაში ფართო გასაქანი მიიღო და მსახურმა ისტორიოგრაფიამაც არა მარტო სომხური ეკლესიის, არამედ მთლიანად კავკასიის პოლიტიკური ისტორიის სურათის წარმოსახვაზ ამ თარგზე სკადა.

სომხური სამღვდელოებისა და ეკლესიის გაზრდილი პრეტეზიების კვალი საკმაოდ ცხადად ატყვია ძველი სომხური საისტორიო მნერლობის პირველსაც ძეგლებს, სადაც დიდი პომპეზურობითაა აღბეჭდილი ქრისტიანობის წინაშე სომხეთის კულტურული როლის განსაკუთრებულად წარმოსახვის ცდა და ამ ძეგლების სხვადასხვა რედაქციებში მეტნაკლები სისრულითაა გამჟღავნებული აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების სულიერი მეთაურის მიჩრების სურვილი. სომეხთა მოქცევის ბერძნულ, არაბულ, ქართულ რედაქციებში მოცემული ისტორიული სურათის თანახმად, სომეხთა განმანათლებელი და სომეხთა მეფე უფლებამოსილები ჩანან, მოუხმონ იპერიისა და ალბანეთის მეფეებს, შემდეგ კი მათ ქვეყნებში ქრისტიანული სარწმუნოების განსამტკიცებლად იქადაგონ, დანიშნონ ეპისკოპოსები და ორგანიზაციულად მოაწყონ ეკლესიები⁵. სომეხთა მოქცევის ქართულ რედაქციაში, რომელიც ერთ-ერთ უძველეს თარგმანს წარმოადგენს, სომეხთა განმანათლებელი გრიგოლი სომეხთა გარდა მთელი აღმოსავლეთის მომქცეველადაა გამოყვანილი: „ესრეთ უკუე არა ხოლო სომხითი გარეშეიცვა მის (ე. ი. გრიგოლის) მიერ ქადაგებამან ცხოვრებისამან, არამედ სპარსეთი და ასურეთი და მიდნი... ამათ ყოველთაგან ტყბილსა მას უღლესა ქრისტესა მოყვანნა ერნი მრავალნი“⁶. ამ ძეგლის მიხედვით, სომეხთა დამსახურება ქრისტიანობის წინაშე ბერძნების თანაპარმინიშვნელოვანი იყო. ძეგლის ავტორი წერს: „და იყვნეს ორნივე ესე ვარსკვლავ ბრწყინვალე კონსტანტინე და თრდატ, კონსტანტინე კერძოთა დასავლისათა, ხოლო თრდატ აღმოსავლით, და ბრწყინავდეს და განანათლებდეს“⁷. ამ თემაზ თავისი შემდგომი განვითარება გვიანდელ ძეგლებშიც პოვა. მაგალითად, ე. წ. „ხელშეკრულების წიგნის“ („დამანც თულთ“) მიხედვით, თითქოს, რომესა და სომხეთს ერთმანეთს შორის გავლენის სფეროებად გაყიყოთ მთელი ქრისტიანული სამყარო, რომლის ძალითაც დასავლეთი რომა-

⁵ იხ. გეორგია, ტ. I, თბილისი, 1961, გვ.70-73; Н. Марр. Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием, Спб, 1905, с. 63-211.


⁶ ცხოვრება შმ. გრიგოლ პართელისა, გამოცემული ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ, ტფილისი, 1920, გვ. 43.

7 030, 83. 46

ელებს პრეზიდიათ, აღმოსავლეთი – სომხებს. ამ ნატყუარი ძეგლის თანახმად, დოკუმენტს, თურმე, ხელს აწერდნენ რომის მხრიდან იმპერატორი კონსტანტინე და პაპი სილვესტრი, სომხეთის მხრიდან კი მეფე თრდატი და გრიგოლ განმანათლებელი⁸.

სომებთა მოქცევას უკავშირდება და მის ანალოგიურადაა გადმოცემული სომხური ანბანისა და დამწერლობის შექმნის ამბავიც. გრიგოლ განმანათლებლის მსგავსად, სომხური ანბანის შემქმნელიც საერთო კავკასიურ მოღვაწედაა გამოყვანილი და, ამის შესაბამისად, მასვე მიენერება, სომხურთან ერთად, ქართულ და ალბანურ ანბანთა შექმნაც. კორიუნის მიხედვით, აღმოსავლეთ სომხეთში დამწერლობის დანერგვის შემდეგ, მასტოცი თავის მოსწავლებთან ერთად იძერიაში გამგზავრებულა, იქ მას ქართული ანბანი შეუქმნია და მთარგმნელობითი საქმიანობაც გაუმართია (იგულისხმება ლეთისმასახურებისთვის საჭირო ლიტერატურის თარგმნის დაწყება). სომები მისიონერის განმანათლებლური საქმიანობის ხელშესანყობად ქართველ მეფესა და ეპისკოპოსს ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან სასწავლებლად მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობა შეუკრებიათ, რომელთაგან შემდეგში ზოგიერთები ეპისკოპოსებადაც კი დაუნიშნიათ⁹.

ქველი სომხური საისტორიო მწერლობის კრიტიკული განხილვისას პირველად ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ მაშტოცისა და გრიგოლის მნიშვნელობის მთელი კავკასიისათვის განზოგადება ერთი და იმავე წრისა და თითქმის ერთი და იმავე მწერალ გადამკეთებლის საქმე უნდა ყოფილიყო... ორივე ძეგლში ერთი და იმავე მიმართულებისა და თეორიის გამოხატულება ყოფილა¹⁰. ნიშანდობლივა, რომ ს. ერემიანის აზრითაც, წმ. გრიგოლის დვანლი ქართველთა გაქრისტიანების საქმეში განსაზღვრული პოლიტიკური მოსაზრებებით არის შეტანილი ძეგლში დაახლოებით IX-X სს.. ერთი ისტორიოგრაფიული ნაშრომისათვის გაკეთებულ შენიშვნაში იგი წერს: „Изучение арабской версии истории Агатангелоса показывает, что версия о крещении св. Григорием также грузин, албанов, абхазов и аланов могла возникнуть только IX-X вв., когда армянские

8  182
 21, 25

⁹ Корюн. Жизнь Маштоца. Текст разнотчтениями рукописей, перевод, предисловие и комментарии М. Абеляна, Ереван, 1941, гл. XV.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1935, გვ. 183.

Багратиды вели борьбу за установление своих сюзеренных прав над всеми христианскими феодалами стран Закавказья¹¹.

პირველი ისტორიკოსი, რომელიც სომხური ეკლესიის ისტორიასთან ერთად, ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობის ისტორიასაც გადმოგვცემს არის V ს. მეორე ნახევარში მცხოვრები, მ. აბელიანის დახასიათებით „თავისებური სომხური პატრიოტიზმით აღსავსე“¹², ფაგსტოს ბუზანდი. ამ ავტორის „სომხეთის ისტორია“, ფაქტობრივად, მამიკონიანთა საგვარეულო ისტორიის სახოტბო თხზულებას წარმოადგენს, სადაც ფაქტები და მოვლენები ხსენებული „თავისებური პატრიოტიზმის“ პრიზმაში გატარებული. ასეთი სახითაა გადმოცემული ამ თხზულებაში არსებული ქართულ-სომხურ ურთიერთობათა ამსახველი ფრაგმენტებიც. ფავსტოს ბუზანდის გადმოცემით, სომხეთში პაპის მეფობისას (369-374) მისი ხელისუფლების წინააღმდეგ სომხეთის მთელი რიგი ოლქები აჯანყებულან და მისგან განდგომა უცდიათ. სპარსეთან იმის დამთავრების შემდეგ კი სპარაპეტ მუშელ მამიკონიანს უთავია აჯანყების ჩაბორბა და სომხეთისაგან გამდგარი ქვეყნების დაბრუნება. გამდგართა შორის ასახელებს „გუგარქის“ (ქვემო ქართლის სომხური სახელწოდება) ხელისუფალსაც. იგი წერს: სპარაპეტმა მუშელმა გაილაშქრა ივერიის მეფეზე, სასტიკად შეავინროვა, დაიმორჩილა ივერთა მთელი ქვეყანა, მახვილს მისცა აზატები და ნახარარული გვარები, ვინც კი მოიხელთა. სპარაპეტმა მუშელმა ბრძანა ჯვარს ეცვათ ფარნავაზიანები, ხოლო გუგარქის ბდებებს, რომელიც ადრე სომხეთის მეფეს ემორჩილებოდა და ბოლოს აუჯანყდა, თავი მოჰკვეთა და მისი გვარის მამრობითი შთამომავლობა გაულიტა, ქალები კი ტყვედ წაიყვანა. მთელი მხარე ხელახლა დაიმორჩილა, წაიყვანა მძევლები, დაარჩენები კი დახარკა. დაიკავა რა ტერიტორია ძველ საზღვრამდე, რომელიც იყო სომხეთსა და ივერიას შორის, ანუ დიდ მდინარე მტკვრამდე, დაბრუნდა უკა¹³.

ქართლის მიმართ სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიები პირველად, ვგონებ, ამ ძეგლშია ფიქსირებული, თუმცა, საკონტროლო მასალით, ფავსტოს ბუზანდის მიერ ემოციურად მონათხრობი არ დასტურდება და, ალბათ, სომეხი ავტორის სუბიექტურ განწყობილებას

უფრო უნდა მიენეროს, ვიდრე რეალურ ვითარებას, რომელთა შესახებ ავთენტური წყაროები სულ სხვა სურათს გვიხატავენ¹⁴.

განხილულ თხზულებებში განვითარებული სომხეთის განდიდების იდეა თავის აპოგეას აღწევს მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“, სადაც სომხეთი გამორჩეულობის აზრი კონცეფციის დონეზეა აყვანილი. ამ იდეის უფრო მძაფრად აღსაქმელად და მისთვის პრაქტიკული მნიშვნელობის მისანიჭებლად ნაშრომი სრულდება ე. ნ. „გოდებით“, სადაც მ. ხორენაცი იძლევა არშაკუნიანთა სომხური სამეფოს დამხობის შემდგომდროინდელ სომხეთში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურულ-მორალური დაცემის საშინელ სურათს. მკვეთრი კონტრასტი წარსულსა და ანმყოს შორის ქმნის ეროვნული ლირსების მწვავედ განცდის საშუალებას, რაც, ცხადია, არსებულისადმი შეურიგებლობისა და ამბობისკენაა მიმართული. „გოდების“ პირველსავე წინადადებაში აშკარად შეიგრძნობა ავტორის პოლიტიკური ამოცანა – დიდებული წარსულის შესხენებით პროტესტის გრძნობით განაწყოს ხალხი უსახური სინამდვილისადმი: „დაგტირი შენ სომხეთა ქვეყანავ, დაგტირი შენ, ყოველთა ჩრდილოელთა შორის გამორჩეულო, რამეთუ ალიხოცნენ (პირისაგან მინისა) მეფე და მღვდელი, მრჩეველი და მოძღვარი; დაირღვა მშვიდობინობა და ფეხვი გაიდგა უწესრიგობამ, შეირყა მართლმადიდებლობა და უგუნურობის წყალობით განმტკიცდა მწვალებლობა და ა. შ.¹⁵. წარსულსა და ანმყოს შორის კონტრასტის კიდევ უფრო გაძლიერებას ხელს უწყობს თხზულების ძირითად წანილში სომხეთის ისტორიის განსაკუთრებული ბრძყინვალებით წარმოჩენა, რისთვისაც ავტორი ფაქტებისა და მოვლენების არათუ შელამაზებას, არამედ, რიგ შემთხვევებში, მათ გაყალბებასაც არ ერიდება.

სომხური ისტორიოგრაფიის მამად სახელდებული მ. ხორენაცის „სომხეთის ისტორია“ პირველი წაშრომია, სადაც გადმოცემულია ქვეყნის გაბმული ისტორია უძველესი დროიდან V ს-მდე, სომეს არშაკუნიან-მტკვრამდე, დაბრუნდა უკა¹⁶.

¹⁴ იხ. 6. ჯანაშია, ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, წიგნში „ისტორიულ წყაროთმცოდნებითი ნარკვევები“, თბილისი, 1986, გვ. 55-92; ა. ბოგვერაძე, ქართლის (იბერიის) სამეფოს 369 ნ. გაყოფის საკითხისათვის, კრ. „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბილისი, 1976, გვ. 88-98; დავით მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბილისი, 2003, გვ. 61-64 და სხვ.

¹⁵ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ალ. აბდალაძის გამოცემა, თბილისი, 1984, გვ. 240.

¹¹ Культура раннефеодальной Армении IV-VII вв., Ереван, 1980, с. 45.

¹² Манук Абегян, История древнеармянской литературы, с. 106.

¹³ Առաջնահայություն Հայաստանում 1988 թվականի դեկտեմբերի 22

თა სამეფოს დამხობამდე. სომეხთა წარმომავლობა მ. ხორენაცის ბიბლიური მამამთავრიდან გამოჰყავს, რითაც ის სომხეთის ისტორიას მსოფლიო ისტორიულ პროცესს უკავშირებს და იქ საპატიო ადგილს უძებნის. მ. ხორენაცისთვის დამახასიათებელი თხრობის მაჟორული ტონი, სომეხ ხელისუფალთა წარმატებების კვალობაზე, თანდათან, საზეიმო უძლერადობას იძენს და ბოლოს, აღტაცებაში გადადის, როცა ტიგრან ერვანდიანისა და თრდატ III-ის საგმირო საქმეების აღნერას იწყებს. მისი პოლიტიკური იდეალია ისეთი ხელისუფალი, რომელსაც შეეძლებოდა სომხეთის საზღვრების ყველა მიმართულებით და ყველაზე შორს გატანა. ამ იდეალის შესაბამისად წარმოგვიდგენს მ. ხორენაცი სომხური ეთნოსისა და ეროვნული ტერიტორიის ფორმირების პროცესს, რომელიც მონეთიკური სამყაროს წარმოქმნით უნდა დასრულდეს. ამ თემას მ. ხორენაცის თხზულებაში ერთი უპირველესთაგანი ადგილი უკავია.

სომხეთის უძველესი და ძველი ისტორიის გადმოცემისას მ. ხორენაცი, ძირითადად, სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ნაწილის ასპარეზზე შლის თავის თხრობას, რითაც, ჩანს, არაპირდაპირ მოხაზავს სომხეთის ისტორიული ტერიტორიის წავარაუდებელ საზღვრებსაც. მისი გადმოცემით, სომეხთა ეთნარქი ჰაიკი, ბაბილონში, ვაჟის (არამანეკის) შეძენის შემდეგ გაეშურა ჩრდილოეთის მხარეებში მდებარე არარადის ქვეყნისაკენ (ვანის ტბის სამხრეთით) თავისი ვაჟებითა და ქალიშვილებით, შვილიშვილებით, დაახლოებით სამას მდლეთა მძლე კაცთან, აგრეთვე, მსახურებსა და შემოკედლებულებთან ერთად, მთელი ავლა-დიდებით. იგი მივიდა და დამკვიდრდა ერთი მთის ძირს, ვაკეზე, სადაც უკვე დასახლებულყო მცირე ხალხი ადრინდელი გაფანტვის დროს. ჰაიკმა დამიორჩილა ისინი და ააგო იქ სამემკვიდრეო სახლი, რომელიც საშვილიშვილოდ გადასცა კადმოსს, არამანეკის ძეს. ამას ძველი ზეპირგადმოცემებიც ადასტურებენ – შენიშნავს მ. ხორენაცი¹⁶. სომეხი მემატიანის თანახმად, ამის შემდეგ ჰაიკი კვლავ განაგრძობს შთამომავლებისთვის ტერიტორიების გაფართოებას დაპყრობების გზით. იგი წერს: ჰაიკი დანარჩენი ამალით გაემართა ჩრდილო-დასავლეთისაკენ (იგულისხმება ვანის ტბის სანახები), მივიდა და დამკვიდრდა ზეგანზე, რომელსაც დაარქვა ჰაიკი, რამდენადაც აქ დასახლდნენ მამანი თორგომის სახლის მოდგმისა. გააშენა მან აგრეთვე ერთი სოფელი და თავის სახელის მიხედვით უნდა ჰაიკშენი. ველის სამხრეთ

ნაწილში, ერთ წაგრძელებულ მთასთან ადრიდანვე ცხოვრობდნენ მცირეოდენი კაცნი, რომლებიც ნებით დამორჩილდნენ გმირს¹⁷. დაწვრილებით აღნერს მემატიანე ტიტან ბელზე საოცარი გამარჯვების ამბავს, რის აღსანიშნავადაც ჰაიკს ბრძოლის ველზე, ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დასტაკერტი გაუშენებია და სახელად მისთვის ჰაიქი დაურქმევა. ამის გამო მთელ მხარესაც ჰაიკ ძორი (სომეხთა ხევი) შეურქმევია¹⁸. „ჩვენი წინაპრის, ჰაიკის სახელის მიხედვით ჩვენ ქვეყანას ჰაიქი ჰქვია“-ო, დასძენს ბოლოს მემატიანე¹⁹. ამით სრულდება თხრობა ჰაიკის მიერ განეულ ღვანლზე სომეხთაობის საკუთარი ტერიტორიის შექმნისათვის, რაც ფაქტობრივად, ვანის ტბის მიდამოებით შემოიფარგლა.

სომეხთა ტერიტორიის შემდგომში გაფართოება უკვე ჰაიკის შთამომავლებს მიენერება, რომლებიც ჩრდილოეთის მხარეებში ცდილობენ თავიანთი სამფლობელოების შექმნას. ამ პროცესში ისინი სათავეს უდებენ სომხური სანახარაროების წარმოქმნას სამხრეთ კავკასიაში. ჰაიკის შთამომავლების მიერ ახალი ტერიტორიების ათვისებასა და სანახარაროების დაარსებას მ. ხორენაცი ასე გადმოგცემს: ჰაიკის შეილი ხორი გამრავლდა ჩრდილოეთის მხარეებში, დააფუძვნა იქ სოფლები, ამბობენ, რომ მისგან მომდინარეობს ხორხორუნთა გვარის დიდი სანახარარო. ასევე ჰაიკის შეილი არამანეკი ჩრდილო-აღმოსავლეთიაკენ მთებით მოზღუდულ ერთ ტაფობზე დამკვიდრდა, გააშენა მისი ჩრდილო ნაწილი და მიმდებარე მთის ძირი. თავისი სახელის მიმსგავსებით მთას უნდა არაგანი, ხოლო სავარგულებს არაგანის ძირი... არამანეკის ვაჟმა არამასმა აიშენა სამკვიდრო სახლი მდინარის პირას მდებარე ერთ ბორცვზე, რომელსაც თავისი სახელის მიხედვით არმავირი დაარქვა, ხოლო მდინარეს, შეილიშვილის ერასტის სახელისაგან ერასხი. ვაჟიშვილი შარა მთელი თავისი სახლეულითა და ავლადიდებით გაგზავნა მან ერთ მახლობელ, ნაყოფიერ, მოსავლიან ველზე, რომელზედაც არაგანად წოდებული მთის ძირში, მის ჩრდილოეთით, მიედინებიან წყალნი არამცირედნი. მისი სახელის მიხედვით გავარს შირაკი დაერქვა²⁰. ასე თანდათანობით ჰაიკის შთამომავლები ითვისებდნენ, მ. ხორენაცის გადმოცემით, შემდგომდროინდელ სომხეთის ტერიტორიებს, რომელთა კონკრეტულ გეოგრაფიულ საზღვრებს მემატიანე არსად არ აღნიშნავს და მხოლოდ ტოპონიმთა მიხედვით თუ შეიქმნის მკითხველი წარმოდ-

¹⁷ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 70.

¹⁸ იქვე, გვ. 72.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე, გვ. 72-74.

¹⁶ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 70.

გენას სომხეთის თავდაპირველი ტერიტორიის მოცულობაზე. ამ მხრივ, ყველაზე უფრო ჩრდილო ნაწილად მატიანეში სახელდება სევანის ტბის მიდამოები. მ. ხორენაცის გადმოცემით, ჰაიკის ერთ-ერთი შთამომავალი გელამი გაეშურა ერთი ტბის ნაპირზე მდებარე ჩრდილო-აღმოსავლეთის მთისაკენ. გააშენა მან იმ ტბის სანაპირო, დაასახლა იქ ხალხი და თავისი სახელისაგან მთას გელი დაარქვა, ხოლო დასახლებას – გელაქუნი, რომლითაც იწოდება ზღვაც²¹. ამის შემდეგ მ. ხორენაცი დიდ სამფლობელოთაგან მხოლოდ სივნიერის ნარმოქმნაზე საუბრობს, რომლის გაწენასა და სახელწოდებას გელამის ვაჟის სისაკის სახელსა და მის სამეურნეო საქმიანობას უკავშირებს სხვა შემთხვევების მსგავსად. ამით მემატიანე ასრულებს თხრობას ჰაიკის ნაშიერთა, მისგან ნარმოშობილი გვარებისა და მათი საქმიანობის შესახებ, რაც, ფაქტობრივად, კავკასიაში სომხეთა თავდაპირველი სამკვიდრებელის შექმნის ისტორიას ნარმოადგენს. ასე რომ, სომხეთა უძველესი ტერიტორია კავკასიაში, მ. ხორენაცის მოწმობით, მოიცავდა დიდ სივრცეს ვანის ტბიდან სევანის ტბამდე, რის დასადასტურებლადაც ამ სივრცეში არსებულ ტოპონიმებს სომხეთი მემატიანე სომეხთა ეთნარქისა და მისი შთამომავლების შესაძლო სახელებთან აიგივებს, თუმცა წყაროების ზე-გავლენით იძულებულია, არაპირდაპირ მაინც, ამ ტერიტორიაზე უფრო ძველი მოსახლეობის არსებობის შესაძლებლობაც დაუშვას. მ. ხორენაცის შენიშვნით, „საკვირველია მემატიანეს ნათქვამი, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავალ ადგილს გაფანტულად ცხოვრობდა მცირერიცხოვანი ხალხი, ჩვენი ძირეული წინაპრის, ჰაიკის მოსვლამდე“²².

მ. ხორენაცის მიხედვით, სომხეთა ძირითადი სამკვიდრებლის შექმნის პროცესი, თითქოს, შედარებით მშვიდობიანი და სამართლიანი ხას-იათისა იყო, რამდენადაც ჰაიკი და მისი შთამომავლები უფრო ხშირად დაუსახლებელ, თავისუფალ ადგილებს იყავებდნენ და მხოლოდ აქა-იქ ხვდებოდათ მათ მოსახლეობა, რომელიც, თავისი მცირერიცხოვნობის გამო, იძულებული იყო დამორჩილებოდა სომხებს. შედარებით მშვიდობიანი განვითარების ამ პროცესის დასრულების შემდეგ სომხეთა წინაპრებს, ჩანს, ახალი ტერიტორიების მოსაპოვებლად მეზობლებთან ბრძოლების გადახდა უხდებოდათ. ისტორიკოსის განმარტებით, არსებობს გადმოცემები ჰაიკიანი არამის მამაცური საქმების, გმირული ბრძოლებისა და სომხეთა საზღვრების ყოველივე მიმართულებით გაფარ-

თოების შესახებ²³. აშკარაა მემატიანის ამ სიტყვებს პოლიტიკური იდე-ალის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, რომლითაც, მისი აზრით, ყოველმა ლირსეულმა სომეხმა ხელისუფალმა უნდა იხელმძღვანელოს. ასეთ გამორჩეულ ხელისუფლად სომხეთის ისტორიაში მ. ხორენაცი მეფე ტიგრან ერვანდიანს (ერვანდის ძეს) ასახელებს, რომელსაც უშურველად აქებს, „ბრძენსა და კაცთავის საჭირო ყველა თვისებით შემულს“ უწოდებს. მ. ხორენაცი აღტაცებით აუწყებს თავის მკითხველს: ტიგრანმა დაიპყრო ბერძნებიც და არამცირედი ხნით დაიმორჩილა ისინი. ტიგრანის წყალობით განივრცო ჩვენი ქვეყნის საზღვრები იმდენად, რომ ძველ დროში მეტისთვის აღარ მიგვიღწევია. თანამედროვეებს შურდათ ტიგრანისა, ხოლო შთამომავლობა შენატროდა მას და მის დროს... ტიგრანმა თავისი ვაჟკაცობით განადიდა ჩვენი ერი. ჩვენ, მანამდე უცხოთესლთა უღლის ქვეშ მყოფებმა, სხვები დავიმორჩილეთ და მოხარეებად ვაქციეთ²⁴.

მ. ხორენაცის პოლიტიკური კონცეფცია, როგორც მისი ამ მსჯელობიდან მკაფიოდ წარმოჩნდება, უაღრესად აგრესიულია. იგი იწონებს და ახალისებს სხვისი ტერიტორიების მიტაცებას, ხალხების დამორჩილებასა და დახარკვას, მიუხედავად იმისა, რომ თვით სომხეთი არაერთხელ გამზღვარა ამგვარი აგრესის მსხვერპლი. მით უფრო შეუსაბამო და საკვირველია, თითქოს, ასეთი იდეების ხოტბა ისტორიკოსისაგან, რომელიც გულდათუთქული გოდებს ძალადობით დამხობილი მშობლიური სამეფოს გამო. მაგრამ, ადრეული შუა საუკუნეების ცნობიერებისათვის, როგორც ჩანს, სხვა ღირებულებებთან შედარებით ძალასა და ძალადობას მეტი ფასი ჰქონდა, რის საფუძველზეც ეს ფენომენი ყოველთვის პოულობდა გამართლებას ადამიანთა გონებაში. თავისი ნაშრომის დასაწყისში მ. ხორენაცი წერს: პატარა ერი ვართ, ფრიად რიცხვ მცირე და უძლური, ხშირად უცხო სამეფოსაგან დაპყრობილი, მაგრამ ჩვენს ქვეყანაშიც მომხდარა ბევრი ღირსსახსოვარი საგმირო საქმე²⁵. გასაგებია, რომ ამ ღირსსახსოვარ საგმირო საქმებში სომხეთა მიერ სხვა ქვეყნების დაპყრობა იგულისხმება, რაც სავსებით შეეფერებოდა ისტორიკოსის ეპოქის სულისკვეთებას. ამიტომაც, მ. ხორენაცის თვალსაზრისი ქვეყნის შესაძლო საზღვრებზე, მთლიანად, ხსენებულ აგრესიულ განწყობას ეფუძნება. ამ მხრივ, აღბათ, ნიშანდობლივიცაა, რომ

²¹ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 74.

²² იქვე, გვ. 73.

²³ იქვე, გვ. 88-89.

²⁴ იქვე, გვ. 58.

მ. ხორენაცი გაურბის გეოგრაფიული წომენკლატურის გამოყენებით სომხეთის საზღვრების კონკრეტულ ჩვენებას, რამდენადაც, მისი აზრით, სომხეთის ყველა მიმართულებით გაფართოება შეუქცევადი და მუდმივი პროცესი უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისს იგი პართიის პირველი არშაკიდი მეფის პირით გადმოგვცემს ტექსტის იმ ნაწილში, სადაც წერს: არშაკმა თავისი ძალაუფლების სიმტკიცისათვის მიზანშეწონილად ჩათვალა მისივე ძმა ვალარშაკი გაემეფებინა სომხეთში. სატახტო ქალაქად გადასცა მას ნიზიბინი, ხოლო სამფლობელოდ გამოუყო დასავლეთ ასურეთის ერთი ნაწილი, პალესტინა, აზია, მთელი შუა ხმელეთი, თეტალია, პონტოს ზღვიდან იმ ადგილამდე, სადაც კავკასიის (მთა) უერთდება დასავლეთის ზღვას, აგრეთვე ატროპატინა. „სხვაც შენი იყოს, უთხრა მას, რამდენსაც შენი გონება და სიმამაცე მისწვდება, რამეთუ ვაჟკაცით ისეთივე საზღვრები აქვთ, რა ზომითაც მათი იარაღი გასჭრის“²⁶. სომხეთის პოლიტიკური სივრცის უსასრულოდ გაფართოების სურვილი აქ, საბოლოოდ, კონცეფციის სახით ყალიბდება: „რა ზომითაც იარაღი გასჭრის“, იმავე ზომითვე შეიძლება გაგრძელდეს ქვეყნის საზღვრები. ამ კონცეფციით, ნებისმიერი მეზობლის ტერიტორია შეიძლება მიჩნეული იყოს სომხეთის ნაწილად, თუკი მისი იარაღი მეზობლისას სძლევს. ასეთ კონცექსტში უნდა განიხილავდეს ის კავკასიასაც, რომელიც მთლიანად ჩართულია მის მიერვე შემოხაზულ, პართიის ხელში გადასული სომხეთის საზღვრებში. მემატიანისათვის დამახასიათებელია, რომ კავკასიის ქვეყნებსა და ხალხებს ვერ ამჩნევს (ნ. ბერძენიშვილი) და მას მხოლოდ ზოგადი გეოგრაფიული ტერმინით „ჩრდილოეთით“ და „ჩრდილოელებით“ აღნიშნავს, რითაც, ეტყობა, ცდილობს სომხეთს დაქვემდებარებული ქვეყნის შთაბეჭდილება შეუქმნას მკითხველს კავკასიაზე. ამიტომაა მის თხზულებაში ქართლი სომხეთის ნაწილად, ხოლო ქართველი ხელისუფლები სომხეთის სამეფოს მოხელეებად წარმოდგენილი. მაგალითად, „მეფემ შეცყრა კაბადოკიელთა (ჯარი), მთელი რჩეული (მეომრები) ქართველთა და ალვანელთა²⁷; / სომხეთა მეფემ / ალექსანდრეს მიერ ივერიელთა ხელისუფლად დადგენილ მიპრდატს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის განმგებლობა“²⁸. იგივე დამოკიდებულება გრძელდება კავკასიისა და ქართველთა მიმართ ძვ. წ. II და I ს. ნახევრის პოლიტიკური მოვლენების გადმოცემისას და

²⁶ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 67.

²⁷ იქვე, გვ. 92.

²⁸ იქვე, გვ. 111.

შემდეგაც. ანტონუსის წინააღმდეგ საპრძოლველად არტავაზდ II-ს, თურმე, უბრძანებია „შეეკრიბათ ათი ათასობით ჯარი ატრპატაკანში, აგრეთვე, კავკასიელ მთიელთა, ალვანთა და ქართველთა შორის“²⁹. ქართლის გამაქრისტიანებელ მირიან მეფეს კი მ. ხორენაცი ქართველთა წინამძღოლს უწოდებს და თრდატ სომხეთა მეფის ერთ-ერთ მხედართმთავრად წარმოგვიდგენს³⁰. ერთი სიტყვით, როგორც მართებულად ადრევე შენიშნა ლ. ჯანაშიამ, მ. ხორენაცის კონცეფციით, ქართლი სომხეთის ერთ-ერთი მხარეა, ხოლო ქართლის მმართველი სომხეთის მეფის ქვეშევრდომია³¹. ასეთივე მ. ხორენაცის დამოკიდებულება კავკასიის სხვა ქვეყნების მიმართაც.

მ. ხორენაცი, მისივე თქმით, სიმართლის წერის მომხრეა და კიდევაც ქადაგებს ამას თავის ნაშრომში, მაგრამ პრაქტიკულად, რამდენადაც ერთხელ შემუშავებული კონცეფციის პრიზმაში ატარებს პოლიტიკურ მოვლენებს და მას უმორჩილებს ისტორიულ ფაქტებს, ამდენად მის თხრობაში არაიშვიათად ვევდებით ქრონოლოგიისა და ფაქტების აღრევას, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში პირველწყაროების შეგებებულ გაყალბებასაც. ასე მაგალითად, პართელ არშაკიდთა უმცროსი შტოს პირველი წარმომადგენელი სომხეთში ახ. წ. I ს. მეორე ნახევარში გამეფდა, მ. ხორენაცის კი ეს ფაქტი ძვ. წ. III ს. შუა ნლებისთვის გადააქვს, როცა ეს დინასტია ირანში დამკვიდრდა, რითაც, ეტყობა, სურდა სომეხ არშაკიდთა „ეროვნულობისათვის“ უხსოვარ დროშივე დაედო სათავე. მ. ხორენაცის ცნობა ტიგრან ერვანდიანისადმი ქართველთა და ალვანელთა დაქვემდებარების შესახებ არულია ტიგრან II-ის (ძვ. წ. I ს.) ეპოქის ამბებთან, როცა ქართველები და ალვანელები პონტოსა და სომხეთის სამეფოებთან ერთიანი ფრონტით საერთო მტრებს, რომაელებს ებრძოდნენ. სტრაბონის ცნობით, არტაშეს I-ის დროს (ძვ. წ. II ს.) გოგარენე (ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი) სომხეთს შეუერთდა, რის შედეგადაც ქართველი პიტიახში სომხეთის მეფის მოხელედ იქცა. მაგრამ მ. ხორენაცი აზვიადებს, როცა არტაშეს I-ის ხელისუფლებას, მიპრდატის სახით, თითქმის მთელ ქართლზე ავრცელებს. ხსენებული კონცეფციის ბრალია, აგრეთვე, რომ ქართლის გამაქრისტიანებულ

²⁹ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. II9.

³⁰ იქვე, გვ. 170, 184, 186.

³¹ ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1962, გვ. 185.

მირიან მეფეს, ფაქტების საწინააღმდეგოდ, სომხეთის პოლიტიკურ სივრცეში შემავალ ხელისუფლად წარმოგვიდგენს, მაშინ როდესაც, პირიქით, მირიანი სომხეთის მიმართ აქტიურ პოლიტიკას ატარებდა და სპარსელთა დახმარებით იქ საკუთარი ინტერესების დაცვას დაილობდა³². ლაშა ჯანაშიას დაკვირვებითაც, ომის პირველ პერიოდში, როდესაც ირანელებმა ხელთ იგდეს რომის იმპერიის ტერიტორიის ნაწილი, შესაძლებელია, სომხეთი, თუ მისი რომელიმე ოლქი ირანელებმა საგამ-გეოდ ჩააბარეს კიდევ მირიანს³³.

სომხეთის განდიდების საქმეში მ. ხორენაცი მნიშვნელოვნად უსწრებს და აჭარბებს წინამორბედ ავტორებს. თუ კორიუნის, აგათანგელოსის, ფავორის ბუზანდისა და სხვათა თხზულებებში ძირითადად საუბარია ქრისტიანებისა და ქრისტიანული კულტურის გავრცელებაში სომხები მოღვაწეთა ინიციატივაზე და მეზობლებში მათ მისიონერულ როლზე, მ. ხორენაცი ქართლსა და მასთან ერთად კავკასიის პოლიტიკურადაც და სულიერი კულტურითაც სომხეთზე დამოკიდებულ ქვეყნად წარმოგვიჩენს როგორც ძველ წარმართულ, ისე ქრისტიანულ ხანაშიც. მისი მტკიცებით, ტიგრან I-ის ვაჟი – ვაჰაგნი, რომელსაც ვაჟუაცობით ჰერაკლეს ადარებდნენ და სასომხეთში მის შესახებ საზღაპრო თქმულებები ყოფილა გავრცელებული, თურმე, ქართველებს გაუღმერთებიათ, თავაანთ ქვეყანაში მისივე ზომის ქანდაკება დაუდგამთ, თაყვანს სცემდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ³⁴. მ. ხორენაცის მიერ მოყვანილი გადმოცემა მით უფრო ნიშანდობლივია, რომ სომხურ წარმართულ პანთეონში ვაჰაგნი უზენაეს ღვთაება არამაზდთან იყო გათანაბრებული და ანაიტთან ერთად ღვთაებათა პირველ სამეულს ქმნიდა³⁵. უფრო მეტიც, ქართლში წმ. ნინოს მოღვაწეობის ამბის გადმოცემისას ქართული წარმართული პანთეონის უზენაეს ღვთაება არმაზს, სომხური არამაზდით აღნიშნავს³⁶, რითაც, ეტყობა, სურს მკითხველი დაარწმუნოს, თითქოს, ქართლიც სომხურ კულტურულ სივრცეში შემავალი ქვეყანა ყოფილიყოს.

³² იბ. 6. ლომოური, ნარკვევები ქართლის სამეცნოს ისტორიდან, თბილისი, 1975, გვ. 43.

³⁻³ ს. ჯანაშია, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბილისი, 1986, გვ. 9.

34 მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ალ. აბდალაძის გამოცემა, გვ. 95.

³⁵ Манук Абегян, История древнеармянской литературы, Ереван, 1975, с. 27.

³⁶ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 171.

იგივე მედიდური დამოკიდებულება ქართლისა და გარე სამყაროს მიმართ შეინიშნება მ. ხორენაცის თხრობაში ქრისტიანული რელიგიის აღმოცენებისა და მისი გავრცელების ამბის გადმოცემისას, სადაც იგი უპირველეს ადგილს სომხებს აკუთვნებს. მ. ხორენაცის მტკიცებით, ქრისტეს ამ ქვეყნად ყოფილისას სომხებს ჰყოლით მეფე აბგარი, რომელ-მაც, თურმე, თავიდანვე ირწმუნა ქრისტეს სასწაულებრივი მოქმედების ღვთიური უნარი და მასში ნამდვილად ძე ღმრთისა შეიცნო. მისივე გად-მოცემით, დასწეულებულმა აბგარმა ნერილი გაუგზავნა ქრისტეს და სთხოვა მასთან მისულიყო და მოერჩინა. ჩვენმა მაცხოვარმა, ნერს მ. ხორენაცი, არ მიიღო აბგარის მიწვევა, თუმცა წერილის ლირსი კი გახ-ადაო, და შეპირდა „რაჟამს ავმაღლდები შენთან გამოვუშვებ ერთ-ერთ ჩემს მოწაფეს, რათა განგურნოს სწეულებათაგან და მოგანიჭოთ ცხოვრება შენც და შენს გარშემო მყოფთაც“³⁷. როგორც ითქვა, ასრულდა კიდეც. ქრისტეს ერთ-ერთმა — მოწაფემ თადეოსმა განუერნა აბგარი, რის შემდეგ აბგართან ერთად მთელი ქალაქი მოინათლაო. აბგარმა თადეოსს წასვლისას გაატანა ფირმანი, რათა ყველას შეეწყ-ნარებინა ქრისტეს სახარება. სომეხთა მეფე აბგარი ამით არ დაემაყოილდა და შეეცადა ქრისტეს სარწმუნოებაზე მეზობელი დიდი ხელისუფლებიც მიემხრო. მან წერილი მისწერა რომის კეიისარს ტიბერიონს, ასურეთის მეფეს ნერსეპს, სპარსთა მეფე არტაშესს და ურჩია მათ ერწმუნათ ქრისტე და მისი სიტყვა³⁸. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა შენიშნული მთელი ეს მოთხრობა სომები მემატიანის შეთხმულია, რასაც საფუძვლად დაუდო სირიული ხალხური გადმოცემები ედესის მეფე აბგარ უკამას შესახებ. სინამდვილეში კი გაქრისტიანდა არა ქრისტეს თანამედროვე აბგარი, არამედ II-III სს. მცხოვრები ედესის მეფე აბგარ IX (179-214)³⁹. მ. აბელიანის თვალსაზრისი-თაც, მთელ განყოფილებას აბგარის შესახებ არაფერი აქვს საერთო სომხეთის ისტორიასთან და მისი მოხვედრა მ. ხორენაცის ისტორიაში საეჭვო წყაროების ბრალია⁴⁰. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს

³⁷ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 126; იბ. აგრეთვე, გვ. 122-131.

³⁸ አዲስ, ፳፩. 128-130.

³⁹ ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ. ა. აბდალაძის წიგნში „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბილისი, 1982, გვ. 146-147 და სხვ.

⁴⁰ მანუკ აბელიანის დასახელებული ნაშრომი, გვ. 157.

ამაღლების დროიდან სომხეთში ქრისტიანობის გავრცელებასა და სხვა ხალხთა წინაშე ამ მხრივ განსაკუთრებულ დამსახურებაზე მტკიცებას რეალური საფუძველი არ გააჩნდა, ამგვარი გადმოცემები სომხეთის ეკლესიას უპირატესობის განცდისა და სხვათა მიმართ პრეტეზიებისა საბაბს მაინც აძლევდა. ასეთი დამოკიდებულება საკმაოდ მკაფიოდ აქვს გამოხატული მ.ხორენაცს ქართლში ქრისტიანობის გავრცელებაზე საუბრისას. ამ საკითხს იგი ცალკე პარაგრაფს უთმობს თავის თხზულებაში, სადაც სომხეთში მიმდინარე პროცესების პარალელურად და მასთან უშუალო კავშირში დაწვრილებით გადმოგვცემს წმ. წინოს მოღვაწეობის ცალკეულ ეპიზოდებს, რითაც, ეტყობა, სურს ქართლის მოქცევა სომხეთის ისტორიის ნაწილად, თუ მის გაგრძელებად წარმოგვიდგინოს. მ. ხორენაცის თანახმად, წმ. წინო (სომხურ ტექსტში ნუნედ იწოდება) სომხეთში წამებულ რიფსიმიანთა ამხანაგი იყო, წამებას შემთხვევით გადარჩენილი. ყურადღების გამახვილება წინოს რიფსიმი-ანობაზე, აშკარაა, მიზნად ისახავდა ქართველთა განმანათლებლის სომხური სამყაროდან წარმომავლობაზე შთაბეჭდილების შექმნას, რამდენადაც სომხური ტენდენციით, რიფსიმე და მისი მეცობრები სომები წმინდანებად და სომხებად მიაჩნდათ და არა რომაელებად. ამიტომაცაა, რომ მ. ხორენაცის მტკიცებით, წმ. წინო გრიგოლ განმანათლებლის ხელშეკრულებით, მისი ბრძანებების მომლოდინე და შემსრულებელია. იგი წერს: „სანატრელმა ნუნებ მოითხოვა სანდო კაცები და გაგზავნა ისნინ წმ. გრიგორთან იმის გასაგებად, თუ რის გაკეთებას უბრძანებდა მას შემდეგ, რაც ქართველებმა სიამოვნებით შეიწყნარეს სახარება. (ნუნებ) მიიღო ბრძანება მოესპო კერპები, როგორც ეს თავად (გრიგორმა) ქნა და აღმართა ჯვარი პატიოსანი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ უფალი უწყალობებდა მათ მწყებელს წინამდლვრად⁴¹. ამასთან ერთად, მ. ხორენაცი იმეორებს კორიუნის ცნობას მესრობის მიერ ქართველებისა და ალბანელებისათვის ანბანის შექმნის თაობაზე⁴².

ამგვარად, თავის წინამორბედ ავტორებთან შედარებით მ. ხორენა-ცი კიდევ უფრო მეტად აფართოებს დროსა და სივრცეში სომხეთის პოლიტიკური და კულტურული გავლენის საზღვრებს და მის ფარგლებში მის მიერვე, „ჩრდილოეთად“ წილებულ მთელ კავკასიასა აქცევს. ეს კონცეფცია ერთობ მიზიდველი აღმოჩნდა საკუთარი სახ-ელმწიფო ბრიობის აღდგენისათვის მეპრძოლი პოლიტიკური

⁴¹ მოვსეს ხორენაცი, დასახელებული ნაშრომი, გვ. I70-I71.

⁴² οὗτος, 83. 223-224.

წრეებისათვის, რომელთა საშუალებით, ეტყობა, მისი გავლენა მთელ სომხურ ისტორიოგრაფიას გადასწვდა მრავალ საუკუნეთა მანძილზე. ნიშანდობლივია, რომ მ. ხორენაცის შემდეგ ძველი სომხეთის ისტორიის დაწერა აღარავის უცდა და საჭიროების შემთხვევებში შუა საუკუნეების სომები ავტორები, უბრალოდ, შემოკლებით გადმოსცემდნენ მ. ხორენა-ცის, რის შემდეგ აგრძელებდნენ თხრობას⁴³. მ. აპელიანის დაკვირვებით, 1400 წლის განმავლობაში, XIX ს. მიწურულამდე, მ. ხორენაცის ისტორიის სინამდვილეში ეჭვი არ ეპარებოდათ, სომხეთის ისტორიას მ. ხორენაცის მიხედვით ასწავლიდნენ და მის ცალკეულ ნაწილებს თანმიმდევრობით აზეპირებინებდნენ მოსწავლეებს⁴⁴.

ჩრდილოელთა შორის სომხეთის გამორჩეულობის მ. ხორენაცისეული იდეა თავს იჩენს უკვე VII ს. სომები ისტორიკოსის სეპეოსის თხზულებაშიც, სადაც სომხეთის მმართველი თეოდოროს რშტუნი განსაკუთრებული პრივილეგიებით აღჭურვილ პირადაა წარმოდგენილი, რომლის პრძანებების მიხედვით მოქმედებდნენ ქართველი თუ ალბანელი ხელისუფლები⁴⁵. ამავე შთაბეჭდილების გაძლიერებას ემსახურება სეპეოსის მიერ მოტანილი ერთობ საეჭვო ცნობა, რომლის მიხედვითაც ხალიფა მოავიამ, თურმე, თეოდოროს რშტუნის „უბოძა ხელისუფლება სომხეთსა, ქართლსა, ალბანეთსა და სივნეითზე კავკასიონამდე და ჭორის ციხესიმაგრემდე... თედოროსი კი დაპირდა ხალიფას, რომ ამ ქვეყანას მას დაუმორჩილებდა⁴⁶. თვით სეპეოსის ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ მოავია, უბრალოდ, კავკასიის დამორჩილების უფლებას აძლევდა თეოდოროს რშტუნის, რაც იმხანად ჯერჯერობით არაპების-თვისაც მიუწვდომელი ჩანდა. ამ ცნობის ნამდვილობა საეჭვოდ მიაჩინათ სომხეთი ისტორიოგრაფიის ზოგ წარმომადგენლებასაც⁴⁷.

სომხეთის განდიდებისა და კავკასიაში მისი პოლიტიკური და კულტურულ-იდეოლოგიური პრიმატობის თემა სომხურ ისტორიოგრაფიაში ახალ ენერგიას იძენს IX-X საუკუნეებში, როცა არაბთა ეგიდით ახლად

⁴³ М. М. Мкрян, Мовсес Хоренаци, Ереван, 1969, с. 38-39

⁴⁴ მანუკ აბელიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 155.

⁴⁵ ელ. ცაგარევშვილი, სომხური წყაროები არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ „მრავალთავი“, I, თბილისი, 1971, გვ. 477.

⁴⁶ ელ. ცაგარეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 478.

⁴⁷ Юзбашян К. Н. Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв. М., 1988, с. 42.

ალდგენილი სომხური სახელმწიფოს ბაგრატუნიანი მესვეურები მფარველთა პოლიტიკურ ინტერესებთან გარკვეული თანხვედრით იწყებენ მთელი კავკასიის დასაუფლებლად ბრძოლას. ფსევდო შაპუჲ ბაგრატუნი, ჰოვჰანნეს დრასხანაკერტცი და სხვები თავიანთ თხზულებებში სომეხ ხელისუფლებს თავიდანვე სომეხთა და ქართველთა ხელისუფლებად წარმოგვიდგენენ, ხოლო სომხურ ეკლესიას კავკასიის ქრისტიანთა მეთაურად. ასე მაგალითად, ფსევდო შაპუჲ ბაგრატუნი არაერთგზის ამკობს სმბატ I-ს „სომეხთა და ქართველთა მეფისა და თვითმშეყრობელის“ ტიტულით⁴⁸, ასოლიკის თქმით კი, აშოტ I ოცდათი წლის განმავლობაში იყო სომხეთისა და ქართლის ხან იშხანთა იშხანი, ხოლო სმბატ I მემკვიდრეობით ფლობდა სომხეთსა და ქართლს⁴⁹. კავკასიაში სომხური ეკლესიის მეთაური როლის საჩვენებლად კი ჰ. დრასხანაკერტცის თავის თხზულებაში მოჰყავს კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილი მისდამი, სადაც სომხური ეკლესიისა და მისი მეთაურის ხსენებულ როლზე ცალკეული მინიშნებები შეიმჩნევა. უფრო მეტიც, სომეხი მემატიანის მიერ გადმოცემულ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილის მიხედვით, თითქოს, ბიზანტია ამიერკავკასიაში ანტიარაბული ფრონტის ორგანიზაციაში გადამწყვეტ მნიშვნელობას სომხურ ეკლესიასა და მის მეთაურს აქუთვნებდა. საყურადღებოა, რომ ჰ. დრასხანაკერტცი კავკასიაში სომეხთა წამყვან როლზე საუბრობს ისეთ არაორდინალურ სიტუაციაში, როცა სამშობლოდან არაბთაგან ლტოლვილი კათალიკოსი თავს ადარნასე ქართველთა მეფესთან აფარებდა, ხოლო მისივე ცნობით, ქართველთა მეფესა და მის ჯარს სომხეთის სამეფო ტახტზე მათთვის სასურველი კანდიდატი (აშოტ სმბატის ძე) აჰყევდათ⁵⁰. აშკარაა, რომ ჰ. დრასხანაკერტცი მოესეს ხორენეცის კონცეფციას, ფაქტობრივად, ბრმად მიჰყვებოდა.

მთელ კავკასიაზე სომხეთის უფლების IX-X სს. სომხურ ისტორიოგრაფიაში დაწყებული მტკიცებები, სხვადასხვა ფორმით, თითქმის XI ს. ბოლომდე გრძელდება. ამ ხანის სომეხ ისტორიკოსთა ცნობები ჩრდილოეთის მიმართულებით ტერიტორიების გაფართოების თაობაზე აშკარ-

⁴⁸ История анонимного повествователя псевдо-Шапух-Багратуни, перевод с древнеармянского, предисловие и комментарии М. О. Дарбинян-Меликян, Ереван, 1971, с. 163-165 и др.

⁴⁹ ასოლიკი, დასახელებული გამოცემა, გვ. 107-108

⁵⁰ იმანე დრასხანაკერტცელი, სომხეთის ისტორია, ელ. ფაგარეიშვილის გამოცემა გამოკვლევითურთ, თბილისი, 1965, გვ. 189—191, 195.

ად სცილდება რეალურობას. ისინი გაზვიადებულად წარმოგვიდგენენ აშოტ I-ის, სმბატ I-ისა და აშოტ II-ის სამხედრო-პოლიტიკურ ღონისძიებათა შედეგების მნიშვნელობას. მათ შრომებში ხოტბის შესხმის სურვილი ძირითადად განსაზღვრავს ფაქტების დაფიქსირების წესს, რის შედეგადაც იქმნება კავკასიაში სომეხი ბაგრატუნი მეფეების განუსაზღვრელი ძალაუფლების ილუზიური სურათი. მომდევნო საუკუნეებში, სომხური სამეფოს დასუსტებისა და თანდათანობითი გაქრობის კვალობაზე, სომეხ ავტორთა თხრობის მედიდური ტონი და ჰეგემონისტური მიღრეკილებები, თითქოს, თანდათან ცხრება.

V-X სს. განმავლობაში შექმნილი მთელი ეს მრავალრიცხოვანი სომხური საისტორიო ლიტერატურა, რა თქმა უნდა, თავის სასარგებლო იდეოლოგიური წნევის ქვეშ აქცევდა შუა საუკუნეების კავკასიის საზოგადოებას და სომხურ მოსახლეობაში ამკვიდრებდა მისი გამორჩეულობისა და კავკასიაში განსაკუთრებული მორალური უფლებებით სარგებლობის აზრს. აქედან გამომდინარე, მათივე აზრით, სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რა ფორმითა და ვის მიერაც არ უნდა მომხდარიყო, უნდა განხორციელებულიყო მის „ისტორიულ საზღვრებში“, ანუ ზღვიდან ზღვამდე, მისი ჩრდილოეთის საზღვარი კი კავკასიის მთებს თუ არ მიებჯინებოდა, მტკვრამდე მაინც უნდა გავრცელებულიყო. ძირითადად, მ. ხორენაციდან მომდინარე, ცოცხალ მითიურ ლეგენდად ქცეული ეს თვალსაზრისი, ეკლესიისა და სომხური მნერლობის გარჯით, საუკუნეების განმავლობაში ძლიერად ზემოქმედებდა სომეხთა ვონებაზე და ამ პრეტენზიათა რეალიზაციის შესაძლებელ დროს მოთმინებით ელოდა.

ასეთი იდეოლოგიური ფონი და კავკასიის ისტორიის სომხური მოდელი, გასაგებია, შეუთავსებელი იყო კავკასიის გაერთიანების პროცესში ჩართული გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური ინტერესები-სათვის, რის გამოც ამ ისტორიის ახალი მოდელის შექმნა გადაუდებელ ამოცანად უნდა ქცეულიყო.

კავკასიაში სარწმუნოებრივი პრიმატობისტოვის ბრძოლას ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის, გარე ფაქტორების ზეგავლენით (ირანბიზანტიის იდეოლოგიური დაპირისპირება), ადრიდანვე ჩაეყარა საფუძველი, რაც შემდეგ კიდევ უფრო განვითარდა ქვეყნის გაერთიანები-სათვის მეზობელთა მეტოქეობის პირობებში. შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების, რომელიც IX-X საუკუნეებშივე მკაფიოდ ავლენდა კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში წამყვანი მდგომარეობის დამკვიდრების სურვილს, ეროვნული ღირსების შეგნებისათვის შეუთავსე-

ბელი ხდებოდა საკუთარი ქრისტიანული წარსულის მნიშვნელობის დამცრობის ცდები, რის გამოც ის ერთმორწმუნე ბიზანტიის მედი-დურობასაც ვეძარ ჰგუმბდა. ეტყობა, ამიტომაც, მ. ხორენაცისა და საერთოდ სომხური ისტორიოგრაფიის იდეოლოგიური წნევის შესასუსტებლად და მისი ზემოქმედების გასანეიტრალებლად, ადრეულ შუა საუკუნეებშივე იქმნება ქართული ეროვნული ტენდენციის მატარებელი, კარგად არგუმენტირებული ქართლის გაქრისტიანების ისტორია, რომელიც არსებითად უპირისპირდებოდა როგორც სომხური, ისე ერთმორწმუნე ბერძნული ეკლესის ჰეგემონისტურ მიღრეკილებებს. ამის საუკეთესო მაგალითია „მოქცევა ქართლისა და“ მატიანეში შესული ქართლის გაქრისტიანების ისტორია, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში „ფსევდოეპიგრაფიული“ ან „შატბერდულ-ჭელოშური“ „ნინოს ცხოვრების“ სახელით მოიხსენიება⁵¹. ამ თხზულების ავტორის მტკიცებით, საქრისტიანოში ქართლის განსაკუთრებული როლი წინასწარ, ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე იყო განსაზღვრული, რამდენადაც ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული რელიგია „სამოსელი ქრისტესი ყოვლად ზეგარდმო ქსოვილი... პირველ მოწევნ(უ)ლ იყო კუართი იგი ქრისტესი იერუსალიმით მცხეთად“⁵². ამავე ავტორის ცნობით, ბერძნთა სიამაყის უმთავრესი საგნის, ქრისტეს ძელის ანუ ჯვრის ფლობაშიც ქართველები ბერძნებს ეზიარებიან, რამდენადაც ამ ძელის ნაწილები ქრისტეს „ფერხთა ფიცარნი“ და სამსჯვალნი, რომლითაც ქრისტე ჯვარს იყო გაკრული, ქართლში იმყოფებოდა. პარველი ერუშეთის ეკლესის, ხოლო მეორე მანგლისის ეკლესის საძირკველში ჩადეს⁵³. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ VIII ს., იოანე საბანისძე ბერძნენთა გასაგონად ამაყად აცხადებდა: „არა ხოლო თუ ბერძნთა სარწმუნოება ესე ღმრთისმიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკლდრთა... აპა ესერა ქართლისაცა მკლდრთა აქუს სარწმუნოება და წოდებულ არს დედად წმიდათა“⁵⁴. ქრისტიანული წარსულით ბერძნენთან გათანაბრებას გულისხმობდა, აგრეთვე, შედარებით გვიან გავრცელებული აზრი ქართველთა ქვეყნის ღვთისმშობლის „ნილხვედრილობაზე“, რამდენადაც

⁵¹ მ. ჩხარტიშვილი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესავლის პრობლემები, „ცხოვრება წმინდისა ნინოსი“, თბილისი, 1987, გვ. 4.

⁵² ძელი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბილისი, 1964, გვ. 87.

⁵³ ძეგლები, I, გვ. 86-87.

⁵⁴ იქვე, გვ. 55.

ბიზანტიის სატახტო ქალაქი ღვთისმშობლის საგანგებო მფარველობაში ითვლებოდა. ასეთი შედარებისას ქართველებს არათუ მსოფლიო ცივი-ლიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს მესვეურად ალიარებული ბერძნების თანაბარი, არამედ კიდევ უფრო მეტი სიამაყის საბაბიც ეძლეოდათ. ეს ვითარება კი თავისთავად უკვე გულისხმობდა უპირატესობას სომხურ ტრადიციაზე, რაც დამაჯერებლად აისახა კიდეც „მოქცევა ქართლისა და“ კრებულში შესულ ნინოს ცხოვრებაში. კ. კეკელიძის დაკვირვებით, ამ თხზულებაში განსაკუთრებით გაზვიადებული და განდიდებულია ნინოს პიროვნება. ის, მართალია, არის „ტყუ“, მაგრამ არა უბრალო, ის „პრომი მთავარია“, შვილი გამოჩენილი მხედართმთავრისა და მისიონერის ზაბილ-ონისა, რომელმაც ბრანჯთა მთელი ერი მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე. ნინოს ბიძა დედის მხრიდან ცხობილი პატრიარქია, ისიც არა რომელიმე ჩვეულებრივი ქალაქისა, არამედ იერუსალიმისა, რომელიც აკვანია ქრისტიანობისა. ნინო იმდენად დიდი პიროვნებაა, რომ თვით ელენე დედოფალი მას „უწოდდა დედოფლად და თასად სწორად“ და „დედოფლობით მოციქულად და მახარებლად შეამყობდა“... ნინოს წილი უდევს, თითქოს, თვით ელენე დედოფლის მოქცევაში. თხზულების მიხედვით ნინო ნათლაც სომხეთა წმინდანებად მიჩნეულ რიცხვისა და მისი სახლის 50 წევრს. ეს კიდევ ცოტაა, შენიშნავს კ. კეკელიძე, ნინო გამოყვანილია თხზულებაში მთელი აღმოსავლური ამიერკავკასიის მისიონერად; ქართლ-კახეთისა და მთიულთა მოქცევის შემდეგ ის, მის მიერ მოქცეული სუჯი დედოფლის მეშვეობით, მონათლაც ბოდებში, აგრეთვე, მთავრებს ისეთი სომხური პროვინციებისას, როგორიცაა სივნიეთი და გუასპურაკანი (ვასპურაკანი). ნინოს სამისიონერო ასპარეზი – „ქუეყანა ჩრდილოისა“ არის „ქუეყანა კავკასიათა და“. კ. ეკელიძე პრინციულად უარყოფს, მის დროს მეცნიერებაში დამკვიდრებულ შეხედულებას, თითქოს, „მოქცევა ქართლისა და“ ავტორი სომხური ტრადიციის გავლენას განიცდიდეს, რის გამოც მის თხზულებაში შეუგნებელ გარდანაშთებს ვხვდებოდეთ ქართლისა და სომხეთის ეკლესიების თავდაპირველ ურთიერთობაზე. ასეთ გარდანაშთად თვლიან, წერს კ. კეკელიძე, ნინოს მოხვედრას რიცხვისმინთა საზოგადოებაში და მის, ამ საზოგადოებასთან ერთად, სომხეთში მისვლას. მაგრამ არაფერი „შეუგნებელი“ აქ ჩვენ არა გვაქვს, პირიქით, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მატიანის ავტორის სავსებით შეგნებულ აქტთან; მას სურს გვაჩვენოს, რომ სომხური ეკლესის საფუძველი დაიდო იმ ადამიანთა ძვლებზე, რომელიც ნინოს მიერ იყვნენ მოქცეული და მასთან ერთად მოველინენ სომხეთს. მეორე ასეთ „შეუგნებელ“ გარდანაშთს ხედავენ იმ ეპიზოდში, სადაც ავტორი

ნინოს მიიყვანს სასწავლებლად იერუსალიმში დვინელ მიაფორთან, რომელსაც ის ორი წლის განმავლობაში „მსახურობს“. არც ეს ფაქტია მარტინებელი ქართლისა და სომხეთის ეკლესიების თავდაპირველი ურთიერთობისა. ნინო ჩვენში სამისიონეროდ გამოგზავნა არა სომებმა მიაფორმა, არამედ „ღმერთმა“ და მისმა ბიძამ, იერუსალიმის პატრიარქმა. არცთუ ქრისტიანობა უსწავლია ნინოს ამ დვინელი მიაფორისაგან, უკანასკნელი მას უთვალისწინებს ბედ-ილბალს მხოლოდ ქრისტეს რელიგიებისას, როგორიცაა ჯუარი, ტილონი, სუდარი და სამოსელნი, განსაკუთრებით კუართი. ავტორს მიიტომ მიუყვანია ნინო დვინელ მიაფორთან, რომ უკანასკნელმა თავისი საკუთარი პირით აღიაროს უპირატესობა ქართლისა სხვა ქვეყნების ნინაშე: მას, ქართლს, ანუ უფრო ზუსტად, „ჩრდილოთა მცხეთელთა“, როგორც სომეხი მიაფორო ამბობს, ღვთის განგებამ ნილად არგუნა ისეთი დიდი სინმინდე, როგორიცაა კუართი უფლისა, ის კუართი, რომელსაც ერთმანეთს ეცილებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანები⁵⁵.

ამრიგად, ქართველი ავტორის დასკვნით, ქართლისა და წმ. ნინოს მნიშვნელობა აღმოსავლეთის საქრისტიანოს წინაშე გაცილებით დიდია, ვიდრე სომხეთისა და მისი განმანათლებლის გრიგოლ პართელისა. ქრისტიანული რწმენის სიძველითაც ქართლი წინ უსწრებს სომხეთს, რამდენადაც ქართლის განსაკუთრებული როლი ქრისტიანობის გავრცელებაში წინასწარ იყო განსაზღვრული. ამიტომაც მოხდა, რომ ქრისტიანული რწმენის ჩასახვისას სომხეთი ქართლზე აღმოჩნდა დამოკიდებული: სომხეთა ეკლესიის საფუძველი დაიდო იმ ადამიანთა ქვლებზე, რომლებიც ნინოს მიერ იყვნენ მოქცეულნი და მასთან ერთად მოევლინენ სომხეთს. ერთი სიტყვით, ქართველი მწერალი მთლიანად უარყოფს რა V ს.ა და შემდგომი ხანის სომეხ მწერალთა პრეტენზიებს, კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების ისტორიის თავის ვარიანტს გვთავაზობს, სადაც ისტორიული პროცესის მთავარ წარმმართველ ძალად უკვე ქართლია გამოყვანილი.

ქართლის გაქრისტიანების ისტორიის სომხურისგან სრულიად განსხვავებული და საპირისპირო ვერსიის შექმნის შემდეგ, ქართული და სომხური ეკლესიებისა და პოლიტიკური ერთეულების მეტოქეობის პირობებში, ერთობ საშური უნდა ყოფილიყო მსგავსი სულისკვეთების ქართველთა პოლიტიკური ისტორიის დაწერაც, რომელიც, თავის მხრივ,

⁵⁵ პ. კეკელიძე, ეტიუდები ქველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 167.

შეცვლიდა კავკასიის ისტორიაზე სომხური კონცეფციით შექმნილ წარმოდგენებს. X ს. არსებული ისტორიული პირობები (ბიზანტიასთან იდეოლოგიურ ჭიდილში სომხური ეკლესიის დასუსტებით გამოწვეული) ქართული ეკლესიისა და მისი მესვეურების აქტიურობას უწყობდა ხელს. სომხურ ეკლესიასთან დოგმატურ ბრძოლაში ქართველი მოღვაწები კულტურული ფაქტორების მოშველიებასაც ცდილობდნენ, სადაც მთავარ იარაღად ქართულ ენას ირჩევდნენ. ამ ხანაში იქმნება იოანე ზოსიმეს „ქეპა“ ქართულ ენისაც⁵⁶, რომლის თანახმადაც, ქართული ენა არათუ ბერძნულის თანასწორად, არამედ მასთან და სხვებთან შედარებით უპირატესობის მქონედაც ცხადდება⁵⁷. იმავე საუკუნის მეორე მწერალი გიორგი მერჩულე კი ენისა და კონფესიის საფუძველზე ეთნიკური საზღვრების მიღმაც ქართლის უსაზღვროდ გაფართოების შესაძლებლობას ასაბუთებს: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“⁵⁸. ქართული ეკლესიის გავლენა დღითი დღე იზრდება, ის ჰერეთსა და სივნეითშიც აღნევს, ხოლო სომეხთა კათალიკოსს ვაჲან 1-ს სომხურ ეკლესიაში ქართული წესების დანერგვაში ამხელე⁵⁹. სომხური სამეფოების დასუსტებისა და გაქრობის კვალად (XI ს. შუა წლები) ქართული ეკლესია შეტევაზე გადადის და მთელს კავკასიაში სომხური ეკლესიის შევიწროებას იწყებს. 1046 წ. ღრტილაში გამართულ ქართველ-სომეხთა საეკლესიო პაექრობაზე ქართველი ბერი ექვთიმე გრძელი დატუქსვით ეკამათება სომეხ წინამძღვარს სოსთხნს და ქართული სარწმუნოების უპირატესობას უმტკიცებს. პაექრობის მოწმე ბაგრატ IV-ც, ფაქტობრივად, ძალას ატანს და სოსთხნისგან სომხური სარწმუნოების დატოვებას და ქართულზე მოქცევას მოითხოვს⁶⁰. სომხური სარწმუნოების გმობამ იმ ხანად ქართულ სასულიერო ლიტერატურაში ფართო ხასიათი მიიღო⁶¹.

⁵⁶ იხ. პ. კეკელიძე, ქველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 167.

⁵⁷ იხ. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბილისი, 1990, გვ. 277-279.

⁵⁸ ქართული ეკლესიების დასუსტების შეტევაზე გადადის და მთელს კავკასიაში 185 გვ. 181-182

⁵⁹ პ. საპინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, გვ. 617-620.

⁶⁰ ქველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ქეგლები, II, თბილისი, 1967, გვ. 123; მცირე სჯულის კანონი, ე. გიუნაშვილის გამოცემა, თბილისი, 1972, გვ. 33-34, 46-48, 63-64 და სხვ.

ასკარაა, გაერთიანებული საქართველოს მესვეურები ჩქარობდნენ ქართული სარწმუნოების ბაზის გაფართოებას მთელ კავკასიაში, რათა მომავალში ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში ამ ქვეყნის ხალხების შემოყვანა არ გაძნელებოდათ. მაგრამ ამ პოლიტიკას ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი ახლდა. კონფესიურ წინააღმდეგობათა დაძლევა „სარწმუნოებრივი ექსპანსის გზით“ შეუძლებელი იყო, მით უმეტეს ისეთი მდიდარი კულტურის ქვეყანაში, როგორიც სომხეთი იყო. ასეთი გზით პოლიტიკური ამოცანების გადაჭრა თვით ძლიერმა პიზანტიამაც ვერ შეძლო. კონფესიურ ნიადაგზე განვითარებულ სიძულვილს კი ყოველთვის და ყველგან დიდი ბოროტება მოჰქმნდა. ასეთი ფინალი ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკისათვის, რომელიც სომხეთა მინდობასა და თავის გარშემო დარაზმვას ცდილობდა, რა თქმა უნდა, ყოვლად მიუღებელი იყო. ალბათ, ამიტომაც, ამ ხანაშივე შეიმჩნევა სომხებთან კონფესიური დაპირისპირების შერბილების ცდები, რაც მკაფიოდ აისახა არსენ საფარელის ტრაქტატში „განყოფისათვა ქართველთა და სომებთა“. არსენის მტკიცებით, სომები ხალხი არ არის დამნაშავე ისტორიის წინაშე. სპარსეთის მეფეებმა აიძულეს სომხეთის ხელისუფალნი და ეკლესიის მესვეურნი გადაეხვიათ მართლმადიდებლობიდან და მიეღოთ „სჯული იაკობთა“. ამიტომ საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში მოკლებულია შინაგან კანონზომიერებას და არსენ საფარელის რწმენით, ხელსაყრელ პოლიტიკურ სიტუაციაში კავკასიის ქვეყნების იდეოლოგიური გაერთიანება შეუძლებელი არ არის⁶¹.

XI ს. 40-იან წლებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები სულ უფრო ცხადყოფნენ გაერთიანებული საქართველოსთვის სომეხთა მხარდაჭერის გაფართოების მნიშვნელობას. ბაგრატ IV-მ, მართალია, მცირე ხნით, მაგრამ სომეხთავე დახმარებით დაიკავა ანისის სამეფოს დედაქალაქი ცხრა ციხითურთ და შირაკის ვრცელი ქვეყანა, ფაქტობრივად, თავისი კონტროლის თვალსაწირში მოაქცია, რითაც სომხეთის მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში მკვეთრად დაუპირისპირდა ბიზანტიას. ლიპარიტ ბალვაშის ღალატისა და ბიზანტიის დაწოლის გარდა, ჩანს, არც სომეხთა მხარდაჭერა იყო იმდენად ფართო და მყარი, რომ ბაგრატ IV-ს შეძლებოდა ანისის უფრო ხანგრძლივად დაკავება. სომხურ პოლიტიკურ წრეებზე და ხალხზე უფრო მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვე-

⁶¹ არსენ საფარელი, განყობისათვა ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ, თბილისი, 1980, გვ. 176-178, 200.

ბას, ცხადია, ხელს უშლიდა როგორც კონფესიურ უთანხმოებათა სიმწვდევე, ისე სომხური ისტორიოგრაფიის ტენდენციები. კავკასიის მომავალი გაერთიანება, საითკენაც გაერთიანებული საქართველოს ბაგრატიონი ხელისუფლები თანმიმდევრულად ისწრაფოდნენ, არაქრისტიანი მოსახლეობის მინდობასაც გულისხმობდა, რის გამოც ქართული იდეოლოგიური პოლიტიკა უფრო დამაჯერებელ არგუმენტებს ითხოვდა, ვიდრე ეს ქალკედონური სარწმუნოების ბაზის გაფართოება თუ დაპირისპირებული კონფესიების მორიგების საეჭვო ცდები შეიძლებოდა ყოფილყო. ასეთ პირობებში თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა ქართულ საისტორიო მწერლობას, რომელიც შეძლებდა კავკასიის გაერთიანების პრეტენზიის მქონე ქვეყნის ისტორიის შესაფერი ლირსებით წარმოჩენასთან ერთად, სომხურისგან განსხვავებული, მაგრამ კავკასიის ისტორიის ისეთი მოდელის აგებას, რომელიც შექმნილ ისტორიულ პირობებში ორივე ხალხის ლირსებას დაიცავდა და მისაღებს გახდიდა თანაბრად. ნიშანდობლივია, რომ XI ს., თითქმის ერთდროულად, რამდენიმე ქართველი ისტორიკოსი (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, მატიანე ქართლისათვა აგტორი და სუმბატ დავითის ძე) ნერს უძველესი დროიდან XI საუკუნემდე თავისი ქვეყნის გაბმული ისტორიის სხვადასხვა ნაწილებს, სადაც სომხურ თემას, განსაკუთრებით ლეონტისთან, ერთობ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. როგორც ჩანს, დასმული პრობლემის გადაჭრის ძირითადი ტვირთის სიმძიმე ლეონტი მროველს დაეკისრა. ამასავე მოწმობს ლეონტის მთავარი თხზულების „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ქრონოლოგიური საზღვრებიც – უძველესი დროიდან V ს-მდე, რომელშიც, აგრეთვე, გაშლილი აქვს მოვსეს ხორენაციის თავისი „სომხეთის ისტორიის“, სომხური ისტორიოგრაფიის სულისკვეთების ამ ძირითადი წყაროს, თხრობა. აქედან გამომდინარე ჩანს, რომ ლეონტის სომხებისთვისაც უნდა გაეწია ანგარიში, რათა მისი „მეფეთა ისტორია“ სომხებისთვისაც მისაღები გამხდარიყო. შემთხვევითი არც ისაა, რომ ქართლის ცხოვრების კრებულის შექმნიდან სულ მალე, უკვე XII ს. ის სომხურ ენაზე ითარგმნა. აშკარა იყო, ლეონტი მროველს ძალზე რთული ამოცანის გადაწყვეტა უწევდა. მოვსეს ხორენაციის დიდი ავტორიტეტისა და სომები ხალხის ცნობიერებაზე მისი განსაკუთრებული ზეგავლენის გამო, მ. ხორენაციის ხელალებით უარყოფა შეუძლებელი იყო. უბრალოდ, ასეთ სიმართლეში სომხებს ვერ დააჯერებდა. მ. ხორენაციის კრიტიკის სხვა გზა უნდა მონახულიყო და ლეონტიმაც გენიალური სიმარტივით გადაჭრა საჭირბოროტო დიდი საკითხი. უარყოფის ნაცვლად მ. ხორენაციის ძირითადი დებულებები

და მათ საფუძველზე გაშუქებული ფაქტები შეასწორა, ხოლო მის ექსპანსიურ კონცეფციას კავკასიის ხალხთა სისხლით ნათესაობისა და ძმობის საკუთარი კონცეფცია დაუპირისისირა (კონფესიურ ურთიერთობათა გამწვავების პირობებში „სისხლით ნათესაობის“ არგუმენტი გაცილებით ქმედითუნარიანი და „უპირატესი იყო), რითაც არა მარტო მორალური უპირატესობა მოიპოვა ხორენაციზე, არამედ დროს მოთხოვნებსაც უკეთ მოერგო. კავკასიაში ძველთაგანვე გაჩაღებულ იდეოლოგიურ ბრძოლაში ქართველი პოლიტიკოსი-მემატიანე თავისი ახალი კონცეფციით აშეარად გამარჯვებული ჩანდა. თუკი ლეონტის კონცეფციას რეალური პოლიტიკური სიტუაცია უმაგრებდა ნიადაგს (სელჩუკიანი თურქების გამარანაგებელი შემოსევების წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა ძალების გაერთიანების აუცილებლობა), სომებს მოღვაწეთა ერთი ნაწილის მიერ ხორენაცის კონცეფციის რეანიმაცია იმ დროს, როცა სომხური სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი ნამსხვრევებიც ქრებოდა, უბრალოდ ანაქრონიზმად გამოიყურებოდა.

ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, რეალურად, ლეონტი მროველი ნაშრომის მთელ სიგრძეზე ებრძევს ხორენელს, აგათანგელოსს, ასაბუთებს ქართლს...⁶². მისივე თქმით, ლეონტიმ მარჯვედ გამოიყენა ხორენელი და ორიგინალური ისტორია შექმნა. მან არ უარყო ცხადლივ ხორენელის ისტორიული დებულებანი, თუმცა არსებითად შეასწორა ისინი და, რაც მთავარია, დაურთო ორიგინალური თეორია თარგამოსიანთა შესახებ და შემდეგ მთელი ისტორია ამ თარგამოსიანთა ურთიერთობის ფონზე გაშალა, რამაც საშუალება მისცა ორიგინალური ისტორიული ცხოვრება წარმოეჩინა⁶³, შინაარსით და ფორმით ისეთი ისტორია, რომელიც მომავალი დიდი საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებს შეესაბამებოდა.

ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ სწორედ ამ თავისი ორიგინალური კონცეფციის ნარმოდებენით იჩნებს, რითაც მეითხველის ყურადღებას ამახვილებს როგორც თავისი თხზულების მთავარ პოლიტიკურ ამოცანაზე, ისე მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ქვეყნის მომავლისათვის: „პირველად ვაპსენოთ ესე, რამეთუ სომებთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, პერთა და ლეკთა და მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ თქმათ ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს“⁶⁴.

⁶² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 379-380.

⁶³ იქვე, გვ. 261.

⁶⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 3.

წამოყენება უკვე წიშნავდა მოესეს ხორენაციის კონცეფციის უარყოფას და მის კრიტიკას. თუ ქართველი მემატიანე კავკასიის ხალხების წარმომავლობას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილავდა, მ. ხორენაცი კავკასიაში სომხების გარდა ვერავის ამჩნევდა, სომებთა ეთნოგენეზი მისთვის იყო მონოეთნიკური სამყაროს წარმოქმნის პროცესი, რომელიც სომებთა ეთნიკური განვითარების ორბიტაში აქცევდა მათ სამოქმედო ტერიტორიაზე სომებთა მოსვლამდე დასახლებულ მცირერიცხოვან ხალხებს და სომხურ სამყაროსთან შერწყმას განაპირობებდა. ასე რომ, მ. ხორენაცის მონოეთნიკურ სამყაროს ლეონტი ერთმანეთის მონათესავე მრავალეროვან კავკასიას უპირისპირებდა. კავკასიის ხალხების მრავალსაუკუნოვანი ხანგრძლივი თანაცხოვერება და საერთო პოლიტიკური თავგადასავალი მეტ დამაჯერებლობას სძნდა ლეონტის თეორიას. XI ს. მეორე ნახევრისათვის მ. ხორენაცის კონცეფციას პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ შეიძლებოდა ჰქონოდა, რადგან კავკასიის ხალხთა ძმობის მონიდება ცოცხალი პოლიტიკური პროგრამის მნიშვნელობას იძენდა. იმ დროს, როცა მოძალებული მტრის წინააღმდეგ კავკასიაში ერთადერთი ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალა გაერთიანებული ქართული სამეფო იყო, მასთან ძმობის დამადასტურებელი თეორია თავდაცვისა და თავშესაფრის ძიებაში მყოფი სომხეთისათვის არათუ მისაღები და სასურველი, არამედ აუცილებელიც იყო. კავკასიის ხალხთა ნათესაობის იდეა სასარგებლო იყო იმდროინდელი ქართული საგარეო პოლიტიკისთვისაც. სომხეთის მემკვიდრეობისთვის ბრძოლაში ბიზანტიასთან დაპირისპირებული გაერთიანებული საქართველო ლეონტის თეორიის სახით ახალ დამატებით არგუმენტს იძენდა სომხეთზე კანონიერი უფლების დასამტკიცებლად. მთავარი პოლიტიკური ამოცანითვე იყო განსაზღვრული კავკასიის ხალხთა მამამთავრად თარგამოსის დასახელება იმ დროს, როცა ბერძნულ-ლათინური და სომხურ-ქრისტიანული მწერლობა მას მხოლოდ სომებთა მამამთავრად მიიჩნევდა. მიუხედავად ამისა, ლეონტი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, რადგანაც მხოლოდ თარგამოსის სახლის წევრს შეეძლო „სომხეთის მემკვიდრეობაზე“ კანონიერი პრეტენზიის გაცხადება.

თავის კონცეფციაზე დაყრდნობით ლეონტი თანმიმდევრობით ასწორებს და ცვლის მ. ხორენაცის უმთავრეს დებულებებს ქართულ-სომხურ ისტორიულ ურთიერთობათა თაობაზე და ახალი შინაარსით აგსებს კავკასიის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან ფურცლებს. მათ შორის უპირველესი, რა თქმა უნდა, იყო ეროვნული ტერიტორიის ფორმირების საკითხი. მ. ხორენაცის მიერ სომებთათვის შემოხაზულ ვრცელ ტერი-

ტორიას, მისგან განსხვავებით, ლეონტი თარგამოსის წილხვედრილ ქვეყნად აცხადებს: „ხოლო ქვეყანა იგი, რომელი წილით ხდომოდა (თარგამოს), ეს არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია“⁶⁵.

თარგამოსის სამფლობელოს სამხრეთის საზღვარი “ზღუა ორეთისა” ვანის ტბა ან ხმელთაშუა ზღვა შეიძლება იყოს, რაც, ფაქტობრივად, ემთხვევა სომხეთის პირველი არშაკიდი მეფისათვის მიზომილ ტერიტორიას. ლეონტი კი, რამდენადაც კავკასიის ხალხების უკლებლივ ყველა ეთნარქს თარგამოსის შვილებად მიიჩნევს, ამ ვრცელ ტერიტორიაზე უფლებას, სომხეთი გარდა, კავკასიის სხვა ხალხებსაც უნანილებს, რა თქმა უნდა, შუა საუკუნეებში მიღებული უფროს-უმცროსობის საყოველთაო წესის მიხედვით, სადაც უფროს ვაჟს, მომდევნო ძმებთან შედარებით, მნიშვნელოვანი უპირატესობანი გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ამ წესის თანახმად, უფროსი ვაჟი მამის უფლებისა და ქონების უშუალო მემკვიდრეა და ის იკავებს მამის რეზიდენციას და იღებს ხელისუფლებას მისგან. სხვა შვილებიც ინარჩუნებენ მემკვიდრეობის უფლებას მამის ქონებაზე. ლეონტის მიხედვით, თვით თარგამოსმა გაუნანილა თავისი ქვეყანა და ნათესავი თავის გამორჩეულ რვა შვილს, რომელთაც გმირებს უნიდებს. იგი წერს: „... განუყო თარგამოს ქუეყანა და ნათესავი თასი რვათ ამათ გმირთა: ნახევარი ნათესავისა მისისა და ნახევარი და უმჯობესი ქუეყანისა მისისა მისცა ჰაოსს, ხოლო შედთა ამათ მისცა ხუედრი მათი არძან-გებისაებრ მათისა: ნარმოიყანნა შედნი იგი ჩრდილოთ კერძო და განუყონა ქუეყანი ღირსაბისაებრ მათისა. მისცა ქართლოსა და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი; დასავლით ზღუა პონტოსი, სამხრით მთა, რომელი მიჰყების ბერდუჯის მდინარის თავსა, და მთა, რომელი მიჰყების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოთ საზღვარი ღაფლ, რომელი გამოვლის შტოდ კავკასიისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ღადოსა, რომელსა ან ჰერან ლიხი. და ამათ საზღვართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს⁶⁶.

⁶⁵ ქართლის ცხოვრება, I გვ. 4.

⁶⁶ იქვე, გვ. 4-5.

ლეონტის თანახმად, თარგამოსის შვილებში ჰაოსი პირველი შვილი და „უმეტესი გმირი“ იყო, რის გამოც მამა მას თავის ქვეყნის ნახევარსა და უმჯობეს ნანილს აკუთვნებს, თუმცა ქართველი მემატიანე ამ „უმჯობესი“ ნახევრის არც საზღვრებს ასახელებს და არც მის განსაკუთრებულ სიკეთეზე იძლევა რაიმე ცნობას. ქართველი მემატიანის ყურადღება, მ. ხორენაცის საპირისპიროდ, ძირითადად, ამიერკავკასიისკენაა მიპყრობილი, რომლის ცენტრალურ ნანილში ის ქართულ ქვეყნებს – ქართლს, ეგრისს და ჰერეთს ათავსებს და დეტალურად აღნერს თითოეული მათგანის საზღვრებს. განსაკურებით კი, ყურადღებას ამახვილებს ამ ქვეყნების სომხეთისაგან გამომყოფ სამხრეთის საზღვარზე, რომელიც მისი აღნერით, მდ. ბერდუჯის სათავეებიდან იწყებოდა და მტკვრისა და არაქსის აუზების წყალგამყოფს გაპყვებოდა მთელს სიგრძეზე მტკვრის სათავეების ჩათვლით (პროვინცია „კოლა“), ხოლო აქედან ქედს, რომელიც გაპყოფდა კლარჯეთს (მდ. ჭოროხის ქვემო დინების აუზი) ტაოსაგან (მდ. ჭოროხის შეა დინების აუზი). ლეონტის ამ ჩვენებათა ანტიკური ხანის უცხოური წყაროებით დამონმების შედეგად დ. მუსხელიშვილი ასკვნის, რომ ქართული ეროვნული ტრადიცია შემონახული ლეონტი მროველის მიერ, არსებითად სწორი უნდა იყოს⁶⁷. ქართლსა და სომხეთს შორის გამავალ საზღვარს „ხუნანითგან ვიღრეზღუამდე სპერისა“⁶⁸ ლეონტი მრავალგზის ახსენებს, რაც, აღბათ, იმასაც ნიშნავს, რომ, მისი აზრით, უძველესი დროიდანვე სომხეთისა და ქართლის სამჯნო ზონად უცვლელად მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფი ქედი რჩებოდა. უფრო მეტიც, არაქსის აუზში მდებარე რიგ ტერიტორიებს, ის ზოგჯერ, ქართლის ფარგლებში ათავსებს. მაგალითად, ლეონტის ცნობით, ფარნაგაზის მეფობისას აბოცი სამშვილდის საერისთავოს შემადგენლობაში იყო და, ამდენად, მისი აზრით, ქართლის სამხრეთის საზღვრის მდ. არაქსამდე გავრცელებასაც კანონიერი საფუძველი გააჩნდა. მისივე ცნობით, ამ სასაზღვრო ზოლის თავის სასარგებლოდ შეცვლისათვის ქართველ და სომებს ხელისუფლებს შორის კონფლიქტებიც ყოფილა, მაგრამ ძირითადი საზღვარი მაინც, საბოლოოდ, უცვლელი რჩებოდა, რომელიც შემდეგ საერთაშორისო აღიარებითაც ყოფილა დაკანონებული. ამ აქტს ლეონტი მიაწერს ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე დიდს, რომელმაც თურმე „განუჩინა

⁶⁷ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი, 1977, გვ. 79-80.

⁶⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 8.

საზღვარი მირიანს და თრდატს ესრეთ: რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და მიერთვიან რაისა, ესე ქუეყანანი თრდატის კერძად დაყარნა; და რომლისა ქუეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკუარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა. და ესე რა განუგო კონსტანტინე მეფემან და შუამდგომელ ექმნა მათ, და წარვიდა თესად სამეფოდ⁶⁹. ამით ლეონტი, საერთოდ, ასრულებს საუბარს სომეხ-ქართველთა საზღვრის შესახებ ანუ, როგორც თვითონ ამბობს, „ძიებას საზღვართა ქართლისათა“. ნიშანდობლივია, რომ ლეონტის მიერ დასახელებული ეს საზღვარი შუა საუკუნეთა მთელ სიგრძეზე სინამდვილეშიც უცვლელი დარჩა.

ამრიგად, ლეონტი მროველისა და მ. ხორენაცის ობზულებებში წარმოდგენილი თვალსაზრისი საქართველოსა და სომხეთის კუთვნილი ტერიტორიების თაობაზე ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული და არსებითად საპირისპიროვაა. მ. ხორენაცით სომხთა კუთვნილი ქვეყანა მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას ხმელთაშუა ზღვიდან კავკასიის წყალგამყოფ ქედამდე, რომლის მეჩხერად დასახლებული ერთი ნაწილი ბაბილონიდან ვანის ტბის მიდამოებში მრავალრიცხოვანი შვილებითა და შვილიშვილებით გამოსახლებულმა ჰაიკმა და შემდეგ მისმა შთამომავლებმა თანდათანობით აითვისეს სამხედრო მოქმედებებისა და სამეურნეო საქმიანობის შედეგად. ამას გარდა, წინა აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი და მთელი კავკასია მათ პართიის მეფე არშაკმა მიაკუთვნა. ასე რომ, მ. ხორენაცის აზრით, კავკასიისა და წინა აზიის ერთი ნაწილის მომცველი ეს ტერიტორია სომხებს სავსებით კანონიერ საფუძველზე ეკავათ და მოზიარე არავინ ჰყავდათ. ლეონტი მროველი, ფაქტობრივად, იმავე ვრცელ ტერიტორიას „ეზვეკასიის მთიდან ორეთის ზღვამდე“ ქართველთა და სომხთა, აგრეთვე, კავკასიის სხვა ხალხების, საერთო წინაპრის თარგამოსის წილხვედრილ (იგულისხმება ღმერთისგან) ქვეყნად მიიჩნევს, რაც იმას ნიშნავს, რომ თარგამოსის შვილები (გამორჩეული რვა შვილი) ყველა ერთად, მამის ქონების მემკიდრეები არიან და მამის წილხვედრილი მათი საერთო ქონებაცაა, სადაც თითოეულ მათგანს საკუთარი წილი უდევს მახლობლობისა და უფროს-უმცროსობის საყველთაოდ მიღებული წესის მიხედვით. შესაბამის რიგით ნომერს აკუთვნებს: „პირველსა ერქვა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს“ და ა. შ.⁷⁰.

⁶⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 70.

⁷⁰ იქვე, გვ. 4.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივად თავს იჩენს თარგამოსის შვილებს შორის უფლებრივი თანაფარდობის საკითხი. უფროს შვილს, ე. ი. გვარში უფროსს, საერთო ქონების უმეტესი ნაწილი – მთელი ნახევარი და, რაც მთავარია, ხელისუფლების გამომხატველი მამის საყოფელი (ე. ი. ტახტი) გადაეცემა, რის გამოც, ალბათ, ქონების ეს ნაწილი „უმჯობესად“ ითვლება. მამის შემდეგ ის გვარის, ანუ სახლის უფროსი, ე. ი. მამასახლისი ხდება, ამასთან დანარჩენი ძმების სამიზნეც, რომლებიც მეტვიდრეობის წესის საფუძველზე თავიანთ რიგს ელიან მამის სამყოფელის დასაკავებლად. ამდენად, ლეონტი მროველი არა მარტო ასწორებს მ.ხორენაცის ვერსიას სომხური ტერიტორიის წარმოქმნაზე და ე. წ. „სომხურ ჩრდილოეთს“ ქართველებთან ერთად ძველთაგანვე კავკასიის ხალხებით ასახლებს, არამედ მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფი ზონის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზეც მომავლისათვის პრეტეზზიასაც აცხადებს, როგორც თარგამოსის რიგით მეორე მემკიდრის შთამომავალი.

აშკარაა, რომ საგანგებოდ თხზულების დასაწყისში გაუდერებული მთავარი იდეა („ამბავი რვა ძმათა“), რომლითაც ლეონტი მროველი მ. ხორენაცის უპირისპირდება, არის კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობისა და, ამდენად მათი ძმობა-ნათესაობის იდეა, რაც თავისთავად გულისხმობდა საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით შეპრძოლებას. ლეონტის დროს ამ იდეის ლეგიტიმაციას მყარ ნიადაგს უქმნიდა სელჩუკიანი თურქების მოხშირებული თავდასხმებით შექმნილი უდიდესი საფრთხე, რომელიც გადავგარებოთა და განადგურებით ემუქრებოდა მთელ კავკასიურ ცივილიზაციას, სადაც წამყვან კულტურულ ძალას საქართველო და სომხეთი წარმოადგენდნენ. ამასთან, ის სავსებით ჰასუხობდა კავკასიაში ჰეგემონობისათვის გამართულ მრავალ-საუკუნოვან ბრძოლაში, ფაქტობრივად, გამარჯვებული გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რომელიც ამჯერად (XII ს. II ნახ.-ში) სომხებისგან გამიჯვნას კი არ ესწრაფოდა, არამედ მათ მინდობასა და თავის გარშემო დარაზვას ცდილობდა. ასეთ პირობებში კავკასიის ხალხთა ნათესაობის თვალსაზრისს შედარებით ადვილად უნდა შეეღწია ადამიანთა ცნობიერებაში და მისაღები გამხდარიყო ლეონტის მიერ შექმნილი ლეგენდა თარგამოსისა და მისი რვა შვილის შესახებ. თუ ხსენებულ გარემოებათა ზეგავლენით, ქრისტიანულ მწერლობაში არსებულ ვერსიებთან ლეონტის ვერსიის შეთავსება ასე თუ ისე მაინც შესაძლებელი იყო, სომეთა წინაპრის ჰაიკის მიჩქმალვა და მისი მნიშვნელობის დამცრობა იმ უბრალო მიზეზით ვერ მოხერხდებოდა, რომ ბერძნულ-

ლათინური და მრავალსაუკუნოვანი სომხური ტრადიციით, უკვე კარგა ხნით დამკვიდრებული აზრით, თოგარმა-თარგამოსის ერთადერთ მემკვიდრედ პაიკი-ჰაოსი ითვლებოდა და მის ადგილას რომელიმე ძმადნოდებულის გადმონაცვლება, სომხურ მოსახლეობაში მაინც, ეჭვს ქვეშ დააყენებდა, საერთოდ, ლეონტის ვერსიის სისწორეს, რაც იმდროინდელი ქართული პოლიტიკისთვის ერთობ საჭირო კავკასიის ხალხთა გამაერთიანებელი იდეის დისკურსიფიციას გამოიწვევდა. თარგამოსის სამკვიდროდ მიჩნეულ ტერიტორიაზეც (არარატის მთის მიდამოები) ძველთაგანვე სომხები სახლობდნენ, რაც მემკვიდრეობის წესებზე შუა საუკუნეებში არსებული წარმოდგენები სომხეთა წინაპარს, უპირობოდ, მამის პირმშოდ წარმოაჩენდა. ამიტომ, უნდოდა თუ არა ეს ლეონტი მროველს, სომხეთა ეთნარქი – ჰაოსი თარგამოსის პირველ შვილად და ძმათა შორის „უმეტეს გმირად“ და მათზე „გამგებლად და უფლად“ უნდა ეცნო.

თარგამოსის პირველ შვილად ჰაოსის ცნობამ და, ამდენად, იერარქიის სათავეში მისმა ჩაყენებამ ლეონტის თხზულებას ფორმალურად, თითქოს, „პროსომხური“ მიმართულება მისცა, მაგრამ, სინამდვილეში, ის მ. ხორენაციისა და მისი თანამოღვანე სომხი ავტორების მიერ წარმოდგენილი სურათისგან არა მარტო განსხვავებული, არამედ არსებითად საწინააღმდეგო იყო. მ. ხორენაცი და V-X სს. სომხური საისტორიო მწერლობა კავკასიის ისტორიას მითიური პაიკიდან დაწყებული სომხური სამეფოების არსებობამდე, ანუ XI ს. ნახევრამდე, სომხეთის სრული პოლიტიკური ბატონობის ხანად სახავს, სადაც ქართველი ხელისუფლები სომხეთის მორჩილ მოხელეებად გამოიყურებიან. ისტორიის ასპარეზზე ჰაოსის ძმების შემოყვანით კი, ქართველები და კავკასიის სხვა ხალხები ჰაოსის საგმირო საქმეების თანამონანილედ და გამარჯვებების თანაზიარად გამოჰყავს ლეონტის. ამასთან, სომხეთა ამ უპირატესობას მითიური ხანის ორეალური სამყაროს ფარგლებით ზღუდავს. ჰაოსის შემდეგ თხზულების დასაწყისში წარმოდგენილი იერარქია სადღაც ქრება, ლეონტი გამორჩეულად არავის ასახელებს და ყველას მათ საერთო სახელით თარგამოსიანებით აღნიშნავს, ჰაოსის შთამომავლები ცალკე არ სახელდებიან. იქმნება თანაბარუფლებიანობის სრული შთაბეჭდილება. თარგამოსიანები კარგა ხანს ერთად არიან, ერთად მოქმედებენ, ერთად იცავენ თავს. ფაქტები: ხაზარები გაძლიერდნენ და კავკასიანები შეავინროვეს. ამ უკანასკნელებმა დახმარება სთხოვეს დანარჩენ თარგამოსიანებს. რადგანაც იმ დროს, ლეონტის განმარტებით, ისინი „იყვნენ მშედილი სიყუარულსა ერთმანეთისასა“, შეიკრიბნენ „ყოველი ნათესავი თარგამოსიანი, და გარდავლეს მთა კავკასია და მოტყუენნეს

ყოველი საზღვარი ხაზარეთისანი, და აღაშენნეს ქალაქი პირსა ხაზარეთისასა, და წამოვიდეს⁷¹. ჩვენი ავტორის წარმოდგენით, თარგამოსიანებს გააჩნდათ ერთი მთლიანი ქვეყანა, რომლის დაცვა ყველას საერთო საზრუნავია. ხაზარები კვლავ და უფრო მეტად გაძლიერდნენ, მათი სიმრავლის გამო თარგამოსიანებმა წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს და ხაზარებმა „წარტყმუნეს ქუეყანა თარგამოსიანთა, და შემუსრნეს ყოველი ქალაქი არარატისანი და მასისისანი და ჩრდილოსანი. და დაურჩეს ციხე-ქალაქი თუხარისი, სამშლდე და მტურის ციხე, რომელ არს ხუნანი, შიდა ქართლი და ეგრისი“⁷². მოტანილ ტექსტში თარგამოსიანთა ქვეყნის ორგვარი გაგებამ მოცემული. ვინრო გაგებით ესაა თითოეული თარგამოსიანის კუთვნილი ცალკე სამკვიდრო, რომელიც თარგამოსმა თავის დროზე შემოუსაზღვრა თავის შვილებს. უართო გაგებით კი ეს ამ ქვეყნების ერთობლიობა და საერთოა ყველა თარგამოსიანისთვის. სწორედ ამ საერთო ქვეყნითა და მისი ერთიანი ძალებით წარსდგებიან ხოლმე ისინი გარე სამყაროს წინაშე. ნიშანდობლივია, რომ ახლა უკვე, მითოსური ხანისგან განსხვავებით, თარგამოსიანთა შორის უფროს-უმცროსობაზე უბრალო მინიშნებასაც აღარ ვხვდებით, საერთო პერსონალური წინამძღოლი მათ აღარ ჰყავდათ. მაგრამ, თარგამოსიანებიც ყველა ერთნაირი შესაძლებლისა და უნარის, რა თქმა უნდა, არ იყო და ლეონტიც თარგამოსიანთა საერთო მასიდან ამ ნიშნით გამოარჩევს ქართველებსა და სომხებს „სომხეთა და ქართველთა და ყოველთა თარგამოსიანთა“⁷³, რომლებზეც, მისი აზრით, დამოკიდებული იყო თარგამოსიანთა და მათი საერთო ბედიც. ამიტომაც, ყველა კრიტიკულ მომენტში ჩვენი ავტორი მათ ერთად ახსნებს, როგორც თარგამოსიანთა საერთო პოლიტიკის მთავარ განმსაზღვრელ ძალას. მაგალითად, თარგამოსიანებზე გაბატონებული სპარსთა მეფე თურქებთან იწყებს ბრძოლას. ლეონტის თქმით, „მაშინ პოვეს უამი მარჯუე სომხეთა და ქართველთა, და განუდეგს სპარსთა და განამაგრეს ციხენი და ქალაქი მათნი. და შეერთნეს ყოველი ნათესავი თარგამოსიანი“⁷⁴. რამდენიმე წლის შემდეგ სპარსთა მეფე დიდ ლაშქარს აგზავნის „სომხეთა და ქართველთა და ყოველი თარგამოსიანთა ზედა“⁷⁵. იგივე სურათი იხატება სხვა ეპიზოდების გამოცემისასაც: „ვერ წინა-

⁷¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 11.

⁷² იქვე, გვ. 11-12.

⁷³ იქვე, გვ. 14.

⁷⁴ იქვე, გვ. 14.

⁷⁵ იქვე.

აღუდგეს სომეხნი და ქართველნი⁷⁶, „მაშინ დაუტევა სპანდიატ ბრძოლა სომეხთა და ქართველთა“, „განთავისუფლდეს სომეხნი და ქართველნი“ და ა.შ.⁷⁷. ერთი სიტყვით, ლეონტისათვის კავკასიაში პოლიტიკური სიტუაციის განმსაზღვრელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სომეხთა და ქართველთა კავშირია და ცდილობს შემდგომი ხანის (უკვე სახელმწიფოთა ურთიერთობის დონეზე) ისტორიის გადმოცემის დროსაც მკაფიოდ წარმოაჩინოს ქართველ და სომექ ხელისუფალთა უმჭიდროესი კავშირი და თანამშრომლობა ისტორიის მთელ მანძილზე.

ქართველ მკვლევართა ერთმა ნაწილმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ქართველებისა და სომხების ერთად მოხსენიებისას, სომეხთა ხსენება ყოველთვის ნინ უსწრებს ქართველების ხსენებას, რაც ლეონტი მროველის სუბიექტური განწყობილების გამოვლენად მიიჩნია. მართალია, „სომეხნი და ქართველნი“ – ასეთი თანამიმდევრობით, ვიდრე პირუკუ, ქართველთა და სომეხთა ხსენება შედარებით უფრო ხშირია (12 ჯერ 4-ის ნინააღმდევ), მაგრამ ის მაინც მყარ საფუძველს ვერ იძლევა ხსენებული დასკვნისათვის. ჯერ ერთი, არ ჩანს, რომ ლეონტის ტექსტში ეთნოსების დასახელება იერარქიული პრინციპის თანამიმდევრობით ხდებოდეს, რამდენადაც ერთად მოხსენიებისას ოსები ორ შემთხვევაში ქართველებს ნინ უსწრებენ, თუმცა მათ უპირატესობაზე არანაირი მინიშნება არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ასევეა გამოთქმა „თურქნი და ქართველნი“⁷⁸. იერარქიულ პრინციპს რომ უდებდეს საფუძვლად ეთნოსთა დასახელებას ლეონტი აღარ იტყოდა ლაშქარზე „ბერძნთა, სომეხთა, ოვსთა, მეგრთა და ქართველთაო“⁷⁹. ანდა „ოვსთა, ლევთა და ქართველთა“⁸⁰. ყველას რომ თავი დავანებოთ, ჩამოთვლაში მეგრთა ნინ მაინც უნდა დაყენებინა ქართველნი, რადგანაც მისივე, მტკიცებით, ქუჯი ფარნავაზს თავის უფლად ცნობდა. აშკარაა, რომ ჰაოსის მითიური ეპოქის გადმოცემის შემდეგ, ეთნოსთა ჩამოთვლას ლეონტი იერარქიული სქემის მიხედვით აღარ უნდა აწარმოებდეს. საფიქრებელია, ლეონტი კავკასიის ხალხთა წარმომავლობის თავისი ვერსიის ლოგიკიდან გამოდიოდეს, როცა სომხებისა და ქართველების ერთად მოხსენიებისას ჰაოსის შთამომავლები ნინ უსწრებენ ქართველებს. ჰაოსმა მამის სამკვიდრებლის ნახევარი მიიღო, მეორე

ნახევარი კი მისმა ძმებმა გაინაწილეს, რის გამოც ქართლოსის შთამომავლების ქვეყანა თავისი მოცულობით ჰაოსის შთამომავლების ქვეყანასთან შედარებით უფრო მცირე უნდა ყოფილიყო. რეალურადაც, ისტორიის საკმაო პერიოდში, სომხეთი ქართლზე გაცილებით ვრცელ ქვეყანას წარმოადგენდა. ეს ვითარება, ჩანს, აიძულებდა ლეონტის სომხები ქართველებზე წინ მოეხსენებინა, როგორც უფრო დიდი ქვეყნის წარმომადგენლები. ასეთი ვარაუდის შემთხვევაში, დასმული საკითხისადმი ლეონტის სუბიექტური დამოკიდებულების შესაძლებლობა, ვფიქრობ, გამოსარიცხია.

თხზულების დასაწყისში მოცემული ჰაოსის უფროსობით შექმნილი შთაბეჭდილება, რომელიც ძირითადად მითიური პერიოდით იყარგლება, ამ ეთნარქის შემდეგ თანადათან ფერმკრთალდება და ქართლში სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე მთლიანად ქრება. ლეონტის მიერ მოთხრობილი ქართლისა და სომხეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობის უძველესი ისტორია არსებითად განსხვავდება და, ფაქტობრივად, უპირისპირდება კიდეც ძველი სომხური საისტორიო მნერლობის დიდმცყრბელურ იდეოლოგიას, რომლის სანაცვლოდ ქართველი მემატიანე თანამშრომლობის და ნათესაობის იდეას ამკიდრებს. უმთავრესად, ამ თვალსაზრისით ალაგებს და აშუქებს ის ძველი ისტორიის, თვით სომხურ წყაროებში დაცულ ფაქტებსაც კი.

საქართველოში სახელმწიფოს წარმოქმნისა და განვითარების პროცესს ლეონტი კავკასიიში ალექსანდრე მაკედონელის შესაძლო ლაშქრობასა და მის მიერ გატარებულ ღონისძიებებს უკავშირებს. მისი თქმით, დაიპყრო რა ალ. მაკედონელმა „ყოველნი კიდენი ქვეყნისანი“ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, სიცოცხლეშივე ოთხ თანატომელს გაუნანილა თავისი უზარმაზარი სამფლობელო. მათ შორის „მისცა ანტიოქიზს ასურასტანი და სომხითი, და კერძო აღმოსავლეთისა უჩინა მას“⁸⁰. ხოლო „ბიზანტიოსს მისცა სპერძნეთი და ქართლი, და უჩინა კერძო ჩრდილოსა“⁸¹. ასე რომ, ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი ომების შედეგად საქართველო და სომხეთი, ლეონტის თანახმად, სხვადასხვა პოლიტიკურ სივრცეში აღმოჩნდნენ, რაც, თითქოს, ქმნიდა მათ შორის დაპირისპირების საბაბს, მაგრამ სიტუაცია მალე იცვლება და ქართველები და სომხები კვლავ ერთ პოლიტიკურ გარემოში, კერძოდ, სელევკიდების სამეფოს გავლენის სფეროში აღმოჩნდებიან და მათ თანამ-

⁷⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 16.

⁷⁷ იქვე, გვ. 15.

⁷⁸ იქვე, გვ. 57.

⁷⁹ იქვე, გვ. 46.

⁸⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 19.

⁸¹ იქვე, გვ. 20.

შრომლობას ძველებურად ხელი ეწყობა. ალექსანდრეს მიერ ქართლის პატრიკად დანიშნულმა აზონმა უკიდურესად დაამძიმა მისი ბატონობის უდელი, რასაც წინ ალუდგა ქართლის მოსახლეობა მცხეთის მამასახლისის ძმისშვილის ფარნავაზის მეთაურობით. კაცთმოძულე აზონი ქართლიდან განდევნეს. ფარნავაზი დაეუფლა ქართლს „თენიერ კლარჯეთისა“. გამარჯვების ბოლომდე მისაყვანად კი, რადგანაც აზონს ბერძნები უმაგრებდნენ ზურგს, ასურასტანის მეფეს ანტიოქიას ძლვენით მიმართა დახმარებისათვის და აღუთევა მას მსახურება. ანტიოქიას „შეინყნარა ძლუენი მისი, და უნიდა შვილად თესად, და წარმოსცა გერგინ. და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეენეოდიან ფარნავაზი“⁸². ამ ბრძანების შესაბამისად „მოერთნეს ერისთავინი ანტიოქიზისნი სომხითით“⁸³ და ფარნავაზის საკუთარ ლაშქართან ერთად, რომელიც ქართლის მხედართა გარდა ეგრისისა და ოსთა მეომრებისაგან შედგებოდა, შეუტიეს და სძლიერ ბერძნებს, აზონი კი მოკლეს. ამის შემდეგ, განაგრძობს ქართველი მემატიანე, „ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თესათაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მედარნი ქართლოსიანი, განაწენა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“⁸⁴. შემდეგ ჩამოთვლის სათოთაოდ ყველა საერისთავოს თავისი ადმინისტრაციული საზღვრების ჩვენებით და შენიშნავს, რომ „ესრეთ განაწენა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“⁸⁵. ლეონტის გადმოცემით, „ოცდაშვიდი წლისა მეფე იქმნა, და სამოცდახუთ წელ მეფობდა ნებიერ. და მსახურებდა იგი ანტიოქიას, მეფესა ასურასტანისასა... და აღაშენა და განავსო ქართლი... და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი“⁸⁶.

ქართლში სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე ე. წ. თარგამოსიანებთან, განსაკუთრებით კი სომხებთან, ქართველთა ურთიერთობაში ახალი ეტაპი შეინიშნება. ამ ურთიერთობაში თანდათანობით თავს იჩენს ქართველთა უპირატესობა და ინიციატივა. როგორც ვნახეთ, ჰაოსის შემდეგ, ლეონტის მიხედვით, თარგამოსიანთა შორის ინიციატორი და წინამძღვრი არავინ ჩანს. ისინი ერთად იღებენ გადაწყვეტილებას და

⁸² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 23.

⁸³ იქვე.

⁸⁴ იქვე, გვ. 24.

⁸⁵ იქვე, გვ. 25.

⁸⁶ იქვე, გვ. 25-26.

ერთად მოქმედებენ: „შეკრბეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანი“, „შეერთნეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანი“ და ა. შ. თარგამოსიანებიდან ინიციატივის მქონედ ლეონტი, ზოგჯერ ასახელებს სომხებსა და ქართველებს ერთად, მაგრამ ამათგან რომელიმესთვის შთამომავლობითი უპირატესობის მინიჭებას სულაც არ ცდილობს, თუ არ ჩავთვლით სომხეთა და ქართველთა ერთად სესენებისას მოყვანილ თანამიმდევრობას, რის შესახებაც უკვე ითქვა, საყურადღებო უფრო სხვა მომენტია. ქართლში მირვანის გამეფებამდე ლეონტი სომხეთა თუ მისი ადმინისტრაციის ძირითად წარმომადგენელ ერისთავს წიშანდობლივად არსად ახსენებს, რომლებიც სომხურ სახელმწიფოებრიობას განასახიერებდნენ. ჩანს, ქართლში მირვანის გამეფებამდე ლეონტი არც ვარაუდობდა სომხეთში სამეფოს არსებობას. ასურასტანის მეფესთან ფარნავაზის ურთიერთობის ჭრილში ნახსენებ „სომხეთის ერისთავებს“ რომ სომხური ადმინისტრაციის წარმომადგენლებად არ მიიჩნევს, ამას ლეონტი სავსებით გასაგებად გამოთქვამს, როცა წერს: „მოერთნეს ერისთავნი ანტიოქიზისნი სომხითით“, ე. ი. ეს ერისთავები ანტიოქიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ყოფილან სომხეთში და ამიტომაც უბრძანებს მათ ასურასტანის მეფე ფარნავაზისთვის დახმარების აღმოჩენას. ფარნავაზიამდე ქართლში, ლეონტის თანახმად, მამასახლისთა მმართველობის სისტემა იყო გაბატონებული. ასეთსავე ვითარების არსებობას, ეტყობა, გულისხმობს თანადროულ სომხეთშიც, რამდენადაც იქ მეფის ან მის ადმინისტრაციაზე არავითარ მინიშნებას არ იძლევა. ფარნავაზის მეთაურობით და ანტიოქიასის დახმარებით ქართლი თავისუფლდება ბერძნენთა დამოკიდებულებისაგან და საკუთარ სახელმწიფოებრიობას ქმნის, რომელიც ორგანიზაციულად სპარსთა სამეფოს მსგავსად ეწყობა. ეს სახელმწიფო წყობილება, ფაქტობრივად, ისეთივეა, რასაც მ. ხორენაცი ხატავს სომხეთისათვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის დროში წინ უსწრებს სომხურს და ამით შესაძლო სომხურ გავლენას ემიჯნება. ჰაოსის უფროსობიდან მომდინარე შთამომავლობით მიღებული პრივილეგიები აქ უკვე საბოლოოდ კარგავს ძალასა და მნიშვნელობას. მართალია, ფარნავაზი და მისი მემკვიდრეები ასურასტანის მეფეს მსახურობდნენ, ე. ი. ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, მაგრამ ლეონტის თანახმად, ეს „მსახურება“ იმდენად მსუბუქი და ფორმალურია, რომ მათ შორის ურთიერთობა უფრო სამოკავშირეო და მე-

⁸⁷ საქართველოს ისტორიის ნაკვევები, I, გვ. 465.

გობრულია საგულვებელი⁸⁷. ასე რომ, ფარნავაზის სამეფო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო იყო და მას უკვე საერთაშორისო აღიარებაც ჰქონდა მოპოვებული, რამდენადაც ფარნავაზს თვით ასურასტანის მეფე ანტიოქოსმა გამოუგზავნა სამეფო გვირგვინი. გასაგებია, რომ ასეთი ხელისუფლების წინაშე სომხეთის მამასახლისის (როგორადაც ლეონტის უნდა წარმოედგინა იმ დროის სომხეთა ხელისუფალი) შესაძლო შთამომავლობითი პრივილეგიები არაფერს ნიშავდა, რადგანაც ეს უკანასკნელი მეფესთან შედარებით ბევრად უფრო დაბალი რანგის ხელისუფალი იყო.

ქართლის მესამე მეფე მირიან I-ის მეფობის დასასრულისათვის, ლეონტის ცონბით, „ამის-ზე მიიცუალა ანტიოქისა მეფობა ბაბილონს. და მას უამსა შინა მეფე იქმნა სომხითს რომელსა ერქეუა არშავ (აშკარაა, გულისხმობს ძვ. წ. 190 წ. მაგნეზიასთან ანტიოქის III-ის სასტიკ მარცხს რომაელებისაგან, რის შემდეგ ძვ. წ. 189 წ. არტაშესმა თავი სომხეთის მეფედ გამოაცხადა), ეზრასა მირვან არშავს, და მისცა ასული თავი ძესა არშავისა, არშავს⁸⁸. გ. მელიქიშვილის შენიშვნით, ქართული წყარო საგულვით სამართლიანად უკავშირებს სომხეთის სამეფოს წარმოქმნას ანტიოქოსის მეფობის დასასრულს⁸⁹. სომხეთში სამეფოს წარმოქმნისთანავე, ლეონტის მონმიბით, მეზობელი ქეყენების სამეფო სახლები მოყვრდებიან, რაც უშუალოდ გამომდინარეობს ქართველი მემატიანის კონცეფციის ძირითადი შინაარსიდან, კავკასიის ხალხთა და განსაკუთრებით ქართველი და სომები ხალხების ნათესაობისა და თანამშრომლობის იდეიფან. ეს იდეა ლეონტის ნაშრომს თავიდან პოლომდე გასდევს და წარმოდგენილი თითქმის ყველა სიუჟეტი მის გაშუქებას ემსახურება. მ. ხორენაციისან განსხვავებით, თხრობა დიდი ტაქტითა და ორივე მხარის ღირსების დაცვით მიჰყავს. როდესაც სომხეთში მეფე გაჩნდა და ამის გამო ქართველი და სომები უმაღლესი ხელისუფლები რანგით გათანაბრდნენ, შთამომავლობით მიღებული პრივილეგიების მნიშვნელობა მკითხველის თვალში კვლავ სომხეთა სასარგებლოდ უნდა წარმართულიყო. ეტყობა, ამიტომაც, ვიდრე სომხეთში მეფობის გაჩნის ამბავს გადმოგვცემდეს, წინასწარ გვაუწყებს მესამე ქართველი მეფის მირვანის ნებროთიანობას (რადგანაც ქართველთა მეორე მეფე საურმაგს ვაჟი არ ჰყავდა, თავის მემკვიდრედ და შვილად მოუყვანია თავისი

ცოლის ნათესავთაგანი „სპარსეთით შვილი წებროთისი“, რომელსაც ერქვა სახელი მირვან)⁹⁰. ახლა უკვე შთამომავლობით განსაზღვრული უპირატესობა, როგორც ქვეყნიერების პირველი მეფის წებროთის შთამომავლისა, ქართველთა მხარეს იყო და ჰაოსის შთამომავლების პრეტეზიებს საფუძველი გამოცლილი ჰქონდა. ქართველი მეფის ეს უპირატესობა თუმცა აშკარად საზღასმულად არ არის გაცხადებული, მაგრამ მისი და შთამომავლების წებროთიანობა თავისთავად გულისხმობდა მათ გამორჩეულობას. ასეთი სიუჟეტის შემოტანით ლეონტი ისტატურად ხსნის მეზობელ ხელისუფალთა ურთიერთიანი იერარქიული დამოკიდებულების შესაძლებლობას და, ფაქტობრივად, უკუაგდებს მ. ხორენაცის ქედმაღლურ დამოკიდებულებას საქართველოსა და ქართველ ხელისუფალთა მიმართ. ამის შემდეგ ლეონტი მროველი თავისი თხზულების თითქმის ბოლომდე, ძირითადად, ქართველ-სომებთა თანამშრომლობისა და დანათესავების ფაქტებს გადმოგვცემს, რითაც მკითხველის ყურადღებას კავკასიის ხალხების ერთიანობის სასარგებლოდ წარმართავს.

დანათესავება, ლეონტის თანახმად, პირველ რიგში, მეზობელი ქვეყნების სამეფო სახლებს შორის მყარდება, რის შედეგადაც ფარნავაზიანთა ქართული დინასტია პართული წარმოშობის არშავიანთა სომხურ დინასტიას უკავშირდება. ასეთი დაკავშირების ლეონტის ცდები კარგად აქვს შენიშნული პ. ინგოროვყას. მისი დაკვირვებით, „მოქცევა□ ქართლისა□-ის ქართველ მეფეთა სიაში მოხსენიებული არსოვ და არსუკ ლეონტი მროველთან შეცვლილია სახელით „არშავ“. პ. ინგოროვყას აზრით, ვარიანტი „არშავ“ არის მწიგონბრული ინტერპრეტაცია სახელისა არსოვ (არსუკ), იმ მოსაზრებით, რათა ეს პირნი დაეკავშირებინათ არშავიდების დინასტიასთან, თუმცა ასეთი დაკავშირების საფუძველს ვერ ხედავს⁹¹. სახელი „არშავ“, ლეონტის წარმოდგენით, ძველი სომხეთის ძლიერების ხანის სამეფო დინასტიას განასახიერებს⁹² და მას, ე. ი. არშავუნიანთა დინასტიას ერთგან განმადიდებელი ეპითეტითაც „დიდებულთა არშავუნიანთა“ მოიხსენიებს⁹³. ამის გამო ზოგი მკვლევარი ლეონტის მიკერძოებაში ადანაშაულებს, თითქმის, ასეთი დამოკიდებულება

⁸⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 27.

⁸⁸ პავლე ინგოროვყა, თხზულებათა კრებული, ტ. IV. თბილისი, 1978, გვ. 513.

⁸⁹ იხ. აგრეთვე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 466.

⁹⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 63.

⁹¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 28.

⁹² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 466.

არშაკუნიანებისადმი მისი სუბიექტური განწყობილების გამოხატულება ყოფილიყოს. საგულისხმოა, რომ სუმბატ დავითის ძე კიდევ უფრო მაღალ ხარისხში წარმოგვიდგენს არშაკუნიანთა დინასტიას. ბაგრატ IV-ის დედის მარიამ დედოფლის კეთილმობილებისა და განსაკუთრებული ღირსების წარმოსაჩენად ბაგრატიონთა დინასტიის მემატიანე წერს, რომ მარიამი „ნაშობი იყო ბრნყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა“⁹⁴. მიუხედავად იმისა, რომ მარიამ დედოფალი მამით ვასპურაკანის სამეფო დინასტიის არშუნების, ხოლო დედის მხრიდან ბაგრატუნების წარმომადგენელი იყო, ქართველი მემატიანე ამით არ კმაყოფილდება და დედოფლის განსაღილებლად მისი აზრით, უფრო საპატიო არშაკუნიანობას მიაწერს. აშკარაა, რომ შუა საუკუნეების საქართველოში არშაკუნიანთა დინასტიაზე მაღალი წარმოდგენა ჰქონდათ და მათთან კავშირი საპატიოდ მიაჩინდათ. საგულისხმოა, რომ სომები არშაკუნიანებს ბასილ I-ის წინაპრად ასახელებს ბიზანტიური ისტორიოგრაფიაც⁹⁵. ასე რომ, ლეონტის თხრობაში ფარნავაზიანებისა და არშაკუნიანების ცალკეული წარმომადგენლების დამოყვრება და ამის საფუძველზე შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე არშაკუნიანი უფლისის აღმოჩენა არაფერს საჩიოთორს მაშინ არ შეიცავდა. საყურადღებო სულ სხვაა. მსგავსი ფაქტები მ. ხორენაცისთვის უცნობია. ძნელი წარმოსადგენია რომელიმე პერიოდში ფარნავაზიანთა ტახტზე სომები არშაკუნიანები მსხდარიყვნენ და ამის შესახებ მ. ხორენაცის არაფერი ეთქვა. ეს ხომ სომები მემატიანის კონცეფციის სრულიად საწინააღმდეგო მოქმედება იქნებოდა? ისლა დაგვრჩენია ქართლის ტახტზე არშაკუნიანი მეფეების არსებობა, ძირითადად, ლეონტის ინიციატივას მივაწეროთ. ეს, სხვათა შორის, ლეონტის თხრობაშიც იგრძნობა, რამდენადაც ამა თუ იმ არშაკუნიანი უფლისის ქართლის ტახტზე მოხვედრა და მათი წარმომავლობის ისტორია ხელოვნური შენათხობის დაღს ატარებს. ქრისტიანობამდელი ხანის ქართლის 23 მეფიდან 17 არშაკუნიანი გამოჰყავს, თუმცა მათი უმრავლესობის არშაკუნიანობა დამაჯერებლობას სავსებით მოკლებულია. ლეონტის თანახმად, პირველი არშაკუნიანი ქართლის მეფე სომები მეფის ვაჟი არშაკი ყოფილა (ლეონტი არ ასახელებს ამ სომები მეფის სახელს, მაგრამ თუ მის მინიშნებებს გავითვალისწინებთ სელევკიანთა სამეფოს დაჯემის შესახებ, მაშინ ის არტაშეს

І-с. უნდა გულისხმობდეს), რომელიც ქართლის ერისთავებს მოუწვევიათ ფარნაჯომის ნაცვლად, რადგანაც ამ უკანასკნელს ქართველთა რჯულისთვის უღალატია და სპარსულის დანერგვას შესდგომია. არშაკის შემდეგ ქართლის მეფე, ლეონტის თანახმად, ხდება მისი ვაჟი არტაგი, მის შემდეგ კი ამ უკანასკნელის ვაჟი ბარტომი. ე. ი. ქართლის ტახტი შთამომავლობით გადაეცემოდა მამიდან შვილზე არშაკუნიან მეფეებს. ფატტობრივად, აქ წყდება არშაკუნიანთა ზეობა ქართლის ტახტზე, რის შემდეგ ქართლის ტახტს სპარსელთა დახმარებით იკავებს ფარნაჯომის ვაჟი მირვან ნებროთიანი. ამ უკანასკნელის ვაჟს ტახტს ეცილება ადერკის ძე ქართამი, ასულის წული ბარტომ მეფისა, რომელიც თავის მხრივ ეგრისელი ქუჯის ძისწულია. ადერკის მხოლოდ დედა ჰყავდა არშაკუნიანი და, მიუხედავად ამისა, გამეფების შემდეგ ლეონტი მას არშაკუნიანად ნათლავს როგორც ბარტომის ძეს, თუმცა, სინამდვილეში, ბარტომს ძე არ ჰყოლია და ამიტომ ქუჯის შთამომავალი ქართამი იშვილა, რომლის შვილიც იყო ადერკი. ასე რომ, ადერკი ბარტომის შვილობილის შვილია და წარმომავლობით არშაკუნიანი ვერ იქნებოდა. წინააღმდეგობა ლეონტის თხრობაში სრულიად აშკარაა. გაუგებრობას იწვევს ისიც, რომ ადერკის ყველა მომდევნო მეფე ქრისტიან მირიან-ამდე, მისი პირდაპირი შთამომავალია და ისინიც არშაკუნიანთა რიგში არიან ჩათვლილი. ამას გარდა, ნებროთიანი ქართველი მეფეებიც სომხეთის არშაკუნიანებთან დანათესავებას ცდილობენ: აძლევენ მათ თავი-ანთ ქალებს ცოლად ან თვითონ ირთავენ ცოლად არშაკუნიანთა ქალებს⁹⁶. ერთი სიტყვით, ქართული სამეფო დინასტიის კავშირი სომხეთის არშაკუნიანებთან უძველესი ისტორიის თითქმის არც ერთ ეტაპზე არ წყდება. ლეონტის დაჟინებული ცდები ქრისტიანობამდელი ხანის ქართველი მეფეების უმეტესი ნანილის გაარშაკიანებისა სრულიად აშკარაა. ასეთ მცდელობას, რა თქმა უნდა, რაღაცა მოტივი უნდა გააჩნდეს და რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს. როდესაც ბიზანტიური ისტორიოგრაფია ახალი (მაკედონელთა) დინასტიის დამარსებელს, უბრალო წარმომავლობის აღრი-ანობლელ ბასილ I-ს (867-886) შორეულ წინაპრებს სომეხ არშაკუნიანთა შორის უძებნიდა და თრდატ I-ის შთამომავლად სახავდა, ცხადია, ამით ბიზანტია თავის პრეტენზიებს აცხადებდა წარმოქმნის პროცესში მყოფ ბაგრატუნთა სომხეთზე⁹⁷. ლეონტი მროველის დროისთვისაც

⁹⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 386.

⁹⁵ об. К. Н. Юзашян, Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв., Москва, 1988, с. 101-105.

⁹⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 28, 33, და სხვ.

⁹⁷ კ. იუზბაშიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 100-105.

სომხეთის მემკვიდრეობის დაუფლების ამოცანა სავსებით რეალურად იდგა ბიზანტიისა და საქართველოს წინაშე, რომლის რეალიზაცია საფუძვლიან სამართლებრივ დასაბუთებასაც ითხოვდა. ქართველ და სომხებ ბაგრატიონთა საერთო წარმომავლობის გვერდით, ძველ ქართულ და სომხურ დინასტიათა ნათესაობის წარმოჩენას, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეეწყო პოლიტიკური აზრის ქართველთა პრეტეზიების სასარგებლოდ წარმართვისათვის და, მეორე მხრივ, სომხური საზოგადოება ქართული სახელმწიფოსადმი ნდობით განეწყო. თუ არა ასეთი მიზანი, უმოტივო და გაუგებარი იქნებოდა სომხები არშაკუნიანებისა და ფარნავაზიანების დაკავშირების ლეონტი მროველის დაუინებული ცდები.

ლეონტი მროველი, ჩანს, ითვალისწინებდა, რომ ფარნავაზიანთა გაარშაკუნიანების მისი დიპლომატიკური ხერხი, შესაძლოა გამაღიზიანებელი ყოფილყო ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი-სათვის, რომელთა განვითარებული ღირსების გრძნობა ძნელად უნდა შეგუბოდა ძველი ქართული სამეფო დინასტიის თუნდაც ნაწილის სომხურ წარმომავლობას, რის გამოც, ეტყობა, თავის ამ ლეგენდარულ გადმოცემას საგულისხმო განმარტებებს ურთავს. არშაკუნიანი უფლისწულების გამოჩენა ქართლის სამეფო ტახტზე, ლეონტის თანახმად, არაა დაკავშირებული მეზობელებს შორის ომებთან ან სომებთა მხრიდან ძალადობის რაიმე გამოვლენასთან. ქართლის ტახტზე მათ ქართველი ერისთავები იწვევენ. ქართლის ტახტზე ასვლის უმთავრესი და გადამწყვეტი პირობა ქართლის „მეღდრთა და ერისთავთა“ თანხმობის გარდა, არის პრეტენდენტის ფარნავაზიანობა. ლეონტი საგანგებოდ შენიშნავს: „ქართველთა დიდი სათონობა აქუნდა ფარნავაზიანთა მიმართ; და არა უნდა სხვა ნათესავისა მეფობა, რომელსამცა არა შესდგმიდა ფარნავაზიანობა“⁹⁸. ამ პრინციპის შესაბამისად, ლეონტის მიერ დასახელებული ქართლის ტახტის პრეტედენტები, საიდანაც არ უნდა მოეწვიათ ისინი ერისთავებს – სპარსეთიდან, სომხეთიდან, თუ თვით საქართველოს მხარეებიდან, ნათესაობის რომელიმე ხაზით (მამის ან დედის) ყოველთვის ფარნავაზიანები არიან. ამიტომ ქართლის არშაკუნიანი მეფეებიც წარმოშობით ნახევრად მაინც ქართველები არიან, ხოლო თავიანთი მოღვაწეობითა და საქმიანობით სრული ქართველები, ქართული პოლიტიკური ინტერესების, სარწმუნოებისა და კულტურის ერთგული დამცველები. მაგალითად, ლეონტის მიხედვით, ქართლის ერისთავე-

ბი სომები მეფის ძე არშაკ იმიტომ იწვევენ, რომ განდევნონ სპარსული სჯულის შემომღებელი ფარნაჯომი და დაიცვან მამაპაპური სარწმუნოება⁹⁹. ასევე სხვა არშაკუნიანებიც ზრუნავენ ქართლის ძლიერები-სათვის „დაჯდა მეფედ არმაკ... და მეფობდა იგი ნებიურად, და უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა. და უმეტეს მოამტეიცნა ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას“¹⁰⁰, ე. ი. სომხეთთან საზღვრისპირა მხარეები. ბარტომ არშაკუნიანმა კი „უმატა ზღუდეთა მცხეთისათა და ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა“¹⁰¹. ადერკი არშაკუნიანი „დაჯდა მცხეთას და მეფობდა კეთილდაც“¹⁰². ლეონტის გადმოცემით, ქართლის არშაკუნიანი მეფეები წლების მანძილზე თავდაუზოგავად ებრძვიან ერვანდიან სომხებ მეფეებს ქართლის სამხრეთის საზღვრების დასაცავად და, საბოლოოდ აღწევენ კიდეც მიზანს. ქართველი მემატიანის თქმით, „სიმღითა მათითა უკუმოიხუნეს საზღვარი ქართლისანი“¹⁰³. ასე რომ, ლეონტის მიხედვით, ქართლის არშაკუნიან მეფეებს მხოლოდ სახელი უჩანთ არაქართული, თორემ თავიანთი არსით თავანკარა ქართველები არიან.

თავისი ისტორიული კონცეფციიდან გამომდინარე, ლეონტი მროველი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს თხზულებაში ქართველ-სომებთა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ფაქტების აღწერას, რომელთა მიზანი როგორც საშინაო, ისე საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა იყო. სწორედ ამ კონტექსტში წარმოდგენილი არშაკუნიანი უფლისწულების აღზევება ფარნავაზიანთა ქართლის ტახტზე. ქართლის მეოთხე მეფე ფარნაჯომი რელიგიური რეფორმის გატარებას შეუდგა, რამაც კვეყანაში პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. ფარნაჯომს ზურგს ძლიერი სპარსეთი უმაგრებდა, ამიტომ მეფით უკმაყოფილო ქართლის ერისთავებმა დახმარებისათვის სომხეთის მეფეს მიმართეს და ქართლის ტახტი მის შვილს შესთავაზეს, რომელსაც ცოლად „ფარნავაზიანთა ნათესავი“ ჰყავდა. იმ დროს ქართული საზოგადოების შეხედულებით უცხო ძალის გამოყენება შინაბოლიტიკურ ბრძოლაში ჩვეულებრივი და მისაღები იყო, თუკი მიზანი ამართლებდა ასეთ მოქმედებას¹⁰⁴. სიმარ-

⁹⁸ ქართლის ცხოვრება, I გვ. 32.

⁹⁹ იქვე, გვ. 29.

¹⁰⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 30.

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² იქვე, გვ. 35.

¹⁰³ იქვე, გვ. 50.

¹⁰⁴ 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965,

გვ. 11-12.

თლე კი ერისთავების მხარეს იყო, რომლებიც მამათა სჯულს იცავდნენ და სპარსული წესების დანერგვას ენინააღმდეგებოდნენ. ქართველ-სომებთა სამხედრო კავშირმა მონინააღმდეგებზე გამიარჯვა, დაიცვა ეროვნული სარწმუნოება. ამიტომ სომეხი უფლისულის გამეფება და სომეხთა ძალის გამოყენება შუა საუკუნეებში მიღებული თვალსაზრისით სავსებით გამართლებული იყო. ამის შემდეგ, ლეონტის გადმოცემით, ქართლის ტახტის გარშემო იწყება გააფთრებული ბრძოლა პრეტენდენტებს შორის, რომლებიც აქტიურად იყენებენ უცხო ძალას, ხან სპარსელებისა და ხან სომხების სახით. მკვლევრები ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ ქართლის ტახტზე სომხეთის სამეფო სახლის წარმომადგენელთა ყოფნისას ეს ბრძოლები უფრო ხშირად ქართველ-სომებთა გაერთიანებული ლაშქრის გამარჯვებით მთავრდება, რასაც სომეხთა უპირატესობად აღიქვამენ და ლეონტის სუბიექტური განწყობით, ანდა სომხური ტრადიციის გავლენით ხსნიან¹⁰⁵. ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფცია ამგვარი ახსნის საბაბს, ვფიქრობ, მაინცდამაინც არ უნდა იძლეოდეს. გ. მელიქიშვილი, რომლის აზრით, ლეონტის თხზულებას „არმენიულური დაღი აზის“, შენიშვნას, რომ ტექსტი დანერილია კეთილგანწყობით როგორც სომეხთა, ისე ქართველთა მიმართ¹⁰⁶ და ეს სავსებით გასაგებია. ლეონტის კონცეფციის მიზანი კავკასიის ხალხთა, განსაკუთრებით კი ქართველთა და სომებთა, თანამშრომლობისა და ერთიანობის პროპაგანდა. ამიტომაც სომებ-ქართველთა გაერთიანებულ ძალებს უფრო ხშირად ამარჯვებინებს, რათა ამ კავშირის უპირატესობა და მნიშვნელობა ცხადყოს ქართველთა ნებისმიერი სხვა შესაძლებელი აღიანსის ნინაშე. აქედან გამომდინარე, ისეთი ფაქტების გადმოცემისას, სადაც სომეხთა როლი შედარებით გამოკვეთილად მოჩანს, ჩვენი ავტორი ცდილობს შექმნილი შთაბეჭდილების შემამსუბუქებელ გარემოებებით განონასწორებას. მაგალითად, ქართლის ტახტზე არშაკუნანი მეფეების აღზევების კანონზომიერება გამართლებულია მათი ფარნავაზიანობით დედის ან მამის ხაზით, ხოლო ქართველებსა და სომხებს შორის წარმოქმნილი საომარი მოქმედებების აღნერისას ორივე მხარეს რიგ-რიგობით, დაახლოებით, თანაბარ წარმატებას მიაწერს, რითაც დაპირისპირებული მხარეები საბოლოოდ დაზავებამდე და „სტატუს ქვოს“ აღდგენამდე მიჰყავს. ამ ეპიზოდების

¹⁰⁵ საქართველოს ისტორიის წარკვევები, I, გვ. 63-65; ა. აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბ., 1982, გვ. 62-63 და სხვა.

¹⁰⁶ მაცნე, № 3, 1967, გვ. 56.

ლეონტისეული მოთხოვბა იმითაცაა საყურადღებო, რომ ფაქტებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ის მკვეთრად უპირისპირდება მ. ხორენაცის ანალოგიურ მოთხოვბას და მთლიანად უარყოფს ძევლი დროიდანვე კავკასიაში სომეხთა უცილობელი პოლიტიკური ბატონობის ხორენაციისეულ კონცეფციას. ქართლზე სომხეთის პოლიტიკური უპირატესობის დროის მონაცემთს ლეონტი კონკრეტული ქრონოლოგიური ჩარჩოებით საზღვრავს, ქართლში ორმეფობის დასაწყის პერიოდს ამთვევს და ქართველ-სომებთა ურთიერთობის ისტორიაში მას მოკლე და შედარებით უმნიშვნელო ეპიზოდად მიიჩნევს. იგი წერს: „ადერკასით-გან ვიღრე ამათ მეფობამდე (ე. ი. ადერკის შვილიშვილების, ფარსმან და კაოსის მეფობამდე) იყვნეს მორჩილებასა შინა სომეხთა მეფისასა. და უმეტეს არმაზელნი მეფენი შეენედეს სომეხთა ყოველთა მტერთა მათთა ზედა. მაშინ მეფე იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარგვნდ. და დაივინყა მან კეთილი ქართველთა, ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა, და მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე“¹⁰⁷. მოყვანილი ტექსტიდან გამომდინარე, ქართლის სომხეთისადმი დაქვემდებარების პერიოდს ლეონტი, თითქოს, ქართლის მეფეთა ორი თაობის მმართველობის დროით საზღვრავს (ადერკისითგან ფარსმან და კაოსის მეფობამდე), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ლეონტის ცნობებს ადერკის შვილების, ბარტამისა და ქართამის მეფობის მშვიდობიანი და უშფოთველი ხასიათის შესახებ „და მეფობდა ეს ბარტომ და ქართამ მშედობით და სიყუარულსა ზედა ერთმანეთისასა“¹⁰⁸, ჩანს რომ სომეხთადმი მორჩილების ხსნებული პერიოდი ქართლის მეფეთა მეორე წყვილის, ფარსმან და კაოსის მმართველობის ხანაზე, ადერკის შეიღილებებზე მოდის, ამასთან სომეხთა მორჩილი მთლიანად ქართლი კი არა, არამედ მტკურის მარჯვენა მხარე, ფარსმანის სამმართველო ნანილი ყოფილა: „უმეტეს არმაზელნი მეფენი შეენედნენ სომეხთა ყოველთა მტერთა მათთა ზედა“-ო. თავისთავად თარგამოსიანთა ურთიერთშეწევნა საერთო მტრის ნინააღმდეგ უჩვეულოს არაფერს შეიცავდა, მაგრამ ამჯერად ეს „შენევნა“ ცალმხრივი და ამასთან იძულებითიც იყო, რადგანაც „მეფე იარვანდ ემძლავრა ფარსმან არმაზელსა, და მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე“. ასეთი დამოკიდებულება ქართველებსა და სომხებს შორის კი ლეონტის კონცეფციისათვის მიუღებელი იყო, რის გამოც სომეხთა მეფის საქციელს

¹⁰⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 44.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 44.

საძრაღისად მიიჩნევს და საქართველო-სომხეთის ტრადიციული ურთიერთობის დარღვევაში იარგანდს ადანაშაულებს: „დაივიწყა მან კეთილიქართველთაო“. ერთობ საგულისხმოა, რომ სომეხთა მეფის მიერ ჯავახეთის ნაწილის მიტაცებას მ.ხორენაცი არ აღნიშნავს, რაც, თითქოს, განსაზღვრულ ეჭვს უნდა აღძრავდეს მოყვანილი ფაქტის ნამდვილობაზე. მაგრამ სასაზღვრო კონფლიქტზე ყურადღების გამახვილება, რაც თავისთავად ქართლის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის აღიარებასაც ნიშნავდა, რომლის სუვერენული უფლებები სომეხთა მეფემ უხეშად დაარღვია, რა თქმა უნდა, მ. ხორენაცის პოლიტიკურ ანგარიშებშივერ შევიდოდა. მ. ხორენაცის თვალსაზრისისთვის ქართლის არსებობა მხოლოდ სომხეთის შემადგენლობაშია დასაშვები, რასაც ლეონტის მიერ დახატული სომხეთთან სასაზღვრო კონფლიქტის სურათი მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა. ამიტომაც არის, რომ ლეონტი მროველისა და მ. ხორენაცის მიერ ამ პერიოდის საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიის ფაქტების გადმოცემა ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავდება შინაარსითაც და ფორმითაც, რომელთაც ურთიერთისაგან განსხვავდებული, ერთმანეთისაგან საპირისპირ პოლიტიკური კონცეფციის დაღი აზის.

სომებთა მეფის იარვანდის ძალადობა, გასაგებია, ქართლის ხელისუფალთა საპასუხო მოქმედებას ითხოვდა და ლეონტი მროველიც დაწვრილებით გადმოგვცემს მეზობელთა შორის იმ დროს განვითარებულ საპროლო პერიპეტიებს. ქართლის მეფეების, ფარსმანისა და კაოსისგან განსხვავებით, მათი მექვიდრეები, არმაზელ და აზორკ ლეონტის დახასიათებით მამაცნი და მარჯვენი იყვნენ და შეეცადნენ კიდეც სომებთა მიერ მიტაცებული ქართლის ტერიტორიების დაბრუნებას. როგორც ჩვენი მემატიანე გვაუწყებს „განიზრახეს ძიება საზღვართა ქართლისათა“¹⁰⁹. მათ მიმმრეს ჩრდილოეთის ხალხები: ოსები, პაჭანიკები, ჯიქები, ლევები, დურძუები, დიდოელები და ვიდრე სომხები ამის შესახებ გაიგებდნენ, ფარულად შეკრიბეს ურიცხვი ლაშქარი, მოულოდნელად შეიქრნენ სომხეთში და მთელი რიგი ოლქები – შირაკუანი, ბაგრევანდი ბასინამდე და ნახევრანამდე მოახსრეს, უამრავი ტყვე და დიდი ნადავლი, ქონება-განძი ჩაიგდეს ხელში და უკან გაბრუნდნენ. სომებთა სარდალი სმბათ ბივრიტიანი დაედევნა და ბრძოლა გაუმართა ქართველებსა და ოსებს. ამჯერად უკვე სომხებმა მოახსრეს ქართლი. მაგრამ ქართლის მეფეენი აზორკ და არმაზელ, ლეონტის თქმით, „სი-

ფიცხლითა გულისა მათისათა არა შეუშინდეს, არა დასცხერეს კიროებისაგან სომებთა ზედა“ ქართველებთან დამეგობრებული ოსებიც ერთობლივად უტევდნენ და ავანროებდნენ სომხებს, რის გამოც სომხებისა და ქართველ-ოვსთა ლაშქარს შორის ბრძოლა ორივე მხარის ცვალებად უპირატესობით კარგა ხანს გაგრძელდა, ბოლოს კი, როცა ქართველებმა სომებთა ლაშქარის ნინამძღლოლი და მეფის ძე ზარენი დაამარცხეს ჯავახეთში, დაატყვევეს ცელის ტბასთან და დარიალის ციხეში გამოკეტეს, დაიწყო მოლაპარაკება დაპირისპირებულ მხარეებს შორის. ქართველმა მეფეებმა გაანთავისუფლეს სომეხი უფლისწული და აღუთქვეს, საჭირო შემთხვევაში, სამხედრო დახმარება „ხოლო ამისთვის სომებთა უკმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი. და მიერითგან იქმნეს მოყუარე სომეხნი და ქართველნი და ოვსნი. და სამნივე ერთობით ბრძოდეს მტერთა⁴¹¹⁰ – საზეიმოდ აცხადებს ლეონტი მროველი, რითაც კვლავ და კვლავ ყურადღებას ამახვილებს მისი კონცეფციის უმთავრეს თეზისზე: კავკასიის ხალხთა ურთიერთობაში ძირითადია თანამშრომლობა და მოყვრობა მათ შორის.

ქართველ-სომებთა ომების ისტორიის ლეონტის მსგავსად გადმოცემა, გასაგებია, რომ მ. ხორენაც ხელს არ მისცემდა. მისი კონცეფცია ასეთ მოთხოვნას უბრალოდ, ვერ იგუებდა. ამიტომ ის ხსენებულ მოვლენებზე საყბრისას მხოლოდ ზოგადი შენიშვნებით კმაყოფილდება, მისთვის უხერხულ ფაქტებს კი სახეშეცვლილი შინაარსით წარმოგვიდგენს, ასე მაგალითად, მის თხზულებაში ქართველ-სომებთა ომები ალან-სომებთა ომებადა მონათლული, ხოლო ქართველები, ისიც მხოლოდ ერთი ნაწილი, ამ მოის უნებლივ და პასიურ მონაწილედაა გამოყვანილი. მ. ხორენაცი წერს: „იმ ხანებში ალანები შეუთანხმდნენ ყველა მთიელებს, მიმმარეს ქართველთა ნახევარი ქვეყანაც და დიდალი ლაშქრით მოეფინნენ ჩვენს მიწა-აწყალს. არტაშესმა შეჰყარა თავისი მრავალრიცხოვანი ჯარი და ატყდა ომი ორ მამაც მშვილდოსან ნათესავს შორის“¹¹¹. როგორც ვხედავთ, მ. ხორენაცი არ ასახელებს ომის მიზეზებს, სომები მეფის მიერ ჯავახეთის ნაწილის მიტაცებას, ლაშქრობის მოთავედ ალანები გამოჰყავს და არა ქართველები და მათი მეფეები აზორკი და არმაზელი, მკითხველს უქმნის შთაბეჭდლებას, რომ ქართველები სულაც არ აპირებდნენ სომხებთან შებრძოლებას და მხოლოდ მისი ერთი ნახევარი მიიმხრეს ალანებმა,

¹¹⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 45-49.

¹¹¹ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 141.

მეორე ნახევარი კი, იგულისხმება, სომეხი მეფის ერთგულებას შერჩა. ერთი სიტყვით, ქართლი სომხეთის დაქვემდებარებულ ქვეყნადაა ნაგულისხმევი, ამიტომაც, არც ქართველთა მიერ კავკასიელებთან ერთად შირაკუანისა და ბაგრევანდის დალაშქვრაზე და არც ქართლის დასაპყრობად სომხეთა სარდლის სმბატ ბივრიტიანის მრავალგზის ლაშქრობაზე ამბობს რაიმეს. სომხეთთან დაპირისპირებულ ღრმულ ძალად, მხოლოდ ალანებს მიიჩნევს: „ატყდა ომი ორ მამაც მშვილდოსან ნათესავს შორის“. მისი დამოკიდებულება ქართლისა და ქართველების მიმართ აშკარად ქედმალურია, რაც კოდევ უფრო მკაფიოდ იჩენს თავს იმ ეპიზოდში, სადაც საუბარია ქართველთა მიერ სომეხი უფლისწულის ზარეპის დატყვევებაზე. მ. ხორენაცი წერს: „ზარეპი იყო პატივმოყვარე კაცი, მხეცებზე ნადირობაში მარჯვე, ხოლო ომში მხდალი, უვარვისი. იგი გამოცდილი ჰყავდა ქართველთა მეფეს, ვინე ქარძამს, /რომელმაც/ აუჯანყა ქვეყანა, შეიძყრო და კავკასიის მთაზე ციხეში ჩასვა ზარეპი. (ქარძამს) შეებრძოლნენ არტავაზდი და ტირანი სმბატის თანხლებით და გამოიყვანეს ძმა ტალახიდან“¹¹². ტექსტის ამ ნაწილში ყურადღებას იქცევს ქართველი მეფის კრინობითად მოხსენიება – „ვინე ქარძამი“, რაც უშუალოდ გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას ქართლის უძველესი ისტორიის მიმართ. მიიჩნევს რა ქართველ მეფებს ბევრად უფრო ნაკლები მნიშვნელობის ხელისუფლებად, ზარეპის დატყვევებას მათ წარმატებად კი არ მიიჩნევს, არამედ სომეხი უფლისწულის უვარვისი თვისებებით ხსნის და ქართველი მეფების ბრძოლას სომეხთა ძალადობის წინააღმდეგ მხოლოდ ანტისომხურ აჯანყებად განიხილავს. ასეთი თვალსაზრისის შესაბამისია ზარეპის განთავისუფლების გარემოებათა ხორენაცისეული აღნერაც. მისი მტერცებით, სომეხი უფლისწულის განთავისუფლება დაპირისპირებული მხარეების მოლაპარაკების შედეგად და ორივესთვის მისაღებ საფუძველზე კი არ მომხდარა, არამედ ზარეპის ძმებსა და მთავარსარდალ სმბატ ბივრიტიანს სამხედრო ძალის გამოყენებით აუძულებითა ქარძამი დაეთმო მათთვის ტყვე. ამ მხრივ ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართველთა ტყვეობაში ყოფნას სომეხი უფლისწულისთვის სამარცხვინო მოვლენად მიიჩნევს, რის გამოც მის განთავისუფლებას ტალახიდან ამოყვანას უთანაპრეპს.

ლეონტი მროველი თავისი კონცეფციის შესაბამისად მკითხველის ყურადღებას უმთავრესად მაინც საერთო მტრების (ძირითადად სპარსელების) წინააღმდეგ ქართველ-სომეხთა ერთობლივი ბრძოლის ეპი-

¹¹² მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 144-145.

ზოდებზე ამახვილებს. ამასთან დამახასიათებელია, რომ, თუ მითიურ ხანაში ერთობლივი ბრძოლის წინამდლოლი სომეხთა ეთნარქი იყო, მეზობელ სახელმწიფოთა თანამშრომლობის პერიოდში უკვე აქტიურნი ქართველები ჩანან. ასეთი სურათი იხატება, მაგალითად, ლეონტის თხზულებაში ფარსმან ქველის მოღვაწეობის აღნერისას. თხრობა გაშლილია მირდატ და ფარსმან მეფეების დაპირისპირების ფონზე. „მირდატს შეენერდეს სპარსი, ხოლო ფარსმანს სომეხნი“¹¹³. მირდატი ბოროტ ძალას განასახიერებს: „ესე მირდატ იყო კაცი ურვილი და მოსისხლე“¹¹⁴, ფარსმანი კი – კეთილს. მის დასახასიათებლად ლეონტი არ იშურებს მხატვრული გამომსახველობის არანაირ საშუალებას: „ხოლო ფარსმან ქუელი იყო კაცი კეთილი და უზუად მომნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მნენ მედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უორცო და ყოველითავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა, რომელი გარდაცვალებულ იყვნეს უწინარეს მისას“¹¹⁵. ლეონტის მტკიცებით, ფარსმან ქველი თვით მირდატის მხარის ქართველებსაც ყყვარდათ და სძულდათ მირდატი „მესისხლეობისა და მედგრობისათვის“, რის გამოც მათგან უმრავლესი გადაუდგა პატრონს. ფარსმან ქველი ქართლისა და სომხეთის მხედრობით ეპრძეის სპარსელებს, მაგრამ კრიტიკულ სიტუაციებში მაინც ფარსმანისა და მისი სპასპეციის — ფარნავაზის მოხერხება და გმირობა წყვეტს ბრძოლის ბედს. ლეონტის თქმით, მრავალ დიდ გამარჯვებათა შედეგად „განითქუა სახელი ფარსმან ქუელისა და სპასპეციისა მისისა ფარნავაზისი. და წინამდლურ ექმნა იგი სპათა ქართლისა და სომხითისათა. და იწყო ბრძოლად სპარსთა და შესლვად სპარსეთს. და ვერდარაოდეს ვინ წინააღმდგა ფარსმან ქუელსა“¹¹⁶.

ამ ტექსტში ლეონტი მროველი ერთგვარი შეპარვით უაღრესად მნიშვნელოვან ცნობას გვანვდის. ქართლთან ერთად სომხეთის ჯარის წინამდლორბა (ე. ი. სარდლობა) არ იყო ქართველ-სომეხთა ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი მოვლენა და თავისი შინაარსით მკაფიოდ განსხვავდებოდა სამხედრო დახმარების იმ პირობებისაგან, რომლის დასახასიათებლად მემატიანები იყენებდნენ გამოთქმას „მოირთო ძალი სომხითით“ სპასეთით თუ სხვა მხრიდან. სომხეთის

¹¹³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 51.

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ იქვე, გვ. 52-53.

ჯარის სარდლობა ქართლის მეფეს ამ ქვეყნის დაქვემდებარების შემდეგ შეეძლო მხოლოდ, მით უმეტეს, რომ ლეონტის დასტურით ეს შესაძლებელი გამზღვანი ფარსმან ქველის გახმაურებული გამარჯვებებისა და მისი გავლენის გაზრდის შედეგად. ნიშანდობლივია, რომ ფარსმან I-სა (I ს. 30-60-იანი წნ.) და ფარსმან II-ის (II ს. 30-50-იანი წნ.) ბრძოლას სომხეთისათვის პართიის წინააღმდეგ თანხმობით ადასტურებს რამაული წყაროები (ტაციტუსი და სხვები)¹¹⁷, რის გამოც ლეონტის ეს ცნობა დამაჯერებლობას იმსახურებს. რამდენადაც ლეონტი მიზნად ისახავდა ორივე ხალხისთვის ქართველ-სომეხთა ერთიანობის განსაკუთრებული სასიკეთო მნიშვნელობა ეჩვენებინა, ალპათ, ამიტომაც გვერდს უვლის ფარსმან ქველის მიერ სომხეთის დაქვემდებარებისა თუ თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცევის ისტორიის დეტალებს და ყურადღება გადააქვს ასეთი კავშირის წარმატებულ შედეგებზე ძლიერი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ლეონტის მტკიცებით, ფარსმან ქველის სარდლობით ქართველ-სომეხთა ლაშქარს თვით დიდი და ძლიერი სპარსეთიც კი ველარ იგერიებდა და მხოლოდ მუხანათი მზარეულის მოსყიდვით შეძლეს ფარსმანის მონამელა, რის შემდეგ სპარსელები ბარტამისა და მისი მომხრეების დახმარებით იპყრობენ ქართლს. სომეხთა მეფე ბერძნებს უკავშირდება, რომელთაც დასავლეთ საქართველოც უერთდება. ბრძოლა სპარს-ქართველებისა (ბარტამის მომხრეთა) და სომეხ-ბერძნ-ქართველთა ლაშქარს შორის საბოლოოდ ამ უკანასკნელთა გამარჯვებით თავდება¹¹⁸, რაც ასევე ქართველ-სომეხთა კავშირის უპირატესობას ცხადყოფს. ამის საპირისპირო კონცეფციის შემოქმედი მ. ხორენაცი, როგორც მოსალოდნელი იყო, დუმილით გვერდს უვლის სომხეთის ისტორიაში ფარსმან ქველის როლსა და მნიშვნელობაზე საუბარს, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ-ლათინურ წყაროებში კარგად გათვითცნობიერებულ მწერალს, საფიქრებელია, უნდა სცოდნოდა ის მდიდარი მასალა, რომელიც ლათინ ავტორებს გააჩნდათ კავკასიაში სახელგანთქმული ქართველი მეფის შესახებ. მ. ხორენაცი ფარსმანს მხოლოდ ერთხელ ახსენებს, ისიც სომეხი მეფის ერთ-ერთი მხედართ-უფროსის რანგში, რომელიც შეზღუდული წარმატებით მონაწილეობს სომხეთა საშინაო დინასტიურ ბრძოლაში ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტის მხარეს¹¹⁹. მ. ხორენაცისათვის ქართველ-სომეხთა თანაბარუ-

ფლებიანი კავშირი მიუღებელია. მისგან განსხვავებით, ლეონტი განაგრძობს გარეშე ძალასთან ქართველ-სომეხთა ერთობლივი ბრძოლის ეპიზოდების გადმოცემას. ფარსმან ქველის შვილის შვილიშვილი ამაზასპიც ძლიერი და „მსგავსი ფარსმან ქუელისა“ იყო¹²⁰. იგი წარმატებით ებრძოდა მოძალადე ოსებს, მაგრამ გადამწყვეტი და საბოლოო უპირატესობა მაშინ მოიპოვა, როცა, მემატიანის სიტყვით, „მოირთო ძალი სომხითით“. ლეონტის თანახმად, ამის შემდეგ ამაზასპი გალადდა, გაამპარტავნდა, დიდად შეავინწროვა წარჩინებული, რის გამოც ქართლის ერმა ის მოიძულა. ამასთან, „მტკრ ექმნა იგი სომეხთა, და შეიყუარნა სპარსი“¹²¹. ამის პასუხად დასავლეთ საქართველოს ხუთი ერისთავი განუდგა ამაზასპს და მოლაპარაკება გამართეს სომეხთა მეფესთან. გაიმართა ბრძოლა და ამჯერადაც სპარსელები დამარცხდნენ ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ლაშქრის წინაშე, რომელსაც ბერძნებიც და ოსებიც უჭერდნენ მხარს. სპარსელების წინააღმდეგ ქართველ-სომეხთა სამხედრო თანამშრომლობის ერთობ შთამბეჭდავი სურათი აქვს დახატული ლეონტის უკანასკნელი ფარნავაზიანი მეფის ასფაგურისა და სომეხთა მეფე კოსაროს (ხოსროს) ურთიერთობის ეპიზოდების გადმოცემისას. იგი წერს: „კოსარო სომეხთა მეფემან უწყო ბრძოლად ქასრე მეფესა სპარსთასა, და შეეწოდა მას ასფაგურ, მეფე ქართველთა, და ამან ასფაგურ განუხუნის კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნის ოვსნი, ლევნი, და ხაზარნი, და მივიდის კოსარო მეფისა თანა სომეხთასა ბრძოლად სპარსთა. და პირველსავე შესლვასა სპარსეთად ეწყო ქასრე, მეფე სპარსთა, და აოტეს იგი და მოსრეს სპა მისი. და მიერითაგან ვერლარა წინააღმდეგა ამათ მეფე იგი სპარსთა, და განამრავლეს შესლვა სპარსეთად და ტყუენნა სპარსეთისა. ვითარ იოტეს სომეხთა და ქართველთა და ჩრდილოსა ნათესავთა მეფე სპარსთა, და განამრავლეს შესლვა სპარსეთს და ორება სპარსეთისა; და ვერლარა ოდეს წინააღმდეგა მეფე სპარსთა“¹²².

სომხეთის ისტორიის ამ მნიშვნელოვან მოვლენაზე საუბარი აქვს მ. ხორენაცისაც, მაგრამ მის თხოობაში ქართველ-სომეხთა სამხედრო თანამშრომლობის ფაქტებმა ასახვა არ ჰოვა. იგი ძირითადად საუბრობს ირანში პართული სამეფო დინასტიის სასანურით შეცვლაზე და ამ მოვლენით გამოწვეულ რეაქციაზე არშაკიდულ სომხეთში. მხოლოდ ერთ

¹¹⁷ იხ. საქართველოს ისტორიის წარკვევები, I, გვ. 511-568; 643-776.

¹¹⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 53-54.

¹¹⁹ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. I37-I38.

¹²⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 55.

¹²¹ იქვე, გვ. 57.

¹²² იქვე, გვ. 59-60.

წინადადებაში გაკეთებული მინიშნებით შეიძლება მიხვედრა, რომ იგი იმ ბრძოლებსაც გულისხმობს, რომელთა შესახებ ვრცლად მოგვითხრობს ლეონტი მროველი. მ. ხორენაცის თქმით, სომხეთის მეფე ხოსროვმა, როგორც კი შეიტყო ირანში დაწყებული არეულობის შესახებ, მაშინვე გაემართა პართიის უკანასკნელი მეფის, მისი ნათესავის არტაბანის გადასარჩენად. იგი რომაელთა დახმარებით ფიქრობდა პართული სამეფო დინასტიის აღდგენას, მაგრამ არ გაუმართლდა. არდაშირ სასანიანი აქტიურად ამოქმედდა, მიმზრო ირანის ყველაზე გავლენიანი გვარები, ხოლო ხოსროვის ნათესავი კარენ ფაჰლავის გვარი გაანადგურა. პოლიტიკური გართულებების გამო ვედარც რომაელები დაეხმარნენ სომეხთა მეფეს. მიუხედავად ამისა – წერს მ. ხორენაცი – მან (ე. ი. ხოსროვმა) „თავის ჯარითა და კეთილმოსურნების, აგრეთვე, ჩრდილოელ ტომთა შეწევნით სძლია არტაშირს, აოტა იგი ინდოელთა ქვეყნამდე“¹²³. სომეხთა გამარჯვებით დასრულებული ბრძოლების დეტალურად და მხატვრული ხერხებით აღნერის მოყვარული სომეხი მემატიანე, ამჯერად, როგორც ვხედავთ, მეტად სიტყვაძუნია. აშკარაა, სომეხთა მთავარი დამხმარის როლში ქართველთა წარმოჩენა მის კონცეფციას ენინააღმდეგებოდა, რის გამოც იძულებული გახდა ამ შემთხვევისთვის ბუნდოვანი და გაურკვეველი შინაარსის ეპითეტი „კეთილმოსურნები“ გამოეყენებინა ქართველთა მაგიერ. სასანიანთა წინააღმდეგ სომეხთა ბრძოლის ამ ეპიზოდში ქართველთა მონაწილეობის ცნობამ ძველ სომხურ საისტორიო მნერლობაში მაინც შეაღწია, თუმცა ამ ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ტენდენციურობით. გრიგოლ პართელის ცხოვრების მიხედვით, სომეხთა მეფემ (ხოსრომ) „შეკრიბა მხედრობა ძლიერი აღვანთაგან და ქართველთა და სხვათა ნათესავთაგან“ და ამ ძალებით სასანიანთა სახელმწიფოს ტერიტორიის რბევა-თარეში, თურმე“ მთელი ათი წელი გაგრძელებულა¹²⁴. მოყვანილ ტექსტში ქართველების მონაწილეობა სომეხთა ბრძოლაში ისეა წარმოდგენილი, თითქოს, ქართლი III ს. სომეხთა მეფის ხელქვეთი ყოფილიყოს, რაც სიმართლისგან დაღზე შორსაა. ამ დროისათვის ირანში სასანიანთა გაბატონებამდე ქართლის სამეფო იმდენად ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, რომ არათუ რომსა და პართიას არ ემორჩილებოდა, არამედ ზოგჯერ მათ

¹²³ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 159.

¹²⁴ ცხოვრება წმ. გრიგოლ პართელისა, ლეონ მელიქესთ-ბეგის გამოც. ტფილისი, 1920, გვ. 7; ძველი მეტაფრასული კრებული, თბილისი, 1986, გვ. 470-471.

წინააღმდეგ მტრულ აქციებსაც არ ერიდებოდა¹²⁵. ამ დროისათვის კი ქართლი ისევ დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო იყო¹²⁶, რასაც ლეონტის მიერ მოხმობილი ცნობებიც ადასტურებს. ამ შემთხვევაშიც ლეონტი მროველი ასწორებს მოვსეს ხორენაცისა და, საერთოდ, ძველი სომხური ისტორიოგრაფიის მონაცემებს ქართველ-სომეხთა ურთიერთობის ისტორიაზე და ლირსეულად წარმოაჩენს ამ ურთიერთობაში ქართველთა როლსა და ისტორიულ მნიშვნელობას.

ქართული და სომხური წყაროების მოწმობით, ქართველ-სომეხთა ლაშქრის ათწლიანი ერთობლივი თარეშით იმდენად შეწუხებულა ირანის შაპი, რომ იძულებული გამხდარა მიგზავნილი მკვლელის, არშაკუნიანთა მონათესავე სურენიანთა გვარის წარმომადგენლის ანაკის ხელით მოეცილებინა სომხეთის მეფე, რის შემდეგ შაპმა ამ ქვეყნის დაყყრობაც შეძლო¹²⁷. სომხეთის დაპყრობით სპარსელთა ჯარს გზა გაეხსნა ქართლში შესაჭრელადაც. შექმნილი კრიტიკული სიტუაციის აღწერისას ლეონტი მროველი კიდევ ერთხელ ავითარებს მსჯელობას თავისი კონცეფციის ერთ-ერთი უმთავრესი დებულების – საქართველოსა და სომხეთის თანამშრომლობისა და ურთიერთეკვეშირის ისტორიული აუცილებლობისა და კანონზომიერებათა სასარგებლოდ. ლეონტის თანახმად, სომხეთის დაპყრობის შემდეგ სპარსთა მეფე ქართლში შემოვიდა. ქართლის მეფე ასფაგური ოსეთისკენ გაემართა, რათა დამხმარე ლაშქარი გამოეყვანა ციხე-ქალაქთა გასამაგრებლად. მაგრამ ოსეთში შესულს სიკვდილი ენია. მდგომარეობა იმითაც დამძიმდა, რომ ასფაგურს ვაჟი არ ჰყავდა და ამის გამო ფარნავაზიანთა მეფობა ქართლში კიდეც დასრულდა. შექმნილი კრიზისის პირობებში პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად ქართლის ერისთავები მცხეთაში იკრიბებიან მაეუან სპასპეტის წინაშე. სიტუაციის ანალიზისას კვლავ თავს იჩენს ქართლისა და სომხეთის ურთიერთობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ორივე ქვეყნისთვის. ძალების გაერთიანება მათ ყოველთვის აძლევდა საერთო მტრებთან აქტიური მოქმედების საშუალებას (რაც არაერთგზის ცხადყო ქართველმა მემატიანემ წინა თავებში მოყვანილი მაგალითებით), სულ ბოლოსაც ასფაგურის შეწვნით სომხეთმა დიდ წარმატებას

¹²⁵ საქართველოს ისტორიის წარკვევები, I, გვ. 510-537.

¹²⁶ იქვე, გვ. 568.

¹²⁷ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 158-162; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 59-62.

მიაღწია სასანიანებთან ბრძოლაში. მათი კავშირის გაწყვეტა კი არა მარტო წარუმატებლობის მიზეზი ხდება, არამედ თავდაცვისუნარიანობის მოშლასაც იწვევს, რასაც მაეუან სპასპეტის პირით ლეონტი მროველი ასე გამოხატავს: „რამეთუ მოიკლა სპარსთაგან დიდი იგი მეფე სომხეთისა, წალებულ არს სომხითი, რომელსა უკიდა სამეფო ჩუენი, და აღუღია პირი მისი სპარსთა მეფესა შთანთქმად ყოვლისა ქუეყანისა. არავი არს ჩუენ თანა წინააღმდეგომი მისი“¹²⁸.

ქართლისა და სომხეთის პოლიტიკური ურთიერთობის ხასიათის გამომხატველი ლეონტის მიერ აქ გამოყენებული ზოგადი ტერმინი „ეკიდა“ არაერთგვაროვნადაა აღქმული სამეცნიერო ლიტერატურაში. მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით ის, რომელიც ლეონტის კონცეფციას არმენოფილურად მიიჩნევს, მას ქრისტიანობამდელი საქართველოს სომხეთზე დაქვემდებარების დასადასტურებლად მოყვანილ ტერმინად აღიქვამს¹²⁹, რასაც პირადად ლეონტი მროველის სუბიექტური განწყობილებით ხსნის. დაქვემდებარების გადმოსაცემად ლეონტი ძირითადად ორ ტერმინს იყენებს – „მორჩილებასა“ და „მონებას“. მაგალითად, „ესე ყოველი იყვნეს მორჩილ ჰაოსისა“; „და ესე რვანივე ერთობით ჰმონებდეს ნებროთს გმირსა“; „ესე ოთხივე იყვნეს მორჩილ მისა“; „ხაზართა იჩინეს მეფე, და დაემორჩილნეს ყოველი ხაზარნი“; „მონებდა იგი აზო ბიზანტიონს“; „სომეხნი და ქართველი იყვნენ მორჩილ აუღალანისი სპარსთა მეფისა“ და სხვა.¹³⁰ ამავე „მორჩილება“ ტერმინთ გადმოვცემს, როგორც ითქვა, სომხეთზე ქართლის დაქვემდებარების ერთ განსაზღვრულ მცირე ჰერიოდსაც¹³¹. იყენებს, აგრეთვე, ტერმინ „მსახურებას“, მაგრამ, ეტყობა, უფრო მსუბუქი, ვასალური დამოკიდებულების გამოსახატავად. მაგალითად, „მსახურებდა იგი (ფარნავაზი) ანტიოქიოს“¹³². ტერმინი „ეკიდა“ ამათგან სრულიად განცალკევებულადაა წარმოდგენილი და ამიტომ მას განსხვავებული შინაარსიც უნდა ჰქონდეს. სხვა ადგილას სიტყვა „მოკიდებას“ იყენებს შეერთება, შემოვლების აზრით: „მოჰკიდა კირიზღუდე ციხესა არმაზისასა“ ხოლო „მოკიდებულს“ – მოსაზღვრის

¹²⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 62-63.

¹²⁹ გ. ლორთქიფანიძე, რა არის „ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1989, გვ. 79; ა. აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, გვ. 63-64.

¹³⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 6, 9, II, 20, 43.

¹³¹ იქვე, გვ. 44.

¹³² იქვე, გვ. 25.

აზრით¹³³. სულხან საბა სიტყვა „მოკიდებას“ განმარტავს, როგორც „მოყუარეთ მობმას“. ამაზე დაყრდნობით, ჩვენთვის საინტერესო წინადადებას „ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონის შემდგენელი სიტყვა „ეკიდას“ ქვეშ, ახალ ქართულზე ასე ხსნის: „სპარსელებმა დაიპყრეს სომხეთი, რომელთანაც ჩვენი სამეფო, ქართლი, მეგობრულ ურთიერთობაში იყო“¹³⁴. ხსენებულ ტერმინში დაქვემდებარების მომენტს გამორიცხავდა მარი ბროსეც, რომელიც სიტყვა „ეკიდა“-ს მტიდრო კავშირად გაიაზრებდა. ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ ამ ტერმინში ბროსე იურიდიულ შინაარსს არ ხედავდა¹³⁵.

ხსენებული ტერმინის („ეკიდა“) პოლიტიკური დაქვემდებარების შინაარსით გადმოცემისას ლეონტის კრიტიკოსები ძირითადად ემყარებიან ნ. ბერძენიშვილის ავტორიტეტს, რომელმაც 1944 წ. წაიკითხა და 1949 წ. დაბეჭდა მოხსენება „მოკიდებულის“ ინსტიტუტის შესახებ, სადაც მან ლეონტის მიერ გამოყენებული ამ ტერმინის შინაარსზე თავისი აზრიც გამოოქვა. იგი წერდა: ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ეკიდა“ ლეონტის არ ესმის მატერიალური მეზობლობის ანუ მოსაზღვრეობის აზრით. მაშინ მაეუან სპასპეტი ამ ზმნას ნამყო დროში არ იხმარდა: მაეუანი აღნიშნავს იმ ურთიერთობას, რომელიც იყო („ეკიდა“), და ეხლა კი აღარ არის, სომხეთის მოსაზღვრედ კი საქართველო იყო და ასეთადვე დარჩა ის მას შემდეგაც რაც, სომხეთი ქასრემ დაიბყრო... მით უფრო თანასწორთა კავშირის აზრით არ ესმის ლეონტის „ეკიდა“: ამის წინააღმდეგია მისი ისტორიული კონცეფცია (შეიძლება სწორედ ამ კონცეფციის გამოხატულებაც იყო მაეუან სპასპეტის პირში სომეხთა მეფის წოდებულება „დიდი მეფე“). დარჩა ერთადერთი შინაარსი, პოლიტიკური დამოკიდებულება და სწორედ ამ შინაარსით, ვფიქრობთ ჩვენ, ხმარობს აქ ამ სიტყვას ლეონტი მროველი¹³⁶. რა თქმა უნდა, მეზობლის და მოსაზღვრეობის აზრით ტერმინ „ეკიდა“-ს ლეონტი არ და ვერც გამოიყენებდა, რადგანაც საქართველოსა და სომხეთის მეზობლობა იმდენად ცნობილი ფაქტი იყო, რომ ის დამატებით განმარტებას, უბრალოდ, აღარ საჭიროებდა. ისიც ბუნებრივია, რომ ხსენებული ტერმინის შინაარსის

¹³³ ქართლის ცხოვრების სიმფონია ლექსიკონი, I, თბილისი, 1986, გვ. 127.

¹³⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 439.

¹³⁵ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 127, გვ. 38.

¹³⁶ იქვე, გვ. 126-7.

გახსნას 6. ბერძნიშვილი მემატიანის ისტორიულ კონცეფციას უდებს საფუძვლად. თუკი მივიჩნევთ, რომ ლეონტის კონცეფცია ძველ კავკა-სიაში სომებთა უპირატესობას აღიარებდა და, ჩანს, XX ს. 40-იან წლებში 6. ბერძნიშვილი ასე ფიქრობდა, მაშინ სავსებით ლოგიკურია მისივე დასკვნა, რომ ლეონტის თანასწორთა კავშირის აზრით არ ესმოდა „ეკიდა“. ლეონტის ტექსტზე შემდგომი ხანგრძლივი დაკვირვებისას 6. ბერძნიშვილმა, ვფიქრობ, მნიშვნელოვანილად შეიცვალა თავისი ადრინდელი დამოკიდებულება ქართველი მემატიანის ისტორიული კონცეფციის მიმართ. 50-60-იანი წლების ჩანაწერებში, დასრულებულ თუ დაუსრულებულ ნაშრომებში მეცნიერი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ ლეონტი მროველი მთელი შრომის სიგრძეზე ებრძვის და არსებითად ასწორებს და უპირისპირდება ხორცელს და სომეხთაგან დამოკიდებულებას გაურბის¹³⁷. ასეთი ხედვისას, ცხადია, სხვა ახსნას ჰპოვებდა სადაც ტერმინიც. მისთვის, ალბათ, უფრო შესაფერისი იქნებოდა სულხან საპას განმარტება, რომლის თანახმად, სიტყვა „ეკიდას“ იდენტური „მოკიდება“ „მოყვარეთ მობმას“ ნიშნავდა. დიდი ქართველი ლექსიკოგრაფის ამ განმარტების კომენტირებისას 6. ბერძნიშვილი შენიშნავდა, რომ საბა ჩვენთვის საინტერესო ხაზით „მოკიდებაში“ მხოლოდ „მოყვარედ მობმას“ აღნიშნავდა, მაგრამ საბას რომ „მოკიდებულის“ სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი კარგად ესმოდა, ეს ჩანს მობმა სიტყვის განმარტებიდან: „მობმა ზურგად მოყუარე ანუ დიდი ვინმე მოკიდოს“. აქ უკვე საბა ორბელიანი მოყვრობის გარდა სხვაგვარ მოკიდებასაც გულისხმობს და ასეთი აქტის მიზანსაც ასახელებს: ესაა „ზურგი“. ფეოდალური ინსტიტუტის „მოკიდებულის“ კვლევისას 6. ბერძნიშვილი განიხილავს მოკიდების მრავალ სხვადასხვა ვარიანტს და განმაზოგადებელ დასკრიპტი ჩამოთვლის მათთვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს. იგი წერს: მოკიდებული იმ თავითვე ფართო მოცულობის საზოგადოებრივ გაერთიანებას ნარმოადგენდა. მოკიდებულის დამახასიათებელი იყო მისი წევრების თავისუფლება და ინტერესთა თანხმობა. ქართული ფეოდალიზმის ყველა საფეხურზე მოკიდებულის ძირითადი შინაარსი (ინტერესთა თანხმობის ნიადაგზე მეტ-ნაკლებად თავისუფალი გაერთიანება) უცვლელი დარჩა¹³⁸. თავისუფლება და ინტერესთა თანხმობა კი მხოლოდ თანაბარუფლებიან პირთ შორისაა შესაძლებელი, რის გამოც, ვფიქრობ, ლეონტის თანასწორთა კავშირის აზრით უნდა ესმოდეს ტერმინი „ეკიდა“.

¹³⁷ 6. ბერძნიშვილი, სის, VIII, გვ. 298, 339-381, 555-557 და სხვა.

¹³⁸ 6. ბერძნიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 134.

ლეონტის დროსთან შედარებით ახლო პერიოდში (XII ს.), როცა 6. ბერძნიშვილის დაკვირვებით ტერმინი „მოკიდული“ უკვე დადი ხნის წინ ჩამოყალიბებული და სავსებით გარკვეული შინაარსის შემცველი ცნება იყო, კონკრეტული ფაქტების ანალიზი მკვლევარს არ აძლევს საშუალებას ტერმინის შინაარსში მაინცდამაინც დაქვემდებარებულის წინები ამოიცნოს. 6. ბერძნიშვილის შენიშვნით, არც აქედან, ე. ი. 1190 წ. ამბებიდან ჩანს, რომ „მოკიდებული“ ქვეშე-დანესებულს, ხელქვეითს ნიშნავდა¹³⁹.

XII ს. ტერმინი „ეკიდა“, რომ დაქვემდებარების შინაარსით არ ესმოდათ, ამის დასტურია „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის შესაბამისი ტექსტიც, სადაც ქართლის სომხეთთან მიმართების გამომხატველი ნაწილი საერთოდ გამოტოვებულია¹⁴⁰. სომეხი მთარგმნელი, რომელიც ილია აბულაძის დაკვირვებით, ცდილობს თავისი ქვეყანა და თანამემამულები ყველგან განადიდებით ნარმოადგინოს, რისთვისაც თვითნებურ რედაქციულ ცვლილებებსაც არ ერიდება, ცხადია, უთარგმნელს არ დატოვებდა სომეხთა უპირატესობის გამომხატველი შინაარსის მქონე ქართულ სიტყვას და მის მნიშვნელობას, ალბათ, კიდევ უფრო მეტად გამოკვეთდა და გააძლიერებდა. და, რადგან ასე ვერ იქცევა, ჩანს, ლეონტის ამ გამონათქამში სომეხი მთარგმნელი მისთვის სასარგებლოს და განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავდა. შესაძლოა, სომხური ისტორიოგრაფიის კლასიკოსების მსგავსად, ჩვენი მთარგმნელისთვისაც მიუღებელი იყო ქართლისა და სომხეთის პოლიტიკური ურთიერთობის თანაბართა კავშირად ნარმოადგენა, რაც ლეონტის ტექსტის ამ ნაწილში იკითხებოდა. ამიტომ ადგილის თარგმნას, ისევ, მისი გამოტოვება არჩია. მსგავსი მანიპულაციები „ქართლის ცხოვრების“ სომეხი მთარგმნელისთვის, როგორც ილია აბულაძეც აღნიშნავს, უცხო არ იყო.

მაეუან სპასპეტის სიტყვის მთელი წინამოთხოვბაც სომხეთზე ქართლის პოლიტიკური დამოკიდებულების აზრის გამომრიცხველია. ამ მხრივ, თხრობის არც ერთი პასაჟი ეჭვის საფუძველს არ იძლევა. უფრო მეტიც, სპარსეთის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში ქართველი მეფის როლს ლეონტი უფრო მნიშვნელოვან მიჩნევს¹⁴¹, რაც სავსებით რეალისტური შეფასებაა. რომაელთა ლეგიონების შემდეგ სპარსეთის

¹³⁹ 6. ბერძნიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 119.

¹⁴⁰ ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ილ. აბულაძის გამოც. თბილისი, 1953, გვ. 66.

¹⁴¹ ასე აღიქვამს ქართველი მემატიანის თხრობას 6. ლომოურიც. იბ. მისი „ნარევევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან“, თბილისი, 1975, გვ. 19.

საპირისპირო უფრო სრულფასოვან ძალას, რა თქმა უნდა, ჩრდილო კავკასიაში მომთაბარეთა სამხედრო შენაერთები წარმოადგენდნენ. მათი ამოქმედებისა და საჭირო მიმართულებით წარმართვის მექანიზმი კი ქართველთა მეფებს ეპყრათ ხელთ. „არა ცლენიფების გამოსლვად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თანიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“¹⁴². მართალია, ეს სიტყვები ვახტანგ გორგასალს მიეკუთვნება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მემატიანე საკმაოდ ძველ ტრადიციას გადმოგვცემს, რამდენადც კართა შებმას და ამით კავკასიის გადასასვლელზე კონტროლის დაწესებას ქართული წყაროები ჯერ კიდევ ფარნაგაზის უშუალო მემკვიდრეებს მიაწერენ¹⁴³. ასეთი ძლიერი ზურგის მქონე ქვეყანას კი არა მარტო სომხეთი, არამედ სპარსეთი და რომიც უნევალნენ ანგარიშს. მ. ხორენაციც კი, რომელიც ქართლს, თითქმის, ყოველთვის სომხეთის შემადგენლობაში გულისხმობს, ამჯერად ვეღარ იყენებს მისთვის ჩვეულ მბრძანებლურ გამოთქმებს ქართლის მიმართ და ბუნდოვანი, თუ ნეიტრალური სიტყვებით ცდილობს გადმოსცეს ასფაგურის დახმარების ამბავი, რომელსაც თავისი დიდი მნიშვნელობის გამო, გვერდი ვეღარ აუარა. ლეონტი ამ შემთხვევაშიც ასწორებს და სიცხადე შეაქს მ. ხორენაცის დაბინდულ ტექსტში იმით, რომ სათითაოდ ჩამოთვლის სასანიანთა ირანის წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო კამპანიის მთავარ მონაწილეებს: სომხებს, ქართველებს, ჩრდილო კავკასიელებს – „იმტეს სომხეთა და ქართველთა და ჩრდილოსა ნათესავთა მეფე სპარსთა“¹⁴⁴. მ. ხორენაციც, ფაქტობრივად, მიჯნას ერთმანეთისაგან სომხურ ჯარსა და მათ შემწე „კეთილმოსურნებსა“, თუ ჩრდილოეთის მთიელ ტომებს. ლეონტის ტექსტში ლაშქრობის მონაწილეთა ჩამოთვლისას სხვებზე წინ სომხეთა ხსენება, რა თქმა უნდა, უპირატესობის გამომხატველი ვერ იქნება. ხსენებული ომი, პირველ რიგში, სომხეთა ომი იყო და, ბუნებრივია, მემატიანეს ისინი მოკავშირებზე უნინ უნდა ესხენებინა. ლეონტი მროველის მიერ გადმოცემული ქართველ-სომხეთა ურთიერთობის ამსახველი ფაქტები, მით უფრო, სასანიანთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის უკვე მოყვანილი კონკრეტული სიუჟეტი, როგორც ვხედავთ, არ იძლევა საბაბს ქართლის სომხეთზე პოლიტიკური დამოკიდებულების წარმოსადგენად. ასეთი ვითარებისას კი, ცხადია, ნათესაობისა და

¹⁴² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 156.

¹⁴³ იქვე, გვ. 28.

¹⁴⁴ იქვე, გვ. 60.

მოყვრობის საფუძველზე ქართველ-სომებთა თანამშრომლობის მეხოტე მემატიანისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო ამ ქვეყნების ურთიერთობის დასახასიათებლად დაქვემდებარების გამომხატველი ტერმინის გამოყენება, რაც მისივე კონცეფციისათვის სრულიად შეუფერებელი იქნებოდა. იგი ქართლისა და სომხეთის ურთიერთობას, განსაკუთრებით კი სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში, მოყვარეთა კავშირად წარმოგვიდგენს, რასაც მთელი მისი წინამოთხობაც ადასტურებს. ასეთი ურთიერთობის გამოსახატავად ყველაზე უფრო მოხერხებული ტერმინი კი საბას მიერ „მოყვარეთ მობმად“ განმარტებული „მოკიდება“ და ლეონტის მიერ გამოყენებული „ეკიდა“ გამოდის. ნამყო დროში ტერმინის ხმარება ამ შემთხვევაში სავსებით გასაგებია: ის ურთიერთობა ქართლსა და სომხეთს შორის ანუ მოყვრული თანამშრომლობა, რომელიც აქამდე არსებობდა, მაუან სპასპეტის სიტყვით, აღარ არსებობს სომხეთის მეფის მოკვლისა და სპარსელთა მიერ სომხეთის დაპყრობის გამო. ამიტომ მოყვრის გარეშე დარჩენილი ქართლი მარტოდმარტო აღმოჩნდა ძლიერი მტრის წინაშე. სომხეთი ქართლის ფარი იყო სამხრეთიდან, ხოლო ქართლი ძლიერი ზურგი სომხეთისათვის ჩრდილოეთიდან. თავდაცვის აზრით, ერთმანეთზე დამოკიდებული ეს მეზობელი ქვეყნები ერთმანეთს ეკიდნენ. ასეთი აზრის შემცველი უნდა იყოს სიტყვა „ეკიდა“-ს შინაარსი, რომელიც, ვფიქრობ, გამოყენებულია პოლიტიკური პარტიის ურთიერთდამოკიდებულების გადმოსაცემად და არა ერთის მეორეზე დაქვემდებარების გამოსახატავად.

ლეონტისა და ხორენაცის დამოკიდებულება ისტორიული ფაქტების შერჩევისა და გადმოცემისადმი, როგორც ამჯერად ვნახეთ, სრულიად განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგოა. ასეთი ვითარება გამოწვეული უნდა იყოს არა იმდენად მეზობელთა მეტოქეობით, რამდენადც ერთმანეთისგან საკმაოდ დაცილებული სხვადასხვა ისტორიული ეპოქებისადმი მათი კუთვნილებითა და ამ ფაქტორით განპირობებული განსხვავებული კონკრეტული პოლიტიკური ამოცანებით. ხორენაცი თავის თხზულებას ისტორიის ქარცეცხლში დამარცხებული სომები ხალხისათვის წერდა, რომლის მიზანი იყო სახელმწიფობრიობის დაკარგვით გულგატებილი თანამოძმების გამხნევება, წარსული დიდების მაგალითებით მათი აღფრთვანება და მომავალში დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში სულიერი განმტკიცება. ლეონტის ამოცანა კი, პირით, აღმავლობის გზაზე მყოფი და კავკასიაში განვითარებული გამაქრთიანებელი მოძრაობის ავანგარდში მდგომი ქვეყნის ინტერესების სარეალიზაციოდ საზოგადოებრივი აზრის შემზადება იყო, იმ ქვეყნის ინ-

ტერესებისათვის ბრძოლა, რომელიც იმუამად უკვე სომხეთის მემკვიდრეობას პიზანტიას ეცილებოდა. ამის გამოც, ლეონტის თავისი ისტორია მარტომდენ ქართველებისათვის არ შეეძლო ეწერა. მას სომხები-სათვისაც უნდა გაეწია ანგარიში, რომელთა მიმხრობასა და თავის გარშემო დარაზმეას ქართული სახელმწიფო გეგმავდა. ამიტომაცაა, რომ ლეონტი ხელადებით კი არ უარყოფს ხორენაცს, არამედ ასწორებს და ცდილობს ღირსეულად წარმოაჩინოს საქართველოს ისტორია, ისე კი, რომ არც სომხეთა თავმოყვარეობას მიაყენოს ზიანი.

ეს განსხვავებული ტენდენციები ლეონტისა და ხორენაცის თხზუ-ლებაში კიდევ უფრო მყაფიოდ იჩენს თავს კავკასიაში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და პირველი ქრისტიანი ქართველი და სომები მეფეების მოღვაწეობის გადმოცემისას. ეს ხანა შუა საუკუნეების ქრისტიანი მწერლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო და თითოეული მათგანი ცდილობდა შესაფერისი ღირსებით წარმოეჩინა თავისი ქვეყნის ისტორიის ეს მონაკვეთი.

თავისი კონცეფციის ერთგული და მისი თანამიმდევრული დამცველი მ. ხორენაცი სომხეთის პირველ ქრისტიან მეფეს თრდატ III-ს ელი-ნური მითებისა და აღმოსავლური ზღაპრების გმირების თვისებებით ამკობს, მიაწერს რა მას გოლიათურ არაბუნებრივ ფიზიკურ ძალ-ლონეს, რის საფუძველზეც ყველაზე რთული და სახითათო სიტუაციებიდან მისი გმირი უძლეველი და გამარჯვებული გამოჰყავს. ასეთი სიუჟეტებია: გოლიათებან და ველურ ხარებთან შექიდება, ველური კუროების ხელით დაგლეჯა, ცხენიდან ჩამოქვეითებული თრდატის მიერ სპილოების ჯოგების ხმლით გარეკვა, ბასილთა მეფის ცხენიანად შუაზე გაპობა, მეომართა მთელი რაზმების დამოუკიდებლად ამოხოცვა და სხვა¹⁴⁵. მ. ხორენაცის მტკიცებით, თრდატი ყველგან და ყოველთვის იმარჯვებდა. მისივე მტკიცებით, საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი თრდატის ქვეშევრდომი და მისი ერთ-ერთი სარდალი იყო და ამდენად, ქართლიც სომხეთის შემადგენლობაში იყო საგულვებელი¹⁴⁶.

ასეთ მტკიცებულებათა წინააღმდეგ აშკარად გამოსვლა და მისი ხელადებით უარყოფა მ. ხორენაცის დიდი ავტორიტეტის გამო, თუნდაც სომხეთა თვალში, შესაძლოა ეფექტური ვერ ყოფილიყო. ამიტომ ქართული ისტორიოგრაფიის ღირსების დასაცავად და საკუთარი კონცეფციის გასამართლებლად ლეონტი ერთობ ორიგინალურ ხერხს მიმართავს.

¹⁴⁵ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 163-164; 166-167; 169-170.

¹⁴⁶ იქვე, გვ. 169-172.

ქართველი მემატიანე მირიანს სასანიანთა მეფის შვილად სახავს და საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფის ხოსროიანობით, ფაქტობრივად, აგრძელებს და ახალ პირობებში კვლავ აცოცხლებს ძველი ქართული ფარნაგაზიანი მეფეების ნებროთიანობის იდეას. ამ ტრადიციის მნიშვნელობაზე ყურადღებას ჯუანშერიც ამახვილებს, როცა ვახტანგ გორგასალის პირით მკითხველს შეახსენებს: „... რომელნი ვართ ნათესავნი ნებროთ გმირისანი, რომელი უნინარეს ყოველთა მეფეთა გამოჩნდა ქუეყანასა ზედა, რომელი ლომსა ძალითა ვითარცა თიკანსა მოიყვანებდა, კანჯართა და ქურციკა ქუეთით იპყრობდა. რამეთუ ეზომ განდიდნა ძალი მისი, რომელ დაემორჩილნეს ყოველნი ნათესავნი ნოესნი“¹⁴⁷. ნოეს ნათესავებში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სომხები მოიაზრებოდნენ, რაც იმასაც ნიშნავდა, რომ თუ მორჩილებაზე მიდგებოდა საქმე, ქართველი მეფეები სომხებს კი არა, პირიქით, სომები მეფეები ქართველ მეფეებს უნდა დამორჩილებოდნენ, როგორც ქვეყნიერების პირველი მეფის ნებროთ გმირის შთამომავლებს. ლეონტის არაპირდაპირი მტკიცებით ამ ძველი ტრადიციის ძალა ქართველ ქრისტიან მეფეებზეც ვრცელდებოდა მათი ხოსროიანობის გამო. ლეონტი ქართველთა სხვა უპირატესობებზეც ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. თუ ხორენაცით, სომები მეფეები ყოველთვის ამაყობდნენ პართიის სამეფო დინასტიასთან ნათესაობით და ეს კავშირი სომხეთის ძლიერების მნიშვნელოვან წყაროდ მიაჩნდათ, ლეონტით, მირიანი თვით პართელთა დამამხობელი სასანიანების კიდევ უფრო ახლო ნათესავია, სპარსეთის მეფის უფროსი ვაჟია და, ბუნებრივია, სპარსელთა მხარდაჭერითა და კეთილგანწყობით სარგებლობს, რაც მას განსაკუთრებით უპირატეს მდგომარეობას უქმნის კავკასიაში. როგორც პართიის პირველმა მეფემ არშაკმა, მ. ხორენაცით, სომხეთის მეფე მთელ კავკასიაზე გააბატონა, ასევე სასანიანი ქასრე, ლეონტით, მთელ კავკასიას აძლევს მირიანს სამმართველოდ. „და მისცა (მირიანს) ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი“¹⁴⁸. ამ ცნობას ლეონტი სხვადასხვა ვარიაციებით კიდევ რამდენჯერმე იმეორებს: „და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“¹⁴⁹. როცა მ. ხორენაცი სხენებული არშაკ პართიის მეფის წყალობაზე საუბრობდა, აღნიშნავდა, რომ კავკასიის გარდა

¹⁴⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 161.

¹⁴⁸ იქვე, გვ. 64.

¹⁴⁹ იქვე, გვ. 65.

სომხეთის მეფეს წინა აზიის ზოგიერთი ტერიტორიებიც მისცა¹⁵⁰. თითქოს, ამ ცნობის პასუხად ლეონტი გვატყობინებს: „ხოლო მირიანს (სპარსელებმა) გულის-სადებად მისცეს ბარტამისგან ჯაზირეთი, და შამის ნახევარი, და ადარბადაგანი. და ესე ყოველი ქართლს, სომხითს, რანს, პერეთს და მოვაკანს ზედა მოურთეს“¹⁵¹. ასე რომ, მირიანის ქართლი, ლეონტის მიხედვით, თითქმის, არაფრით ჩამორჩებოდა არშაკუნიანთა სომხეთს. მაგრამ ყველაზე დიდი უპირატესობა, რომელიც ქართლს გააჩნდა, ლეონტის აზრით, იყო მისი განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობა. ქართლისა და მცხეთის ცენტრალური მდებარეობა კავკასიაში მას ამ ქვეყანაზე სრული კონტროლის საშუალებას აძლევდა. ამ აზრს ლეონტი თავის თხზულებაში სპარსეთის სასანიანი მეფის პირით გადმოვცემს. იგი წერს სპარსთა მეფემ „უკეთესად გამოარჩია მცხეთას დასუმა ძისა მისისა მეფედ. რამეთუ ყოველთა ქალაქთა სომხითისა და ქართლისათა, რანისა და მის კერძოთა, ყოვლისა უფროსად და უმაგრესად გამოარჩია და მახლობელად ჩრდილოთა მტერთა, რათა პბრძოდის მათ მუნით და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა“¹⁵². ასეთი თვალსაზრისის დომინირებას ლეონტისდროინდელ საზოგადოებაში, გასაგებია, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კავკასიის მომავალი გაერთიანებისათვის მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც ამით კიდევ ერთ სერიოზულ არგუმენტს იძენდნენ თავიანთ სასარგებლოდ.

ქართლის ისტორიის ღირსეულად წარმოჩენასთან ერთად, ლეონტი განსაზღვრულ პატივს მიაგებს სომხურ ფოლკლორულ მასალასაც, რომელმაც ფართო გამოყენება პოვა ძველ სომეს ავტორთა თხზულებებში. ამასთან, ამ სომხურ გადმოცემებს შესაშური ტაქტით ურთავს სპეციალურ განმარტებებს, რითაც მათ პიპერბოლური სამოსისაგან ათავისუფლებს. ლეონტის მიერ ასეთი ხერხით წარმოჩენილი პირველი ქრისტიანი სომეხი მეფის დახასიათება, ვფიქრობ, უფრო რეალური და ადამიანურიცაა ძველ სომეს ავტორთა მიერ დახატულ პორტრეტთან შედარებით. თრდატის საგმირო საქმეთა შესახებ არსებული გადმოცემებიდან ლეონტის მხოლოდ აგათანგელოსთან დაცული ცნობა მოჰყავს გუთების თავდასხმის მოგერიებისას ბერძენთა ჯარში მყოფი თრდატის სიმამაცისა და მოხერხების თაობაზე. მადლიერი იმპერატორი თავის

ლაშქარს აძლევს თრდატს და გაამეფებს სომხეთში. ლეონტი ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს: „ხოლო კეიისარმან მისცნა სპანი თრდატს და გამოგზავნა სომხითს, მამულსა თესა. გამოვიდეს სომხითს და გამოსახნეს სპანი ერისთავნი მირიანისი“¹⁵³. ამჯერად, ლეონტი კიდევ ერთხელ (უკვე მეოთხედ), თუმცა არაპირდაპირ, მეითხველის ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ თრდატის გამეფებამდე სომხეთს მირიანი და მისი ერისთავები მართავდნენ. ამ კონტექსტში შესაძლოა საყურადღებო იყოს მ. ხორენაცის ცნობაც, რომლის მიხედვით, ხოსროვის მოკვლიდან თრდატის გამეფებამდე სომხეთს სპარსეთის მეფე თავისი მოხელეების შემწეობი 26 წელიწადს განაგებდა, ვითარცა ერთ-ერთ თავის მხარეთაგანს¹⁵⁴. ალბათ, არ არის გამორიცხული ლეონტისა და ხორენაცის ამ ცნობებს შორის რაღაც კავშირი არსებობდეს.

თრდატის დახასიათებისას, როგორც ჩანს, ლეონტი მ. ხორენაცის თხზულებასაც იყენებდა, მაგრამ სომეს მეფეზე იქ არსებულ გაზღაპრებულ ცნობებს კი არ იმეორებს, არამედ მათ შინაარსს მოკლედ გადმოგვცემს: „და არავინ იპოვა ოდეს სპარსთა შორის მარტოდ-მბრძოლი თრდატისი. და სახელოვან იქმნა იგი ყოველსა ქუეყანასა, და სძლო ყოვლადვე მბრძოლთა მისთა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი ცხორებასა სომეხთასა“¹⁵⁵. ამ ბოლო წინადადებით ლეონტი, აშკარაა, მკითხველს აუწყებს, რომ თრდატის წარმოდგენილი დახასიათება მას კი არ ეკუთვნის, არამედ სომხურ მატიანებს. მისი აზრით, ქართლისა და სომხეთის მეტოქეობაში სძლევდა ის, რომელსაც უფრო ძლიერი მხარდამჭერი ჰყავდა. ასე რომ, საკითხს წყვეტდნენ გარეშე პოლიტიკური ძალები და არა უშუალოდ რომელიმე მეტოქე. ლეონტის გადმოცემით, სომხეთში თრდატის გამეფებისა და იქიდან მირიანის ერისთავების გამოძევების შემდეგ მეზობელ ქვეყნებს შორის „დაუცხრომელად იყვის შფოთი... წელთა მრავალთა... ხოლო ოდეს მოირთის ძალი თრდატ საპერძეოთით და მომართის მირიანს, და მას ვერ ძალ-ედვის წინააღმდეგმად, და გამაგრნის ციხენი და ქალაქენი, და მოვლის თრდატ ქუეყანა მისი. და ოდეს განძლიერდის მირიან სპარსეთით, მაშინ ვერ წინააღმდეგის თრდატ, და მოვლის მირიან სომხითი“¹⁵⁶. მირიანსა და თრდატს შორის „დაუცხრომელი შფოთი“ რომ

¹⁵³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 68.

¹⁵⁴ მოვსეს ხორენაციი, სომხეთის ისტორია, გვ. 162.

¹⁵⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 69.

¹⁵⁶ იქვე.

¹⁵⁰ მოვსეს ხორენაციი, სომხეთის ისტორია, გვ. 67.

¹⁵¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 67.

¹⁵² იქვე, გვ. 63-64.

საზღვრების გამო იქნებოდა ატეხილი ეს სრულიად ცხადია ლეონტის თხრობის მიხედვით, რადგანაც მისივე თქმით, კეისარმა თრდატი „სომხითს, მამულსა თ□სსა“ გამოგზავნა და ჩანს, სომხეთის მეფე ცდილობდა დამხმარე ძალის საშუალებით მისი მამული ჩრდილოეთით ზედმეტად გაეფართოებინა, რასაც, ბუნებრივია, მირიანის წინააღმდეგობა დახვდებოდა. მათ შორის ურთიერთობას ისიც ამწვავებდა, რომ ისინი ერთმანეთთან დაპირისპირებული მძლავრი სახელმწიფოების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ და, ნებით თუ უნებლიერ, მფარველის მსანრაფებათა გამომხატველნიც უნდა ყოფილიყვნენ. ასეთი დამოკიდებულება ქართლსა და სომხეთს შორის ლეონტის სტრიქონებში მყაფიოდ შეიგრძნობა. ლეონტის თანახმად, სპარსეთის მეფე წინააღმდებას აძლევს მირიანს „შევკრბეთ, და გარდავლოთ სომხითი, და შევიდეთ საბერძნეთად“¹⁵⁷. როგორც ვხედავთ, ამ წინააღმდებაში მთავარი სამიზნე საბერძნეთია და არა სომხეთი. ეს უკანასკნელი მხოლოდ მცირე წინააღმდებაა, რომელიც უნდა გარდავლონ. თრდატმა ჭარბ ძალებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მოკავშირებმა „წარტყუენეს სომხით“ და შევიდნენ საბერძნეთში. ამ ძალებს ვერც ბერძნენთა მეფე კონსტანტინე აღუდგა წინ და დიდ მწუხარებას მიეცა¹⁵⁸. ჩნდება ახალი ძალა, რომელიც სრულიად ცვლის მანამდე არსებულ ურთიერთობას ქვეყნებსა და ადამიანებს შორის. ქრისტეს ჯვარის სასწაულმოქმედი ძალით ბერძნენთა მეფე კონსტანტინე, რომელმაც ირწმუნა ახალი მოძღვრება და ნათელ იღო, მცირე ძალებით ურიცხვი მტერი გაანადგურა, „ვითარ წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ბერძნენთასა“ შენიშნავს ლეონტი მროველი. ამჯერად ქართველი მემატიანე მის მიერ მოყვანილ წყაროს გულგრილად კი არ აფიქსირებს მხოლოდ, არამედ შეფასებასაც აძლევს და მას ცხადსა და მართალს უნდებს, რითაც თავის კეთილსასურველ დამოკიდებულებას გამოხატავს გამოყენებული ლიტერატურის მიმართ.

ახალი სარწმუნოების უპირატესობისა და ძლიერების მოწმე მირიანი განუდგება სპარსელებს და კონსტანტინეს სამსახურში დგება, რის შემდეგ ქართველ-სომებთა ურთიერთობა ჩვეულ, ლეონტისთვის სასურველ კალაპოტში ექცევა. კონსტანტინე მეფე ამოყვრებს ძველ მეტოქე მეზობლებს. მირიანის ვაჟი რევი ცოლად ირთავს თრდატის ქალიშვილს

სალომეს. ბოლო ელება სასაზღვრო კონფლიქტსაც. კონსტანტინე ბუნებრივ-გეოგრაფიულ საზღვარს უდებს მიჯნად მეზობლებს: „რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და მიერთვიან რა□სა, ესე ქუეყანანი თრდატის კერძად დაყარნა; და რომლისა ქუეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკუარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა“¹⁵⁹. მშვიდობა და სიყვარული მყარდება, ლეონტით ერთი მამის შთამომავალ მომებებს შორის, რაც ქართველი მემატიანის კონცეფციის კანონზომიერ გამოვლინებას წარმოადგენდა. მშვიდობა და მოყვრობა კავკასიის სალხებს შორის კი ლეონტის დროინდელი ქართული სახელმწიფოს პერსპექტიული პოლიტიკის საფუძველი იყო, რომლის ხორცშესმას ლეონტისთან ერთად შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია და მწერლობა ემსახურებოდა.

ლეონტის მიერ მოვსეს ხორენაცის კრიტიკა არ იქნებოდა სრული, თუ ის თავის დამოკიდებულებას არ გამოხატავდა სომეხი მემატიანის თვალსაზრისზე კავკასიის სარწმუნოებრივი და კულტურული იერსახის შესახებ. არც ამ შემთხვევაში ღალატობს ლეონტი მ. ხორენაცის კრიტიკის თავის მეთოდს და სომეხი მემატიანის შესწორებას კვლავ განაგრძობს. ძველ ქართლში სომხური წარმართული კულტის ბატონობის მ. ხორენაცისეული მტკიცების საპასუხოდ ლეონტი ქართველთა უძველესი სარწმუნოების წარმოქმნისა და მისი განვითარების თანამიმდევრულ სურათს გადმოგვცემს, სადაც სომხური გავლენისათვის ადგილი აღარ არსებობს. ლეონტის თანახმად, ქართველებმა თავიანთი თავდაპირველი სარწმუნოება ქართლში მოსვლის შემდეგ შეიმუშავეს, რაც ძირითადად, ქართლოსის საფლავისა და მნათობების თაყვანისცემით გამოიხატებოდა. იგი წერს: „და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი“¹⁶⁰. ამის შემდეგ ძველ ქართულ წანთეონში ადგილს კერპები იყავებენ: გაცი და გამ¹⁶¹, უმთავრესი კი ფარნავაზის მიერ შექმნილი კერპი ხდება. მის შესახებ, სხვებისგან განსხვავებით, საგანგებო ხაზგასმით გადმოგვცემს ამ ღვთაების შექმნის ამბავს: „ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თ□სა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და მიერითგან ეწოდა არმაზი

¹⁵⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 69.

¹⁵⁸ იქვე, გვ. 11.

¹⁵⁹ იქვე, გვ. 20.

¹⁶⁰ იქვე, გვ. 11.

კერპისა მისთვის. და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა“¹⁶². მემატიანე განსაკუთრებული აქცენტებით გადმოგცემს დათაება არმაზის სახელწოდების ფარნავაზისგან წარმომავლობას და ამ ფაქტს ერთ წინადაღებაში სხვადასხვა ფორმით რამდენჯერმე იმეორებს, თითქოს შიშობს ეს სახელი მკითხველს სხვაში არ აერიოს. ეტყობა, ლეონტი სომხური არამაზდის სახელს უფრთხოდა (ალბათ, არმაზისა და არამაზდის სპარსულიდან საერთო წარმომავლობის გამო), რის გამოც მკითხველის ყურადღებას საგანგებოდ ამახვილებდა დათაება არმაზის ეროვნულ წარმომავლობაზე. ფარნავაზის მექვიდრებმა ქართულ წარმართულ პანთეონს კიდევ რამდენიმე კერპი შემატეს. მაგალითად, საურმაგმა „შექმნა ორნი კერპი აინინა და დანინა, და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა“¹⁶³. ფარნაჯომმა „შექმნა კერპი სახელით ზადენ, და ამართა ზადენს“¹⁶⁴; რევმა კი „მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ასული ლოდოთეთისა, სახელით სეფელია. და ამან სეფელია მოიტანა თანა კერპი, სახელით აფროდიტოს, და აღმართა თავსა ზედა მცხეთისასა“¹⁶⁵. ამრიგად, ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში, ლეონტის მიხედვით, სულ შვიდი კერპი ჩანს: გაცი, გაიმ, არმაზი, აინინა, დანანა, ზადენი და აფროდიტოსი. აქედან ერთია გარედან (საბერძნეთიდან) შემოტანილი. ეს შვიდი კერპი იყო, ლეონტის თანახმად, ქართველთა სალოცავი და მათ შემდეგ სხვა აღარ შემატებიათ. პირველი ქრისტიანი ქართველი მეფის შესახებ ჩვენი მემატიანე ამბობს: „აღიზარდა მირიან მსახურებასა მას შინა შედთა მათ კერპთასა“¹⁶⁶. ლეონტის გადმოცემით, ძველი ქართული სარნმუნოება და მისი დათაებები სახელგანთქმული თანამედროვების აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებდნენ. მაგალითად, ლეონტის თქმით, აღექსანდრე დიდმა უბრძანა ქართლის ერისთავად დანიშნულ თავის მოხელეს „რათა პატივსცემდნენ მზესა და მთოვარესა და ვარსკულავთა ხუთთა“¹⁶⁷. ე. ი. ქართველთა უძველეს სარნმუნოებას. ასევე, ქართლში გამეფებულმა სპარსეთის მეფის ვაჟმა მირიანმა „ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმი კერპთანი, და ყოველთა

¹⁶² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 25.

¹⁶³ იქვე, გვ. 27.

¹⁶⁴ იქვე, გვ. 29.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 58.

¹⁶⁶ იქვე, გვ. 65.

¹⁶⁷ იქვე, გვ. 18.

მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავაზის“¹⁶⁸.

როგორც ხედავთ, ლეონტი ფაქტებით ადასტურებს ძველი ქართული სარნმუნოების თვითმყოფადობასა და ავტორიტეტს ძველ სამყაროში, რაც თავისთავად გამორიცხავი სულიერი კულტურის სფეროშიც ქართლის დამოკიდებულებას სომხეთზე. სომხური ისტორიოგრაფიის პრეტენზიებს, ამჯერად, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ საკმაოდ ეფექტურად ანეიტრალებს.

კავკასიაში ქრისტიანული სარნმუნოების აღმოცენებასა და გავრცელებაზე სომხური ისტორიოგრაფიის მიერ წარმოდგენილი ვერსია უკვე საკმაოდ არგუმენტირებულად იყო უარყოფილი „მოქცევა“ ქართლისაც“ კრებულში შესული „ნინოს ცხოვრების“ ავტორის მიერ, რაც ლეონტის ათავისუფლებდა დამატებითი კვლევა-ძიებასგან. ამიტომაც მან შუა საუკუნეების მწერალთა ჩვეულების მიხედვით, ქართლის გაქრისტიანების ეს ისტორია პირდაპირ ჩართო თავის ძირითად ნაშრომში, ზოგიერთი უმნიშვნელო რედაციული ცვლილებებით, რაც გამოწვეული უნდა ყოფილყო მის კონცეფციასთან თანხმობაში მოსაყვანად, ე. ი. კონფესიური დაპირისპირების შესაბილებლად.

გაცილებით რთული იყო ქართული ენისა და დამწერლობის ისტორიის შეთავსება ლეონტის კონცეფციისთან. თარგამოსის შთამომავლობიდან გამომდინარე, „მისი თეორია მოითხოვდა სომხური ენის პირველადობას“ (ნ. ბერძნიშვილი)¹⁶⁹, რეალური ვითარება კი გაერთიანებული საქართველოს კულტურული მენინავეობის ჩვენებას კავკასიაში. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად პოლიტიკოსმა მემატიანემ თარგამოსიანთა საერთო ენის – სომხურის შესაძლებელი ფუნქციონირება ისტორიულ შორეთში გადაიტანა, როცა კავკასიის ხალხების ინდივიდუალობა ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი და ამით მისი კულტურული მნიშვნელობა უკიდურესად შეამცირა. დამოუკიდებელი ნათესავის – ხალხის წარმოქმნა კი ლეონტის ხანგრძლივ ისტორიულ პროცესად აქვს წარმოდგენილი, რომელიც საერთო მამის შვილთა ანუ კავკასიის ხალხთა ეთნარქების ერთმანეთისაგან ტერიტორიული გამიჯვნით იწყებოდა. ქართლის ტერიტორიის წარმოქმნის შემდეგ ქართლოსიანებმა საკუთარი სარნმუნოებაც შეიმუშავეს – ქართლოსის

¹⁶⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 65.

¹⁶⁹ იხ. გ. მაისურაძე, მნიშვნელოვანი საკითხი, „მნათობი“, №7-8, 2001, გვ. 88-92.

საფლავი და მნათობები. ამასობაში ქართლში თანდათან სხვადასხვა უცხოტომელმა ნათესავმა მოიყარა თავი, რის შემდეგ ქართლოსიანებმა მიატოვეს საერთო მამათავრის ენა და ყველა მათგან შექმნეს საკუთარი ქართული ენა. მემატიანე ამ დიდმნიშვნელოვან კულტურულ მოვლენას ასე გადმოგვცემს: „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტოვეს ენა სომხური. და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“ და განაგრძობს: „და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა; სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ეპრაული და ბერძული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“¹⁷⁰.

სომხური ენის დატოვების წინამავალ მოვლენად ჩვენი მემატიანე ნაპუქდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებასა (ძვ. წ. 586 წ.) და დევნილი ებრაელების მცხეთაში მოსვლას ასახელებს, რითაც, თითქოს, ქართული ენის შექმნის თარიღსაც იძლევა. მის მიერ მოცემულ წინადადებაში გამოყენებული სიტყვები „აქამომდის“, „ოდეს“ გვიჩვენებს, რომ ენის შექმნაც ლეონტის ხანგრძლივ პროცესად წარმოუდგენია, რამდენადაც ურიცხვი ნათესავის ქართლში შემოკრება ისე რომ, ისინი იქ დამკვიდრებულიყვნენ და მათი ენებიც ერთმანეთისათვის გასაგებიც გამზდარიყო, ცხადია, მოკლე დროში ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ ძვ. წ. VI ს. დასაწყისი ხანა ქართული ენის ფორმირების ხანგრძლივი პროცესის დასრულების ლეონტისულ თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ. მოუხედავად იმისა, რომ ლეონტის მიხედვით, ქართული ენა ქართლში მოსახლე „ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა“, ის ერთხანს მაინც ვერ გაბატონდა და ქართლში ექვს ენაზე ლაპარაკობდნენ. ამასთან, განმარტვას, რომ ეს ენები იცოდნენ „ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“. ამ წინადადებაში სიტყვა „მეფეთა“-ს მოხსენიება, თუკი მათში ქართველი მეფეები უნდა ვიგულისხმოთ, სრულიად უადგილოა და ზედმეტი, რადგანაც ამ დროს ქართლში ქართველი მეფე ჯერ კიდევ არ იყო და მის მოსვლამდე წინ ორ საუკუნეზე შეტი დრო იყო გასავლელი. ჩანს, ამიტომაც, ვახუშტი ბატონიშვილმა საქართველოს ძველი ისტორიის ნაწილში, რომელიც ძირითადად ლეონტის მისდევს, ამ ადგილის გადმო-

ცემისას სიტყვა „მეფე“ საერთოდ გამოტოვა¹⁷¹. შესაძლოა ლეონტი ენების მცოდნე ქართლის მეფეებში იმ უცხო ხელისუფლებს გულისხმობდა, რომელიც თავის ხელისუფლებას ხანგამოშვებით ქართლზეც ავრცელებდნენ. თორემ, ქართველთაგან ქართლის პირველ მეფედ რომ მხოლოდ და მხოლოდ ფარნავაზი მიაჩნდა ლეონტის, ამის შესახებ ცხადად და ეჭვმიუტანელად აქვს მასვე განცხადებული.

გადის დრო და ქართლოსიანები დამოუკიდებელ სახელმწიფოს ქმნიან ქართველი მეფით სათავეში, რომელიც უზრუნველყოფს ქართლში ქართული ენის სრულ უპირატესობას დანარჩენებზე და მას სახელმწიფო ენის მნიშვნელობას ანიჭებს, ამასთან ქმნის ქართულ ანბანს, ქართული მნიგნობრობის განვითარების საფუძველს. საზემოდ ჟღერს ლეონტის სიტყვები: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არლარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მნიგნობრობა ქართული“¹⁷².

ლეონტი ამჯერადაც არ ღალატობს წყაროების კრიტიკის თავის მეთოდს. იგი მ. ხორენაცივით ღიად კი არ უარყოფს მისთვის მიუღებელ დებულებებს, არამედ კორიუნისა და მ. ხორენაცის თხზულებებში დაცულ ვერსიებს მესროპ-მაშტოცის მიერ ქართული ანბანის თაობაზე, საერთოდ არც ახსენებს და მის საპირისპიროდ ქართული ანბანისა და დამწერლობის ისტორიის თანამიმდევრული სურათის ჩვენებით ნიადაგს აცლის ამ სომხური ტრადიციის მტკიცებებს. ინფორმაციის ასეთი ხერხით მიწოდებისას მკითხველი ყოველგვარი მინიშნებებისა და კომენტარების გარეშეც უნდა მიმზდარიყო და, ალბათ, ხვდებოდა კიდეც, რომ სახელმწიფო ებრივი საჭიროებისათვის ფარნავაზის მიერ შექმნილი ქართული ანბანი სულ ცოტა შვიდი საუკუნით მაინც უფრო ძველი იყო სომხურზე, რის გამოც ახ. წ. VI ს. მცხოვრები მესროპ-მაშტოცი ქართული ანბანის შექმნები ვერ იქნებოდა. ხაზგასასმელი გარემოებაა, წერდა ნიკო ბერძენიშვილი, რომ ქართულმა ტრადიციამ ქართული მნიგნობრობის გაჩენა დაუკავშირა არა ქრისტიანობის შემოსვლას, არამედ ქართული ეროვნული კულტურის დიდ ტეხილს ქართული სახელმწიფოს წარმოქმნას¹⁷³. ეს გარემოებაც საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტი იყო ლეონტის თეორიის სასარგებლოდ.

¹⁷¹ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 54.

¹⁷² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 26.

¹⁷³ 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 382-383.

¹⁷⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 16.

იგივე იდეოლოგიური მიმართულება, სომხურ ისტორიოგრაფიასთან დაპირისპირების იგივე ფორმები (მიუღებელი დებულებების ღია კრიტიკის ნაცვლად, მათი შეცვლა და შესწორება), გადმოცემის მსგავსი მეთოდი და სხვა, თავს იჩენს ქართლის ცხოვრების კრებულში შესულ ლეონტის მომდევნო ავტორთა თხზულებებით. ჯუანშერი, „მატიანე ქართლისაც“ ავტორი და სუმბატ დავითის ძე არჩეული ქრონიკოგიური საზღვრებისა და თემატიკის ფარგლებში თანამიმდევრობით წარმოაჩენენ ქართველ და სომებს ხელისუფალთა მოყვრობა-ნათესაობის ფაქტებს და მათზე აქცენტირებოთ ცდილობენ სომხეთის მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში ქართველთა უფლებების ლეგიტიმაციას. ამასთან ერთად, სომხებთან კეთლისმყოფელი დამოკიდებულება ხელს არ უშლის სომხური ისტორიოგრაფიის ცნობილ სიუჟეტებს საკუთარიც დაუპირისპირონ. მაგალითად, ჯუანშერის მტკიცებით, ვახტანგ გორგასალი მოყვრობითა და ნათესაობით ყოფილა დაკავშირებული სომხეთის სამეფო სახლის წევრებთან და უმაღლესი არისტოკრატიის ერთ ნაწილთან. ქართველი მემატიანე ვახტანგის პირით გვაცნებს, რომ პირველი ქრისტიანი სომები მეფე თრდატ III ქართველთა მეფის ნათესავი იყო დედის მხრიდან¹⁷⁴. მისივე თქმით, ვახტანგს თავისი და ხუარანძე სომებთა პიტიაბშისთვის — ბაკურისათვის მიუთხოვებია¹⁷⁵. სომხეთზე ვახტანგის უფლების კანონიერების საჩვენებლად კი სომხეთის სამეფო სახლთან ნათესაობის გარდა, ჯუანშერი კიდევ უფრო შთამბეჭდავ არგუმენტს იშველიებს. მისი თქმით, სპარსეთის მეფეს თავისი ასული მიუცია ცოლად ვახტანგისათვის და მზითვად სომხეთი და მთელი კავკასიაც უბოძებია: „და მოსცა სომხეთი და ყოველი მეფენი კავკასიანი ზითვად“¹⁷⁶. ასეთ არგუმენტს, როგორც უკვე ითქვა, მიმართავდნენ მ. ხორენაციცა და ლეონტიც, რომლებიც საკუთარი ქვეყნისათვის სასურველი ტერიტორიის მფლობელობის დაკანონებას უცხო ხელისუფლებს მიაწერდნენ: პირველი, პართიის პირველ არშაკიდ მეფეს, ხოლო მეორე ქასრე სასანიანს¹⁷⁷. ქართველთა პრეტენზიებს ჯუანშერი ბიბლიური წარსულითაც ამაგრებს. ვახტანგის პირით იგი აცხადებს: ჩვენ „რომელი ვართ ნათესავნი ნებროთ გმირისანი, რომელი უწინარეს ყოველთა მეფეთა გამოჩნდა ქუეყ-

¹⁷⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 169.

¹⁷⁵ იქვე, გვ. 199.

¹⁷⁶ იქვე, გვ. 158.

¹⁷⁷ იხ. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 67; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 64-65.

ანასა ზედა, რომელი ლომსა ძალითა ვითარცა თიკანსა მოიყვანებდა, კანჯართა და ქურციკთა ქუეითი იპყრობდა. რამეთუ ეზომ განდიდნა ძალი მისი, რომელ დაემორჩილნეს ყოველნი ნათესავნი ნოესნი¹⁷⁸. თქმა არ უნდა, რომ ნოეს ნათესავებში, ჩვენი ავტორი პირველ რიგში სომხებს გულისხმობდა. ამასთან, ჯუანშერს არ ავიწყდება პატივითა და ლირსებით მოიხსენიოს სომხებიცა და მათი საამაყო შეიღებიც. ჯუანშერი „დიდ მოძღვარს“ უწოდებს გრიგოლ პართელს, ხოლო თრდატ III-ს „გმირსა“ და „მუშაკ ეკლესიათა“¹⁷⁹, რაც შეუსაკუუნების საზოგადოებისათვის ერთ-ერთი უმაღლესი შეფასება იყო. საყურადღებოა, აგრეთვე, ჯუანშერის მიერ ვახტანგ გორგასლის გარეგნობისა და ფიზიკური შესაძლებლობის დახასიათება, რაც თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით ძალაუნებურად ასოციაციას აღძრავს სომხურ ისტორიოგრაფიაში ამ მხრივაც განდიდებულ თრდატ III-თან. ჯუანშერი წერს: „მას უამსა იყო ვახტანგ წლისა ოცდაორისა; და იყო იგი უმაღლეს კაცთა მის უამისათა, და უშუენიერეს სახითა და ძლიერი ძალითა, რომელ ჭურვილი ქუეთი ირემსა მიერის, უპყრის რქა და დაიჭირის, და ცხენი ჭურვილი აღიღის მიართა ზედა და მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა“¹⁸⁰. თხზულებაში არაერთგზის გვხვდება, აგრეთვე, ქართველ-სომებთა საბრძოლო თანამშრომლობის ეპიზოდებიც. ყველა ერთად კი, როგორც ვხედავთ, სრულ თანხმობაშია ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის სულისკვეთებასთან.

არსებითად, მსგავს დამოკიდებულებას იჩენ სომხური თემისადმი „მატიანე ქართლისაც“ ავტორი და სუმბატ დავითის ძეც. ისინი გამახვილებული ყურადღებით გადმოგვცემენ ქართველ-სომებთა მოყვრობისა და თანამშრომლობის ფაქტებს. მაგალითები: გურამ მამფალი და მისი სიმამრი აბულაბას სომებთა ერისთავი არაბთა წინააღმდეგ შეკავშირდნენ და ქართველ მთიულებთან ერთად მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს ბუღა თურქის მარბევალ ლაშქარს¹⁸¹; სარკინოზებთან ბრძოლაში განთავისუფლებული ქვეყნები, მემატიანეს გადმოცემით, „გუარამ განუყვნა ქუეყანანი ძმათა თესთა ადარნასეს და ბაგრატს, და აბოცი განუყოცოლის ძმასა თესთა სომებთა მეფესა“¹⁸². ამ კონტექსტში კიდევ უფრო

¹⁷⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 161.

¹⁷⁹ იქვე, გვ. 160-161.

¹⁸⁰ იქვე, გვ. 159.

¹⁸¹ იქვე, გვ. 256.

¹⁸² იქვე, გვ. 257.

შთამბეჭდავი ჩანს სუმბატ დავითის ძის მიერ წამოყენებული ქართველ-და სომებს ბაგრატივანთა საერთო წარმომავლობის ვერსია. ქართველ-სომებთა ურთიერთობის ამგვარი პოზიტიური გაშუქება მკითხველის მიმხრობასთან ერთად, ეტყობა, მიზნად ისახავდა IX-XI სს. სომხური ის-ტორიოგრაფიის წარმომადგენელთა თხრობის მეტ-ნაკლებად აგრესიული მუხტის ჩახშობასა და მისთვის დამახასიათებელი ცნობილი ტენდენციების გავლენის შესუსტებას. შესაძლოა ამიტომაც, „მატიანე ქართლისაც“ ავტორი არ ერთიდება სრულად წარმომადგინოს IX-X სს. კავკასიაში პირველობისათვის გაჩალებულ ბრძოლაში სომხე დინასტია აქტიური მონაწილეობა. ისიც ცხადია, რომ ქართველ მემატიანეს არც სჭირდებოდა ფაქტების შელამაზება, რადგანაც კავკასიაში შექმნილ რეალურ პოლიტიკურ სიტუაციას თავიდანვე ქართველთა სასარგებლო მიმართულება ჰქონდა (შიდა ქართლი კავკასიის გაერთიანების ცენტრი იყო და აქ გაპატონების ქართველთა შესაძლებლობები სხვებთან შედარებით ბევრად დიდი იყო) და XI ს. 70 წლების დასაწყისში, როცა ის თავის თხზულებას წერდა, უკვე იცოდა რა ამ ბრძოლის შედეგები (სომხური სამეფოების გაუქმება), ის ცდილობს პირუთვნელად გააშუქოს კავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი პროცესი ისე რომ, მის ჭეშმარიტებაში არავის შეეპაროს ეჭვი, ამასთან ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, მომავალი ფინალის შემოქმედად, ბრძოლაში მონაწილე ყველა პოლიტიკური ძალა დასახოს. ჩვენი მემატიანის მიხედვით, დაპირისპირებული მხარეები ეთნიკურად არაერთგვაროვანი, ძირითადად ქართულ-სომხური შემადგენლობისაა, ე. ი. მებრძოლი ჯგუფები იქმნებოდა არა ეროვნული, არამედ პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, რაც იმასაც ნიშნავდა, ალბათ, რომ, მემატიანის აზრით, კავკასიის გაერთიანება ქართველი და სომხები მონათესავე დინასტიების საერთო საქმე იყო. ვფიქრობ, ამგვარ ურთიერთობათა სურათი ისატება „მატიანე ქართლისაც“ შემდეგი ადგილებიდან: „ხოლო ნასრა, ძე გუარამისი, და გურგენ იყენეს აფხაზთა კერძ, ხოლო დავით და ლიპარიტ უშუელდეს სომებთა, და იბრძოდეს სომები და აფხაზნი ქართლსა ზედა“¹⁸³; „ხოლო ნასრას შეუკრძეს მტკრად სომები, ლიპარიტ და ქართველნი, და აშოტ ძმა დავითისი, და მათ თანა სარკინოზნი“¹⁸⁴; „მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი; უშუელეს სომებთა, შეიძნეს

მტკუარსა ზედა; იძლივნეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვსი, და ერისთავი აფხაზთა“¹⁸⁵. X ს. დასაწყისის ამბების გადმოცემისას კი ქართველი მემატიანე გვაუწყებს: „მას უამსა გამოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი, და ემტერა სომებთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი, გამოილაშქრა სპითა დიდითა, და მოადგა უფლისციხესა, და მოიღეს პალან-კურდანი, აღმოაგეს ზემო-კერძი და წარიღეს ციხე წერითა. ხხოლო კეთილად იმზახნეს სუმბატ და კოსტანტი, და უკუმოსცა უფლისციხე და ყოველი ქართლი“¹⁸⁶. მემატიანის ამ ცნობაში არაერთი წინააღმდეგობრივი ხასიათის პასაჟია მოცემული. გაუგებარია, რა აზრი ჰქონდა დიდი ლაშქრობის მოწყობას ქართლისა და უფლისციხის ასაღებად, თუკი შემდეგ ნებაყოფლობით უნდა დაეთმო სომებთა მეფეს? ანდა, თუ მოლაპარაკებით შეიძლებოდა პრობლემის მოგვარება, რატომ არ შედგა ის მოის დაწყებამდე? როგორც ჩანს, ჩვენი ავტორის მიზანი იყო ეჩვენებინა ქართველებსა და სომხებს შორის ომის პირობებშიც კი „კეთილად მზახობის“ შესაძლებლობა, მათ ურთიერთობაში საერთო ინტერესების პრევალირება კერძოზე, რაც უშუალოდ გამომდნარეობდა ქართულ სამეფო კარზე შემუშავებული იდეოლოგიდან.

X ს. მეორე ნახევრიდან კავკასიაში შექმნილი საშინაო და საგარეო პირობები ქართველ ხელისუფლებს სხენებული პოლიტიკური პროცესის სათავეში აქცევენ, რის გამოც ჩვენი მემატიანები ამ ხანის ამბების გადმოცემისას სრული იბექტურობით ადასტურებენ (დავით კურაპალატით დაწყებული ბაგრატ IV ს. ჩათვლით) ქართველ ხელისუფლთა გავლენის პერმანენტულ ზრდას კავკასიაში, მისთვის შესაფერისი შინაარსის გამოთქმებით. მაგალითად, დავით კურაპალატმა „მოუწოდა ლაშქარსა თესა და უმრ ყოველთა მეფეთა სომხითისათა“¹⁸⁷; როდესაც ბაგრატ III-მ მოციქული გაუგზავნა ანისის მეფე შაჰანშა გაგიკ I-ს და განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ ლაშქრობა შესთავაზა, ქართველი მემატიანის თქმით, გაგიკმა „განიხარა სიხარულითა დიდითა, მოსწრაფედ მოუწოდა ყოველთა სპათა თესათა, წარმოემართა და მოვიდა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა“¹⁸⁸. სუმბატ დავითის ძის მტკიცებით კი ბაგრატ III-მ „დაიპყრა ყოველი კავკასია თომიშერობელობითა ჯიქეთითან ვიდრე გურგენდმდე. ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომ-

¹⁸³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 259.

¹⁸⁴ იქვე, გვ. 260.

¹⁸⁵ იქვე, გვ. 262.

¹⁸⁶ იქვე, გვ. 277.

¹⁸⁷ იქვე, გვ. 279-280.

ხითისა ქულმწიფებითა, ნებიერად განაგებდა¹⁸⁹. სხვათა შორის, სომხური წყაროების ერთი ნაწილიც აღნიშნავს დავით კურაპალატის, ბაგრატ III-ის, გიორგი I-ის და ბაგრატ IV-ის დიდ გავლენას სომხურ სამეფოზე.

ლეონტი მროველის, ჯუანშერის, „მატიანე ქართლისაც“ ავტორის და სუმბატ დავითის ძის დაინტერესება სომხური თემით, არსებითად, ერთი და იმავე იდეოლოგიურ საფუძვლებს ემყარება და ფაქტების შერჩევისა და გადმოცემისას ისინი ერთმანეთს ავსებენ. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ გაერთიანებული საქართველოს მთავარი პოლიტიკური მიმართულება სომხეთის შემოერთებისა და კავკასიის მომავალი გაერთიანებისაკენ, ძირითადად, განსაზღვრავდა XI ს. ქართველი მემატიანების დამოკიდებულების ფორმას მათი თანამედროვე და წინამორბედი სომხური ისტორიოგრაფიის ცნობილი ტენდენციების მიმართ. მათი ღია კრიტიკის ნაცვლად, ხსენებული ქართველი ავტორები თანადროულ საზოგადოებას სთავაზობენ დროის შესაფერისად გამართულ კავკასიის ისტორიის ახალ მოდელს, რომელიც უკვე თავისთავად უარყოფდა ახალი რეალობებისათვის შეუფერებელ ძველ სომხურ მოდელს.

მომდევნო საუკუნეებში, სომხური სამეფოების დასუსტებისა და გაქრობის კვალობაზე, სომებს ავტორთა თხრობის მედიდური ტონი და ჰეგემონისტური მიღრეკილებები თანდათან ცხრება და საპირისპიროდ იცვლება. ისტორიული სომხეთის დიდი ნაწილის საქართველოს ცენტრალიზებული მონარქიის შემადგენლობაში შემოსვლის შემდეგ კი სომხეთის ისტორია საქართველოს ისტორიის ნაწილად იქცა, რის გამოც სომებს ავტორთა ინტერესი მის მიმართ უზომოდ გაიზარდა და მათი დამოკიდებულება ამ ისტორიისადმი შემრიგებლური და თბილი გახდა. ნიშანდობლივა, რომ დაახლოებით, XII ს. მეორე ნახევარშივე ითარგმნა სომხურ ენაზე „ქართლის ცხოვრება“ და სულ მაღლე მისმა თეორიულმა დებულებებმა და ცნობებმა ასახვა პოვეს სომხურ ისტორიოგრაფიაში. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ ძირითადი კონცეფციისა და ქართული კულტურის გავლენის კვალი აშკარად შეიმჩნევა მხითარ აირივანეცის „ქრონოგრაფიულ ისტორიაში“. სომხური ტრადიციის საპირისპიროდ, მხითარ ეპისკოპოსს ჰაიკი, სომებთა ლეგენდარული მამამთავარი, ქართველ მთავართა სიაში შეჰყავს¹⁹⁰ და აღნიშნავს მისი

რვა ძმის არსებობას, რომელთაც, თურმე, მან გაუნაწილა ვრცელი ტერიტორია ტრაპიზონიდან დარიალამდე და დარუბანდამდე¹⁹¹. ამ გადმოცემაში მთავარი ისაა, რომ ჰაიკის ძმების ცნობით, მხითარ ეპისკოპოსი, ნებით თუ უნებლიერ, იზიარებს ლეონტი მროველის კონცეფციის მთავარ იდეას კავკასიის ხალხთა ნათესაობის შესახებ, რაც კავკასიური მასშტაბის მრავალეროვნული ქართული სახელმწიფოს უმთავრეს დოქტრინად იყო უკვე მიღებული. ასევე, სომხური ტრადიციის საპირისპიროდ, მხითარ აირივანეცი იზიარებს ლეონტის თვალსაზრისს ქართული ანბანის შექმნის თაობაზე, როცა წერს, რომ პირველმა ქართველმა მეფემ ფარნავაზმა ექვსი ენიდან შექმნა ქართული და მანვე შექმნა მათი დამწერლობაო¹⁹².

სომხური ტრადიციისგან განსხვავებით თარგამოსის შვილებზე – ჰაიკსა და მის შვიდ ძმაზე ლაპარაკობს ვარდან არეველციც¹⁹³. სხვა ადგილას კი იმავე თემაზე საუბრისას წერს: „ქართველთა მეფობის დასაბამზე მათ წიგნებში წერია, რომ თარგამოსი რვა ვაჟით მოვიდა აირარატის გავარში დიდი წარლვნის შემდეგ. მისი სამი ვაჟი ჰაისი, ქართლოსი და კავკასიონი გახდნენ პირველი ტახტის მფლობელები, გაბატონდნენ ქვეყნებზე და თავიანთი სახელების მიხედვით უწოდეს ჰაისი, ქართლი და კავკასია. (ისინი) ბატონობდნენ პონტოს ზღვიდან კასპიის ზღვამდე“¹⁹⁴.

ქართველ-სომებთა ნათესაობის მიმანიშნებელ ამ ტექსტში ყურადღებას იქცევს ერთობ საგულისხმო გარემობა, რომლის მიხედვითაც დასახელებული სომები ავტორები დუმილით გვერდს უვლიან ლეონტის ცნობას ჰაისის პირმშობისა და მასთან დაკავშირებული პრივილეგიების არსებობაზე, რაც, თითქოს, მათ ინტერესებს უნდა შორდებოდეს. მართალია, მხითარ აირივანეცი განსაზღვრული ინიციატივის მქონედ წარმოგვიდგენს ჰაისს, რომელიც უშუალოდ უნანილებს ძმებს ტერიტორიას ტრაპიზონიდან დარუბანდამდე, მაგრამ ძმებს შორის უპირატესობის მქონედ გარკვეულად არავინ ჩანს. ძმების თანაბარუფლებიანობა კიდევ უფრო მკაფიოდაა აღბეჭდილი ვარდან არეველცის მოყვანილ

¹⁸⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 382.

¹⁹⁰ მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია, ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბილის, 1990, გვ. 31.

¹⁹¹ მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია, დასახელებული გამოცემა, გვ. 47.

¹⁹² იქვე, გვ. 57.

¹⁹³ ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, ნოდარ შოშიაშვილისა და ეკაკვაჭანტირაძის გამოცემა, თბილისი, 2002, გვ. 426.

¹⁹⁴ იქვე, გვ. 116.

ტექსტში, რომლის თანახმად, მხოლოდ თარგამოსის სამი ვაჟი ჰაოსი, ქართლოსი და კავკასოსი ბატონობდნენ ვრცელ ტერიტორიაზე პონტოს ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ისინი თვითონ გახდნენ პირველი ტახტის მფლობელები. როგორც ჩანს, არსებული სინამდვილე (მონლოლთა ბატონობის პირობებშიც კი ქრისტიანული სომხეთი საქართველოს შემადგენლობაში „გურჯისტანის ვილაიეთში“ განიხილებოდა) შორეული წარსულის რეკონსტრუქციის სხვა საშუალებას აღარ იძლეოდა, სომხური ტრადიცია კი სომხეთა გენეტიკურ უპირატესობაზე, ახლა უკვე დამაჯერებლობას მოკლებული, ანაქრონიზმად გამოიყურებოდა.

დიდი ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტორი კავკასიაში, რომლის შემადგენლობაში შემოსული სომხეთი მთელ ქვეყანასთან ერთად სოციალურ-ეკონომიკურსა და კულტურულ აღმავლობას განიცდიდა, თავისთავად უკვე დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო მომთაბარეთაგან გადარჩნილი ამ ნანილის უშიშროებისა და თავისუფალი განვითარებისათვის, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მრავალჭირგამოვლილ სომხეთა ცნობიერებაზე. და როგორც აკად. ს. ერემიანი წერდა, XVIII ს. კი სომხეთის მომავალი საქართველოს გარეშე არც წარმოიდგინებოდა¹⁹⁵. ასეთმა განწყობილებამ, ბუნებრივია, რომ შესაფერისი ასახვა პოვა XII-XVIII სს. სომხურ ისტორიოგრაფიაში. ქართული სახელმწიფოებრიობის როლი და მნიშვნელობა აღნიშნული ხანის სომხური საზოგადოების ცხოვრებაში, ვიზირობ, ყველაზე ზუსტად გამოცემულია XV ს. სომხეთი მონაზონის მათეოს განძასრელის თხზულებაში, სადაც დიდი მნუხარებაა გამოთქმული საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის დალუპვის გამო და იქვე განმარტებულია ამ მნუხარების სიმიმის მიზეზი: „რადგანაც დიდსა ნათესავსა ჩვენსას ჰყავდა ის თავის მეფის მაგივრად“¹⁹⁶. ამ ტექსტში კონსტანტინე ზოგადი მნიშვნელობით ქართული სახელმწიფოებრიობის განმასახიერებელ მეფედა წარმოდგენილი და სომხეთი მემატიანის მიერ მისი სომხეთა მეფის „მაგიერად“ მიჩნევა, ფაქტობრივად, ნიშნავს ქართული სახელმწიფოსათვის სომხური სახელმწიფოებრიობის ფუნქციების მინდობასაც. დაახლოებით ამგვარადვე გააზრებული სომხებისათვის ქართული სახელმწიფოს მნიშვნელობა იმავე ხანის მეორე სომხეთის თოვმა

¹⁹⁵ С. Т. Еремян, Общность судеб и культурно-политическое содружество народов Закавказья в IX-XIII вв., "Кавказ и Византия", №1, Ереван, 1979, с. 9.

¹⁹⁶ სომხურ ხელნაწერთა ანდერძის ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს. აღ. ადალაძის გამოცემა, თბილისი, 1978, გვ. 35-36).

მეწოფეცის თხზულებაში, სადაც წერია: „ჩვენ (ე. ი. სომხები) უსჯულო-თა ხელში ყოველთვის ქართველების იმედით ვიქადოდით“-ო¹⁹⁷. ცენტრალიზებული ქართული მონარქიისადმი სომხეთა ასეთი დამოკიდებულების გამოვლინებად, ალბათ, უნდა მივიჩნიოთ სომხურ ისტორიოგრაფიაში უფრო ადრე შემუშავებული ცნობილი ფორმულირებები: „ქართველთა და სომხეთა მეფე“, „ქართველთა და სომხეთა“ ან „სომხეთა და ქართველთა“ ჯარი, „ქართველთა და სომხეთა მხედართმთავარი“ და სხვ. ს. ჯანაშიას დაკვირვებით, საკითხის იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური მხარე ის იყო, რომ სომხური მოსახლეობა ქართულ სახელმწიფოებრიობას მმართველობის მთელი აპარატით აღიქვამდა, როგორც საკუთარ, მშობლიურ სახელმწიფოებრიობასა და საერთო სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს¹⁹⁸. ასეთი ფსიქიკური განწყობისას, სრულიად ბუნებრივად, იბადებოდა ქართული სახელმწიფოს დიდების შექმნის თანამონაწილედ სომხეთა წარმოსახვის კანონიერი სურვილი, რის გამოც XIII ს. სომეხ ისტორიოსთა შრომებით არაიშვიათად ვხვდებით სომხური წარმომავლობის, სომხური სარმზუნოებისა თუ სომხური თემების მმართველ-მოხელეთა გაიდიალებისა და მათი ღვანლის გადაჭარბებით შეფასების შემთხვევებსაც. მიუხედავად ამისა, კირაკოს განძაკეცი, გრიგოლ აკანეცი, სტეფანოს ორბელიანი და სხვები ყოველთვის სათანადოდ აფიქსირებენ ქვეყნის სომხურ ნაწილშიც ერთიანი უზენაესი ხელისუფლების არსებობას. ეტყობა, ქართულ სახელმწიფოებრიობასთან სომხეთა ორგანული კავშირისა და სიახლოვის შთაბეჭდილების გასაძლიერებლად XII-XIV სს. სომეხ ავტორთა თხზულებებით თავს იჩენს მეზობელი სამეფო დინასტიების საერთო წარმომავლობისა თუ მათი წარმომადგენლების მოყვარულ კაშირებზე ყურადღების გამახვილება, რაც, საბოლოო ჯამში, ქართველთა და სომხეთა ერთ სახელმწიფო თანაცხოვრების კანონზომიერების აზრს ამართლებდა. უფრო მეტიც, კირაკოს განძაკეცისთან დაცული ერთი გადმოცემით საქართველოს ხელისუფლები ძველი სომხეთის ძლიერების ხანის არშაკუნიანთა პოლიტიკურ მემკვიდრებადაც კი არიან გამოყვანილი. სომხეთი მემატიანე წერს: „დიდმშვენიერი, ძვირფასი ტახტი და გასაოცარი გვირგვინი,

¹⁹⁷ თომა მეწოფელი, თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები პროფ. ლ. მელიქესთ-ბეგისა, თბილისი, 1937, გვ. 29.

¹⁹⁸ აკად. ს. ჯანაშია, Об одном примере искажения исторической правды, по поводу книги Н. Токарского "Архитектура древней Армении", Тбилиси, 1947, с. 47.

რომელთა მსგავსი მეფეთაგან არავის პქონია და რომელთა შესახებ ამბობენ, რომ სომეხთა მეფის თრდატ დიდის მამის ხოსროვისა იყო, ადგილთა მიუდგომლობის წყალობით იქ (ე. ი. საქართველოში) დაცული შემონახულა. შემდეგ კი ისინი ქართველთა მეფებს რგებიათ და პქონიათ დღემდე¹⁹⁹. ასეთი თვალსაზრისის გავრცელება და დომინირება კავკასიაში, ცხადია, რომ სავსებით ეთანხმებოდა ქართველ პოლიტიკა-სთა სტრატეგიულ ამოცანებს.

XV ს. დასაწყისიდან, როცა მომთაბარე თურქმანებმა საქართველოს ძალით მოწყვიტეს სომხეთის დიდი ნაწილი და ის ბარბაროსულ-ფეოდალურ ურთიერთობათა მარწუხებში მოაქციეს, სომეხთა ლტოლვა ქრისტიანული კულტურის მეზობელი ქვეყნისკენ კიდევ უფრო გაძლიერდა. XV და შემდგომი ხანის სომეხ ავტორთა თხზულებებში აღარ ვხვდებით კონფესიურ დაპირისპირებათა მწვავე სიტუაციებზე მინიშნებებს. პირიქით, მონოფიზიტი მწერლები ქართული ეკლესის სიმტკიცეს ნატრობენ, რადგანაც ეს მათი მფარველი სახელმწიფოს ინტერესებში იყო²⁰⁰. ლ. მელიქესეთ-ბეგის დაკვირვებით, თვით ანტიქალკედონიზმის ისეთი აპოლოგეტი, როგორიც თოვემა მეწოდეცი იყო და რომელიც თავისი კონფესიური მოსაზრებების გამო ქართველებს ათვალისწინებით უყურებდა, მაინც იმაზე უცნებობდა, რომ სომხეთი კვლავ ქრისტიანი ქართველი მეფის მფარველობაში მოხვედრილიყო²⁰¹. ამ დროიდან მოყოლებული XVIII ს. ბოლომდე, ვიდრე ქართული სახელმწიფოებრიობა კავკასიაში პოლიტიკური მოვლენების ერთ-ერთი უწნიშვნელოვანესი განმასაზღვრელი ფაქტორი იყო, სომხურ საისტორიო მწერლობაში ქართული ორიენტაციის ნიშნები სხვადასხვა ფორმით ყოველთვის ცოცხლობდა. ამ ხანის სომხეთი ისტორიკოსები დიდი სიმპათითა და თანაგრძნიბით წერენ ქართველთა შეუპოვარ ბრძოლებზე სპარსელთა და ოსმალთა წინააღმდეგ. სიმონ I-ის გმირული ბრძოლებით აღტაცებული არაქელ დავრიულცი მას „დიდ სიმონ ხანს“ უწოდებს²⁰², გრიგორ დარანალცის

¹⁹⁹ ԱՐՄԵՆԻԱ ՊՐԵՍԵՎՐՈՎԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ Կառավարությունը 1920-30 Կիրակոս Գանձակեցի, История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларян, Москва, 1976, с. 195

²⁰⁰ იხ. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, ჰიმტაკარანი 60, კომენტარი 56.

²⁰¹ Հայոն Թյաղովյան-ბეգი, ძველი სომხუրი ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941, გვ. 164-165.

²⁰² Արակել დავրուշյան ცნობები საქართველოს შესახებ, ք. շუცուած გამოც. თბილისი, 1974, გვ. 12.

დახასიათებით კი სიმონ I „სომხეთის დიდი მოსიყვარულე და განსაკუთრებით ვარდაპეტების დიდი პატივისმცემელი იყო“²⁰³. სიხარულითა და მომავლის იმედით აღნერს ზაქარია ქანაქერცი ქართველთა გამარჯვებას გიორგი სააკაძის მეთაურობით მარტყოფის ველზე 1625 წ. 25 მარტს. მისი სიტყვით „თითქოს ჭიანჭველები დაემდულროთ, ისე ერთიანად მოსპეს სპარსელები ქართველებმა“²⁰⁴.

განსაკუთებით დიდი ადგილი ეთმობა გვიანი შუა საუკუნეების სომხურ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ VI-სა და ერეკლე II-ის მოღვაწეობის აღნერას და შეფასებას, რომელთა სახელებს სომხური პოლიტიკური წრები უშუალოდ უკავშირებდნენ კავკასიის „საქრისტიან ქვეყნის“ აღდგენისა და სომხეთის განთავისუფლების იმედებს. ვახტანგ VI-ის თანამედროვე განძასარის სომხეთი კათალიკოსი ესაი ჰასან ჯალალიანცი თავის ცნობილ ნაშრომში ვახტანგ VI-ს სომხეთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ორგანიზატორად და მეთაურად ნარმოგვიდგენს²⁰⁵. მსგავს შეფასებას აძლევენ ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას თანადროული სხვა სომხეთი ავტორებიც (დავით ბეგის ისტორიისა და სხვადასხვა ხასიათის უამთააღმნერლობათა ავტორები).

საქართველოს და სომხეთის გაერთიანების იდეა სომხურ ისტორიოგრაფიაში ერთობ აქტუალური ხდება თემიურაზ II-სა და ერეკლე II-ის ქართლსა და კახეთში, თითქმის, გამეფებისთანავე. XVIII ს. 50-იან წლებში ერეკლე II-ის გამარჯებული სამხედრო ნარმატებების შთაბეჭდილებით სრულიად სომხეთა კათალიკოსი ღუკასი (ღუკა) წერდა: “დაიმორჩილა ბორჩალოს, ყაზახის, ერევნის, განძაკის, არცახისა და სივნიეთის მფლობელი, გვირგვინი დაიდგა და გამეფდა საქართველოსა და სომხეთში მდინარე ახურიანამდე“²⁰⁶. XVIII ს. 60-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის, საუკუნის ბოლომდე სომხურ პოლიტიკურ წრებში აქტიურად განიხილებოდა ქართულ-სომხური გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის სხვადასხვა პროექტები, რომლებმაც სომხურ საისტორიო, თუ სამართლებრივ ლიტერატურაში პოვეს ასახვა. ამ მხრივ

²⁰³ Յ. շუცուած, გრიგორ დარანალცის ცნობა სიმონ I-ის სტამბოლში ტყვეობის შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, I., თბ. 1976, გვ. 122-123.

²⁰⁴ Զաχարի Կանակեցի, Խроника, მოსკოვი, 1969, გვ. 55.

²⁰⁵ Եსայ ჰასაն ჯალალიანცი, ავღანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, კარლ კუციած გამოცემა, თბილისი, 1971, გვ. 30-38.

²⁰⁶ Հայոն Թյաղովյան-բეգը 6 1899 729

სიმბოლურად გამოიყერება შამირ და იაკობ შაპამირიანების ავტორობით 1773 წ. მადრასში გამოსული წიგნი „დიდების მახე“ (ვოროგაით ფარაც), რომლის სატიტულო გვერდზე მოხსენიებულია „მამამთავრობა უფლისა სიმეონისა, სრულიად სომეხთა კათალიკოსისა ვალარშაპატს და მეფობა უავგუსტესის უფლის ერეკლე მეორისა თბილის“. ამით ეს სომხური პოლიტიკური წრე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს უკვე ოფიციალურად აღიარებდა სომხეთის მეფედაც.

გასაგებია, რომ XII-XVII საუკუნეების სომხური ისტორიოგრაფიის პროდუქცია თანადროულ ქართველთა განსაკუთრებულ კომენტარს აღარ საჭიროებდა.

თავი 11

XIX საუკუნის სომხური ისტორიოგრაფია ცარიზმის ათეიკართული იდეოლოგიური პოლიტიკის სამსახურში

ქართული სახელმწიფოებრიობის მარცხთან ერთად (1801 წ.) სომხური ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის მიმართ ერთბაშად შეიცვალა და, ძირითადად, ნეგატიური სახე მიიღო. ამ არასასურველ მოვლენას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები გააჩნდა, როგორც ობიექტური ისე სუბიექტურიც, რომელთა შორის უმთავრესი, მანც, რუსული იმპერიის კოლონიური პოლიტიკა იყო. საკითხის არსში უკეთ გასარკვევად მცირე ისტორიულ ექსპრესსაც მივმართოთ.

კავკასიაში დამკიდრებისთანავე რუსეთმა, რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა უდერდეს, ყველაზე მეტი შეურიგებლობა და უნდობლობა გამოიჩინა იმის მიმართ, ვინც გზა გაუხსნა მას კავკასიაში შემოსასვლელად. რუსული იმპერიის ეს უმაღურობა გამოწვეული უნდა ყოფილიყო შემდეგი მოტივებით:

1. მფარველისა და მეგობრის ნილბით შემოსულმა ერთმორწმუნე რუსეთმა ვერაგულად დაარღვია პირობა და ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვის მაგიერ, ის ძალით გააუქმა, რითაც ქართველი ხალხის ლირსება ძლიერ შელახა. მის მიერ პატივაყრილი ხალხის ნდობა კი მას აღარ შეეძლო.

2. მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე ქართველი ხალხი, რეპრესიების მიუხედავად, არ ურიგდებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვას და წინააღმდეგობის საკვირველ უნარს იჩენდა. 1802 წლის თავად-აზნაურთა გამოსვლა, 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1819-20 წლების დასავლეთ საქართველოს აჯანყება, 1832 წლის შეთქმულება და სხვა თანხმობით მოწმობდნენ, რომ რუსეთის იმპერია ჩვენში ვერასოდეს პოვებდა თავისი ბატონობისათვის მყარ დასაყრდენს. მხოლოდ თავადაზნაურთა მცირე ნაწილის მიმხრობა და გარუსება შეძლო იმპერიამ 40-იანი წლებ-

ის შემდეგ, რაც მისი პოლიტიკური მიზნებისათვის სულაც არ იყო საკმარისი.

3. ქართული სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა და მდიდარი ქართული კულტურის გავლენა კავკასიაში ჯერ ისევ მნიშვნელოვანი იყო, რაც ცარიზმის პოლიტიკის წარმატებას ამ რეგიონში სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა. ერთი სიტყვით, საქართველო და ქართველი ხალხი რუსეთისათვის დანაღმულ ველს წააგავდა, რომლის გაუვნებელყოფის გარეშე თავისუფალი მოქმედება ეზლუდებოდა.

ასეთი ვითარების გამო იყო, რომ პოლიტიკური ცვლილებები სამხრეთ კავკასიაში, რაც რუსეთის გაბატონებას მოჰყვა ამ რეგიონში, თავიდანვე, აშკარად, ქართველთა ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ წარიმართა. ჯერ იყო და, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ, თავისთავად, უცხო ეთნიკური წარმომავლობის საქართველოს ძველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი წანილის კულტურულ-პოლიტიკურ ცნობიერებაში ბზარი გააჩინა, რაც სათანადო აისახა სომხური მოსახლეობის განწყობაშიც. საერთო ქართულ ინტერესებთან საკუთარი ინტერესების კვლავაც დაკავშირება, მით უფრო, ქვეყნის ახალი პატრონის მძღავრობის ვითარებაში, სომეხთა უმრავლესობისათვის საეჭვო და მიზანებუნელი გახდა, რის გამოც მან ტრადიციული თანამშრომლობიდან დაშორება და გაუცხოება ინყო. 6. მარის დაკვირვებით, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, საქართველოს სომხობამ „ქართული ეროვნული კოლექტივის მესამე წლდებს მდგომარეობიდან სომხურ საზოგადოებრივ ძალად ინყო გარდაქმნა“¹. საქართველოს საზოგადოებაში დაწყებული გაუცხოების ეს პროცესი ხელს აძლევდა მთავრობას და მისი შემდგომი გაღრმავება-განვითარებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებებსაც სახავდა. განსაკუთრებით მავნე შედეგების მომტანი იყო მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ქართველთა საზიანოდ მექანიკური შეცვლა, ხალხების ერთმანეთთან დაპირისპირება და თვით ქართული ეროვნული სხეულის კუთხური, ეთნოგრაფიული და კონფესიური ნიშნით დაშლა-დანანილება, ქართული ენის დევნა, მისი ისტორიისა და კულტურის წაშლა-აღმოფხვრა და სხვა.

საქართველოს კოლონიზაციას უკვე 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტისათვის თანდართული რესკრიპტი ითვალისწინებდა. მრავალრიცხვანი უცხო ეთნიკური ჯგუფების მოზიდვა საქართველოში და ვრცელი

ახალი დასახლებების შექმნა იმ დროს, როცა ადგილობრივი ქართველი გლეხი მიწის ნაკლებობას განიცდიდა და თავისუფალ მიწებზე დასახლებას უკრძალავდნენ, ბუნებრივია, რომ ეს მოსულსა და დამხდოურს შორის დაპირისპირებას ბადებდა. საყურადღებოა, რომ საქართველოში იმპერიის დემოგრაფიული პოლიტიკის რეალიზაცია, უპირატესად, სომხურ ელემენტს ჰქონდა მინდობილი. უცხოეთიდან სომხების ჩამოსახლება ჯერ კიდევ გენერალმა პავლე ციციანოვმა დაიწყო ერევნის მხრიდან და ირანის აზერბაიჯანიდან, რომელთაც ქვემო ქართლის სოფლებში ასახლებდნენ. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გენერალმა პასკევიჩმა, რომლის გარჯით მესხეთში 30 ათასი სომხები ჩამოასახლეს. ორი ათას ოჯახზე მეტი – ბორჩალოს, ნალკის დაბამბაკ-შორაველის მიდამოებში. მთავრობა შემდგომშიც თანამიმდევრულად განაგრძობდა, ძირითადად, საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში კომპაქტური სომხური დასახლებების შექმნას. იმ მიწების მნიშვნელოვანი წანილი, რომელიც ემიგრაციაში წასვლამდე აფხაზებს ეკავათ, XIX ს. 80-90-იან წლებში დაიკავეს თურქეთიდან მოსულმა სომხებმა. იმავე პერიოდში სომხური დასახლებები შეიქმნა ბათუმში. სომხების ჩამოსახლებამ საქართველოში მაქსიმუმს მიაღწია XIX-XX სს. მიჯნაზე. ხუთი წლის განმავლებაში (1897-1902) საქართველოში შემოვიდა დაახლოებით 55 ათასი სომხები, რომელთა უმრავლესობა ჩასახლდა თბილისში, ბათუმში, გორში, სოხუმსა და აფხაზეთის სოფლებში. მარტო თბილისში 1897-1910 წე-ში სომხების რაოდენობა გაიზარდა 46,7 ათასიდან 124,9 ათასამდე, რომელთაგან 68 ათასი ახლად მოსული იყო უპირატესად თურქეთიდან². ცარიზმის დემოგრაფიული პოლიტიკის აგრესიული ხასიათი იმაშიც ვლინდებოდა, რომ სომეხთა ჩამოსახლებას საზღვრისპირა რაიონებში, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში, თან სდევდა ქართული მოსახლეობის დევნა-შევინროება³. ლ. ზაგურსკის თქმით, „ქვეყანა ისეთ სახეს იღებდა თითქოს იგი თავიდანვე სომხებით ყოფილიყოს დასახლებული“⁴, მაშინ როდესაც 1828 წლამდე აქ 90% ქართველი იყო.

იმპერიის მოხელეების მიერ საქართველოში სომხური მოსახლეობის მექანიკურად და თანამიმდევრობით გაზრდა, რომელიც ქვეყნის უცხოეთნიკურ წანილში ისტორიულად ისედაც სხვაზე უფრო მრავალრიცხ-

² 3. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX სს-ში, თბილისი, 1984, გვ. 228.

³ შოთა ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, 1975, გვ. 359-361.

⁴ Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г., с. 65.

¹ Mapp H. Я. Кавказский культурный мир и Армения, Петроград, 1915, с. 51.

ოვანი და ეკონომიკურადაც უფრო შეძლებული იყო, ცხადყოფდა, რომ იმპერიას თავისი ბატონობის სოციალურ ბაზად ჩვენში სწორედ ეს მოსახლეობა აერჩია. აქეთკენ უბიძგებდა რუსეთის მთავრობას სომხურ სავაჭრო ბურჟუაზიასთან მისი ძველი კავშირებიც, რომლის გულის მოგებას ის ყოველთვის ცდილობდა. ამიტომ ამ მოსახლეობის იმპერიის სამსახურში ჩაყენება, ჩანდა, რომ რუსეთის მთავრობას არ უნდა გაჭირებოდა, რომლის მნიშვნელობის გასაძლიერებლად საქართველოში მან საკმაოდ ბევრი გააკეთა. კავკასიის ადმინისტრაციის უმაღლეს მოხელეებს სომხეთი ვაჭრების მატერიალური და მორალური წაქენება თანამდებობრივ მოვალეობად მიაჩინდათ აძლევდნენ რა მათ პრივალეგიებს, მონოპოლიებს, სამხედრო იჯარებს, სესხებს და ანიჭებდნენ სხვა უპირატესობებს. საქართველოს სომხური მოსახლეობისათვის, ძირითადად, მისი მქონებელი ფერისათვის ხელშეწყობის რეჟიმის შექმნა, გასაგებია, ამ მოსახლეობას ხელისუფლებისადმი ლოიალურად განაწყობდა და რეჟიმით კმაყოფილი ნაწილი თავს არ ზოგავდა ცარიზმის პოლიტიკური ინტერესების დასაცავად, რათა მისგან შემდგომში კიდევ უფრო მეტი შეღავათები და ხელშეწყობა მიეღო. მაგალითად, თბილისელი სომხეთი ვაჭრები დავით ზარგაროვი და დავით მანანოვი, რომელთაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თემებთან ადრე ჰქონიათ სავაჭრო კავშირები და იქ „თავიანთი კაცები“ ჰყავდათ, მეფის ჯარებს აქტიურად დახმარებიან აჯანყებულ თუშ-ხევსურთა „დამშვიდებაში“⁵. 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩაბმობისას დამსჯელ სამხედრო წანილებს დიდ დახმარებას უწევდნენ სილანალელი სომხეთი ვაჭრები ამირან და არტემ შავერდოვები⁶. ნიშანდობლივია, რომ 1838 წ. ბარონი როზენი შენაგან საქმეთა მინისტრს გრაფ ბლუდოვს სთხოვდა, რათა ამირან და არტემ შავერდოვები XIV კლასის ჩინებით დაეჯილდოებინათ, რომელთაც კახეთის აჯანყების შემდეგ სილანალში ბაბბის ნართის წარმოებისათვის დიდი ევროპული ფაპრიკა აეშენებინათ⁷. კახეთის 1812 წ. აჯანყების ჩაბმობაში სომხეთა როლზე, ბევრად უფრო ადრე, მთავარმმართებელი, კავკასიის ჯარების მთავარსარდალი, ინფანტერიის გენერალი ნ.თ. რტიშევი აღექსანდრე I-ს სწერდა: „მთელ საქართველოში კაცი აღარ დარჩა ჩვენი ერთგული. მარტო სომხებმა არ თუ არ მიიღეს მონაწილეობა ამბოხებაში, არამედ სიცოცხლესა და ქონებასაც არ ზოგავენ... ჩვენ

⁵ ACKAK, V, № 2 139, გვ. 106.

⁶ იქვე, VIII, №927, გვ. 909.

⁷ იქვე.

ჯარებთან ერთად იბრძოდნენ მშფოთვართა გასაწყვეტად... მთავრობა სომხებს უნდა უმაღლოდეს, რომ დროზე და წინასწარ იტყობდა, რას აპირებდნენ მეამბოხენი და სად ჰქონდათ ბინა“⁸. სომებთა ერთგულების განსამტკიცებლად 1812 წ. 13 მაისს გენერალი რტიშევი იმპერატორს სთხოვდა საქართველოს სომხეთა დაჯილდოებას⁹. იმავე წლის 15 სექტემბერს თბილისში იღებენ ალექსანდრე I-ის წერილს, რომლითაც საქართველოს სომხურ მოსახლეობას რუსეთის წინაშე დამსახურებისათვის იმპერატორი მადლობას უცხადებდა. იმპერატორის ეს წერილი საბჭოთა პერიოდის რამდენიმე სომხეთი ავტორის წიგნში გამოქვეყნდა, სულ ბოლოს კი ამ წერილმა თავისი ადგილი 1995 წ. მოსკოვში გამოცემულ სერგო მამულოვის წიგნში ბოვა ისე, რომ ავტორს, ამის გამო, როგორც ჩანს, არავითარი უხერხულობა არ უგრძვნია¹⁰.

იმპერიის ერთგული სამსახურის სანაცვლოდ მიღებული პრივილეგიებისა და მხარდაჭერის წყალობით საქართველოს სომხური ბურჟუაზია თანდათან დაეუფლა ქართული ფეოდალური არისტოკრატიის ქონების მნიშვნელოვან წანილს და გაპატონებული მდგომარეობა მოიპოვა ქალაქებში, განსაკუთრებით კი თბილისში. ეს ვითარება ასახულია იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში, აგრეთვე, პუბლიცისტურ, მხატვრულ და საერთოდ ლიტერატურულ წყაროებში. მაგალითად, 1874 წ. ს. მესხი გაზიეთ „დროებაში“ წერდა: „ახლანდელი თბილისის კომერციულ ცხოვრებაში წამყვან როლს სომხეთი ვაჭრები თამაშობენ; მათ ეკუთვნით უძრავ-მოძრავი ქონების დიდი წანილი. თითო-ოროლა იმერელს ან მეგრელს თუ შეხვდებით სადმე, ისიც მოხელეთა და საზოგადოთ წვრილ ვაჭართა და მეპატრონებით შორის... ქალაქის 72 დეპუტატითვანგ მხოლოდ სამი თუ ოთხი ქართველია... ერთი თუ ორი რუსი და ერთიც გერმანელი, დანარჩენი სულ სომხები არიან“¹¹. სომხეთი ისტორიკოსების გამოანგარიშებით, თბილისის სავაჭრო და სამრეწველო სანარმოთა 60%-ზე მეტი სომხე კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ¹². ერთი მაინც ფაქტია, სომხური ბურჟუაზიისადმი მთავრობის ხელშეწყობამ თავიდანვე ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ეკონომიკური ცხოვრების სადაცები სულ მაღლე სომხეთი ვაჭრების ხელში აღმოჩნდა და რუსული კაპიტალის

⁸ ACKAK, V, გვ. 221-222.

⁹ იქვე.

¹⁰ С. Мамулов, Армияне в Грузии, Москва, 1995, с. 233.

¹¹ ს. მესხი, ნაწერები, თბილისი, 1903, ტ. I, გვ. 222-223.

¹² История армянского народа, Ереван, 1969, с. 168.

ინტერესებსაც კი დაუპირისპირდა, რის გამოც XIX ს. 70-80-იანი წლები-დან მთავრობა ცდილობდა უკვე ზღვარი დაედო ამიერკავკასიაში სომხური კაპიტალის შემდგომი გაძლიერებისათვის¹³. რუსეთის საკაჭრო-სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენელი, ა. მარკოვი წერდა: ბუნებრივი სიმდიდრით უხვი მხარე (ე. ი. ამიერკავკასია) ჩაყენებულია განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში იმის შედეგად, რომ ქვეყნის მთელი მწარმოებლურობის ექსპლოატაციას ეწევიან სომხები, რომელთაც ხელში ჩაიგდეს თითქმის მთელი ვაჭრობა და რომლებიც ამჟამად მიისწრაფიან მიისაკუთრონ აქ პოლიტიკური ბატონობაც, ცდილობენ რა დაიჭირონ ადმინისტრაციული პოსტები¹⁴. რუსულ კაპიტალთან სომხური ბურჟუაზიის განსაზღვრული დაპირისპირების მიუხედავად ადმინისტრაცია შემდგომშიც თავისი პოლიტიკის გატარებისას კავკასიაში კვლავაც სომხურ ელემენტს ემყარებოდა. კავკასიის ნამესტნიკის ვორონცოვ დაშვილის (1905-1915) თანაშემწე პოლიციის დარგში გენერალი შირინენი დაუფარავად აცხადებდა, რომ ერთადერთი ხალხი, რომელიც ახალ პირობებში რუსეთისათვის ამიერკავკასიაში გამოდგება დასაყრდენ ბაზად, არიან სომხები, რომელთაც ჰყავთ ძლიერი ბურჟუაზია, ხოლო ყველგან ცივილიზებულ (იგულისხმება კაპიტალისტურ) ქვეყნებში სახელმწიფო ემყარება ბურჟუაზიასო¹⁵.

იმპერიის ადმინისტრაციის კეთილგანწყობილებისა და მფარველობის პირობებში, როცა სომხები ვაჭრები და კაპიტალისტები აღმოსავლეთ საქართველოსა და ქვეყნის ცენტრალურ ქალაქში, თბილისში კერძო საკუთრების მნიშვნელოვან ნაწილს ფლობდნენ და ქონებრივი ცენტის კანონის წყალბითაც თბილისის საქალაქო თვითმმართველობასაც ისინი აკონტროლებდნენ, მოსალოდნელია, რომ სომხურ ბურჟუაზიას ისტორიული მეზობელი ქვეყნის მიმართ პატრონის გრძნობა დაუფლებოდა და სომხეთი „გამორჩეულობის“ ხორენაციისული იდეის გამოცოცხლებისათვის ხელი შეეწყო, რაც XIX საუკუნიდანვე აისახა კიდეც სომხურ ისტორიოგრაფიაში. სომხური ბურჟუაზიის მისწრაფებათა ისტორიული

დასაფუძვლება, გასაგებია, რომ ახალი დროის სომხური ისტორიოგრაფიის უმთავრესი პოლიტიკური ამოცანა უნდა გამხდარიყო. მისი რეალიზაცია კი, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, უფრო პერსპექტიული ჩანდა მათვის, ხორენაცის, სეპეოსისა თუ დრასახანაკერტცის სომეხთა განმადიდებელი მოთხოვნების ფართო პროპაგანდის ფონზე, – საქართველოს ისტორიისა და კულტურის ფაქტების გაყალბებით საზოგადოების თვალში მათი მნიშვნელობის გაუფასურება და ამით ქვეყნის კანონიერ პატრონთა მორალური დათრგუნვა, ერთნაირად ხელსაყრელი იყო როგორც ქვეყნის დასაპატრონებლად გამზადებული სომხური ბურჟუაზიის ინტერესების, ისე ოფიციალური ხელისუფლებისთვისაც, რომელიც დღენიადაგ ცდილობდა ქართველთა ნინააღმდეგობის უნარისა და მებრძოლი სულის ჩაკვლას. ქართული ეროვნული ცნობიერების ნინააღმდეგ ბრძოლაში სომხური ბურჟუაზიისა და რუსეთის მთავრობის იდეოლოგიური პოლიტიკის თანხვედრა, ჩანს, იმპერიის ბიუროკრატიას კავკასიაში თავისი პოლიტიკის წარმატების გარანტიად ესახებოდა. ამიტომაც იყო, რომ XIX-XX სს. რუსული და სომხური ისტორიოგრაფია ხმაშენყობით ცდილობდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის მნიშვნელობის დამწრობის გზით კავკასიის ისტორიის გადაკეთებას.

ამგვარი ხმაშენყობის ნიმუშად მოჩანს ქართველთა ეროვნული ლირსების შემლახავი აქცენტებით გაჯერებული, მეტადრე, პეტერბურგის უნივერსტეტის პროფესორის ოსიპ სენკოვსკისა (1800-1858) და ცნობილი არმენისტის, იმავე უნივერსიტეტის პროფესორის ქერობე პატ-კანიანის (1833-1889) კრიტიკული წერილები „ქართლის ცხოვრების“ წყაროთმცოდნებით მნიშვნელობაზე. ნიშანდობლივია, რომ ო. სენკოვსკის წერილი „Некоторые сомнения касательно истории грузинов“ დაიბეჭდა უნივერსიტეტის ბიბლიოთის და მარცხენას ახლო ხანებში, რის გამოც გამოქვეყნებული წერილი გამიზნულად პოლიტიკურ ხასიათს იძენდა; ამასვე მოწმობდა წერილის დაუსაბუთებელი, პროვოკაციული შინაარსიც. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი თანადროულ საზოგადოებას აუნიდა, რომ XII საუკუნემდე, ვიდრე დავით აღმაშენებელი თბილისს გაანთავისუფლებდა, ქართველებს ამიერკავკასიაში საერთოდ არ უცხოვრიათ და მათი პირველსაცხოვრისი ჩრდილო კავკასიაშია საძებნიო. ძველ წყაროებში მოხსენიებული იბერიელები ქართველები არ არიან და ეს ტერმინი კრებითი

¹³ პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. 6, თბილისი, 1979, გვ. 339.

¹⁴ А. Марков, Закавказье в торговом отношении, журнал "Русский Вестник", 1884, № 1, с. 176-178.

¹⁵ სარგის კავაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921, თბილისი, 1997, გვ. 225.

¹⁶ ტ. XXX, №10, 1838, გვ. 151-172.

შინაარსის შემცველი სახელია, რომლის შემადგენლობაში უპირველესი ადგილი სომხებს ეკავათ და რომელთა გავლენის ქვეშ მოქცეული ყოფილა ამიერკავკასიის სხვა ხალხები (ამ დებულების კავშირი მ. ხორენაცის კონცეფციასთან, ვიტიქობ, სრულიად აშკარაა). ვახტანგ გორგასალი კი თურქების ბელადი იყოო. ასეთი ცოდნის მიმწოდებელს „ქართლის ცხოვრება“ ზღაპრების კრებულად რომ წარმოედგინა, ალბათ, არც არაფერ უნდა იყოს გასაკვირი.

ო. სენკოვსკის ანტიმიტონიერული პასკვილის მხილება ქართული და სომხური წყაროების საუკეთესო მცოდნეს მარი ბროსეს, რა თქმა უნდა, არ გაჭირვებია, რის გამოც საქართველოს ისტორიის ცილისმნამებელმა ფრანგი სწავლულის კრიტიკაზე პასუხი ვერც გამომძებნა. 80-იანი წლების დასაწყისისათვის დისკუსიაში ჩაერთო ქ. პატკანიანიც. ო. სენკოვსკის იდეებთან მას აახლოებდა საქართველოს ისტორიასთან ტენდენციურად უარყოფითი დამოკიდებულება. სომხეთი მეცნიერი თავის შრომებში ხელადებით უარყოფდა ქართული წყაროებითი წყაროების არა მარტო მეცნიერულ ღირებულებას, არამედ არსებობასაც კი XII ს-ზე უფრო ადრე. „ქართლის ცხოვრების“ კრებული, რომელიც მას ერთ მთლიან ნაწარმოებად წარმოედგინა და მასზე ერთი ნაწილიდან მიღებული შთაბეჭდილებით მსჯელობდა¹⁷, საკმაოდ დაბალი ღირსების ძეგლად მიაჩნდა. მისი თქმით, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილი არ ემყარება ადგილობრივ წერილობით წყაროებს ან ზეპირგადმოცემებს. იგი უბრალოდ გამოგონილია ერთი კაცის მიერ წინასწარ დასახული მიზნის შესაბამისად. ეტყობა ავტორი იცნობდა მ. ხორენაცისა და აგათანგელოსის წიგნებს და ასე თუ ისე იცოდა შაპ-ნამექს შინაარსი, მაგრამ სარგებლობდა არა მათი ხელნაწერებით, არამედ ზეპირსიტყვიერი ვარიანტებით. მისი აზრით, ქრონიკის (ასე უნდებს ის „ქართლის ცხოვრებას“) პირველ განყოფილებაში (იგულისხმება საწყისი პერიოდი ადერკი მეფემდე ანუ ქრისტეს შობამდე) ძნელია თუნდაც ერთი ისეთი ფაქტის პოვნა, რომელსაც ექნებოდა ჭეშმარიტი ისტორიული ღირებულება. მისი დასკვინთ, ამ ქართული ქრონიკის ავტორი მცირე, ნაკლულოვანი ცოდნის სომხეთი ბერი უნდა იყოს, რომელსაც ქართველთა მატიანე შეუთხავს ქართველთავე დაკვეთით XII ს., როდესაც მათ საერთოდ იგრძნეს ისტორიის დაწერის აუცილებლობა¹⁸.

¹⁷ იხ. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ილია აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1953, გვ. 012.

¹⁸ იხ. **К. Патканов**, Ванские надписи и значение их для истории Передней Азии, ЖМНП, часть ССХХ, декабрь, 1883, с. 199-274.

ქ. პატკანიანის წერილის გამოქვეყნების დროისათვის „ქართლის ცხოვრების“ კრებული ჯერ კიდევ არ იყო მეცნიერულად შესწავლილი და ამისათვის მხოლოდ პირველი ნაბიჯები კეთდებოდა. ამიტომ ქართული საისტორიო წყაროს კრიტიკა და, თუნდაც, ჰიპერკრიტიკა თავისთავად განსაკუთრებულს და მოულოდნელს არაფერს ნიშნავდა. მაგრამ ერთია, როცა კრიტიკა წმინდა მეცნიერული ინტერესებითაა გამოწვეული და მეორე, როცა მას, ძირითადად, პოლიტიკური დატვირთვა აქვს და ერის მორალურ დათრგუნვას ისახავს მიზნად. მიუხედავად იმისა, რომ ქ. პატკანიანი მეცნიერული არგუმენტებით ცდილობდა მსჯელობას ქართლის ცხოვრების ხსენებულ ძველ პერიოდზე და ზოგიერთი ანგარიშგასაწევი შენიშვნებიც აქვს გამოთქმული, მის წერილში აშკარად იგრძნობა საქართველოს ისტორიისა და მისი წყაროების დამცრობის დაუცხრომელი სურვილი, რისთვისაც არც ფაქტების გაყალბებას არიდებს თავს. ცნობილი არმენისტის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება საქართველოს წარსულის კვლევისადმი, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენია თანადროულ ქართულ საზოგადოებას. დიმიტრი ბაქრაძე უკვე 1884 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში წერდა: „ჩვენი ფიქრით, ქ. პატკანიანი არ არის გულწრფელი მაძიებელი ისტორიული სიმართლისა. ის ვერ ითვასებს ვერც ერთს ცხოველს და უეჭველ ფაქტებზე დამყარებულს აზრს ქართული ისტორიისას, თუ ეს აზრი ეწინააღმდეგება მისი აზრს სომხურს ისტორიაზე. ჩვენთვის ერთგვარ ძვირფასია როგორათაც სომხური, აგრეთვე ქართული წყაროები: ჩვენის ფიქრით, ერთმა მეორე უნდა შესანიროს და შეავსოს“¹⁹. შემდეგ კი თავისი სიტყვების დასადასტურებლად მოჟყავს ფაქტებისადმი სომხეთი ისტორიკოსის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და გაყალბების კონკრეტული შემთხვევები. მაგალითად, ქ. პატკანიანი არაკეთილსინდისიერად იმოწმებდა სტეფანოს ორბელიანს, რომელიც, თითქოს, ძველ ქართულ საისტორიო მნერლობის დიდ სიღარიბეზე ჩიოდაო, მაშინ როდესაც, შენიშნავდა დ. ბაქრაძე, სტეფანოზი აღნიშნავდა არა საერთოდ ქართული წყაროების სიმცირეს, არამედ მათში ცნობების იშვიათობას ორბელთა საგვარეულოს შესახებ, რაც გამოწვეული იყო გიორგი III-ის სადამსჯელო ღონისძიებებით მისი ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული ორბელების მიმართ, რომელთა ხსენება საქართველოს მეფის ბრძანებით ყველა სამწერლო ძეგლებიდან აღმოიფხვრა²⁰. დ. ბაქრაძის ობიექტურობაში მკითხველის განსასჯელად

¹⁹ დიმიტრი ბაქრაძე, პროფესორი პატკანიანი და ქართული ისტორიის წყაროები, თბილისი, 1884, გვ. 2-3.

²⁰ იქვე.

მოვიყვანთ ამონაწერს სტ. ორბელიანის თხზულებიდან საკამათო საკითხზე: „ხოლო ოდეს გამეფდა ქართლში პირველი მეფე ფარნავაზ, აღმატებით პატივი მიიღეს მის მიერ ორბელიანთ და არავინ იყო მსგავსი მათი ქართლში თვნიერ მეფისა. ხოლო ესე ამბავი მცირედ ვცანით ქართველთ მოთხრობათაგან. გარნა შურითა გიორგი მეფისათა, რომელმან გუარით აღხოცა იგინი საქართულოდამ, ახოცეს სახელი მათი მოთხრობათაგან თითაგან, რომლისათვის ჩვენცა გამოძიებით და ზედ-მინევნით ვსცანით მცირედი... ხოლო ვინათგან ახოცილ იყო სახსენებელი წინაპართა მათთა პამბავთანი, მკაცრებანი და მოქმედებანი ჩინებული არბელიანთაგანი მათ უამთა მწერალთაგან, რომელსა „ქართლის ცხოვრებას“ უხმობენ, ამისთვის ჩვენ ვერა ვსცანით ვითარება და რიგი სიტყვასა, რათამცა რაგისაებრ დაგვეწერა წერილსა ამას შინა²¹. ეს ამონაწერი გარდა იმისა, რომ ზედმინევნით ადასტურებს დ. ბაქრაძის სიმართლეს, ამასთან ძველი ქართული საისტორიო მწერლობის სიმდიდრესა და მისი ცნობების სიუხვესაც გვიდასტურებს, რამდენადაც სომხური წყაროს მოწმობით არა ერთი რომელიმე მწერლის, არამედ მწერალთა მიერ. ასევე მრავლობით რიცხვშია მოცემული „ქართველთა მოთხრობები“, სადაც ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი მცირე ცნობები არბელიანებზე. საყურადღებოა, აგრეთვე, XIII ს. სომხურ ძეგლში „ქართლის ცხოვრების“ კრებულის სახით მოხსენიება, რომელსაც ქ. პატკანიანი, რატომდაც, ვახტანგ VI-ის დროინდელად და მის შედგენილად მიიჩნევდა, რითაც ძალზე ამცრობდა ამ ძეგლის მნიშვნელობას. 1884 წ. უფრო ადრეული, მარიამისეული ნუსხის აღმოჩენის შემდეგ ქ. პატკანიანი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ ვახტანგ მეფეს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ძველი „ქართლის ცხოვრების“ შედგენასთან. დ. ბაქრაძე განსაკუთრებით აღშფოთებული იყო ქ. პატკანიანის იმ განცხადებით, რომ, თითქოს, XI-XII სს. ქართველებს საკუთარი ისტორიის საჭიროება ვერ უცვნიათ. ამით გაკვირვებული დ. ბაქრაძე წერდა: „რამ აფიქრებინა ქ. პატკანოვს, ვითომც ქართველი ერი ისეთ ველურ მდგომარეობაში იყო, რომ ვერ გრძნობდა საჭიროებას ისტორიისას მეთორმეტე საუკუნემდე და აქაც კი, თუ არ ისიც უმეცრის სომხის შემწებით მან ვერ შესძლო თავისი ისტორია თვითონვე შეედგინა“²². ო. სენკოვსკისა და ქ. პატკანიანის

²¹ სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ. 1978, გვ. 29-30.

²² დ. ბაქრაძე, პროფესორი პატკანოვი..., გვ. 13.

სენებული ნაშრომები ფაქტობრივად უარყოფდნენ ამიერკავკასიაში ქართველი ხალხის ოდინდელ ისტორიულ არსებობას და მის, არათუ ლვანლს, არამედ მონაწილეობასაც კი მდიდარი კავკასიური ცივილიზაციის შექმნაში, რაც, ბუნებრივია, თანადროული ქართული ინტელიგენციის სამართლიან პროტესტს იწვევდა. თუ ქ. პატკანიანი საქართველოს ისტორიაზე მსჯელობისას მ. ხორენაციდან ამოდიოდა, რომელიც კავკასიას სომხეთის პოლიტიკურ და კულტურულ სივრცედ განიხილავდა, ო. სენკოვსკის ინსინუაციების ერთადერთი საყრდენი იმპერიის იდეოლოგიური პოლიტიკა იყო კავკასიაში. ასეთ სიტუაციაში საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე პოლემიკამ წმინდა პოლიტიკური შეფერილობა მიიღო და ის ეროვნულ საკითხში გადაზარდა. შემთხვევითი სულაც არაა, რომ XIX ს. 70-80-იან წლებშივე სომხური ისტორიოგრაფია ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა ყურადღების ცენტრში მოექცა, რამდენადაც მთავრობა, ძირითადად, სომხური ბურუჟაზიისა და მისი მსახური ისტორიოგრაფიის ხელით ცდილობდა თავისი ხალხთმოძულე პოლიტიკის გატარებას კავკასიაში.

ამ დროისთვის სომხურ ბურუჟაზიას ყველა შესაძლებელი პრივილეგია უკვე ჰქონდა მოპოვებული კავკასიაში. ჩრებოდა ერთადერთი, ტერიტორიული უფლებები. ცხადია, სომხები იმპერიას ვერ მოსთხოვდნენ მათთვის საქართველოში ორანჟის რესპუბლიკის შექმნას (ამ მხრივ საგულისხმოა გერონტი ქიქოძის თვალსაზრისი საქართველოში მოსახლე სომხებზე, რომელთაც იგი „ჩვენს ორანჟისტებს“ უწოდებდა²³). მაგრამ, როგორც ჩანს, გაბატონებული რეჟიმის ინტერესების დაცვისა და ერთგული სამსახურის სანაცვლოდ, სომხურ ბურუჟაზიას შესაძლებლად მიაჩნდა იმპერიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სისტემაში ისეთ ცვლილებებზე მთავრობის დაყოლიერა, რომელიც საშუალებას მისცემდა მას მეზობელთა ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის საკუთარ ეთნოკურ სივრცეში მოქცევას, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა მის ეკონომიკურ შესაძლებლობებს და საფუძველს შეუქმნიდა მომავალში, ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციის შექმნის შემთხვევაში, საოცნებო ტერიტორიული პრეტენზიების რეალიზაციას. ამგვარი განწყობილებები, რა თქმა უნდა, უშუალოდ განაპირობებდა სომხეს ავტორთა თხზულებებში საქართველოს ისტორიის არა მარტო მუქ ფერებში, არამედ გაყალ-

²³ გერონტი ქიქოძე, ეროვნული ენერგია, თბილისი, 1919, გვ. 197.

ბებულადაც წარმოჩენას. XIX ს. მეორე ნახევრიდან მაინც საქართველოს ისტორიის გაყალბებამ სომხურ ისტორიოგრაფიაში, თითქმის, სისტემატური ხასიათი მიიღო.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა ყურადღება, განსაკუთრებით მიიპყრო XIX ს. მეორე ნახევარში გამოცემულმა სომხეს ავტორთა იმ ნაშრომებშია, რომლებშიც სომხეთის ისტორიასთან კავშირში განიხილებოდა ისტორიული მემკვიდრეობისა და საერთოდ კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის მთელი რიგი პრობლემები. 1858 წ. მოსკოვში გამოიცა მკრტიჩ ემინის მიერ თარგმნილი მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“, შესავლითა და კომენტარებით; 1859 წ. ალ. ხუდაბაშევის „Обозрение Армении“, 1877 წ. ქ. პატკანიანმა რუსულ ენაზე გამოსცა „სომხური გეოგრაფია“ გამოკვლევითურთ, თბილისის სომხურ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში იბეჭდება ალ. ერიციანის წერილები ისტორიული გეოგრაფიისა თუ საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხებზე²⁴. 1898 წ. პეტერბურგში გ. ეზოვმა (ეზიანი) გამოსცა დოკუმენტთა კრებული სახელწოდებით „Сношения Петра Великого с армянским народом“ ვრცელი შესავალი წერილით. იმავე XIX ს. მეორე ნახევარში ქ. პატკანიანმა და მ. ემინმა რუსულ ენაზე გამოსცეს შუა საუკუნეების სომხეს ავტორთა – სებეოსის, ლევონდის, მოვსეს კალანკატუაცის, ვარდანისა და სხვათა არაერთი (ერთ ათეულზე მეტი) თხზულება. საისტორიო მეცნიერებისათვის, თავისთავად, ამ ერთობ საშურ საქმეს სერიოზულ ჩრდილს აყენებდა გამომცემელთა მცდელობა თავანთი კომენტარებით უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი შეექმნათ საქართველოს ისტორიაზე, რაც მხოლოდ ცარიშის კავკასიურ იდეოლოგიურ პოლიტიკასთან მოდიოდა სრულ თანხმობაში. სომხეს მეცნიერთა ამ ჯგუფის მჭიდრო კავშირი მთავრობის პოლიტიკასთან და მათი არაკეთილსინდისიერი, არსებითად მტრული დამოკიდებულება საქართველოს წარსულისა და მომავლისადმი სააშეარაოზე გამოიტანა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ილია ჭავჭავაძემ. თავის გახმაურებულ წერილში „ქვათა ღაღადი“ იგი წერდა: „მთელი სამოცი წელიწადია, რაც ერთი და იგივე ჭექა-ქუხილი ერთისა და იმავე ტენდენციისა ჩვენ ვინაობას ერჩის და დღემუდამ უფრო მეტის კადნიერებით, უფრო მეტის გაბედვით, მეტი სილალით ტყავს

²⁴ "Кавказская старина", 1872, № 1. с. 20; სომხური ისტორიის სამართლის 1879, N 10, 134.

აძრობს და წარლენას უქადის... ის დღეა და ეს დღე სომხის მწიგნობარნი იმის ცდასა და მეტყველებაში არიან, რომ საქართველო რაც შეიძლება ავის თვალით დაანახვონ ქვეყანას, რაც შეიძლება მეტი წილი ჩამოათალონ და თვითონ მიითვისონ, რაც შეიძლება გააუქმონ წარსულიც, შებდალონ ანშეყოფა²⁵. ილია ჭავჭავაძემ დამაჯერებლად ცხადყო, რომ სომხეს მეცნიერთა ამ ჯგუფის მიერ საქართველოს ისტორიის წებისმიერი საკითხის ულირსად წარმოჩენის უმთავრესი მიზეზი ყოველთვის და ყველგან ტერიტორიული პრეტენზიები იყო, იქნებოდა ეს ისტორიული გეოგრაფიის, პოლიტიკური ისტორიის, კონფესიური ურთიერთობისა თუ კულტურის საკითხებზე მსჯელობა. დიდი მწერალი აღნიშნავდა, რომ აშკარა ფაქტების საწინააღმდეგო ემინი, ხუდაბაშევი, ერიცოვი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვეცილებიან და ამტკიცებენ, თითქოს, მტკვრის სათავის ადგილები, მთელი ჭორობის ხეობა – დიდ სომხეთს ეკუთვნოდნენ. მათ იმისთანა სომხეთა მომხრე კაციც კი ამტყუნებს, როგორიც სენ-მარტენია. ამ ევროპელი მეცნიერის მტკიცებით, სერი მთებისა, რომელიც ჭორობისა, მტკვრისა, ევფრატისა და არაქსის წყალთვამყრელია, მუდმივი საზღვარი იყო ქართველთა და სომხეთა შორისო, და მიუხედავად ამისა, სომხების მწიგნობარნი მაინც თავისას გაიძახიან და ბინას იკეთებენ იქ, საცა არა ჰერნიათ. განა აშკარა არ არის, შენიშნავდა ილია, რომ ამ ცუდლუტურ მეცნიერებით სწადიანთ ქვეყანას დააჯერონ, ვითომც ისტორიული უფლება მიუძღვით ამ ადგილებში ბინის დადებას²⁶. სხვა ადგილას კი, ამხელდა რა გ. ეზოვს ფაქტების გაყალბებაში, იქვე განმარტავდა: — ზღაპარს მაშინ გამოიცნობთ, როცა გაიხსენებთ ეზოვის დაფარულ აზრსა: საქართველო საქართველო კი არ არის, ძევლი სომხეთია. ეს მაცდური და წყეული სურვილი გზას უბნევს ბ-ნს ეზოვს და სისულელეს აროშვინებს მეცნიერების სახელითო²⁷. ახასიათებდა რა ქართულ სომხურ ურთიერთობაში ბოლო სამოცი წლის მანძილზე განვითარებულ მოვლენებს, ილია წერდა: საოცარი აქ კიდევ ის არის, რომ ეს სამოცი წლის მთელი ხანა რუსის მწერლისაგან იწყება და რუსის მწერლითვე თავდება. მათშუა მთელი მწკრივია სომხეთა მეცნიერთ-მწიგნობრებისა ასე, რომ თავიდან ბოლომდე ერთი ლარი გასჭიმოთ, სულ ყველას იგი ლარი მხარზე გადა-

²⁵ ილია ჭავჭავაძე, რჩეული წარმოებები, ტV, თბილისი, 1987, გვ.29-30.

²⁶ იქვე, გვ. 31-32.

²⁷ იქვე, გვ. 77.

უვლის, ასე მწყობრად მღაღადებელნი არიან ერთისა და იმავე განგებ აკვატებულ აზრისა²⁸.

ილიას ამ მინიშნებებიდან კარგად ჩანს, რომ სომეს ავტორთა სასტიკი კრიტიკის მიუხედავად, ცოდვას მთელ სომხურ საზოგადოებას კი არა, პოლიტიკურ კონიუნქტურას მიაწერდა, რომელიც იმ დროს ქართველთა ღირსების საწნააღმდეგონდ და სამტროდ იყო მომართული. იგი მხოლოდ იმპერიისა და სომხური ბურჯუაზის მტაცებლური ინტერესების სამსახურმი მყოფ მეცნიერ-მწერალთა ერთ გუნდს ადანაშაულებდა, რომელიც თავისი მოლვანეობით არა იმდენად მეცნიერების სასარგებლოდ ირჯებოდა, რამდენადაც ისტორიულ მეზობლებს შორის უნდობლობასა და სიძულვილს თესავდა. ილია აღმფოთებით წერდა: ძნელი მოსათმენი არიან ეს ხუდაბაშოვები, პატკანოვები, ქიშმიშოვები, ეზოვები, არნტუნები და ერთობ იგი ერთი გუნდი სომხებისა, რომელთაც ღმერთმა მოახმაროთ თავიანთ თავის ქება-დიდება და ჩვენს მოთხრას კი ვერ დავანებებთ და ამაში, იმდინა, ყველა ჭკვათამყოფელი სომეხი დაგვეთანხმება. აი, სწორედ აქ არის თავი და ბოლო დასაბამი და დასასრული იმ მწავე განხეთქილებისა, რომელიც ასეთის გულმოდგინებით შთამოსეს ჩვენში უმეცართა მეცნიერთა და ერთმანეთზე აალურსეს ქართველი და სომეხი. თორემ სად იყო ჩვენში იმ ორმოც - სამოცი წლის წინათ ერთმანეთის ასეთი ათვალისწინება, ერთმანეთში არ ვირჩეოდით და თუმცა სხვადასხვა მოდგმისანი და სარწმუნოებისანი ვიყავით, მაგრამ სომხობით ქართველის ძულებას და ქართველობით სომხებისას ჩვენში ადგილი არა ჰქონია ჩვენდა საპედნიეროდ და სასახელოდ... ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინანდელ საქართველოს უძლურება დაინტყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა-კი პირქვე დაემხო - ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით... დაეცა სომხეთი, სამხრეთის კარი ღია დარჩა საქართველოში შემოსასვლელად... განა ჩვენთვის კი სანატრელია ესეთი დაქსაქსულობა სომხებისა. ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდანაც აყრილან და აქა იქ გაფანტულან. ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან, ჩვენი სახელის გატეხით ნუ ცდილობენ თავიანთვის სახელის კეთებას და შემკობას²⁹. ილიას გულისტკივილი სრულიად სამართლიანი და გასაგები იყო. ქართველებსა და სომხებს ურთიერთდაპირისპირება კი არა, თანხმობა და ურთიერთ-

გატანა ჭირდებოდათ, რათა საერთო მტრის შემოტევებისაგან თავის დაცვა შეძლებოდათ.

ილია ჭავჭავაძის ეს გახმაურებული ნაშრომი 1899 წ. „ივერიის“ თორმეტ ნომერში დაიბეჭდა (64-76), სულ მალე კი ცალკე ბროშურის სახითაც გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე. იმავდროულად, ქართული და სომხური პერიოდული გამოცემების ფურცლებზე მწვავე პოლემიკა იყო გაშლილი კონფესიური და ეთნიკური კუთვნილების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებზე, რასაც თეორიულთან ერთად უაღრესად პრატტიკული მნიშვნელობაც გააჩნდა. საქმე ის იყო, რომ ქართველთა და სომეხთა კონფესიური სხვაობა ხელისუფლებას კონფესიური დაპირისპირების პროვოცირების საშუალებას აძლევდა, რის საფუძველზეც უკვე ადვილი ჩანდა როგორც ისტორიული მეზობლების გათიშვა და მათ შორის მტრობის თესვა, ისე ქართული საზოგადოების ერთი განსაზღვრული ნანილის ეროვნულ ცნობიერებაზე იერიშის მისატანად ნიადაგის შემზადება. განზრახულის რეალიზაციას ისიც უწყობდა ხელს, რომ შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი ინერციით საზოგადოებრივი აზრი, ეთნიკურ კუთვნილებას ჯერ ისევ, კონფესიის მიხედვით განსაზღვრავდა. სომხური სარწმუნოების წიაღში სხვადასხვა მიზეზით გადასული ქართული მოსახლეობის, უპირატესად, ვაჭრობა-ხელოსნობაში ჩართული ნანილის მერყევე ეთნიკურ შეგნებაზე ზემოქმედებისა და საბოლოოდ წასაშლელად, ხელისუფლება სომხურ ეკლესიასა და ინტელიგენციასთან შეთანხმებით მთელ რიგ ღონისძიებებს სახავდა. მათ შორის იყო ისეთი უღირსი საშუალებები, როგორიცაა ამ საზოგადოებაში ქართული ენის დევნა მის სრულ აკრძალვამდე, სომხური ეკლესიასა და განათლებისათვის ცალმხრივად ხელის შეწყობა და პრივილეგიების მინიჭება, სომხურის სასარგებლო პროპაგანდის გაძლიერება და სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები, რომელთაც, საბოლოო ჯამში, უნდა უზრუნველეყოთ იმპერიული პოლიტიკის მთავარი ამოცანის – ქართული ეროვნული სხეულის დაშლა-დანანილების დაჩქარება, რაც სხვა ღონისძიებებთან ერთად შეამცირებდა ქართველი ხალხის წინააღმდეგობის ძალას და მას მთავრობის ნებას დაუმორჩილებდა.

კავკასიაში სომხური ეკლესიის მიზიდულობის უნარის გასაზრდელად, ჯერ კიდევ ნიკოლოზ I-მა მას გაუმრავლა მამულები, გაანთავისუფლა ყოველგვარი გადასახადებისაგან და გაუზარდა პენსიები³⁰, რაც თავის-

²⁸ ილია ჭავჭავაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 29.

²⁹ ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნანარმოებები, გვ. 110-111.

თავად, მის მრევლსაც გარკვეულ შეღავათიან პირობებში აყენებდა. 1862 წლის 30 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრი ვოლუევი კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს გრიგოლ ორბელიანს შეასხნებდა, რომ რუსული პოლიტიკის ნარმატებისათვის აღმოსავლეთში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიასთან მათ ურთიერთობას და მიუთითებდა – „მხედველობაში იქონიეთ, რომ სომხური ეკლესია ყოველთვის სარგებლობდა ჩვენი მთავრობის მფარველობით და იმპერიის საზღვრებს გარეთ გრიგორიანებს მხარს უჭერდა და ამაგრებდა კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ“³¹. სომხური ეკლესიის მფარველობის ამ ფონზე, ყოველმხრივ იზღუდებოდა რუსეთის ერთმორნმუნე ქართული ეკლესია, რომელიც პეტერბურგის სინოდის უბრალო დანამატად გადააქციეს. გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში სომხური ეკლესია ქართული მოსახლეობის განსაზღვრული, განსაკუთრებით, ეკონომიკურად შეჭირვებული ნაწილისათვის ცთუნების საგანი გახდა. არაერთი შემთხვევაა აღნიშნული, როცა ყმობას გამოქცეული ქართველი გლეხები თავს აფარებდნენ სომხურ ეკლესიას, რომელიც მათთვის სოციალური დაცვის ძირითად საშუალებად ქცეულიყო. XIX ს. ხალხის აღნერის დავთორებში, მეტადრე, საოჯახო სიების ცნობებში სრულიად ნათლად იკვეთება ქართული მოსახლეობის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის სომხურ სარწმუნოებაზე გადასვლის სურათზე³², რომელიც ამის გამო სომხური ეთნოსის კუთვნილებად განიხილებოდა. XIX ს. რუსეთის ოფიციალური სტატისტიკა ყოველ აღნერაში სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მოსახლეობას, მისი მშობლიური ენისგან დამოუკიდებლად, სომხურ ეროვნებას მიაკუთხნებდა, რითაც ახერხებდა სომხური ეროვნების გაძლიერებას ქართული ეროვნების შესუსტებს ხარჯზე³³.

მთავრობა განსაკუთრებული მონდომებით იღვწოდა ქართველ კათოლიკეთა გასასომხებლად, რისთვისაც ზოგჯერ არც პირდაპირ ძალადობას ერიდებიდა. იმპერიის რელიგიური პოლიტიკა, თუმცაკი, ვერ ეგუებოდა მის სივრცეში კათოლიკური თემების ფუნქციონირებას, მაგრამ სომეხი კათოლიკენი კავკასიაში მაინც პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჰყავდა, რის გამოც ქართველი კათოლიკენი იძულებული

სდებოდნენ ლათინურთან ერთად სომხურ ტიპიკონზეც მდგარიყვნენ. XIX ს. შუა წლებში მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ცხოვრებაში გატარება ქართველ კათოლიკეებს სრულ გასომხებას უქადდა. 1852 წ. 18 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრი პეროვსკი სომეხთა კათალიკოსს აცნობებდა, რომ იმპერატორის ნებით მას უფლება ეძლეოდა სომეხი კათოლიკეები (მათ შორის იგულისხმებოდნენ სომხურ ტიპიკონზე მდგარი ქართველი კათოლიკებიც) გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადაეყანა³⁴. სომხურ ტიპიკონზე მდგარი ქართველი კათოლიკები პროტესტით შეხვდნენ მთავრობის ამ გადაწყვეტილებას და უფრო დაბეჭითებით მოითხოვეს მათთვის ქართულენოვანი მღვდელმსახურების დაწესება ეკლესიებში. მღვდელმსახურების ენის გარშემო გაშლილი ბრძოლის პასუხად, მთავრობამ აღარ დააყოვნა და 1886 წ. კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენა ბრძანებით აკრძალა³⁵. 1893 წ. კი გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, სადაც თბილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია მოხსენიებული იყო სომხურ ეკლესიად³⁶.

ხელისუფლების მხარდაჭერით შეგულისწებული სომხური ეკლესია და ბურჟუაზია მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით (მღვდელმსახურება, პრესა და სხვა) სულ უფრო აძლიერებდა ფსიქოლოგიურ ზენოლას სომხური და კათოლიკური სარწმუნოების ქართველებზე მათ ცნობიერებაში ეროვნული შეგნების საპოლოოდ აღმოფხვრისათვის. ეს პროცესი მით უფრო საშიში ხდებოდა, რომ ქართული საზოგადოების ეთნიკური რღვევის შემთხვევაში (იმასთან ერთად, რომ მთავრობა დაუინებით ცდილობდა ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფების ფალკურ ეროვნებებად ნარმოდებენას), შესაძლოა, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ცვლილებებიც განხორციელებულიყო, რაც უკვე ქართველი ხალხის საარსებო სივრცის შემდგომი და სერიოზული შეზღუდვის მომასწავებელი იქნებოდა. ამიტომაც ეთნოკონფესიურ საკითხებზე ქართულ და სომხურ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე გაშლილმა პოლიტიკამ ერთობ ფართო ხასიათი მიიღო და მან ისტორიული გეოგრაფიისა და ამიერკავკასიის პოლიტიკური ისტორიის საკითხებიც მოიცვა. ამის გამო პუბლიცისტების წამოწყებულ კამათში ქართული და სომხური ისტორიოგრაფიის ნარმობადგენლებიც ჩაებნენ, რამაც მას მწვავე პოლიტიკური დებატების სახე

³¹ აქტი..., თ. XII, ც. 548.

³² რ. თოფჩიშვილი, XIX ს. მოსახლეობის აღნერის მასალები საქართველოს ეთნოსტრონისა და სოციალური ყოფის შესახებ, „მნათობი“, №12, 1987.

³³ კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX ს-ში, თბილისი, 1973, გვ. 54-56.

მისცა. ამ იდეოლოგიურ ბრძოლაში, თუ ქართველთა შემწედ სიმართლე გამოდიოდა, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერის მხრივ სომეხთა შესაძლებლობანი, გასაგები მიზეზების გამო, შეუდარებლად დიდი იყო. სომეხთა ეს უპირატესობა იმითაც გამოიხატა, რომ XIX და XX სს. ათიანი წლების, თითქმის ბოლომდე, სომხური უურნალ-გაზეთები და ცალკეული გამოცემები რიცხობრივად ჭარბობდა ქართულს. მარტო 1846-1871 წწ.-ში სომხურ ენაზე თბილისში გამოდიოდა შვიდი დასახელების უურნალი და გაზეთი: „კოვკას“, „არარატ“, „მეღუ ჰაიასტან“, „გარუნ“, „ვაჭარაკან“, „ერუნქ ჰაიოც აშხარპ“, „ჰაიკაკან აშხარპ“. შემდეგ მათ დაემატათ სხვები, მაგალითად, „მშაკ“-ი, „მურქ“-ი და სხვები. კავკასიის კალენდრის ცნობით, 1913 წ. თბილისში სომხურ ენაზე გამოდიოდა 20-მდე დასახელების უურნალ-გაზეთი, რომელთა საერთო ტირაჟი 20 ათასს აღწევდა. ამავე წელს თბილისში სომხურ ენაზე გამოიცა 241 დასახელების წიგნი და სასწავლო სახელმძღვანელო³⁷. ალბათ, საკმარისია აღნიშნოს, რომ 1899 წლიდან 1917 წლამდე თბილისში გამოიცა ისეთი დიდფორმატიანი წიგნები, როგორიცაა 12 ტომიანი „სომხეთის ისტორიის დივანი“. სომხური პროპაგანდისათვის გამოყენებული იყო თბილისში გამომავალი რუსულენოვანი პერიოდიკაც. რამდენადაც მოკამათე სომხური მხარისათვის მთავარი იყო თბილისა და აღმოსავლეთ საქართველოში სომეხთა სიჭარბის შთაბეჭდილების შექმნა, ყველა ამ ტრიბუნიდან უბრალოდ უარყოფდნენ როგორც ქართველ კათოლიკოსი, ისე სომხური სარწმუნოების მქონე ქართველთა კრებულს არსებობის ფაქტსაც კი. ქართველ კათოლიკეთა წინააღმდეგ განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩიოდა 1897-98 წწ.-ში გაზეთ „მშაკ“-ში დაბეჭდილი თამაზოვის, სარჯეანის, ნახაპეტიანისა და სხვათა წერილები. 1879 წ. უურნალ „ფორმ“-ში (№10, გვ. 1-34) დაიბეჭდა ა. ერიციანის წერილი – „თბილისელი სომხები და მათი სტატისტიკური აღნერილობა“, რომელშიც, ცხადია, სომხური სარწმუნოების ქართველთა საზოგადოებაც მთლიანად იყო მიკუთვნებული სომხურ ეთნოსს. ქართველებსა და სომხებს შორის სადავო კონტიგენტის აღნერას ზაქარია ჭიჭინაძეც ადასტურებს. მისი თქმით, სომხებმა აღწერეს ქართლ-კახეთის სომხებად მიჩნეული მოსახლეობა და მათი სია უურნალ „მურქ“-ში გამოაქვეყნეს და მას „ვრაც ხოს ჰაიოც“ ანუ ქართულად მოლაპარაკე სომხები უწოდეს³⁸. ნიშანდობლივია, რომ მსგავს პოზიციას

³⁷ Кавказский календарь на 1915 г. Тифлис, 1914, с. 367-368.

³⁸ იბ. ქართველი გრიგორიანები, ისტორიული მიმოხილვა შავშეთისა, თბილისი, 1906

ინარჩუნებს თანამედროვე სომხური ისტორიოგრაფიაც (ამაზე ცალკე ვისაუბრებთ თანამედროვე სომები ისტორიკოსთა შრომების განხილვისას).

ქართველი კათოლიკებისა და სომხური სარწმუნოების ქართველების შესახებ სომხური თვალსაზრისის წინააღმდეგ XX ს. დასაწყისში აქტიურად გამოვიდნენ მიხეილ თამარაშვილი და ზაქარია ჭიჭინაძე. მას შემდეგ, რაც ქართველ კათოლიკეთა ლათინურ რიტზე მდგარ ეკლესიებში რუსეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა სომხური ტიპიკონისა და სომხური ენის დამკვიდრებას და საბოლოოდ ქართველ კათოლიკეთა ბატონ-პატრიონად სომხური ეკლესია გამოაცხადა, იმის მტკიცებაც კი გახდა საჭირო, რომ ქართული კათოლიკური ეკლესია ნამდვილად ქართულია და მას თავისი ეროვნული ისტორიაც ჰქონდა³⁹. ქართულმა საზოგადოებამ ამ საქმის მოგვარება მიხეილ თამარაშვილს მიანდო, რომელმაც ბრნეინვალედ გაართვა თავი საკმაოდ რთულ ამოცანას. ვატიკანსა და ევროპის სხვა არქივებსა და წიგნსაცავებში მოპოვებული უტყუარი და დიდალი დოკუმენტური მასალით არა მარტო ცხადყო ქართველ კათოლიკეთა ნამდვილობა, არამედ მისი მდიდარი ისტორიაც წარმოაჩინა XIII-XX საუკუნეთა მთელ სიგრძეზე. მისი 844 გვერდიანი წიგნი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ 1902 წ. გამოიცა თბილისში და მან ერთბაშად მიბაყრო მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება. ილია ჭავჭავაძემ ამ წიგნს მეორე „ქართლის ცხოვრება“ უწოდა. ორი წლის შემდეგ 1904 წ. სტეფანე ზუბალშვილის „წარსაგებელითა“ და პ. მირიანაშვილისა და ზ. ჭიჭინაძის აქტიური მონაწილეობით დაიბეჭდა მ. თამარაშვილის რომიდან გამოგზავნილი ნაშრომი „პასუხად სომხის მწერლებს“, რომელიც უარყოფენ ქართველთ კათოლიკოსს (ისტორიული გამოკვლევა). დასახელებული წიგნებით მ. თამარაშვილმა ეთნოკონფესიურ საკითხებზე სომხებთან კამათი მყარ მეცნიერულ ნიადაგზე გადაიყვანა და, ფაქტობრივად, საფუძველი გამოაცალა ყოველგვარ ზერელე განცხადებებს. კიდევ ორი წლის შემდეგ იბეჭდება, ამჯერად, ზ. ჭიჭინაძის უკვე ხსენებული მცირე მოცულობის წიგნი, სადაც მ. თამარაშვილის მსგავსად, სომხებთან კამათს, ისიც მეცნიერულ კალაპოტში გადაყვანით ცდილობს. მან პირველმა დაიწყო ქართველ „გიგორიანთა“ (ასე უწოდებდა ის სომხურ სარწმუნოებაში გადასულ ქართველებს) გვარების ისტორიის შესწავლა უშუალოდ ამ

³⁹ მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX საუკუნეებში, თბილისი, 1995, გვ. 314-339.

წრის რესპონდენტებისაგან და ინფორმირებულ თანამედროვეთაგან მონოდებული ცნობების საფუძველზე. ზ. ჭიჭინაძის გამოთვლით მის დროს ქართლში რამდენიმე ათასი „ქართველი გრიგორიანი“ უნდა ყოფილიყო. მანვე დამაჯერებლად გვიჩვენა „ქართველ გრიგორიანთა“ პრობლემის პირდაპირი კავშირი ქართული მიწების მიმართ სომეხთა ტრადიციულ პრეტენზიებთან, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში სომეხთა მექანიკური სიმრავლის შექმნით ცდილობდნენ ქართულ მიწებზე „თავიანთი ისტორიული უფლების“ მტკიცებას. ამასთან დაკავშირებით ზ. ჭიჭინაძე გულისტიკილით წერდა „სომხეთს შუა გულ ქართლიდამ თვლიან, სადაც სომეხთ ხსენება არას დროს არ ყოფილა... სომეხთ მწერალნი სომხურ კარტებზეც საქართველოს არმენიას აწერენ, წიგნებშიაც ასევე, ლაპარაკშიაც თამამად ამტკიცებენ... ზოგიერთ სომხის სწავლული იმასაც გაიძახიან, რომ მთელი კახეთი დიდი სომხეთის ნაწილს შეადგენს და იქ მცხოვრებ ქართველნიც მთლად სომხის შთამომავალი არიანო. ამაზედ ბევრს გზის კამათიც ყოფილა. ეს დღესაც ხშირია და ევროპაში სომხის სწავლულნი არამც თუ მარტოდ კახეთს ჰევევენ ხელს, არამედ სამხრეთ საქართველოსაც კი არმენიად აღიარებენ⁴⁰.

ზ. ჭიჭინაძისა და მ. თამარაშვილის წიგნები არსებითად ერთ უმთავრეს მიზანს ემსახურებოდნენ – ქართველთა დენაციონალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას და ქართველი ხალხის ეთნიკურ კონსოლიდაციას, რაც თავისი შინაარსით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო. ამ წიგნების ლირსებას შეადგენდა, აგრეთვე, მათი ავტორების ჯანსაღი პოლიტიკური ხედვა და ალლო, რომლებიც კრიტიკას წარმართავდნენ არა საერთოდ სომეხთა მიმართ, არამედ მ. თამარაშვილის თქმით, „სომხის ზოგიერთ მწერალთა“ წინააღმდეგ, რომელთა საქმიანობა ერთნაირად მავნე იყო, როგორც ქართველთა, ისე სომეხთა ეროვნული ინტერესებისათვისაც. ამის გამო ზ. ჭიჭინაძე შენიშნავდა: სომეხ მწერალთა ქართველთა საწინააღმდეგო მცდელობანი დიდი შეცდომა... შემცდართ აღარ ესმით თავიანთი ვითარება და ამიტომ ხშირად უძლური ებრძვის უძლურს, ანუ დაჩაგრული სჩაგრავს დაჩაგრულს... მერე რას უნდა გვანდეს ის გარემოება დაუძლურებული ერი თავისავე მსგავსად დამონაბულ ერს ებრძოდეს⁴¹. რა თქმა უნდა, მართალი იყვნენ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი, როცა წერდნენ, რომ ქართველთა გასომხების მესვეურები, არსებული

⁴⁰ ზ. ჭიჭინაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 34.

⁴¹ იქვე, გვ. 15-16.

პოლიტიკური სიტუაციის პირობებში ნებით თუ უნებლიერ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამტარებელთა რიგებში დგებოდნენ. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და თანაფარდობის მექანიკურად შეცვლის მთავრობის ღონისძიებათა გვერდით და მხარდაჭერით, მათი ცდები უკვე ქართველი ხალხის წინააღმდეგ დემოგრაფიული აგრესის ფორმას იღებდა. ასე რომ, ეთნიკური და კონფესიური შესაბამისობის პროპაგანდისტთა მოღვაწეობა XIX და XX სს. დამდეგისათვის არც ისე უწყინარი იყო თავისი პოლიტიკური შედეგებით, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლებოდა დანახულიყო. ქართული ეთნიკური კოლექტივიდან კონფენსიური ნიშნით მისი ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოცილება, სხვა პირობებთან ერთად, დროთა განმავლობაში გარდაუვალად გამოხვევდა საქართველოს ტერიტორიის შეკუმშვის მოთხოვნასაც. ჩვენ ვნახავთ, რომ სულ მალე მოვლენების ამ მიმართულებით განვითარებისათვის, მთავრობის ღონისძიებებთან თანხმობით, აქტიურად ამოქმედდებიან სომხური პოლიტიკური წრეები, რომლებიც 1909-1916 წნეში საერობო კრებებზე დაყინებით მოითხოვენ ამიერკავკასიის მთელი ტერიტორიის ეროვნული ნიშნით გამიჯვნას, ხოლო 1918 წ. დეკემბერში სომეხ-ქართველთა სამარცხვინო ომს გამოიწვევენ, რაშიც XIX ს. სომხური ისტორიოგრაფიასაც თავისი წილი ედო.

XIX და XX ს. დამდეგს სომხური ისტორიოგრაფიის იდეოლოგიური თანხვედრა რუსულ პოლიტიკასთან განსაკუთრებით ცხადად გამოვლინდა ქართული სახელმწიფოებრიობს ისტორიის, მეტადრე, მისი ბოლო პერიოდის გადმოცემისას. გარდა იმისა, რომ ამ ხანის სომხური ისტორიოგრაფიის უმეტესი ნაწილი გაზიადებულად წარმოადგენდა საქართველოს სომხური მოსახლეობის, სომხური საგაჭრო კაპიტალისა და სომხური ეკლესიის მოღვაწეთა როლსა და მნიშვნელობას ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეტყობა, რუსული ადმინისტრაციის საამებლად, ძალზე მუქ ფერებში, თითქმის, კატასტროფულად გვიხატავს XVIII ს. ბოლო მეოთხედის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საერთო კულტურულ ვითარებას, რაც მეტ დამაჯერებლობას შესძლდა რუსული დაპყრობის გამართლებას საქართველოში. ასეთ ისტორიულ ფონზე, რუსეთის მიერ ვერაგული ხერხებით საქართველოს დაპყრობას სომეხი ავტორები, ლამის არის, დიდ ჰუმანურ აქციად აფასებენ, ხოლო ამ პოლიტიკის შემდეგ ქვეყანაზე თავსდამტყდარ ყველა უბედურებაში ქართულ მხარეს ადანაშაულებენ. აქედან გამომდინარე, ქვეცნობიერად კეთდება დასკვნა, რომ ერთადერთი ჯანსაღი და გავლენიანი ძალა ქვეყანაში რუსი სამხედროები და სომხური ელემენტი იყო.

აღნიშნული ხანის სომხური ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი დამახასიათებელი შტრიხი. ჯერ კიდევ იღია ჭავჭავაძე გ. ეზოვის ნაშრომის განხილვისას შეინიშნავდა: რაც-კი სადმე ქართველებზე ცუდი თქმულა, პ-ნს ეზოვს ყველა თითქო რაღაც სიხარულით მოუკრებია და გულში გვახლის. რაც კეთილი თქმულა, ყველა ეს საქებურად მიუმალაც⁴². წყაროების ასეთი ცალმხრივი გაშუქების არაერთი მაგალითი მოჰყავს იღიას გ. ეზოვის ნაშრომიდან. მათ შორის, ქართველთა სახელის გასატეხად ეზოვის მიერ დამოწმებული განძასარის კათალიკოსის ესაი ჰასან ჯალალიანცის თხზულების ერთი ადგილი, სადაც აღნერილია ვახტანგ VI-ის მხედრობის მიერ განჯა-ყარაბალის რამდენიმე სომხური სოფლის დარბევის ფაქტი. საქე ის იყო, რომ განჯის ხანმა ჯავადმა ვახტანგ VI-ს სთხოვა ლეკების შემანუბებელი თავდასხმისაგან მისი სახანოს დაცვა, რისთვისაც დიდაბალი თანხის გადახდას შეჰპირდა. ვახტანგმა ადვილად გარეკა განჯას გარშემომდგარი ლეკები, მაგრამ ჯავად ხანმა შეირჩებული თანხა ვერ გადახსადა, სამაგიეროდ კი, მის ხელისუფლებას დაქვემდებარებული სოფლების ერთი ნაწილი მისცა სარბევად, სადაც სუნიტი თარაქამების გარდა სომხური სოფლებიც იყო. ფეოდალური ურთიერთობის ხანის აღმოსავლეთში ვალის გადახდის ასეთი წესი არცთუ იშვიათი ამბავი იყო და, აღბათ, არც სომეხთა პატრიარქი მიიჩნევდა ასეთ საქციელს მაინცდამანიც უკანონოდ, მაგრამ, რადგანაც სომხები ქრისტიანები იყვნენ, ვახტანგის ქრისტიან მხედრობას, მისი აზრით, გამონაკლისი უნდა დაეშვა და არ დაერბია სომხები. თანატომელთა მიმართ თანაგრძნობის გამოსახატავად ესაი კათალიკოსი გმობს სომეხ ქრისტიანთა მიმართ გამოჩენილ სისასტიკეს და აღნიშნავს: – რაც გადაურჩათ უგუნურ ლეკებს, ის ყოველივე გააჩანა-გა ხარბმა და შეუბრალებელმა ქართველმა ერმაო (აშკარა ერში მხედრობას გულისხმობს)⁴³. ამის მიუხედავად, ესაი კათალიკოსი თავის თხზულებაში საკმაოდ ხშირად აღნიშნავს სომეხთა მიმართ ვახტანგისა და ქართველთა კეთილგანწყობისა და მეგობრობის ფაქტებს, რასაც გ. ეზოვი დუმილით გვერდს უვლის. იღიას განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია გ. ეზოვის მიერ საქართველოს ისტორიის საზიანოდ ფაქტების გაყალბებამ, კერძოდ, 1782 წ. რუსეთის ხელისუფლებასთან მოლა-

⁴² იღია ჭავჭავაძე, რჩეული ნანარმოებები, ტ. V, თბ., 1987, გვ. 63.

⁴³ ესაი ჰასან ჯალალიანცი, აღვინთა ქვეწის მოკლე ისტორია, კარლო კუციას გამოცემა, თბილისი, 1971, ქართული ტექსტი, გვ. 32, სომხური, გვ. 58; ქართველთა შეურაცხმყოფელი სიტყვები თარგმნილი არ არის.

პარაკების დროს ერეკლე II-ის მიერ გამოთქმული წინადადების კომენტირებისას გ. ეზოვი ცინიკურად განმარტავდა, რომ „ერეკლე უთმობდა რუსეთს იმას, რაც უფლებით ეკუთვნობდა სპარსეთს და არა თითონ, უთმობდა უმაღლეს ხელისუფლებას საქართველოზე, რომელიც დეფაქტო ულონობით ხელში ვეღარ შეემაგრებინა და ამის სანაცვლოდ ითხოვდა მეფის ღირსებას, რომელიც მას არ ჰქონია სპარსეთში (?)“⁴⁴.

მხედველობაშიც რომ მივიღოთ, მართლაცდა, ამ „ნრეგადასული თავნებობის“ პასუხად იღიასეული გამანადგურებელი კრიტიკა, გ. ეზოვს მისივე იდეური თანამებრძოლი გენერალ-ლეიტენანტი ს. ქიშმიშოვიც კი ამტყუნებს, როცა ერეკლე II-ის მეფობის პირველ პერიოდს თამარის დროინდელ ოქროს ხანას ადარებს და მიიჩნევს, რომ ერეკლე II-მ დაამხო სპარსელთა ბატონობის ულელი საქართველოში⁴⁵. ესეც, აღბათ, იმიტომ, რომ ერეკლე II-ის „მმართველობის პირველ ნახევარს“ მ. ბროსეს ნაშრომებზე დაყრდნობით გადმოგვცემს; მეორე ნახევარს კი ბუტყოვისა და არტემ არარატელის თხზულებების დასტურით, რომლებიც ერეკლეს საწინააღმდეგოდ შეთხული ინსიუაციებით ცდილობდნენ რუსეთის დამპყრობლური, მზაკვრული პოლიტიკის გამართლებას საქართველოში. ეტყობა, ამით უნდა აიხსნას იმპერიის სამსახურში მყოფი გენერლის დაინტერესება ქართული სახელმწიფოს მაინცდამაინც ბოლო წლების ისტორიით. მისი მტკიცებით, „ერეკლეს გამუდმებულმა ომებმა საქართველო გააჩანაგეს“⁴⁶, სინამდვილეში კი, რუსეთის დიდ სამხედრო გეგმებში ჩართვა იყო ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი ძირითადი გამომწვევი მიზეზი, რის გამოც პატარა სახელმწიფო აურაცხელ წვრილ-წვრილსა და ზოგჯერ ფართო მასშტაბის ბრძოლებში აღმოჩნდა ჩართული. ნიშანდობლივია, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან (ე. ი. ტრაქტატის დადების შემდეგ) აღინიშნება მნარმოებელი მოსახლეობის შემცირების ტენდენცია⁴⁷. თვით რუსეთის დიპლომატები და სამხედრო მოხელეებიც არ მაღავდნენ, რომ რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გამო ქართლ-კახეთი გაჩანაგდა⁴⁸.

⁴⁴ გ. ჰავა, Сношения Петра Великого с Армянским народом, Спб, 1898, с. ХСП.

⁴⁵ მიმდევრული და მიმდევრული განმარტავდა რომ „ერეკლე უთმობდა რუსეთს იმას, რაც უფლებით ეკუთვნობდა სპარსეთს და არა თითონ, უთმობდა უმაღლეს ხელისუფლებას საქართველოზე, რომელიც დეფაქტო ულონობით ხელში ვეღარ შეემაგრებინა და ამის სანაცვლოდ ითხოვდა მეფის ღირსებას, რომელიც მას არ ჰქონია სპარსეთში (?)“⁴⁴.

⁴⁶ იქვე, გვ. 60.

⁴⁷ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 732.

⁴⁸ იქვე, გვ. 707.

ერეკლეს სამეფოს დასაცავად გამოყოფილი რუსთა ორი ბატალიონის არაეფექტურობის გასამართლებლად ს. ქიშმიშოვი ბრალს სდებს ქართულ მხარეს და აღნიშნავს, რომ ერეკლე II-მ საქართველოში მოქმედი რუსეთის ჯარის ხელშესაწყობად აღებული არც ერთი ვალდებულება არ შეასრულა: არ მანესრიგა საურმე გზა, რის გამოც რუსი ბატალიონები მთებში გაიჩირნენ და მხოლოდ დიდი ძალისხმევით, რის ვაივაგლახით მიაღწიეს დანიშნულების ადგილსო, ბატალიონები ამავე მიზეზით ვერ ღებულობდნენ ხელფასს, არ ყოფნიდათ ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, საკვების უკმარისობის გამო შიმშილობდნენ და არასამედო მოკავშირის დაუდევრობით მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ. ამიტომაც იძულებული გახდა ეკატერინე II 1787 წ. უკან გაეწვია ჯარი. ასეთი ახსნა, რა თქმა უნდა, სინამდვილეს მოკლებულია და რუსეთის პოლიტიკის გასამართლებლადა გაყალბებული. გზა, რომელსაც გენერალი ქიშმიშოვი გულისხმობდა – ვლადიკავკაზიდან თბილისამდე (საქართველოს სამხედრო გზა) ძველთაგანვე გამოიყენდოდა. ამ გზით გადმოიყვანა დავით აღმაშენებელმა 40 ათასი ყივჩაღთა ოჯახი საქართველოში. ამ გზის შესწორება და გაფართოება ძალზე მოკლე დროში, თუნდაც საქართველოს საზღვრებში მოქცეული ნაწილისა, ისეთ დიდ ხარჯებსა და ფიზიკურ რესურსებს მოითხოვდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოსნაირ პატარა სახელმწიფოს ძალებს ნამდვილად აღემატებოდა. თვით დიდმა და ძლიერმა რუსეთმაც კი ამ სამუშაოს შესრულებას ნახევარ საუკუნეზე მეტი მოანდომა. დაიწყო 1803 წ. და დაასრულა 1861 წ., ხოლო მის საბოლოო გასრულებას, თითქმის ამდენივე დასჭირდა, რამდენადაც რეგულარული მიმოსვლა თბილისა და ვლადიკავკაზზ შორის მხოლოდ 1909 წლიდან დამყარდა. რაც შეეხება რუსეთის ბატალიონების პურით მომარაგებას, მოუსავლიანი წლების გარდა, მას დროდადრო აფერხებდა ისიც, რომ რუსეთის მთავრობა საბაზრო ფასეპთან შედარებით სამჯერ უფრო იაფად მოითხოვდა პურს. რუსეთის ჯარის შესანახად ერეკლეს მთავრობის ხარჯი ყოველწლიურად 30 ათას მანეთს შეადგენდა. ამ მიზნით გლეხებს ახდევინებდნენ სპეციალურ გადასახადს, რომელსაც „სარუსო“ ეწოდებოდა, რაც საქმაო ეკონომიკურ ზარალს აყენებდა ქვეყანას⁴⁹. ასეთი ფაქტების ფონზე ერეკლესადმი წაყენებული ბრალდებები აშკარად თვალთმაქცობად გამოიყურებოდა. საქმე ის იყო, რომ სინამდვილეში რუსეთი სულაც არ აპირებდა ერეკლე II-ის დაცვას და გაძლიერებას. ქართლ-კახეთის

სამეფო მას იმპერიის ბატონობის გავრცელების საშუალებად მიაჩნდა კავკასიაში და ვიდრე ამ ფუნქციის შესასრულებლად ქართველ ხელისუფალთა მოღვაწეობა სარგებელს იძლეოდა მათ დაპირებებით კვებავდა. იმ ვითარებაში, როცა რუსეთის მეტოქეები სულ უფრო სუსტდებოდნენ, ხოლო მისი ინტერესები ამიერკავკასიაში იზრდებოდა, რამდენადაც ამ ქვეყნის უშუალო დაუფლება შესაძლებელი ხდებოდა (80-იანი წლები) „ძლიერი და ერთანი საქართველო მფარველისათვის საჭირო აღარ იყო, პირიქით, ის ამიერიდან სასურველიც არ იყო“⁵⁰. ამიტომაც რუსეთის მთავრობა გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ საქართველოს თანამიმდევრული და მეთოდური დასუსტების პოლიტიკას დაადგა, რათა ეს ქვეყანა დიდი ხარჯებისა და გარჯების გარეშე დაეჭყრო, მხოლოდ ისე კი, რომ ამიერკავკასიის ხალხების „განმათავისუფლებელის“ როლი შეესრულებინა. რუსეთის დაპჰყობლური პოლიტიკის გამართლება და იმპერიის საერთაშორისო პრესტიუს დასაცავად საზოგადოებრივი აზრის შექმნა, უკვე, მსახურეული ისტორიოგრაფიის საქმე იყო, რომელსაც მხოლოდ ფაქტების გაყალბებით შეეძლო კავკასიაში რუსეთის „განმათავისუფლებელი“ მისის მტკიცება. ამ მხრივ დამახასიათებელია ხსენებული ისტორიოგრაფიის ტიპური წარმომადგენლის პ. გ. ბუტკოვის მტკიცება, თითქოს, თვითმპყობლებია მხოლოდ ქველმოქმედებას ეწეოდა საქართველოში და არავითარი სარგებელი არ ამოძრავებდა იმპერატორს, გარდა ამ უბედური ქვეყნის მფარველობისა⁵¹. აშკარაა, რომ ამ იდეოლოგიური ფორმულით ხელმძღვანელობს ს. ქიშმიშოვიც, როცა უკიდურესად მუქ ფერებში, სრული განუკითხაობის დამამცირებელ სურათს გვიხატავს ერეკლე II-ის სიცოცხლის უკანასკნელი წლების ისტორიის გადმოცემისას. მისი თქმით, ვალერიან ზუბოვის სამხედრო ექსპედიციის ჩაშლის შემდეგ (1797 წ.), რუსის ჯარის მიერ მიტოვებული „საქართველო რიყეზე გამოგდებულ ხომალდს ჰგავდა და ვისაც ღონე ჰქონდა, რაც უნდოდა იმას ათლიდაო“⁵². ასეთ ღონემიხდილ და გაძვალტყავებულ ქვეყნად საქართველოს წარმოდგენის აზრი გასაგები ხდება, როცა ვკითხულობთ ს. ქიშმიშოვის რიტორიკულ შეკითხვას: შეეძლო კი საქართველოს

⁴⁹ 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 124-125.

⁵⁰ 11. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 124-125.

⁵¹ 11. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 124-125.

⁵² 11. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 124-125.

⁴⁹ საქართველოს ისტორიის ნაკვევები, ტ. IV, გვ. 732-733.

არსებობა, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს? არ ჰქონდა რა არც ფული და არც ჯარი, ის უნდა შთავნთქა ან სპარსეთს, ან თურქეთს... ყველაზე ბედნიერი გამოსავალი მისთვის იყო საკუთარი ბედის მინდობა ერთმორწმუნე სახელმწიფოსათვის, რაშიც ის არ შემცდარაო⁵³. აი, თავი და ბოლო ამ წიგნის დანიშნულებისაც. სომხური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლის ტენდენციების დახასიათება არ იქნება სრული, თუ არ აღვნიშნეთ კიდევ ერთი საერთო შტრიხი – ქართულ სახელმწიფოში სომხური ელემენტების როლისა და მნიშვნელობის ჰიპერბოლურად წარმოდგენა. კრნანისას ომის ასევე ტენდენციურად გადმოცემისას ს. ქიშმიშვილი წერს: სექტემბერს ლაშქრის მიერ მიტოვებული ერეკლე II თბილისში დაბრუნდა. სასახლეში მას ელოდებოდა მხოლოდ ერთადერთი ერთგული სომეხი მსახური, რომელიც განანამებ მეფეს მიეხმარა ცხენიდან ჩამოსვლაში. ასევე, მეორე დღეს, აბანოს კართან გამართული ბრძოლისას დატყვევებას გადარჩენილმა მეფემ სომეხი მსახურის თანხლებით გააღწია ავლაბარს, იქიდან კი ანაურს. ეპიზოდი ისეა გადმოცემული, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, სომეხ მსახურს ეხსნას ერეკლე დატყვევებისაგან და არა მეფის შვილიშვილს იოანე ბატონიშვილს⁵⁴. ეს და ქართველთა დამამცირებელი სხვა ეპიზოდები ს. ქიშმიშვის არტემ არარატელისაგან აქვს აღებული, რომლის საეჭვო კავშირები რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებთან კარგადაა ცნობილი ისტორიოგრაფიაში⁵⁵. ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ ა. არარატელის გამოგონილი, ზღაპრული სიუჟეტებით გამდიდრებული ავტობიოგრაფიული თხზულება რუსულ ენაზე პეტერბურგში გამოიცა 1813 წ., როცა ეჭვსი თვე ძლივს იყო გასული ნაპოლეონის განდევნიდან და, გასაგებია, ა. არარატელის ზღაპრების წასაკითხად არავის ეცალა. 1821-22 წლებში კი გერმანულ და ინგლისურ ენებზეც დაიბეჭდა და მხოლოდ 1892 წ. რუსულიდან სომხურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა თბილისში⁵⁶. ქართლკახეთის სამეფოს უკანასკნელი წლების ისტორიის გაყალბებული სურათის საერთაშორისო სარბიელზე „თვითმხილველის“ დამოწმებით სასწრაფოდ გატანა, ცხადია, მხოლოდ პოლიტიკური მიზნებით შეი-

⁵³ С. Кипшишвили, Последние годы Грузинского Царства, гл. 98.

⁵⁴ ს. ქიშმიშვილი, ხსენებული ნაშრომი, გვ. 94-95.

⁵⁵ ისე ცინცაძე, აღა-მაჟად ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1969, გვ. 13-20.

⁵⁶ ქართლის მეცნიერებების სამსახურის მიზნების შესახებ (1795-1797), ქართლის 1981, გვ. 148-156.

ძლებოდა ყოფილიყო განპირობებული, რომელიც გაამართლებდა რუსეთის დაუფარავ აგრესიას კავკასიაში და პატიოსნად წარმოაჩენდა მას საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.

იმპერიის ანტიქართული პოლიტიკა კავკასიაში, თავისთვავად, მასტიმულირებელი ფაქტორი იყო სომხური ნაციონალისტური ძალების გააქტიურებისათვის, რომელთა გავლენა XIX ს. სომხურ ისტორიოგრაფიაში ჩასახული აღნიშნული ტენდენციების შემდგომ განვითარებაზე, დროთა განმავლობაში, სულ უფრო იზრდებოდა, განსაკუთრებით, 80-90-იანი წლებიდან, როცა სომხური საზოგადოების ცნობიერებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ახლად შექმნილი წვრილბურუსუაზიული პარტიების ნაციონალისტური შეხედულებები. ამ პარტიებს შორის მოქარებებული აქტიურობითა და ავანტიურიზმით გამოირჩეოდა 1890 წ. თბილისში შექმნილი „დაშნაკცუთიური“ (კავშირი), რომელიც ანტიოურქულთან ერთად, ზომიერებას მოკლებულ ანტიქართულ პროპაგანდასაც ენეოდა, ადგნდა სომხურ მოხალისეთა რაზმებს და სხვ. მისი ეს მოუზომავი ქმედებები მით უფრო სახიფათო იყო, რომ ამ პარტიას თავისი ადგილობრივი ორგანიზაციები საქართველოს ზოგიერთ ქალაქსა და რაიონშიც ჰყავდა. „არმენაკანებისა“ და „გნჩაკისტებისაგან“ განსხვავებით, რომლებიც სომხეთის საკითხის გადაწყვეტას ე. ი. დასავლეთ სომხეთის ოსმალთა ბატონობისაგან დახსნას, ძირითადად, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებებს უკავშირებდნენ და სასწრაფოდ მოითხოვდნენ 61-ე მუხლით გათვალისწინებული რეფორმების გატარებას, დაშნაკებმა ამასთან ერთად, ნამოაყენეს „დიდი სომხეთის“ შექმნის ამბიციური იდეა, რომელიც გულისხმობდა ტიგრან II-ის დროინდელი ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმული სომხეთის აღდგენას. თავიანთი გეგმების რეალიზაციის შესაძლებლობას ყველა ეს პარტია დიდ სახელმწიფოთა (რუსეთი, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, ამერიკას შეერთებული შტატები) ჩარევაზე ამყარებდა. ამ ფანტასტიკური იდეით გამსჭვალული დაშნაკები რუსეთის მთავრობასთან გარიგებით იწყებენ ბრძოლას სომეხთა სასარგებლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების მისაღწევად კავკასიაში. კავკასიის მეფისნაცვალთან, ვორონცოვ-დაშკოვთან დაახლოებული აღ. ხატისოვის საშუალებით მათ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების თბილისის გუბერნიიდან მოწყვეტა და გუმბრთან შეერთება მოითხოვეს, გუმბრის სომხური გუბერნიის შესაქმნელად. ასეთი მოთხოვნა, თავისი არსით, საქართველოს ტერიტორიულ ხელყოფას უდრიდა და სერიოზულად ლახავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. საგანგებოდ შედგენილმა კომისიამ, სადაც სომხებს ქართველებზე ბევ-

რად მეტი წარმომადგენელი ჰყავდათ (6 კაცი 2-ის წინააღმდეგ) და სხვა სახელმწიფო ორგანოებმა 1913 წ. 6 ნოემბერს და 1914 წ. 24 იანვარს გეოგრაფიული და ეკონომიკური მოსაზრებებით სომეხთა მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებლად ცნო⁵⁷.

საქართველოს ტერიტორიების მიმართ დაშნავთა პრეტენზიებს განაპირობებდა რუსეთის საკოლონიზაციო პოლიტიკის აგრესიული ხასიათიც, რომლის შედეგად საქართველოს განაპირა მხარეებსა და მის მახლობლად ლტოლვილი სომხური მოსახლეობის სიჭარბე გამუდმებით იზრდებოდა. ამასთან დაკავშირდებით, ივ. ჯავახიშვილი წერდა: „როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოდებაზე ლაპარაკი დაიწყეს და წინასწარ მსჯელობას შეუდგნენ, მაშინ ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ სომებს პოლიტიკოსებს სომხეთა საქართველოში გადმოსახლება ოსმალეთისაგან დაპეჩავებულ თავიანთ თანამოძმეთა მარტო ფიზიკურად გადარჩნის თვალსაზრისით არ აინტერესებდათ, არამედ გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნული გეგმების, გაბნეულ სომეხთათვის ერთი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო საახალშენოდ ადგილები არჩეული“⁵⁸.

სწორედ ხელოვნურად შექმნილი ჭარბი მოსახლეობის არგუმენტზე დაყრდნობით 1909-1916 წე-ში საერობო კრებებზე სომხური მხარე და-ჟინებით აყენებდა საერთოდ ამიერკავკასიის მთელი ტერიტორიის ეროვნული ნიშნით გამივლინის საკითხს. სომეხთა წარმომადგენლები ცდილობდნენ ამიერკავკასიის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის აუცილებლობა სამეურნეო მოსაზრებებითაც დაესაფუძვლებინათ. მათი მტკიცებით, რუსულმა ბიუროკრატიამ ამიერკავკასიის ადმინისტრაციული მოწყობისას, სომხეთი ზედმეტად შეავინოვა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, როცა აღმოსავლეთ ყარაბაღის პროვინციები ელიზავეტოპოლის მუსლიმანურ გუბერნიას მიუერთა, ხოლო სომხეთის ჩრდილო ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში ჩართო. ამიერკავკასიის ცხრა გუბერნიიდან მხოლოდ ერთადერთი ერევნის სომხურ გუბერნიაში იყო თავმოყრილი ამიერკავკასიის სომხური მოსახლეობის 1/4, დანარჩენი კი აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის იყო განაწილებული. ამიტომ, სავსებით ბუნებრივად (იგულისხმება როგორც დაზარალებულნი) სომხები გამოდიან

ამიერკავკასიის ტერიტორიალური გადანაწილების ინიციატორადო. მათივე მტკიცებით, საქართველოსა და სომხეთს შორის სადაც ტერიტორიებზე სომხური მოსახლეობის დიდი რიცხობრივი უმრავლესობაა და სომხებს შეუდარებლად მეტი კომპაქტურობა ახასიათებთ. მეზობელთა პრეტენზიების განხორციელების შემთხვევაში სომხეთი აღმოჩნდება კლდეებზე მიტმასნილი და არსებული ტერიტორიების მხოლოდ 5%-ს მიიღებდა ამიერკავკასიის მოსახლეობის 30%-ო. რიცხობრივად სომხების თანაბარი ქართველები მიიღებდნენ ტერიტორიის 42%-ს, ე. ი. სომხებზე რვაჯერ მეტს, აზერბაიჯანელები კი – 53%-ს. ამიტომ ეროვნული ნიშნით ამიერკავკასიის ტერიტორიის გადანაწილების სომხური პროექტი უფრო სამართლიანია და ითვალისწინებს მინების არსებული ფონდის თითქმის თანაბარ, პროპორციულ განაწილებას. ასე მაგალითად, სომხებს ამ პროექტით ერგებათ ამიერკავკასიის ტერიტორიის 29%, ქართველებს – 30-33%, ხოლო თათრებს – 38-41%-ო⁵⁹.

ეს სომხური პროექტი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ შორს იდგა როგორც რეალობის, ისე სამართლიანობის პრინციპებისაგან, მაინც ბოლომდე არ ასახავდა სომხური პოლიტიკური წრეების ნამდვილ ზრახვებს და, როგორც ჩანს, მხოლოდ „დიდი სომხეთის“ შექმნის დაშნაკთა პარტიის გეგმებისათვის ხელსაყრელი გარემოს შემზადებას ისახავდა მიზნად, რაც, სულ მალე, კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნისთანავე გამომჟღავნდა.

დაშნაკთა ეს ამბიციური გეგმები, გასავებია, ისტორიულ დასაბუთებასაც საჭიროებდა, რის გამოც სომხურ ისტორიოგრაფიას ამ გეგმების შესაბამისად უხდებოდა ამიერკავკასიის ისტორიის გადაკეთება, რაც პრაქტიკულად ნიშნავდა ხორნაცისეული იდეების ხელახალ აღორძინებას. ასე იქცა XIX-XX სს. სომხური ისტორიოგრაფიის მთავარ ამოცანად კავკასიაში სომეხთა ტერიტორიული პრეტენზიების დაცვისათვის ბრძოლა, რომელსაც უშუალოდ დაექვემდებარა ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიის ნებისმიერი საკითხის მეცნიერული თუ არამეცნიერული განხილვა.

ამგვარი ოპერაციების მთავარ სამიზნედ, როგორც ჩანს, არჩეული იყო თითქმის მთელი კავკასიის მომცველი XII-XIV სს. ცენტრალიზებული ქართული ფეოდალური მონარქიის სამსაუკუნოვანი ისტორია, რომლის გადაკეთება-გასომხურებას ერთ-ერთი პირველი შეუდგა ცნობილი სომეხი

⁵⁷ სცია, ფ.2080, საქ. 6, ფურცელი 82-111.

⁵⁸ იქც, გვ.4.

⁵⁹ Бакинский армянско-национальный совет, Армяно-грузинский вооруженный конфликт, 1919, с. 1-5

ისტორიკოსი ლეო (არაქელ ბაბახანიანი). 1915 წ. მან თბილისში სომხურ ენაზე გამოსცა ნაშრომი „ყარაბაღის ეპარქიული სასულიერო სასწავლებლის ისტორია“⁶⁰. ამ სასწავლებლის ისტორიის გადმოცემისას, განსაკუთრებით სხვა სომხურ სასულიერო კერძობან მის ურთიერთობაზე საუბრისას, ლეო შიგადაშივ ურთავს პოლიტიკური მინარსის ისეთ შენიშვნებს, რომლებიც არა მარტო გაყალბებულად წარმოგვიდგენს ცენტრალიზმული ქართული ფეოდალური მონარქიის ბუნებას, არამედ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ რუკასაც თავდაყირა აყენებს. ლეოს აზრით, „გუგარქისა“ და არცახის სამთავრო გვარეულობათა შორის არსებული ნათესაური კავშირები ამაგრებდნენ რა ლორეს, ხაჩენისა და სხვა მხარეთა სამთავრო ფედერაციის ქსელს, მათზე დაყრდნობით „ზაქარე სპასალარმა“ თავის ძმასთან ერთად გააკვირვა ქვეყანა გამოჩენილი მხეობით. ეს, განმარტავს ლეო, მარტო დენ ჩრდილო სომხეთის სამთავრო გვარეულობათა ფედერაცია კი არ იყო, არამედ იმავე დროს კავშირი ქართველთა ძლიერ სამეფოსთან... ამ კავშირმა საშუალება მისცა „ზაქარეს“ დაეყყრო მთელი არარატის ოლქი ქალაქ ანისითურთ და სომეხთა მრავალი სხვა მხარე, სადაც კარგა ხანია, რაც მკვდარი იყო სომეხთა პოლიტიკური ცხოვრება. და, ამგვარად, თითქოს, აღორძინდებოდა სომეხთა დამოუკიდებლობა, ამ შემთხვევაში უფრო ფართო საზომით, ვიდრე ბაგრატუნიანთა დროს⁶¹.

სასხვათაშორისოდ გაეთებული ეს კომენტარები, ფაქტობრივად, არსებითად ცვლიან XII-XIII სს. სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ისტორიის კარგად ცნობილ სურათს: 1. ამ ხანის საქართველოს შემადგენლობაში მყოფი სომხეთი, ლეოს მიხედვით, მოწყვეტილია ქართულ სახელმწიფოებრიბას და ის ე. წ. „სამთავრო ფედერაციის ქსელის“ სახით არსებობს, რამდენადაც მხარგრძელების და მათდამი სამმართველოდ მინდობილი საქართველოს პროვინციის დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან ლეოს სომხეთ-საქართველოს კავშირამდე დაჰყავს. 2. მხარგრძელთა ქართული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები და ქართული სახელმწიფოს ცნობილი დიდობელები ლეოს სომეხ მოღვაწეებად გამოჰყავს, რამდენადაც მათ „ჩრდილო სომხეთის სამთავრო გვარეულობათა ფედერაციის შემქმნელად“ და სომხეთის განმათავისუ-

ფლებლად აცხადებს 3. კიდევ უფრო მეტიც, ლეოს მიხედვით, ჩრდილო სომხეთის სამთავრო გვარეულობათა ფედერაციის კავშირმა ქართველთა ძლიერ სამეფოსთან შესაძლებლობა შექმნა ბაგრატუნიანთა დროის სომხეთზე უფრო “ფართო საზომით” (თუ მასშტაბით) აღორძინებულიყო სომხეთა დამოუკიდებლობა. თუ გავითვალისწინებთ შუა საუკუნეების სომხური ისტორიოგრაფიის ზოგი წარმომადგენლის მტკიცებას, რომ ბაგრატუნიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველოს სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილები იგულისხმებოდა და სომეხი ბაგრატუნები სომეხთა და ქართველთა მეფეებადაც ინოდებოდნენ, ვფიქრობ, მისახვედრი უნდა იყოს ლეოს ამ წინადაღების ქვეტექსტის შინაარსიც. რამდენადაც ჩრდილო სომხეთის სამთავრო გვარეულობათა ფედერაციას „ზაქარე სპასალარმა“ და მისმა ძმამ ქართველთა ძლიერი სამეფო დაუკავშირეს, რა შეიძლება იყოს ბაგრატუნიანთა სომხეთზე უფრო ფართო მასშტაბით სომხეთა დამოუკიდებლობის აღორძინება, თუ არა ქართველთა ძლიერი სამეფოს სომხეთა ფედერაციაში გაერთიანება და მისი გასომხურება, ყოველ შემთხვევაში, ასე შეიძლება ითქმიროს ტენდენციურად განწყობილმა მკითხველმა, რაზეც შეიძლება კიდეც იყო გათვლილი ლეოს ხსენებული კომენტარები.

საქართველოს ძლიერების ყველაზე შთამბეჭდავი ხანის ისტორიის შემდგომ გაყალბებას სომხურ ისტორიოგრაფიაში გაგრძელება, ერთხანს, თითქოს, აღარ ჰქონდა, რადგან სულ მალე, რაღაც ორ-სამ წელინადში, მეზობელთა ტერიტორიული პრობლემების მოგვარება სულ სხვა პირობებში და დონეზე გახდა განსახილველი. 1918 წ. 26 და 28 მაისს საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკები იშვნენ, რომელთა შორის საზღვრების გამიჯვნა თავიდანვე მწვავედ დაისვა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ „დაშნაკუცუთიუნი“ სომხეთის მმართველი პარტია გახდა და „დიდი სომხეთის“ შექმნის ამბიციური იდეა, ახლა უკვე, სახელმწიფოებრივი ზრუნვის პრაქტიკულ გეგმად იქცა. ამ გეგმის საერთაშორისო მთავრდაჭერისათვის მაშინვე აქტიურად ამოქმედდა სომხური მხარე, მით უფრო, რომ უკვე ნოემბრისათვის მსოფლიო ომში ანტანტის სახელმწიფოების გამარჯვების შედეგად, საქართველოს მხარდაჭერი გერმანიის ადგილს ამიერკავკასიაში ინგლისი იკავებდა. 1918 წ. 30 ოქტომბერს მუდროისის ნაესადგურში ხელმოწერილი ბრიტანეთ-თურქეთის დროებითი ზავის კონვენციის ერთი მუხლიც, სადაც ნახსენები იყო სომხეთი და თურქეთის ექვსი ვილაიეთი, სომხეთის მმართველ წრეს, ანტანტის მხარდაჭერის მედს აძლევდა. ასეთ ვითარებაში სომხეთის შეუზღუდავ პოლიტიკურ მადას ფართო გზა გაეხსნა და მის მიერ შედგენილ რუკებზე, როგორც სომხეთში შემავალი ტერიტორიები, აღნიშ-

⁶⁰ მარტინ დავითის ძე სახელმწიფო უნივერსიტეტის 1883-1913 წლების 1915.

⁶¹ დასახელებული ნაშრომი, გვ. 45-50.

ნული იყო თბილისი, ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა, ახალქალაქის მაზრა, მცხეთა, გორი, ბათუმი და ბათუმის ოლქი⁶². იმავდროულად, სომხეთა ტრადიციულად აქტიური პროპაგანდა გზას იკვლევს სომხების მომხრე ევროპისა და ამერიკის მრავალი პირის წმინდა კაბინეტურ შეხედულებებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი სენატორის ლაჯის მიერ 1918 წ. 10 დეკემბერს ამერიკის სენატში შეტანილი რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, მომავალ დამოუკიდებელ სომხეთში უნდა შესულიყო თურქეთის სომხეთი (ექვსი ვილაიეთი და კილიკია), რუსეთის სომხეთი და სპარსეთის აზერბაიჯანის ჩრდილოეთი ნაწილი (სპარსეთის სომხეთი). სომხური ორგანიზაციების მიერ გამოცემულ დოკუმენტთა კრებულში ამ რეზოლუციისათვის თანდართული მომავალი სომხეთის რუკის მიხედვით მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი მტკვარს მიჰყება (დაახლოებით ელიზავეტოპოლიდან, ე. ი. განჯიდან ზღვის შესართავმდე). სომხეთი (ამ რუკის მიხედვით) სამ ზღვაზე გადის: შავსა, ხმელთაშუა და კასპიის ზღვაზე⁶³. ეს რუკა სომხებმა რამდენჯერმე გამოსცეს და მთელ მსოფლიოში გაავრცელეს. უნიდებდა რა ამ რუკას ფანტასტიურს, ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ცხადია რომ ახალი სომხეთის სახელმწიფოსათვის ასეთი საზღვრები ეთნოგრაფიული პრიციპის მიხედვით არ არის შემოფარგლული, ეს გეგმა არც ისტორიულ საფუძველზეა დამყარებული, რადგან არასდროს ასეთი სომხეთი, რომელიც XI ს. შემდეგ პოლიტიკურად აღარ არსებობდა, არ ყოფილა, შეიძლება ითქვას, რომ მის შემდგენელთ ოდნავი ლიტონი საღი გონიერებაც კი არ ატყვაიათ“⁶⁴.

ლაჯის რეზოლუციის ამერიკის სენატში წარდგენიდან რამდენიმე დღეში, 13 დეკემბერს სომხურმა ჯარებმა მოქმედება დაიწყეს ლორესა და ბორჩალოს მაზრების დასაკავებლად. სომხური გეგმის მიზანი იყო თბილისი ხელში ჩაგდება და მესხეთის დაკავება, რის შემდეგ სომხეთი ზღვასთან იქნებოდა შეერთებული ბათუმით. სომხეთის მმართველმა წრეებმა ომი გაბედეს მხოლოდ იმ იმედით, რომ კავკასიაში მომავალი ინგლისი მათ მხარს დაუჭრდა, და თუ სომხეთი ინგლისელებს ფაქტის წინაშე დააყენებდა, მას ხელში შერჩებოდა ყველა მის მიერ დაკავებული ტერიტორია⁶⁵. მაგრამ სამხედრო ოპერაციები მოლოდინის საწინააღმ-

დეგოდ წარიმართა. საქართველოს ტერიტორიაზე ღრმად შემოჭრილმა (მდ. ხრამამდე) სომხუმა ჯარმა, გენერალ გ. მაზნიაშვილის მიერ ორგანიზებული კონტრშეტევის შედეგად უკან დაიხია და დაიფანტა. სომხები დამარცხდნენ. ინგლისური პიკეტები ლორესთან მეზობელ ჯარებს შუა ჩადგა, რითაც სომხეთი სრულ კრახს გადაურჩა⁶⁶. 31 დეკემბერს საქართველო-სომხეთის ომი შეწყდა. მხარეები შეთანხმდნენ, საზღვრები საბოლოოდ გამორკვეული ყოფილიყ პარიზის საზავო კონფერენციაზე. ამ კონფერენციაზე ინგლისელთა მხარდაჭერის მიუხედავად, სომხეთმა ვერ შეძლო ქართული ტერიტორიების ხარჯზე გასასვლელი მიეღო ზღვაზე. ამის შემდეგ სასაზღვრო დავამ, ერთხანს, ისტორიოგრაფიაში გადაინაცვლა. 1919 წელსვე თბილისში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ერთმანეთის საპირისპირ დასკვნებით ორი ნაშრომი გამოიცა: ქართულ ენაზე ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ და სომხურ ენაზე ლეოს „სასაზღვრო დავა“⁶⁷. ეს ნაშრომები, თავდაპირველად, პარიზის კონფერენციაზე მოდავე მხარეების პოზიციების შესამაგრებლად იყო გათვლილი და ამდენად, განვლილი ომის თავისებურ გამოძახილსაც წარმოადგენდა, რომელთაც საზოგადოებრივი აზრის განსაზღვრული მიმართულებით წარმართვაც უნდა შეძლებოდათ.

ივ. ჯავახიშვილი მონოგრაფიის შესავალ ნაწილშივე განმარტავს კვლევის საგანსა და მის დანიშნულებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრები საუკუნეთა განმავლობაში არაერთგზის გასცილებია თავის ეთნიკურ საზღვრებს, ხოლო XII ს. მთელ ამიერკავკასიასაც მოცავდა, მის წიგნში „განხილულია საქართველოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული საზღვრები, ისე როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრეთვე, გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა“. აქედან გამომდინარე, წერს ქართველი მეცნიერი, გამოკვლევის მიზანია წარსულსა და თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების იმგვარად შემოხავა, რომ უზრუნველყოფილი იყოს როგორც საერთაშორისო სამართლის მოთხოვნილებები, ისე ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები⁶⁸.

⁶² ვიქტორ ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი, 1989, გვ. 13.

⁶³ ზურაბ ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, თბილისი 1990, გვ. 188-189.

⁶⁴ სცია, ფ. 471, საქ. № 6, გვ. 82-90.

⁶⁵ ვიქტორ ნოზაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 45.

⁶⁶ გოლოვი მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 115-132.

⁶⁷ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, თბილისი, 1998, გვ. 459.

⁶⁸ ქართველი მეცნიერებების გათვალისწინებით 1919 წ. 2096.

ივ. ჯავახიშვილისაგან განსხვავებით, ლეოს მთელი ყურადღება უშუალოდ სომხეთის ჩრდილო საზღვრებისკენაა მიმართული, მისი მზერა ლორესა და ახალქალაქს უტრიალებს და მათი სომხური სამყაროსათვის კუთვნილების დამტკიცებას ცდილობს. ემოციებით დატვირთული მისი ბელეტრისტული პასაჟები, ზოგჯერ, მეცნიერულ საბუთიანობას ენაცვლება, რაც პრობლემის გაბუნდოვნებასა და მყითხველის შეცდომაში შეყვანას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე რთულ საკითხებში გარკვეულობისა და სინათლის შეტანას.

ლეოს მტკიცებით, ლორე-ტაშირისა და მთლიანად გუგარეთის (სომხ. გუგარქის) მხარის სომხური ისტორია, სულ ცოტა, 2000 წელს მაინც მოითვლის, რის გამოც ლორეს გარეშე შეუძლებელია სომხეთის წარმოდგენა საუკუნეთა წყვდიადში. ამჟამად კი (ე. ი. ლორეს სადავო ტერიტორიის მიმართ დიდ სახელმწიფოთა ვერდიქტის მოლოდინში) სომხეთის სხეულიდან ლორეს მოკვეთა ნიშნავდა მთელი მისი წარსულისა და კულტურული საგანძურის განივებასა და ასეულ თაობათა დიად საქმეთა დატაცებასო. სომხეთი მეცნიერის ამ ხმამაღლალ განცხადებებს, მისდა სამწუხაროდ, ვერაფრით შევლის მის მიერვე ნახევარი სიმართლით მოყვანილი ფაქტები და არგუმენტები. მათ შორის, თითქოსდა, ყველაზე ეფექტური – გუგარეთში სომებთა ორიათასწლიანი პოლიტიკური და კულტურული მკვიდრობის არგუმენტი, რომლის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობაც, თითქოს, გასომხდა, უპრალოდ სიმართლეს არ შეეფერება. ანტიკური, ქართული და თვით სომხური წყაროების მოწმობითაც, გოგარანე-გუგარქი ოდითგანვე ქართულ ქვეყნად ითვლებოდა და მისი ძირითადი მოსახლეობა ქართული იყო⁶⁸. ლეო აღტაცებით საუბრობს V ს. ტაშირში ლიტერატურისა და ქრისტიანული ცივილიზაციის მდიდარ ტრადიციებზე, განმათავისუფლებელ სულსა და სამშობლოს ღირსების შეგნებაზე, განსაკუთრებით ცურტავის საპიტიახში სასახლეზე, სადაც სომებთა ბრნყინვალე გმირი ვაპან მამიკონიანი აღიზარდა და სხვ. პათეტიკურად აღნიშნავს, აგრეთვე, ამ ხანის ცურტავის პიტიახშითა მოყვარულ კავშირებს ცნობილ სომხურ სამთავრო საგვარეულოებთან და მთლიანობაში ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს, არშუშა და ვარსკენ

პიტიახშების სამთავრო სომხური მინა-წყლის ნაწილი ყოფილიყოს, რითაც შეცდომაში შეჰყავს თავისი მკითხველი და, აშკარაა, შეგნებულად უმაღლეს ამ სამთავროს ქართულობას. ლეოს საწინააღმდეგოდ, მის მიერვე დამოწმებული და დიდად შექებული ლაზარ ფარპეცი, სავსებით ნათლად და გასაგებად წერს, რომ ჰმაიაკ მამიკონიანის ცოლმა „თავისი ვაჟები აღზარდა და ასწავლა მათ ქართლს ქვეყნაში, ქართლის ბდებს არშუშას სახლში. ქართლის ბდებებმა აშუშამ ისინი ძლვნად გამოსთხოვა სპარსთა მეფეს იაზერტს და სხვა.⁶⁹

ასევე ცრუობს ლეო, როცა V-VII სს. ქვემო ქართლის კულტურულ-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით სომხურობაში მკითხველის დასარწმუნებლად ამტკიცებს, თითქოს, ცურტავის ეკლესიაში ღვთისმსახურების ენა თავიდანვე სომხური იყო და მხოლოდ ქართველების სურვილი იყო, რომ ქართული ენაც სომხურის თანასწორად ღვთის მსახურების ენად ექციათო. ამ შემთხვევაში ლეო რეალურ სიტუაციას თავდაყირა აყენებს. სინამდვილეში ცურტავის სომხურენოვან თემში სომხური მღვდელთმსახურება შუშანიქმა შემოიღო, ქართული კი იქ თავიდანვე არსებობდა⁷⁰. სინამდვილეს აყალბებს, აგრეთვე, როცა ქართულ ეკლესიას VII ს. სომხური ეკლესიის ნაწილად აცხადებს და იერარქიულად „სომხური ეკლესიის ბრძანებლურ ინტერესებს“ უმორჩილებს. მთელი V-VII საუკუნეები აღმოსავლეთის ეკლესიაში მონოფიზიტთა შეტევის ნიშნით (თეორიულ სფეროში მაინც) მიმდინარეობს, წერს ზაზა ალექსიძე, და ცნობილი უნიქი, ეკთეზისები და მსოფლიო კრებებზე დათმობები სწორედ ამ შეტევაზე პასუხისა და თავდაცვის გამოვლინების სხვადასხვა სახეა. სომხური და ქართული ეკლესიები ამ მხრივ საერთო ვითარებიდან არავითარ გამონაცემისა არ წარმოადგენდნენ. ქართული ეკლესია გადაუდგა მონოფიზიტურს, აღიარა ქალკედონური კრება და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მეზობელმა ეკლესიამ სცადა მისი შენარჩუნება მონოფიზიტური სამყაროსათვის, რაც არ იყო სომებთა კაპრიზი. ეს იყო სპარსეთის ხელისუფლების ნება და ეს ნება ე. წ. სპარსულ კრებაზე ოფიციალურად იქნა განცხადებული. არსად, კამათის არც ერთ ეტაპზე, სომხურ ეკლესიას თავისი იერარქიული პრეტენზია არ წამოუყენებია. მუქარას და პრეტენზიას იგი მხოლოდ სპარსეთის სამეფოს სახელით

⁶⁸ იხ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფის ძირითადი საკითხები, I, თბილისი, 1977, გვ. 146-153; მისივე. იმ ისტორიული გეოგრაფიის მიხედვით, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, 1979, გვ. 16-41.

⁶⁹ ლ-6. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1962, გვ. 242.

⁷⁰ 6. ჯანაშია, შუშანიქმის წამება, თბილისი, 1988, გვ. 249-250.

აცხადებდა. ეპისტოლეთა წიგნის მასალების სკრუპულოზურმა და კრიტიკულმა შესწავლამ მკვლევარი დაარწმუნა, რომ VII ს. დამდეგს, სომებ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებამდე ქართული ეკლესია ავტოკეფალური იყო და „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევიან⁷¹.

ნახევარი სიმართლით გადმოვცემს ლეო ქვემო ქართლის ტერიტორიაზე X ს. ბოლოს ნარმოქმნილი კვირიკიანთა სომხური სამეფოს ისტორიასაც. მისი განცხადებით, 982 წ. ლორეს საზღვრებში დაარსებულმა სომხურმა სამეფომ სამას წელზე მეტხანს გაძლო და მისი დედაქალაქი სამშვილდეც მსხვილი სომეხთასამკიდრო ცენტრი იყო, სადაც XV ს-შიც კი 20 ათასი სომეხი ცხოვრობდათ. ჯერ ერთი, 1065 წ. ბაგრატ IV-მ საერთოდ განდევნა კვირიკიანები სამშვილდიდან და კვირიკიანთა სამეფოც თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა, როგორც ჩანს, ყმადნაფიცობის პირობით. ქართველი მემატიანის მონმობით ამ დროიდან „სამშვილდე ოდენ იურვა სახლად თასად, და ეგრეთვე მონებდეს სომეხნი“⁷². 1118 წ. კი დავით აღმაშენებელმა სელჩუკიანი თურქების განდევნის შემდეგ მთელი ქვემო ქართლი ლორე-ტაშირიანად კვლავ და საბოლოოდ ერთიან ქართულ სახელმწიფოს დაუბრუნა, ვიდრე 1918 წლის ბოლომდე სადავოდ ქცეულ ლორეს ოლქს რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება სომხეთს გადასცემდა. უბრალო არითმეტიკა ცხადყოფს, რომ კვირიკიანთა სამეფომ ქვემო ქართლის ფარგლებში სამას წელზე მეტხანს კი არა, მხოლოდ (1118 – 982 = 136) 136 წ. გაძლო. ლეოს თვალთმაცცობა იქამდეც კი მიდის, რომ საქართველოს განსაკუთრებული ძლიერების ხანაშიც (XII-XIV სს.) ქვემო ქართლის ტერიტორია მის მიერ გამოვინებულ, არარსებულ რაღაც სომხური ფედერაციის შემადგენლობაში შეჰვავს. მისი თქმით, მხარგრძელებს წილად ხვდათ „დაარსება ერთის ძლიერის ფედერაციისა, რომელიც ხშირი ქსელით ებმება აღმოსავლეთ გუგარქს, არცას, სიუნიქს, გელარქუნს ვიდრე არაგანამდე და არას მთებამდე“⁷³.

ლეოს უკიდურესად ტენდენციური თხზულების ფონზე კიდევ უფრო ცხადად შეიგრძნობა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის უაღრესად ობიექტური,

⁷¹ ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბილისი, 1968, გვ. 005-056, 066.

⁷² ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 307.

⁷³ ლეო, „სასაზღვრო დავა“, გვ. 47.

მეცნიერული ხასიათი. ქართველი მკვლევრის მიერ მოყვანილი კონკრეტული ფაქტები მკაფიოდ წარმოაჩენს საქართველოსა და სომხეთის გამ-მიჯნავი ზოლის თავგადასავალს უძველესი დროიდან 1919 წლამდე, მის სტრატეგიულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას ქვეყნისათვის. ივ. ჯავახიშვილი მკითხველის ყურადღებას თავიდანვე მიაქცევს იმ უმნიშვნელოვანეს გეოგრაფიულ ფაქტორზე, რომელიც აუცილებლობით განასაზღვრავს საქართველოსათვის გუგარეთის ბუნებრივ კუთვნილებას. იგი წერს: „მთელი ეს ქვეყანა გეოგრაფიულად ისე მჭიდროდ არის საქართველოსთან დაკავშირებული, რომ როგორც თვით ქვეყანას, ისე ყველა იქაურ მდინარეებსა და რასაკვირველია გზებსაც ჩრდილოეთი-საკენ, მტკვრისა და ტფილისისაკენ აქვთ პირი მიბრუნებული“⁷⁴. ფაქტობრივად, ის სამხრეთიდან საქართველოში შემავალ მთავარ გზას და კარს ნარმოადგენდა, რის გამოც ეს ქვეყანა, როგორც საქართველოს ხელისუფალთა ზრუნვისა და ყურადღების საგანი იყო, ისე საქართველოს დაპყრობის მოსურნეთა მთავარი სამიზნეც. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, მთელი ისტორიის მანძილზე სულ სამჯერ სცადეს სომხებმა საქართველოს სამხრეთის საზღვრების გადმოლახვა და იქ დამკვიდრება. პირველი ცდა ჯერ კიდევ ქ. წ. II ს. დასაწყისს მიეკუთვნება, როცა სტრაბონის ცნობით, სომხეთის მეფეებმა მეზობლებს მიწები წაართვეს, მათ შორის ქართველებს პარიადრის სანახები, რომელიც ტაოსა და სპერს შეიცავდა, აგრეთვე, ხორზენი და გუგარეთი. ეს, ქართველი მეცნიერის განმარტებით, სომეხთა პირველი იერიშია ქართველთა მინა-წყლის დასაპყრობად, მაგრამ ამით მათი ბედი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. 35 წლითგან ქ. შ. მოყვლებული, როდესაც ტაციტის სიტყვით იძერის მეფეები იმდენად ძლიერნი იყენებ, რომ სომხეთში შემოჭრილ სპარსელებს ებრძოდნენ, და როცა თვით სომხეთშიც კი ქართველი უფლისნული გამეფდა, ცხადია, მდგომარეობა თვალსაჩინოდ უნდა შეცვლილიყო. მაგრამ ქართველთა მიერ გუგარეთის უკან დაბრუნების შესახებ პირდაპირი ცნობები IV ს-ითაგან ქ. შ. მოიპოვება. 387 წ. სომხეთი ორ სამეფოდ გაიყო, რომლებიც სულ მალე სპარსეთმა და ბიზანტიამ ერთმანეთს შორის გაინაწილეს. ქართველებმა გუგარეთი, გარდაბანი და კარნახი უკან დაიბრუნეს დიდი ხნით. V ს.ც გუგარეთი პოლიტიკურად და საეკლესიო წყობითაც საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგინდა. ასევე გრძელდებოდა VI და VII საუკუ-

⁷⁴ ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. XII, გვ. 470.

ნებძილი. თბილისისა და ქართლის საამიროს შემდეგ (VIII ს. 30 წწ.) გუგარეთიც მის საზღვრებში ექცევა. IX ს-იდან საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური მოღონიერება იწყება. ქართველი მთავრები თრიალეთს, ტაშირს და აშოცს საქართველოს საზღვრებში აქცევენ. საქმეში ერევა სომხეთის სამეფოს აღმდგენელი აშოტ ბაგრატუნი და ტაშირს იკავებს, რის შემდეგ თავის თავს სომხეთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავის სახელწოდებას აკუთვნებს. აქედან ცხადია, წერს ივ. ჯავახიშვილი, რომ გუგარეთი მასაც ქართლად და ქართველთა მიწაწყლად მიაჩნდა და სწორედ ამ ქართველთა ქვეყნის დაბატრონების ძალით მან თავის თავს ქართველთა ერისთავთერისთავი დაარქვა⁷⁵. ამგვარად, განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, ეს სომხეთა იერიში იყო საქართველოს სამხრეთის საზღვრების გადმისახალავად და გუგარეთის დასაპყრობად. მაგრამ, როგორც იქვე შენიშნავს, ვერც ამ მეორეგზისმა სომხეთა მიერ დაპყრობამ შეცვალა არსებითად ქვემო ქართლის, ანუ გუგარეთის ძირითადი კუთვნილების საკითხი. საისტორიო გეოგრაფიას სომხეთა დროის ამ კუთხეში პოლიტიკური მბრძანებლობის სახსოვრად ტერმინი „სომხითი“ შერჩა. ეს სახელი ძველად სრულებით უცნობი იყო და მხოლოდ X ს-დან მოყოლებული გვხვდება. „სომხითი“ ეწოდებოდა მხოლოდ ბოლნის-დმანისის ხეობებს და ლორეს ველსაც და საყურადღებო ისაა, რომ ვითარცა საგეოგრაფიო ტერმინი მარტო ქართულად და ქართულ მნერლობაში იხმარებოდა. სომხები და სომხური საისტორიო მნერლობა ამ ქვეყნას „სომხითს“ არ ეძახდნენ. პირიქით, ისინი ლორეტაშირის ველს „ქართველთა ველს“ უწოდებდნენ. ამ ტერმინში უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია შენახული, რომ თავიანთ პოლიტიკურ ბატონობისდა მიუხედავად თვით ქვეყნას სომხებიც თავისიდა-თავად ქართველთა კუთვნილებად სთვლიდნენ⁷⁶.

სომხეთა პოლიტიკურ ბატონობას ქვემო ქართლში 1065 წ-დან ბოლო ეღდება, ხოლო 1118 წ. დავით აღმაშენებელმა სელჩუკიან თურქებს ლორე და აგარანი წაართვა, რის შედეგ ეს კუთხე, ქართლის სამხრეთი წანილი, და თვით სომხითიც, საერთოდ, საქართველოს უცილობელ და განუყოფელ წანილად ითვლებოდა და სომხებს არასდროს აღარ სჭერიათ⁷⁷. 1783 წ. ტრაქტატის დადების უამსაც, ს. ბურნაშვილის აღწერი-

ლობით, სომხით-ლორე-ფამბაკ-ბორჩალუ საქართველოს უცილობელ საკუთრებას შეადგენდა და კვლავინდებურად საზღვარი უფრო სამხრეთისაკენაც მდებარეობდა და გამყოფ ხაზად ერევნის (ფამბაკის) მთები ითვლებოდა. რეალურ ფაქტებზე დამყარებული ძველი გუგარეთის აქწარმოდგენილი ისტორია, როგორც ვხედავთ, მთლიანად უარყოფს ლეოს განცხადებათა პათოსს, მის მტკიცებას სომხეთის ისტორიასთან ქვემო ქართლის ორიათასწლოვან კავშირზე. ივ. ჯავახიშვილის მიერ მოყვანილი კონკრეტული ფაქტები ცხადყოფს, რომ ეს კავშირი არათუ ორიათას წელზე მეტი ხნის ვერ იქნებოდა, არამედ მის ნახევარზე ბევრად ნაკლებ ხანზეც მსჯელობა სათუო უნდა ყოფილიყო. ასე რომ, ლეოს მცდელობა ნებისმიერი საშუალებით მკითხველის შეცდომაში შეყვანისა სრულიად აშკარაა.

ივ. ჯავახიშვილი ცალკე თავს უძღვნის ქვემო ქართლში დემოგრაფიული სიტუაციისა და ეთნიკურ ურთიერთობათათვის დამახასიათებელი მოვლენების განხილვას. ამ მხარის სტრატეგიული მნიშვნელობა მას ხშირად მტრის თავდასხმების ასპარეზად აქცევდა, რის გამოც მოსახლეობა აქ მრავალჯერ დაზარალებულა და არაერთხელ მთლიანად ამონცვეტილა კიდეც. სპარსეთის შაჰებმა აქ თავიანთი საყრდენი ბაზის შესაქმნელად თურქულებინვანი ელები ჩაასახლეს. მიუხედავად ამისა, დევნილი სომხური მოსახლეობისათვის ეს ქვეყნა ტერიტორიული სიახლოვის გამო, მაინც ყველაზე მოხერხებულ თავშესაფარს წარმოადგენდა. XVIII ს. ბოლოდან კი სომხეთა დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი იცვლება და თავშესაფრის ძიებასთან ერთად მათ ლტოლვას ჩვენსკენ პოლიტიკური ელფერი ეძლევა. კერძოდ, რუსეთ-საქართველოს 1783 წ. ტრაქტატის დადების შემდეგ სომხეთა წინამდლორები უშუალოდ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას ცდილობენ, თანაც ქვემო ქართლსა და სხვაგან ლტოლვილობით დაკავებული ტერიტორიების ჩათვლით. ივ. ჯავახიშვილის მართებული შენიშვნით, ეს უკვე სრულებით შეუწყნარებელი საქციელი იყო: საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წყალობით სომხები თავიანთთვის საქართველოში აუცილებელ განადგურებისაგან თავშესაფარს პოლობდნენ, მადლობის მაგიერ კი საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენი მიწა-წყლის მიღება ჰსურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და ჩვენ ქვეყნაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს. ოფიციალურად რუსეთის მთავრობა საქმეს ისე წარმოაჩენდა, თითქოს, საქართველოს საკეთილდღეოდ ცდილობდა, რის წყალობითაც, წერს

⁷⁵ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. XII, გვ. 472.

⁷⁶ იქვე, გვ. 473.

⁷⁷ იქვე, გვ. 474.

ივ. ჯავახიშვილი, – სომხებმა და რუსეთის მთავრობამ თავიანთ წადილს მიაღწიეს: სომხებმა მიწა მიიღეს, რუსებმა კი საქართველოში იდუმალი ქვეშევრდომები და თავიანთი გაბატონების უერთგულესი წინამავალი რაზმი გააჩინეს. ერეკლე II-მ ლტოლვილი სომხები იმხანად თელავსა და სილნაძი დაასახლა. რაც შეეხება სომხითსა და ლორეს, საქართველოს რუსეთის იმპერიაში გაერთიანების დროისათვის ჯერ კიდევ უკაცრიელი იყო და მხოლოდ 1827-29 წწ.-ში ოსმალეთიდან და სპარსეთიდან 40 ათასი სულის ბორჩალოს მაზრაში შემოხიზნის შედეგად ქვემო ქართლში ჩნდება შედარებით მრავალრიცხოვანი სომხური მოსახლეობა.

მოყვანილი დიდალი მასალების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ასკვნის: ამგვარად ორი გარემოებაა სრულებით ცხადი. ერთი ის, რომ ამ კუთხის ახალშენი სომხები იმ სომხეთა მემკვიდრეები არ არიან, რომელნიც საქართველოს ამ კუთხის სომხეთა მიერ ზემოაღნიშნული პოლიტიკური მოტაცებისა და ბატონობის გამო აქ ქართველ მკვიდრ მცხოვრებთა შორის გაჩნდნენ, არც იმ სომხეთა მემკვიდრეები არიან, რომელნიც შემდეგ საუკუნეები საქართველოს მთავრობის ნებართვით დროგამომშვებით სახლდებოდნენ (ის მოსახლეობა ხომ რამდენჯერმე ხან აიყარა სამუდამოდ, ხან მტრის მრავალგზისი შემოსევებისაგან მკვიდრ ქართველებთან ერთად ამონყდა), – მეორეც ის, რომ სომებ მცხოვრებთა ეხლანდელი სიმრავლე საქართველოს სამხრეთის საზღვარზე გარემოებათა ბუნებრივი შედეგი კი არ იყო, არამედ მხოლოდ რუსთა მთავრობის პოლიტიკური გეგმის წყალობით მათი უცხოეთითავან ხელოვნური გამოსახლების შედეგი⁷⁸.

შემდეგ ივ. ჯავახიშვილი მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს 1897 წ. მოსახლეობის აღნერის მასალებზე, რომელთა მიხედვით, ამ რეგიონში სომხური მოსახლეობის ზრდისათვის ხელოვნური ხელშეწყობის მიუხედავად, ეს მოსახლეობა აქ უმრავლესობას მაინც ვერ ქმნიდა: 128 ათასიდან ის მხოლოდ 48 ათასს შეადგენდა. და მაინც, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, საგულისხმიეროა და დამახასიათებელი, რომ საქართველოს და სომხეთის პოლიტიკური განახლება და დამოუკიდებლობის აღდგენა ამჟამადაც სომხეთა იერიშით და ომით დაიწყო (უკვე მესამედ) ისევ საქართველოს სამხრეთის საზღვარზე მდებარე ქვეყნის ქვემო ქართლის, ანუ როგორც იგი რუსების მიერ წოდებულია, ბორჩალოს მაზრის დასაპყრობად⁷⁹.

⁷⁸ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. XII, გვ. 462-483.

⁷⁹ იქვე, ტ. XII, გვ. 483.

ივ. ჯავახიშვილის წარმოდგენილი ნაშრომი, ვფიქრობ, სრულად ააშკარავებს და საცნაურს ხდის ლეოს პრეტენზიებისა და პათეტიკური მსჯელობის მთელ უსაფუძვლობას. ძველი გუგარეთისა და კერძოდ ლორე-ტაშირის ისტორია რომ ისეთი არ იყო, როგორსაც ლეო წარმოგვიდგენდა, რა თქმა უნდა, ეს მისმა ავტორმაც შესანიშნავად იცოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის ამ ნაშრომს უფრო პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ობიექტურ-მეცნიერული. წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისის გამო რომ ლეოს შეეძლო წყაროს მონაცემების შეცვლაც კი, ამას ზოგი სომხეთი ისტორიკოსიც აღნიშნავდა. მაგალითად, პ. არუთინიანის მტკიცებით, ბურჟუაზიული ისტორიკოსები ლეო და ეზოვი საკუთარი იდეის დასაცავდ, არცთუ ისე იშვიათად, წყაროების ტექსტს ამასინჯებდნენო⁸⁰. პოლიტიკურ-პროპაგანდისტული პასაჟები ლეოს სხვა ნაშრომებსაც ცხადად ეტყობა. ზოგჯერ ეს გამოხატულია ერთი წინადადებით ან სულაც ერთი-ორი სიტყვით, მაგრამ ზუსტადაა გათვლილი საქართველოს ისტორიის დამცრობა-გაუბრალოებაზე და მკითხველის ცნობიერებაში ლეოსული ჭეშმარიტების ღრმად ჩაბეჭდვაზე, თითქოს, მთელი ამიერკავკასია და განსაკუთრებით მისი შუაგული – თბილისი სომხური სინამდვილის ანარეკლია. ასეთი ადგილები მრავლადაა წარმოდგენილი გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოცემულ ლეოს თხზულებათა VI ტომში, სადაც საქართველო ისტორიული სომხეთის ერთ პატარა წანილადაა გააზრებული⁸¹. მსგავსი მინიშნებები საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი, აგრეთვე, ლეოს „სომხეთის ისტორიის“ მესამე ტომშიც. მაგალითად, საუბრობს რა ვახტანგ VI-ის დამსახურებაზე სომხური სამხედრო ფორმირებების შექმნაში, აღნიშნავს: „სომებ-ქართველთა საბრძოლო კავშირის იდეა შესანიშნავი მოვლენა იყო. ზაქარია სპასალარის დროის შემდეგ (XIII ს-დან) ამგვარი მოვლენა ქართველებსა და სომხებს შორის ჯერ არ არის შემჩნეული“⁸². ჯერ ერთი, 5-6 საუკუნით ერთმანეთისაგან დაცილებულ დროში განვითარებული მოვლენების შედარება და მათ შორის პარალელის გავლება რომ მიზანშეუწოდელი და საეჭვო უნდა იყოს, ვფიქრობ, ეს დავას არ უნდა იწვევდეს. ამას გარდა, ლეოს მიერ

⁸⁰ პ. თ. Արյունյան, Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, Москва, 1954, с. 5.

⁸¹ ამ ტომში საქართველოზე ნათქვამი კრიტიკულადაა განხილული ალ. აბდალაძის წერილში „ასე ულმერთოდ?“. იხ. „მნათობი“, № 9-10, 1991, გვ. 165-169.

⁸² ლეო ქართველი მემკვიდრეობის შედეგების შედარება და საეჭვო უნდა იყოს, ვფიქრობ, ეს დავას არ უნდა იწვევდეს. ამას გარდა, ლეოს მიერ

ნახსენებ XVIII ს. „სომეხ-ქართველთა საბრძოლო კავშირზე“ წყაროებში არავითარი ცნობა ან მინიშნება არ მოიპოვება. ამ გარემოებით გაკეირვებული სომეხი ისტორიკოსი წერს: უნდა ითქვას, რომ ვახტანგი პეტრე დიდისადმი მიწერილს თავის წერილებში არც ერთ ადგილას არ იხსენიებს სომხურ ჯარს, სომეხ-ქართველთა კავშირს და სხვ. „ქართლის ცხოვრებასაც“ არა აქვს დაცული ამის შესახებ რაიმე ცნობა. იგი (ე. ი. ვახტანგი) საკამარისად თვლის ილაპარაკოს ქრისტიანთა სახელით და პასუხობს რა რუსთა იმპერატორის წინადადებას, იგი ამშობს, რომ განძას მიღის ლეგებთან ომის დასაწყებად და უნდა შეიერთოს იმ მხარის სომხები და თურქები. ამგვარად, განაგრძობს ლეო, მაშინ, როდესაც სომეხი მოღვაწეები ყოველნაირად ცდილობდნენ ეჩვენებინათ რუსებისთვის, რომ მათ წარმოშვეს ორგანიზებული, შეიარაღებული, განმათვისუფლებელი მოძრაობა, ვახტანგი დუმილით გვერდს უვლის გარკვეული მიზნისა და მოქმედების სახის ამ მოძრაობას, თუმცა ესოდენ დიდი დახმარება გაუწია სომხური ჯარის ორგანიზაციას. ასეთ დამოკიდებულებას მას, ალბათ, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრება ჰქარნახობდა, დაასკვნის საბოლოოდ ლე⁸³.

ლეოსგან განსხვავებით, ვახტანგ VI სომეხი მელიქების რაზმების მისი დახმარებით გაწრთვნას, რა თქმა უნდა, ორ ერს შორის დამყარებულ საბრძოლო კავშირად არ აღიქვამდა. ვახტანგისათვის კავკასიის საქრისტიანო მთლიანად მისი წინაპრების განსაგებელი და საპატრიონო ქვეყნა იყო და როგორც XIII ს. დიდი ქართული სახელმწიფოს მეფეთა პოლიტიკური მემკვიდრე, სომხური რაზმების საბრძოლოდ მომზადებას, ბუნებრივია, იმ საერთო ღონისძიებათა შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა, რომლებიც გათვალისწინებული იყო პეტრე დიდთან შეთანხმებული მომავალი ერთობლივი საბრძოლო მოქმედებებისათვის. ამიტომაც იყო, რომ ლეოსავე შენიშვნით, ვახტანგი საკამარისად თვლიდა რუსეთის იმპერატორთან ელაპარაკა კავკასიის ქრისტიანთა სახელით. ნიშანდობლივია ისიც, რომ განძასთან მდგომი ვახტანგ VI პეტრე დიდს მოახსენებდა: „ამ ალაგების ბელადობა გვეთქმისო“⁸⁴. ამიტომ ლეოს გულმოდგინე ცდები სომეხ მელიქებთან ვახტანგ VI-ის დამოკიდებულებაში სამხედრო-პოლიტიკური კავშირი აღმოეჩინა, წარუმატებლად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ ამ დონეზე კავშირი მხოლოდ მეტ-ნაკ-

ლებად თანაბარ და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს შორისაა შესაძლებელი. და მაინც, რამდენადაც ყარაბაღელი და სივნიელი სომხები საქართველოს მეზობელი სახანოების მცხოვრებლები იყვნენ და მათთვის განული სამხედრო-საწვრთნელი დახმარება ზოგ ისტორიკოსს, პირობითად მაინც, შეიძლებოდა განეხილა, როგორც ქართველ-სომეხთა საბრძოლო კავშირი, ამავე ფორმატით XIII ს. ქართველ-სომეხთა ურთიერთობაზე მსჯელობა, უკვე ყოველგვარ შესაძლებელ ზღვარს სცილდება, რადგანაც ერთი სახელმწიფოს, თუნდაც ეთნიკურად განსხვავებულ მოქალაქეთა ერთ ჯარში სამსახური თრი ერის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირად წარმოდგენა, მით უფრო კიდევ, ქვეყნის მხედართმთავრის მოთავეობით, უბრალოდ, აბსურდია. სამაგიროდ, ფაქტების ასეთი ჯამბაზიბით გულუბრყვილო მკითხველის ცნობიერებაში საქართველოს ისტორიის მნიშვნელობის დამცრობა და გაბიაბრუება, მის ავტორს, ჩანს სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა. მასთან, XVIII ს. დასასრულის ისტორიის გადმოცემისას, არ ავინუდება თავის მკითხველს გზადაგზა შეასენოს, რომ აღმოსავლეთი საქართველო საქართველო კი არა – სომხეთია. მაგალითად, მისი თქმით, ლორე უპირატესად სომხებით დასახლებული და სომხური ძეგლებით სავსე ქვეყანა, დაღისტენელების თავდასხმების გამო უკვე მთლიანად დაცარიელებული იყო⁸⁵. ამიტომ, ლეოს სამართლიანად მიაჩნდა ყაზახ-ლორეში ყარაბაღელი სომხების ჩასახლება, რადგანაც ეს მინები სომხეთისაა⁸⁶. ასევე თბილისიც, მისი მტკიცებით, უპირატესად სომხებით დასახლებული ქალაქი იყო და აღა მაპმად ხანი უფრო მეტად სომხებს მოევლინა უბედურებადო⁸⁷. ერთი სიტყვით, ლეოს ამ შედარებით გვიანდელ ნაშრომებშიც აშკარად შეინიშნება 1918 წ. დეკემბრის სომეხ-ქართველთა ომის წინა პერიოდის დაშნავთა განწყობილებები, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოსა და თბილისში სომეხთა ხელისუფლების დამკვიდრებას გულისხმობდა. ამ განწყობილებათა შესახებ თავის მოგონებებში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და მთავრობის მეთაური ნოე უორდანია წერდა: „სომხები იყვნენ დიდად უკავიყოფილო თბილისის გაქართველებით, საქართველოს დედა-ქალაქად გადაქცევით. მათ ეს ქალაქი, თავის უდაო ქალაქათ მიაჩნდათ დიდი ხანია, მეცხრამეტე საუკუნის დაწყებიდან, სადაც მართლა სომხების მოსახლეობა სჭარბობდა ქართველებ-

⁸³ ლეო, დასახელებული ნაშრომი, გვ. 132-133.

⁸⁴ Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государствами Спб, с. 140.

⁸⁵ ლეო, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 410-12 (სომხ. ენაზე).

⁸⁶ იქვე, გვ. 410-414.

⁸⁷ იქვე, გვ. 389.

ისას. რუსი ბატონობდა პოლიტიკურათ, სომხები ეკონომიკურათ. რუსი წავიდა, ქალაქი სომხებს უნდა დარჩენოდა. მათი აზრით, ნამდვილი საქართველოა დასავლეთ საქართველო, ხოლო აღმოსავლეთში არეულია სხვადასხვა ერები და აქ ქართული წმინდა ნაციონალური ხელისუფლება არ უნდა ყოფილიყო. მთავრობა უნდა გადავიდეს ქუთაისში, თბილისში კი შეიქმნება შერეული ხელისუფლება სხვადასხვა ერებისაგან. ამას ისინი ქადაგებდნენ სომხებში. მას სწერდნენ თავის ორგანოებში⁸⁸.

თავი III

ქართულ-სომხური ისტორიული ურთიერთობის ასახვა მეზობელთა საბჭოურ ისტორიოგრაფიაში

დაშნაუთა პარტიის იდეებისა და პოლიტიკური პროგრამის პროპაგანდა არა მარტო ლეოს ნაშრომებისთვის იყო დამახასიათებელი, არამედ მისი გავლენა სხვადასხვა დროს, მეტ-ნაკლები ინტენსივობით მთელ სომხურ ისტორიოგრაფიასაც დაეტყო. დაშნაუთა იდეების დომინირებას XX ს. სომხურ ისტორიოგრაფიაში კი მნიშვნელოვანნილად განაპირობებდა გასაბჭოებული რუსეთის კავკასიური პოლიტიკაც, რომლის სტრატეგიული ამოცანები სამხრეთ კავკასიაში, ფაქტობრივად, იგივე რჩებოდა, რაც ცარიზმის დროს იყო. ძველი რუსული კოლონიური პოლიტიკა ამჯერად უკვე, ფორმალურად მაინც, დემოკრატიისა და სოციალ-იზმის სამოსელში გამოეწყო, რამაც მეტი სივერაგე შესძინა მის ბატონობას კავკასიაში. მისი წყალობით, გასაბჭოების პირველ წელსვე საქართველომ თავისი ტერიტორიის მეოთხედზე მეტი დაკარგა (93 ათასიდან 70 ათას კვადრატულ კილომეტრამდე შემცირდა), რომელიც თურქეთზე, აზერბაიჯანსა და სომხეთზე გადანაწილდა. ის, რაც სომხეთის დაშნაურმა მთავრობამ ინგლისელთა დახმარებითაც კი ვერ შეძლო, ლორეს ნეიტრალური ზონა, 1921 წ. 7 ივლისს სტალინმა კავბიუროს ხელით სომხეთს გადასცა. კვლავაც გრძელდებოდა და კიდევაც ფართოვდებოდა დემოგრაფიული აგრესის პოლიტიკა საქართველოს წინამდებარებული სამართლებრივი სტრუქტურის მიერთებით. ბოლშევიკური იმპერიის პოლიტიკით წახალისებული სომხეთის მმართველი წრეები სასაზღვრო გამიჯვნის დასრულების შემდეგაც განაგრძობდნენ უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენებას. ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონის მიღებიდან სულ რამდენიმე თვეში მათ ახლა ბორჩალოს საკითხი დასვეს. პროექტის ჩაგარდნის შემდეგ უკვე ცენტრალურ მთავრობას საქართველოს აღმინისტრაციულ დაყოფაში თავისთვის სასარგებლო ცვლილებების შეტანა მოსთხოვეს, კერძოდ, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების გაერთიანე-

⁸⁸ ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, თბილისი, 1990, გვ. 92-93.

ბა, რათა მომავალში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საბაბით ის სომხეთისათვის მიერთებინათ. როცა ამ პროექტზეც უარი ეთქვათ, დაშნავთა იდეების მიმდევარმა პოლიტიკოსებმა ყარაი-შირაქის ველის სომხებით დასახლების გეგმა წამოაყენეს მებამბეობის მეურნეობის მოწყობის საბაბით, რაც, თოქოს, რუსეთის საფეიქრო მრეწველობის ინტერესებით იყო განხპირობებული. ბოლოს კი სომხურმა მხარემ 1925 წ. სრულიად ლიად და შეუნილბავად პრეტენზია წამოაყენა ახალქალაქის რაიონზე, მოითხოვა რა ჯავახეთისთვის ავტონომიის მინიჭება და საქართველოსგან მისი გამოყოფა¹.

საქართველოს მიწა-წყლის მიტაცების სომხეთა ეს გაუთავებელი ცდები, რა თქმა უნდა, ემყარებოდა როგორც ცენტრალური მთავრობის შემრიგებლურ დამოკიდებულებას მათი პრეტენზიების მიმართ, ისე სამხრეთ კავკასიაში სომებთათვის ხელოვნურად შექმნილ ხელსაყრელ დემოგრაფიულ სიტუაციას. ლორეს ე. წ. ნეიტრალური ზონის სომხეთი-სათვის უცერემონიოდ გადაცემით, ხოლო აზერბაიჯანისათვის ზაქათალის ოლქის, ელდარისა და დავით გარეჯის ველისა თუ სხვა მიწა-წყლის დათმობით ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დაუსაბუთებელი პრეტენზიების დაკავყოფილების პრეცედენტი შექმნა, რამაც, ბუნებრივია, გზა გაუხსნა შემდგომშიც მსგავს უსამართლო პრეტენზიებს. ამას გარდა, ცარიზმისა და ბოლშევიკური რუსეთის მოხელეთა დიდი მეცადინებით სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოს სამხრეთი საზღვრის მთელ პერიმეტრზე, სომხური მოსახლეობის სიჭარბის შექმნაც, სომეს პოლიტიკოსებსა და საქართველოში ჩამოსახლებულ სომხურ მოსახლეობას დროებით დაკავებული ტერიტორიების მისაკუთრებისა და მოსაზღვრე სომხეთთან მიერთების თავშეუკავებელ სურვილსაც აღუძრავდა. ამგვარი განწყობილების განვითარებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ქვეყნის განაპირა მხარეებში უცხოეთნიკური კომპაქტური დასახლებებისა და აფხაზური და ოსური ავტონომიების ხელოვნურად შექმნით, ცენტრალურმა მთავრობამ საქართველო უცხოეთნიკური მასების ალყაში მოაქცია, რითაც მისი ისტორიული საზღვრები პრაქტიკულად წაშალა და მის ტერიტორიულ

სხეულზე ქირურგიული ექსპერიმენტები საჯაროდ წებადართული გახადა². ყველაფერი ეს ერთად კი, ქართველი ხალხის წინააღმდეგობის ძალას, ცხადია, მნიშვნელოვნად ასუსტებდა. ამიტომაცა, რომ დაშნავთა პარტიისა და მისი მომხრეების ცდებს საქართველოს ტერიტორიის სარჯზე ე. წ. „დიდი სომხეთის“ შექმნის იდეა თანდათან პრაქტიკული მოქმედების გეგმად ექციათ, ფაქტობრივად, ბოლო არ უჩანდა.

XX ს. 20-იან წლებში ქართული ტერიტორიების მისატაცებლად წამოყენებული სომხური მხარის არგუმენტები, როგორც უკვე ითქვა, საქმარისი არ აღმოჩნდა გადაწყვეტილების მისაღებად, რადგანაც მათ მიერ მითითებული სამეურნეო-ეკონომიკური გეოგრაფიული და სხვა, თუნდაც, პოლიტიკური ფაქტორები, მათივე სურვილის საწინააღმდეგოდ, ქართული მხარის სასარგებლობ მეტყველებდა და სომხეთა პრეტენზიების უსაფუძვლობას ცხადყოფდა. ამიტომ, ხსენებული პოლიტიკური წრეების აზრით, ამჯერად უკვე, „დიდი სომხეთის“ იდეისათვის ბრძოლის მთელი სიმძიმე, რეალურად, სომხურ ისტორიოგრაფიას უნდა ეწვიოთა, რომელსაც მთელი კავკასიის, კერძოდ კი, ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორია ამ იდეის შესაფერისად უნდა გაემართა. ასეთი ამოცანის გადასაწყვეტად კი, გარდა მ. ხორენაციდან მომდინარე მდიდარი ტრადიციებისა, მას, რუსული პოლიტიკის პირობებშიც, საკმაო გამოცდილება პქნდა დაგროვილი. რუსული კოლონიური პოლიტიკის საამბებლად XIX საუკუნეში დაწყებული შეტევა საქართველოს ისტორიაზე მისი მნიშვნელობის დამცრობისა და გაბიაბრუების მიზნით, XX ს. 40-იანი წლებიდან უკვე ფართო ფრონტით, თანმიმდევრულ და გეგმაზომიერ ლაშერობაში გადაიზარდა, რომელმაც საისტორიო კვლევის, თითქმის, ყველა სფერო და დარგი მოიცავა. ამჯერად კვლევის მიზანი არაიმდენად საქართველოს ისტორიის მნიშვნელობის დამცრობა, რამდენადაც დაშნავთა მიერ შედგენილი რუკების (მათ შესახებ უკვე ითქვა) მიხედვით „დიდი სომხეთის“ ჩრდილო ნაწილში ქართულის ნაცვლად სომხური ცივილიზაციის ნაკვალევის დადასტურება იყო. ასეთი განწყობილება სრულიად თავისუფლად იკითხება მთელ რიგ სომებ მეცნიერთა იმ გამოკვლევებში, რომლებიც ეხება სომხეთის ისტორიულ გეოგრაფიას, ტოპონომიკას, პოლიტიკურ ისტორიას, ლიტერატურას, ხე-

¹ იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის არქივი 9.47 № 1. საქ. № 6. აგრეთვე, ბ. არველაძის წერილი ამ საკითხზე, “ლიტერატურული საქართველო”, 1988, 23 სექტემბერი.

² იხ. აგრეთვე, 6. მირიანაშვილი, საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან 1918-1938 წლებში, ავტორეფერანი, თბილისი, 2001, გვ. 24 და სხვ.

ռոշնեბաս და, საერთოდ, კულტურის ისტორიას. საქართველოს ისტორიის წინააღმდეგ სომეხთა ამ ახალ ლაშქრობას მძლავრი იმპულსი, ტრადიციის მიხედვით, კვლავაც რუსული პოლიტიკური და სამეცნიერო წრების წარმომადგენელმა მისცა. ამჯერად თავი ისახელა არქიტექტურის მკვლევარმა ნ. ტოკარსკიმ, რომელმაც 1946 წ. ერევანში სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის გრიფით გამოსცა წიგნი სათაურით „ქველი სომხეთის არქიტექტურა“. ავტორის თქმით, მისი ამოცანა იყო მოეცა ქველი სომხური ხუროთმოძღვრების ზოგადი მიმოხილვა, თვალი გაედევნებინა სომეხ ხუროთმოძღვართა შემოქმედებითი აზრის განვითარებისათვის საუკუნეთა სიგრძეზე და გაერკვია როგორ ხდებოდა მრავალფეროვანი არქიტექტურული ფორმების შექმნის რთულ პროცესში გამოცდილების ურთიერთგაცვლა საზღვარგარეთის პროფესიულ თანამოძმებთან³. მიუხედავად ასეთი ხმამაღლი განცხადებისა, სომეხი ხალხის მდიდარმა არქიტექტურულმა მემკვიდრეობამ, ავტორის მანკიერი მეთოდოლოგიის გამო, როგორც ამას სავსებით მართებულად აღნიშნავდა აკად. ს. ჯანაშია, ღირსეული ასახვა ვერ პოვა წიგნში⁴. რაც შეეხება ნ. ტოკარსკის მიერ თავშივე გაცხადებულ დებულებას შემოქმედებით პროცესში საზღვარგარეთის პროფესიულ თანამოძმებთან სომეხ ხუროთმოძღვართა აზრისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლის თაობაზე, უბრალოდ, დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და სინამდვილეში მთელი მსჯელობა ამ „გაცვლის“ სანინააღმდეგოდა მიმართული, რათა მკითხველი რამენაირად დაარწმუნოს ძნელად დასაჯერებელში, რომ, თითქოს, ყველა ძირითადი არქიტექტურული ფორმა ადგილზე, სომხეთში წარმოიშვა, რის შემდეგ ის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

ნ. ტოკარსკიმ თავის წიგნში ერთი თავი მთლიანად ტაო-კლარჯეთის ძეგლების განხილვას დაუთმო. მეზოპელ ქართულ და სომხურ კულტურულ სამყაროთა შორის შემოქმედებითი გაცვლის ფაქტების კვლევა, ობიექტურად, სწორედ ამ თავში უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი, მაგრამ არათუ არანაირი კულტურული გაცვლის ხსენებას არ ვხვდებით ამ უკიდურესად ტენდენციურ ავტორთან, არამედ ცალმხრივ გავლენაზეც არავითარი მინიშნებაც კი არ შეიმჩნევა. ქართული არქიტექტურისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი კი ისაა, რომ ს. ჯანაშიას ზუსტი

განსაზღვრით⁵, ნ. ტოკარსკის წარმოსახვით, მთელი სამხრეთი საქართველო მისი მოსახლეობითა და კულტურით უცხოეთნიკური ანუ სომხური სამყარო იყო და ამიტომაც ამ ძეგლებს სომხური არქიტექტურის რიგში განიხილავდა. მის ცდას, ტაო-კლარჯეთის ძეგლები მთლიანად მოეწყვიტა ქართული არქიტექტურისაგან და ის სომხურ არქიტექტურასთან დაუკავშირებინა, გასაგებია, რომ არ შეიძლებოდა წარმატება ჰქონოდა. სომხური ხუროთმოძღვრების თითქმის ყველა სერიოზულმა მკვლევარმა შეუძლებლად ცნო მისი გაზიარება⁶. ოფიციოზთან შეთანხმებული და მის მიერვე სანქციონირებული (ამის გარეშე კი საბჭოთა კავშირში მაშინ წიგნი არ იძეჭდებოდა), მით უმეტეს, ეროვნულ კულტურათა ურთიერთობის თემაზე შექმნილი ნაშრომის, თუნდაც თავშეკავებული კრიტიკა იმ დროს არც ისე ადვილი იყო, რადგანაც ის თვით სახელმწიფოს იდეოლოგიური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლადაც შეიძლებოდა გაგებულიყო. მიუხედავად ამისა, ნ. ტოკარსკის „ნაღვანის“ ნამდვილად მეცნიერული და ამასთან გამანადგურებელი კრიტიკა მხოლოდ ს. ჯანაშიამ გაბედა. მისმა დიდმა ავტორიტეტმა და გაბატონებული იდეოლოგიის ღოგმების ოსტატურად გამოყენებამ აიძულა ხელისუფლება დუმილით შეხვედროდა ისტორიული სიმართლის გაყალბების მხილებას, თუმცა მის შემდგომ გავრცელება-განვითარებასაც ზღვარი დაუდო. ტოკარსკის წიგნის მეცნიერული კრიტიკა, თავისთავად, დიდ სიძნელეს, მით უფრო ს. ჯანაშიასთვის არც წარმოადგენდა, რამდენადაც ქართულის გარდა, ბერძნულ-ლათინური და თვით სომხური წყაროების ცნობებიც გადაჭრით ენინააღმდეგებოდა მისი ავტორის ახილებულ ტენდენციას. ს. ჯანაშიამ თავის რეცენზიაში უხვად და ეფექტურად გამოიყენა წყაროთა ავთენტური ცნობები და უეჭველიბით ცხადყო ნ. ტოკარსკის არათანამიმდევრული და წინააღმდეგობებით სავსე მსჯელობის აბსურდულობა. მაგრამ გაბედულებას საჭიროებდა არა იმდენად ისტორიული ფაქტების გაყალბების კრიტიკა, რამდენადაც და უპირატესად მანეირი ტენდენციის მაცოცხლებული ფესვების გაშიშვლება. იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. ტოკარსკის წიგნში გზადაგზა და გამუდმებით თავს იჩენს ისტორიული სიმართლის დამახილების მეცნიერებისათვის უპრცედენტო ისეთი შემთხვევები, როცა ერთი ნაციონალური კულტურის ძეგლთა დიდი კომპლექსი სხვა ნაციონალური კულ-

³ Токарский Н. М., Архитектура древней Армении, Ереван, 1946, с.VIII-IX.

⁴ С. Джанашия, Об одном примере искажения исторической правды, Тбилиси, 1947, с. 4.

⁵ С. Джанашия, Об одном примере искажения исторической правды, გვ. 11.

⁶ Вахтанг Беридзе, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тбилиси, 1981, с. 16.

ტურის ძეგლებად საღდება და ერთი ქვეყნის, განსაკუთრებით წარმატებული პერიოდის ისტორია მეორე ქვეყნის ისტორიაზე დამოკიდებულად ცხადდება, როცა ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა თავისი კულტურით სომხურ-ეროვნულ კულტურულ სამყაროში გადაჰყავთ და მის პარალელურად საერთო ქართული შეგნების უძველესი მატარებელი სვანები და სვანეთი ქართული ეროვნულ-კულტურული კოლექტივიდან ითიშებიან, ბუნებრივია, რომ ს. ჯანაშიას შეფასებები თავის კრიტიკულ ნარკვევში სულ უფრო მკაცრდება და ბოლოს, გაბედულად ამხელს 6. ტოკარსკის ანტიმეცნიერული ნაშრომისა და მთელი ამ წამონების წმინდა პოლიტიკურ მიზანდასახულობას. მისი სამართლიანი დასკვნით, „6. ტოკარსკის ეს გამოხდომა წარმოადგენს კოლონიზაციორთა და იმპერიალისტთა ძველისძველ პანგს ახალ ყაიდაზე გადაუმდერებლად“⁷, რითაც თანადროულ საზოგადოებას მიანიშნებდა რუსული პოლიტიკის უცვლელობაზე XIX ს-დან მოკიდებული მის თანამედროვეობამდე, რომელიც აშკარად იყო მიმართული ქართული ეროვნული შეგნების წინააღმდეგ. ასეთი გაბედული გამოსვლა იმ დროისთვის, მართლაც რომ გმირობის ტოლფასი იყო.

6. ტოკარსკის ეს გახმაურებული ნაშრომი, რომელმაც სამეცნიერო წრების უარყოფითი შეფასება დაიმსახურა და ქართული საზოგადოებრიობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია, რა თქმა უნდა, ემყარებოდა სომხური ისტორიოგრაფიის იმ წანილის ნაღვანს, რომელიც მიზნად ისახავდა დაშნაკთა პოლიტიკური პროგრამის ისტორიული საბუთიანობით შემაგრებას. მათ მიერ საქართველოს წარსულის ტრადიციულად სომხეთის ისტორიის ნაწილად წარმოდგენას დიდად უშლიდა ხელს XI ს. მეორე წარმომადგენი სამსაუკუნენახევრის მეტად ნიშანდობლივი ფაქტები, რომელთა მიხედვით, კავკასიის ისტორიის ასპარეზიდან გამქრალი ბაგრატუნთა სამეფოების მიწების უდიდესი წანილი ქართული ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა. ამიტომაც, XI-XIV საუკუნეების ამიერკავკასიის ისტორიის ფაქტებისა და მოვლენების შეფასება და წინა პერიოდის სომხეთის ისტორიასთან მათი მორგება თავიდანვე სომეხ ისტორიკოსთა საგანგებო ყურადღების საგანი გახდა, ხოლო საბჭოთა სომხური ისტორიოგრაფიის უმეტესი წანილის ძალისხმევა უკვე, ფაქტობრივად, ამ ისტორიის გადაკეთებისაკენ წარიმართა.

კვლევის საწყის ეტაპზე სომეხ ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა ისტორიული სომხეთის ნაწილში უმაღლესი ქართული ადმინისტრაციის წარმომადგენელთა, ე. ი. მარგრძელთა ვინაობისა და მათი

⁷ ს. ჯანაშია, დასახელებული ნაშრომი, გვ.52.

უფლებამოსილების გარკვევა, რამდენადაც მათი გენეალოგიის სომხურ ფესვებთან დაკავშირების ან კულტურულ-პოლიტიკური სომხობის დამტკიცების შემთხვევაში, გასაგებია, შესაბამისი შეფასება უნდა მისცემოდა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში შემოსული სომხური ნაწილის ცენტრთან დამოკიდებულების ხარისხს. საგულისხმოა, რომ სომხური ისტორიოგრაფიის უფროსი თაობის ბევრი წარმომადგენელი (მ. ჩამჩიანი, მ. ალიშანი, ე. ლალაიანი, ას. შაჰნაზარიანი და სხვები) მაინცდამაინც არ იჩემებდა მხარგრძელთა სომხურ წარმომავლობას. თვით ჰაკონ მანანდიანიც, რომელთანაც, მგონი, პირველად ვხვდებით ტერმინ „ზაქარიანებს“ მას ქურთული წარმოშობისად მიიჩნევდა. XX ს. 30 წლებიდან სომხური ისტორიოგრაფია მხარგრძელთა ვინაობის გარკვევასთან დაკავშირებით, მეტ ყურადღებას უთმობს მათი მოღვაწეობის მნიშვნელობის განსაზღვრას სომხეთის ისტორიაში, რაც უშუალოდ წარმოშობდა მხარგრძელთა კონტროლის ქვეშ მყოფი სომხეთის წანილის იურიდიული თუ ფაქტობრივი პოლიტიკური მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლის მოთხოვნილებას, მით უმეტეს, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნოსტალგიით გაჯერებული XII-XIII საუკუნეების სომხური წყაროების მიერ ქართულ-სომხური ურთიერთობების თავისებური აღქმა მნიშვნელოვანილად ხელს უწყობდა რეალური ვითარების გვერდის ავლით სასურველი ისტორიული სურათის დახატვას.

პირველი, ვინც მხარგრძელთა მოღვაწეობა საქართველოს სომხური წანილის პოლიტიკურ ფიზიონომიას დაუკავშირა და მათდამი სამართველოდ მინდობილი საქართველოს პროვინციის დამოკიდებულება ცენტრთან სომხეთ-საქართველოს კავშირამდე დაიყვანა, როგორც უკვე ითქვა, ცნობილი ისტორიკოსი ლეო იყო. თუმცა ამ თვალსაზრისის რამდენადმე სერიოზული არგუმენტებით შემაგრება არ უცდია.

სომხეთის ისტორიაში მხარგრძელთა როლისა და მნიშვნელობის ამგვარი გააზრებისათვის ხელი უნდა შეეწყო, აგრეთვე, სომხურ ისტორიოგრაფიაში მათი გაკეთილშობილების ცდებს. ასლან შაჰნაზარიანის აზრით, მხარგრძელები ძოროგეტში გადმოსახლებული და გასომხებული ქალდეველები იყვნენ, მალაქია ორმანიანის მიხედვით – ორბელიანები, ხოლო კარაპეტ ტერ მერტიჩიანის მტკიცებით – ბაგრატუნიანები⁸. პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი მხარგრძელთა წარმომავლობაზე საკუთარ

⁸ იხ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომხეთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, ტფილისი, 1928, გვ. 39.

აზრს არ გამოთქვამს და ძირითადად მსჯელობს საქართველოს სომხურ ნაწილში მათ უფლებამოსილებაზე. ერთი მხრივ იგი აღიარებს XII-XIII სს. საქართველოს პოლიტიკურ ჰეგემონიას სომხეთში, მეორე მხრივ კი, მხარგრძელებს სომხური თემების ფაქტობრივ ბატონ-პატრონებად აცხადებს და ფიქრობს, რომ თვითონ მხარგრძელებს თავიანთი თავი სომებ მეფეთა შემკვიდრებად მიაჩნდათ⁹.

სომხური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავტორიტეტული მეცნიერი ჰ. მანანდიანი მხარგრძელთა მოძვანების მთავარ შედეგად მიჩნევს „სომხეთის აღდგენას საქართველოს სუვერენიტეტის ქვეშ“¹⁰, ე. ი. თვით საქართველოს სამეფოს ფარგლებში, მის ერთ-ერთ ვასალურ ოლქად, თუმცა ამ ვასალობის ხასიათისა და შინაარსის შესახებ არაფერი აქვს ნათქევამი.

მხარგრძელთა ვინაობის, საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში მათი როლის შესახებ სომხური თვალსაზრისის ფორმირებაზე გადამწყვეტი გავლენა, ვფიქრობ, მაინც ს. ერემიანის შრომებმა მოახდინა. თავისი შეხედულება ამ საკითხზე მან ჯერ კიდევ 1944 წ. გამოცემულ მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევში „ამირსპასალარი ზაქარია ერკაინა-ბაზუკი“ წარმოადგინა¹¹. ზაქარიას პიროვნება ამ ნარკვევში უზომოდაა განდიდებული და შესაბამისად გაზიადებულია მისი მნიშვნელობა და როლი XII-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში. იგი დაწვრილებით გადმოგვცემს ქართული სახელმწიფოებრიობის ასპარეზზე ზაქარია მხარგრძელის დაწინაურების ამბავს და მისი გავლენის პერმანენტულ ზრდას თამარ მეფის კარზე. ს. ერემიანის აზრით, რამდენადაც თამარს, როგორც ქალს, ბრძოლებში მონაწილეობა არ შეეძლო, ყველა საქმის გადაწყვეტა ამირსპასალარს უხდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თამარის მეუღლე დავით სოსლანი გარდაიცვალა 1207 წ. ამის შემდეგ კი ს. ერემიანის მტკიცებით, ზაქარია მხარგრძელი არა მარტო სამხედრო და საშინაო საქმეებს, არამედ თამარის სახელით საგარეო პოლიტიკასაც უძლვებოდა. ამიტომ ზაქარია ყველაზე გავლენიანი პირი და სამეფოს ფაქტობრივი გამგებელი იყო. თამარ მეფე და ზაქარია ხელიხელჩაკიდებული მართავდნენ სახელმწიფოს, როცა

საქართველომ თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია¹². ს. ერემიანი იმაზე კი აღარაფერს ამბობს, რომ ქართული სახელმწიფოს მმართველობის სათავეში მეფის შემდეგ ვაზირი – მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იდგა, რომლის ხელქვეითი მოხელეც სწორედ ამირსპასალარი იყო და ამ უკანასკნელს მის გარეშე ჯარის შეკრებაც კი არ შეეძლო.

აშკარაა, ზაქარია მხარგრძელის, როგორც პიროვნებისა და მოღვაწის ჰიპერბოლიზაცია ს. ერემიანს სჭირდებოდა სომხეთის დამოუკიდებელ მმართველად ზაქარიას წარმოსადგენად. ს. ერემიანისავე აზრით, სომხეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა ზაქარიას შთააგონა მისმა სულიერმა მოძღვარმა მხითარ გოშმა, რომელიც სათავეში ედგა სახალხო მოძრაობას და ზაქარიას განადიდებდა ხალხის თვალში¹³. ამგვარ მტკიცებულებებთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, მხარგრძელთა ქართული გვარ-სახელის სომხური ფორმით „ერკაინაბაზუკით“ მოხსენიება, რითაც ქართველი მეფის დიდმოხელეს სომეხი ხელისუფლის ელფერს ანიჭებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართულ გვარ-სახელს მხოლოდ ზაქარიას და ივანეს მამის ამირსპასალარ სარგისის ზედნოდებად მიჩნევს, რაც თურმე ამ უკანასკნელს თავდადებითა და სიმამაცით მოუპოვებია ქართველთაგან. ს. ერემიანის განმარტებით, ძველი სომეხი ისტორიკოსები, სარგისის მამის ზაქარიას (ე. ი. ამირსპასალარ ზაქარიას პაპის) სახელის მიხედვით, ამ სახლს „ზაქარიანებს“ უწოდებენ. ასე, სრულიდან მარტივი მანიპულირებით ქართული გვარ-სახელი „ზაქარიანის“ სომხური გვარით შეცვალა. მხარგრძელთა სხვა განშტოებებიც, მათ შორის გაგელები და თმოგველებიც შესაბამისად, ასევე, სომხურ საგვარეულოებად მონათლა¹⁴.

ამგვარ მანიპულირებათა ხელოვნურობა, რომელთაც არავითარი საყრდენი წყაროებში არ გააჩნიათ, სრულიად ცხადია. საქმე ისაა, რომ როგორც ქართული ნარატიული წყაროების, ისე სომხური და ქართული ეპიგრაფიკის ცნობები თანხმობით მონმობს, რომ მხარგრძელი გვარ-სახელი იყო და არა პიროვნული ზედნოდება. ასე რომ არ ყოფილა, როგორც მართებულად შენიშნავს შ. მესხია, სარგის ამირსპასალარის ზედნოდება ვერ გადავიდოდა მის შვილებსა და შვილიშვილებზე და მით უფრო მხარგრძელთა მეორე შტოს წარმომადგენლებზე, ვარამის შთამომავლობაზე, ისევე, როგორც არ გადასულა ანდრია ბოგოლიუბსკის

⁹ ლეონ მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომებთა მოძვარნი“ და მათი ვინაობა, გვ. 36-39.

¹⁰ ქართველი ისტორიკოსი ათენის VI, 1985, გვ. 191

¹¹ ქართველი ისტორიკოსი ათენის 1944

¹² ს. ერემიანი, ამირსპასალარი..., გვ. 2-62.

¹³ იქვე, გვ. 22-23.

¹⁴ იქვე.

პიროვნული ზედწოდება „ბოგოლიუბსკი“ მის შვილ იურიზე, თამარის მეუღლეზე, თუ გიორგი ბრწყინვალისა – მის შთამომავლობაზე და ა. შ.¹⁵. ერთადერთი წყარო, სადაც სიტყვა „ზაქარიანი“ გვეძება შენიშვნავს შ. მესხია, არის ვარდანის თხზულება, მაგრამ იქაც არა ზაქარიანთა საგვარეულოს, არამედ ზაქარიას ძის აზრით¹⁶.

ამ ნარკვევის გამოსვლიდან ორ წელიწადში ს. ერემიანი უკვე რუსულ ენაზე აქვეყნებს იმავე ხანის ისტორიის საკითხებზე გამოკვლევას, სადაც თამარ მეფის საქმროს რუსი უფლისნულის იურის (გიორგის) თავგადასავლის გადმოცემასთან ერთად XII-XIII სს. ქართული სახელმწიფოს მოხელეთა შორის სომეხთა სიმრავლის ჩვენებას ცდილობს¹⁷. მისი მტკიცებით, თვითნება დიდებულების პარტიკულარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართული სახელმწიფოს დიდი გარდამქმნელი ემყარებოდა უცხო ჯარსა და მასთან თავშეფარებულ სომეხ ფეოდალებს¹⁸. ს. ერემიანის თქმით, თბილისის ამირასა და მასთან დაკავშირებული მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლის თანამდებობა მაჰკანაბერდისა და ახპატის მფლობელ არწრუნთა სახლის მეკვიდრეობით პრივილეგიას წარმოადგენდა. უფრო მეტიც, თამარის დროინდელ საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესს (1187-1188 წწ.) აბულასანს ამირქურდ არწრუნთან აიგივებს და ამით მასაც ასომხებს, ხოლო მისი კვალიფიკით „სომხურ-ქართულ სასაზღვრო ოლქის“ – ტაიქ (ტაო) და კლარჯე (ქართ. კლარჯეთის) მმართველ ერისთავს გუზან, თუ გაზანს საქართველოში ცნობილ „გუზან ტაოსკარელს“ მის მიერ გასომხებულ აბულასანის შვილად მიიჩნევს¹⁹. მისივე თქმით, თუკი გიორგი III საქართველოს სახელმწიფოებრივ ასპარეზზე ყიფჩადებს აწინაურებდა, თამარი სომხებს წყალობდა. ამ პოლიტიკის შედეგად ქვეყნის მმართველობაში ქმები დოლგორუები (ე. ი. მხარგრძელები) გაბატონდნენ და „ზაქარია დოლგორუემა, დაჩრდილა რა დავით სოსლანი, თავისი მარჯვე და მოქნილი პოლიტიკით შეძლო ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი გამზდარიყო, თამარი მთლიანად აღმოჩნდა ყოვლისმებლების – ზაქარია და ივანე დოლგორუების ძალაუფლების ქვეშ“²⁰.

¹⁵ შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში, თბილისი, 1979, გვ. 251.

¹⁶ იქვე, გვ. 252.

¹⁷ С. Т. Еремян, Юрий Боголюбский по армянским и грузинским источникам, Научные труды ЕГУ, XXIII, 1946.

¹⁸ იქვე, გვ. 391.

¹⁹ იქვე, გვ. 399.

²⁰ იქვე, გვ. 415.

სომხურ ისტორიოგრაფიაში ისტორიული სიმართლის დამახინჯების ამ ცდებს გზადაგზა კიდევაც შევეხებით და ქართული ისტორიოგრაფიის პოზიციას მათ მიმართ მკითხველს კვლავაც გავაცნობთ, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ 40-იანი წლების დასაწყისიდანვე ამ დასაგმობმა ტენდენციამ სასკოლო სახელმძღვანელოებშიც იჩინა თავი და გაყალბებულ ცოდნაზე დაამყარა მოზარდი თაობის განათლება. 1944 წ. ერევანში გამოცემული საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელო ასეთი დამოკიდებულების ერთ-ერთი ტიპური მაგალითია, სადაც კიდევ უფრო გამრუდებულადაა წარმოდგნილი XII-XIII სს. საქართველოს ისტორია²¹. გასაგებია, რომ ნ. ტოკარსკის წიგნიც ამ საერთო ტენდენციის უშუალო ნაყოფია. ამიტომაც იყო, რომ უმნიშვნელოვანესა ადგილი ამ „მეცნიერულ ნაშრომში“ სომხური არქიტექტურის ისტორიის კვლევის საბაბით პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე მსჯელობამ დაიკავა, რომლის მიზანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ქართველი ხალხის უფლების უარყოფა იყო. 40-იანი წლებიდან დაწყებული სომხები ისტორიკოსები, ფაქტობრივად, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქართულ-სომხურ ისტორიულ ურთიერთობათა გამრუდებაში, მაგრამ, როცა ამ პროცესის ტონის მიმცემი ქართულ წყაროებში კარგად გათვითცნობიერებული ს. ერემიანი გვევლინება, აშკარაა ამგვარი ტენდენციის წინასწარ გამიზნული პოლიტიკური შინაარსიც.

6. ტოკარსკის წიგნზე სამეცნიერო წრეებისა და ფართო საზოგადოებრიობის უარყოფითმა რეაქციამ შესაძლოა დააჩქარა კიდეც „სომხური ტენდენციის“ გამოვლინების ფორმების დახვენა და კონცეფციის ფარგლებში მისი მოქალაქეობა. ყოველ შემთხვევაში, ს. ერემიანის მთელ რიგ ნაშრომებში 40-იანი წლების ბოლოსა და მის შემდგომ პერიოდშიც კარგად იგრძნობა ამიერკავკასიის ისტორიის თეორიული გააზრების სურვილი. საბჭოთა კავშირში გაბატონებული მარქსისტული მოძღვრების იდეურ და თეორიულ საფუძვლებს შეფარდებული ს. ერემიანის კავკასიის ისტორიული განვითარების კონცეფცია ისეა აგებული, რომ არსებითად პროგრესის მატარებელ ერთადერთ ფენომენად ჩვენს რეგიონში ძველი და შუა საუკუნეების სომხეთი უნდა დაუსახოს მკითხველს. ასეთი ცნობიერება, გასაგებია, ფართო გასაქანს უქმნის ტენდენციურ ავტორთა

²¹ История армянского народа, пособие для средних школ, ч. I, 1944, с. 174, 175 და სხვ.

„რუსეთიდან მიიღეს“, ძირითადად, კავკასიის ისტორიაზე ორიენტირებული ცნობილი მეცნიერის (შემდგომში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის, მოსკოვის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი) ა. პ. ნოვოსალცევის სახით. იგი უარყოფდა რა კავკასიის ქვეყნებში მონათმფლობელურ ურთიერთობათა არსებობის შესაძლებლობას, ამ რეგიონში სომხეთის მოწინავეობის დამტკიცებას გეოპოლიტიკური ხასიათის არგუმენტებით ცდილობდა. მისი აზრით, რამდენადაც ძეგლი ცივილიზაციის რაიონებთან (მესოპოტამია, სირია, მცირე აზია, ირანი) სომხეთი ტერიტორიულად უფრო ახლოს იმყოფებოდა, კლასიკურმოქმნის პროცესი აქ ბევრად ინტენსიური იყო. ამიტომ ეს პროცესი უფრო ადრე და ინტენსიურად სომხეთში დაიწყო, რამდენადმე გვიან ქართლში და სულ გვიან, უკვე, არაბთა დაპყრობების წინ, ძირულ აღანესში²⁴.

სომხეთი რომ ტერიტორიულად და განვითარების ხასიათითაც ირანთან უფრო ახლოს იდგა და, ფაქტობრივად, მისი კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს შემადგენელ ნანილს ნარმადგენდა, სამეცნიერო ლიტერატურაში ეს სადაცოდ არავის გაუხდია. ეს თვალსაზრისი გატარებულია ნ. ადონცის, ჰ. მანანდიანის, ს. ერემიანის და სხვათა ცნობილ ნაშრომებში. მაგრამ ამის გამო, მისი, როგორც პროგრესის მატარებელი ქვეყნის გამორჩეულად ნარმოჩენა არ უნდა იყოს მაინცდამაინც გამართლებული, რადგანაც ძეგლადმოსავლური საზოგადოებები აღმავალი ტენდენციების განვითარებას დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა. ამიერკავკასიაში სომხეთის უპირატესი განვითარების ს. ერემიანისა და ა. ნოვოსელცევის თვალსაზრისი შესაძლოა საყრდენს პოლობს უკეთ შემონახული და შედარებით უხვი ცნობების შემცველი ადრეული სომხური ორიგინალური წყაროებიდან მომდინარე შთაბეჭდილებებში, რაზეც არაერთ მითითებას ვხვდებით მათ შრომებში. ქართული წყაროების შესაბამისი და თანაბარმნიშვნელოვანი ცნობები, ა. ნოვოსელცევის აზრით, უფრო გვიანია სომხურთან შედარებით და ნაკლებად ასახავს იმ ეპოქას, რაზეც წერენ მათი ავტორები, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ქართული წყაროების ნარმოშობის პრობლემა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ვადაწყვეტილი. ა. ნოვოსელცევის ეს არგუმენტი სერიოზულად ნამდვილად ვერ ჩაითვლება, რამდენადაც „მოქცევა ქართლისა და ქართლის ცხოვრების“ კრებულებში დიდი ხანია მკვლევრები ამჩნევენ ბევრად ადრე-

ული (IV-V სს.) ხანის საისტორიო თხზულებათა ფრაგმენტებს. ამას გარდა, ამიერკავკასიის უძველესი განვითარების სურათის აღდგენის სიმძიმე ა. ნოვოსელცევის ნაშრომებში დაკარისებული აქვს ბიბლიის ტექსტებში შემონახული სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის შემცველი ტერმინების ანალიზს. ამ მხრივ კი, ბიბლიის ქართული ტექსტებიც სომხურის თანაბარმნიშვნელოვან ადეკვატურ ყველა ტერმინს შეიცავს.

ადრეფეოდალური ხანის ქართულ და სომხურ წყაროებში დამოწმებული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ტერმინების სემანტიკური ერთგაროვნებისა და ფეოდალური ინსტიტუტების დიდი მსგავსების მიუხედავად, ფეოდალიზაციის პროცესი მეზობელ ქვეყნებში მაინც ამჟღავნებდა ხარისხობრივ სხვაობას. თუ საქართველოში ამ პროცესს თან სდევდა ადრეკლასობრივი საზოგადოების გადმონაშორი ნიშნების ლიკვიდაცია, სომხეთში მათ გაცილებით დიდხანს შემოინახეს თავი. ხოლო ისეთი უმნიშვნელოვანესი გადმონაშთი, როგორიც იყო თემი, ფეოდალურ სომხეთს ბოლომდე შემორჩა, რაც თავის მხრივ ფეოდალური განვითარების პროცესს მუდმივად ბორკავდა. ძეგლი ქართლისა და მისი თანადროული არშაკიდული სომხეთის სოციალური ვითარების შედარებისას აკად. დ. მუსხელიშვილმა საინტერესო მოვლენას მიაპყრო ყურადღება: ნიმანდობლივად აღინიშნება ფეოდალურ სენიორიათა სიმრავლე და ამდენადვე საზოგადოების ფეოდალიზაციის მეტი სილრმე ქართლში სომხეთთან შედარებით. ამაზევე მიუთითებს, მეცნიერის აზრით, ფეოდალური იერარქიის არარსებობა არშაკიდულ ხანაში და აგრეთვე სასოფლო თემის დიდი სიცოცხლისუნარიანობა სომხეთში თვით XVIII ს-მდე²⁵. რა არგუმენტიც არ უნდა გამოინახოს ერემიანნოვოსელცევის თვალსაზრისის დასასაბუთებლად, ერთი მაინც უდავო და ცხადია, ქართული ფეოდალური საზოგადოება და მისი სახელმწიფო შენობა გაცილებით უფრო გამძლე და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ისტორიის გამოცდის წინაშე, ვიდრე სხვა დანარჩენი ამიერკავკასიაში. ისტორიული პროცესის ამგვარი შედეგი კი თავისთავად ცხადყოფს განვითარების ბევრად მყარი ნიადაგის არსებობას ჩვენში მეზობლებთან შედარებით. ასე რომ, ს. ერემიანის მიერ დასმული საკითხი ამიერკავკასიის ისტორიულ განვითარებაში, ერთსახად, სომხეთი განსაკუთრებული მოწინავეობის შესახებ ნამდვილად გადასახედია.

²⁴ ხოსელიცევ ა. პ., გენეზის ფეოდალიზმი ვრცელდებოდა სამხეთის საზოგადოების IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003, გვ. 414-415.

²⁵ ხოსელიცევ ა. პ., გენეზის ფეოდალიზმი ვრცელდებოდა სამხეთის საზოგადოების IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003, გვ. 414-415.

1951 № პ. პ. არაქელიანისა და ა. იონნისიანის რედაქტორებით რუსულ-ენაზე ერევანში გამოდის ს. ერემიანის ხსენებული კონცეფციის საფუძველზე აგებული განმაზოგადებელი ნაშრომი „სომხეთი ხალხის ისტორია (ამ წიგნის რუკებისა და 17 სრული თავის ავტორი ს. ერემიანია), სადაც ამიერკავკასიის ისტორიის გადმოცემისას ძეველ და შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე მხოლოდ სომხეთის უპირატესობის მტკიცება დომინირებს, მისგან განსხვავებული და სანინააღმდეგო ფაქტები კი მიჩქმალული ან გადაკეთებულია. საქართველოსთან ურთიერთობის თემაც ცალმხრივადა გაშუქებული და მეზობელი ხალხების „ისტორიული მე-გობრობის“ სახელით ის სომხეთის ისტორიასა და ქვემდებარებული. ერთი სიტყვით, ამიერკავკასიის პოლიტიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად სომხური სახელმწიფობრივი ტრადიციები და „სომხური ფენომენია“ დასახული. სერიოზული პრობლემებისადმი ამგვარი ანტიმეცნიერული დამოკიდებულების ნინააღმდევ პირველმა ხმა აღიმაღლა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ვარლამ დონდუამ²⁶. იგი მიუთითებდა წიგნის ავტორთა იმ მავნე ტენდენციაზე, რომელიც ძევლი კავკასიის ისტორიაში, სომეხთა გარდა, სხვა ბინააღარ ტომთა კვალს, ფაქტობრივად, შლიდა. მაგალითად, ძევლი აღმოსავლეთისა და კავკასიის ტომობრივ ძემადგენნლობაზე მსჯელობისას საჭირო განმარტების გარეშე სუბარების მოხსენიება მკითხველს ვერ აძლევს მასზე პოზიტიურ ცოდნას. ტომობრივი სახელმიწიფებების ამგვარი გამოყენებით კი მასობრივი მკითხველის თვალსაწირიდან აუცილებლად ქრებიან იშერები და სხვა ეთნიკური ნამონაერთვნები. იბერიის ქვეყნის ლოკალიზაციაც ისეთივე ზოგადია და გაუგებარი, როგორც იმდროინდელი კავკასიის ტომობრივი შემადგენლობა.

ამასთან ერთად, სამხრეთ საქართველოს ისტორიული განვითარება, შენიშნავს ვ. დონდუა, დემონსტრირებულია მხოლოდ სომხეთის ისტორიის ასპექტით, რის შედეგადაც ძევლი ქართული მინები (გუგარეთი, კარინისა და სპერის ოლქები და ა. შ.) შთანთქმულნი აღმოჩნდნენ სომხეთის ისტორიის ნაკადით. წიგნში უბრალო ცდაც კი არა მოცემული ეჩვენებინათ – რომელი მინა რომელ ქვეყანას წყდებოდა და რომელს უერთდებოდა და როდის. არ არის გათვალისწინებული ისტორიული გამოცდილ-

²⁶ **Б. Дондуа.** Некоторые замечания на коллективный труд – История армянского народа, ч. I, под ред. Б. Н. Аракеляна и А. Р. Иоанисиана. Институт истории АН Армянской ССР, Ереван, 1951 стр. 291 „მიმომხილველი“, III, თბილისი, 1953, გვ. 307-321.

ება, კერძოდ, ქართველოლოგიური სპეციალური ლიტერატურა. მაგალითად, დუმილით გვერდი აქვს ავლილი წყაროს მრავალმნიშვნელოვან ჩვენებას იმის თაობაზე, რომ ძვ. წ. II ს. სომხეთის საზღვრები ქართული მინების ხარჯზე ფართოვდებოდა და მტკვრის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები – პარიადრის ფერდობები, ხორძენე და გოგარენე მათ მიტაცებამდე ქართული მინები იყო. ისტორიული პერსპექტივის დაცვის აუცილებლობის გარეშე, წიგნში ისინი წარმოდგენილია, როგორც სომხეთის ნაწილები. რეცენზენტის აღწფოთებას იწვევს ისიც, რომ კარინის ოლქის სახელწიდება წარსულთან მისი კავშირის გარეშე უცაბედად ჩნდება III საუკუნის სომხური ქალაქების რიცხვში, ასევე „კარინის და სპერის“ ოლქების სახელები „შიდა სომხეთის“ ოლქთა შორის. წიგნში გვხვდება ისეთი ისტორიულ-გეოგრაფიული განსაზღვრებებიც, კანაგრძობს ვ. დონდუა, რომლებიც აიძულებენ მკითხველს დაასკვნას, თითქოს, აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი საზღვარი „ძველთაგანვე“ უცვლელად გადიოდა „გუგარქის“ ჩრდილოეთით (გუგარეთი, იგივე გოგარენე სამხრეთ ქართლში), რამდენადაც ის უსიტყვივდაა დასახელებული „ძველი სომხეთის ძირითადი ოლქების“ რიცხვში. სინამდვილეში, წერს რეცენზენტი, გუგარეთი იმ დროს სომხური სამეფოს ექსპანსიის ობიექტი იყო და მოვინანებით IV ს., სომხურივე წყაროების მოწმობით, კვლავ დაუბრუნდა დანარჩენ ქართლს. სომეხთა შორის ის ცნობილი იყო „ქართველთა ველის“ „გრაც დაშტის“ სახელით. ეს ოლქი იმავე სომხური წყაროების მიხედვით, ქართველი კათალიკოსის იურისდიქციას განეკუთვნებოდა.

არაკეთილსინდისიერადა გაშუქებული წიგნი I-III სს. ისტორიული მოვლენები ავეასიაში, განსაკუთრებით I საუკუნის მეორე მესამედის ამბები, როცა სომხეთის სამეფო ტახტზე ქართული სამეფო სახლის წარმომადგენნლები ისხდნენ. ს. ჯანაშიას დაკვირვებით ეს დრო ქართულ-სომხურ საზღვარზე ტერიტორიული სამფლობელოების ხელახლი გადანილების პერიოდია და, ჩანს, სწორე ამიტომაც გვერდი აქვს ავლილი რომსა და პართიას შორის სომხეთისათვის გაჩაღებულ დიდ ბრძოლაში იმდროისთვის ძლევამოსილი იბერიის ფართო მონაწილეობას. ვ. დონდუა მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს იმ ნიშანდობლივ ფაქტზეც, რომ ათეული წლების მანძილზე იბერიის სახელმწიფოს მყარად ეპყრა ინიციატივა ამ რეგიონში, რომელიც უძლიერეს რომსა და პართიას გამოსტაცა. ამის შედეგია, რომ მახლობელი აღმოსავლეთის მებრძოლ პოლიტიკურ ძალთა რეალური თანაფარდობის საფუძველზე იბერიის მეფებს ძლევამოსილი „დიდი მეფის“ სახელით განადიდებდნენ, რაც უკვე დო-

კუმენტურადაცაა დადასტურებული (მხედველობაშია არმაზის პილინგვა). სარეცენზიო წიგნის ავტორებს კი სახელგანთქმული იბერიის ეს მეფეები უძროოდ ჩამოქვეითებული ჰყავთ რომის „დაყენებულ“ სათაკილო რანგამდე. ასე ყრუდ და შეუფერებლად მოიხსენიებენ წიგნის ავტორები ქართულ-სომხური პოლიტიკური ურთიერთობის ერთობ საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი პერიოდის ამბებს. მიკერძოებისა და გაყალბების ფაქტები, თითქმის, ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ამ წიგნში. ასე მაგალითად, როცა IV ს. 60-70-იანი წლების მიჯნაზე ბრძოლას იქერიისათვის რომსა და ირანს შორის ამ ქვეყნის გავლენის სფეროებად გაყიფა მოჰყვა შედეგად და სპარსეთის მეფე შაბურის მიერ ადრე დევნილი საურმაგი საქართველოში უკან დაბრუნდა, ეს ფაქტი წიგნში ისეა გადმოცემული, თითქოს, რომის მოლაპარაკებას კი არა, არამედ ირანის ბატონობის წინააღმდეგ მუშედ მამიკონიანის გმირულ ბრძოლას განესაზღვროს საურმაგის ბედი. ამგვარადვე და კიდევ უფრო გამრუდებულადა გაშუქებული 482 წ. ვახტანგ გორგასლის მიერ ირანის წინააღმდეგ ორგანიზებული აჯანყება საქართველოში. სარეცენზიო წიგნში ფაქტების საწინააღმდეგოდ ნათქვამია, რომ ვახტანგმა დახმარებისათვის სომხებს მიმართა თხოვნით, რის პასუხადაც სომხური ჯარის წანილი ვაპან მამიკონიანისა და სააკ ბაგრატუნის მეთაურობით გაემართნენ ვახტანგის დასახმარებლად. ბრძოლა წარუმატებელი აღმოჩნდა, ბრძოლის ველზე დარჩნენ სააკ ბაგრატუნი და სხვა სომხები, შენირეს რა სიცოცხლე მოძმე ქართველი ხალხის თავისუფლებას. ერთი სიტყვით, სომეს ფეოდალთა წანილის მიერ ქართველი მეფისათვის აღმოჩენილი დახმარება წიგნში რაღაც ფილანტროპიის გამოვლინებად აღიქმება, რაც თითქოს სტილულს აძლევდა სომეს მთავართა ბრძოლას ვახტანგ გორგასლის ჯარის შემადგენლობაში. სინამდვილეში, როგორც ამას დაწვრილებით აღწერს ამ მოვლენების თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპეცი, ერთობლივი ბრძოლის განმსაზღვრელი მთავარი მიზეზი საერთო ინტერესები იყო. უფრო მეტიც, სპარსელთა ბატონობის პირობებში სომხეთი გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში იყო იმ დროს ჩაყენებული, ვიდრე საქართველო. მრავალი ათეული წელი იყო გასული, რაც აღმოსავლეთ სომხეთში სპარსელებმა ადგილობრივი სამეფო ხელისუფლება გააუქმეს (428 წ.) და მთლიანად დასრულად დაეუფლნენ დაპყრობილ ქვეყანას. ამიტომაც ცნობამ საქართველოში სპარსელთა საწინააღმდეგოდ მოწყობილი აჯანყების შესახებ სომხებიც აღაფრთოვანა და თავიდანვე გვერდით დაუდგნენ აჯანყების მეთაურს – ვახტანგ გორგასალს. ამ მოვლენის წიგნში მოცემული

განმარტება კი მთლიანად აუფასურებს ავთენტური წყაროს მნიშვნელობას და მხოლოდ პასიურ როლს აკუთვნებს აჯანყების ნამდვილ მეთაურსა და ბრძოლების წარმმართველს.

წიგნში მთლიანად მიჩქმალულია დიდი ქართველი მეფის დავით III კურაპალატის მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობის დიდი მნიშვნელობა არა მარტო ქართულ-სომხური ურთიერთობის, არამედ თვით სომხეთის ისტორიისთვისაც. მხოლოდ ერთ წინადადებაში მისი ვინაობის მოუხსენიებლად ნათქვამია, რომ „ბიზანტიელებმა მიიტაცეს ტაიქი (ტაო), რასაც ქართველი მეფეები ვერ შეურიგდნენ, რადგანაც თავი მიაჩინდათ დავით კურაპალატის კანონიერ მემკვიდრეებად“ (გვ. 151). სინამდვილეში საქმე ეხება ტაოელ ბაგრატიონთა მთელ მემკვიდრეობაზე ქართველ მეფეთა კანონიერ უფლებას. წიგნის ავტორთა მოცემული ფორმულებით კი ისე გამოდის, თითქოს, ტაოს, როგორც ქართველ ბაგრატიონთა მემკვიდრეობის ნაწილის ისტორია სათავეს დავით კურაპალატიდან იღებდეს და არა ისტორიის სიღრმიდან. ტაოს ისტორიული კუთვნილების მიმართ წიგნის ავტორთა დამოკიდებულება კიდევ უფრო გამოკვეთილადა გამუღავნებული სხვა ადგილას, სადაც 481 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით გვამცნობენ, რომ სომხეთის ნახარარებმა თავიანთი ოჯახები და ქონება წინასწარ შეაფარეს ბიზანტიის მომიჯნავე შორეულ ტაიქს. მოცემულ კონტექსტში, მართებულად შენიშნავს ვ. დონდუა, მრავალტანჯული და მაღალი კულტურის ქართული ქვეყანა რაღაც უთვისტომი მსარედ გამოიყურება. ასეთი ბუნდოვანი გეოგრაფიული განსაზღვრების გამო კი არასპეციალისტს შეიძლება ის სადღაც გადაკარგულ ქვეყანადაც კი მოეჩენოს. ასე რომ, ქართული ისტორიული ტერიტორიების მიჩქმალებისა და მეხსიერებიდან ამოშლის სურვილი, თითქმის, ყოველ ნაბიჯზე ავლენს თავს ამ ტენდენციურ წიგნში. ქართველთა და სომეთა მეგობრობის მნიშვნელობისათვის ფუსფუსი საილუსტრაციო მასალის შერჩევით არ ხდება, რის გამოც გაუშუქებელი რჩება დავით კურაპალატის, დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების განმათავისუფლებელი მისია მთელ კავკასიასა და კერძოდ სომხეთში, რის შესახებაც საკმაოდ უხვ და შთამბეჭდავ ცნობებს შეიცავს სწორედ სომხური წყაროები.

მრუდე სარკითაა არეკლილი ამ წიგნი XII-XIII საუკუნეთა საქართველოს ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიისა და მის შემადგენლობაში შესული სომხეთისა და მთლიანად კავკასიის ისტორიის დიდმნიშვნელოვანი ეპოქა. სულ რაღაც 4-5 გვერდზე გაშლილ თხორობაში საქართველო პარადოქსულ პოლიტიკურ ორგანიზმად წარმოგვიდგება,

სადაც ბატონობენ და მოვლენებს წარმართავენ ამ სახელმწიფოს „მფარველობაში“ მყოფი მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლები. წიგნის ამ თავის ქვესათაურები, როგორიცაა „ზაქარიდების გაძლიერება“, „ზაქარიადების სამფლობელოები“, „ზაქარიდების ვასალები“ და სხვები წინასარ მოწმობს ავტორთა დაუინებულ ცდებს, მკითხველს ჩაუნერგონ თამარისძროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს ქართულ სახელმწიფოში, კაბინეტურ პირობებში ხელოვნურად შექმნილი ე. წ. „ზაქარიდთა“ საგვარეულოს განსაკუთრებულობის აზრი. სომეხი ავტორები საქართველოს სომხურ სამფლობელოებში მათ უგვირგინო მეფებად გვიხატავენ, რის საფუძველზეც სომხურ მინებს საქართველოს პოლიტიკურ ჩარჩოებში მოქცეულ სახელმწიფოდ წარმოგვიდგენენ. წიგნში ვკითხულობთ: XIII ს. დასაწყისში ყოფილი სომხური სამეფოების — ანისის, ტაშირ-ძორაგეტისა და სივნიერის ტერიტორიები ზაქარიდთა ხელში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ისინი თამარ მეფემ უწყალობა მათ. ქართული სამეფოს შემადგენლობაში შემავალი ჩრდილო სომხეთი შინაგანი სრული თვითმმართველობით სარგებლობდა და ქართველი მეფებიც სომხური მინებიდან გადასახადებსაც კი არ კრებდნენ (გვ. 164-165). თავი რომ გავანებოთ წყაროების ცნობებთან ასეთ მტკიცებულებათა სრულ შეუსაბამობას, „ეკთილი ნებითა“ და „მეგობრობის“ მიზეზით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება, ვფიქრობ, გაუნაფი მკითხველისთვისაც კი ძნელად დასაჯერებელი უნდა იყოს. სამაგიეროდ, ს. ერემიანის ხსენებულ ნაშრომებში მხარგრძელთა ეთნოკური წარმომავლობის გადასინჯვამ და ქართული სახელმწიფოს ისტორიაში მათი ღვანლის მნიშვნელობის გაზვიადებამ ლოგიკურად მიიყვანეს ცენტრალიზებული ქართული ფეოდალური მონარქიის ბუნებისა და მისი სომხური ნაწილის პოლიტიკური სტატუსის დასმამდე, რის შემდეგ სომხური ისტორიოგრაფია განსაკუთრებული აქტიურობით შეუდგა ამ იდეის გასამართლებლად სხვადასხვა ლოგიკური თუ მეცნიერებასთან მიახლოებული კონსტრუქციების ძიებას. მათ შესახებ ცალკე კიდევ მოგვინევს საუბარი, რის გამოც მხარგრძელებზე მსჯელობას ამჯერად აქ შევწყეტ.

ვ. ღონდუას მიერ რეცენზირებული წიგნის მთავარი ტენდენცია საქართველოს ისტორიასთან დამოკიდებულების ნაწილში, როგორც ვნახეთ, მიმართულია მასობრივი მკითხველის არა მეცნიერული ცნობიერების გასაფართოებლად, რაც ამგვარი განმაზოგადებელი ნაშრომის მთავარი ამოცანა უნდა იყოს, არამედ განსაზღვრული პოლიტიკური განწყობილების შესაქმნელად, რაც, ვფიქრობ, ვერაფრით პასუხობს ისტო-

რიული მეზობლების ჭეშმარიტ, სასიცოცხლო ინტერესებს. სამწუხაროდ, პოლიტიზირებული ისტორიის ნიშნები, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის პირობებში, საბჭოთა სომხური ისტორიოგრაფიის კუთვნილებად იქცა. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ოფიციალურად გაცხადებული იდეოლოგიის ფონზე მთავრობის კავკასიური პოლიტიკა უკვე ცინიზმის ნიშნებსაც იძენდა. ერთ შემთხვევაში სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული მეცნიერთა ერთ კოლექტივს ნებისმიერი დარღვევითა და მიკერძოებით გაეშუქებინა კავკასიის ისტორია, ამავდროულად კი მეცნიერთა სხვა კოლექტივს „ხალხთა მეგობრობის სახელით“ ეკრძალებოდა სიმართლის დაცვა. მაგალითად, აკად. ს. ჯანაშიას მიერ ნ. ტოკარსკის წიგნის სამართლიანი კრიტიკა, ფაქტობრივად, აიკრძალა, როცა მისი ნარკვევი წიგნის სავაჭრო ქსელიდან მაღლ ამოილეს, ხოლო ვ. ღონდუას კრიტიკული რეცენზია მასობრივი ტირაუით გამოსულ წიგნზე მხოლოდ შეზღუდულ ტირაუით გამოცემაში ძლივს დაიბჭედა. უფრო მეტიც, ხელოვნების ისტორიის საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტის გიორგი ჩუბინაშვილის მეტად საინტერესო წიგნი „Разыскания по армянской архитектуре, Тбилиси, 1967 г. არა მარტო უკიდურესად შეზღუდული ტირაუით (სულ 500 ც.) ძლივძლივობით გამოიცა, არამედ არც წიგნის ბაზარზე მისცეს გასაქანი და არსებითად ბიბლიოთეკების თაროებზე მიაჯაჭვეს. მაშინ, როდესაც 1968 წ. საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს გამომცემლობამ მასობრივი ტირაუით (65 ათასი) დაბეჭდა მხარგრძელთა გაყალბებული ისტორიის მასალაზე აგებული კიდევ უფრო დამახინჯებული და საქართველოსთვის შეურაცხმყოფელი გ. ვერმიშევის ისტორიული რომანი „ამირსპასალარი“, რაც, გასაგებია, ისტორიულ მეზობლებს შორის უნდობლობის გაღვივების მეტს, ალბათ, არც ისახავდა მიზნად. ქართული მხარის რეაქცია ამგვარ გამოცემებზე კი, როგორც წესი, მაქსიმალურად იზღუდებოდა. ასეთ პირობებში სომეხ მეცნიერთა ერთი ნაწილი შეუფერხებლად და გეგმაზომიერად განაგრძობდა საქართველოს ისტორიული თუ ამჟამინდელი სამხრეთის ტერიტორიების კალმით დალაშქრას.

ასეთი დამოკიდებულების ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია 1971 წლის გაზაფხულზე სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ყოველთვიურ ორგანიზმი „ლრაბერში“ დაბეჭდილი პარუირ მურადიანის წერილი „პრალდებითი ფორმები სახელმისამართში სომხეთის ტოპონომიკის მონაცემთა მიხედვით“, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩევა კვლევის ლინგვისტური მეთოდების იგნორ-

ირებათა და თვალსაჩინო ენობრივ ფაქტებზე უხეში ძალადობით²⁷. საქმე ეხება ქართული ენის ნორმების მიხედვით, ქართველი ხალხის მიერ შექმნილ is-i სუფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმებს: თბილისი, ბოლნისი, კრწანისი, ქუთაისი და სხვას. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ამ და მსგავსი ტოპონიმების მთელი სისტემა საყოველთაო აღიარებით არავითარ ეჭვს არ იწვევს როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიული თვალსაზრისით. მურადიანმა შეერიბა is და s-ზე დაბოლოებული სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ერთობ მცირერიცხოვანი ტოპონიმები (მაგალითად აგულის, აკანის, ალბერის, არნის, აქსიომს), ტოპონიმთა ეს ორი ტიპი ხელოვნურად გააერთიანა ერთ კლასში და ყოველგვარი მეცნიერული არგუმენტაციის გარეშე a priori სომხური ნარმომავლობისად გამოაცხად. მისი აზრით, სომხური ტოპონიმები არ საჭიროებს სპეციალურ გამოკვლევას, აპრიორით ცნობილია, რომ ისინი სომხურ ნიადაგზე აღმოცენდნენ, სამაგიეროდ is-i-ზე დაბოლოებული ქართული ტოპონიმების ნარმომავლობა ნამდვილად საჭიროებს გარკვევას. ეს ალოგიური თეზისი დაედო საფუძვლად პ. მურადიანის მტკიცებას, თითქოს, ის-ით დაბოლოებული ქართული ტოპონიმების უდიდესი ნაწილი სომხური ნარმომავლობისაა. მაგალითად, მისი მტკიცებით, სომხური ტოპონიმებია: თბილისი, ბოლნისი, კრწანისი, მანგლისი, დმანისი და სხვები. ამგვარი ტოპონიმების მეორე ნაწილი ბერძნული ნარმომავლობისაა: ქუთაისი, ფაზისი და მხოლოდ მესამე ერთობ უმნიშვნელო ჯგუფია ქართული. ესენია ნაზმარი (მაგალითად ხერთვისი) და ნასახელარი ტოპონიმები: რუისი, დათვისი, საცხენისი..., სულ ერთად, ექვსი.

პ. მურადიანის ამ წერილის ქართველი რეცენზიენტები ალექსანდრე ონიანი და ზურაბ სარჯველაძე სრულიად ბუნებრივად სვამენ კანონზომიერ კითხვას: თუკი ავტორს (ე. ი. პ. მურადიანს) მხოლოდ ტოპონიმიკის ლინგვისტური პრობლემები აღელვებს, რით უნდა აიხსნას ასეთი განსხვავებული მიდგომა სომხური და ქართული ტოპონიმების მიმართ? თუ სომხური ტოპონიმების ნარმომავლობა არ საჭიროებს მეცნიერულ არგუმენტაციას (იმ დროს როცა პ. მურადიანის მოყვანილი არც ერთი ტოპონიმი არ შეიცავს სომხურ სიტყვებთან აღმავალ გამჭირვალე ეტიმოლოგიას), რაღაც არ შეიცავს ეჭვი ყველას მიერ აღიარებული ქართული ტოპონიმების მიმართ?

²⁷ **Александр Ониани, Зураб Сарджвеладзе,** Против извращения вопросов грузинской топонимики, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, №3, გვ. 169-182.

ბული ქართული ტოპონიმების მიმართ და რაღაც არის საეჭვო ქართული სახელების ქართული საწყისის საგანგებო დასაბუთება? და პირიქით, თუ შესაძლოა ქართული ტოპონიმების უცხოენოვანი ნარმომავლობის მტკიცება, რატომ არ ჩნდება ანალოგიური კითხვა სომხური სახელების მიმართ? მეცნიერული ლოგიკის თვალსაზრისით ხომ ასეთი მიდგომა სავსებით ბუნებრივი იქნებოდა.

საქმეც ის არის, რომ მეცნიერების მოთხოვნილებები, მისი კანონები, მისი ლოგიკა, ამ შემთხვევაში პ. მურადიანისათვის არაფერს ნიშნავს იმასთან შედარებით, რამაც მას კალამი ააღებინა ხელში. ამიტომაც მას არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს იმ უაღრესად თვალსაზრი ფაქტს, რომ ქართულისთვის დამახასიათებელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმების (ისი) საშუალებით ტოპონიმების ნარმოქმნა საერთოქართველური მოდელია და სიტყვათნარმოქმნის ეს ნესი გამოიყენებოდა ტოპონიმიკაში ჯერ კიდევ პროქართულ ეპოქაში. 1961 წ. საბჭოთა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში აღნიშნული მოდელის 120 ტოპონიმზე მეტი აღირიცხა (წკადისი, წნისი, ყულალისი, სხვილისი, დუისი, ბოლნისი, სამწვერისი, ტაძრისი, ყვიბისი, ზინდისი, ტირძნისი და სხვა მრავალი). თუ ეს სია დაუსახლებელი პუნქტებითა და ყველა მიკროპოპნიმით შეიცებოდა, გასაგებია, მათი რიცხვი შეუდარებლად გაიზრდებოდა. ამ ფონზე კი ერთობ ნიშანდობლივია, რომ ის-ზე დაბოლოებული ტოპონიმებიდან პ. მურადიანმა სომხეთში მხოლოდ 32 ტოპონიმი ძლივს შემოიკრიბა, რაც ცხადია, არათუ მისთვის სასურველ დასკვნას წაადგება, არამედ, პირიქით, სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებს. ის-ით დაბოლოებულ ქართულ და სომხურ ტოპონიმთა არსებული რიცხობრივი თანაფარდობა, ვფიქრობ, სპეციალური ლინგვისტური კვლევეც აშეკარას ხდის ყველა ამ ტოპონიმთა ქართულ ნარმომავლობას (ამ თეზისის ენათმეცნიერული დასაბუთება ის. ალექსანდრე ინიანისა და ზურაბ სარჯველაძის ხსენებულ სტატიაში). მეზობელი ქვეყნის ტოპონიმების ასე ხელალებით მითვისება რომ უფრო დიდი და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის ნიადაგის შემზადებას ისახავს მიზნად ეს არც ისე ძნელი მისახვედრია. ეჭვი არაა, სწორედ ამგვარი ცდუნება აიძულებდა პ-ნ პ. მურადიანს მეზობელი ტერიტორიების სახელები – დმანისი, ბოლნისი, მანგლისი და განსაკუთრებით თბილისი გაუთავებლად ეწვალებინა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი მაინც ყველაზე გამჭვირვალე და დამაჯერებელი ქართული ეტიმოლოგიის მქონე ტოპონომია. მეცნიერული კვლევის ეს განსაკუთრებული მეთოდი, რომელიც სრულიად შეუფერხებლად „საცნაურს ხდის“ ყოველი უმნიშვნელოვანესი ის-

ტორიული ფაქტის სომხურ წარმომავლობას, პ-მა პ. მურადიანმა ჯერ კიდევ მაშინ გააცნო მკითხველ საზოგადოებას, როცა მცხეთის ჯვრის ქართული არქიტექტურული შედევრი სომხურ არქიტექტურას მიაკუთვნა, ხოლო ბიზანტიის სახელმწიფოს დიდი ქართველი მოღვაწე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ქართული მონასტრის დამარსებელი (1083 წ.) პეტრინობში, სევასტოსი და დომესტიკოსი გრიგოლ ბაკურიანის ძე პირნმინდად გაასომხა. მათ შესახებ ცალკე გვექნება საუბარი, რის გამოც აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მურადიანის კვლევის ეს მეთოდი საპჭოთა სომხური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელ ჩარჩოებში მორგებულად ჯდებოდა და ამდენად, ის მოულოდნელს არაფერს შეიცავდა. საყურადღებო სულ სხვაა. მურადიანის კვლევის ინტერესებით შემოსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცე საოცრად ემთხვევა დამნაკთა პარტიის პოლიტიკური პროგრამით საქართველოს მიმართ წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიების საზღვრებს, რაც მის შრომებს მეცნიერული ინტერესების მიღმა აყენებს.

თავისი მიზანდასახულობით ამ ტიპის ნაშრომთა რიგში უნდა განვიხილოთ 1978 წ. სომხური არქიტექტურის ძეგლების სერიით გამოსული და სომხეთის მნერალთა კავშირის გამომცემლობა „სოვეტაკან გროლის“ მიერ დასტამბული ტ. მარუთიანის წიგნი „სიღრმეთა სომხეთი“. წიგნის სათაური, როგორც ვხედავთ, უკვე წინასწარ აცხადებს მის მიერ წარმოდგენილი ძეგლების ეროვნულ კუთვნილებას, რაც, თურმე, სომხეთის სიღრმეებში ყოფილა საძიებელი, თუ როგორ ახერხებს წიგნის ავტორი ირეალურის სინამდვილედ წარმოსახვას, მოუსმინოთ ქართული არქიტექტურის ისტორიის გამოჩენილ მკვლევარს აკად. ვახტანგ ბერიძეს, რომელმაც ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესწავლას კარგად ცნობილი უუნდამენტური ნაშრომი უძღვნა²⁸. მისი დაკვირვებით, წიგნის ავტორი-სათვის (ე. ი. ტ. მარუთიანისათვის) უცნობი უნდა იყოს მეცნიერული კვლევის მეთოდები და ნაკლებად უნდა ერკვეოდეს საკვლევად აღებულ საგანში, რის გამოც ბრმად მიყვა რა ნ. ტოკარსკის კვალს, მანაც ტაოს ტაძრები სომხურ ძეგლთა წრეში მოაქცია. ის ნაკლებ ყურადღებას აქცევს საკუთრივ არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა განხილვას, ე. ი. ძეგლთა არსში ჩანვდომას, რაშიც ჩვეულებრივ ვლინდება მათი ნაციონალური თავისებურება. შედარებები და შეპირისპირებები, რომელ-

თაც ის ახდენს წმინდად დილეტანტურად და საუკუნოვანი ხანდაზმულობისაა თავისი დონით. ტოკარსკის მსგავსად ტ. მარუთიანიც შესაძლებლად მიიჩნევს ეროვნული კულტურის ერთი დარგი, ამ შემთხვევაში არქიტექტურა, განიხილოს სხვა დარგებიდან იზოლირებულად. მას „ავინყდება“, რომ ტაო-კლარჯეთში, ისტორიულ წიადაგზე რომ არაფერი ითქვას, ქართული იყო არა მარტო არქიტექტურა, არამედ მდიდარი ლიტერატურა, ხელნაწერი წიგნები, მინიატიურები, მონუმენტური ფერწერა, ჭედური ხელოვნების ნაწარმოებები და ყველა ისინი ორგანულად იყვნენ დაკავშირებული საუკუნეთა მთელ სიგრძეზე საქართველოს ეროვნული ხელოვნების საერთო განვითარებით. ავტორი მეცნიერულ უვიცობასთან ერთად, არაკეთილსინდისიერებასაც ავლენს – ის მკითხველს უმაღავს, რომ ტაო-კლარჯეთის ტაძრების წარნერები წარნერები (უმცირესი გამონაკლისის გარდა) მთლიანად ქართულია; ამასთან, იმასაც მაღავს, რომ ამ წარნერებში დასახელებული არიან ქართველი ხუროთმოძვრები (მაგალითად, ივანე მორჩაისძე იშხანში) და მშენებლობის ხელმძღვანელები (მაგალითად, გრიგოლ ოშკელი). იქ კი, სადაც იძულებულია აღიაროს, რომ ტაო-კლარჯეთის ენა ქართული იყო, მაშინვე თავის დასაცავად მიმართავს (მართალია, არა მის მიერ შექმნილ) ქართულ ენაზე მოსაუბრე სომებს ქალკედონიტთა ფორმულას. მარუთიანის ლოგიკით, რამდენადაც არც ენა, არც ეროვნული ლიტერატურა და ხელოვნება, არც არქიტექტურის თვალსაჩინოდ მკაფიო თავისებურება არ განსაზღვრავენ ნაციონალურ კუთვნილებას, სავსებით შესაძლებელია მთელი ქართული კულტურის წაშლა-გაუქმება იმით, რომ უბრალოდ ის სომხურ-ქალკედონურად გამოვაცხადოთ.

ვ. ბერიძის მართებული შენიშვნით, ტ. მარუთიანისა და მისი მსგავსების ნაწერები ძალზე უშლიან ხელს ქართული და სომხური ხელოვნების სერიოზულ მკვლევრებს და, რა თქმა უნდა, არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ მრავალსაუკუნოვანი, მკაფიოდ თავისებური სომხური არქიტექტურისათვის, რომელიც სულაც არ საჭიროებს მსგავს „დამცველებს“²⁹.

ერთადერთი და უნივერსალური არგუმენტი, რითაც ისტორიული სინამდვილის დამახინჯების მოღვაწეები ცდილობენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი მოსახლეობისა და მათი საბინადრო ქვეყნის სომხური სამყაროსთვის მიკუთვნებას არის ისტორიულ პროცესებში სომებს ქალკედონიტთა როლისა და მნიშვნელობის უსაზღვროდ გაზვი-

²⁸ Вахтанг Беридзе, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тбилиси, 1981.

²⁹ ვ. ბერიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 16-17.

ადება. რამდენადაც ეს არგუმენტი სომხურ ისტორიოგრაფიაში სხვა-დასხვა შემთხვევებსა და ვთარებაში საკმაოდ ფართოდ გამოიყენება, მოგვიხდება მასზე საგანგებოდ შეჩერება.

1905 წ. „Византийский Временник“-ის XII ტომში დაიბეჭდა ნიკო მარის წერილი „Аркаун монгольское название христиан в связи с вопросом об армянах-халкедонитах“, რომლის შექმნასაც ბიძგი მისცა იმავე ორგანოში ცოტა უფრო ადრე ლურ პტის მიერ პეტრიწონის ტიპიკონის ბუქარესტის ბერძნული რედაქციის ტექსტის გამოქვეყნებაშა. ნ. მარის ყურადღება მიიპყრო ტექსტის იმ ადგილმა, სადაც ალნიშნული იყო, რომ „ნინამდებარე ტიპიკონი დაინერა ბერძნულად, ქართულად და სომხურად... ხელმოწერილია... სათანო გრიგორის და დასავლეთის დიდი დომესტიკოსის ბაკურიანის მიერ, სომხური ასოებით... დაინერა ბერძნულად, ქართულად და სომხურად იმიტომ, რომ ამ მონასტრის მონაზონები ქართველები არიან და არ იციან ბერძნული კითხვა; ამიტომ საჭიროა ეს ტიპიკონი შესრულებული იყოს ქართულადაც და სომხურადაც³⁰. ტიპიკონის ქართული რედაქციი ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო მიკვლეული, როს გამოც ნ. მარს, გასაგებია, უფრო ღრმა და სრული ანალიზის საშუალება არ ჰქონდა. სომები ქალკედონიანთა ისტორიულ სვებედზე დაფიქრებულ მეცნიერზე, აშკარაა, რომ ბერძნული რედაქციის ამ ცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რამდენადაც ეს ერთგვარად ამართლებდა და თითქოს საყრდენსაც აძლევდა მის ნაჩეარევ კონცეფციას სომები ქალკედონიტთა წარსულზე, რომლის თანახმადაც IX საუკუნიდან სომხეთის ანტიქალკედონიანური ეკლესიის ნაციონალიზაციას სომები ქალკედონიანების დენაციონალიზაცია მოჰყვა, რამაც სომები ხალხს როგორც რიცხობრივად, ისე მორალურად, დიდი ზიანი მოუტანა. სომები ქალკედონიანები გავლენის სფეროების მიხედვით ერწყმოდნენ ერთმორმუნე ქართველებს, ბერძნებს და სირიელებს. ამ დენაციონალიზაციის პროცესის წყალობით იყო, რომ საქართველო გამდიდრდა ტაოსა და კლარჯეთის უაღრესად მწარმოებლური, პირდაპირ ბრწყინვალე კულტურული შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული ოლქებით³¹. ფაქტების გაუთვალისწინებლობითა და ცალმხრივად წარმართული მსჯელობით ნ. მარი ისტორიული სინამდვილისათვის სრულიად შეუფერებელ ეთნოპოლიტიკურ სურათს გვიხატავს, რომლის მიხედვითაც ტაო-კლარჯეთის ქართული სამეფო-სამთავროები სომები ქალკედონიანების დე-

³⁰ გეორგია, ტ. 5, თბილისი, 1963, გვ. 253-255.

³¹ H. Я. Mapp, Аркаун..., с. 17.

ნაციონალიზაციის პროცესის წარმონაქმნი იყო. იგი იმდენად გაიტაცა სომები ქალკედონიტთა მის მიერ შექმნილმა კონსტრუქციამ, რომ წინააღმდეგობებით მოცული ტექსტის (დაინერა ბერძნულად, ქართულად და სომხურად იმიტომ, რომ ამ მონასტრის მონაზონები ქართველები არიან და არ იციან ბერძნული კითხვა) ცნობები თავისი კონცეფციის თუმცა მცირე, მაგრამ ნიშანდობლივ მონაცემად მიიჩნია. ამგვარი დამოკიდებულების განვითარებას ხელს უწყობდა, აგრეთვე, ანა კომინიისა და პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ურთიერთსაბირისპირო ჩვენებების შეთანხმების სურვილიც, რის გამოც, ჩანს, გაუგებრობაზე აგებული სულ რამდენიმე არგუმენტი საკმარისი აღმოჩნდა, რათა მას ვრცელი მსჯელობა გაემართა და მთელი თეორია შეექმნა სომები ქალკედონიტთა ეროვნული შეგნებისა და მათი მსოფლებელებითი წარმოდგენების ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე. საკუთარი თეორიის ტყვეობაში მყოფმა მეცნიერმა ძეგლის ხსენებულ ცნობებს მისთვის შესაფერისი ახსნა მოუქებნა: რადგან ტიპიკონი ოფიციალურ ბერძნულთან ერთად ქართულად და სომხურადაც ყოფილა შესრულებული, ჩანს, ქართველებთან ერთად მონასტერში სომხებიც საკმარის ყოფილან, რა თქმა უნდა, ქალკედონიტები, რომლებიც ამ ნიშნით ქართველებად არიან წოდებულნიო. ტიპიკონის მოთხოვნას „ქართული წერა-კითხვისა და ენის ცოდნაზე“ ისინი, ცხადია, აკმაყოფილებდნენ, მაგრამ უფრო ძლიერნი იყვნენ სომხურ მნიღნობრობაში. ამგვარი მოვლენის დასტურად ნ. მარს მიაჩნდა ცნობა მონასტრის დამაარსებლის მიერ ბერძნულ ოფიციალურ ტექსტზე სომხურად ხელისმონერა. ხოლო გრიგოლ ბაკურიანის ძის სრულიად გასაგებ და ნათელ განცხადებას მის ქართულ წარმომავლობაზე იმით ხსნიდა, რომ, თითქოს, გრიგოლის ენაზე სიტყვა ქართველს წმინდა კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა და მისი წარმოდგენით ყველა სომები ქალკედონიტი არის ქართველი წმინდა სისხლის ქართველის თანასწორადო. სომები ქალკედონიტი თავს ქართველად იმიტომაც გრძნობდა, რომ წარმოშობით ის ტაო-კლარჯეთიდან იყო, ოდესლაც სომხური, მაგრამ XI საუკუნისათვის უკვე მთლიანად გაქართულებული რაიონიდან. ვინ იყვნენ ამ ქვეყნის აბორიგენები მოცემულ მომენტში მკვლევარს რატომდღაც არ აინტერესებს, თუმცა კი მაინც აღნიშნავს, რომ ეს უნდა ყოფილიყო რომელიდაც ლაზური ან მეგრული ტომი და იქვე განმარტავს: ლაზები და მეგრელები ქართველთა მოძმეები არიანო. VII ს. ამ ქვეყნას სომხური სახე ჰქონდა და აქ სომხური ქალკედონიტობა იფურჩქნებოდა, ამავე პერიოდს განეკუთვნება სომხური მონას-

ტრის იშხანის აყვავებაც, რომლის რესტავრირება VIII-IX სს. მიჯნაზე მოახდინა წმინდა საბამ მხოლოდ უკვე ქართული მონასტრის სახით. დაობლებულ სომხურ ნაგებობებზე, რომელთაც ჯერ კიდევ შეინარჩუნეს სომხური სახელები იშხანი, შატბერდი, მიჯნაძორი და სხვ. დამკვიდრდნენ ქართველი ბერ-მონაზვნები. ამ ეპოქაში IX-დან და თვით X ს.ც კი ქართველი ბერ-მონაზვნობა გარშემორტყმული იყო ერთმორწმუნე, მაგრამ უცხოტომელი სომხური მოსახლეობით. და ქართველთა პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად, თავის უფლებას ამ ქვეყნისათვის ქართული ენოდებინათ ამყარებდნენ იმაზე, რომ ეკლესიებში ღვთისმ-სახურება ქართულ ენაზე წარმოებდა. ქალკედონიტი სომხები ამით თან-დათან ქართველდებოდნენ. 1083 წ., როცა პეტრიწონის მონასტერი ეფუძნებოდა, ტაო-კლარჯეთის სომეხი ქალკედონიტები თავს უკვე ნამ-დვილ ქართველებად მიიჩნევდნენ და მათ ქართულ მეტყველებას, ბუნებრივია, ადგილობრივი სომხური სიტყვებიც უნდა შეენოვა. ასეთ სიტყვათა რიცხვს, რომელთაც ქართულ ენაში მოქალაქეობრივი უფ-ლება მოიპოვეს, მიეკუთვნებოდა „ტანუტერი“ (გვ. 22). შემდეგ მიუ-თითებს რა ამ სიტყვის ხმარების სხვა შემთხვევებს, ასკვნის, რომ ამ სიტყვამ ტაო-კლარჯეთის ქართულ ენაში მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება. უმთავრესად ამიტომ, განმარტავს ნ. მარი, ვბედავ ამჟამად ვამტკიცო, რომ გრიგოლ ბაკურიანი, პეტრიწონის ქართულ მონასტრის დამაარსებელი იყო ტაო-კლარჯეთის გაქართველებული სომეხი ქალკედონიტების წრიდან. სტატიის ბოლოს ნ. მარი აკეთებს მეტად საყურადღებო შენიშვნას: იგი განმარტავს, რომ არ მიიჩნევს წარმოდგენილ ოვალსაზრისს ბოლომდე და ყოველთვის დამტკიცებულად და მისი მიზანი იყო სპეციალისტთა ყურადღება მიეპყრო სომხური ქალკედონიტობის შესწავლის მაღალ კულტურულ-ისტორიულ ინტერესზე და ყველა იმაზე, რაც ხელს უწყობს ან შეიძლება ხელი შეუწყოს მის გაშუქებას³². ამ შენიშვნის შემდეგ მაინც, ვფიქრობ, სრულიად აშკარაა, რომ ნ. მარს თავისი თვალსაზრისი სომხურ ქალკედონიტობაზე მეცნიერულ ჰიპოთეზად მიაჩნდა და არა საბოლოოდ დამტკიცებულ უტყუარ ჭეშმარიტებად.

მართლაც, მის მსჯელობაში გამოკვეთილი წინააღმდეგობები და ფაქტების ზედაპირული ანალიზი ცხადად ავლენს აღნიშნულ საკითხზე ნ. მარის განზოგადებათა ნაჩქარევ ხასიათს. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ქართული სახელი ბაკურიანი სომხური ფორმის (იანი)

³² 6. მარი, არკაუნი..., გვ. 50-51.

გვარად მიიღო და თავიდანვე მცდარ საფუძველზე ააგო ახალი თეორია. ტიპიკონის ბერძნული და ქართული რედაქციების ტექსტის დასაწყის-შივე სრულიად გარკვევითაა ნათქვამი, რომ ბაკურიანი გრიგოლის მა-მის სახელი იყო და არა მისი გვარი. ქართულში წერია: „რომელი ეს აღინერა და დამტკიცა ბრძანებითა ჩემ გრიგოლისითა, ნებითა ღმრთი-სა-თა სეგასტოსსა და დიდისა დემესტიკოსისა ყოვლისა დასავლეთი-სა-თა, ძისა სანატორელისა ერისთავთა მთავრისა ბაკურიანისა-თა“. იგივეს იმეორებს ბერძნული, რომელსაც ნ. მარიც იცნობდა: „... მონასტერში, რომელიც აღვაშენებ მე გრიგოლმა ღვთის ნებით სევასტოსმა და მთელი დასავლეთის დომესტიკოსმა, ღვიძლმა ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავთ-ერისთავისა“. ტიპიკონში ბაკურიანი სხვაგანაც არის დასახელებული გრიგოლის მამად; ბერძნულში იკითხება: „დიდი ხუთშაბათის პატიოსანსა და წმინდა ღღეს აღესრულოს სახსენებელი ნეტარისა და სახელოვანისა მამისა ჩუენისა ბაკურიანისა ერისთავთა-ერისთავისა“; ქართულადაც იგივეა: „დღესა დიდისა ხუთშაბათისასა სა-სენებელი აღესრულებოდის მამისა ჩუენისა ერისთავთ-ერისთავისა ბაკურიანისათ-ს“. იგივეა გამოერებული სხვაგანაც. ბერძნული ტექსტით: „ნეტარი მამა ჩუენი ბაკურიანი“, ქართულით: „მამისა ჩემისა ბაკურია-ნისათ-ს“. აკაკი შანიძე ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე, შენიშნავს, რომ ბაკურიანი ქართული ფორმაა, სომხურად კი ბაკურან ითქმოდა³³.

აშკარაა, ნ. მარი პეტრიწონის ტიპიკონის ბერძნულ რედაქციასაც ჯეროვნად არ იცნობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეცოდინებოდა, რომ ბაკურიანი ამ ტექსტში საგვარულო სახელი კი არ არის, არამედ პირის აღმნიშვნელია და კერძოდ გრიგოლის მამის საკუთარი სახელია, რაც არაორაზროვნად და ნათლადაა ნაჩვენები ტექსტის კიდევ ერთ ადგილას: „ერთ ღღეს უნდა მოიხსენიებოდეს ნეტარი მამა ჩვენი ბაკურიანი წმიდა ჟამისნირვაში, ხოლო მეორე ღღეს – მისი ღვიძლი ძმა ხუსაროვანი, მესამე ღღეს კი ამისი შვილი და ჩემი ბიძაშვილი ბაკურიანი“³⁴. უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, ადამიანის ეს საკუთარი სახელი ქართლის წარჩინებულთა სახელებში, საერთოდ, უცხო არც მან-ამდე ყოფილა. მაგალითად, ქართლის მოქცევის მატიანესათვის დარ-

³³ აკაკი შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, თბილისი, 1971, გვ. 37-38; გეორგიკა, ტ. 5, გვ. 99, 215 და სხვ.

³⁴ გეორგიკა, ტ. 5, გვ. 235.

თულ ე. ნ. დიდ ერისთავთა სიაში VIII საუკუნისათვის მოიხსენიება ვინმე „ბაკურიანი, ძე ბალდადისი“³⁵.

ასევე, ერთობ სუსტი არგუმენტია ტაო-კლარჯეთის ეთნიკურ-კულტურული წარსულის ნ. მარისული სურათის წარმოსადგენად ბერძნული რედაქციის ცნობაზე დამყარებული მსჯელობა ტიპიკონის სომხური რედაქციის შესაძლო არსებობასა და გრიგოლის სომხური ხელმოწერს თაობაზე, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ქეყლის დედანი მევლევრებს საერთოდ არ მოეპოვებათ და მათ ასლებზე არიან დამოკიდებულნი. ბერძნული რედაქციის განმარტება ტიპიკონის ტექსტის სომხურ ენაზეც შედგენის საჭიროებაზე წინააღმდეგობის შემცველია და გაუგებარი. ამის შესახებ ს. ყაუხჩიშვილი მის მიერ გამოცემული ბერძნული რედაქციის კვლევით წანილში წერდა: იმ ადგილას, სადაც ბერძნულ ტექსტში ლაპარაკია ტიპიკონის დაწერის შესახებ სამს ენაზე ჩამატებული მოჩანს სიტყვა „სომხურად“ და „და სომხურადაც“. ამ აზრის სისწორეს ის ამართლებს, რომ ამ მთლიანი წინააღმდების შუაში არ ჩანს დასაბუთება იმისა, თუ რატომ იყო საჭირო დაენერა „სომხურადაც“. დასაბუთებაში წათქმამია, „რომ ამ მონასტრის მონაზონები ქართველები არიან და არ იციან ბერძნული კითხვა“ და არ ჩანს, რით არის გამოწვეული სომხურადაც ტიპიკონის დაწერის საჭიროება. რომ სიტყვა „სომხურად“ იყოს ტექსტის ორგანული წანილი, მაშინ უნდა წერებულიყო: „იმიტომ რომ ამ მონასტრის მონაზონები ქართველები /და სომხები/ არიან და არ იციან ბერძნული კითხვა“³⁶. ქართული და ბერძნული ტექსტების შედარებისას კი ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავდა, რომ თავიდან ბოლომდე ისე გასდევს წესდების მთელ ტექსტს მთავარი დებულება: „ქართველნი ვართ წათესავით“ ან „ქართველნი არიან და არ იციან ბერძნული წაკითხვა (და ეს არის არა მარტო ქართული რედაქციის ტექსტი, არამედ ბერძნულშიც) – ისე გასდევს ეს წითელი ზოლივით, რომ ტიპიკონის ტექსტის ქართული რედაქცია შეგვიძლია მივიჩნიოთ პირველ-დედნად“³⁷. ქართულ რედაქციაში კი, როგორც აღინიშნა, ცნობა სომხური რედაქციის არსებობისა და გრიგოლის მიერ სომხური ასოებით ხელმოწერაზე არ მოიპოვება.

დამაჯერებლობასაა მოკლებული, აგრეთვე, ნ. მარის მტკიცება, თითქოს, მონასტერში ქალკედონიტი სომხებიც იყვნენ, რომლებიც

³⁵ ა. ბოგვერაძე, გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონის გაგებისათვის, კრ-ში „მიერკავების ისტორიის პრობლემები“, თბილისი, 1991, გვ. 154.

³⁶ გეორგია, ტ. 5, გვ. 274.

³⁷ იქვე, გვ. 275.

წესდების სომხურ ტექსტს საჭიროებდნენო. თუ ასეთ აზრს დაუშვებთ, მაშინ ირღვევა წესდების მოთხოვნა ქართული წერა-კითხვისა და ენის ცოდნაზე, ხოლო თუ ზოგიერთებს, რომლებიც ქართულს უკვე ფლობდნენ, მაგრამ სომხური უფრო ემარჯვებოდათ, როგორც ამას ნ. მარი განმარტავს, მხოლოდ ამ მიზეზით სომხური ტექსტის შედგენა ნამდვილად გაუმართლებელი ჩანს. შორს რომ აღარ წავიდეთ და გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ მონასტრისათვის „დიდი ხარჯის გაღებით“ შენირული წიგნების საჭმაოდ გრძელ სიას გადავავლოთ თვალი, იქ ვერც ერთ სომხურ წიგნს ვერ მივაგნებთ ქართული და ბერძნული წიგნების გარდა. მონასტერში რომ ქართველების გვერდით თუნდაც მათი ერთმორწმუნე სომხები ყოფილიყვნენ, ანდა თვით გრიგოლ ბაკურიანის ძე წარმოშობით სომები ყოფილიყო, რომელსაც თურმე სომხური უფრო ეხერხებოდა, როგორ დავიჯეროთ, ერთი სომხური წიგნი მაინც არ დაედო მონასტრისათვის საკუთარი ხარჯით შექმნილ ბიბლიოთეკაში? აშკარაა, სომხური წიგნის მომხმარებელი პეტრიწონის მონასტერში არავინ იყო და არც არავინ ელოდა, რომ მომავალში მაინც ასეთი საჭიროება გაჩენილიყო, რადგანაც წესდება ქართველის გარდა, უცხო წარმომავლობის მონაზვნების მოსვლას პრინციპულად გამორიცხავდა.

გრიგოლ ბაკურიანის ძის წარმომავლობისა თუ ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის განსაზღვრისათვის ძალზე ძნელია არგუმენტის მნიშვნელობა მიენიჭოს ქეღლში მოხსენიებულ სომხურ სიტყვა „ტანუტერი“, რის საშუალებითაც, აგრეთვე, ცდილობს ნ. მარი მის მიერვე დასმული პრობლემის გადაჭრას. ჯერ ერთი, როგორც ეს აკავი შანიძემ დოკუმენტურად დაადასტურა პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ბერძნულ ტექსტში ნახმრი „ტანუტერი“ უადგილოა, რამდენადაც ის მეკუჭნავის მაგიერადაა გამოყენებული მაშინ, როდესაც ამ სომხურ სიტყვას ქართულში და სომხურშიც ხელისუფალის მნიშვნელობა აქვს. ცხადია, პირვანდელი ტექსტი გადაკეთებულია და იქ არსებული მეკუჭნავის აღსანიშნავი კელარი თუ ისტიგანი ქართულში ხმარებული სომხური სიტყვითაა შეცვლილი შინაარსის დამახინჯების ხარჯზე. ასე რომ, სიტყვა „ტანუტერი“, რომელსაც ნ. მარი ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ტიპიკონის ტექსტებში, თავდაპირველად საერთოდ, არც ყოფილა. რაც შეეხება ქართულ ენაში სომხური სიტყვების გამოყენებას, ისევე როგორც ქართული სიტყვებისა სომხურში, განსაკუთრებით ცალკეული შემთხვევებისას, მხარის ეთნიკური სახის წარმოსაჩენად არ შეიძლება დიდი მნიშვნელობა მიენიჭოს, რადგანაც ასეთი ვითარება მეზობელთა ხანგრძლივი ურთიერთობისა და ენობრივი კონ-

ტაქტების სრულიად ბუნებრივი შედეგია. სათანადო მაგალითები საკმაოდ ბევრია და სპეციალისტებისათვის კარგად ცნობილი. მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს. ა. შანიძე ასახელებს მეგრულ-ლაზური სიტყვების დამკვიდრების შემთხვევებს სომხურში, რომელთაგან განსაკუთრებით გამოჰყოფს სიტყვა ჭანჯა (ბუზი), რომელიც უძველეს სომხურ ტექსტებში გვხვდება. ასევე ძველია ლაზური ჯინჯ ძირიდან ნაწარმოები სიტყვები სომხურში³⁸. სომხეთში და საერთოდ ამიერკავკასიის ხალხთა ენებში სპეციალისტები ქართულიდან შესულად თვლიან სამეურნეო დანიშნულების ისეთ უძველეს ტერმინებს, როგორიცაა თოხი, ბარი, ოჩხარი და სხვ. ასე რომ, სომხეთის მეზობელ ტაო-კლარჯეთში ზოგიერთი სომხური ტერმინის, მათ შორის „ტანუტერის“ ხმარება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად ვერ ჩაითვლება.

ერთადერთი პირდაპირი ცნობა, რომელიც გრიგოლ ბაკურიანის ძეს სომხურ ნარმომავლობას მიაწერს ანა კომნენტს „ალექსიადა“-დან იღებს სათავეს. ანას თქმით, გრიგოლ ბაკურიანის ძე „ნარმომობით სომხის წარჩინებული გვარისა იყო“. იმპერატორის ქალიშვილის ამ ცნობას გადაჭრით ენინააღმდეგებიან ბერძნულ-ბიზანტიური, სომხური და, ცხადია, ქართული საისტორიო წყაროები, რომელთა მიხედვით გრიგოლ ბაკურიანის ძე წარმომავლით იყო „იბერთა ბრწყინვალე გვარიდან“. როგორც ვხედავთ, ისტორიული წყაროები ადამიანის წარმომავლობას გვარ-ტომისადმი მისი კუთვნილებით განსაზღვრავს. მიუხედავად ამისა, ნ. მარს მისაღებად და უნაკლოდ მხოლოდ ანა კომნენტს ცნობა მიაჩნია, სხვა დანარჩენის ანალოგიური პრინციპით გადმოცემულ ცნობას კი სარწმუნოებრივ მომენტს უკავშირებს და კულტურულ მნიშვნელობას მიაწერს. ასე რომ, სარწმუნოებისა და ეროვნების ურთიერთშესაბამისობის მის მიერვე გაცხადებულ პრინციპს, რასაც საფუძვლად უდებს ტაო-კლარჯეთის ეთნიკურ-კულტურული სახის განსაზღვრას, თვითონვე ყოველთვის არ იცავს. თუ ერთ შემთხვევაში, კერძოდ სომხეთა შეგნების სიმყარის საჩვენებლად, სარწმუნოება ვერ შლიდა ეროვნებას, სხვა შემთხვევაში კი, როცა ქართული ტაო-კლარჯეთი სომხურად უნდა მოენათლა, სარწმუნოება შლის ეროვნებას. რატომ არის, რომ პეტრიწონის მონასტრის ტიბიკონის „ქართველს“ კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა, ანა კომნენტს კი არა? ამ კითხვაზე

პასუხს 6. მარი არ იძლევა. მარტო სარწმუნოება რომ ვერ წაშლიდა ეროვნებას, ამას თვით 6. მარის მიერ მოყვანილი მაგალითებიც მოწმობენ, რომელთა მიხედვით ბერძნულ ეკლესიაში, ბერძნულ ენაზე მლოცველი და მწირველ-მგალობელი მართლმადიდებელი სომხები, მარის თეორიის საწინააღმდეგოდ, ბერძნებად და რომაელებად კი არ იწოდებიან, არამედ სომხებად, რასაც ეჭვმიუტანებლად ადასტურებენ ამოცვიფრული წარწერები, მაგალითად „A████████ ████████████“ და სხვ.³⁹ ანა კომნენტს, რა თქმა უნდა, ცდება, როცა გრიგოლ ბაკურიანის ძეს სომხად მიიჩნევს. იგი ცდებოდა ისევე, როგორც არაერთი ბერძენი ავტორი შემცდარა ბიზანტიაში მოღვაწე ქართველებისა და სომხების ეროვნული კუთვნილების საკითხში. თუ როგორ და რა პირობებში უნდა მოსვლოდა შეცდომა იმპერატორის ქალიშვილს, საინტერესო დაკვირვებას წარმოგვიდგენს ა. ბოგვერაძე: ანა სულ სამი წლისა იყო, როცა გრიგოლი დაიღუპა, ხოლო „ალექსიადა“ სიბერეში დაუწერია. ანამ ის კი იციდა, რომ ეს კაცი „აღმოსავლელი“ იყო და სომხეთში დიდხანს ნამსახური და რა გასაკვირველია ამის მერე, თუ სომხადვე ჩათვალა. ანას ის რომ სცოდნოდა, გრიგოლ ბაკურიანის ძეს თავის ბრწყინვალე ქართული წარმომავლით თავი მოჰქონდა, რომ ქართულ საქმეს ის ბიზანტიაშიც არ ივინყებდა (ათონის ქართველთა მონასტერზე მზრუნველობა, პეტრიწონის ქართული მონასტრის დაარსება), რომ „ტომით ქართველად“ მიაჩნდა ეს კაცი თვით ანას თანამედროვე სომებს ისტორიკოსსაც (მათეოს ურპაცის), განა ორიოდე სიტყვით იტყოდა, სომები იყოო და ამის მიზეზს სათანადოდ არ განმარტავდა? ანას ის მაინც რომ სცოდნოდა, რომ გრიგოლი ტაოს ერისთავთერისთავის ბაკურიანის შეიღო იყო, იმ ტაოს, რომელსაც ბიზანტიაშის სამეფო კარი ანამდე სამი საუკუნით ადრე უცილობლად იბერიად სცნობდა და მის მოსახლეობას იბერიელებად მიიჩნევდა (მარტო კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულება რად ღირს), ასე ერთი კალმის მოსმით გრიგოლ ბაკურიანის ძეს სომხად გამოაცხადებდა? რა საკირველია არა.⁴⁰

როგორც ვხედავთ, საეჭვო საბუთიანობის საფუძველზე მიღებული ურთიერთგამომრიცხველი დასკვნების მთელი წევება წარმოაჩნის 6. მარის მსჯელობის წინააღმდეგობრივ ხასიათს. მის მიერ დახატული IX-XI სს. ტაო-კლარჯეთის ეთნოკულტურული სურათი არა მარტო

³⁸ А. Шаниძе, Великий доместик Запада Григорий бакурианис-дзе и грузинский монастырь, основанный им в Болгарии, Тбилиси, 1970, с. 30.

³⁹ 6. მარი, დასახელებული წაშრომი, გვ. 29.

⁴⁰ ა. ბოგვერაძე, გრიგოლ ბაკურიანის ტიბიკონის გაგებისათვის, გვ. 158.

დაუკერებელია, არამედ, ზოგჯერ კურიოზულ შეფერილობასაც იღებს. ნ. მარი რომ გვარწმუნებს, ქართული ტაო-კლარჯეთი თავისი ბრნინ-ვალე კულტურით, რომლის დომინანტი მაღალგანვითარებული ქართული ენა და ქართული მწერლობა იყო, სომეხი ქალკედონიტების დენა-ციონალიზაციის პროცესის წარმონაქმნიაო, ე. ი. იმ სომხებისა, რომელთ-აც ჯერ კიდევ XI ს. ბოლოს მშობლიური სომხური უფრო ემარჯვებოდათ, განა რა ძალას შეეძლო ისეთი სასწაულის მოხდენა, რომ ისინი ერთბაშად ბრნინვალე ქართული კულტურის შემოქმედნი გამხდარიყვნენ? თუკი ნ. მარის წარმოდგენით, XI ს. გასულს ტაო-კლარჯეთი, თუნდაც ქართველთა ერთმორწმუნე კომპაქტური სომხური მასებით ყოფილიყო დასახლებული, ნუთუ მასთან შედარებით ერთი მუქა ქართველი ბერ-მონაზვნების მოღვაწეობას შეეძლო მთელი ქვეყნის ეთნოკულტურული სურათის ისე შეცვლა, რომ ქართველთა პოლიტიკური ბატონობაც უზრუნველყო? ამგვარი აბსურდული სიტუაციის დაჯერება ხომ შეუძლებელია. და მით უფრო გასაკვირია ნ. მარისაგან ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული ასეთი მსჯელობა.

6. მარის მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის გამო მისი თეორია ქართულ კულტურაში სომეხი ქალკედონიტების როლის შესახებ, ერთ-ანს ფართოდ გავრცელდა. განსაკუთრებული ენთუზიაზმით აიტაცეს იგი სომეხმა მკვლევრებმა, მიიჩნიეს რა სომხური გეოპოლიტიკური ამოცანების გადაჭრის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად. ალბათ, ამიტომაცაა, რომ სომხური ისტორიოგრაფია დღემდე (ე. ი. მთელი საუკუნე) შეუნებელი ენერგიით ცდილობს უამრავი წყლულებისაგან ნ. მარის თეორიის გადარჩენას. ტიპიკონის ტექსტის ქართული ასლის აღმოჩენისა და აკ. შანიძის მიერ მისი გამოქვეყნების შემდეგ შესაძლებელი გახდა გრიგოლ ბაკურიანის ძის პრობლემატიკასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გაცილებით ღრმად და სრულად შესწავლა, რამაც ნ. მარის თეორიის მონინააღმდეგეთა რიცხვი მეცნიერთა სამყაროში შეუდარებლად გაზარდა. უცხოელ მეცნიერთა იმ რიცხვს, რომლებიც თავიდანვე იზიარებდნენ გრიგოლ ბაკურიანის ძის ქართველობას როგორც წარმოშობით, ისე სარწმუნოებით (პ. ბეზობრაზოვი, ღ. პტი, ი. ივანოვი, ა. პროტიჩი, ე. პონიგმანი, ვ. ლაზარევი და სხვ.), დაემატათ ა. კოსტოვი, ა. კონტიკი, ე. კაზაროვი, გ. ცანკოვა-პეტკოვა, ი. ლუბარსკი, ა. ვასილიევი, მ. ივანოვი, გ. ოსტროგორსკი, ა. კაშდანი, ე. ბაკალოვა, მ. დერიბერი და სხვა მრავალი (მათი შრომები იხ. ღ. მენაბდის წიგნში „ძველი ქართული მწერლობის კერძი“, II, თბილისი, 1980). გარდა იმისა, რომ ქართული ტექსტი უცვლელადაა გადმოწერილი დედნიდან და კარ-

გადაა შენახული და ამდენად, დიდი უპირატესობა აქვს ბერძნულთან შედარებით, ის იმავდროულად ქართული სალიტერატურო ენის ბრნინვალე ძეგლიცაა. ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ ძეგლში აქა-იქ შემორჩენილი მედიტაციურ-ლირიკული წიაღსვლები მკვლევრებს საფუძველს აძლევს ტექსტის ლიტერატურულ ავტორადაც გრიგოლ ბაკურიანის ძე მიიჩნიონ⁴¹, რაც თავისთავად სერიოზული არგუმენტია ძეგლისა და მისი ავტორის წარმომავლობისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გასარკვევადაც.

ტიპიკონის ქართული ტექსტის აღმოჩენის შემდეგ აკაკი შანიძე სავსებით მართებულად წერდა: გრიგოლ ბაკურიანის ძე რომ ქართველი იყო, ეს გარკვევით არის წათქამი ტიპიკონის დასახუისშივე, გრიგოლმა რომ მონასტერი დაარასა ქართველთათვის, ეს არა ერთხელ არის აღნიშნული იმავე ტიპიკონში და რომ პეტრინონის მონასტრის ბერები ქართველები იყვნენ, ესეც გარკვევით არის აღნიშნული: „მონაზონი მონასტრისა ჩემისასანი გუარად ქართველნი არიან“. ყველა ამის შემდეგ ვისაც რა უნდა, ის ამტკიცოს, პირს ვერავის აუბამ და ქაღალდიც აიტანს⁴².

მართლაცდა, აშკარა ფაქტებზე თვალის დახუჭვა და ნაძალადევი არგუმენტების მოპოვების მცდელობა, ბუნებრივია, ძნელად თუ დაიმსახურებს სხვაგვარ შეფასებას.

6. მარის ხსენებული თეორიის კრიტიკისაგან დაცვა, თანაც ნებისმიერი საშუალებით მისი შემაგრება, როგორც უკვე ითქვა, სომხურმა ისტორიოგრაფიამ ითავა. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან პ. მურადიანი და ვ. არუთინოვა-ფიდანიანი, რომლებმაც ნ. მარის შეცდომების უარსაყოფად არაერთი მოხსენება და წერილი დაბეჭდეს, განსაკუთრებით კი ქ-მა ვიაიდამ მთელი თავისი მეცნიერული ძალისხმევა, ფაქტობრივად, ამ თემას მიუძღვნა (მათ შორის ძირითადია: არუთინოვი – ფიდანიან ვ. ა., კ ვოროს აბ „απορωροί“ ვ. ტიპიკი გრიგორი ბაკურიანი, ვ. ვისივე, გრიგორი პაკურიან (Бакуриан) и цели основания им монастыря в Петрионе, – Mapp и вопросы арменоведения, Ереван, 1968; მისივე ვიზანტიйские правители фемы Иверия, თეოდოსი თეოდოსი და თეოდოსი 1973 N 2, მისივე,

⁴¹ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერძი, II, გვ. 263-265.

⁴² აკ. შანიძე, ქართველთა მონასტრი ბუნებრებში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, თბილისი, 1971, გვ. 33.

„Ивер“ в византийских источниках XI в., 1973 N 11 მისივე, Типик Григория Пакуриана. Введ., пер. и коммент. В. А. Арутюновой – Фиданян, Ереван, 1978; მისივე, Армяне-халкедониты на восточных границах Византийской империи (XI в.), Ереван, 1980; მისივე, К вопросу о термине „Восток“ в конце X-XI в., Византийские очерки, Москва, 1982; და სხვები. 1968, N 1, მისივე, Грузинский перевод „Повествования“ Аристакеса Ластивартци, 1975, N 2. მისივე, Культурная деятельность армян-халкидитов в XI-XIII вв., Международный симпозиум по армянскому искусству, Ереван, 1978 და სხვ.). კრიტიკისა ნ. მარის თეორიის დასაცავად საჭირო ცნობების დეფიციტის გამო ამ ავტორებმა ისევ ნ. მარის კვალობაზე, ქართველის აღმნიშვნელი თითქმის ყველა ეთნიკური ტერმინი კონფესიური შინაარსის მატარებლად გამოაცხადეს. ამით, ეტყობა, სულ ცოტა ორი ამოცანის გადაწყვეტა სცადეს: 1. ანა კომნენტს ცნობა გრიგოლ ბაკურიანის ძის ტომით სომხობაზე ამის შემდევ გამონაკლისად და ობლად აღარ უნდა აღქმულიყო და 2. სამხრეთ ტაოდან გამოსული ყველა დიდი ქართველი მოღვაწე, რომელიც საისტორიო წყაროებში ქართველად მოიხსენიება სომებს ქალკედონელად შეიძლებოდა მონათლულიყო. ამგვარი მანიპულაციების სანინააღმდეგოდ იძულებული ვხდებით ჩვენც მონინააღმდეგის ხერხი გამოვიყენოთ ნ. მარის სომებს მიმდევართაგან განსხვავებით, სომხურ ენაში ქართველისა და ქართველთა ქვეყნის აღმნიშვნელი ყველა ძირითადი ტერმინის ნამდვილი შინაარსი გაგაცნოთ მეითხელს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამგვარი სამუშაოს შესრულება ცნობილმა არმენოლოგმა ელ. ცაგარეშვილმა იტვირთა. მისი გამოკვლევები 1991, გვ. 103-114.

⁴³ იხ. კრებული ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1991, გვ. 103-114.

⁴⁴ იხ. კრებული, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993, გვ. 153-209.

ბული (V ს.) და XVIII ს. ავტორებით ესაია ჰასან ჯალალიანცით, აბრამ კრეტაცით და სხვებით დამთავრებული. ამდენად, ქ-ნი ელენე თვალწინ გვიშლის დასახელებულ სომხურ ტერმინთა შინაარსში შესაძლებელ ყველა ცვლილებათა დინამიკას შეუსაუკუნეთა მთელ სიგრძეზე.

ძველ სომხურ წერილობით ძეგლებში „ქართველის“ აღსანიშნავად (ისევე როგორც სხვა ეთნოსების აღნიშვნისას), ჩვეულებრივ, რამდენიმე ტერმინი გვხვდება 〈ქართველის ტერმინი გვიშლის და სომხურ ტერმინი გვიშლის შესაბამის და მათი ადგილსაცხოვრისის აღმნიშვნელი ამ ტერმინების დასადასტურებლად ელ. ცაგარეშვილის მიერ მოყვანილი უამრავი საილუსტრაციო მასალა როგორც ადრინდელი, ისე მოგვიანო ხანის სომხური წერილობითი ძეგლებიდან სრულ ნდობას იმსახურებს და მათ მართებულებაში ეჭვის შესატანად იოტის ოდენა ადგილიც არ რჩება. სომხურ წერილობით ძეგლებში ამ საკითხზე არსებული გამოკვეთილად ერთმნიშვნელოვანი უხვი მასალის არსებობის მიუხედავად, პ. მურადიანი საკამათოდ ხდის ქართველთა აღმნიშვნელი სომხური ტერმინის „ვერიაციები“-ის და ქართველთა ქვეყნის „ვერია“-ს მნიშვნელობას. არისტაკაეს ლასტივერტცის თხზულების ქართული თარგმანის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაწერილ რეცენზიაში პ. მურადიანი საყვედურობს ელ. ცაგარეშვილს სომხური ტექსტის „ვერიაციები“-ის ქართველებად თარგმნის გამო. მისი აზრით, ძეგლის ავტორი ქართველის ეთნიკური ცნების გადმოსაცემად თანამიმდევრულად იყენებს ტერმინ „ვრაცი“-ს, ამიტომ ტერმინები „ვერიაცი“ და „ვრაცი“ რეალურად იდენტურნი არ არიან. ტერმინების „ვერიაციები“ – „ვერიაციონი“, განაგრძობს პ. მურადიანი, ფუძეა ვერია ანუ ქვეყნა ვერია. ა. ლასტივერტცის მიერ აღნერილი მოვლენები კი ვითარდებოდა იმ ტერიტორიაზე, რომელიც დავით კურაპალატის სიკედლის შემდევ შეადგენდა ბიზანტიურ ახალ ადმინისტრაციულ ერთეულს – თემ ივერიას. ა. ლასტივერტცი კი მოგვითხობს „აფხაზის“ ანუ გიორგი I-ის მიერ ამ თემის ტერიტორიაზე შეკრებილი ჯარის მარცხზე. ამდენად საუბარია ივერიის თემის მოსახლეობაზე – ივერიელებზე, ტერმინის ახლებურ გაგებაზე და არა ქართველებზე, რამდენადაც ქართველთა გარდა თემის მოსახლეობას შეადგენდნენ სომხებიც და ბერძნებიც. „ვერია – ეს თემა ივერიაა“⁴⁵.

⁴⁵ ქ. მ. მურადი, გрузинский перевод "повествования" Аристакеса ластивертцы, ქართველი, 1975, გვ. 109.

ჯერ ერთი, როგორც თვით პ. მურადიანისთვისაც კარგადაა ცნობილი, ლასტივერტცის თხზულების სხვა გამომცემელ-მთარგმნელებსაც, მათ შორის სომხური კრიტიკული ტექსტის გამომცემელ კარენ იუზბაშიანსაც „ვირქ“ და „ვერიაცი“ იდენტურ ეთნიკურ ტერმინებად მიაჩნია, რის გამოც ა. ლასტივერტცის ისტორიის რუსული თარგმანის გამოცემის საძიებელში განმარტავს „Грузия см. Иверия“, ხოლო „ვერიაციქ“ სენებულ კონკრეტულ შემთხვევაში ქართველთა ეთნიკურობის აღმნიშვნელად და არა ე. წ. „იძერის თემის“ მცხოვრებთა ზოგად მაჩვენებლად თვლის⁴⁶. ამავე ძეგლის ახალ სომხურ ენაზე თარგმნილი ტექსტის გამოცემაში ეთნიკური ტერმინი „ვერიაცი“ ქართველად არის თარგმნილი (ვრაც ზორქერ – ქართველთა ჯარები), მასზე დართულ კომენტარში კი განმარტებულია, რომ სომხურ მწერლობაში საქართველოს ენოდება არა მხოლოდ „ვირქ“, არამედ აგრეთვე „ვერია“, „ივერია“, ხოლო ქართველებს – „ივერაციქ“, „ვერიაციქ“. ა. ლასტივერტცი წერს: „ვირქ“, „ვრაც“, აქ კი „ვერიაცვოც“⁴⁷.

ამ ჩვენებათა სანინაალმდეგოდ პ. მურადიანს რა ახალი მასალა ეგულება არსაიდან ჩანს, ქართველების სინონიმური ტერმინებით მოხსენიება კი არ არის უჩვეულო სომხური წყაროებისათვის. ქართველების მსგავსად ისინი სხვა ხალხებსაც რამდენიმე სინონიმური ტერმინით იხსენიებენ. მაგალითად, თვით „სომხების აღსანიშნავად იყენებენ „ჰაიკაზავა“, „ჰაიკა ტოპშ“, „ჰაი აზგავ“, ბერძნებისა „ჰორომ აზგ“, „აზგავ ჟორინ“ და სხვ. ამიტომ „ვერიაცი“ არისტაკეს ლასტივერტცისთან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნიშნავს „ქართველს“ და არა „იძერის თემის“ მცხოვრებს. აღნიშნულის ნათელსაყოფად ელ. ცაგარეიშვილს მოჰყავს მთელი რიგი ამონაწერები წერილობითი წყაროებიდან, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს პ. მურადიანის მიერ დასახელებული გიორგი I-ის ჯარის ქართულობას. ქართულ წყაროებში ეს ჯარი „სპანი ქართველთად“ იწოდება, ხოლო სომხურში – „ზორქ ვერიაცვოც“ ან „ზორქ ვრაც“, ე. ი. ქართველთა ჯარები. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ სომხურ წყაროებში, რომლებშიც XI ს. პირველი ნახევრის ამბებია აღწერილი, გარკვევითაა ერთმანეთისაგან

გამიჯნული, ვთქვათ, „სომეხთა ჯარი“, „ქართველთა ჯარი“ ან ერთად არის ნახსენები „ჯარი სომეხთა და ქართველთა“, „ჯარი ბერძენთა, სომეხთა და ქართველთა“. ცადია, ა. ლასტივერტცისთან მოხსენიებული „ვერიაცი“ კონკრეტული მნიშვნელობისა, ეთნიკურ ტერმინს წარმოადგენს და „ვერიაცვოც ზორქ“ იგივეა, რაც სხვა სომხურ წყაროთა „ზორქ ვრაც“, არაბული წყაროს „აფხაზთა ლაშქარი“, ბერძნული წყაროს „აბაზების ჯარი“, ქართულ წყაროთა „სპანი ქართველთა“, ე. ი. გიორგი I-ის ჯარი. ასე რომ, „ვერია“ ფუძიანი ტერმინების, კერძოდ კი ტერმინ „ვერიაცის“ მურადიანისეულ „ახლებურ“ გაგებაზე მსჯელობა სრულიად უადგილო და უსაფუძლოა. ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ VIII ს. სომეხმა ისტორიკოსმა ლევონდმა კარგად იცოდა „ვერია“ ფუძიანი სიტყვების მნიშვნელობა, რომლისთვისაც „ი ვერია“ იყო „ვირქ“-ი ანუ ქართლი⁴⁸.

პ. მურადიანის კვალს გაჰყვა და შემდგომ გააფართოვა თავისი წინამორბედის „ახლებური“ გაგება ვ. არუთინოვა-ფიდანიანმა. 1978 წ. ერევანში მის მიერ გამოცემულ გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიბიკონის ბერძნულიდან ნათარგმნ რუსულ ტექსტში ყველგან შეინარჩუნა და უთარგმნელი დატოვა ქართველის აღმნიშვნელი ბერძნული სახელი „ივირ“-ი, რითაც, ცხადია, შეეცადა ამ სიტყვაში, მისი ნამდვილი მნიშვნელობის „ქართველის“ ნაცვლად, გაქართველების გზაზე დამდგარი სომეხი ქალებების შინაარსი ჩაედო, როგორც ამას თავის რეცენზიაში შენიშნავდა აკაკი შანიძე. ქართველი მეცნიერის გაევირვებას ისიც იწვევდა, რომ სიტყვა „ივირ“-იდან ნანარმოებ ბერძნულ ზედსართავ სახელს თარგმნიდა „ქართულის“ მეშვეობით, როცა საქმე ეხებოდა წიგნებს ან წერას. მაგალითად, ქართული წერა-კითხვის მცოდნე ბერძი, ქართული ოთხთავი და სხვ⁴⁹. ამგვარი ორგვარი დამოკიდებულება სიტყვა „ივირ“-თან ანუ ორმაგი სტანდარტით მიღებომა საკვლევი ობიექტისადმი, ვფიქრობ, მთლიანად ამჟაღვნებს ავტორის წინასწარგანზრაულ მიზნებს, რომლისთვისაც ობიექტური მეცნიერული კვლევა, უბრალოდ, მიზანშეუწონელი ხდება.

ქართველის აღმნიშვნელი სომხური წყაროების ტერმინ „ვრაცი აზგავ“-ის (გვარად ქართველი) მიმართაც მსგავსი დამოკიდებულებაა

⁴⁶ იხ. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, გვ. 106-108; აგრეთვე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია გვ. 170-172.

⁴⁷ ქართველი სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კურსი, 1971, გვ. 10-118.

⁴⁸ ქართველი სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კურსი, 1987, გვ. 138, 139.

⁴⁹ А. Г. Шаниძე. О строителя Петрионского монастыря Григории Бакурианис дзе, „მაცნე“, №4, 1978, გვ. 171.

გაბატონებული, ხსენებულ ავტორებთან ერთად, თითქმის მთელ სომხურ ისტორიოგრაფიაში, რომელთა მტკიცებით, ეს ტერმინი („აზგავ“ – გვარი, ტომი, ნათესავი) ნიშნავს არა წარმოშობით ქართველს, არამედ სომეს ქალკედონელს. სომხური წერილობითი ძეგლების მონაცემთა უმართებულო ანალიზითა და ინტერპრეტაციით ხსენებულ ავტორებს შესაძლებლად ესახებათ „ვრაცი აზგავ“-ითაც მოხსენიებულ ქართველ მოღვაწეთა — იმანე თორნიკესა და მისი ნათესავების, გრიგოლ ბაკურიანის ძის, ლაპარტის, რატის და ზვიადის, ზაქარია ვალშეკერტელისა და სხვათა ეთნიკური წარმომავლობის წაშლა, მასთან ერთად კი ათონისა და პეტრინის ქართული მონასტრების ისტორიის, ტაო-კლარჯეთის, ზემო და ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიის, ამ მხარეთა ეთნიკური შემადგენლობისა და პოლიტიკური ვითარების მათთვის სასურველად გადაკეთება და სხვ. მაშინ როდესაც „აზგავ“-ით (ტომით, გვარად, ნათესავით ქართველი) სომეს ქალკედონელთა აღნიშვნის შემთხვევებში სომხურ წერილობით წყაროებში საერთოდ არ დასტურდება. შუა საუკუნეების სომეს ისტორიკოსთა შრომებში დადასტურებული ხსენებული ტერმინები და მათი სინონიმების შემცველი სიტყვები ყოველთვის ამა თუ იმ პიროვნების წარმომავლობაზე, ნაციონალობაზე მიუთითებს და არას-დროს არ ნიშნავს ქალკედონური აღმსარებლობის მიმდევარ სომებს.

ხსენებულ სომეს ავტორთა მტკიცებულებათა სანინაალმდევოდ, ეთნიკური ტერმინით სარწმუნოების აღნიშვნის საჭიროება არც ადრეულ პერიოდში და არც შემდეგ სომხურ წერილობით ძეგლებში არ შექმნილა. იშვიათ გამონაკლის წარმოადგენს ეთნიკური ტერმინი „ვრაცი“ (ქართველი), რომელიც გვიანდელ ხანაში ზოგჯერ ქართული კულტურის ადამიანის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა ცალკეული ავტორების მიერ. ეთნიკურობის აღმიშვნელი ტერმინები სომხურ წყაროებში მკაფიოდაა გამიჯული სარწმუნოების გამომხატველი ტერმინებისაგან. ამ უკანასკნელთა აღსანიშნავად გამოიყენებულია სპეციალური ტერმინები: „კრონქ“ (რჯული), „ჰავატ“ (სარწმუნოება), „უტტ“ (აღთქმა), „ავანდუ-თივნ“ (აღმსარებლობა) და სხვა. ქალკედონური აღმსარებლობის და თვით ქალკედონელის აღსანიშნავადც სპეციალური ტერმინებია დაცული სომხურ წერილობით ძეგლებში: „ქალკედონი ჰავატ“ – ქალკედონის აღმსარებლობა, „ერკაბნავ“ – ორბუნებიანი, „ქალკედონიკ“ – ქალკედონელი და სხვები. აგრეთვე „კრონქ ვრაც“ – ქართველთა რჯული. აშკარაა, რომ რელიგიურ-კონფესიონალური ტერმინების სიმრავლისას

სარწმუნოების მნიშვნელობით ეთნიკური ტერმინების გამოყენების საჭიროება არც არსებობდა⁵⁰. ამიტომ ვ. არუთინოვა-ფიდანიანის, პ. მურადიანისა და სხვათა მიერ ეთნიკური ტერმინის „ვრაცი აზგავ“-ისთვის კონფესიური მნიშვნელობის მინიჭების ცდები სხვა არაფერია, თუ არა ფაქტებზე წინასწარგანზრახული აშკარა ძალადობა.

განსაკუთრებული ყურადღება ტერმინ „ვრაცი აზგავ“-ის მიმართ, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ის დიდი სიზუსტით გამოსცემს ამ ტერმინით დასახელებული პირის ეთნიკურ წარმომავლობას, რის გამოც სომხური ტერმინების შინაარსში კარგად გათვითცნობიერებული მათეოს ურპაეცის მიერ გრიგოლ ბაკურიანის ძის წარმომავლობის ამ სიტყვით აღნიშვნა ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავს ანა კომნენეს ცნობას იმპერიის დიდმოხელის ეროვნულ კუთვნილებაზე. ეს კი არა მარტო ენინააღმდეგება სომხურ ქალკედონიზმზე ნ. მარისა და მისი თეორიის მხურვალე დამცველების პოზიციას, არამედ მთლიანად აცლის საფუძველს მათ მტკიცებულებებს IX-XI სს. ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე. განვიხილოთ მრავალთაგან რამდენიმე მაგალითი. ვ. არუთინოვა-ფიდანიანს მოჰყავს მათეოს ურპაეცის ცნობა ბაგრატ ვხკაცისა (ე. ი. ვიხიკელის) და გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ სელჩუკთა შემოტევისაგან ანისის დაცვის თაობაზე და ყურადღებას ამახვილებს სომები მემატიანის თხზულების ტექსტის იმ წანილზე, სადაც წათქვამია, რომ ურჯულო რომაელი თავადები (□□□□□ □□□□□ □□□□□), რომლებიც იმპერატორმა სომები ქვეყნის დასაცავად დააყენა: ბაგრატი, სმბატის მამა და გრიგოლი ბაკურიანის ვაჟი, ქართული გვარისა („ვრაცი აზგავ“) – დაიწყეს გამაგრება ზედა და ქედა ციტადელში... მოქალაქეებმა შეამჩნიეს რა, თუ სარწმუნოებიდან განმდგარი დამცველები (□□□□□□ □□□□□ □□□□□□) თვით როგორ გამაგრდნენ, მიატოვეს კედლები და გაიქცნენ⁵¹. ვ. არუთინოვა-ფიდანიანის განმარტებით, მათეოს ურპაეცი ანისის დამცველებს ძრახვას არა როგორც უნიჭ მხედართმთავრებს, არამედ როგორც „ურჯულოებს“, როგორც სხვა სარწმუნოების და სხვა წარმომავლობის ადამიანებსაც. ამასთან სულ მცირე წაწყვეტში სამჯერ ხასიათდებიან ამგვარად: უკეთური რომაელი თავადები, ბაგრატი სმბატის მამა და გრიგორი ბაკურიანის ვაჟი – ქართული მოდგმისანი, სარწმუნოებიდან

⁵⁰ ვ. ცაგარეიშვილი, დასახელებული წაშრომი, გვ. 179-193.

⁵¹ □□□□□ □□□□□ □□□□□ □□□□□ □□□□□ □□□□□ □□□□□ □□□□□ 188 148

განმდგარი ციხის დამცველები. სამივე ეპითეტი „უკეთური, ქართული მოდგმის, სარწმუნოებიდან გამდგარი“, განაგრძობს ქ-ნი ვიაიდა, ერთი რიგის განსაზღვრებებია და ორივე თავადს ერთნაირად ეკუთვნის. იქვე შენიშნავს, რომ ზოგი მკვლევარი, კერძოდ ა. შანიძე „ვრაცი აზგავ“-ს (ე. ი. გვარით, ტომით ქართველი) მხოლოდ გრიგორს აკუთვნებს. მაგრამ ეს ვარაუდი იმსხვერევა გამოთქმა „სარწმუნოებიდან განმდგარინი“-ზე, რომელიც მრავლობით რიცხვშია მოცემული, რაც იმას ნიშნავს, რომ გრიგორიცა და ბაგრატიც ორივე სარწმუნოებიდან განდგომილები არიან⁵². შემდეგ კი განაგრძობს: გრიგორიცა და ბაგრატიც სომები ისტორიკოსის თვალში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მიჩნეულიყვნენ სარწმუნოებიდან განმდგარად, თუკი ისინი სომები იქნებოდნენ და საკუთარი სარწმუნოებიდან „გადახვევით“ სხვას რომელიდაცას მიიღებდნენ. ეპითეტი „ (ქართველი) მიუთითებს, ალბათ, იმაზე, რომ მათ მიერ მიღებული სარწმუნოება ქართული ქალკედონელობა იყონა⁵³.

სომები მკვლევარი, რა თქმა უნდა, თვალთმაქცობს. იმისათვის, რომ ეთნიკური ტერმინი „ვრაცი აზგავ“ (გვარით, ტომით ქართველი) კონფესიურ ტერმინად მოაჩვენოს მკითხველს, მოყვანილ ტერმინს ეთნიკურობის მაჩვენებელი ნანილის „აზგ“-ის გარეშე (გვარი, ტომი) ნარმოვიდგენს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ მოცემულ კონტექსტში, სხვა კონფესიური ტერმინების გვერდით „ვრაცი“, ე. ი. ქართველი, ამ შემთხვევაში კონფესის, კერძოდ ქართული ქალკედონიზმის აღმნშვნელი უნდა იყოს. როგორც ითქვა, „ვრაცი“-ს (ქართველი) იშვიათ შემთხვევაში სომები ავტორები ქართული კულტურისა და შეგნების პირის აღსანიშნავადაც იყენებდნენ (მაგალითად, ქურთული ნარმომავლობის ქართველი დიდოხელების ზაქარია და ივანე მხარგრძელების მიმართ), ხოლო „ვრაცი აზგავ“ ყოველთვის და ყველგან მხოლოდ და მხოლოდ ტომით, ნარმომავლობით ქართველის ალსანიშნავად გამოიყენებოდა ძველ სომები ისტორიკოსთა მიერ. ამიტომაც არის, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძის უმცროსი თანამედროვე მათეოს ურპაეცი (გარდაიცვალა 1140 წლის ახლო ხანებში), რომელიც ქართველებსა და სომებს კარგად არჩევდა და კონფესიურ ტერმინოლოგიაშიც შესანიშნავად ერკვეოდა, გრიგოლის ქართველობის ალსანიშნავად იყენებს უყოფანო ეთნიკურ ტერმინს „ვრაცი აზგავ“ (ტომით, გვარით ქართველი). არ არის მართალი ქ-ნი ვიაიდა,


⁵² **Б. А. Арутюнова-Фиданян,** Армяне-халкедониты на восточных границах Византийской империи (XI в.), Ереван, 1980, с. 60-61.

⁵³ იქვე.

როცა გვიმტკიცებს მათეოს ურპაეცი ბაგრატსა და გრიგოლს სარწმუნოებიდან გამდგარს არ უწოდებდა, ისინი სომხები რომ არ ყოფილიყვნენ. საქმე ისაა, რომ VII ს. დასაწყისში ქართველთა და სომებთა შორის მომხდარი საეკლესიო განხეთქილების შემდეგ სომხური სამღვდელოება და მასთან ერთად სომხური საზოგადოებაც ქართველებს ჭეშმარიტი სარწმუნოებიდან და ლვთისგან განმდგარად მიიჩნევდნენ. ამის შესახებ უხტანესი X ს. წერდა: „(ქართველებმა) შეცვალეს წმინდა მამათა სჯული და დაივინეს ლვთაებრივი ალთქმა“⁵⁴. ამის შემდეგ სავსებით ბუნებრივია, რომ მათეოს ურპაეცის თვალში ქართველიც სომხური სარწმუნოებიდან ისეთივე განმდგარი და ურჯულო იყო, როგორიც სომები ქალკედონელი, ამიტომაც XII ს. სომები ისტორიკოსის ხსენებული ცნობა ამ მხრივ არავითარ კითხვას არ უნდა ბადებდეს. ამავე მიზეზით გრიგოლ ბაკურიანის ძის ეთნიკურ წარმომავლობაზე მარჩიელობა უბრალოდ გაუგებარია. „ვრაცი აზგავ“ მხოლოდ გრიგოლ ბაკურიანის ძეს მიემართებოდა თუ ბაგრატსა და გრიგოლს ერთად, ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, მნიშვნელობა არცა აქვს, რადგან არც ბაგრატის სომხობაა მაინცდამაინც დამტკიცებული. ბაგრატის გვარასახელი „ვხკაცი“ (ვიხიკელი) ნანარმოებია გეოგრაფიული სახელის სოფ. ვიხიკიდან (ოშეის მახლობლად მდებარეობდა). გეოგრაფიული სახელიდან გვარ-სახელის წარმოების წესი კი ქართულისა და სომხურისათვის საერთო მოვლენაა, ამიტომ სომები ისტორიკოსის მიერ ასეთი გვარ-სახელის სომხური ფორმით გადმოცემა მოულოდნელი არაა.

ცხადია, ვ. არუთინვა-ფიდანიანის მიერ დასახელებული ეთნიკური და კონფესიური ტერმინები ერთგვაროვანი შინაარსის სახელებად ვერ ჩაითვლება, მით უმეტეს, რომ სომხური ენა ნებისმიერი აზრის გამოსახატავად საჭირო ტერმინთა გაჭირვებას არ განიცდის და კონფესიური შინაარსის გადმოსაცემად ეთნიკური ტერმინის გამოყენებას არ საჭიროებს. ასეთი ვითარების საუკეთესო მაგალითები, შორს რომ აღარ წავიდეთ, უკვე მოხმობილ მათეოს ურპაეცისაც საკმაოდ მოეპოვება. გრიგოლ ბაკურიანის ძისგან განსხვავებით, რომლის ეთნიკურ კუთვნილებასაც მათეოს ურპაეცი „ვრაცი აზგავ“-ით აღნიშნავს, ნამდვილად სომები ქალკედონელის, ანტიოქიის თემის ბიზანტიილი გამგებლის (1078-

⁵⁴ **უხტანესი,** ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომებთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბილისი, 1975, გვ. 21.

1084) ფილარტოს ვარაუნუნის ეთნიკურ წარმომავლობასა და კონფესიურ კუთვნილებას მათთვის შესაფერისი და არაორაზროვანი სიტყვებით გადმოვცემს. იგი წერს: ფილარეტი მამითაც და დედითაც სომეხი იყო, კონფესიით კი რჯული ჰორომთა  ჰერნდა, ე. ი. ბერძნული სარწმუნოებისა იყოო⁵⁵. ამგვარი მასალის ფონზე „ვრაცი აზგავ“-ის კონფესიურ ტერმინად მონათვლა სხვა არაფერია, თუ არა სერიოზული საკითხის სხვადასხვა სტანდარტით განხილვა. ამასთან დაკავშირებით ელ. ცაგარეიშვილი სავსებით მართებულად შენიშნავს: ეთნიკურ ტერმინს „ვრაცი აზგავ“-ს სომეხი მკვლევრები სწორედ გრიგოლ ბაკურიანის ძის კონფესიონალობის (ე. ი. ქალკედონელობის) აღმნიშვნელ ტერმინად აცხადებენ და მას სომეხ ქალკედონელად მიიჩნევენ. აღნიშნული გაუგებრობა წინასწარგანზრაული გადაწყვეტილებითაა გაპირობებული, თორებ როგორ შეიძლება ეთნიკური ტერმინით „ვრაცი აზგავ“-ით ქალკედონელის აღნიშვნის საჭიროება წარმოქმნილიყო მხოლოდ გრიგოლ ბაკურიანის ძისთვის იმ დროს, როდესაც იმავე პერიოდის მოღვანის, წარმოშობით სომეხის, ფილარეტოსის ქალკედონელობა სავსებით გარკვევით კონფესიონალური ტერმინით  (რჯული ჰორომთა) არის მითითებული⁵⁶. 6. ბერძნოშვილისა არ იყოს, ბიზანტიის იმპერიის სამსახურში მყოფი სომეხი დიდმოხელე რა თავს იტკივებდა ქართული სარწმუნოებისათვის, როცა ბერძნული აღმსარებლობა მისთვის გაცილებით მომეგბიანი იყო. თვით ვ. არუთინოვა-ფიდანიანიც ხომ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმპერიის ეკლესიისადმი კუთვნილება აუცილებელი იყო იმპერიის სამსახურისათვის, რის გამოც სომხური არისტოკრატიის წარმომადგენლები იმპერიის სამსახურში ჩადგომისთანავე, როგორც წესი, იცვლიდნენ სარწმუნოებას და ბიზანტიის ეკლესიის წილში გადადიოდნენ⁵⁷. ცხადია, გრიგოლ ბაკურიანის ძეც რომ სომეხი ყოფილიყო, რაც სომეხ მკვლევრებს ნამეტნავად სურთ, ისიც ბერძნული აღმსარებლობისა იქნებოდა და არა ქართულის. ერთი სიტყვით, სხვა გზა არ არსებოს, ყველამ უნდა დაუჯეროთ თვით გრიგოლ ბაკურიანის ძეს, რომელმაც სხვაზე, მით უმეტეს 6. მარისა და თანამედროვე სომეხი ისტორიკოსებზე უკეთ იცოდა საკუთარი ეთნიკური წარმომავლობა.

აშკარაა, 6. მარმა მცდარ საფუძველზე ააგო თავისი თეორია და ამიტომაც დამახინჯებულად წარმოგვიდგინა ქართული ტაო-კლარჯე-

⁵⁵ მათეოს ურპაეცი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 206.

⁵⁶ ელ. ცაგარეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 194.

⁵⁷ В. А. Арутюнова-Фиданиян, Армяне-халкедониты, გვ. 59-60, 149 და სხვ.

თის ეროვნულ-კულტურული სურათი, რომელიც სომეხი ქალკედონელების დენაციონალიზაციის პროცესის წარმონაქმნად მიიჩნია. ასეთი დასკვნისათვის საკმარისი მასალა რომ არ არსებობდა მეცნიერმა თვითონვე აღნიშნა, როცა გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონის ბერძნული რედაქციის გაცნობის შემდეგ წერდა: „в отношении их (ე. ი. ტაო-კლარჯეთის მიმართ) мы располагаем теперь немногим, но характерными данными“⁵⁸. ეს მცირე და დამახასიათებელი მონაცემები კი იყო ტიპიკონის ბერძნული რედაქციის ტექსტის ცნობა, რომ არსებობდა ტიპიკონის სომხური ტექსტიც და მასზე გრიგოლ ბაკურიანის ძის ხელმოწერა სომხური ასოებით, რაც დღემდე ჯერ არავის უნახავს. მაგრამ ამ ცნობამ 6. მარზე, ჩანს, თავიდანვე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და ერთი და ერთი დაიჯერა რა ამ ცნობის ნამდვილობა, შემდეგშიც შეეცადა ახალი არგუმენტებითა და საბუთებით მისგან გამომდინარე დასკვნების ყოველმხრივ გამართლებას. მარის ყურადღება მიიპყრო ტიპიკონში გამოყენებულმა სომხური წარმოშობის სიტყვა „ტანუტერმა“, რომელიც სომხეთის მეზობელ ტაოში დიდი ხნის დამკვიდრებული იყო. მეზობელთა მეტყველებაში ერთმანეთის სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა შინაარსის ტერმინების გამოყენების შემთხვევები არც ისე იშვიათია და მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, თითქოს, არც იყო მოსალოდნელი, მაგრამ, როგოც ჩანს, ის მწირი და საეჭვო ცნობა ტიპიკონის სომხური ტექსტისა და სომხური ასოებით ხელმოწერაზე, 6. მარსაც აფიქრებდა და არასაკმარისად მიაჩნდა, რის გამოც შეეცადა ახლა უკვე ნამდვილად სომხური წარმომავლობის ტერმინზე აეგო მსჯელობა. მისი თქმით, რადგანაც „ტანუტერმა“ ტაო-კლარჯეთის ქართულ ენაში მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება „по этому-то главным образом и решаюсь я в настоящее время утверждать, что Григорий Бакуриан, основатель грузинского Петрионского монастыря был из тао-кларджетских огрузинившихся армян-халкедонитов“⁵⁹.

ამ სუსტი არგუმენტაციის შესამაგრებელი მასალა, გასაგებია, ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკურ წარსულში უნდა ეძია. და, რადგანაც მისთვის კარგად ცნობილი ქართული და უცხოური წყაროების ცნობები სცადა წინასწარგანზრაულ შედეგებზე მოსარგებად გამოყენებინა, ფაქტობრივად, ურთიერთგამომრიცხველი დასკვნების მთელი წყება მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ტაო-კლარჯეთის აბორიგენები, მისი

⁵⁸ Н. Я. Mapp, Аркаун... გვ. 17.

⁵⁹ იქვე, გვ. 22-24.

თქმით, რომელიდაც ლაზური თუ მეგრული ტომები იყვნენ, VII ს. ეს ქვეყანა იყო სომხური, ყოველ შემთხვევაში სომხური სახე ჰქონდათ და აქ, ალბათ, ჰყვაოდა სომხური ქალკედონიტობა⁶⁰. სომხეთში სომები ქალკედონელების გავლენის ზრდაზე საუბრისას კი აღნიშნავს, რომ IX ს. დასაწყისში ჩრდილო-დასავლეთი სომხეთი კლარჯეთისა და ტაოს ოლქებთურთ უკვე მათ ხელშია მოქცეული. სომებთა ქალკედონელობას აქ მხურვალე მხარდაჭერა ჰქონდა არა მარტო ბერძენთა, არამედ ქართველთა შორისაც. ამ მხარის მებატონე მთავრები – არტანუჯელი ბაგრატიდები უკვე ქალკედონელები იყვნენ და ეს გარემოება არამცირედ უნყობდა ხელს ქალკედონელთა სრულ გამარჯვებას სომხეთის ამ განაპირა მხარეში⁶¹. IX ს. სომები ქალკედონელები თვით ცენტრალურ სომხეთშიც ცდილობდნენ გაბატონებას და სომები ბაგრატიდების სახლის გაქალკედონებაც მოინდომეს. მაგრამ შემდეგ ანტიქალკედონური სომხური ეკლესიის ნაციონალიზაციის შედეგად იწყება სომებს ქალკედონელთა დენაციონალიზაციის პროცესი, რის შესახებაც უკვე ითქვა. VIII-IX სს. მიჯნაზე ტაო-კლარჯეთის დაქვრივებულ სომხურ მონასტრებში ქართველი ბერ-მონაზვნები მკვიდრდებიან, ნმ. საბა აღადგენს იშხანის მონასტერს, რომელიც მაღე ქართველი ეპისკოპოსის რეზიდენციად იქცევა. ეს ქართველი მონაზვნები აქ გარშემორტყმული აღმოჩნდნენ ერთმორნმუნე, მაგრამ ეთნიკურად უცხო სომხური მოსახლეობით და, ქართველთა პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად, ქვეყნის უფლება ქართულად წოდებული, ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ ღვთისმასაურება ეკლესიებში ქართულ ენაზე ნარმოებდა. ამის შედეგად ადგილობრივი სომხები, რომლებიც ქალკედონელები იყვნენ თანდათან ქართველებად იქცნენ.

დიდი ძიება და ანალიზი არა საჭირო, რათა აქ ნარმოდგენილ ურთიერთგამომრიცხველ დებულებებს შორის აშკარა ნინააღმდევობანი “აღმოვაჩინოთ”. თუკი ნ. მარისავე განმარტებით ამ მხარის აბორიგენები ლაზები და მეგრელები იყვნენ, როგორ მოხდა, რომ VII ს. მას მთლიანად სომხური სახე ჰქონდა? მისი მსჯელობით ისე გამოდის, თითქოს, ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია სომებს ქალკედონელებს მოეხდინოთ, რამდენადაც იქ „მაშინ სომხური ქალკედონიზმი ჰყვაოდაო“, თუმცა ბერძნულ-ბიზანტიური და ქართული კულტურული

⁶⁰ H. Я. Mapp, Аркаун... გვ. 21.

⁶¹ იქვე, გვ. 5-6.

გავლენის ამ ზონაში პირიქით პროცესების განვითარება უფრო იყო მოსალოდნელი. კიდევ უფრო გაუგებარია და ფაქტებთან სრულიად შეუსაბამოა IX ს. დასაწყისში ტაოსა და კლარჯეთის ჩრდილო-დასავლეთ სომხეთის ოლქებად გამოცხადება იმ დროს, როცა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტია აქ პოლიტიკურ ძალას იკრებდა და იბერიის ანუ ქართველთა სამეფოს აღდგენას იწყებდა. 6. მარის ნარმოდგენით, ერთი მხრივ, IX ს. დასაწყისში ტაო-კლარჯეთი სომებს ქალკედონელთა ხელშია, ისინი შეადგენენ მოსახლეობის ძირითად ბირთვს და, მეორე მხრივ, დაქვრივებულ სომხურ ეკლესია-მონასტრებს ქართლიდან გადმოსული მცირერიცხოვანი ბერძონაზვნობა ეუფლება და ღვთისმსახურებასაც ეკლესიებში ქართულ ენაზე აღავლენს, რასაც, თურმე, ემყარება ქვეყნის უფლება, რომ ქართულად წოდებულიყო. ამ ნინადადებაში, როგორც ვხედავთ, ელემენტარული ლოგიკაც კი არაა დაცული. თუკი IX ს. დასაწყისშიც ტაოც და კლარჯეთიც სომხეთის ოლქებს ნარმოადგენდა და იქ ქალკედონელი სომხები ბატონობდნენ, ვის და რას უნდა დაეჭვივებინა სახელგანთქმული „სომხური“ ეკლესია-მონასტრები? მერე კიდევ, თუნდაც ერთმორნმუნე სომხებით გარშემორტყმულ მცირერიცხოვან ქართველ მონაზვნებს ძირითად სომხურ მასაზე ისეთი რა გავლენა უნდა მოხედინათ, რომ ჯერ მათი ეკლესია-მონასტრები ჩაეგდოთ ხელში, მერე კი თვით ისინიც გაექართველებინათ? ამგვარი პროცესის ნარმოდგენა ხომ ძალზე ძნელია? უფრო მეტიც, ირკვევა, რომ ტაოსა და კლარჯეთში სომები ქალკედონელების გამარჯვება-გაბატონებისათვის ხელი შეუწყიათ ბერძნებისა და ქართველების მხურვალე მხარდაჭერას. თუ ქართველები აქ არ ცხოვრობდნენ, მაშ საიდანღა ჩნდებიან სომხების ხელშემწყობი ქართველები „სომხეთის ამ განაპირა მხარეში“? გადამწყვეტი მაინც არტანუჯელი „ბაგრატიდების“ მხარდაჭერა ყოფილა, რომლებიც ამ დროისათვის უკვე ქალკედონელები იყვნენ. არტანუჯელი ბაგრატიონების ქალკედონელობა აქ ისეთ კონტექსტშია მოხსენიებული, რომ გაუთვითცნობიერებელმა მჟიხევდება შეიძლება ეს მათი ეთნიკური სომხების მნიშვნელობითაც მიიღოს. ასეთ შემთხვევაში არა მხოლოდ ულოგიკობასთან გვექნება საქმე, არამედ კურიოზიანაც, რამდენადაც ასეთი მსჯელობით გამოდის, თითქოს, სომხები აქართველებდნენ სომხებს. კიდევ ერთი საყურადღებო ულოგიკობა. სომები ქალკედონელებით დასახლებულ „სომხეთის ამ განაპირა მხარეში“ 6. მარი ქართველთა პოლიტიკურ ბატონობაზე ლაპარაკობს. ქვეყნის სომხურობის მტკიცებასთან კი ასეთი განცხადება ხომ სრულიად შეუთავისებელია. რომელ საზოგადოებრივ ფენას ან პოლიტიკურ ძალას უნდა დაყრდნობოდა ქართველ-

ობის შემადგენლობის გათვალისწინებით (რამდენადაც დავითის სამეფო ვანის ტბამდე ვრცელდებოდა და სომხური თემების მნიშვნელოვანი ნაწილი მის შემადგენლობაში იყო მოქცეული) ზოგიერთის მიერ ქვეყანა მართლაც შეიძლებოდა პირობითად „სომხურ-ქართულად“ აღქმულიყო, მაგრამ როცა ეს განსაზღვრება სამეფოს მიემართება, მას არავითარი გამართლება არა აქვს, რადგანაც შუა საუკუნეებშიც სახელმწიფოს მკაფირად გამოკვეთილი პოლიტიკური მიმართულება გააჩნდა და ფუნქციონირებდა მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ინტერესების შესაბამისად. თავის დამოკიდებულებას ამ ე. ნ. „სომხურ-ქართული ერთი სამთავროი“ მიმართ იმით ამჟღავნებს, რომ მას უდარებს და განიხილავს სხვა სომხურ სამეფოებთან ერთად. მკითხველს კი ქვეცნობიერ შთაბეჭდილებას უქმნის, თითქოს, ტაოს საკურაპალატოც ჩვეულებრივი სომხური პოლიტიკური ერთეული იყო, მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით სხვაზე ძლიერი.

დავით კურაპალატის ეთნიკურ კუთვნილებაზე საუბარს თავს არიდებს კარენ იუზბაშიანი და ქართველ მეფეს უბრალოდ ამიერკავკასიის ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალურ დინასტიაგანს უწოდებს. ასევე ბუნდოვანია ტაოს სამეფოს მისეული განსაზღვრებაც. ეს ხან წმინდა სომხურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებისგან განსხვავებული, შერეული სომხურ-ქართული მოსახლეობის ტაოს სამთავროა, ხან კი სომხურ-ქართული ოლქი – ტაო⁶⁷.

1976 წ. ერევანში გამოცემული სომეხი ხალხის ისტორიის აკადემიური გამოცემის მე-3-ე ტომში⁶⁸ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ტაოს სამეფოსა და დავით კურაპალატის პოლიტიკურ თავგადასავალს. მიუხედავად ამისა, მკითხველს სრული გაურკეველობა ეუფლება დავითის ვინაობასა და მის სამეფოზე. ძირითად ტექსტში დავითი არც ქართველებსაა მიკუთვნებული და თითქოს არც სომხებს, ასევე საკურაპალატოდ წოდებული მისი სამეფოც. ამ დაბინდულ ვითარებაში რაღაცა გარკვეულობის შეტანას პარაგრაფის ავტორი რ. მათევოსიანი, თითქოს, მაინც ცდილობს, როცა წერს, რომ IX ს. ტაიქის ისტორიის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ცნობები მცირე კია, მაგრამ ცხადია X ს. ნახევრი-

სათვის უკვე იქ დაწინაურებულია საკურაპალატო ქართველი ბაგრატიონების ტაიქის შტოს მეთაურობით, მაგრამ, განმარტავს იქვე, მოსახლეობა ძირითადად სომხური იყო, რომელთაგან ბევრი ქალკედონელობას მიმხრობოდა და განაგრძობს: სომხური და ქართული სამეფოების და ტაიქის საკურაპალატოს შორის დამყარებული იყო მჭიდრო თანამშრომლობა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათი თავდაცვისთვის⁶⁹. რა გავარკვით? 1. ტაოს სამეფოს სახელისუფლო დინასტია ქართველი ბაგრატიონების ტაოს შტოს კუთვნილებაა 2. მოსახლეობა ძირითადად სომხურია 3. სამეფოს პოლიტიკური ფიზიონომია (საკურაპალატო) კი ბერძნულ-ბიზანტიურია. ჩანს, ამიტომაც, თუნდაც გარეგნულად, წერილის ავტორი ტაოს სამეფოს არც სომხურ და არც ქართულ სამეფოთა რიგს არ აკუთვნებს და ჩამოთვლისას მათ ერთმანეთისაგან აშკარად მიჯნავს. ნიშანდობლივია, რომ ტექსტის ათეულობით გვერდებზე ამიერკავკასიის ცალკეული პოლიტიკური ერთეულების ხელისუფალთა ხსენებისას უმრავლეს შემთხვევაში, როცა მათ ეთნიკური ნიშითაც მოიხსენიებენ, მაგალითად, სომეხთა მეფე გაგიკი, ქართველთა მეფე ბაგრატი და სხვა, იმავე წინადაღებაში ტაოს მეფეს მხოლოდ კურაპალატობით აღნიშნავენ, რითაც ცდილობენ დანარჩენი ქართული სამყაროდან მის განსხვავებულ ხასიათზე გაამახვილონ მკითხველის ყურადღება. იმავდროულად კი ტაოს სომხური ფორმით „ტაიქ“-ით გადმოცემა, რაც, ფაქტობრივად, ქართული ტაონის თარგმანს წარმოადგენს („ქ“ სომხურში მრავლობითის მანშნებელია) და ამ ქვეყნის პოლიტიკური მოვლენების სომხეთის ისტორიის ქრისტი მოწოდებით, ქართული და სომხური წყაროების ჩვენებების საწინააღმდეგოდ წიგნის ავტორები მკითხველს ქვეწინიერად შუა საუკუნეების ტაოზე სომხური ქვეყნის შთაბეჭდილებას უქმნიან. ვ. არუთინოვა-ფიდანიანმა და პ. მურადიანმა კი ამ ქვეყნის სომეხ ქალკედონელთა სამკვიდროდ წარმოდგენის ფუნქცია, რატომდაც, ბერძნული წყაროების „ივირს“ (იბერს) და „ივერიას“ (იბერიას) დააკისრეს, რომელიც ყოველთვის ქართველსა და ქართველთა ქვეყანას აღნიშნავდა⁷⁰. შემთხვევითი სულაც არაა, რომ ბიზანტიის იმპერიის შემადგნლობაში შესვლის შემდეგ, სამხრეთ ტაოს, მისი ქართული ეთნიკური შინაარსის მიხედვით, იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში „იბერიის თემი“ დაერქვა, ისევე როგორც „არმენიაკის თემის“ სახელი წარმოსდგა

⁶⁷ Повествование вардапета Аристакеса ластиверти, перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарий и приложения К. Н. Юзбашяна, Москва, 1968, с. 17, 19.

⁶⁸ ԱՐՄԵՆԻԱ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ ՏԱՐԱԾՈՒՅՈՒՆ Խ. 1976

⁶⁹ ԱՐՄԵՆԻԱ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ ՏԱՐԱԾՈՒՅՈՒՆ Խ. 1, გვ. 108.

⁷⁰ ამ ტერმინის მნიშვნელობაზე იხ. აგრეთვე ნიდარ ლომური, К истории грузинского Петрионского монастыря, 1981, с. 55-66.

იქ არსებული მოსახლეობის მიხედვით⁷¹. უთუოდ ეთნიკური შინაარსი ედო საფუძვლად ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების ცნობებს, როცა მათი ავტორები პოლიტიკურად განცალკევებულ ტაოს განაპირა იბერიად აღიქვამდნენ შიდა იბერიისაგან, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური რაიონებისაგან განსხვავებით და საქართველოს ამ ორივე ნაწილს ერთნარად იბერიად მოიხსენიებდნენ⁷².

ვ. არუთინოვა-ფიდანიანის „ანალიზით, XI ს. ბიზანტიურ წყაროებში ტერმინი „ივირ“-ი ხუთ სხვადასხვა მნიშვნელობას აერთიანებდა თავის თავში. ის აღნიშნავდა ესპანელს, ქართველს, ბიზანტიური თემის იბერიის მკედრს, ქართული აღმსარებლობის სომებს და ათონის ივირონის მონასტრის ბერს. პირველი მნიშვნელობით XI ს. წყაროებში ის იშვიათად გვხვდება, სიტყვა „ივირ“-ის ბოლო სამი მნიშვნელობა კი ზოგჯერ თანაარსებობდა ერთი და იმავე პირის დახასიათებაში. სამხრეთი ტაოს სომები ქალკედონელები „ივირები“ იყვნენ იბერიის თემიდან წარმომავლობისა და სარწმუნოებრივი ნიშნითაც. ამასთან თავისი აზრის დასადასტურებლად მოჰყავს ოორნიკე ერისთავის ოჯახის მაგალითი, რომელიც, მისი თქმით, თურმე, ტაოს ოორნიკიანთა ოჯახის წარმომავლენები იბერიის თემიდან (სამხრეთ ტაიქიდან) წარმომავლობდნენ, აღიარებდნენ ივირულ რჯულს და იყვნენ ივირონის მონასტრის ბერები. ასეთი სამგზისი „ივირი“ იყო ითანე თოორნიკე, რომელმაც კარინთან ახლოს დატოვა ქვაჯვარი სომხური წარწერით. მსგავსივე ქვაჯვარი დატოვა მისმა ძმამ ითანე ვარაზვაჩემ ანისის სომხურ-ქალკედონურ ტაძარში⁷³. გასაგებია, რომ მთელი ეს მსჯელობა თოორნიკე ერისთავისა და სამხრეთი ტაოს სომხურობის დასამტკიცებლადა მოყვანილი. ასეთი მტკიცების სირთულეს სომები მკვლევარი, ეტყობა, თვითონაც კარგად გრძნობს და მის შესამსუბუქებლად დამატებით განმარტებებაც იძლევა. თუ წყაროები ერთი და იმავე პირვენებას „სომხობასაც მიაწერენ და ქართველობასაც“, ეს იმას ნიშნავს, რომ „სომები“ პირვენების ეთნიკურ მახასიათებლად უნდა მივიღოთ, ხოლო „ქართველი“ კონფესიის ნიშნად. ამასთან, უფრო ხშირად, ასეთი „სომებ-ქართველი“ იბერიის თემიდან იქნება, სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო ქართული სარწმუნოება⁷⁴.

ჩვენი აზრით, ანალიზი ცალმხრივია, გამოტანილი დასკვნები კი ნაძალადევი. სიტყვა „ივირ“-ის პირველ მნიშვნელობაზე არაფერს

⁷¹ А. Шанидзе, О строителе Петрионского монастыря Григории бакурианис дзе, „მაცნე“, № 4, 1978, გვ. 175.

⁷² გ. კედრები, გეორგია, 5, გვ. 46.

⁷³ В. А. Арутюнова-Фиданян, армяне-халкедониты на восточных границах Византийской империи, с. 68-69.

⁷⁴ იქვე, გვ. 69.

ვიტყვით, წყაროებში მისი მოხსენიება მართლაც იშვიათია და, რაც მთავარია, გასარკვევ, საკითხთან შეხება მას არცა აქვს. მკვლევრის მიერ მეორე ადგილზე დასმული „ივირ“-ის მნიშვნელობა ეთნიკური „ქართველის“ შინაარსით კი, პრაქტიკულად, მთავარი და ძირითადია და ტერმინის ყველა ჩამოთვლილ გაგებას თან ახლავს. ამიტომაც სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა იყოს ტაოს პირობებში სომხური წყაროების „ქართველი“ აუცილებად კონფესიის მაჩვენებელი, ხოლო იმავე წყაროების „სომები“ მაინცდამანც ეთნოსის აღმნიშვნელი. სრულიად გასაგები ტერმინების შინაარსის ამგვარი კლასიფიკაცია ყოველთვის ცალმხრივი და ხელოვნური იქნება, ვიდრე პასუხი არ გაეცემა კითხვას, თუ ბიზანტიელებმა დაპყრობის შემდეგ სამხრეთ ტაოს რატომ დაარქვეს „იბერიის თემი“ და ბერძნულ-სომხურ ეთნიკურ გარემოცვაში ტერიტორიულად ღრმად შეჭრილ ამ ქვეყანაში რატომ იყო, ვ. არუთინოვა-ფიდანიანისავე აღიარებით, განსაკუთრებით ძლიერი ქართული სარწმუნოება? მისივე დაკვირვებით, იმპერიის სამსახურში ჩადგომისთანავე სომხური არისტოკრატიის წარმომადგენლები, როგორც ითქვა, იცვლიდნენ სარწმუნოებას, რადგან იმპერიის ეკლესიისადმი კუთვნილება პირველი და აუცილებელი პირობა იყო⁷⁵. ასეთ ვითარებაში, სომები, ტაოდან იქნებოდა, თუ შუაგულ საქართველოდან, ქართული სარწმუნოებისათვის, რა თქმა უნდა, თავს არ აიტკივებდა, რადგანაც ბერძნული მისთვის არა მარტო აუცილებელი, არამედ მომგებიანიც იყო. ასე რომ, დასმულ კითხვებზე პასუხი ერთობ მარტივია: სამხრეთი ტაო, რომელიც ბიზანტიის პოლიტიკურ მესვეურებს ჯერ კიდევ ადრე, მისი პოლიტიკური განცალკევებისას, განაპირა იბერიად (ქართლად) მიაჩინათ, ბიზანტიურ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად გარდაქმნის შემდეგაც, თავისი ძირითადი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით, ცხოვრების წესისა და მთლიანად თავისი კულტურით კვლავ იბერიად (ე. ი. ქართლად) რჩებოდა, რის გამოც უმთავრესად მას იმპერიაში მიღებული საერთო წესით, თავისი ისტორიული სახელწოდება (იბერია) შეუნარჩუნეს⁷⁶. ნიშანდობლივია, რომ თანადროული სომხური წყაროები, რასაც კ. იუზბაშიანიც იზირება⁷⁷, ტაოს ქვეყანას უნდობენ „ვირქს“, ე. ი. ქართლს, „აშხარ

⁷⁵ 3. არუთინოვა-ფიდანიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 50-59.

⁷⁶ ბიზანტიურ თემთა სტრუქტურის შესახებ იხ. აგრეთვე კ. Н. Юзбашян, Армянские государства эпохи Багратионов и Византия IX-XI вв., Москва, 1988, с. 191-196.

⁷⁷ იქვე, გვ. 193.


ვრაცს“ – ქართველთა ქვეყანას, იბერიის თემს კი „გავარნ ვრაც“ (ქართველთა მხარეები)⁷⁸. ასე რომ, ქართულ წყაროებთან თანხმობით სომხური წყაროებიც სამხრეთ ტაოს ქართლის ნაწილად და ქართლად აღიქვამენ, რაც თავისთავად შეიცავს პასუხს იმაზეც, თუ იბერიის თემში, ანუ ტაოს მოსახლეობაში, რატომ იყო განსაკუთრებით ძლიერი ქართული სარწმუნოება. ცხადია, საკუთარი სახელის „თორნიკეს“ თვითნებურად სომხურ გვარად „თორნიკიანად“ გადაკეთებით ტერმინ „ქართველს“ ეთნიკური შინაარსი ვერ გამოეცლება. თორნიკე ერისთავისა და მისი ოჯახის ქართველობის უტყუარი საბუთი მათი მოღვაწეობის ხასიათი და ბიზანტიის პოლიტიკურსა და სომხურ კულტურულ-ეთნიკურ გარემოცვაში მოქცეული ამ ტაოელების უკიდურესად გამაფრებული ეროვნულ-კულტურული ღირსებისა და შეგნების დიდი გრძნობა იყო, რომლის გამოვნილებასაც წარმოადგენდა საკუთარი საფასით აშენებული ათონის ქართველთა მონასტერი. ამ შთაბეჭდილებას ოდნავადაც კი ვერ უშლის ხელს ვ. არუთინოვა-ფიდანიანის მითითება თორნიკესა და მისი ძმის მიერ კარინის მახლობლად და ანისის ქალკედონურ ტაძარში სომხურნარწერიანი ქვაჯვარის აღმართვაზე. ჯერ ერთი, როდის იყო, რომ ენის ცოდნით ეთნიკური ვინაობა ისაზღვრებოდა. თორნიკე ერისთავმა, ალბათ, ბერძნულიც შესანიშნავად იცოდა, მაგრამ მისთვის ამის გამო ბერძნობა არავის შეუნამებია. სომხური ენის ცოდნას კი წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა თორნიკესა და მისი ძმისთვის. მას მერე, რაც დავით კურაპალატმა თავისი სამეფო სამხრეთით შორს ვანის ტბამდე განავრცო, ტაოელი აზნაურები ახლად შემოერთებულ პროვინციებს ფეოდალურ არისტოკრატიად მოევლინენ, რადგანაც ეს იყო ამ მინა-წყლის იბერიაში პოლიტიკური შესვლის ერთი უმთავრესი გამოხატულება და ნიშანი⁷⁹. ამ დროიდან ეს ტაოელები სომხური მიწებისა და სომხური მოსახლეობის მეპატრონენი გახდნენ, რის გამოც სომხური ენის ცოდნა მათვის აუცილებელი შეიქმნა და სავსებით ბუნებრივია, თუკი კარინელ მემამულე ჩირდვანელის ძეგბს სომხური ეპიგრაფიკული ძეგლებიც დაუკავშირდა. ერთობ ნიშანდობლივია, აგრეთვე, რომ ყოველივე ამის შემდეგ თორნიკეს

უმცროსი თანამედროვე სომები ისტორიკოსი ასოდიკი მას ტომით ქართველად „აზგავ ვრაც“-ად მოიხსენიებს⁸⁰.

ტაო-კლარჯეთის ქართულ სამეფო-სამთავროებზე 6. მარის სახელდახელოდ შემუშავებული თვალსაზრისი, როგორც სომები ქალკედონელების დენაციონალიზაციის პროცესის წარმონაქმნზე, მნიშვნელოვანილი ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ ერთ დროს სამხრეთი ტაო ხანგრძლივად იმყოფებოდა სომხეთის პოლიტიკურ დაქვემდებარებაში, რის გამოც საჭირო ხდება ტაოს პოლიტიკური თავგადასავლის გახსენება და იმის გარკვევა, თუ რამდენად რეალური იყო ეს თავგადასავალი 6. მარისა და მისი მიმდევრების თვალსაზრისის გასამართლებლად. იბერიის სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი სომხეთთან ძველ ხანაში არ იყო მაინცადმაინც სტაბილური, რის გამოც ამ სასაზღვრო ზოლში რთული ეთნოპოლიტიკური პროცესები ვითარდებოდა. ამ პროცესების ორბიტაში მყოფ ტაოსთან VIII ს-მდე მაინც კლარჯეთის დაკავშირება, რა თქმა უნდა, გაუმართლებელი იქნებოდა, რამდენადაც იგი პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად ყოველთვის ქართლში შედიოდა. ფარნავაზის დროს (ძვ. 6. IV-III ს.) ის იბერიის სახელმწიფოს ერთ-ერთი საერისთავოა. ამ დროს უძველესი ქართული სახელმწიფოს სამხრეთი საზღვარი მტკვარ-არაქსის წყალგამყოფზე გადიოდა, ხოლო უკიდურესი – სამხრეთ-დასავლეთით – ჭოროხ-ევფრატის წყალგამყოფზე⁸¹. ქართლის სამეფომ ტაო და სპერი, სტრაბონის მონმობით, ძვ. 6. II საუკუნის დასაწყისში დაქარგადა საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდა, რომ იგი კვლავ დაებრუნებინა. ახ. 6. I-II სს. ქართლის სამეფოს პოლიტიკური აღმავლობისას, მისგან ადრე წალებული ტერიტორიები კვლავ მისსავე ფარგლებშია საგულვებელი, უფრო გვიან კი (IV ს. მეორე ნახევრამდე) კვლავ კარგავს და ტაოს მყარად დაბრუნება მხოლოდ VIII ს. მოხერხდა, ხოლო სპერისა – კიდევ უფრო გვიან⁸². რაც შეეხება კლარჯეთს, „დიდი სომხეთის“ დაშლამდეც (IV ს. ბოლო) ის საქართველოში შემავალი ქვეყანა. მოვსეს ხორნაცი კლარჯეთს ქართველთა ქვეყნის ერთ-ერთ კუთხედ მიიჩნევს, სადაც წმ. ნინომ იქადაგა სახარება⁸³. ქართული საისტორიო

⁷⁸ იხ. აგრეთვე, ელ. ცაგარეიშვილი, „ქართული“, „ქართველი“ –ის მნიშვნელობისათვის სომხურ წერილობით ძეგლებში, გვ. 103-114.

⁷⁹ ა. ბოგვერაძე, გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონის გაგებისათვის, გვ.198.

⁸⁰  185

□. 164, 171, 172.

⁸¹ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკოთხები, I, თბილისი, 1977, გვ. 60.

⁸² იქვე, გვ. 80.

⁸³ მოვსეს ხორნაცი, სომხეთის ისტორია, ა. აბდალაძის გამოც. თბ, 1984, გვ. 172.

წყაროებიც, ბერძნულ-რომაულ წყაროებთან თანხმობით, ძველი დროიდანვე კლარჯეთს ჯერ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად, შემდეგ კი ეკლესიურადაც ყოველთვის ქართლში უჩენებენ⁸⁴.

სხვაგვარად წარიმართა ტაოს ეთნიკურ-პოლიტიკური განვითარება. სტრაბონის მოწმობით, სომხეთის მიერ მეზობლებისგან წართმეულ ყველა ოქტავი თითქოს იმთავითვე დაწყებულია არმენიზაციის პროცესი: „ახლა ყველა ისინი ლაპარაკობენ ერთ ენაზეო“. ჰაკობ მანანდიანის განმარტებით, სტრაბონის ეს მტკიცება მხოლოდ გარკვეული შენიშვნითაა მისალები. ჯერ კიდევ სასანიდების დროს და შემდეგაც სომხეთის რაიონებში სხვადასხვა ტომები ცხოვრობდნენ. ამიტომ სტრაბონის მოწმობა იმ აზრით უნდა გავიგოთ, რომ მის დროს სომხეთში გაბატონებული და უფრო გავრცელებული ენა სომხური იყო⁸⁵. სომხეთის პოლიტიკურ სივრცეში მოქცეულ იბერიის ოქტავი არმენიზაციის პროცესის ინტენსივობის წარმოსადგენად ნიშანდობლივ ფაქტად გვესახება გოგარენე („გუგარქის“) საპიტიახშოს მაგალითი. ჯერ კიდევ ძვ. წ. II ს. ტაოსთან ერთად დაპყრობილი ქართლის ეს მხარე V ს. ქართული ქრისტიანული მწერლობისა და აღმშენებლობის დაწინაურებულ ქვეყნად გამოიყურება. ტაოს მეტხანს მოუნია ყოფნა სომხურ პოლიტიკურ სივრცეში და, აღბათ, ამიტომაც შესაძლოა იმ ძველ დროს მათ განსაზღვრული კულტურულ-პოლიტიკური ერთობაც პქონოდათ სომხეთან, მაგრამ არა იმდენად, რომ აქაურ აბორიგენებს თავიანთი ეთნოგრაფიული სახე დაეკარგათ. საამისო კვალი შემორჩა ტაოს ტოპონიმიებს და სხვა მატერიალურ თუ ენობრივ მასალას, სადაც უწინარეს ქართულ ისტორიულ გეოგრაფიულ სახელებთან სომხური სახელებიც თანაარსებობენ. 6. ადონცი აღიარებდა, რომ სომხეთის განაპირობა თავის მიერთა მოწმობის წარმოშობა პქონდათ, რომელიც გამართლებული იყო ეთნიკურადაც⁸⁶. ამ ერთეულების ეთნიკურმა ინდივიდუალურობამ ყველაზე უფრო ცხადად იჩინა თავი სივნიერთა და ტაოელთა საეკლესიო-პოლიტიკური ორიენტაციის სფეროში, სადაც სხენებული ოქტავი სომხურ ნაციონალურ მიმართულებას დაუპირისპირდნენ. მაგალითად, სომებ-ქართველთა სარწმუნოებრივი განხეთქილებისთანავე ტაოელები ქალკედონურ აღმსარებლობას მიემსრნენ, რის შემდეგ ტაო სომხეთის სხვა ოქტავიდან დევნილი ქალკედონელების თავშესაფარი გახდა. ამ თვალსაზრისით საგულისმოა, აგრეთვე, სომხეთის ცნობილი მართლ-

⁸⁴ ა. ბოგვერაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 186.

⁸⁵ Я. А. Манандян, Тигран второй и Рим, Ереван, 1943, с. 19-20.

⁸⁶ Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, с. 230.

მადიდებელი კათალიკოსის ნერსეს III-ის ტომით ტაოელობაც. იმ დროს ტაოში ქართული აღმსარებლობისათვის ნიადაგს, შესაძლოა, მისთვის შესაფერისი ეთნიკური ფაქტორიც ქმნიდა, განსაკუთრებით, აღბათ, ტაოს ჩრდილო ნაწილში, კლარჯეთთან და სხვა ქართულ ოქტავითან სიახლოების და მჭიდრო ურთიერთობის გამოც. ტაოში განვითარებულ ეთნო-კულტურულ პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ამიერკავკასიაში პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული მიგრაციული პროცესებიც. საქართველოსა და სომხეთის ცენტრალურ რაიონებში არაბთა გაბატონებამ და ქრისტიანული კულტურისა და მაღალგანვითარებული ფერდალური ქვეყნებისათვის აუტანელმა რეჟიმმა (არაბობა) მოსახლეობის ნაწილი აიძულა ბუნებრივად უკეთ დაცული ქვეყნის დასაცლეთ განაპირობა მხარეებში ეძია თავშესაფარი. VII-VIII სს. უკვე სამცხის გზით ქართლიდანაც დაიძრა მოსახლეობა კლარჯეთისა და ტაოსაკენ. მურვან ყრუს (736-738 წწ.) დამარბეველი ლაშქრობისა და მოარული ეპიფემიის („სრვა სატლობისა“) შედეგად მოსახლეობის შემცირების მიუხედავად ეს ქვეყნები არც უკვიდრო ქმნილა და არც პატრონი მოკლებია მათ, როგორც ეს ქართული წყაროების მიერ ზედმეტად მუქ ფერებში დახატული სურათით შეიძლება გვეჩვენოს⁸⁷. ამის დასტურია „ახლად შენების“ ის დიდი ეროვნული პროცესი, რომელსაც სათავეში ქართლის აზნაურობა ედგა ერისმთავრის მოთავეობით. ქართული სამთავროს აღმოცენება, რა თქმა უნდა, შესაფერის და სამედო ეთნო-სოციალურ საყრდენსაც გულისხმობდა. აბასინების დროიდან (VIII ს. შუა ნლებიდან) ტაოსა და კლარჯეთში ქართული ელემენტის მომძლავრება უკვე სახეზეა, რამდენიმე ათეულ ნელინადში კი გაბატონებულ მდგომარეობასაც აღწევს. თუეკ 747 ს. აჯანყების მონაწილე ნახარარები გრიგოლ მამიკონიანის მეთაურობით, თავიანთი სახლეულობითა და ავლადიდებით ტაოს ციხესიმაგრეებს აფარებენ თავს ისე, რომ საამისო ნებართვას არ საჭიროებდნენ, რამდენადაც ამ დროისათვის სამხრეთი ტაო, ჩანს, ჭანური წარმომავლობის მამიკონიანთა მამულად და საგამგეოდ ითვლებოდა⁸⁸, 788 წლისთვის უკვე პოლიტიკური

⁸⁷ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, გვ. 155.

⁸⁸ ელ. ცაგარეშვილი, სომხური წყაროები არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ (სებეოსი, ლევონბი), მრავალთავი, I, 1971, გვ. 485; ԱՐՄԵՆԻԱ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԽԱԼԻՖԻ ԱՐԴՈՒՅՈՒՆ 122-123 աշრეთვე, იბ.

A. H. Тер-Гевондян, Армения и арабский Халифат, Ереван, 1977, გვ. 117-118, 193 და სხვ.

სიტუაცია აქ მკვეთრად შეცვლილია. არაბებს გამოქცეული ლტოლვილი სომხები ტაოს კი აღარ აფარებენ თავს, არამედ მამა-შვილს შაპუჟ და ჰამამ ამატუნთა მეთაურობით „ქართველთა ქვეყნის საზღვრებთან, კოლის გავარში მოსულებს მდ. ჭოროხი გადაულახავთ და ბიზანტიის სამფლობელობისაკენ გაუწევიათ, სადაც კონსტანტინე კეისარს კიდეც დაუსახლებია⁸⁹. აშკარაა, ამ დროისთვის სამხრეთი ტაო სომხურ (მამიკონიანთა) საგამებლო ქვეყანას აღარ წარმოადგენდა. VIII ს. მეორე ნახევარშიც აქ ადრინდელი პოლიტიკური ვითარება რომ ყოფილიყო, სხვა შემთხვევების მსგავსად ლტოლვილი სომხების ერთი ნაწილი მანც დაიდებდა ბინას ამჯერადაც. საისტორიო წყაროების მწირი ცნობების მიხედვით, პოლიტიკური სიტუაცია აქ ერთობ არამყარი ჩანს. ხელისუ-ფლებისათვის ბაგრატოვანთა შტოს წარმომადგენლები იძრდვიან, მამიკონიანები კი, თითქოს, არც ჩანან. VIII ს. 70-იანი წლებისათვის არაბთა წინააღმდეგ წარმატებით მებრძოლი ბაგრატუნიანი აშოტ მსაკერი (ხორციჭამია) ერთხანს იკავებს ტაოს, აშენებს ციხე კამასს (ქართველი კალმახი) და შიგ თავის სახლეულებს აბინავებს⁹⁰. თითქმის იმავე პერიოდს მიემართება „მატიანე ქართლისა□ს“ ცნობა ადარნასე ბაგრატონიანის (ქართველ ბაგრატოვანთა წარმომადგენლის) მფლობელობაზე ტაო-კლარჯეთში, რომლის მიხედვითაც „იცვალა ადარნასე ბაგრატონიანმან ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოსა ტაოსა, და ციხეთაგანცა, რომელი ჰქონდეს შვილიშვილთა ვახტანგ მეფისათა. და წავიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა“⁹¹. ქართველ მეფეთა (ვახტანგისა და მისი შვილიშვილების) სამკიდროზე მჯდომი ადარნასეს გადაწყვეტილება „იცვალა ნასამალი“, რაც მოყვანილ ცნობათა შეჯერებით ირკვევა, იძულებითი ღონისძიება უნდა ყოფილიყო, რომელიც ეჭვი არაა, ადარნასეს სომები ბიძაშვილის ექსპანსიის შედეგი იქნებოდა. მოვლენების ამგვარ განვითარებას, ფაქტობრივად, იზიარებს დ. მუსხელიშვილი, როცა ადარნასეს კლარჯეთში გადასვლას ტაოში აშოტ მსაკერის ახალ მფლობელობას უკავშირებს⁹². გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების რამდენიმე ჩვენებაზე მისივე დაკვირვებით, VIII საუკუნის მიწურულს აშოტ ადარნასეს ძე (შემდგომში აშოტ დიდი) სამხრეთ-დასავლეთ

⁸⁹ ლევონდი, ხსენებული გამოცემა, გვ. 168-169.

⁹⁰ ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, 6. შოშიაშვილისა და ეკა კვაჭანტირაძის თარგმანი, თბილისი, 2002, გვ. 102.

⁹¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 251.

⁹² დ. მუსხელიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 157.

საქართველოში მამის სამკიდრო შავშეთ-კლარჯეთთან ერთად უკვე ორივე ტაოსაც ფლობს⁹³. ამის შემდეგ აშოტ I დიდისა და მისი მემკვიდრების ხელშეწყობით ტაო-კლარჯეთში თავი მოიყარა და ფართოდ გაშალა ფრთები ქართველი ხალხის აღმშენებლობითმა ძალამ და კულტურული შემოქმედების უნარმა. აშენდა ნაოხარი სოფლები, განახლდა ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დახმარებით აგებული არტანუჯის ციხე და გაშენდა ამავე სახელწოდების დიდი ქალაქი, აგრეთვე, ქართული არქიტექტურის დიდებული ძეგლები – ხანძთა, შატბერდი, იშხანი „მეორედ აშენებული“, ბანა, ოშკი, ხახული, პარხალი და მრავალი სხვა, რომელთა მნიშვნელობა განუზომლად დიდია არამარტო ქართული კულტურის ისტორიისათვის. ნიშანდობლივია, რომ ტაო-კლარჯეთისა და საქართველოს სხვა ისტორიული პროვინციების არქიტექტურულ ძეგლებს აერთიანებთ საერთო არქიტექტურული და დეკორატიული თემები, ტაძრის სივრცობრივი აგებულების საერთო პრინციპები და სხვა, რაც სამშენებლო ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების საერთო ქართულ საფუძველზე მიგვანიშნებს⁹⁴. ჩამოთვლილ ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლებს დიდი მხატვრული ღირებულების გარდა, საგანმანათლებლო და მეცნიერულ-სალიტერატურო კერების მნიშვნელობაც გაჩრიდათ. კორნელი კეკელიძის თქმით, აქ დუღდა ლიტერატურული შემოქმედება. მისივე განმარტებით, უდიდესი ნაწილი იმ საგანმანათლისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება IX-X ს-იდან ამ მონასტრებშია შექმნილი. აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. შემდეგ კი განაგრძობს: ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ვეღარ დაეტია, გამოვიდა თავისი კალაპოტიდან და ფართო ნაკადით გადავიდა მცირე აზის სხვადასხვა პუნქტში და მერე ათონის ნახევარკუნძულზე შექმნა მან ჩვენი მწერლობის ახალი ცენტრი ივერიის მონასტრის სახით, რომელიც პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან მომდინარე ტრადიციებით⁹⁵.

ამის მერე, 6. მარის სახელდახელოდ შექმნილი თეორიის მიმდევარმა სომებმა მეცნიერებმა როგორც უნდა გვიმტკიცონ, რომ ეს დიდი

⁹³ დ. მუსხელიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 159-160.

⁹⁴ ვახთან ბერიძე, არქიტექტურა თაო-კლარჯეთი, თბილისი, 1981, გვ. 132.

⁹⁵ კორნელი კეკელიძე, დელი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 97.

ქართული კულტურა, თითქოს სომები ქალკედონელების შექმნილი ყოფილიყოს, თანაც იმ პირობებში, როცა მათ თურმე ბოლომდე ჰქონდათ შენარჩუნებული მშობლიური სომხური ენა, სომხური შეგნება და პატრიოტიზმი და ვ. არუთინოვა-ფიდანიანის „საყვარელი გამოთქმაც რომ გამოიყენოთ, „სომები ყოველთვის სომხადვე რჩებოდა“. ასეთი შეუთავსებელი დებულებების შეთავსების ცდა ხომ უბრალოდ აბსურდია.

ტაო-კლარჯეთის უაღრესად ეროვნული, ბრწყინვალე ქართული კულტურის შემოქმედი, რა თქმა უნდა, ქართველი ტომები, ქართველი ხალხია, რომელსაც IX-X სს. აქ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შექმნა დიდი შემოქმედებითი ენერგიისა და უნარის გამოსავლენად. აბორიგენი ქართული თუ ქართველური მოსახლეობა ამ განაპირა იბერიაში არასდროს გადაშენებულა, მაშინაც კი, როცა ტაო განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდებში სომხურ პოლიტიკურ სივრცეში ექცეოდა. მოგვიანებით კი, როცა არაბთა დამარბეველი ლაშქრობებისა და მოარული ეპიდემიების შედეგად მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოწყდა და VIII ს. გასულს ახალი მოახალშენები გაჩნდენ, ძირითადად IX-X სს. აღდგა და მოშენდა ქართლის სხვადასხვა თემებიდან, უპირატესად მესხეთიდან მასობრივად მოსული მოახალშენების ხელით. ისტორიული კანონზომიერება იყო, აღბათ, რომ სწორედ მესხები დაეუფლენენ თავიანთ უძველეს პირველსაცხოვრისს⁹⁶. ტომით მესხები იყვნენ XI ს. შუა წლებში კალმახისა და არტანუჯის ერისთავები სულა კალმახელი, გრიგოლ არტანუჯელი და მათზე დაქვემდებარებული მრავალრიცხოვანი აზნაურები, რომელთაც შეიძყრეს გამძლავრებული სეპარატისტი ფეოდალი ლიპარიტი და მეფეს მიჰვარეს⁹⁷, თუხარისის ერისთავი ბეშქენ ჯაველი, გიორგი მთამინდელი, გიორგი მწერალი და სხვა გამოჩენილი პირები. ერთობ ნიშანდობლივია, აგრეთვე, რომ IX ს. სხვა ქართულ სამეფო-სამთავროთაგან მხოლოდ ტაო-კლარჯეთს მიემართებოდა სიტყვა „ქართველთა“: ქართველთა საკურაპალატო, ქართველთა სამეფო, რითაც ყურადღება მახვილდებოდა ამ სამეფოს უაღრესად ქართულ, ეროვნულ ხასიათზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბრძოლას ეროვნული ქართული ფეოდალური სამყაროს წარმოქმნა-გამარჯვებისათვის ამიერკავკასიის მასშტაბით სწორედ ტაოს სახელგანთქმულმა მეფემ დავით III დიდმა კურაპალატმა ჩაუყარა საფუძველი და პირველი გადამ-

წყვეტი მნიშვნელობის პოლიტიკური ნაბიჯებიც გადადგა როგორც ქართული ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანების მიმართულებით, ისე ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული ფეოდალური კულტურის ეროვნული საზღვრების იქით გასავრცელებლადაც.

ცხადია, სომხური ისტორიოგრაფიის ხსნებულ წარმომადგენელთა ცდები თავდაყირა წარმოაჩინონ ტაო-კლარჯეთის პოლიტიკური და ეთნო-კულტურული ისტორია, საკმაოდ შორს დგას მეცნიერული ამოცანებისაგან და, აშკარად, სხვა ინტერესთა სფეროს განეკუთვნება.

საბჭოთა სომხური ისტორიოგრაფია ასევე ტენდენციურად გადმოგვცემს საქართველოს სომხური მოსახლეობის პოლიტიკურ თავგა-დასავალსა და მის ეთნო-ისტორიას. იგი მისდევს რა საკითხზე XIX ს. სომხური პუბლიცისტიდან და სამეცნიერო წრებიდან მომდინარე ტრადიციას, რომელიც გულისხმობს საქართველოში სომხური მოსახლეობის განსაკუთრებული სიჭარბისა და თვით ქართული მოსახლეობის განსხვავებული კონფესიის ნანილის ეთნიკურადაც სომხური წარმომავლობის ილუზიური სურათის შექმნას (მის შესახებ უკვე ითქვა), სომებ მკვლევართა ახალმა თაობამ, ჩანს, თავის მოვალეობად მიიჩნია ამ პირობებისატიკის შემდგომი დამუშავება და მეცნიერული განსჯის ჩარჩოებში, თუნდაც, ფორმალურად მოქცევა. ამგვარი განწყობა მკაფიოდ შეინიშნება პ. მურადიანის სადოქტორო დისერტაციასა და წყაროთმცოდნეობითი ხასიათის მის სხვა ნაშრომებში, რომელთაგან ამჯერად გამოყოფთ 1985 წ. ერევანში რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნს „Армянская эпиграфика Грузии (Картли и Кахети)“ და 1988 წ. დასტამბულ იმავე სათაურის წიგნს თბილისზე. დასმული ამოცანის გადასაწყვეტად ბატონმა პარუირმა თავის ისტორიულ-ფილოლოგიურ ძიებებს საფუძვლად დაუდო დღეისათვის სომხურ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გაზიარებული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც XI-XVIII საუკუნეების სომები ხალხის ისტორია მოიცავს არა მარტო საკუთრივ სომხეთის, არამედ აზიისა და ევროპის ქვეყნებში გაფანტული სომხური დასახლებების ისტორიასაც⁹⁸. ზოგადად ეს დებულება, შესაძლოა, სწორიც იყოს, მაგრამ საქართველოს სომხური მოსახლეობისა და ევროპასა და აზიაში გაფანტული სომხური დასახლებების (კოლონიების) ერთ სიბრტყეზე განხილვა არათუ მიზანშეუნიჩელი, არამედ უმართებულოცაა სრულიად განსხვავებული

⁹⁶ ა. ბოგვერაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 194.

⁹⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 301-304.

⁹⁸ მურადიან პ. მ., არმანიანი ეპიგრაფიკა გრუზია (კართლი და ქახეთი), ავტორების მისამართის მისამართის დოკუმენტის მიზანშეუნიჩელი, არამედ უმართებულოცაა სრულიად განსხვავებული

გეოგრაფიული, ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული პირობების გამო. უცხოეთში გაფანტული ავტონომიური ნიშნების მქონე კოლონიები და კომპაქტური ეთნიკური თემები, როგორც თავდაცვის ერთგვარი საშუალება, უმთავრესად იმ ქვეყნებში იქმნებოდა, სადაც სომხები ჩაგვრასა და შევიწროებას განიცდიდნენ. მაგალითად, ირანში, ინდოეთში, რუსეთში და სხვ. სომხური დასახლებების ხასიათი და ორგანიზაციული ფორმები რომ თავშესაფარი ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკაზეც დიდად იყო დამოკიდებული, ამაზე ჯერ კიდევ ბ. ბორიანმა გაამახვილა ყურადღება⁹⁹ და მიუთითა სხვადასხვა ქვეყანაში სომხები ლტოლვილთა განსხვავებულ მდგომარეობაზე. მაგალითად, მისივე დაკვირვებით, პოლანდიასა, პოლონეთსა და იტალიის ზღვისპირა ქალაქებში სომხური კოლონიები ხელისუფალთაგან პოლიტიკურ შევიწროებას არ განიცდიდნენ, რის გამოც დროთა განმავლობაში მოხდა მათი ასიმილაცია და სომხურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღარავითარ როლს აღარ თამაშობდნენ. და ყველა იმ ქვეყნისგან განსხვავებით, საითკენაც სომხები ლტოლვილთა ნაკადები მიემართებოდა, საქართველო არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ კულტურითა და ისტორიული კავშირებითაც უფრო მახლობელი ქვეყანა იყო. ამასთან ქართველ ხელისუფალთა შემწყნარებლური პოლიტიკაც სავსებით უზრუნველყოფდა სომხეთა პიროვნულ ღირსებას, რის გამოც ჩვენი ქვეყანა მათთვის ყველაზე მიმზიდველი იყო. ეს ჭეშმარიტება არავითარ დავას არ იწვევს და სავსებით გაზიარებულია სომხურ ისტორიოგრაფიაშიც. მიუხედავად ამისა, მეზობელი დიდი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, შედარებით შეზღუდული სასიცოცხლო სივრცისა და სპეციფიკური გეოპოლიტიკური პირობებით გამოწვეული გამუდმებული თავდაცვითი ომების გამოც, ლტოლვილთა დიდი ნაკადის მისაღებად და ვრცელი კომპაქტური უცხო დასახლებების შესაქმნელად, განსაკუთრებით XV ს-იდან დაწყებული XVIII ს. ჩათვლით, საქართველოში შესაფერისი სიტუაცია და საჭიროება, ნამდვილად არ არსებობდა. ამიტომ პ. მურადიანის ცდას, მთელი საქართველო, ამჯერად ისტორიული ქართლი და კახეთი, კომპაქტური სომხური დასახლებებით დაფარულ ქვეყნად წარმოგვიდგინოს, არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. მართალია, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატში აღნიშნავს, რომ სომხეთა გადმოსახლება საქართველოში თანდათანო-

ბითი ინფილტრიტაციით და მთელი თემების (იგულისმება როგორც სასოფლო, ისე საქალაქო) გადანაცვლებით ხდებოდა, მაგრამ სინამდვილეში, მთელი მასალის ანალიზი და ვრცელი მსჯელობა, ფაქტობრივად, მეორე შესაძლებლობაში მკითხველის დასარწმუნებლადაა მიმართული. მისი მტკიცებით, სომხური საკულტო ძეგლებისა და წარწერების ადგილმდებარეობა, როგორც წესი, მოწმობს იმ ადგილებში გადმოსახლებულთა თემების არსებობას. ამასთან, იქვე შენიშნავს, რომ ამ ძეგლების რაოდენობა გაცილებით მცირეა, ვიდრე რეალურად არსებული სომხური დასახლებები. სომხური ეთნიკური ელემენტი, მისივე განმარტებით, არსებობდა რუბში, ჩიხორში, ჩხარში, ქუთაისში, თამარაშენში, ბაზარში, აგრეთვე, სოფლებში – საღორეში, გორისთავში, აკურასა და ტაბახმელაში, მაღაროში, ნუკრიანში, ნასომხარში, ფანიანში, ფხოველში, ბოდბისხევში, მაჩხანსა და ტიბაანში, მირზაანში და ა. შ., მაგრამ ამ ადგილებში სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები არა გვაქვს¹⁰⁰.

პ. მურადიანისათვის დამახასიათებელ ამ ტიპურ მსჯელობაში ეთნიკური „თემისა“ და „ელემენტის“ ცნებები თავიანთი მნიშვნელობით, ფაქტობრივად, გათანაბრებულია, ე. ი. მთელი და მისი ნაწილი ერთ სიდიდედაა წარმოდგენილი, რითაც მკითხველს, განსაკუთრებით საქმეში ჩაუხედავს, უქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს, ჩამოთვლილი ქალაქები და სოფლები ერთ მთლიან სომხურ ეთნიკურ თემებს წარმოადგენდა, ანდა ამ პუნქტებში დამოუკიდებელი სომხური თემების არსებობა მაინცაა სავარაუდებელი. სომხური ელემენტის არსებობას ჩამოთვლილ ქალაქებსა და სოფლებში ქართული წყაროებიც ადასტურებს და ამ მხრივ არც ჩვენა გვაქვს სადაც პატ. მკვლევართან. მაგრამ ისიც ხომ აშეარაა, რომ ბ-ნი პარუირის მიზანს ეს კი არა, მთელ, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ რაიონებში სომხური ეთნიკური თემების არსებობის მტკიცება შეადგენს, რის ცდებიც ამ წიგნის თითქმის ყველა თავსა და პარაგრაფშია მოცემული და ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „საქართველოში სომხები სასოფლო თემის მთელი შემადგენლობით ესახლებოდნენ¹⁰¹. ქ. გორზე საუბრისას კი აღნიშნავს: სომხებს ბედად დაჟყვათ სხვადასხვა ქვეყნებში ხშირად გადასახლება, მაგრამ, როგორც, წესი მთელი თემებით, ამიტომ არ არსებობს საფუძველი, რომ გორშიც იმავე ვითარებას არ ჰქონდა ადგილი. სხვადასხვა

¹⁰⁰ პ. მურადიანი, საქართველოს სომხური ეპიგრაფიკა (რუს. ენაზე), გვ. 11-12.

¹⁰¹ იქვე, გვ. 81.

ფორმითა და ვარიანტებით მსგავსი სიტუაციებია დახატული აღმოსავალეთ საქართველოს სხვა სოფლებსა და ქალაქებში¹⁰². უფრო მეტიც, ამგარი ნახევარსიმართლითა და ორაზროვანი მსჯელობით პ. მურადიანი მკითხველს არაპირდაპირ მიანიშნებს, თითქოს, სომხებს საქართველოში მათივე კანონები იცავდნენ და საზღვარგარეთის სომხური კოლონიების მსგავსად საქართველოშიც სომხური თემები ამ მხრივ რაღაც ავტონომიურ ნიშნებს ფლობდნენ. მისი მტკიცებით, სასამართლო გარჩევისას გათვალისწინებული იყო სომეხთა ეთნოკულტურული თვითმყოფობა, რასაც მონმობს დავით ბატონიშვილის ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც ვახტანგ VI ქვეყანას მართავდა ბერძნული კანონებით, ვაჭრებისათვის კი იყენებდა სომხურ კანონებს... ამ სიტყვებიდან ჩანსო, რომ საქართველოში ვაჭრები ძირითადად სომხები იყვნენ. ამასთან გასათვალისწინებელია, განაგრძობს სომეხი მკვლევარი, რომ დავით ბაგრატიონი XIX ს. დასაწყისში წერდა, როცა ვაჭართა ფენაში საქართველოს თითქმის ყველა მსხვილი ეთნოკური ერთეული იყო წარმოდგენილი, ამიტომ სომხური კანონები არ შეიძლებოდა გავრცელებულიყო მთელ ვაჭართა ფენაზე. ერთი სიტყვით, უთქმელად ამტკიცებს, რომ სომხური კანონები ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულში მხოლოდ სომხებისათვის გამოიყენებოდან და მაგალითად მოყავს სომხური წარმომავლობის ქართველ თავადებს, ბეგთაბეგისშვილებს შორის სყიდვაზე გაჩენილი დავისას „სომხური სამართლის“ ნორმების გამოყენების ფაქტი¹⁰³. ერთი სიტყვით, ცდას არ აკლებს, რათა საქართველო ავტონომიური სომხური დასახლებებით მოვენილ ქვეყნად წარმოგვიდგინოს. ბ-ნი პ. მურადიანის მსჯელობას რომ მივყვეთ და მის შრომებში მოცემული სომხური დასახლებების სქემა და ფორმები გავიზიაროთ, მივიღეთ ყოვლად არაისტორიულ სურათს: გამოვა რომ საქართველოში სომხები კი არ ცხოვრობდნენ ქართველთა შორის, არამედ, პირიქით, ქართველები სომეხთა შორის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ევროპასა და აზიაში გაფანტული სომხური ავტონომიური დასახლებების ისტორია, სომხური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით, სომხეთის ერთიანი ისტორიის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს, მაშინ ამ ლოგიკით საქართველოს ისტორიაც სომხეთის ისტორიას უნდა მივათვალოთ.

სინამდვილე, რა თქმა უნდა, სულ სხვაგვარია. ვიდრე ამ საკითხზე ჩვენს ხედვას წარმოვადგენდეთ, ვნახოთ, რამდენად მყარია ბ-ნი პ. მუ-

¹⁰² პ. მურადიანი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 104, 122, 155-156 და სხვ.

¹⁰³ იქვე, გვ. 118.

რადიანის მიერ მოყვანილი არგუმენტები. მისი წარმოდგენით, როგორც ითქვა, საკულტო ნაგებობებისა და წარწერების გაჩენა და მათი ადგილმდებარეობა განპირობებული იყო კომპაქტური სომხური დასახლებების სულიერი მოთხოვნილებებით, რომლის ძალისხმევითაც, ძირითადად, იქმნებოდა ეს ძეგლები, ე. ი. საკულტო ძეგლების შექმნას წინ უსწრებდა და დასახლებების გაჩენა, მაგრამ ფაქტები ამის საწინააღმდეგო არაერთ ჩვენებებსაც შეიცავს. თვით პ. მურადიანის წიგნებში თავმოყრილი მასალის მიხედვით, უფრო ხშირად, თბილისში, საერთოდ ქართლისა და კახეთის სოფლებში სომხურ ეკლესიებს მდიდარი სომეხი ვაჭრები, ანდა სულაც ეკონომიკურად ძლიერი სომხური ოჯახების ცალკეული წევრები აგებდნენ. მაგალითად, თბილისის წმ. გიორგის სომხური ეკლესიის პ. მურადიანის მიერვე პირობითად აღდგენილი სამშენებლო წარწერა გვაუწყებს: „ეს კათედრალური ეკლესია აგებულია სომეხთა მთავრის ომეკის სახსრებით“¹⁰⁴. გორიჯვრის სომხური ეკლესიის (ჩალაპანდის საყდრის) წარწერაში ნათქვამია: „940 (ე. ი. 1491) წ. მე, ჯალაპმა აღვაშენე ეს ეკლესია ჩემი და ჩემი მშობლებისა და ძმების სულის მოსახსენიებლად“¹⁰⁵. ღვთისმშობლის ყანდის სომხური ეკლესიის წარწერა კი გვამცნობს: „სომხური წელთაღრიცხვის „ჯი“ 920 (1471), მე, ასტვაწატურ მღვდელმა ჩემმა ვაჟმა ხაჩატურმა და დავითმა და ჩემმა ქრისტესმიერმა სულიერმა ძმებმა სარგის სარკავაგმა (დიაკვანმა) და ამი...ელმა ავაშენეთ წმინდა ღვთისმშობლის (ეკლესია) ჩვენი და მშობლების სულის(ხსნისათვის) ამენ“¹⁰⁶. უფრო გვიანდელი ხანისთვის მსგავსი ძეგლების რაოდენობა კიდევ მეტად იზრდება, ხოლო ეკლესიათა განახლებისა, თუ მისი ნაწილების შეკეთების, განსაკუთრებით კი ქვაჯვარების აღმართვის შემთხვევები თითქმის ყოველთვის ერთ პიროვნებასთანაა დაკავშირებული და ცალკეული პერსონების ინტერესებითაა განსაზღვრული¹⁰⁷. ამ და მისი მსგავსი ძეგლების კავშირზე სომხურ კომპაქტურ დასახლებებთან წარწერებში უბრალო მინიშნებაც კი არ მოიპოვება. ხოლო XIX ს., როცა რუსი მოხელეების

¹⁰⁴ მურადიან პ. მ., არმანიანი ეპიგრაფიკა საქართველოს, თბილისი, 1988, გვ. 20-21.

¹⁰⁵ მურადიან პ. მ., არმანიანი ეპიგრაფიკა საქართველოს (კახეთი), თბილისი, 1985, გვ. 91.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 51.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 120, 123, 127, 138, 139 და სხვ.

მიერ ორგანიზებული მიგრაციული პროცესების შედეგად საქართველოში სომხეთა მასობრივი შემოსახლება დაიწყო და მსხვილი კომპაქტური სომხური დასახლებებიც შეიქმნა, ეს მოვლენა მაშინვე აისახა ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც. ამ დროიდან სომხურ საკულტო ნაგებობებზე გაკეთებულ წარწერებში მათ მშენებლებად ცალკეული პირები კი არა, უფრო ხშირად მთელი სომხური დასახლებები და სოფლები მოიხსენიებიან. მაგალითებს თვით პ. მურადიანისავე გამოქვეყნებული წარწერებიდან მოვიტანთ. ნიჩბისში – „1867 წ. ეკლესია ავაგეთ ჩვენა სომხისა საზოგადოებამა ჩვენი საკუთარი შრომითა“¹⁰⁸, მუხრანში – „1843 წ. შემწეობითა და ღვაწლითა სომხეთა გუარით, რომელნიც იმყოფებიან სოფლსა შინა მუხრანს დადგა ეკლესია ეს სომხისა“¹⁰⁹. ანდა „1839 წ. აღვაშენეთ ეკლესია (წმინდა) გიორგისა ჩვენ ზერტში მცხოვრებელთ ერთობით ქართველთა და სომხეთა სასაფლაოდ ჩვენის მუშაკობითა“¹¹⁰. ეს უკანასკნელი წარწერა კონფესიური ურთიერთობის თვალსაზრისითაც ერთობ საინტერესოა და მასზე ცალკე ვიმსჯელებთ. აქ მოყვანილი შუა საუკუნეებისა და XIX ს. ეპიგრაფიკული მასალის შედარება კი, ვფიქრობ, საქმაოდ გარკვევით ცხადყოფს, რომ სომხური ეკლესიების აგება საქართველოში ყოველთვის არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო სომხური თემების გაჩერის უშუალო შედეგი. პირიქით, ეკლესიას შეეძლო, ალბათ, მოსახლეობის თავის გარშემო შემოკრება, მაგრამ ამჯერად უკვე კონფესიური და არა მხოლოდ ეთნიკური ნიშნით, ისიც განსაზღვრულ დროსა და სივრცეში. ამიტომ არაა აუცილებელი ყოველი საკულტო ნაგებობის უკან სომხური თემი ვეძიოთ, სომხური ეკლესიების რიცხვის მიხედვით კი სომხური თემების და მით უფრო სომხეთა რაოდენობის განსაზღვრა საქართველოში, აშკარად, უიმედო საქმეა.

შუა საუკუნეების, კერძოდ კი XIV-XV სს. საქართველოში ლტოლვილი სომხები, თუ მართლაც, მთელი სოფლებით მოემართებოდნენ და ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში სახლებოდნენ, როგორც ამას პ. მურადიანი ამტკიცებს, მაშინ ეს მოვლენა ტოპონიმიკაში მაინც უნდა ასახულიყო და მათი ადრინდელი საცხოვრისის სახელწოდების მიხედვით სეხნია ტოპონიმები ქართლსა და კახეთშიც გაჩენილიყო. ცნობილია, რომ იქ, სადაც დიდ კოლექტივებად მოხდა სომხეთა გადასახლება

კიდეც სათანადოდ აისახა ეს მოვლენა ტოპონიმიკაში. მაგალითად, სომხეთის ჯულფიდან ირანში გადასახლებულებმა თავიანთ ახალ დასახლებას „ნორ ჯულფა“, ე. ი. ახალი ჯულფა უწოდეს, რუსეთის სომხურმა კოლონიამ „ახალი ნახიჭევანი“ და სხვ. აღნიშნული ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, თუ საერთოდ, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები ლტოლვილთა მსხვილი დასახლებების შექმნას ხელს ვერ უწყობდა, რის გამოც სომხეთა საქართველოში შემოსახლება, ეტყობა, მაინც თანდათანობითი ინფილტრაციის გზით ხდებოდა. საქართველოში შემოსახლების ფორმებზე საინტერესო მინიშნებებს ვხვდებით სომხურ ხელნაწერთა ანდერძებში. ერთ მათგანში ვკითხულობთ: დაინტერა „სომხეთა ნელთალრიცხვის „პძა“ (1432) წ. არარატის გავარის უპატრონობისას, (იქაურების) ქართველთა ნათესავს შორის მსხემობისა... გაფანტვისას“¹¹¹. დაახლოებით იმავე ხანის სხვა ხელნაწერში კი აღნიშნულია: „ჩვენი ძმობის ნევრები გავიქეცით და გავიფანტეთ ქართველთა ქვეყანაში“¹¹². 6. მარის დაკვირვებით, სომხური მიგრაციის თავისებურებას სავაჭრო წრეების ინტერესები განაპირობებდა, რის გამოც უცხო ქვეყნებისაკენ დაძრული პირველი ნაკადები მიედინებოდა სავაჭრო კავშირთა მიმართულებითო, შემდეგ კი სომხური სავაჭრო ფენის მიერ ათვისებულ რაიონებში თანმიყოლებით სახლდებოდა მწარმოებელი საზოგადოებაცო¹¹³. საგულისხმოა, რომ შუა საუკუნეების საქართველოში სომხური მოსახლეობის განლაგების სურათი, რომელიც საისტორიო წყაროების მონაცემებით იხსტება, თითქმის, სრულად ემთხვევა სავაჭრო გზებსა და მათ შესაყარ ადგილებს. მაგრამ სომებ ვაჭართა მიერ გარემოს ათვისებასა და თავის გარშემო ეთნიკურ თანამოქმეთა შემოკრებას საკმაოდ ხანგრძლივი და მშვიდობიანი პერიოდი სჭირდება, რის გამოც დიდი კომპაქტური სომხური დასახლებების შექმნა, მით უმეტეს გამუდმებული მიანობის ვითარებაში, ძალზე ძნელი იყო. ესეც არ იყოს, ძირითადად სომხური სავაჭრო კაპიტალის ინტერესებით სტიმულირებული მიგრაციული პროცესები უმთავრესად დიდი და ძლიერი სახელმწიფოებისკენ იყო მიმართული, რომელთაც შუა საუკუნეების პირობებში ვაჭრის პიროვნებისა

¹⁰⁸ პ. მურადიანი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 41.

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ იქვე, გვ. 92.

¹¹¹ სომხურ ხელნაწერთა ანდერძის ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.) ა. აბდალაძის გამოცემა, თბილისი, 1978, გვ. 47.

¹¹² იქვე, გვ. 51.

¹¹³ 6. მარი, არკაუნი...გვ. 47; მისივე, კავკазский культурный мир и Армения, Петроград, 1915, с. 48.

და მისი ქონების დაცვის ბევრად უკეთესი შესაძლებლობანი გააჩნდათ. გასაგებია, რომ სამეფო-სამთავროებად დაშლილი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში, სადაც კომერციული საქმიანობის აღმავლობინათვის ასპარეზი შეზღუდული იყო, სომხური მოსახლეობის რაოდენობა ვერ იქნებოდა მაინცდამაინც დიდი. 1770 წ. ერეკლე II-ის მიერ რუსეთის რეზიდენტისათვის გაცემული დემოგრაფიული ცნობის მიხედვით, ქართლში 500 კომლი სომეხი ცხოვრობდა, რაც ქართველი მართლმადიდებელი მოსახლეობის 1/8 -ს უდრიდა, კახეთში კი – 450 კომლი სომეხი, რაც ადგილობრივი ქართული მოსახლეობის 1/16-ს შეეფერებოდა¹¹⁴. ამავე ცნობით, შედარებით მრავალრიცხოვანი ჩანს სომხური მოსახლეობა ქვემო ქართლში, მაგრამ აქ ის მაჰმადიანურ მოსახლეობას შორის არის დაფანტული. ასეთი თანაფარდობა თავისთვის სომხური კომპაქტური დასახლებების შესაქმნელად დიდად ხელშესაწყობი გარემო, რა თქმა უნდა, არ იყო. ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის პირობებში კი სომეხ ვაჭართა კომპაქტური დასახლებების შექმნა მაშინაც კი, როცა ამით ქართველი ხელისუფლებიც იყვნენ დაინტერესებულნი, რამდენადმე მნიშვნელოვანი ხნით მაინც შეუძლებელი ხდებოდა. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ცნობილი „მეფის ქალაქის“ ისტორია. 1632-1636 წელს თემის პირას სომეხ ვაჭართათვის გაშენებული ქალაქი სულ მალე გამოდის მეფის ხელისუფლების დაქვემდებარებიდან და ქართლის თავადების — თარხნიშვილების სამფლობელოდ იქცევა, სახელსაც იცვლის და „მეფის ქალაქის“ მაგიერ „ქართლის ახალქალაქის“ სახელს იმკვიდრებს¹¹⁵. მეფის ვაჭრებიც გაიფანტნენ და, ჩანს, ამიტომაც სომხების ხსენებას „ქართლის ახალქალაქში“ წაკლებად ვხვდებით. იგივე ბედი ენია ერეკლე II-ის ცდას, ქართლ-კახეთის სოფლებსა და ქალაქებში დაემაგრებინა მის მიერ ჩამოსახლებული რვა სომხური სოფლის მოსახლეობა. დიდი ნაწილი უკან, სომხეთში გაპრუნდა, რაც დარჩა ისიც მცირე ჯგუფებად გაიფანტა ყარაიას, ლილოს, თბილისა და თელავში. ფეოდალური კარჩაკეტილობის ვითარებაში არაქართული მოსახლეობის გარედან მოსვლა შეზღუდული მასშტაბებით მიმდინარეობდა, რის შედეგადაც XIX ს. დამდეგს საქართველოს თითქმის ყველა პროვინციაში აპორიგენული მოსახლეობა დიდად ჭარბობდა, ქართველების ხვედრითი წონა 4/5-ს უახლოვდებოდა. ამავე მიზეზით XIX ს-მდე სომხების ჩამოსახლება ხდებოდა მცირე ჯგუ-

¹¹⁴ ქართლ-კახეთის მოსახლეობა 1770 წ., ქართული სამართლის ქეგლები, II, გვ. 420-421.

¹¹⁵ გ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბილისი, 1983, გვ. 190.

ფებით¹¹⁶. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოში სომხური მოსახლეობის ოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 6% მხოლოდ 1800 წელზე მოდის¹¹⁷.

თბილისის სომხური ეპიგრაფიკის ძეგლების კვლევისას მკითხველზე სასურველი შთაბეჭდილების მოსახლენად პ. მურადიანი რამდენჯერმე ეხება ქალაქის ეთნიკურ სტრუქტურას და კომენტარის გარეშე მოჰყავს ტურნეფორმის ერთობ საეჭვო ცნობა 1701 წ. თბილისის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე, რომლის მიხედვითაც ქართველთა დედაქალაქის 20 ათასი მცხოვრებიდან 14 ათასი ყოფილა სომხით, 3000 მაჟმადიანი, 2000 ქართველი და 500 კათოლიკე და ეს უკანასკნელიც მოქცეული სომხები ყოფილა¹¹⁸. საქმე ისაა, რომ ტურნეფორმის არც წინამორბედ და არც მისი შემდგომი ხანის ავტორებს შუა საუკუნეების თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ამგვარ რიცხობრივ თანაფარდობას რამდენადმე მაინც მიახლოებული სურათი საერთოდ არ მოეცოვებათ, ამიტომ მოყვანილი ციფრების ნამდვილობა, ბუნებრივია, ყოველთვის სერიოზულ ეჭვს აღძრავდა ქართველ ისტორიკოსთა შორის. უნდობლობა ამ ცნობების მიმართ ჩვენც გამოვთქვით ამ ათიოდე წლის წინ¹¹⁹. ფრანგი მოგზაური, ბუნებისმეტყველი უოზეფ პიტონ დე ტურნეფორმი ჩვენ ქვეყანაში მოგზაურობისას მეცნიერ ბოტანიკოსის ინტერესებით (მცენარეების შეგროვებით) უფრო იყო დაკავებული, ვიდრე ისტორიული ხასიათის ცნობების შეკრებით, რის გამოც მისი თხზულება კიდევ უფრო მეტად იყო დამძიმებული იმ დროს ევროპული ინფორმაციისათვის დამახასიათებელი ისეთი საერთო ნაკლოვანებებით, როგორიც ფატების დამახინჯება და სუბიექტურ განწყობათა განზოგადება იყო. ამასთან, ხუთი დღე, რაც მან ჩვენ დედაქალაქში დაჲყო, მეტად მცირე დრო იყო ავთენტური ცნობების შესაგროვებლად, რამდენადაც სტატისტიკური მასალის მოსაპოვებელი წყარო მის დროს თბილისში რეალურად არც არსებობდა. მისი წასვლიდან მხოლოდ 20 წლის შემდეგ, 1721 წ. ვახანგ VI-ის ბრძანებით განხორციელდა თბილისის მოსახლეობის აღწერა. სრული სახით აღწერის მასალები მოღწეული

¹¹⁶ 3. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX სს-ში, თბილისი, 1984, გვ. 210, 227 და სხვ.

¹¹⁷ იქვე, გვ. 79.

¹¹⁸ ქ. მ. მურაძი, არმანია ეპიგრაფიკა საქართველო, ერევან, 1988, გვ. 29.

¹¹⁹ ის. „ლიტერატურული საქართველო“, 12.X.1990, გვ. 13-14.

არაა, მაგრამ რაც შემოგვრჩა თბილისის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე შედარებით რეალურ წარმოდგენას მაინც გვიქმნის. ამ მასალაზე ჩვენი დაკვირვებით, XVIII ს. პირველი მეოთხედისათვის სომხური მოსახლეობა თბილისში ქალაქის საერთო რაოდენობის ერთი მესამედი უნდა ყოფილიყო, რაც ამ მოსახლეობისათვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია საქართველოს სხვა დანარჩენ რეგიონებთან შედარებით.

ეთნიკური შემადგენლობის ჩვენს მიერ ნავარაუდევი თანაფარდობა დასტურდება, აგრეთვე, საისტორიო საბუთების მონაცემებით და ვახუშტისა და მისი მომდევნო ავტორების მიერ შედგენილი თბილისის რუკებით¹²⁰. ამათ მიხედვით თბილისის ყველაზე ვრცელი და ცენტრალური ნაწილი – კალა, განსაკუთრებით მისი ზემო უბანი, მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. აქ იყო განლაგებული მეფისა და კათალიკოსის, ბატონიშვილებისა და მსხვილი საერო და სასულიერო ფეოდალების სასახლეები, სამეფო დაწესებულებები. ქალაქის ეს ნაწილი არა მარტი ყველაზე ვრცელი, არამედ უფრო მჭიდროდ დასახლებული ადგილიც იყო, რადგან სხენებულ სასახლეებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სახლობდა მათ პატრონთა შინა და გარე მოსამასახურეთა რაგის შესაფერისად, მრავალრიცხოვანი ჯვეულები, სამეფო ამალა, დაცვა და სხვა. დიდი ჯალაბით გამოირჩეოდნენ თბილისში მცხოვრები მუხრანბატონები, ამილახორები, ორბელიანები, ზედგინიძეები, ციციშვილები, აბაშიძეები და სხვები. თბილისში ქართველ დიდ-გვაროვანთა სიმრავლეს აღნიშნავდა შარდენიც¹²¹.

ქვემო უბანში, ჩანს, ქართველებს სომხები სჭარბობდნენ. 1721 წ. მოსახლეობის აღწერის მონაცილე ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავდა: „ციხის გარეთ უფროს სომხენი და მცირედ ქართველნი სახლობენ“, მაგრამ რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, მეცნიერ ბატონიშვილის მოწმობით, ეს სომხები „ქცევა-ზნის“ გაქართველებულები ყოფილან¹²². თბილისში ქართველთა ჭარბი გარემოცვის გარეშე „ქცევა-ზნის“ შეცვლა, გასაგებია, რომ შეუძლებელი იქნებოდა. არც თბილისის მიდამოების სოფლებში ჩანს სომხური უმრავლესობა, როგორც ამას ზოგჯერ სომხური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები ამტკიცებენ. თბილისის

მიდამოების 22 სოფლის 1781 წ. ხალხის აღწერის დავთრის¹²³ მიხედვით 840 კომლიდან მხოლოდ 222 კომლი სომხური წარმოშობის პირი დავითვალეთ, რაც მთელი მოსახლეობის 1/4-ზე ცოტა მეტია. ეს და სხვა გამოანგარიშებანი, რა თქმა უნდა, მიახლოებითია და სავარაუდო, რადგანაც ხალხის აღწერის ქართულ დავთრებში მოსახლეობა ეთნიკური და კონფესიური ნიშნით არ არის გამიჯნული. ამას გარდა, ქართული და სომხური მოსახლეობის გარჩევა ამ დავთრებში მოცემული სახელებისა და გვარების მიხედვითაც ხშირად ჭირს იმიტომაც, რომ ქართველთა შორის გავრცელებულ სახელებს ზოგჯერ სომხებიც ატარებდნენ და პირიქითაც, სომეხთა შორის გავრცელებულ სახელებს – ქართველები. შემდეგ კი ამ სახელებიდან ნაწილობრივ გვარები, თავის მხრივ, კიდევ უფრო აბუნდოვობდნენ კონკრეტული პირის ეთნიკურ წარმომავლობას.

როგორც ჩანს, არსებული სინამდვილე არ ითხოვდა ქართული და სომხური მოსახლეობის ერთმანეთისაგან გამიჯვნას, რის გამოც ხალხის აღწერის დავთრებში ისინი ერთი სიითა და ერთმანეთთან შერეულად არიან წარმოდგენილნი. ძირითადი ქართული მოსახლეობის მასასთან ამგვარი შერწყმა-შეეკვირება, ეჭვი არაა, მხოლოდ სომეხთა შედარებითი რიცხობრივი სიმცირისა და ორივე მოსახლეობის უფლებრივი თანასწორობის პირობებში შეიძლებოდა მომხდარიყო. ეს კი ნიადაგს აცლის პ. მურადიანის სესენებულ თვალსაზრისს სომხური თემების განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსზე, რის საფუძველზე, თითქოს, XVIII ს. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში სომეხთა მიმართ გამოიყენებოდა მხოლოდ სომხური სამართლის ნორმები.

საქმე ისაა, რომ სომხური თემების სამართლებრივ სტატუსზე მსჯელობისას პ. მურადიანი ნახევარსიმართლითა და მისთვის ჩეეული არაპირდაპირი მინაშენებებითა და სინამდვილის გამრუდების გზით ცდილობს მკითხველის დარწმუნებას არარსებულში¹²⁴. ბ-ნი პარუირის მიერ სესენებული ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულში შესული „სომხური სამართალი“ ანუ მხითარ გოშას კანონმდებლობის ნორმები, სხვა უცხო კანონმდებლობათა (მოსეს სამართალი, ბერძნული სამართალი, სირიულ-რომაული სამართლის წიგნი და სხვ.) ნორმების მსგავსად დამხმარე მნიშვნელობისა იყო და მხოლოდ იმ შემთხვევებში გამოიყენებოდა, როცა

¹²⁰ პ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII ს-ში, თბილისი, 1965.

¹²¹ შარდენის მოგზაურობა, მ. მგალობლიშვილის თარგმანი, თბ., 1975, გვ. 325.

¹²² ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973, გვ. 338.

¹²³ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 157-182.

¹²⁴ პ. მურადიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 118.

ესა თუ ის ნორმა გათვალისწინებული არ იყო ეროვნული კანონმდებლობის ძეგლებში¹²⁵. როგორც ო. დოლიძე შენიშნავს, სასამართლო განჩინებებში „სომხური სამართლის“ კანონთა მუხლების დამოწმება თითქმის არ გვხვდება¹²⁶. პ. მურადიანის მიერ მოყვანილი მამულის გაყიდვის მაგალითის გამო კი განმარტავს: ამ ერთადერთ შემთხვევაშიც კი სასამართლო შხითარ გოშის სამართლის წიგნის 367-ე მუხლზე მიუთითებს როგორც ვახტანგის სამართლის 161-ე და 167-ე მუხლებთან შესადარებელ მასალას. საქმე კი წყდება ვახტანგის „სამართლის წიგნის ძალით“¹²⁷. შუა საუკუნეების საქართველოში ურთიერთობანი მოსულსა და დამხვდურს შორის, რომ ქართული ბატონიშვილი სამართლის საფუძველზე წყდებოდა, ამას ლტოლვილი სომხური მოსახლეობაც აღნიშნავდა. ამ მხრივ ტიპურია ერთი მათგანის მიერ ქართველი თავადის სახელზე დაწერილი საბუთი, სადაც ვეითხულობთ: „...ჩემი თავი ჩემის შვილებით ხეჩატურათი და ავეტიქათი თქვენ მოგყიდე, როგორც საქართველოს ბატონიშვილის რიგია დღეს და დღეის იქით ისე უნდა გემისახუროთ“¹²⁸. ცხადია, „ქართული ბატონიშვილის რიგი“ და „ქართული სამართალი“ იყო ქვეყნის მოსახლეთა შორის ნებისმიერი ურთიერთობის მომნესრიგებელი. ამიტომ არც საქართველოს სომხურ მოსახლეობას, რომელიც საზოგადოების სრულუფლებიან ნაწილად ითვლებოდა და ქვეყნის ხელისუფალთაგან ზოგჯერ განსაკუთრებული შემწყნარებლობითაც სარგებლობდა, არ გააჩნდა საფუძველი განცალკევებული, მით უმეტეს, საკუთარი კანონებით მართული თემების შესაქმნელად და ისიც ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში, როგორც ეს ბ-ნ პ. მურადიანს წარმოუდგენია. ქვეყნის საზღვრისპირა რაიონებში, განსაზღვრულ დროსა და პირობებში სომხური თემების ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი შერწყმა საერთო ქართულ კულტურულ პროცესთან მაინც გარდაუვალი ხდებოდა. მაგალითად შეიძლება გამოდგეს ცურტავის სომხური მოსახლეობის თავგადასავალი, რომელიც კერ კიდევ VII ს. დამდეგს იქ საკუთარ სოფლებად და თემებად ცხოვრობდა. შემდეგ კი

ქართულ კულტურულ სამყაროსთან თანდათანობითი შერწყმის შედეგად, იმავე მოსახლეობისათვის X ს. უკვე სომხეთი გახდა უცხო ქვეყანა¹²⁹.

საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიასთანაა განსაზღვრულწილად დაკავშირებული ქართული მოსახლეობის ერთი შედარებით მცირე, განსაკუთრებით ვაჭრობა-ხელოსნობაში ჩაბმული ნაწილის მიერ სომხური სარწმუნოების მიღება და ე. წ. „ქართველ გრიგორიანთა“ ეთ-ნოკულტურული ერთობის ჩამოყალიბება. ამგვარი ერთობის არსებობის შესაძლებლობა, არათუ გვიანი შუა საუკუნეების, არამედ XIX ს. საქართველოშიც პ. მურადიანს დაუშვებლად მიაჩნია და ნამეტანი გაღიზიანებით სვდება ამ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში მსჯელობას. მისი განცხადებით „ქართველ გრიგორიანთა“ ცნება გამოგონილი იყო XX ს. დასაწყისში ქართული ბურჟუაზიული საზოგადოების გარკვეულ განწყობილებათა ზეგავლენით და ამ საქმის მთავარ „დამნაშავედ“ ზაქარია ჭიჭინაძე გამოყავს¹³⁰. „ზ. ჭიჭინაძის თვალსაზრისის განვითარების ცდის“ გამო მკვეთრ გაღიზიანებას გამოხატავს ჩვენს მიმართაც, რაც შემდგომშიც არაერთხელ გაიმეორა სომხეთში გამომავალ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში (« ქართული ეპიგრაფიკა და სხვ.» დაბეჭდილ წერილებში).

მარტო ის ფაქტი, რომ XIX ს. დასაწულისა და XX ს. დასაწყისის ქართული და სომხური პერიოდული გამოცემების ფურცლებზე მწვავე დებატები იმართებოდა ხსენებულ საკითხზე პუბლიცისტებსა და მეცნიერთა შორისაც, მას უკვე „გამოგონილს“ ველარ უწოდებ. რაც შეეხება ზ. ჭიჭინაძეს, იგი თვით იყო „ქართველ გრიგორიანთა“ საზოგადოების არსებობის უშუალო მონმე და აღმმერი. თავის წიგნში სათითაოდ ჩამოთვლის მისი თანამედროვე „გრიგორიანი ქართველების“ 105 გვარს, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე გვარის ეთნიკური კუთვნილება თუ შეიძლება იყოს სადაც, თორემ დანარჩენის ქართველობა იოტის იდენს ეჭვსაც არ ბადებს. მაგალითად, ავალიშვილი, ბარათაშვილი, ბაქრაძე, გიორგაძე, მაჩაბელი, მუჩაიძე, ლომიძე და¹³¹ სხვა მრავალი, რომელთა ზოგი წარმომადგენელი სხვადასხვა მიზეზისა და გარემოებათა გამო

¹²⁵ სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და სა-ძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, 1981, გვ. 61.

¹²⁶ იქვე, გვ. 59.

¹²⁷ იქვე, გვ. 60.

¹²⁸ სსა, 229, დავთარი №6, საბუთი 83.

¹²⁹ იბ. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომებთაგან, ზაზა ალექსიძის თარგმანითა და გამოკვლევით, გვ. 6.

¹³⁰ იბ. მისი არმანიან ეპიგრაფიკა სამოსახლეობების გვ. 90, შენ. 29.

¹³¹ ზ. ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანები, თბილისი, 1906, გვ. 103-113 და სხვ.

სომხურ სარწმუნოებას მიჰყედლებია. ბევრ მათგანთან ზ. ჭიჭინაძეს პირადი ნაცნობობა და მეგობრობა აკავშირებდა, რაც საშუალებას აძლევდა უკეთ შეესწავლა მათი უცხო სარწმუნოებაში გადასვლის ისტორია, რის შესახებაც მის წიგნში კონკრეტულ მითითებებსაც ვხვდებით. ასე რომ, ზ. ჭიჭინაძე თვით არის ერთ-ერთი პირველწყარო „გრიგორიან ქართველთა“ ისტორიის შესასწავლად და პრეტენზიები მის მიმართ ამ საკითხის გამო, ვფიქრობ, გაუმართლებელია.

პ. მურადიანის ხსენებული წიგნის სხვა გვერდზე კი, როცა მის ავტორს ისტორიული საბუთების ქართული ფორმის გვარების მქონე პერსონაჟებში ეთნიკური სომხების შეცნობა დასჭირდა, ქართველთა მიერ სომხურ სარწმუნოებაში გადასვლის შემთხვევებს გამოგონებულს აღარ უწოდებს და ავიტაბილეს ცნობებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ იყო შემთხვევები, როცა სომხები მონოფიზიტები ქალკედონიზმის წიაღში გადადიოდნენ, ხოლო ქართველები სომხები ხდებოდნენ (ე. ი. მონოფიზიტები). ამიტომ ეთნიკური შემადგენლობის საკითხი რთულია და სიფრთხილეს საჭიროებს¹³². სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატში კი ხაზგასმით აცხადებს: ჩვენ უარვყოფთ ჯერ კიდევ არსებულ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ქართლისა და კახეთის ამჟამინდელი ქართულენოვანი სომხური მოსახლეობა „სომხური“ გახდა „გრიგორიანობისადმი“ მიმხრობის გამო. ჩვენ სულაც არ გამოვრიცხავთ ქართველთა არმენიზაციისა და სომხეთა ქართველიზაციის ცალკეულ შემთხვევებს, მაგრამ ეს პროცესი არ იყო მუდმივ მოქმედი ფაქტორი¹³³.

როგორც ვხედავთ, ეთნიკური და კონფესიური გაუცხოების თემას პ. მურადიანი ცალმხრივად, მისთვის საჭირო კუთხით განიხილავს და მისადმი დამოიდებულებას იცვლის იმისდამიხედვით, თუ როგორ უჯობს. ამასთან შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, როცა ამტკიცებს, თითქოს, ჩვენ უარვყოფდეთ შუა საუკუნეებისა და შემდგომი ხანის საქართველოში სომხებ ლტოლვილთა არსებობის ფაქტს. პირიქით, პ. მურადიანი ცდილობს სომხური სარწმუნოების მქონე ქართველების სომხური ეთნოსისადმი მითვლას და ამ გზით ისედაც მრავალრიცხოვანი სომხური მოსახლეობის უფრო მეტად გაზრდას ქართული მოსახლეობის შემცირების ხარჯზე. ასეთი დამოკიდებულების თვალნათელი მაგალითია, აგრეთვე, სომხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური

ყოველევირეული რესულენოვანი გაზეთის „ეპოხა“-ს 1990 წ. მე-8 ნომერში რუბრიკით „პოლიტიკა“ გამოქვეყნებული პ. მურადიანის წერილი ერთობ ემოციური სათაურით „ქართველი გრიგორიანები“ – მითი თუ რეალობა? ასე, ხან „გამოგონებული ცნება, ხან „კონცეფცია“, ხან კი „მითი“. ეს უკანასკნელი ეპითეტი ძლიერი გაღიზიანების შედეგია, რაც გამოწვეული იყო იმ ხანებში სომხური სარწმუნოების მქონე ქართველთა ათეული ათასობით თანამედროვე შთამომავალთა მიერ, თითქმის მთელი საუკუნის შემდეგ, საკუთარი გვარისა და ეროვნების ოფიციალურად (იურიდიულად) დაპრუნებით, რითაც თავისთავად დაიმსხვრა „ქართველ გრიგორიანთა“ ეთნოკულტურული კატეგორიის უარყოფის პ. მურადიანისეული მითი. ხსენებულ წერილზე ჩვენი პასუხი სათაურით „ვინ არღვევს კეთილმეზობლობის ტრადიციებს?“ დაიბეჭდა „ლიტერატურული საქართველოს“ 1992 წლის 22 მაისის ნომერში. ამავე საკითხზე მსჯელობა გავშალეთ და პ. მურადიანის მტკიცებულებათა საწინააღმდეგო დამატებითი კონტრარგუმენტები მოვიყვანეთ ჩვენს წიგნში „საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.)“, თბილისი, 1999, გვ. 185-194. საილუსტრაციოდ პ. მურადიანის მიერ მოხმობილი არგუმენტების საწინააღმდეგო რამდენიმე კონტრარგუმენტს აქაც მოვიყვანთ. დავიწყოთ პ. მურადიანის არაერთგზისი განცხადებით, თითქოს, მხოლოდ მისიონერ ავიტაბილეს წერილის ერთ პასუშია ნახსენები ქართველთა არმენიზაციის ფაქტი, რაც ცალკეულ შემთხვევათა რიგს უნდა მოეკუთვნოს. ბ-ნი პარუირი ამჟერადაც მისთვის სასურველ განმარტებას მოყვანილი შინაარსის მცირე გამრავდებით აღნევს. ავიტაბილეს წერილში მოყვანილია XVII ს. პირველი ნახევრის ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის სიტყვები, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება ამ მოვლენის გაფართოების გამო. ავიტაბილეს მიხედვით ნ. ჩოლოყაშვილს უთქვამს: „ყოველი დღე ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხებიან...“¹³⁴, რაც მურადიანისაგან სრულიად განსხვავებულ დასკვნას ითხოვდა. ამგვარი ცნობები კი საკმაოდ მრავლად იძებნება იტალიელ მისიონერთა მოხსენებებში. იმავე ხანებში პატრი ამბროზიო თავის ხელმძღვანელობას რომში მოახსენებდა: „ჩვენი მონაზონები ამ ქრისტიანებში დიდის სიკეთის ქმნას შეიძლებენ რამდენისამე სოფლის ყიდ-

¹³² პ. მურადიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 125.

¹³³ პ. მურადიანის ხსენებული დისერტაციის ავტორეფერატი, გვ. 10.

¹³⁴ დონ პიედრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე, თბილისი, 1977, გვ. 66.

ვით, როგორც შევრებიან სომხები. თუმცა ქართველებს დიდი სიმძულვარე აქვთ სომხების სარწმუნოების მხრივ, გარდა, როდესაც მათი ყმები ხდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზე¹³⁵. აქაც ცალკეულ შემთხვევებზე კი არა, მთელ სოფლებზეა საუბარი. „გრიგორიან ქართველთა“ საზოგადოების დამადასტურებელი საბუთები თვით პ. მურადიანის მიერ გამოქვეყნებულ „ძეგლებშიც“ საკმაოდ მოიპოვება, რომელთაგან მხოლოდ ერთ ნიშანდობლივ წარწერას მოვიყვანთ: „ჩყლო (1839) წელს აღვაშენეთ ეკლესია ესე წმინდა გიორგისა ჩვენ ზერტში მცხოვრებელთ ერთობით ქართველთა და სომხთა სასაფლაოდ ჩვენის მუსაკობითა, შემწეობითა...“¹³⁶. ამ წარწერის კომენტარში პ. მურადიანი განმარტავს, თითქოს, ხანგრძლივმა თანაცხოვრებამ ამ სოფლის ქართველთა და სომხთა შორის არა მარტო ეთნიკური, არამედ კონფესიური საზღვრებიც წაშალაო. ასეთი ახსნა დამაჯერებლობას, რა თქმა უნდა, მოკლებულია. ვინც კი შუა საუკუნეების, თუნდაც გვიანი ხანის, საზოგადოების ბუნებას იცნობს, მან კარგად იცის (მათ შორის პ. მურადიანმაც), რომ კონფესიურად განსხვავებული საზოგადოების წარმომადგენლები არათუ ერთმანეთის სასაფლაოზე მიცვალებულს არ დაასაფლავებდნენ, არამედ ეკლესიაშიც არ შევიდოდნენ. წარწერის ტექსტში ხსენებული ეკლესია ერთობლივ მაშენებელი ქართველებიცა და სომხებიც, რა თქმა უნდა, ერთი სარწმუნოებისანი იყვნენ, სხვაგვარად მათი თანამშრომლობა, მით უფრო სასაფლაოს ეკლესიის მშენებლობაში, შეუძლებელი იქნებოდა. ამის აღიარება კი პ. მურადიანის თვალსაზრისს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომაც, ჩანს, ტექსტის ახსნის იმ დროისათვის გარეგნულად მომგებიან ვარიანტს მიმართა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ XIX ს., რომელსაც ეს წარწერა ეკუთვნის, ყველაზე შეუფერებელი დროა ეთნიკური და კონფესიური საზღვრების წაშლის შესაძლებლობის სამტკიცებლად. ის უფრო კონფესიურ ურთიერთობათა გამწვავების ხანადაა ცნობილი. საქართველოს რუსული ადმინისტრაცია ქართველთა და სომხთა გათიშვისა და დაპირისპირებისათვის იღვნოდა. ამ პოლიტიკური ამოცანის შესაბამისად ქართველთა სომხურ სარწმუნოებაში გადასვლას არა მარტო ახალისებდა, არამედ ზოგჯერ აიძულებდა კიდეც. ეს და მსგავსი ლონისძიებები რუსული კოლო-

ნიალური პოლიტიკის არსენალში ერთ-ერთი ეფექტური საშუალება იყო ქართული ეთნიკური კოლექტივის დასასუსტებლად.

ამდენად, ბ-ნი პ. მურადიანის ცდებს, უარყოს ე. ნ. „ქართველ გრიგორიანთა“ ეთნოკულტურული კატეგორიის არსებობა გვიანი შუა საუკუნეებისა და განსაკუთრებით XIX ს. საქართველოს საზოგადოებაში, რამდენადმე სერიოზული საფუძველი არ გააჩნია და ასეთ მტკიცებულებებს მხოლოდ მეცნიერული ინტერესების მიღმა მოტივები თუ შეიძლება რომ ასულდგმულებდეს.

შუა საუკუნეების საქართველოში სომხური მოსახლეობის განსაკუთრებული სიჭარბისა და სიძველის შთაბეჭდილების შესაქმნელად, აღნიშნულს გარდა, ბ-ნი პ. მურადიანი ცალკეული ქართული გვარების წარმომავლობაში ეჭვის შეტანასა და სომხურთან დაკავშირებას ცდილობს, რისთვისაც მეცნიერული საბუთიანობის ნაცვლად ზოგადი და არაპირდაპირი მინიშნებებით კმაყოფილდება, რაც, ეჭვი არაა, საქმეში ჩაუხდავი მკითხველის ფისიკაზე ზეგავლენის მოსახლენადაა მხოლოდ გათვლილი. ამ მხრივ ტიპურია ცნობილი ქართული ფეოდალური საგვარეულოს – მუსხელიშვილთა გასომხურების პ. მურადიანისეული ხერხი. სოფ ბრეძის გრიგოლ განმანათლებლის მონასტრისათვის გათვალისწინებული ხელნაწერი სახარების (1469) თავგადასავალზე საუბრისას, მკითხველს მოულოდნებად სქელიშვილი ჩატანილ ასეთ ცნობას აწვდის: სოფ. ბრეძის მცხოვრებლები ამჟამად სომხურს უწოდებენ წმ. გიორგის ეკლესის, სადაც დაკრძალული არიან მუსხელიშვილს (მუსხელიშვილი) საგვარეულოს წარმომადგენლები. თუკი გამოვრიცხავთ, განაგრძობს პ. მურადიანი, კიდევ ერთი სომხური სავანის არსებობის შესაძლებლობას, მაშინ უნდა დაგისკვნათ, რომ დროთა განმავლობაში ბრეძის სომხების გაქართველების პროცესში, წმ. გრიგოლი გააზრებული იყო (მეცვლილი?) როგორც წმ. გიორგი, ქართულ წრეებში ამ უკანასკნელის კულტის განსაკუთრებული პოპულარობის გამო¹³⁷.

ბ-ნი პ. მურადიანის აქ წარმოდგენილ მსჯელობაში, თითქმის, ყველა სიტყვა ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ჯერ ერთი, მის მიერ მოყვანილ ანდერძმინაწერში, სადაც ხსენებულ სახარებაზეა საუბარი, საერთოდ არა ნახსენები სოფ. ბრეძა. ხელნაწერის დამწერი ბარსელი პოლიტიკური მოვლენების გადმოცემასთან ერთად აღნიშნავს, რომ დაზიანებული სახარება 1584 წ. გაანახლა და სომხთა არქიეპისკოპოს ხაჩატურის თხოვ-

¹³⁵ პ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის XIII-XIX სას., ტფილისი, 1902, გვ. 236.

¹³⁶ პ. მურადიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 62.

¹³⁷ პ. მურადიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 53.

ნით მასვე გორში დაუბრუნა, ამ უკანასკნელმა კი თავის ძმისშვილს დიაკვან კირაკოსს სოფ. ყანდაში გაუგზავნა. თუკი ეს ხელნაწერი სახ-არება, პ. მურადიანის თქმით, ბრეძის წმ. გიორგის ეკლესიისათვის იყო გათვალისწინებული, მაშინ მისამართის შეცვლის მიზეზი ბარსელს მაინც უნდა აღენიშნა, მით უმეტეს, რომ სახარების თავგადასავალთან დაკავ-შირებულ ყოველ დეტალს სკრუპულოზურად აღწერს. ამ გაუგებრობის ახსნის სხვა ვარიანტს ვერც პ. მურადიანი გვთავაზობს. ცხადია, წმ. გრიგოლის ეკლესია სოფ. ბრეძაში არ ყოფილა და, ბუნებრივია, ამიტომ ვერც განახლებული სომხური სახარება გაიგზავნებოდა იქ. სოფ. ბრეძის ეკლესიასთან დაკავშირებული ყველა ეს ვარიაციები, ჩანს, პ. მურადი-ანს იმისთვის დასტირდა, რომ წმ. გიორგის ქართული ეკლესია სომხ-ურად გამოცხადებინა და ამით იქ დასაფლავებული ცნობილი ქართუ-ლი ფეოდალური საგვარეულოს – მუსხელიშვილების ქართველობაზე მკითხველში ეჭვი აღეძრა. რაც შეეხება წმ. გრიგოლის გიორგიდ გააზრებას, თუ გარდასახვას, ეს არათუ ვარაუდების, არამედ ფანტაზის სფეროს შეიძლება, ალბათ, მივაკუთვნოთ. მეტ-ნაკლებად მსგავსი მეთოდებით მანიპულირებს ქართული გვარების სომხური ეთნოსისადმი მითვლის სხვა შემთხვევებშიც. მეტადრე მაშინ, როცა საქმე ეხება ორენვან ქართულ-სომხურ ნარწერებში მოხსენიებული გვარების ნარმომავლობის გარკვევას. ასეთ შემთხვევაში პ. მურადიანი ყოველთვის სომხური ტექსტით ხელმძღვანელობს, სადაც ქართული სახელები (და არა მარტო ქართული) ჩვეულებრივ სომხური ფორმით გადმოიცემა. მაგალითად, ბიჭიაშვილი – ბიჭიანცად, ღარღაძე – ღარღაძეანცად, ბაგრატიონები – ბაგრატუნებად, ბატონიშვილი სომხურში გაერცელებულ პარონად და ა. შ. ამიტომაცა, რომ მისთვის მხოლოდ ქართულენვანი სომხები არსებობენ და არასდროს სომხური სარწმუნოების ნიაღში ნებით თუ უნებლივდ მოხვედრილი ქართველები¹³⁸.

ქართლის ცენტრალურ რაიონებში სომხური მოსახლეობის სიჭარბისა და სიძველის შთაბეჭდილების გასაძლიერებლად იგი, ამასთანავე, ცდილობს ეს რეგიონი ძველთაგანვე სომხური კულტურის გავრცელების სივრცედ ნარმოგვიდგინოს, რისთვისაც ცალკეული კულტურული ფაქტის, მისთვის ჩვეული მეთოდებით, გამრუდებულ ახსნასაც არ ერიდება. მაგალითად, „წმ. ნინოს ცხოვრების“ მისთვის საჭირო ერთი სიუჟეტის გადმოცემისას ეყრდნობა მაინცდამაინც ლეონტი მროველის იმ ვარიანტს,

რომელიც „წინოს ცხოვრების“ არც ერთ ძირითად რედაქციაში არ მოიპოვება. საქმე ეხება ჯავახეთში ფარავნის ტბასთან წმ. ნინოს შეხვედრას მცხეთელ მწყემსებთან და მათთან საუბარს. ძირითად ა რედაქციაში ასეთ შეხვედრაზე საერთოდ არაფერია თქმული, მეორე ვ რედაქციაში კი აღნიშნული არ არის რომელ ენაზე შედგა მათ შორის საუბარი. ამ გარემოებაზე თვით მურადიანიც მიუთითებს. მხოლოდ ლეონტი მროველის თხზულებაშია ნათქვამი, რომ „წმიდა ნინო მეცნიერ იყო მცირედ ენასა სომხურსა, რამეთუ პირველ ესწავლა ნიაფორისგან, და პოვა მწყემსთა მათ შორის სომხურად მზრახველი და ჰეითხა მას, ვითარმედ „რომლისა სოფლისანი ხართ?“ ხოლო მან მიუგო და რქუა, ვითარმედ: „დაბით ელარბინით და საფურცლით, და ქინძარელნი, რა-ბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი“¹³⁹. რამდენადაც ეს უკანასკნე-ლი ცნობა „მოქცევა□“-ის არც ერთ ძირითად რედაქციას არ მოეპოვება, ობიექტური მკვლევრის მოვალეობას შეადგენდა, ალბათ, გაერკვია ლე-ონტის თხზულებაში მისი მოხვედრის მიზეზები. ამის მაგიერ საკუთარი ვერსია პ. მურადიანმა თაგს მოახვია XI ს. ავტორს და განაცხადა, რომ „წინოს ცხოვრების“ საერთო კონტექსტიდან გამომდინარე, ლეონტი მროველის ლოგიკური დასკვნით უცხო ხალხის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დამყარება ნინოს შეეძლო მხოლოდ სომხურ ენაზე, ე. ი. წმ. ნინოსთვისაც და მცხეთისა და მისი შემოგარენის მცხოვრებლი-სთვისაც უცხოელებთან საკონტაქტო ენა მხოლოდ სომხური იყო. როგორც არ უნდა ყოფილიყო, განაგრძობს პ. მურადიანი, XI ს. ის-ტორიკოსი ვერაფერს ხედავს უცნაურს იმაში, რომ მცხეთისა თუ მისი მიმდებარე სოფლების მცხოვრებს „ცოტათი“ მაინც შეძლებოდა სომხ-ურის ცოდნა და ჩამოთვლის მთელ რიგ გარემოებებს, რომელთაც უნდა განეპირობებინათ ქართველთა მიერ სომხურის „ცოტათი“ ცოდნა. სომხ-ურის ცოდნის განმაპირობებელ გარემოებათა შორის მნიშვნელოვნად მი-აჩნია: სომხურიდან უძველესი ქართული თარგმანების (ძირითადად ბიბ-ლიური წიგნების) მნიშვნელოვანი რაოდენობა, კორიუნის თხრობა ქართუ-ლი ანბანის შექმნაზე და ჯალას მთარგმნელობითი მოღვაწეობა, მეზობელ გუგარეში ორენოვანი ქართულ-სომხური ეპარქიის არსებობა და ბოლოს, სომხური ეკლესიის წარმომადგენლელთა მქადაგებლობითი მოღვაწეობა „ჩრდილოეთის ქვეყნებში“. ყველა ამ სადაცო და საეჭვო გარემოებათა ჩამოთვლას აგვირგვინებს ქართული ძეგლის „მოქცევა□ ქართლისა□“-ში

¹³⁸ პ. მურადიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 38, 46, 48 და სხვ.

¹³⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 85-86.

შემონახული „ზოგიერთი ცნობით“ საქართველოს სულიერ და ადმინისტრაციულ ცენტრში სომხეთა ყოფნაზე¹⁴⁰. რა თქმა უნდა, ბ-ნი პარუირი აქ სომხეთა უბრალო ყოფნას არ გულისხმობს. მას საუბარი აქვს ლეონტის მიერ „იობ სომხეთად“ წოდებულ ქართლის მთავარეპისკოპოსზე. მოყვანილი ფაქტის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, არც ამ გარემოებათა შესწავლა და, მით უფრო, ფაქტის ნამდვილობის გამორკვევა, როგორც ჩანს, მის ინტერესებში არ შედის. იგი კვლავ მისთვის ჩვეულ მინიშნებებს მიმართავს, რომლებმაც მკითხველს ქართლის ცენტრში სომხური გარემოს შესაძლებლობის შთაბეჭდილება უნდა შეუქმნას. იგი წერს: სამწუხაროდ, ჩვენ არაფერი შეგვიძლა ვთქვათ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც განაპირობეს იობის გამოჩენა ამ თანამდებობაზე, მით უფრო იმის შესახებ, ფლობდა თუ არა ის ქართულს, ანდა მისმა გარემომცველმა სამღვდელოებამ თუ იცოდა სომხური ენა, თუმცა დვთისმსახურება ჯერ ისევ ბერძნულ ან სირიულ ენებზე უნდა წარმართულიყო¹⁴¹. ერთი შეხედვით სავსებით შესაძლებელი და უნყინარი მსჯელობაა ბ-ნი პ. მურადიანის მიერ წარმოდგენილი, მაგრამ მის მრავალრიცხოვან და თანამიმდევრულ მინიშნებებს თუ ერთად მოვუყრით თავს, მივიღებთ ძველი ქართლის ცენტრში ეთნოკულტურული სიტუაციის ყოვლადშეუფერებელ და გამრუდებულ სურათს.

დავინცუოთ მცხეთელ მწყემსებთან წმ. ნინოს შეხვედრის ეპიზოდით და ვნახოთ, რამდენად საფუძვლიანია ამ ერთობ მნირი ცნობით განმაზოგადებელა დასკვნებს კეთება. წმ. ნინომ რომ სომხური იცოდა ცოტათი დვინელი მიაფორისგან ეს ლეონტისათვის უკვე ცნობილი იყო „მოქცევა□“-ის ავტორისაგან¹⁴², რის გამოც სომხეთის მეზობელ ჯავახეთში ნინოს კონტაქტი იქაურებთან, ბუნებრივია, შეიძლებოდა სომხურ ენაზეც წარმართულიყო, რამდენადაც სასაზღვრო ზოლში მეზობლები

¹⁴⁰ პ. მურადიანი, ხსენებული ნაშრომი, გვ. 15.

¹⁴¹ იქვე, გვ. 15.

¹⁴² დვინელ მიაფორთან ნინოს შეხვედრის მიზეზი ახსნილი აქვს პ. მურადიანისათვის ყველაზე სანდო ავტორს კ. კეკელიძეს, რომელიც ასე განმარტავს: წყაროს ავტორს იმიტომ მიუყვანია ნინო დვინელ მიაფორთან, რომ ამ უკანასკნელმა თავისი საკუთარი პირით აღიაროს უპირატესობა ქართლისა სხვა ქვეყნის წინშე, მას ქართლი ანუ „ჩრდილოთა მცხეთელთა“, როგორც სომხეთი მიაფორი ამბობს, დვთის განგებამ წილით არგუნა ისეთი დიდი სიწმინდე, როგორიცაა კვართი უფლისა. იხ. კორნელი კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, გვ. 78-79.

ერთმანეთის ენას რამდენადმე, ალბათ, მაინც ფლობდნენ. მაგრამ მწყემსები მცხეთელები იყვნენ და ამიტომ საჭირო გახდა მათ შორის სომხურის „მზრახველის“ მოძებნა, რაც კიდეც მოხერხდა. ცხადია, ასეთი შეზღუდული ინფორმაცია განზოგადების საშუალებას არ იძლევა და ერთი გამონაკლისი შემთხვევის მცხეთისა და მისი მიმდებარე სოფლების მოსახლეობაზე გავრცელება, ვფიქრობ, ყოვლად გაუმართლებელია.

ქართველთა შორის სომხური ენის ფართოდ გავრცელების თვალსაზრისის დასადასტურებლად პ. მურადიანის მიერ მოყვანილი კულტურული მნიშვნელობის ფაქტები მათი ავტორის სასარგებლობაც არ მეტყველებს. ბიბლიური წიგნების სომხურიდან თარგმნა თავისთავად დიდმნიშვნელოვანი კულტურული მოვლენაა, მაგრამ არაფრით არ არის სომხური ენის გავრცელების მანიშნებელი. სომხურ ბიბლიურ წიგნებს საქართველოში რომ მკითხველი ჰყოლოდა, მაშინ ხომ არც მათი თარგმნა იქნებოდა საჭირო? ნიშანდობლივია ისიც, რომ სომხებთან კულტურულ-ლიტერატურული კავშირი ცალმხრივი არასდროს ყოფილა. სომხებიც ისევე თარგმნიდნენ ქართულიდან, როგორც ქართველები სომხურიდან¹⁴³. არც მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ლეგენდა სძენს რამეს პ. მურადიანის იდეას, რადგანაც კარგადაა ცნობილი, რომ მესრობმა ქართული არ იცოდა, ენის უცოდინრად კი უცხო ანბანის შექმნა შეუძლებელია. რაც შეხება ცურტავის ორენოვანი ქართულ-სომხური ეპარქიის არსებობას V ს. ქვემო ქართლში და იქ მიმდინარე ეთნოკულტურულ პროცესებს, ყველაზე უკეთ ამაზე ამ მოსახლეობის თავგადასავალი გვიჩვენებს. რამდენიმე საუკუნეში, როგორც ითქვა, ეს მოსახლეობა უკვე სომხეთს მიიჩნევდა უცხო ქვეყნად. სომხური ეკლესიის წარმომადგენელთა მქადაგებლობით მოღვაწეობას კი ქვემო ქართლში აქა-იქ ძველთაგან შემორჩენილი სომხური მოსახლეობა თუ საჭიროებდა, თორემ იქაურ მცვიდრ ქართველობას არც ეკლესიები აკლდა (მარტო ბოლნისის სიონი რად ლირს) და არც მქადაგებლები. მაშ რაში დასჭირდა ბ-ნ პარუირს სომხე მქადაგებლებზე აქენტირება? როგორ უნდა განეხორციელებინათ მათ თავიანთი მისია ქართულ მოსახლეობაში, თუ ისინი, მოსალოდნებლია, არ ფლობდნენ ქართულს? ცხადია, პ. მურადიანის მიზანი სულ სხვაა. ეტყობა, სურს მკითხველში ალძრას ეჭვი და დააფიქროს – ხომ არ იყო ქართლის მოსახლეობა სომხური კულტურის მატარებელი. აშკარად, ამ ტენდენციითაა გააზრე-

¹⁴³ პ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 48.

ბული მის ხსენებულ წიგნში „იობ სომეხის“ თემაც. მას არ აინტერესებს მცხეთის საყდრის ტახტზე იობის გამოჩენის გარემოებანი, მაგრამ მის სომხობაში ეჭვი არ ეპარება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ინფორმაციას ავთენიტური წყაროები არ ფლობება¹⁴⁴. პ. მურადიანს მხოლოდ ენის პრობლემა ანუხებს: იცოდა თუ არა იობმა ქართული, ხოლო მისმა გარემომცველმა სამღვდელოებამ სომხური ენა. ძნელი არაა იმის მიხვედრა, თუ საითკენ მიანიშნებს მკვდევარი მკითხველს. თუ იობის გარემომცველი სამღვდელოება ფლობდა სომხურს, გამოდის რომ იობის გამო წირვაც ამ ენაზე უნდა ჩატარებულიყო, რაც გასაგებია, შესაბამისი ცოდნის მრევლსაც გულისხმობდა. ასეთი არაბუნებრივი შთაბეჭდილების შესასუსტებლად, ეტყობა, ისევ ნეიტრალურ პოზიციას არჩევს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ იობის დროს ლვთისმსახურება ისევ ბერძნულ და სირიულ ენებზე უნდა წარმართულიყო, როგორც იმშამად ეს სომხეთში ხდებოდა. სამწუხაროდ, მას მხედველობიდან გამორჩა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. მეზობლებისგან განსხვავებით, ლვთისმსახურება აღმოსავლეთ საქართველოში ყოველთვის ქართულ ენაზე წარმოებდა¹⁴⁵.

მსგავსი კულტურული გავლენის ძიებასთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, მცხეთის ჯვრის ტაძრის მიმართ ჯერ კიდევ ადრე, 1968 წ. გახმაურებული ენების განვითარება ხსენებულ მის წიგნში. თავის დროზე პ. მურადიანის ამ ძიებებმა აღიარებულ სპეციალისტთა მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა და არც ერთმა სერიოზულმა სპეციალისტმა მისი დასკვნები მცხეთის ჯვრის ტაძრის წარწერის დათარიღებისა და მისი ინტერპრეტაციის თაობაზე არ გაიზიარა. ხსებულ წიგნში პ. მურადიანი, ფაქტობრივად, იმეორებს ძეველ არგუმენტებს, ისე რომ საჭიროდ არ მიიჩნევს მაშინდელ კრიტიკაზე პასუხის გაცემას, რამდენადაც, მისი თქმით, თავისი დამოკიდებულება ამ კრიტიკისადმი მან უკვე გამოხატა 1969 წ. პარიზში გამოქვეყნებულ წერილში და მის გამორჩებას აქ უადგილოდ მიიჩნევს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მცხეთის ჯვრის სომხური გრაფიტული წარწერის მაგიერ მკითხველს ფალსიფიცირებული წარწერა მიაწოდა, რაც თავის დროზე შეამჩნია და სამეცნიერო წრეებს გაუმჟღვნა საფრანგეთში მოღვაწე, ან გარდაცვლილმა ქართველმა

მეცნიერმა, კალისტრატე სალიამ¹⁴⁶. როგორც იტყვიან აქ უკვე კომენტარიც ზედმეტია.

ერთი სიტყვით, ბ-ნი პ. მურადიანის დიდი მცდელობა, რომ შუა საუკუნეების აღმოსავლეთი საქართველო სომხური კულტურის ტოტალური გავლენის ქვეყნად დაგვიხატოს, არა მარტო ყოველგვარ საფუძველსა მოკლებული, არამედ მის ავტორსაც რეალობის მიღმა და მოგხეს ხორენაცის კონცეფციის ტყვეობაში აქცევს, რომელიც ქართლის ისტორიას სომხეთის ისტორიის ნაწილად განიხილავდა.

XX ს. 40 წლებიდან დაწყებული, როგორც ვნახეთ, ქართული თემა სომხურ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა. საკითხისადმი მიდგომა არსებითად არ განსხვავდებოდა XIX ს. ჩასახული ტენდენციებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ უკვე განვლილი იყო სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებისა და გარდაქმნების საკმაოდ გრძელი გზა და ქვეყანაში გაბატონებული იფიციალური იდეოლოგია ისტორიკოსებს მოუწოდებდა ეკვლიათ საბჭოთა კავშირის ხალხთა და პირველ რიგში, ამ ხალხების რუს ხალხთან ურთიერთობა-თანამშრომლობის, მეგობრობის და ძმობის ისტორია. საუკუნის 60-იანი წლებიდან მოკიდებული იქმნებოდა მთელი რიგი ნაშრომებისა კავკასია-რუსეთის, სომხეთ-რუსეთის ისტორიული ურთიერთობის თემაზე, სადაც ამავე ჭრილში ქართულ-სომხური ურთიერთობანიც პოვებენ ასახვას, მით უმეტეს, რომ სახელმწიფოებრივ დონეზე რუსეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა მთელი კავკასიდან მხოლოდ ქართულ სამეცნიეროს პქონდათ, რის გამოც რუსეთთან კონტაქტების დამყარებისა და გაფართოების მოსურნე ქართველთა ისტორიული მეზობლებისათვის ამ პროცესში ჩასართავად ქართველ პოლიტიკოსთა მხარდაჭერასა და შუამავლობას თავისთავად დიდი მნიშვნელობა პქონდა.

ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის თემაზე დაწერილ ნაშრომებში ამ წლებიდან კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება შუა საუკუნეების ამიერკავკასიაში წამყვან პოლიტიკურ ძალად კვლავაც სომხეთის წარმოდგენის ტენდენცია. ნიშანდობლივია, რომ სომხეთი ისტორიკოსები ამ უპირატესობაზე მსჯელობას არ ერიდებიან ისტორიის იმ მონაკვეთების გაშუქების დროსაც კი, როცა სომხეთს საკუთარი სახელმწიფოებრიობა აღარ გააჩნდა და მის ბედს უცხო დიდი სახელმ-

¹⁴⁴ იხ. ჩემი, საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1999, გვ. 27-34.

¹⁴⁵ პ. კეკელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32.

¹⁴⁶ იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1990, 7 ოქტომბერი, აგრეთვე, ბონდო არველაძე, „Армянские“ или грузинские церкви в Грузии?!, Тбилиси, 1996, с. 4-6.

წიფობი განსაზღვრავდნენ. ერთ-ერთი ასეთი პერიოდია ამიერკავკასიაში არაბთა ბატონობის ხანა. ამ ეპოქის სომხეთზე მონოგრაფიული ნაშრომის ავტორი ა. ნ. ტერ ლევონდიანი წერს, რომ სირიის გამგებლის, შემდეგ კი ომეადთა დინასტიის პირველი ხალიფა მუავიას მიერ სომხეთის იშხანის (მმართველი მთავრის) თეოდორის რშტუნის ხელისუფლების ცნობა სომხეთზე, ქართლსა და არანზე დერბენდამდე, პირველი ნაბიჯი იყო პროვინცია „არმინიის“ შექმნის გზაზე¹⁴⁷, რითაც, აშკარაა, ცდილობს გამართლება და ახსნა მოუქმნოს სეპეოსის ერთობ საეჭვო ცნობას, თითქოს, სომხეთის ეს უპირატესი მდგომარეობა კავკასიაში ემყარებოდა არაბ და სომებ ხელისუფალთა შორის 652 წ. ზაფხულს დამასკოში დადგებულ ხელშეკრულებას. სეპეოსის ამ ცნობას ყოველგვარი შენიშვნისა და განმარტების გარეშე იზიარებს ბ-ნი კარენ იუზბაშიანიც¹⁴⁸. საფუძველი ასეთი ოპტიმიზმისათვის, ვფიქრობ, არ უნდა არსებობდეს. გარდა იმისა, რომ სეპეოსის მიერ ხსენებული ხელშეკრულების არსებობა არაბული წყაროებისათვის სრულიად უცნობია, ტექსტის შინაარსიც პრატიკულ მნიშვნელობას საერთოდ მოკლებულია, რამდენადაც ჩამოთვლილი ქვეყნების დამორჩილება ამ შეთანხმებით თვით თ. რშტუნის ევალებოდა. ამის გამო ს. ჯანაშია მოსწრებულად შენიშვნავდა: „მოავიას „სულგრძელი“ საჩუქარი ცარიელი აღთქმა იყო და იგი რეალური შინაარსით თვით თეოდოროსს უნდა აევსო ჩამოთვლილი ქვეყნების დაპყრობით“¹⁴⁹, რაც იმ დროისათვის არაბებს ჯერ კიდევ ვერ მოეხერხებინათ. სომები მთავრის ხელისუფლების მასშტაბურობას თვით მისი ბიოგრაფიის ცნობილი ფაქტებიც გამორიცხავს. იმპერიასა და სახალიფოს შორის მოქცეულმა სომხეთის იშხანმა დიდი ძალების დაპირისპირებით გამონვეულ სირთულეებს თავი ვედარ გაართვა და ჯერ სომები ნახარაების შეთქმულების მსხვერპლი გახდა, როცა ის სომხეთის მამრთველის თანამდებობიდან გადააყენეს და მისი მამულები ერთმანეთს შორის გაინაზილეს, ხელისუფლების აღდგენის შემდეგ კი თ. რშტუნმა არაბთა საპატიო ტყვეობაში დაასრულა სიცოცხლე სამშობლოდან შორს – დამასკოში. ასეთი თავგადასავლის მქონე ხელისუფალის პრეტენზიები მთელ კავკასიაზე, გასაგებია, რომ მოკლებული უნდა იყოს რეალურ საფუძველს.

¹⁴⁷ Тер-Гевондян, Армения и арабский Халифат, Ереван, 1977, с. 155.

¹⁴⁸ К. Н. Юзбашян, Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв., Москва, 1988, с. 30-31.

¹⁴⁹ ს. ჯანაშია, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 360.

ადრეულ შუა საუკუნეებში სომხეთზე ქართლის დამოკიდებულების საჩვენებლად აღნიშნულს გარდა, ა. ტერ-ლევონდიანი კიდევ ორ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას. მისი სიტყვით, სომხური ეკლესის მოღვაწეობამ კულტურულად ერთგვაროვანი სახე მიანიჭა ამიერკავკასიის ქვეყნებს, ამიტომ სასანური ეპოქის ტრადიციების გამგრძელებელ არაბებსაც ეს ქვეყნები ერთ ერთეულად მიაჩნდათ, რის გამოც მათ „არმინია“ უწოდეს¹⁵⁰. მეორე არგუმენტი კი ფეოდალური სომხეთის მმართველი ფენის სოციალურ სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს და მათი გამომხატველი ტერმინების ახსნას უკავშირდება. „იშხანის“ გვერდით „იშხან იშხანაცის“ ტიტულის გაჩენას ა. ტერ-ლევონდიანი საზოგადოების სოციალური განვითარებითა და შესაბამისად ადმინისტრაციული მმართველობის ფორმების შეცვლით კი არ ხსნის, არამედ ტერმინების ფუნქციური სხვაობით. მისი მტკიცებით, „იშხანისა“ და „იშხან იშხანაცის“ ფუნქციები ერთმანეთისგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ პირველის ხელისუფლება მხოლოდ სომხეთზე ვრცელდებოდა, მეორისა კი იბერიასა და ალბანეთზეც¹⁵¹. მსგავსი შინაარსის დეპულებებს სხვა სომებს ავტორთა ნაშრომებშიც არაერთგზის გხვდებით. ძირითადად, ს. ერემიანის ხელნაწერ შრომებზე მითითებით, გ. მკრტչმიანი არგუმენტირების გარეშე გვაუწყებს, რომ ამიერკავკასიაში შექმნილ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს არაბებმა „არმინია“ უწოდეს ამ რეგიონის ნამყვანი ქვეყნის – სომხეთის სახელის მიხედვითო. მისივე განმარტებით, ქართველ და ალბანელ ფეოდალთა მეთაურები დაახლოებით ისეთ-სავე დამოკიდებულებებაში იმყოფებოდნენ სომხეთის იშხანთან, როგორც თბილისისა და ბარდავის ემირები „არმენის“ ვალთან, ე. ი. ქართლის ერისმთავრები ემორჩილებოდნენ დგინში მჯდომ სომხეთის იშხანს¹⁵².

არაბული პროვინცია „არმინიის“ ფარგლებში სომხეთისა და სომები დინასტების განსაკუთრებული უფლებებისა და ნამყვანი მდგომარეობის დასადასტურებლად სომებს ავტორთა მიერ მოყვანილ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რა თქმა უნდა, არაფერი აქვთ საერთო რეალურ ვითარებასთან. არ შეეფერება სინამდვილეს, თითქოს, სომხეთის იშხანს

¹⁵⁰ ა. ტერ-ლევონდიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 155.

¹⁵¹ ქართველი ფეოდალი, სომხეთის მმართველი სტრუქტურების მიხედვით, 1984, N 2 გვ. 129-130.

¹⁵² გ. გ. მკრტუმიან, Грузинское феодальное княжество Кахети в VIII-XI вв и его взаимоотношения с Арменией, Ереван, 1983, с. 63-64.

ქართლის ერისმთავარი და ალბანელ ფეოდალთა მეთაური ემორჩილებოდა. დაპყრობილი ქვეყნების სამართავად არაბები, ჩვეულებრივ, ადგილობრივ ადმინისტრაციულ აპარატს იყენებდნენ, რის გამოც ყველან მმართველობის სტერეოტიპული ფორმა იყო გავრცელებული. არაბებს დაქვემდებარებული ადგილობრივი ხელისუფალი ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებდა უცხო ადმინისტრაციასა და მოსახლეობას შორის და თავისი უფლება-მოვალეობებითა და ფუნქციებით ადგილობრივი უზენაესი არაბი მოხელის მოადგილედ ითვლებოდა. ასეთი იყო ქართლის ერისმთავარი, სომხეთის იშხანი, თუ რანის მთავარი. არაბული წყაროები უფლებრივად მათ არ ასხვავებდნენ და ყოველ მათგანს ერთი და იმავე ხარისხის ტიტულით – „ბატრიკად“ მოიხსენიებდნენ. საყურადღებოა, რომ ამ ოვალსაზრისს ზოგჯერ ა. ტერ-ლევონდიანიც იზიარებდა¹⁵³. თუნდაც ამიტომ „იშხანისა“ და „იშხან იშხანაცის“ განსხვავებულ ფუნქციურ დატვირთვაზე პ-ნ ტერ-ლევონდიანის მსჯელობა ჩვენი აზრით, ნაძალადევი და ერთობ ხელოვნურია. „იშხან იშხანაცის“ ტიტულის გაჩენის საჭიროება, ეჭვი არაა, განაპირობა სომხეთში არაბთა ხელისუფლების შესუსტების პირობებში მრავალმთავრობის ტენდენციის განვითარებამ, როცა ცალკეული გამთავრებული ნახარარები „იშხანის“ ტიტულსაც იკუთვნებდნენ. ასეთ ვითარებაში თანაბართა შორის პირველის გამოსარჩევად, ეტყობა, გამოინახა უფრო შესაფერისი „იშხან იშხანაცის“ ანუ მთავართა მთავრის განმადიდებელი სახელწოდება, ისევე როგორც უფრო ადრე (VI ს.) იმავე მიზეზით ქართლში შემოღებული იყო ერისმთავრის ინსტიტუტი.

ასევე სიმართლესაა დაცილებული არაბული საამიროს „არმინის“ სახელწოდების დაკავშირების მცდელობა ამიერკავკასიაში სომხეთის კულტურულ თუ სოციალურ-პოლიტიკურ მონინავეობასთან. ვფიქრობ, ძნელია ერთსახად დაიჯერო იმ ქვეყნის კულტურული თუ სოციალურ-ეკონომიკური მონინავეობა რეგიონში, სადაც მან ყველაზე ადრე დაკარგა დამოუკიდებლობა (ბიზანტიამ და ირანმა ერთმანეთს შორის სომხეთი გაიყვეს 385-7 წნ. დასავლეთ სომხეთში მეფობა გაუქმდა 390 წ., აღმოსავლეთ სომხეთში – 428 წ., ალბანეთში – 463 წ., ხოლო ქართლში 523 წ.) და დიდი დამპყრობლების საყრდენ ბაზად იქცა, რის გამოც თავისი ბუნებრივი განვითარების გზას ასცდა და დიდხანს

დამპყრობელი არაბების მომთაბარული ფეოდალიზმის რეჟიმის კალაპოტში მოექცა, მისგან გამომდინარე ყველაზე მძიმე შედეგებითურთ. რაც შეეხება ამიერკავკასიის ასპარეზზე სომხერი ეკლესიის მიერ კულტურული ერთგვაროვნების მიღწევას, ამ მტკიცებულების სრულიად სანინალმდეგო მოვლენაზე მეტყველებს VII ს. დასაწყისიდან ქართული და სომხერი ეკლესიების მწვავე კონფესიური დაპირისპირება, რაც, ამასთანავე, ცხადია, ამ ქვეყნების კულტურულ მეტოქეობასაც მონმობს და არ მათ ერთგვაროვნებას. ყოველივე თქმულის საფუძველზე კი უარსაყოფი ხდება „არმინის“ სახელწოდების გაჩენის გარემოებათა ზემოხსენებული ახსნა და, ბუნებრივია, ის დაუკავშიროთ მახლობელ აღმოსავლეთში არაბული დაპყრობების შედეგად განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს. ცნობილია, რომ არაბული ადმინისტრაცია თავდაპირველად სომხეთში დამკვიდრდა ტერიტორიული სიახლოვისა და, განსაკუთრებით, იქ არსებული შესაფერისი საყრდენი სოციალური და პოლიტიკური ბაზის შედარებითი სიფართოვის გამო¹⁵⁴. სომხეთის დაპყრობით ამიერკავკასიში გაჩენდა ახალი არაბული სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, რომლის საზღვრები ათეული წლების განმავლობაში თანდათან ფართოვდებოდა მის შემადგენლობაში მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების შეყვანით. ასეთ პირობებში სომხეთის სახელმა არაბთა ბატონობის გამომხატველი, პრინციპულად ახალი შინაარსი შეიძინა, რის გამოც ის ამ რეგიონში სახალიფოსადმი დაქვემდებარებულ მთელ ტერიტორიაზე უნდა გავრცელებულიყო. ამგვარი მოვლენები ისტორიისათვის სულაც არ არის უცხო. მაგალითად, პოლიტიკურ შინაარსში მომხდარი ცვლილებისას ერთი ქვეყნის სახელის მეორეზე გავრცელების პირდაპირ ანალოგიას წარმოადგენს ბიზანტიური სამხედრო-ადმინისტრაციული თემის – იბერიის საკატეპანოს სახელის გავრცელება ანისის სამეფოზეც. ტაოს დაპყრობის შემდეგ ბიზანტიულებმა თავდაპირველად დავით კურაპალატის სამეფოს ბაზაზე შექმნეს თავიანთი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ქვეყნის ეთნიკური და პოლიტიკური სახის მიხედვით „იბერიის თემი“ უწოდეს. აქედან ბერძნებმა სომხეთის დიდ ნანილზე გაავრცელეს თავიანთი ხელისუფლება და ყველა ისინი ადმინისტრაციულად იბერიის თემში გააერთიანეს. ბოლოს კი თვით ანისის ყოფილი

¹⁵³ იხ. Հաճաშია, არაბობა საქართველოში, შრომები, II, გვ. 379; А. Н. Тер-Гевондян, Арmenia и арабский Халифат, с. 171-172.

¹⁵⁴ დაწვრილებით მათ შესახებ იხ. ჩემი „ნარკვევები საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან IV-XII სს-ში, თბილისი, 2002. გვ. 76-124.

სამეფოს ტერიტორიებიც მიუერთეს, რითაც სომხურმა ფართობითა და მოსახლეობითაც მნიშვნელოვნად გადააჭარბა ქართულს და ამის მიუხედავად, ეს ბიზანტიური სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ისევ „იბერიად“ იწოდებოდა. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაშიც არაბული „არმინის“ მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე.

აღმოსავლეთი საქართველოს სომხეთის ნანილად წარმოდგენის მცდელობა სომხური ისტორიოგრაფიის ერთ ნაწილში აპოგეას აღნევს IX-XI სს. ანუ ბაგრატუნთა სომხეთის ისტორიის გადმოცემისას. ამიერკავკასიის ისტორიის ამგვარი გააზრების თეორიული დასაბუთება კი, როგორც მოსალოდნელიც იყო, ბ-მა ს. ერემიანმა წარუდგინა მკითხველ საზოგადოებას ერთობ მიმზიდველი სათაურით „Общность судеб и культурно-политическое сотрудничество народов Закавказья в IX-XIII вв.“, რომელიც დაიბეჭდა 1979 წ. მაშინ ახლად დაარსებულ კრებულში, „Кавказ и Византия“-ს პირველ ნომერში. მეზობლების ისტორიის გადმოცემისას საერთო, გამაერთიანებელი ძირების კვლევა და მათი მნიშვნელობის წინ წამოწევა, რა თქმა უნდა, ყოველთვის აქტუალური და კეთილშობილური საქმე იყო, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს საერთო, ცალმხრივად, მხოლოდ სომხეთის ისტორიის კუთხითაა გაშუქებული, რაც მისი თეორიის მიმდევრებს რეალური, იბიექტური ისტორიული სურათის კიდევ უფრო მეტად დამახიჯების საფუძველს აძლევს.

ამიერკავკასიის IX-XIII სს. ისტორიას ს. ერემიანი ორ პერიოდად ყოფს. პირველს მიაკუთვნებს IX-X სს., როცა მისი აზრით, ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში მთავარ როლს სომები ბაგრატიდები თამაშობდნენ, რამდენადაც ისინი ჩაუდგნენ სათავეში არაბი და ბიზანტიელი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლას ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის. მეორე კი მისი ვარაუდით, მოიცავს XI-XIII სს. დასაწყის პერიოდს, როცა წამყვან როლს ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში უკვე ქართველი ბაგრატიდები თამაშობენ. ისინი ახერხებენ ყველა ქართული მიწის ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გაერთიანებას. შემდეგ კი გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის აგრეთვე ჩრდილო სომხეთიც.

სომები ბაგრატიდთა შირაკის შტოს გაძლიერებასთან ერთად, მისი თქმით, ყალიბდება პოლიტიკური დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასიის ქრისტიან ხალხთა მიწები შეადგენს ერთიან სახელმწიფოს შირაკელ ბაგრატიდთა მეთაურობით. ჯერ კიდევ არაბთა სახალიფოს ბაგრატიდთა პერიოდში, განაგრძობს ბ-მა ს. ერემიანი, ბაგრატიდები ხშირად ექცევიან ამიერკავკასიის ხალხთა სათავეში „სო-

მეხთა და ქართველთა იშხანის (IX ს. იშხანაც იშხანის) ტიტულით“. უკანასკნელმა იშხანაც იშხანმა აშოტ ბაგრატუნიმ გამოიყენა რა თავისი მდგომარეობა შირაკელ ბაგრატიდთა სიუზერენული უფლებების დასაფუძნებლად, შეიძინა სამეფო პატივი. ბაგრატიდები ცხადდებიან „სომეხთა და ქართველთა მეფეებად“, ხოლო მოგვიანებით – „სომეხთა და ქართველთა შაჰანშაჰებად“ (922 წ.). სომები მეფე, როგორც ბაგრატიდთა დინასტიის ყველა შტოს მეთაური, ამას გარდა, ატარებდა აზგაბეტის ტიტულს; ის „დინასტიის მეთაურის“ ხარისხში გამოდის. სომები ბაგრატიდები ამ ტიტულატურას ატარებდნენ 1044 წლამდე, გაგიკ II-ის ჩამოგდებამდე. ეს გაერთიანება, რომელიც ბოლომდე წარმოადგენდა სომებს, აღმოსავლურქართულ და სომებს-„ალბანთა“ სამეფო-სამთავროთა კონფედერაციას, იყო არამყარი და ბიზანტიის აგრესიისა და სელჩუკიანთა შემოსევების შედეგად მალე დაიშალა.

მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ ფაქტის ოსტატური გამრუდების კიდევ ერთ შემთხვევაზე. ბ-მი ს. ერემიანი წერს: ერთიანი ბაგრატიდული სამეფოს შექმნას სომხეთში განსაკუთრებით შეუშალა ხელი ბიზანტიის აგრესიამ. იმპერიასთან ტარონის (966 წ.) და ტაქის (1001 წ.) მიერთებამ, ამის მიყოლებით ვასპურაკანის სამეფოს გადაცემამ (1021 წ.) და ანისის სამეფოს ანექსიამ (1044 წ.) საბოლოოდ მომაღლეს სომხური პოლიტიკური წარმონაქმნების შემდგომი არსებობის საფუძველი. სომხურ სამეფოთა რიგში ტაოს სომხურივე ფორმით მოხსენიებით ტექსტის ავტორს მკითხველი შეცდომაში შეჰყავს და მის სომხურობაზე უკვის საფუძველსაც აღარ უტოვებს. ტაოსთვის ბრძოლა კი ძლიერების ზენიტში მყოფ ბიზანტიის იმპერიას ქართველ მეფეებთან კიდევ დიდხანს უხდებოდა, რამაც ამის, ე. ი. 1001 წლის შემდეგ კიდევ 21-22 წელს გასტანა.

გ. მკრტუმიანი სიტყვასიტყვით იმეორებს ს. ერემიანის აქ წარმოდგენილ განმაზოგადებელ დებულებებს და თავისი მხრივ უმატებს, რომ „სომეხთა და ქართველთა იშხანისა“ და შემდეგ „იშხან იშხანაცის“ ტიტულები სახალიფოს კარის წყალობა იყო და მას პირველი სომები ბაგრატიდი მეფეები აშოტ I და სმბატ I ატარებდნენ. ამ უკანასკნელმა კი რეალობად აქცია ის, რაც აქამდე თეორიულად იყო მიღებულიო¹⁵⁵. ამ უნებური აღიარებიდანაც კარგად ჩანს ხსენებული ტიტულების ცალმხრივი და ფორმალური ხასიათი. არ არის მართალი გ. მკრტუმიანი,

¹⁵⁵ Г. მკრტумян, Грузинское феодальное княжество Кахети VIII-XI вв. с.90-91.

როცა ცდილობს ადარნასე ქართველთა კურაპალატის თანამშრომლობა სმბატ I-თან სომეხი მეფისადმი მორჩილებად წარმოსახოს. როგორც კი სმბატ I-ისა და ადარნასეს პოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს დასცილდა, ქართველთა მეფე მკვეთრად დაუპირისპირდა სომეხთა მეფეს და მის წინააღმდეგ სომხეთში მსხვილ ფეოდალთა შეთქმულებაც მოაწყო, რომლის მიზანი სმბატ I-ის ტახტიდან ჩამოგდება და მის მაგიერ ადარნასე ქართველთა მეფის დასმა იყო. ითანე დრასხანაკერტეცის გადმოცემით, ადარნასე თურმე, დიდი ლაშქრით (თუმცა ნაადრევად) შეჭრილა შირაკის გავარში და ანისის ციხეც დაუკავებია. ადარნასეს პოლიტიკური გავლენა სომხეთში სმბატ I-ის სიკვდილის შემდეგაც იგრძნობა. სომეხი მემატიანის თქმით, აშოტ სმბატის ძე გაამეფეს სომხეთში ქართველთა მეფემ და მისმა ჯარმა¹⁵⁶.

ბევრად უფრო მართალი იყო იოსებ იოანეს რობელი, რომლის შეფასებითაც გაგიკ I-ის ტიტული „სომეხთა და ქართველთა მეფე“ დაკავშირებული იყო გაგიკის მიერ ქვემო ქართლის ფლობასთან. სომეხი სწავლულის თქმით, გაგიკ I თავს სომეხთა და ქართველთა მეფედ შეიგრძნობდა, რადგანაც ქართული მიწები მისი სამეფოს ფარგლებში იყო მოქცეული¹⁵⁷. მოვლენების ამგვარი გაგება შეიგრძნობა ზოგიერთ ძველ სომხურ წყაროშიც, რომელთა მიხედვით, ტაშირ-ძირაგეტის სამეფოს შექმნას ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, საქართველოში სომეხთა გამეფებად მიიჩნევენ. მაგალითად, მხითარ აირივანეცი წერს: „ამ დროს (981 წ.) დაიწყო ბაგრატუნითა მეფობა ქართველებზე, რამეთუ გურგენი გამეფდა საქართველოში, ხოლო მისი ძმა სმბატი – სომხეთში“¹⁵⁸. ბაგრატუნთა პანეგირიკოსი ისტორიკოსებისგან განსხვავებით, ეს მოვლენა მხითარ ეპისკოპოსთან ქვემო ქართლში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდება და მთელ ქართლს, მით უფრო, მთელ საქართველოს არ გულისხმობს, რამდენადაც ცნობაში ხსენებული გურგენი ტაშირ-ძირაგეტის სამეფოს კვირიკიანი მეფე იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლი მთლიანი ქართლის ერთი შედარებით მცირე ნაწილი იყო, მხითარის წარმოდგენით, ის მაინც საქართველო იყო ისტორიულადაც და თავისი ეთნო-კულტურული სახითაც.

¹⁵⁶ იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, ელ. ცაგარეიშვილის თარგმანი და გამოკვლევა, თბილისი, 1965, გვ. 115-117, 195 და სხვ.

¹⁵⁷ И. А. Орбели, Избранные труды, Ереван, 1963. с. 5.

¹⁵⁸ მხითარ აირივანეცი, ქრონიკაფიული ისტორია, თარგმანი და კომენტარები ლ. დავლიანიძე-ტატიშვილისა, თბილისი, 1990, გვ. 74.

რაც შეეხება „აზგაპეტის“ ინსტიტუტს, რეალობას მოკლებული მისი არსებობა თეორიულ სფეროში თუ შეიძლება ვივარაუდოთ, მით უფრო გაუგებარია მისი გამოყენება ქართველი მონარქების მიმართ, რომელთაც თვით გააჩნდათ როგორც გვარის უფროსობის, ისე სომხეთის ტახტის ფლობის პრეტენზიებიც, რაც ყველაზე ადრე ადარნასე ქართველთა მეფემ გაამჟღავნა, როცა „ნაადრევად“ შეიჭრა შირაკის გავარში, ანისის ციხე დაიკავა და სომხეთის ტახტის დაკავებაც სცადა. დიდი დავით III კურაპალატი კი, სომხურივე წყაროების მონმობით, პრაქტიკულად ახორციელებდა თავის სიუზერენულ უფლებებს შირაკის მეფე სმბატ II-სა და ყარსის მეფე მუშებზე, რომელმაც ამ უკანასკნელთა შორის არსებული კონფლიქტი საკუთარი შეხედულების მიხედვით გადაჭრა. ასოლიკის დასტურით, „ყველა მეფე ნებით დამორჩილდა მას“¹⁵⁹. ასოლიკის ამ განცხადების ფონზე ერთობ ცინიკურად უდერს ქ-ნი ვ. არუთინოვა-ფიდანიანის განცხადება, თითქოს, დავით კურაპალატი „იმდენად ძლიერი ხელისუფალი იყო, რომ მისი დაქვემდებარება შირაკის ბაგრატიდებისადმი, მისი სიუზერენებისადმი... უფრო წომინალურ ხასიათს ატარებდა“¹⁶⁰. ცხადია, ქ-ნი ვიადა სომხური ისტორიოგრაფიის იმ მიმართულების ერთგული რჩება, რომელსაც ამიერკავკასიის ისტორიის ტენდენციური გაშუქება თავისი მოღვაწეობის მთავარ ამოცანად დაუსახავს. ბაგრატიონთა ქართველი მემატიანე სუმბატ დავითის ძე, მომდევნო ქართველ მეფეს ბაგრატ III-ს უკვე მთელი კავკასიის მპყრობელ მონარქად წარმოგვიდგენს, რომელიც „სომხითისა ქლმწიფებითა, ნებიერად განაგებდა“¹⁶¹. ბაგრატ III-ის ვაჟი გიორგი I კი, სომხური წყაროების მონმობით, ანისისა და ყარსის სამეფოებზე ისეთივე გავლენით სარგებლობდა, როგორითაც ტაოს სახელგანთქმული მეფე დავით III. ცხადია, რომ ასეთ ხელისუფლობა მიმართ შირაკელ ბაგრატუნთა აზგაპეტობაზე მსჯელობა ყოვლად უსაგნო და გაუგებარია. უფრო მეტიც, თვით სომხეთშიც კი „აზგაპეტის“ ინსტიტუტის ფუნქციონირებას, ფაქტობრივად, პრაქტიკული სარბიელი არ გააჩნდა, ამასთან შირაკის ბაგრატუნთა გარდა ამ ტიტულის მაძიებელი სხვებიც იყენენ (მაგალითად, ლორე-ტაშირის მეფე დავით უმინანყლო). ყველაფერი დამოკიდებული იყო კონკრეტულ პირობებსა და ძალთა რეალურ თანაფარდობაზე. ამ მხრივ კი, როგორც აკად. ჰაკობ

¹⁵⁹ სტეფანოს ტარონეცი ასოლიკი, ხსენებული გამოცემა, გვ. 275.

¹⁶⁰ Арутюнова В. А. Из истории северо-восточных областей Византийской империи в XI в., Հայութի պատմութեան համար 1972 N 1, էջ 92.

¹⁶¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 382.

მანანდიანი აღნიშნავდა, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიამ სრულიადაც კერ მოახერხა ურჩი ფეოდალების თავისი ხელისუფლებისათვის დაქვემდებარება. მსხვილი ფეოდალები არ იყვნენ თავიანთი მეფის დამყოლნი, რომელიც ისევ ხალიფის ვასალად და მოხარკედ რჩებოდა. თავნება ფეოდალები დახმარებას ეძებდნენ ან სახალიფოში, ანდა ბაგრატიონებზე არანაკლებ მძლავრ მეზობელ ემირებთან... ბაგრატიონთა სამეფო ტიტული რეალური შინაარსის გარეშე შეშველ ტიტულად დარჩა. როგორც ცნობილია, X ს. სომხეთისა და ამიერკავკასიის მსხვილი ფეოდალები ისეთივე „მეფეები“ გახდნენ და ისეთივე სამეფო შესამოსელი და გვირგვინი ჰქონდათ, როგორიც ამოო 1-ის მეტვიდრებს¹⁶².

ყოველივე ამის მიუხედავად, X-XI სს. ამიერკავკასიაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებში ქართველ ხელისუფალთა აქტიურობა სომხურ ისტორიოგრაფიას შეუმჩნეველი რჩება, უფრო მეტიც, ვიდრე სომხური სახელმწიფოებრიობა არსებობას განაგრძობდა ქართველთა ნებისმიერი თვალსაჩინო პოლიტიკური აქცია ან მიფურჩებული ანდა გაფერმერთალებული სახით იჩენს თავს სომებს ისტორიკოსთა შრომებში. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია 1044 თუ 1045 წნ. ანსისათვის ბრძოლაში ბაგრატ IV-ის მონაწილეობის დამცრობის დიდი სურვილი, რაც საკმაოდ მკაფიოდაა გამოხატული ბ. კარენ იუზბაშიანის შრომებში. მისი განმარტებით, ა. ლასტივერტეცის ცნობაში ანისის დასაცავად ბაგრატ IV-ის მიწვევის მხოლოდ განზრახვაზე საუბარი. მისგან განსხვავებით, XI ს. ქართველი მემატიანე ფაქტებით ადასტურებს საქართველოს ხელისუფლებისათვის ანისის გადაცემას, რასაც ნინ უძღვოდა ბაგრატისათვის ანისის 9 ციხის გადაცემაც. კ. იუზბაშიანი თვლის, რომ ბაგრატისათვის 9 ციხის და დედამისისისთვის ანისისის გადაცემა ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროს მომზდარი ფაქტია და უნდებლიერ კონტამინაციასთან უნდა გვქონდეს საქმე. მისი აზრით, ბაგრატისათვის 9 ციხის გადაცემის ცნობა დაკავშირებული უნდა იყოს 1041 წ. სარგის ვესტის აჯანყებასთან. ასეთი ვარაუდისთვის საკმარისად მიაჩინა მათეოს ურჟაეცის ცნობა, თითქოს, სარგის ვესტის მიერ მიტაცებული სამეფო საზინა დასავლეთ საქართველოში გადაემალოთ. ქართული ცნობის მეორე ნაწილი კი უდავოდ მიეკუთვნება ანისის ბიზანტიელებისთვის ჩაბარების წინ პერიოდს, ე. ი. 1045 წ.¹⁶³ „მატიანე ქართლისის მოყვნილი ცნობის ორ ნაწილად გაყოფითა და დროში ერთმანეთისგან გათშვით კ. იუზ-

162 n , t V, 1985, 145

¹⁶³ პ. იუზბაშიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 168.

ბაშიანი, აშკარაა, ამცირებს დაცული ფაქტების მნიშვნელობას, ხოლო ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ქართველ ისტორიკოსთა ლოგიკურ დასკვნას, რომ ბაგრატისათვის ანისის გადაცემის შემდეგ იქ დროებით ქართველთა მმართველობა დამყარდა, არადამაჯერებლად მიიჩნევს, რამდენადაც „მატიანე ქართლისა“¹⁶⁴ ანისში ქართველთა ადმინისტრაციული ფუნქციების შესახებ არაფერს ამბობსო. იმ დროს, როცა ბიზანტიელთა ჯარები ალყაში აქცევდნენ ქალაქს, ახალი ადმინისტრაციის ფუნქციონირებისათვის პირობები ვერ იქნებოდა, თუკი საერთოდ ადგილობრივი ადმინისტრაციის შეცვლის მოთხოვნილება გამოიწვეოდა. მას ეჭვი არ ეპარება, რომ ბაგრატ IV -ის ნარგზავნილები მხოლოდ სამეფო ელჩები იყენება¹⁶⁴. ქალაქისა და ციხეების გადაცემა-ჩაბარება თავისთავად გულისხმობს იქ მცველთა ახალი კონტინგენტის შეყვანასა და გამგებლების დანიშვნასაც. ქართველი მემატიანე კონკრეტულად ასახელებს კიდეც ანისის ახალ გამგებლებს. ისინი სამხედრო პირები და საკუთარი ლაშერის პატრონები არიან: არტანუჯის ერისთავი, ხიხათა, ციხისჯვარის და აზევერის ციხის პატრონი აბუსერი, ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და ბეჭის ციხის პატრონი გუარამ გოდერძის ძე¹⁶⁵. ასეთი შემადგენლობა სავსებით პასუხობდა საომარი ვითარების მოთხოვნილებებს. ანისს, პირველ რიგში, მტრისგან დაცვა სჭირდებოდა და ამ მთავარი ფუნქციის შესასრულებლად სწორედ ის კონტიგენტი იყო საჭირო, რომელსაც ქართველი მემატიანე ასახელებს, უმაღლეს სამხედრო ხელისუფლებას კი, გასაგებია, რომ სხვა ადმინისტრაციული ფუნქციებიც უნდა შეეთავსებინა. ამიტომ დამაჯერებლობას მოკლებულია კ. იუზბაშიანის არგუმენტი, თითქოს, ბიზანტიის ჯარების შეტევის პირობებში ახალი ადმინისტრაცია ვერ იფუნქციონირებდა. ფაქტების გაფერმკრთალების ასეთი ცდების მიუხედავად, კ. იუზბაშიანი ერთგვარი თავშეკავებით სიმართლისკენ მაინც იხრება და აღნიშნავს: „მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ქართულმა სამეფომ ანისზე თავისი უფლებების რეალიზაცია რაღაცა ზომით კიდევაც შეძლოო“¹⁶⁶.

გაერთიანებული საქართველოს წამყვან როლს ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში სომხური ისტორიოგრაფია მხოლოდ სომხური სახელმწიფოების გაქრობის ხანის შემდგომი პერიოდიდან აღი-

¹⁶⁴ დასახელებულს გარდა იხ. მისივე, ქართველი ელჩები ანისში 1045 წ., პიზანტიკონლოგიური ეტიუდები, თბილისი, 1978, გვ. 156-160.

¹⁶⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300.

¹⁶⁶ Юзбашян К. Н., Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв., с. 167.

არებს, როგორც ეს IX-XIII სს. ამიერკავკასიის ისტორიის ს. ერემიანი-სეული პერიოდიზაციითაა გათვალისწინებული. თუმცა ამ აღიარებას იმდენი და ისეთი განმარტებები ახლავს, რომ ზოგჯერ შეიძლება დაუჯერებელიც დაიჯერო და იფიქრო, რომ ქართველმა ბაგრატოვნებმა თავიანთ სახელმწიფოში კავკასიის ქრისტიანული ნაწილი კი არ გააერთიანეს, არამედ სომხური სამეფო-სამთავროები ფენიქსის მსგავსად აღადგინეს. ასეთ ტენდენციას, როგორც ითქვა, ადრევე ჩაეყარა საფუძველი, 60-იანი წლებიდან კი სომხურ ისტორიოგრაფიაში ახალი შემართებით იწყება მსჯელობა მხარგრძელთა პოლიტიკურ როლსა და ჩრდილო სომხეთის სტატუსზე, რასაც ძირითადად ს. ერემიანის უკვე სესენებულ ნაშრომებში მოცემული იდეები და დებულებები ედო საფუძვლად. იმხანად დაბეჭდილ მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის პრობლემა მეტ-ნაკლები სისრულითაა განხილული 1964 და 1969 წწ.-ში სომხურ და რუსულ ენებზე გამოცემულ ლ. ბაბაიანის წიგნში „სომხეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორია XIII-XIV სს.“. საკითხის უშუალო განხილვას წიგნის ორი თავი ეთმობა და მასზე საუბარი შეიგადაშიგ მომდევნო თავებშიც გრძელდება. ავტორი ცდილობს თავისი აზრი ახალი არგუმენტებით, ქართული წყაროების ცნობებითა და ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის მიერ გამოთქმული მოსაზრებებითაც შეამაგროს. ლ. ბაბაიანი თავის წინამორბედებთან შედარებით „ზაქარიანული სომხეთის“ ნარმოქმნის განსხვავებულ რედაქციას გვთავაზობს. მისი თქმით, „ნამესტნიკობს“ დროს (მონაპირეობა წიგნის ავტორს მეფისნაცვლობა ჰქონია) მხარგრძელებს გაუერთიანებიათ სომხური ფეოდალური ძალები და სომხური სამხედრო დანაყოფები შეუქმნიათ ქართული არმიის სისტემაში, რაც, თურმე, მათი საკუთარი დიდი პოლიტიკური გეგმებით ყოფილა განსაზღვრული. ამ გეგმის მიხედვით კი, საქართველოს მფარველობითა და მისი შეიარაღებული ძალების უშუალო მონაწილეობით, მათ სელჩუკიანი თურქებისაგან უნდა გაენთავისუფლებინათ სომხეთის ტერიტორია და აღედგინათ მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მოეხდინათ სომხური ფეოდალური ძალების კონსოლიდაცია და შეექმნათ ავტონომიური სომხური სახელმწიფო, რომელიც ვასალურ დამოკიდებულებაში იქნებოდა ქართულ სამეფოსთან. „ზაქარიანთა“ 25 წლიანი ბრძოლა ხსენებული გეგმის ხორცებებისათვის, ლ. ბაბაიანის განცხადებით, ნარმატებით დაგვირგვინდა: ჩრდილო და ცენტრალური სომხეთი განთავისუფლდა და, ქ. კარისა და მისი მიმდევობი ქვეყნების გარდა, „ზაქარიანებს“ გადაეცათ. თამარის მეორე ისტორიკოსის ზოგიერთი ცნობის

თვითნებური გაგების საფუძველზე ასკვნის, რომ „ზაქარიადებისათვის“ გადაცემულ მიწებს თანამედროვენი ქართულად აღარ მიიჩნევდნენ და მას მხოლოდ „ზაქარიადთა“ დამოუკიდებელ სამფლობელოებად განიხილავდნენ. ამასთან, წიგნის ავტორი საქმეს ისე ნარმოგვიდგენს, თითქოს, მხარგრძელები კი არ იყვნენ საქართველოს სამეფოს სამსახურში, არამედ პირიქით, საქართველოს შეიარაღებული ძალები მათ პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდნენ¹⁶⁷.

ეს თემა სომხურ ისტორიოგრაფიაში აქტიურად მუსირებს შემდგომ ათწლეულებშიც. 80-90 წლებში სომხურ და რუსულ ენებზე ზედიზედ იქმნება ნაშრომები, სადაც XII-XIII სს. სომხეთის სტატუსის ერთმანეთისგან განსხვავებული გააზრების მიუხედავად, პრინციპულად ერთნაირია დამოკიდებულება მხარგრძელთა ვინაობის მიმართ. ყოველგვარი მტკიცების გარეშე, როგორც ანბანურ ჭეშმარიტებაზე, ისე მსჯელობენ მხარგრძელთა სომხობაზე, „ზაქარიანთა სომხურ ფეოდალურ სახლზე“ და მათ განსაკუთრებულ როლზე საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში. ხ. თოროსიანი აღმფოთებასაც ვერ მაღავს „ზოგიერთი ქართველი მეცნიერის“ (მ. მესხია, მ. ლორთქიფანიძე და სხვები) მიმართ, რომლებიც, თურმე, მხოლოდ იმის გამო, რომ ზაქარიანები რომელილაც პერიოდში (დაახლოებით 1120-1185 წწ.-ში) ხან ქართველი მეფის ვასალები იყვნენ, ხან კი – ორბელებისა, თვლიან რა, თითქოს, ასეთებად ყოფილიყვნენ საერთოდ, იმასაც კი ამტკიცებენ ფაქტების საწინააღმდეგოდ, რომ ისინი ქართველი მთავრები იყვნენ¹⁶⁸. მხარგრძელთა სომხურ ფეოდალურ საგვარეულოდ ნარმოსახვიდან გამომდინარე, საქართველოს ფეოდალურ ლაშქარსაც ქართულ-სომხურ ჯარებად იაზრებენ, რის საფუძველზეც შემდეგ ლაშქრის ქართულ და სომხურ ნაწილებს ერთმანეთის მიმართ დამოუკიდებლობასაც მიაწერენ. ასე მაგალითად, გ. გრიგორიანი თავის სადოქტორო დისერტაციაში ე. ნ. ქართულ-სომხურ ლაშქარს სამოკავშირეუ ჯარებს უწოდებს¹⁶⁹. ხ. თოროსიანი კი, ასეთი განსაზღვრების საფუძველზე, სომხე-ქართველთა სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობაზეც მსჯელობს¹⁷⁰. მათგან განსხვავებით, ა. შაპ-

¹⁶⁷ ლ. Օ. ბაბაიან, Социально-экономическая и политическая история Армении XIII-XIV веках, Москва, 1969, с. 16-17.

¹⁶⁸ ხօսր Տօրօսյան, Суд и процесс в Армении X-XIII вв., Ереван, 1985, с.24.

¹⁶⁹ Գրիգորյան Գ. Մ., Общественно-политическая и социально-экономическая история Сюника в XIII-XV веках, автореферат, Ереван, 1984, с. 13.

¹⁷⁰ ხ. თოროსიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

ზაქარიანთა სომხურ ფეოდალურ სახლს“ იმავდროულად ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ მძლავრ თავადურ გვარად მიიჩნევს, მაგრამ მათი სარდლობით ლაშქრობაში მონანილე ქართულ ჯარს მაინც „ქართულ-სომხურ“ ჯარად ნათლავს¹⁷¹. შედარებით ზომიერია იგი საქართველოს შემადგენლობაში შემოსული სომხეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრაში. მისი თქმით, ზაქარიანთა მეთაურობით ქართულ-სომხური ჯარების მიერ სელჩუკიანი თურქებისგან განთავისუფლებული ჩრდილო სომხეთი ფეოდალური სუბირდინაციის საწყისებზე შევიდა ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში¹⁷², როთაც ის, ფაქტობრივად, ქართულ სახელმწიფოსთან სომხეთის ვასალური დამოკიდებულების იდეას ემხრობა. მკვეთრად რადიკალურია ამ საკითხისადმი ხ. თოროსიანის მიდგომა. მისი მტკიცებით, სელჩუკიანი თურქების წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში სომხური ჯარის წარმატების კვალობაზე, სომეხი ხალხისა და ზაქარიანების შეგნებაზი იზრდება ბუნებრივი ლტოლვა ტერიტორიული განცალკევებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისკენ. შეიძლება კიდევაც დავასახელოთ, განაგრძობს ხ. თოროსიანი, დამოკიდებლობის დაწყების თარიღი – 1185 წ. ამ წელს თამარ მეფემ სარგის ზაქარიანს უბოძა ლორე სათავადოდ და სამთავრო სომხითა შინა. ამ აქტით ქართულმა სახელმწიფომ ცნო ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთის დამოკიდებლობა ზაქარიანთა მეთაურობით¹⁷³. საქართველოს ისტორიაში მეტ-ნაკლებად ჩახედული ნებისმიერი ავტორისათვისაც კი, ვფიქრობ, ცხადია ასეთი დასკვნის სრული გაუგებრობა. მინის „სამთავროდ და სათავადოდ ბოძება“ ფეოდალური შეწყალების ჩვეულებრივი ფორმა იყო შუა საუკუნების საქართველოში და მისი შინაარსი სულაც არ გულისხმობდა სახელმწიფოს უარს თავის უფლებაზე შეწყალებულის მიმართ. ეტყობა ხ. თოროსიანი გრძნობდა თავისი რადიკალური პოზიციის სისუსტეს სხვა ავტორებთან კამათში, რის გასანეტრალებლადაც, ჩანს, თავის მსჯელობას ამ საკითხზე ასეთი განცხადებით ასრულებს: ზაქარიანთა პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთის მდგომარეობისაგან დამოკიდებლად, ისტორიოგრაფიაში ერთი რამ მაინც უსიტყვოდა აღიარებული – ზაქარიანული სომხეთი

თავის საშინაო საქმეებში დამოუკიდებელი იყო. სამწუხაროდ, არც ეს განცხადებაა მაინცდამაინც ზუსტი. არც ერთი ფეოდალური სამთავრო XII-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოში არ ყოფილა, თუნდაც საშინაო საქმეებში ბოლომდე დამოუკიდებელი. ამას თვით სომხური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებიც აღიარებენ, როცა საუბარი აქვთ მხარგრძელთა სამფლობელოებში სასამართლო-ადმინისტრაციული იმუნიტეტის შესაძლებლობებზე.

სომხურ ისტორიოგრაფიაში კვლავაც დომინირებს ს. ერემიანის მიერ შემუშავებული კონცეფცია სელჩუკიანთაგან განთავისუფლებულ სომხეთში ვასალური სომხური სამთავროების ქსელის, როგორც სომხური სახელმწიფოებრიობის თავისებული ფორმის აღმოცენებაზე. ამ კონცეფციის დადასტურებას ემსახურება XII-XIII სს. სომხეთში არსებული ცალკეული ფეოდალური სახლების ისტორიის მონოგრაფიული შესწავლისა და მათი სამფლობელოების საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ვასალური დამოკიდებულების ხარისხის განსაზღვრისა და ამ სამთავროებში დამოკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ნიშნების მეტ-ნაკლებად გამოვლენის ცდები. ბ. ულუბაბიანის „ხაჩენის სამთავროს ისტორია“, გ. გრიგორიანის „ორბელიანთა სივნიეთის სამთავრო“, ა. შაპნაზარიანის „ვაპრამიანთა სამთავრო“ და სხვები კვლევის ამგვარი მიმართულების აშკარა მოწმობა. ბ. ულუბაბიანი ჯერ კიდევ 1973 წ. წერდა: ქვემო ხაჩენის პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდებოდა ზაქარიანთა სამთავროების ვასალოტეტისაგან და მას თავისებული სუვერენიტეტი გააჩნდა. XII ს. ბოლოსა და XIII ს. დასაწყისის წყაროებში არაფერია ნათქვამი ქვემო ხაჩენის სამთავროს დამოკიდებულებაზე ვინწეს მიმართ, განსაკუთრებით კი, ქართველთა სამეფოზე ან ზაქარიანებზე¹⁷⁴. გ. გრიგორიანი თავის მხრივ, სივნიეთის ორბელიანებს მიაწერს სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის ცდებს. მისი განმარტებით, სუმბატ ორბელიანმა სიკვდილამდე შეინარჩუნა „მეფის“ ტიტული, თუმცა პირველწყაროების მოწმობით, განაგრძობს გ. გრიგორიანი, ეს ტიტული ნაცვლის თანამდებობას უთანაპრდებოდა და არ ჰქონდა სამოქალაქო აღიარება სივნიეთის ფარგლებს გარეთ. სომხური სუვერენული სახელმწიფოს შექმნის ორბელიანთა ყველა ცდა სრული მარცხით დასრულდა¹⁷⁵. სუმბატის შემდეგ

¹⁷¹ □ □ Պատմութեան, Պատմութեան բառեալիք 1990 թ. 362

¹⁷² იქვე, გვ. 41-62, 192.

¹⁷³ ხ. თოროსიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

¹⁷⁴ Բ. Ա. Սլուբայն, История хаченского княжества (X-XVI вв.), автореферат докторской диссертации, Ереван, 1973, с. 30.

¹⁷⁵ გ. გრიგორიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 15.

სივწიეთის მმართველი ხდება მისი უმცროსი ძმა ტარსაიქ ორბელიანი, რომელიც, წყაროების მოწმობით, საქართველოს სამეფო ტახტის განსამტკიცებლად იღვწოდა, რისთვისაც დემეტრე II-მ ის ათაბაგად დანიშნაო. ა. შაპნაზარიანის მონოგრაფია გაგელთა სამთავროს ისტორიის შესწავლას ეძღვნება და ის მთლიანად აგებულია ს. ერემიანის ხსენებული კონცეფციის მიხედვით. ამიტომაც გაგელებს ვაპრამიანებს უნდოებს ისევე, როგორც თმოგველებს – „თმოგვეცი-ს, ე. ი. მხარე-გრძელებსა და მათ განშტოებებს სომხური ფორმით წარმოგვიდგენს (ქართული გვარების სომხური ფორმით გადმოცემა საერთოდ ახასიათებთ სომხური ისტორიოგრაფიის უმეტეს ნაწილს). ე. წ. „ვაპრამიანთა სამთავროს“ იგი მონაპირეთა ინსტიტუტის ფარგლებში განიხილავს და პარალელს ავლებს ძველსომხურ საბაზებოებთან (ძველი სომხეთის საზღვრისპირა სამთავროები), რითაც, ეტყობა, სურს მონაპირეთა ქართულ ინსტიტუტს სომხური ძირები მოუქებნოს.

XII-XIV სს. საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში სომხური თემები კავკასიის სხვა ქრისტიანულ ნაწილთან ერთად რომ მყარად იყვნენ შემოსული და ქართული სახელმწიფოებრიობის ორგანულ ნაწილს შეადგენდნენ ეს კარგად ჩანს თვით სომეხი ისტორიკოსების ნაშრომებში ნებით თუ უნდებლიერ, წყაროების ზეგავლენით, ზოგჯერ ჩართული რეალისტური პასაუქებიდანაც. მაგალითად, ახალი ფეოდალური სახლების სეპარატიზმის გზით განვითარებას, ფაქტობრივად, გამორიცხავს ს. ერემიანის ხსენებულ წერილში შენიშნული გარემოებანი, რომელთა მიხედვით ჩრდილო სომხეთის ტერიტორიების სელჩუკიანებისგან გამოხსნას მნიშვნელოვანნილად შელი შეუწყო მსხვილი ქალაქების (ანისის, დვინის, ყარსის და სხვ.) სომხურმა თემებმა, ახლად წარმოქმნილმა სავაჭრო და სავახშო არისტოკრატიის წარმომადგენლებმა და ხელოსნურმა გაერთიანებებმა, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ქართველ ბაგრატიოდთა ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიის განმტკიცებით. ქართველ მეფეთა ფართო რჯულთ-შემწყარებლობის პოლიტიკამ ქალაქების სომხური და მუსლიმანური თემების მიმართ და მათმა მფარველობამ ხელი შეუწყო სახელმწიფოს შემდგომ კონსოლიდაციას¹⁷⁶. პ. მურადიანის თვალსაზრისითაც XII-XIII სს. საქართველო და სომხეთი პოლიტიკურად გაერთიანებული იყო ბაგრატიოდთა ქართული შტოს სკიპტრის ქვეშ. იგი მსჯელობს ფულის

მიმოქცევის და საგადასახადო საერთო სისტემის არსებობაზე იმ დროის საქართველოსა და სომხეთში, აღნიშნავს, აგრეთვე, საქართველოს სომხურ ნაწილში ქართული ენის ოფიციალურობას¹⁷⁷. როცა სახეზეა ქვეყნის სუვერენიტეტის გამომხატველი ისეთი ნიშნები, როგორიცაა ფული, საერთო საგადასახადო სისტემა და სახელმწიფო ენა, ასეთი ქვეყნის რომელმე ნაწილის სეპარატიზმა თუ დამოუკიდებლობაზე მსჯელობა, აშკარაა, რომ ძალზე ძნელია. ამიერკავკასიის ქრისტიანული ნაწილის, და არა მხოლოდ, გაერთიანება ამ ქვეყნის ისტორიული განვითარების საერთო კანონზომიერებით იყო განპირობებული და ამიტომაც ამ გაერთიანებას მყარი ნიადაგი გააჩნდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია კირაკის განძაკეცის ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც „ერთ დროს არშაუნიანი სომხები მეფების კუთვნილი ძვირფასი ტახტი და საოცარი გვირგვინი, რომლის მსგავსი არც ერთ მეფეს არ ჰქონია, ქართველ მეფეებს ერგოთ და დღემდე მათთან რჩებაო¹⁷⁸. ქართველ მეფეთა უფლება, ამ გადმოცემით, არა მარტო საქართველოში შემოსულ ნაწილზე ვრცელდებოდა, არამედ მთელ ისტორიულ, დიდ სომხეთზეა აღიარებული და ისინი სომებს მეფეთა კანონიერ მემკვიდრეებად არიან მიჩნეული. ასეთი გადმოცემების ლიტერატურული დაფიქსირება, გასაგებია, ხელსაყრელ იდეოლოგიურ გარემოს ქმნიდა ხელისუფალთათვის საქართველოში შემოსულ სომხურ ნაწილში და ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან მის შერწყმას უწყობდა ხელს.

საქართველოს ერთიან ფეოდალურ მონარქიაში სომხეთის მყარად შემოსვლის დასტურია, აგრეთვე, XII-XIV სს. საქართველოს ამ ნაწილის სოციალური ფიზონომია და კულტურული სახე. პოლიტიკურად საქართველოს საზღვრებში შემოსვლასთან ერთად სომხეთი ქართული ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ფარვატერში ჩაერთო, რითაც ის სოციალურად და კულტურულად კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდა ქართულს. მხითარ გოშის სამართლის მუხლებიდან აშკარად გამოსცვივის ქართული საზოგადოებრივი წყობილებისათვის დამახასიათებელი ურთიერთობანი, რაც იმის მოწმობაც იყო, რომ ხსენებული სომხური საერთო სამართლის შექმნის დროისათვის შემოერთებული სომხეთის ტერიტორიაზე უკვე ფეოდალიზმის ქართული ტიპი გაბატონებულიყო და ეს ქვეყანა არა მარტო პოლიტიკურად, არამედ სოციალურა-

¹⁷⁶ იხ. კავკასია და ვიზანტია, №1, ს. 9.

¹⁷⁷ 197.

□. 283, 286, 288

¹⁷⁸ Կիրակոս Գանձակեցի, ისტორია Արմենիա, Մոսკվա, 1976, ս. 195.

დაც საქართველოს ორგანული ნაწილი გამხდარიყო¹⁷⁹, რაც თავისთავად გამორიცხავდა ქვეყნის ამ ნაწილშიც სოციალურ-პოლიტიკური ნების-მიერი ინსტიტუტის დამოუკიდებელ არსებობას. ეს სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ მონაცემები თავი-ანთი სამფლობელო ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობისას თავიდანვე იძულებული იყვნენ სომხეთიც საქართველოსთვის (გურჯისტანის ვილა-ეთისათვის) მიეთვალათ და, როგორც ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, ასეთი გადაწყვეტილება მათ მიიღეს „სომხეთა“ პოლიტიკურ მოღვაწეთა აქტიური მოქმედების შედეგად, ამტომ იყო, შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი, რომ არავითარი ტომობრივი დამოუკიდებლობისათვის პრძოლა ფეოდალურმა საქართველომ არ იცოდა¹⁸⁰. ნიშანდობლივი ფაქტია: მაშინაც კი, როცა XIII-XV სს. განვითარებულმა დეცენტრალიზაციის პროცესმა ქართული სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მოშლა და მის მაგიერ სენიორალური პრინციპის თანდათან გაძატონება გამოიწვია, სომხურ თემებში არსებული ფეოდალური სამთავროების ქართული სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი არ შეცვლილა და ქართულ სახელმწიფოებრიობას ის არ გათიშვია, ვიდრე XV ს. დამდეგს თურქმანებმა ძალით არ მოწვიტეს ის საქართველოს და იქ პირშეუქცევლად აღმოსავლური ბარბაროსულ-ფეოდალური ურთიერთობანი არ გააპატონეს.

ამრიგად, სომხური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისი შუა საუკუნეების საქართველოს ცენტრალიზებული მონარქიის შემადგენლობაში მყოფი სომხეთის, ქვეყნის სხვა ნაწილებისაგან სრულიად განსხვავებულ, პოლიტიკურ სტაციუსზე, არაა გამართლებული საისტორიო წყაროების მონაცემებით და ენინააღმდეგება რეალურად არსებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ხასიათის ფაქტორებს.

სამწუხაროდ, ქართველი და სომეხი ხალხების სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობის სამსაუკუნოვანმა ეპოქამ, ფაქტობრივად, ვერ პოვა შესაფერისი ასახვა სომეხი ხალხის ისტორიის აკადემიურ გამოცემაში, მიუხედავად იმისა, რომ ს. ერემიანისავე დაკვირვებით, ამ ხანის გავლენა სომეხთა ცნობიერებაზე იმდენად დიდი იყო, რომ მოგვიანებით, როცა სომხურ პოლიტიკურ წრეებში განიხილებოდა რუსული იარაღის

¹⁷⁹ ზ. რატიანი, საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობა მხითარ გოშის სამართლის ნიგნის მიხედვით, წყაროთა ღა-ღადი, თბ., 1989, გვ. 15, 16.

¹⁸⁰ 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 416.

დახმარებით სომხური მიწების განთავისუფლებისა და სომხური სახელმწიფოს აღდგენის საკითხი, ის მხოლოდ გაერთიანებული ქართულ-სომხური სახელმწიფოს ფარგლებში მოიაზრებოდა¹⁸¹. შესაბამისი თავების ავტორის ლ. ბაბაიანის მიხედვით, ქართული სახელმწიფოს ისტორიული როლი სომხეთისა და სომხებისათვის, ძირითადად, სელჩუკიანი თურქებისაგან სომხური მიწების გამოხსნაში აღმოჩნდილი დახმარებით განისაზღვრება. ამავე რიგის მოვლენად მიიჩნევს, რატომღაც, დავით აღმაშენებლის მიერ ქვემო ქართლის განთავისუფლებასაც¹⁸². სომეხი ავტორის პრეტენზიები ისტორიული ქართული ტერიტორიების მიმართ თანამიმდევრობით იჩენს თავს, თითქმის, ნიგნის ბოლო გვერდებამდე. მაგალითად, მონღოლთა მიერ ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად (დუმნებად) დაყოფაზე საუბრისას, აღნიშნავს, რომ გურჯისტანის ვილაიეთში შედიოდა აღმოსავლეთი საქართველო და ზაქარიანთა ფეოდალური სამთავროები, რომლებიც ხელს ხვევდნენ (ანუ მოიცავდნენ) სომხეთში აირარატს, სიუნიქს, არცახს, გუგარქს. ეს უკანასკნელი, მტკვრის აუზის ქართული ქვეყანა – გუგარეთი ანუ ქვემო ქართლი – ყოველგვარი შენიშვნის გარეშე სომხურ სამთავრო ოლქებსაა მითვლილი, თანაც იმ ისტორიული პერიოდისათვის, როცა სომხეთის ქრისტიანული ნაწილი მთლიანად და უშუალოდ ჯერ ისევ ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში რჩებოდა¹⁸³. ამასთან, თვით ქართული წყაროებიდან ციტირებისასაც კი მთელი რიგი გეოგრაფიული და საკუთარი სახელები მხოლოდ სომხური ფორმითაა გადმოცემული. მაგალითად, თბილისის მაგიერ „თფლის“, ჯავახეთის ნაცვლად „ჯავახე“ და ა. შ. ასევე, „ვაპრამ გაგეცი“, „სარგის თმოგვეცი“ და სხვ.¹⁸⁴, სომხური ფეოდალური სახლების წარმომადგენლებად წარმოსახული მხარგრძელების ადგილი დიდ ქართულ სახელმწიფოში და მათი უფლებრივი მდგომარეობაც ცნობილი ტენდენციის მიხედვითაა გაშუქებული, რის საფუძველზეც ცდილობენ ამ სახელმწიფოდან მისი სომხური ნაწილის გამოცალებებას, რაც მკაფიოდაა ასახული სომხეთის ატლასის რუკაზე, სადაც ის მონღოლებისდროინდელი საქართველოსაგან განსხვავებული ფერითაა გამოყოფილი და, რაც მთავარია, მთელი ქვემო ქართლი სომხეთის აღმინშვნელ ფერშია მოქცეული. საკითხისადმი ამგვარსავე დამოკიდე-

¹⁸¹ კავკასია და ვიზანტია, I, c. 9.

¹⁸² სომხური სახელმწიფოს ფარგლებში მოიაზრებოდა 1976 წლის 524525.

¹⁸³ იქვე, გვ. 614.

¹⁸⁴ იქვე, გვ. 617, 621 და სხვ.

ბულებას ავლენენ გამოცემის მეოთხე ტომის ავტორებიც. მაგალითად, თემურ-ლენგის მესამე ლაშქრობის აღწერისას ლ. ხაჩიკანი წერს, რომ თემურმა დაარბია საქართველო და ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთის მხარეები და საილუსტრაციოდ მოყავს თანამედროვის, გრიგოლ ხლათეცის ცნობა, სადაც ნათქვამია: თემური „მოვიდა, მოაღწია ქვეყანასა ქართველთასა შემოდგომიდან ვიდრე გაზაფხულამდე, შვიდ თვეს... დაიყრო მრავალი სიმაგრე და მრავალნი მათგანი“¹⁸⁵. ის რაც პირველწყაროსთვის საქართველო და ქართველთა ქვეყანა იყო, საბჭოთა ისტორიკოსისათვის რეტროსპექტივის დარღვევით ორ მეზობელ ქვეყნად იქცა.

ამგვარადვე წარმოგვიდგენს მონლოლებისდროინდელ საქართველოს გ. სტეფანიანიც წერილში „1247-1249 წწ. ქართველ-სომხთა აჯანყება თათარ-მონღოლთა დესპოტიზმის წინააღმდეგ“, სადაც კოხტასთავის შეთქმულებას საქართველოს ფეოდალთა გამოსვლად კი არ განიხილავს, არამედ ქართველ და სომებს ფეოდალთა აჯანყებად, რომლის მიზანი, მისი აზრით, იყო ორივე ქვეყნისათვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება¹⁸⁶. ასე რომ, ამჯერადაც ცალკე პოლიტიკურ ერთეულადაა გააზრებული საქართველოს შემადგენლობაში ჯერ ისევ მყოფი სომხური ნაწილი ისტორიული ქვემო ქართლითურთ.

შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის დამახინ-ჯება-გადაკეთება რომ საბჭოთა სომებს ავტორებს კულტურული მოვ-ლენების გაყალბების სურვილსაც აღუძრავდა, ეს სავსებით მოსალოდ-ნელი იყო. ამჯერადაც ლიდერის როლში კვლავაც ბ-ნი პ. მურადიანი მოგვევლინა. ამგვარი აქტიურობის ნიშანდობლივ მაგალითს წარმოადგენს კორნელი კეიელიძის 100 წლისთავის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი მისი წერილი, სადაც მიმოიხილავს რა იუბილარის „ეტიუდების“ XII და XIII ტომებში დაბეჭდილ სტატიებს, რუსთველოლოგიურ ნაშრომებზე საუბრისას იხსენებს ქართველი მეცნიერის მიერ 1931 წ. ჟურნალ მნათობში (№7-8 და 9-10) გამოქვეყ-ნებულ წერილს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობაზე. კ. კეკელიძე მაშინ შესაძლებლად მიიჩნევდა პოემის ავტორი სარგის თმოგველი ყოფილიყო, თუმცა ეს აზრი მალევე უარყო. პ. მურადიანის წერილის გამოქვეყნების დროისათვის, თითქმის 40 წლის წინათ ავტორისავე მიერ

უარყოფილი შეხედულების გახსენება და მასზე ყურადღების გამახვილებას, მეცნიერული თვალსაზრისით, თითქოს, არც ჰქონდა აზრი, მაგრამ პ. მურადიანი, ჩანს, სხვაგვარად სჯიდა. კ. კეკელიძის ამ სახელდახელო თვალსაზრისს და ამიტომაც მის მიერ მაღლევე უარყოფილს, პ. მურადიანმა ორიგინალური დასკვნა უწოდა და ხაზ-გასმით განაცხადა, რომ „...автором поэмы он считает не Руставели, а Саркиса Тмогвеца“¹⁸⁷. ჯერ ერთი, რამდენადაც პ. მურადიანი კ. კეკელიძის ციტირებას ახდენს, ვალდებული იყო ეს სახელი და გვარიც ისე მოუყვანა, როგორც ეს მის ავტორს აქვს მოცემული ანუ ქართული ფორმით – სარგის თმოგველი. ამას გარდა, სხვა სომები ავტორებისგან განსხვავებით, პ. მურადიანი ქართულ გვარ-სახელებს, არაიშვიათად, ორიგინალის ენაზეც გადმოგვცემს. შორს რომ აღარ წავიდეთ, ციტირებული ტექსტის შემდგომ აბზაცში სხვა ქართული გვარ-სახელი – სერაპიონ ზარზმელი დედნის ფორმით აქვს გადმოცემული. მაშ რაღა-ტომ დასჭირდა კ. კეკელიძის ციტირებისას ქართული გვარ-სახელის სომხურად გადაკეთება, რა საფუძველი გააჩნდა საამისოდ? რა თქმა უნდა, არავითარი. სარგის თმოგველის ქართველობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, ის ქართული ლიტერატურის ასპარეზზე ცნობილი მოღვაწე, ვისრამიანის ქართულ ენაზე ბრწყინვალე მთარგმნელია. საქმე ისაა, რომ ამჯერად დიდი ლიტერატურული განძის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობაზე მსჯელობასთან უშუალოდ შეხვედრისას, ეტყობა, პ. მურადიანში მიკერძოების ინსტინქტმა იმძლავრა, ცდუნებას ველა გაუძლო და შუა საუკუნეების პოპულარულ ქართველ მოღვაწეს სახელი და გვარი სომხურად გადაუკეთა, შემდეგ კი პოემის ავტორობაც მიაწერა, რითაც მეოთხეობა ყალბი განცდა გაუღვია. რა თქმა უნდა, ამით რუსთველოლოგიას არც არაფერი დაკლებია და არც არაფერი შემატებია. უბრალოდ, სამწუხაროა, როცა პროფესიონალი მკვლევარი მეცნიერული ინტერესებიდან შორს მდგომ განწყობილებას ასე შიშვლად ამჟღავნებს.

შუა საუკუნეების კავკასიაში სომხეთის კულტურული მოწინავეობის თემას ავითარებს პ. მურადიანი 1982 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „კავკასიური კულტურული სამყარო და გრიგოლ განმანათლებლის კულტი“, რომელიც დაიბეჭდა კრებულში „Кавказ и Византия“-ს №3-ში. კავკასიის კულტურული ერთიანობის 6. მარისეულ თეზისზე დაყრდნო-

¹⁸⁵ ქართველი მეოთხეობის მიზანის გამოცემის გვინაობაზე. კ. კეკელიძე.

¹⁸⁶ ქართველი მეოთხეობის მიზანის გამოცემის გვინაობაზე. კ. კეკელიძე.

¹⁸⁷ ქართველი მეოთხეობის მიზანის გამოცემის გვინაობაზე. კ. კეკელიძე.

ბით, იგი ცდილობს ამ ერთიანობის გამოხატულებად და სიმბოლოდ სომხეთის გამქრისტიანებელი გრიგოლ განმანათლებელი წარმოგვიდგინოს. მისი მტკიცებით, ლაზარ ფარპეცის ცნობა არშუშა ქართლის პიტიახშის მიერ გრიგოლის განმანათლებლად აღიარების თაობაზე, სომხების ტენდენციური გამონაგონი კი არ არის, არამედ სამივე ეკლესის – სომხურის, ქართულის, ალბანურის – ოფიციალური კონცეფციაა¹⁸⁸. მისივე მტკიცებით, მ. ხორენაცის მასალები მოწმობს ნუნე/ნინოს თანდათანობითი დავინცების პროცესს და მისი სახის გრიგოლის სახეში შერწყმას, რამდენადაც ქართველები გრიგოლს, როგორც განმანათლებელს, უკვე V ს. მეორე ნახევრიდან აღიარებდნენ¹⁸⁹.

შუა საუკუნეების კავკასიაში სომხეთის კულტურული უპირატესობის თემა დომინირებს სომხური არქიტექტურის ისტორიის მკვლევართა შრომებშიც. უკვე დასახელებულ ავტორთა გარდა (ტოკარსკი, მართუნიანი და სხვ.) ტიბურია ს. მნაცაკანიანის „სომხეთსა და ბიზანტიაში ჯვარგუმბათოვანი ტაძრების გენეზისის საკითხებისათვის“, რომელიც სომხეთის ისტორიულ-ფილოლოგიური უურნალის 1978 წლის №1 -ში გამოქვეყნდა. მისი განმაზოგადებელი დასკვნით, ტაძრების ჯვარგუმბათოვანი ტიპი, რომელიც პირველად სომხეთში შეიქმნა V-VI საუკუნეების მიჯნაზე (ტეკორის ტაძარი), აქვე განიცადა აყვავება და მთლიანად შეცვალა რა გუმბათოვანი ბაზილიკა, იქცა ძირითად, წამყვან ტიპად საშუალობიზანტიურ ხუროთმოძღვრებაში. ბიზანტიოდან ის გავრცელდა მართლმადიდებლური ქვეყნების არქიტექტურაში, სადაც სულ მალე წამყვანი მდგომარეობა დაიყავა შუასაუკუნოვანი ბევრი ოსტატის შემოქმედებაში¹⁹⁰. აქედან გამომდინარე დასკვნით, სომხურ არქიტექტურასა და მის გამომსახველ მხატვრულ ფორმებს საქართველოშიც შემოუღწევიათ, მაგრამ არა უშუალოდ სომხეთიდან, არამედ ბიზანტიის გზით.

სომხები ისტორიკოსების ტენდენციური დამოკიდებულება ისტორიული თემების გაშუქებისას ადრევე შეამჩნიეს და აღნიშნეს არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშიც. მრავალთაგან საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ცნობილი ბიზანტიოლოგის, ხელოვნებათმცოდნისა და საეკლესიო ისტორიის მკვლევრის რემონ ჟანენის (1882-1972) ზოგიერთ შენიშვნას. 1924 წ. იგი წერდა: სომხებმა ისტორიკოსებმა

¹⁸⁸ პ. მურადიანი, კავკასიური კულტურული სამყარო და გრიგოლ განმანათ 263ლებლის კულტი, გვ. 10-11.

¹⁸⁹ იქვე.

¹⁹⁰ იხ. მეტადი მეტადი მეტადი N 1, 1978, 239.

წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ შეთხეს მთელი სერია ლეგენდებისა, აშკარად იმ მიზნით, რომ კავკასიის რეგიონებში ჭეშმარიტი სარწმუნოების შემოღების პატივი თავიანთი ქვეყნისათვის მიენიჭებინათ... დღეისათვის კარგად არის ცნობილი მოვსეს ხორენაცის მიერ ისტორიის სისტემატური დამახინჯება თავისი სამშობლოს სასარგებლოდ... საკუთარი ერის პრესტიუს ასამაღლებლად სომხები ისტორიკოსები ერთსულოვნად თვლიან, რომ წმინდა გრიგოლ განმანათლებელი ღმერთმა მოუკლინა მწედ წმინდა ნინოს მის სამოციქულო მოღვაწეობაში¹⁹¹. სომხური ტრადიციის გაზიარებას რემონ ჟანენი შეუძლებლად თვლის რიგ გარემოებათა გამო. მათ შორის 1. გრიგოლ განმანათლებელი 315-320 წლებს შორის, ე. ი. ჩვენთვის საინტერესო მოვლენებზე რამდენიმე წლით ადრე უნდა გარდაცვლილყო. 2. ლათინი და ბერძენი ავტორები, როგორიცაა რუფინუსი, თეოდორიტე, სოკრატე, სოზიმენე, რომლებიც ამ მოვლენებთან საკმაოდ ახლო ეპოქაში წერდნენ და, რომელთაც არავითარი ინტერესი არ ჰქონდათ, რომ დაემახინჯებინათ ფაქტები სომხეთა საზიანოდ, საერთოდ არაფერს ამბობენ წმინდა ნინოს ურთიერთობის შესახებ გრიგოლ განმანათლებლთან. არც შემდგომდროინდელი ბიზანტიილი ისტორიკოსები, მაგალითად, გელასი კვიზიკელიც ამბობს რაიმეს ამის თაობაზე. 3. თუკი საქართველომ ჭეშმარიტი სარწმუნოება სომხეთისაგან მიიღო, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ იგი ასე დიდი ხნის განმავლობაში ანტიოქიის ეკლესიაზე იყო დამოკიდებული? სომხეთა კათალიკოსები ემორჩილებოდნენ ქესარიას და არა ანტიოქიას¹⁹². რემონ ჟანენის სიტყვით, სომხები უფრო შორსაც მიღიოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მათი კათალიკოსები ფაქტობრივ იურისიდეციას ახორციელებდნენ ამ მეზობელ ქვეყანაზე ჭეშმარიტი რწმენის შემოღებიდან VI ს. პოლომდე, ე. ი. დაახლოებით სამი საუკუნის მანძილზე. მისი აზრით, ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის შექმნილი დაძაბული სიტუაცია მაინც გარედან მომართული ირანის პოლიტიკის შედეგი იყო. შესაძლოა, ზოგი პროვინცია და არა მთელი ერი ემორჩილებოდა სომებს კათალიკოსებს, როცა ეს ნაწილი სპარსელთა ულელქვეშ მოექცა 498 წლიდან.

ქართველ მეცნიერთა უახლესმა გამოკვლევებმა ძირითად ნაწილში დაადასტურა რემონ ჟანენის დაკვირვებების სისწორე კავკასიაში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებაში ქართველ და სომებს მისიონერთა როლსა და მათ ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე. მაგალითად, ქ-მა ნინო აფციაურმა „გრიგოლის ცხოვრებათა ციკლის დაწვრილებით

¹⁹¹ რემონ ჟანენი, საქართველო, თბილისი, 1996, გვ. 21.

¹⁹² იქვე, გვ. 22.

შესწავლის საფუძველზე ცხადყო, რომ სომეხი განმანათლებელი მხოლოდ სომეხთა მომქმეველია, რამდენადაც სხვადასხვა რედაქციებში დასახელებული ტოპონიმები დიდი სომხეთის ტერიტორიული საზღვრების კონტურებს ჰქმნიან. სომეხთა მომქმეველის მნიშვნელობის კავკასიის მასშტაბით გაფართოება კი „გრიგოლის ცხოვრების“ ცნობა-თა არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია¹⁹³. მ. ჩხარტიშვილის გამოკვლევითაც „ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები“, თბილისი, 1987 წ., გრიგოლ განმანათლებლის საერთო კავკასიურ მოლვანედ გამოყვანა ტენდენციური ინტერპრეტაციის შედეგია. მისივე დასკვნით, ნინო, როგორც ქართველთა განმანათლებელი, ქართლში ქრისტიანობის მთელი ისტორიის მანძილზე იყო აღიარებული და „ნინოს ცხოვრების“ ადგილობრივი ვერსია უკვე IV საუკუნეშივე არსებობდა. რაც შეეხება ქართული და სომხური ეკლესიების იერარქიული დამოკიდებულების თაობაზე სომხურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ თვალსაზრისს, დიდი დამაჯერებლობითაა ის უარყოფილი ზაზა ალექსიძის გამოკვლევებში, რაზეც უკვე ითქვა.

ბიზანტიურ კულტურულ ტრადიციებთან მიმართებაში განიხილავს რემონ ჟანენი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ხასიათს და ერთობ საყურადღებო დასკვნებამდეც მიდის, რომელთა გათვალისწინება, ვფიქრობ, უფრო ზომიერს გახდის სომხური არქიტექტურის ისტორიის მკვლევართა გაზრდილ პრეტენზიებს. იგი წერს: კავკასიაში აგებული პირველი ძეგლები ბიზანტიური ხუროთმოძღვრული ნაგებობების ნიმუშებს ნარმოადგენდა. უმნიშვნელოვანესი ეპოქის XI-XV სს. ძეგლებს აქვთ ბიზანტიური კონსტრუქციების ძირითადი ელემენტები: ბერძნული ჯვრის ფორმის გეგმა, გუმბათი და სხვ. შუა საუკუნეების ბოლო პერიოდში საბერძნეთის ეკლესიებთან უფრო თვალსაზრის მსგავსება იყრდნობა. მრავალრიცხოვან ანალოგიებს ვხვდებით, აგრეთვე, წინა აზიში, სირიაშია კერძოდ, პორანში პირველ საუკუნეებში აგებულ ეკლესიებთან. მიუხედავად ასეთი მრავალმხრივი გავლენისა, ქართული ხუროთმოძღვრება, ძირითადად მაინც, თვითმყოფადია. მასში გამოხატულია ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც მკაფიოდ განასხვავებს მას მეზობელი სომხური ხუროთმოძღვრებისაგან, რომელმაც ისეთივე გავლენები განიცადა¹⁹⁴.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საბჭოთა სომხური ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილი, აგრძელებს რა თავის წინამორბედთა ტრადიციებს, ქართულ-სომხურ ისტორიულ ურთიერთობათა თემის გაშუქებისას, ისტორიული და თანამედროვე საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილს – ტაო-კლარჯეთს, სამცხე-ჯავახეთს და ქვემო ქართლს მთლიანად (ზოგჯერ კახეთსაც) სომხური კულტურისა და პოლიტიკური თუ ეთნიკური ისტორიის ასპარეზად წარმოუდგენს მკითხველს, რითაც ცდილობს დამაჯერებლობა შესძინოს საქართველოს მიმართ აშკარა თუ ფარულ ტერიტორიულ პრეტენზიებს, რის გარეგნულ გამოვლინებასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოადგენს მის მიერ ქართული ტოპონიმების სომხური ფორმით გადმოცემა, მაგალითად, „ტაიქ“, „კლარჯე“, „ჯავახე“, „თრელქე“ და ა. შ.

¹⁹³ 6. აფიაური, გრიგოლ განმანათლებლის ქადაგებათა საზღვრები, კრ. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1991, გვ. 85-102.

¹⁹⁴ რემონ ჟანენი, საქართველო, გვ. 62.

ახალი ხედვა, თუ ქველი ინორცია?

საქართველოსა და მისი ისტორიის მიმართ წინა თავებში აღწერილი დამოკიდებულება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის დაშლისა და გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დამოუკიდებელი ქართული და სომხური სახელმწიფოების შექმნის შემდეგ, როცა საზოგადოება საბოლოოდ განთავისუფლდა საბჭოთა იდეოლოგიის მარნუბებიდან და სომხური ისტორიოგრაფიის რიგმა წარმომადგენლებმა, რომელთაც სითამამე ისედაც არ აკლდათ, დაუფარვად გამოხატეს შორის მიმავალი გეოპოლიტიკური ზრახვები. აკად. ლენდრუშ ხურშუდიანმა ერევანში გამოაქვეყნა სტატია – „სომხეთის ეროვნული იდეოლოგია: არსი და შინაარსი“, სადაც წამოყენებულია „დიდი სომხეთის“ (ზღვიდან ზღვამდე) აღდგენის ეტაპობრივი გეგმა¹. დაშნაკთა პარტიის ამ ცნობილი ფანტასტიკური გეგმის რეალიზაციისათვის ბრძოლის ასპარეზზე ამჯერად, ძირითადად, ახალი თაობის წარმომადგენლები გამოჩნდნენ, რომელთა შორის უურნალისტებმა, მწერლებმა, პოლიტოლოგებმა, სხვადასხვა დარგის არაპროფესიონალებმა იმდლავრეს. წარსულის კრიტიკული შესწავლის ნაცვლად, მათ წინამორბედი და უფრო-სი თაობის მიერ გაყალბებული ისტორიის ბაზაზე დაშნაკური იდეების პროპაგანდას მიჰყევს ხელი და ამ პროცესში არასერიოზულობის ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯეს. სიცრუე, სიყალბე, არაკომპეტენტურობა ამ რიგის „მეკლევართა“ საერთო დამახასიათებელ ნიშნად იქცა. სამაგიეროდ, ეს პროპაგანდა ორგანიზაციულად უფრო ქმედითუნარიანი და ფართო მასშტაბისა აღმოჩნდა.

ამ კამპანიის ავანგარდშია სომხური არქიტექტურის შემსწავლელი ორგანიზაცია, ინგლისური აბრევიატურით – RAA, რომელიც აქვეყნებს „სამეცნიერო შრომების ერგებულებს, სერიულ გამოცემებს, მათ შორისაა

– „სომხური ისტორიული დასახლებანი“, ამ დასახლებათა ცალკეულ ბუკლეტებს, რუკა-ცნობარებს და ა. შ. ამ ორგანიზაციის წევრთა მთელი ძალისხმევა ნიშანდობლივად მიმართულია მაინცდამაინც თავისი ჩრდილოელი ისტორიული მეზობელი ქვეყნებისაკენ მაშინ, როდესაც სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის სივრცეებზე თავიანთი ისტორიული უფლების დამტკიცებას, ეჭვი არაა, რომ მართლაც შეძლებდნენ, მთელი ეს წამოწყება ახლა უკვე სამწუხარო ანაქრონიზმს რომ არ განეცუთვნებოდეს.

1992 წ. ხსენებულმა ორგანიზაციამ „სომხური ისტორიული დასახლებების“ სერიით ერევანში გამოსცა სამენოვანი (სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე) ბუკლეტი სათაურით „ახალქალაქი“. გარეკანის ბოლო გვერდზე „დიდი სომხეთის“ რუკა და მომავალში გამოსაცემი ბუკლეტების რუკაა მოცემული, სადაც ქვემო ქართლის, ჯავახეთისა და სამცხის 30 სოფელი და ქალაქი ისტორიული სომხეთის დასახლებებსაა მითვლილი. თვით ტექსტის ძალზე მცირე მოცულობაც (სულ რაღაც ორ გვერდამდე) თავიდანვე ცხადყოფს, რომ მკითხველისათვის ახალქალაქის წარსულსა და ანძყოზე ობიექტური, მეცნიერული ცოდნის მიწოდება მისი ავტორის ინტერესებში არ შედის. იგი კმაყოფილდება ზოგადი და კატეგორიული განცხადებით, რომლის მიხედვითაც „ახალქალაქი მთავარი დასახლებაა გუგარქის გავარ (ანუ პროვინცია) ჯავახეში“. ამგვარივე განცხადებით სომხური მოსახლეობა აქ IX-X საუკუნეებიდანაა, რის დასამტკიცებლადაც მითითებულია ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი საფლავის ქვა 1301 წლისა და ახალ ეკლესიაში ჩაშენებული 1289 წ. სომხური ქვაჯარი, აგრეთვე, ქალაქის მახლობლად მდებარე XII-XIII სს. ეკლესია, რაც წამდვილად არასაკარისაა. ტექსტის დანარჩენი ნაწილი ეთმობა რუსული ჯარის მიერ ახალქალაქის აღებას და მათ მიერ არზრუმიდან ჩამოსახლებული სომხებით ამ მხარის კოლონიზაციის აღნერას. თუ შეუ საუკუნეების ახალქალაქის ისტორიის გადმოცემას 22 სტრიქონი ეთმობა, XIX ს. ქალაქის ისტორიის გადმოცემას – ორჯერ მეტი, რაც არაპირდაპირ იმაზეც მიუთითებს, რომ ახალქალაქისა და ჯავახეთის სომხური მოსახლეობის ისტორია, რეალურად ამ დროიდან იჩყება. მიუხედავად ამგვარი შედეგებისა, გამოცემის არჩეული ფორმა (ე. ი. ბუკლეტი) მის ავტორს უფრო მეტ საშუალებას აძლევს მკითხველს ის ცოდნა მიაწოდოს, რაც მას აწყობს, საწინააღმდეგოს კი უფრო მოხერხებულად აარიდოს თავი. ნორმალურ ვითარებაში, ასეთი ნაშრომები მეცნიერულ მონაცემებს უნდა ემყარებოდეს და არა, პირიქით, პოლიტიკა განსაზღვრავდეს ფაქტების განხილვის

¹ იხ. გაზ. „კავკასიონი“, 1999, 17-23 თებერვალი.

წესს. ხსენებული ორგანიზაციის საგამომცემლო გეგმები და უკვე გამოცემული პროდუქცია ეჭვს აღარ გვიტოვებს, რომ ამ ბუკლეტით ისტორიის გაყალბების კერძო შემთხვევასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ, ანტიმეცნიერულ და ანტიმეზობლურ ფართო კამპანიასთან. ამიტომ მისასალმებელია უურნალ „არტანუჯის“ რედაქციის ინიციატივა, რომელმაც ცნობილ მეცნიერს, ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტს, დევი ბერძენიშვილს სთხოვა პასუხის გაცემა ბუკლეტში აღძრულ პრობლემზე, რისთვისაც მას უურნალ „არტანუჯის“ მთელი ნომერი დაეთმო (1998 წ. № 7).

პირველწლიურობის ფართო სპექტრის საფუძველზე დ. ბერძენიშვილმა ახალქალაქისა და ჯავახეთის ისტორიის თანამიმდევრული სურათი წარმოუდგინა მკითხველს უფლებისი დროიდან დღემდე, რამაც ნათლად ცხადყო ბუკლეტის ავტორის განცხადებათა სრული უსაფუძლობა. ამასთან, სომები ავტორი ამხილა თვალთმაქცობასა და არაკეთილსინდისიერებაში, რომელიც ამ გზით ცდილობს ფაქტებისა და წყაროთა მონაცემების შინაარსის მისთვის სასურველი მიმართულებით გახმიანებას. მაგალითად, ბუკლეტის ტექსტის მიხედვით, ახალქალაქი ორი მდინარის შესაყარშია, რომელთაგან ერთია „ფარვანა (ე. ი. თავფარავნის წყალი), მეორე კი – „ქარასუნ ალბიურ“ (ორმოცი წყარო). ასეთი სახელწოდება არ არსებობს. ესაა სომხური თარგმანი თურქული ყირხბულახისა, რომელიც რუსულ ხუთვერსიან რუკაზეა აღნიშნული. უფრო ადრე მას დღივისწყალი, ხოლო ძველ ქართველ ისტორიკოსებთან ახალქალაქისწყალი ეწოდებოდა. მდინარის გვიანი, თურქული სახელწოდების სომხურად გადაკეთებით ტექსტის ავტორი ცდილობს როგორმე დაამკიდროს ჰიდრონიმის სომხური ფორმა, შენიშნავს დ. ბერძენიშვილი². ბუკლეტში მოყვანილია ახალქალაქის სომხური და სხვა ეროვნების მოსახლეობის რაოდენობის ამსახველი ცხრილი, რომლის მოწმობითაც სომხები რაოდენობრივად დიდად სჭარბობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. ამ თანაფარდობის ყველაზე ადრეული მაჩვენებელი 1851 წლიდან იწყება და გრძელდება 1976 წლამდე. ცხრილი ასახავს ისტორიულ პერიოდს, როცა ცარიზმის მოხელეებმა, შემდეგ კი საბჭოთა მთავრობამაც პალიტიკური მოსაზრებით დემოგრაფიული სიტუაცია ამ რეგიონში ძალის გამოყენებით ძირეულად შეცვალა სომხეთა სასარგებლოდ. ბუკლეტის ავტორი კი XIX ს. 30-იანი წლების შემდგომი ხანის

მოვლენების დასახელებისა და მოყვანილი ცხრილის შთამბეჭდავი ციფრების ჩვენებით აკეთებს განმაზოგადებელ დასკვნას, რომ „ახალქალაქში ყოველთვის სომხური მოსახლეობა ჭარბობდა“-ო. ამის გამო, დ. ბერძენიშვილი სავსებით მართებულად შენიშნავს: თავისი ისტორიის მთელ მანძილზე ახალქალაქი ქართული დასახლება იყო საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, ამიტომ ბუკლეტის ავტორის აზრი, სომხური მოსახლეობის აქ მუდმივ უმეტესობაზე, აშკარა სიყალება³. მსგავს სიყალებთა მაგალითები სხვაც არაერთია. თუნდაც ის, რომ XIX ს. ხაჩქარებს ბუკლეტის ავტორი IX-X სს.ად ასაღებს, რათა ახალქალაქში სომხური დასახლების არსებობა ამ საუკუნით დაათარიღოს. ხელოვნებათმოცდნე ეკა ჯანდიერი განმარტავს: ეს ცალკეული ხაჩქარები, არქეოლოგიური სტრატიგრაფიის მიხედვით XIX ს. 30 წლების შემდეგ აქ გადმოსახლებულ სომებს მოახალშენეთა ნაკვალევია. ამ ქვების გვიანდელ წარმომავლობაზე არა მარტო ორნამენტის ანალიზი, არამედ მათი გარეგნული იერიც და უზადო შენახულობაც მეტყველებს. პასკევიჩის ალყა და 300 ზარბაზნის შტურმს რაღა მარტო ეს ხაჩქარები გადაურჩა ზედაპირზე უვნებლად, როცა მთელი ციხე თავისი ოთხსართულიანი კოშკებით ჩამოილენა. მაგალითების გამრავლება კიდევაც შეიძლებოდა, მაგრამ მოყვანილიც, უფიქრობ, საქართველოს უნდა იყოს ბუკლეტის ავტორის კვალიფიკაციისა და მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერების ნარმოსადგენად.

დ. ბერძენიშვილის მიერ მეაცრი მეცნიერული სიზუსტით წარმოდგენილი მდიდარი ისტორიული ფაქტები ახალქალაქსა და მთლიანად ჯავახეთს გვიხსიათებს, როგორც დიდი წარსული მქონე, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოს უმნიშვნელოვანეს და ქართული კულტურის სანიმუშო რეგიონს. ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგიურმა გათხრებმა გამორავლინა ენეოლიტური და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, როცა სომხები კავკასიაშიც ჯერ არ იყვნენ, რის გამოც, ჩანს, ბუკლეტის ავტორი ამ მნიშვნელოვან ფაქტს, საერთოდ, არც ახსენებს. ასევე დუმილით გვერდს უვლის ქ. წ. VIII ს. ურარტულ წყაროებში მოხსენიებულ ქვეყანა „ზაბაზა“-ს ანუ ჯავახეთს, რომელსაც მძიმე ბრძოლები ჰქონდა ურარტელებთან. ძველი ჯავახეთის ქართლთან უახლოეს კავშირზე მეტყველებს იბერიის არისტოკრატიაში საკუთარ სახელად ქცეული ჯავახ (ზევახ)-ის პოპულარობა. ეს სახელი

² უურნ. „არტანუჯი“, 1998, № 7, გვ. 12.

³ უურნ. „არტანუჯი“, 1998, № 7, გვ. 25.

არმაზის ნარჩერებში სამგზისაა დადასტურებული II ს. იბერიის პიტიახ-შების საკუთარ სახელად (შდრ.: კახა – კახეთი). ქართული წყაროების მიხედვით, წუნდის საერისთავოში გაერთიანებული ჯავახეთი უძველესი დროიდანვე ქართლის მეფეს ემირჩილებოდა. პირველი ქართული ეკლესიები იქ IV-VI საუკუნეებში აშენდა, ხოლო ვახტანგ გორგასალმა ჯავახეთში საეპისკოპოსი კათედრა დააარსა. არაბული და სომხური წყაროები (ბალაზორი, იოანე მამიკონანი) ჯავახეთს ქართლის იმ მხარეთა შორის ასახელებენ, რომლებიც არაპეტმა VII ს. დაიპყრეს. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილი და შესწავლილია ძველი ქართული ეკლესის IX-X სს. ნაშთი, ე. ნ. „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ცენტრალურებუმბათოვანი ნაგებობა. მის ნაგრევებში ნაპოვნი ქვაჯვართა ბაზისები და კარნიზები კი V-VII და VIII-IX სს. განეკუთვნება. ივარაუდება, რომ ისინი IX-X სს. ეკლესის მშენებლობაში იქ არსებული უფრო ძველი სამლოცველოებიდან მოხვდნენ. ხაჩქარებზე უფრო ადრეული და მნიშვნელოვანი ძეგლებით დასტურდება, რომ ახალქალაქის კონცხზე არსებული მოზრდილი სამოსახლო იმდენად დანინაურებულა, რომ XI სისათვის იგი ჯავახეთის უმნიშვნელოვანესი ცენტრი გამხდარა და ბაგრატ IV-ის დაქვემდებარებაში გადასულა, რომელსაც მეფემ ზღუდეც შემოვლო. დ. ბერძენიშვილს, ამასთან, მოჰყავს ვრცელი ამონაწერები წყაროებიდან ახალქალაქს თავსგადამხდარი ომების თაობაზე და საგანგებოდ მოყვანილ ამ ამონაწერებში ნიშანდობლივად არ ჩანან სომხები. ყველგან ხაზგასმულია „ახალქალაქის მკვიდრნი“, „დიდ-დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი“, „მესხნი აზნაურნი“, „ქართველები“ და „ქართველთა მელიქები“. არსაიდან ჩანს, რომ იქ „ისტორიული სომხური მოსახლეობა“ ყოფილიყოს. საყურადღებოა, რომ საერთოდ ჯავახეთის ეპიგრაფიკაში სომხური წარწერები XIV ს-მდე არ ჩანს, ხოლო ქართული წარწერების სიმრავლით ჩვენს ქვეყანაში ეს ერთერთი გამორჩეული მხარეა. 1595 წ. შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდანაც“ ჩანს, რომ ჯავახური სოფლების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქართველები არიან. არის სოფლები, სადაც ქართულ სახელებს შორის გამოერევა თითო-ოროლა კარაპეტ, ხაჩატურ, ტერაკოფ და სხვ. არის მაჰმადიანური სახელებიც. სამაგიეროდ, არსად ჩანს მხოლოდ სომხებით დასახლებული სოფლები. ოსმალთა ბატონობის პერიოდში ახალქალაქი კინდება, მოსახლეობისგან იცლება და კვლაც ქართლიდან გადმოსულებით იღსება, მაგრამ XVI-XVIII სს. ჯავახე-

თის ახალქალაქი ძირითადად მაინც ოსმალთა ჯარის სადგომი იყო, სადაც ძლივს ბოგინობდა ადგილობრივი მოსახლეობა⁴.

ამრიგად, ბუკლეტის ავტორის მტკიცება, თითქოს, ახალქალაქის სომხური მოსახლეობა ყოველთვის სჭარბობდა ქართულს, ძველი სომხური მითია მხოლოდ. საგულისხმოა ისიც, რომ ჯერ კიდევ 1919 წ. გაზაფხულზე დამფუძნებელი კრებისათვის მოწყობილი არჩევნების დროს ახალქალაქის მაზრაში, რომელიც სომხური მოსახლეობის განსაკუთრებული სიჭარბით გამოირჩეოდა მაშინ, არჩევნებში მონაწილე 21. 687 კაციდან 13 ათასმა ქართულ პარტიებს მისცა ხმა და მხოლოდ რვა ათასმა – სომხურს⁵. იმედია, ახალქალაქისა და ჯავახეთის სომხური მოსახლეობის 120 წლიანი ისტორია ვერ გადამლის იმავე მხარის რამდენიმე ათასი წლის ქართულ ისტორიას.

დ. ბერძენიშვილის პასუხის გამოქვეყნებიდან მოკლე ხანში, იმავე 1998 წ. სომხეთის გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დასტამბა სომხური არქიტექტურის შემსწავლელი ორგანიზაციის სამეცნიერო შრომების მორიგი წიგნი, რომელიც, ფაქტობრივად ისტორიული სიმართლის დამახინჯების ახალ სანიმუშო ცდას წარმოადგენს. წიგნის სათაური „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და სომხური კულტურის ძეგლები“ და განსაკუთრებით მისი შინაარსი, სამწუხაროდ, ვერაფრით ჰგავს მეცნიერებასთან თუნდაც მიახლოებულ ნაშრომს. წიგნს თავიდან ბოლომდე გასდევს თავშეუკავებელი, ღირსებას მოკლებული გამოთქმებით გამოხატული, ზღვარსგადაცილებული ემოციების ტალღა, რომელიც ავტორთა ნაღვანს წებით თუ უნებლიერ არასერიოზული პოლიტიკანობის ხასიათს აძლევს. კრებულის შემდგენლის, სამველ კარაპეტიანის განმარტებით, RAA-ს მთელი ძალები და სახსრები მიმართული აქვს მხოლოდ და მხოლოდ ახლანდელი სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ არსებულ სომხურ კულტურულ ფასეულობათა შესწავლისაკენ, ე. ი. ისტორიული სომხეთის ტერიტორიისაკენო. საქართველოში კი, მისივე თქმით, სომხური ძეგლები შემჩნეულია არა მარტო ისტორიული სომხეთის გუგარქის ოლქში, არამედ სხვა ადგილებშიც – ქართლში, კახეთში და სხვაგან⁶. ასე, კალმის ერთი მოსმით ქვემო ქართლი და საერთოდ მთელი სამხრეთი საქართველო ისტორიულ სომხეთადაა

⁴ ჟურნ. „არტანუჯი“, გვ. 13-27.

⁵ 3. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი, 1989, გვ. 60.

⁶ დასახელებული სომხური კრებული, გვ. 83.

გამოცხადებული. თავის აგრესიულ ზრახვათა გასამართლებლად ქართულ მხარეს ბრალს სდებს სომხური ძეგლების განადგურებაში და პროვოკაციულად აცხადებს, თითქოს, სომხური კულტურის ძეგლების არსებობა საქართველოში მიჩნეული იყოს საშიშად იმ მიზეზით, რომ თუ ქართლში, კახეთსა და იმერეთში სომხები, სხვების მსგავსად მოსულები არიან, ვითომც, სამხრეთ საქართველოში ისინი აბორიგენები იყვნენ. ამიტომაც, „უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სომხურმა ისტორიულმა ძეგლებმა სრულმასშტაბიანი და მიზანმიმართული განადგურება და მითვისება განიცადეს“⁷. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად კი ცილისმნამებლურად აცხადებს, თითქოს, სომხური ცივილიზაციის დამამტკიცებელ ძეგლებთან ერთად საქართველოში ბერძნული, რუსული და გერმანული ძეგლებიც მიზანმიმართულად ნადგურდებოდეს⁸. ფაქტობრივად კი, ს. კარაპეტიანის მთელი მრისხანება თბილისის სომხური ძეგლების „ნგრევისა და დაზიანების“ წინააღმდეგაა მიმართული, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დედაქალაქი „ისტორიული სომხეთის ტერიტორიის“ მიღმა უნდა ითვლებოდეს თითქოს. კრებულის შემდგენლის ტაქტიკური სვლა არც ისე ძნელი გამოსაცნობი უნდა იყოს. ს. კარაპეტიანი ერთდროულად ორი კურდლის დაჭერას აპირებს. ქვემო ქართლის მიტაცებასთან ერთად ყურადღების გადმოტანას ცდილობს ჯავახეთიდან, სადაც საუკუნეზე მეტია მიზანმიმართულად და სისტემატურად ნადგურდება სომხეთა გვიან მოსულობის მამხილებელი მრავალრიცხოვანი ქართული ძეგლები. გაღმა გამოდავებისა და ცილისნმების ხერხით ს. კარაპეტიანის გუნდის წევრები ცდილობენ ქართველთა წინააღმდეგ მიმართონ ისტორიულ ძეგლთა დაღუპვით გამოწვეული აღშფოთება. სინამდვილე კი თვით ამ კრებულში მოთავსებული ზოგიერთი წერილიდანაც კი უონავს. მაგალითად, სომხეთ-საქართველოს საზოგადოების წევრი არმენ ტერ სარქისიანი თავის სტატიაში აღიარებს, რომ რუსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ სოვეტიზირებულ ქვეყანაში დაიწყო საკულტო ნაგებობათა საყოველთაო მსხვრევა. მინის პირიდან დაუნდობლად იღვებოდა ტაძრები, ეკლესიები, მეჩეთები, მინარეთები, სინაგოგები. ამ პროცესმა ამიერკავკასიაც მოიცვა. თბილისში დანგრეულმა სომხურმა ეკლესიებმა ათს გადააჭარბა⁹. შემდეგ ჩამოთვლილია ამ პერიოდში

განადგურებული თითქმის ყველა ის ნაგებობა, რომელთა შესახებ წიგნის გვერდებზე ზარების რეკვაა ატეხილი. წიგნის ავტორებს უნდა შევახსენოთ, რომ იმ ავადხსენებულ 30-იან წლებში ქართული კულტურის ძეგლები გაცილებით მეტად დაზიანდა, ვიდრე სომხური და ამ საქმეში „ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა“ არაფერ შუაშია, მით უფრო უსაფუძღლოა პრეტენზიები დამოკიდებელი საქართველოს მთავრობის მიმართ.

RAA-ს წარმომადგენელთა განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ელიაზე ამიერკავკასიის მასშტაბებისთვის გრანდიოზული სამების ქართული ეკლესიის აშენებამ, რამდენადაც მათ რაღატომძაც საკუთრად მიჩნეული ტერიტორიის შეურაცხყოფად მიიჩნიეს, რის გამოც სამების მშენებლებს „ბარბაროსები“ უწოდეს¹⁰ და პროვოკაციულად განაცხადეს, თითქოს, მრისხანების ტალღამ გადაუარა საქართველოს სომხურ და რუსულ მოსახლეობას და იმუქრებოდნენ „აუცილებლად დაიქცევა სისხლზე, ძვლებზე და სიცრუუზე აგებული ქართული ტაძრებით“¹¹. მიუხედავად იმისა, რომ სამების ეკლესია აშენდა ძველი ქართული საკულტო ძეგლის ადგილას და მისი მშენებლობა სავსებით კანონიერი იყო, ქართველთა პატრიარქმა პატივისცემის ნიშნად ეს გადაწყვეტილება სრულიად სომხეთა კათალიკოსს შეუთანხმა, რომელიც მიესალმა კიდეც „ღვთის სასურველ“ ამ საქმეს¹².

მრუდე სარეკები ფაქტების ჩვენების მაგალითები წიგნში საკმაოდ ბევრია. მავნე ტენდენცია წიგნის ავტორთა პოლიტიკურ სიბეჭეზე მეტყველებს და მას ზიანის მეტი არაფერი შეუძლია მოუტანოს მეზობელი ხალხების ურთიერთობას. უღირსი გამოთქმების სიუხვეც (ქართველი ვანდალები, ბარბაროსები, ხულიგნები, მობანდიტო ქართველი მღვდლები, ქართული საპატრიარქოს ვანდალები და სხვ.) იმისთვისაა გამოყენებული, რომ საქართველოს სომხური მოსახლეობის გულებრყვილო ნანილში ქართული სახელმწიფოს, ქართული სამღვდელოებისა და საერთოდ ე. ნ. „დაუდევარი ქართველებისადმი“ სიძულვილი აღძრას, რაც, ეტყობა ვიღაცის (ალბათ საერთო მტრის) ინტერესებში შედის.

ყველაზე მიუღებელი ამ წიგნში მაინც ღიად გაცხადებული ტერიტორიული პრეტენზიებია. ს. კარაპეტიანი აკრიტიკებს რა ჟურნალ „არტანუჯში“ დაბეჭდილ დევი ბერძენიშვილის მაღალპროფესიულ, მეც-

⁷ დასახელებული სომხური კრებული, გვ. 7.

⁸ იქვე.

⁹ იქვე, გვ. 80-81.

¹⁰ დასახელებული სომხური კრებული, გვ. 51.

¹¹ იქვე, გვ. 52.

¹² იქვე, გვ. 51-52.

ნიერულ დონეზე შესრულებულ, ჩვენს მიერ უკვე ხსენებულ კრიტიკულ წერილს, რომელიც RAA-ს ასევე სხვა მავნე გამონათქვამებს ეხება, ყოველგვარი არგუმენტისა და მტკიცების გარეშე აცხადებს, რომ მას, თითქოს, მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მხოლოდ იმიტომა, რომ ქართველი მეცნიერი, თურმე, გაურბის შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში ფართოდ გავრცელებულ სახელს – „სომხითი“ და „ისტორიული სომხეთის ოლქის გუგარქის ჩრდილო რაიონების აღსანიშნავად იყენებს ტოპონიმ „ქვემო ქართლს“. ამით დევი ბერძენიშვილს სურს დაფაროს რეალობა, რომელსაც ტერმინი „სომხითი“ ანუ სომხეთი ასახავსო¹³. ამ შემთხვევაშიც ს. კარაპეტიანი, სხვა სომები ავტორების მსგავსად, თვალოთმაქცობს. ის აღარაფერს ამბობს იმაზე, რომ სომხური წყაროები იმავე ტერიტორიას „ვრაც დაშტს“ ანუ ქართველთა ველს უნდებენ, ძველი სომხური წყაროები მისთვის უკეთეს შემთხვევაში „გუგარქში“ ნარევ მოსახლეობას გულისხმობენ და იქ სომხები არ ეგულებათ. ტერმინი „სომხითი“ კი X ს. ჩნდება, როცა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე კვირიკიანთა მცირე სომხური სამეფო ჩამოყალიბდა. ნიშანდობლივია, რომ თანამედროვენი ამის შემდეგაც ამ რაიონს ისევ საქართველოდ აღიქვამდნენ. ეპისკოპოსი მხითარ აირივანეცი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე კვირიკიანთა სამეფოს წარმოქმნას ასე გადმოგვცემს: „981 წ. დაიწყო ბაგრატუნიანთა მეფობა ქართველებზე რამეთუ გურგენი გამეფდა საქართველოში, ხოლო მისი ძმა სმბატი სომხეთში¹⁴. აშეარა, რომ სომხები ეპისკოპოსის სომხეთა მიერ „გუგარქად“ წილებული ეს მხარე ეთნიკური და კულტურული ნიშნით საქართველოდ მიაჩნდა. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია. ასევე საფუძველს მოკლებულია ჯავახეთის სახელის სომხური ფორმით („ჯავახქ“) დაუინებული გადმოცემა და ამით გარკვეული ტერიტორიული პრეტენზიების აღდვრა. კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული საზღვრები ბევრად უფრო სამხრეთით იყო გავრცობილი და საუკუნეების მანძილზე იმდენად მყარი, რომ ამიერკავკასიის ადგინისტრაციულად მოწყობისას რუსეთის მთავრობა იძულებული იყო თბილისის გუბერნია ძველ ისტორიულ საზღვრებში მოექცია. სამაგიეროდ, საზღვრისპირა რაიონებში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა მექანიკურად და ძალადობრივი გზით ქართველთა საზიანოდ შეცვალა.

¹³ ხსენებული სომხური კრებული, გვ. 84.

¹⁴ მხითარ აირივანეცი, ქრონიკრაფიული ისტორია, ლ. დავლიანიძის გამოც. თბ., 1990, გვ. 74.

ამ გზას ადგა, როგორც თეთრი, ისე წითელი რუსეთი. ამგვარი საკითხების წამოწევა და მათ შესახებ დისკუსიების მოწყობა მეზობელი ხალხებისადმი მტრულად განწყობილი, პოლიტიკურად გაუმართავი სერიული გამოცემების გზით, განსაკუთრებით ახლა, როცა საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოთა ურთიერთობა თანამშრომლობის, საერთო ინტერესების შეგნებისა და ურთიერთგაების ნიშნით წარმატებით ვითარდება, უბრალოდ მავნეა და ენიანალმდეგება მეზობელი ხალხების საერთო ინტერესებს.

ამ საძრახის საქმეში განსაკუთრებულად აქტიურობს უკვე ხსენებული სამველ კარაპეტიანი. მის სახელთანაა დაკავშირებული RAA-ს მიერ 1995 წ. სომხურ ენაზე რუსა-ცნობარის „სომხური ეკლესიები საქართველოში“ გამოცემა, რომელიც სომხეთს გარდა თბილისის ეკლესიებშიც იყიდება. მის ავტორს საქართველოში აღრიცხული აქვს, მისი თქმით, 650 სომხური ეკლესია, რომელთაგან თოქმის ნახევარი, სინამდვილეში, სომხურს მინერილი ქართული ეკლესიებია, ამასთან ძალზე მცირეა მათ შორის ისტორიულ-კულტურული ღირებულების ძეგლები. მაგრა ეს ს. კარაპეტიანს არ ანალვებს, მისთვის მთავარია რაოდენობა, რომელმაც საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი რაიონების დასახელებული პუნქტები მთლიანად უნდა დაფაროს, რათა იქ ქართული ეკლესისათვის უბრალოდ მოსანიშნი ადგილიც არ დარჩეს. სწორედ ასეთია მისი რუსა-ცნობარიც, რომლის დანიშნულება ყველაზე გულუბრყველობ მკითხველისათვისას, ვფიქრობ, სავსებით გასაგებია. ს. კარაპეტიანი თავისი მოღვაწეობის გეოგრაფიულ არეალს თანდათან აფართოებს და 2002 წლისათვის უკვე ბეირუთში RAA-ს ეგიდით აქცეულებს რუსა-ცნობარს „ჯავახეთის ისტორიული ძეგლები“ (||||| ||||| |||||). ამჯერადაც არ დაღატობს ჩვევას და მის რუსა-ცნობარში მხოლოდ სომხურ ძეგლებს აფიქსირებს, განურჩევლად იმისა გააჩნიათ თუ არა მათ ისტორიული ან კულტურული ღირებულება. მიზანი იგივე რჩება. მკითხველი დაარწმუნოს ჯავახეთის სომხურ წარსულში, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ ძეგლთა უმეტესობა XIX-XX სს. განეკუთვნება¹⁵. იმავე 2002 წ. ბეირუთში სომხურ ენაზე გამოქვეყნდა მეცნიერული ნაშრომებისა და სტატიების მოზრდილი კრებული – „მშობლიური ჯავახეთი“. ს. კარაპეტიანს ამ კრებულში ეკუთვნის ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი სულისკვეთებით დაწერილი, სამი სტატია სადაც სიყალბე და ცილისწამებაც საკმაოდ უხვადაა თავ-

¹⁵ ის. ლიტერატურული საქართველო, 18-24 აქტომბერი, 2002 წ.

მოყრილი. თემატურად ახალია მისი წერილი „ქართული პოლიტიკა ახ-ალციხე-ახალქალაქის მაჰმადიანი მოსახლეობის საკითხთან დაკავშირებით“. პრობლემა ს. კარაპეტიანის არცთუ უსაფუძვლო შეშფოთებას ინვეცს, რამდენადაც მან კარგად იცის, რომ 1944 წ. სამცხე-ჯავახეთიდან შუა აზიაში გასახლებული მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ამ ქვეყნის მკვიდრი გამაჰმადიანებული მესხები (მუსლიმანი ქართველები) შეადგენდნენ და დაბრუნების შემთხვევაში მათთან შეხვედრა, ბუნებრივია, გააცოცხლებს უსიამო წარსულს, როცა XIX ს. 30 წლებში ძალით განდევნილი ამ მესხების წინაპართა საპინაძროზე ერზერუმიდან ჩამოსახლებული სომხები დამკვიდრა იმდროინდელი რუსეთის მთავრობამ¹⁶. ამიტომაც არის, რომ იმ დროიდან მოკიდებული დღემდე ჯავახეთის სომხური მოსახლეობა ს. კარაპეტიანისა და მათი მსგავსების წაქეზებით მიზანმიმართულად დღენიადაგ შლის ქართველთა კვალს საქართველოს ამ ძირძველ მიწა-წყალზე.

არსებითად წამქეზებური და აშკარად აგრესიულიცაა სომხეთის რუსულენოვან გაზეთში „ნოვოე ვრემიაში“ (2002 წ. 5 ნოემბერი) გამოქვეყნებული სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლისა და პოლიტოლოგის ალექსანდრე კანანიანის წერილი, რომელიც გაზეთის რედაქციის განმარტებით, ხსნის დაპირისპირებათა კვანძს, რომელიც ჯავახების ირგვლივ შეიკრაო. სამწუხაროდ, მეცნიერული საბუთიანობისა და ეთიკის დაცვის სანაცვლოდ, წერილი სავსეა თვალმაქცობის, ცილისნამებისა და წყაროების ცნობების გაყალბების მაგალითებით, დაშვებულია არაერთი ფაქტობრივი შეცდომაც.

ერთ-ერთი დიდი შეცდომა თუ ტყუილი, ანდა ორივე ერთად, ვფიქრობ, არის ალ. კანანიანის მიერ ამ წერილში წამოყენებული დებულება, თითქოს, „ჯავახეი“ სომეხი ერის გენეზისის არეალში შედიოდა. ამ დებულების სისწორეს, მისი თქმით, მოწმობს: „ჯავახეის“ ტოპონიმთა ეტიმოლოგია, ისევე, როგორც არქეოლოგიურ გათხრებში აღმოჩენილი უძველესი კულტურული პლასტები, მხარის ადრე შუასაუკუნოვანი ტრადიციების ერთიანობა, მისი მჭიდრო კავშირი სომხეთის ზეგანის საერთო ულტრულ არეალთან და ისტორიული წყაროები. საერთოდ ეთნოგენეზისის პრობლემა იმდენად რთულია, რომ ჩამოთვლილი ფაქტორების რეალურად არსებობის პირობებშიც კი დასმულ საკითხზე გადაწყვეტით პასუხის გაცემა შესაძლოა გაჭირდეს. ამ შემთხვევაში კი,

როცა დასახელებული ფაქტორები დიდი ეჭვის ქვეშაა, მით უმეტეს, რომ არც ერთ მათგანს კონკრეტული მაგალითი ან ცნობა საერთოდ არ ახლავს, ფაქტორთა მთელი ეს ერთობლიობა იმდენად ზოგადი და არაფრის მთქმელია, რომ ასეთივე „წარმატებით“ შეიძლება მიუდგეს ის ნებისმიერი ხალხის ეთნოგეზს. ალ. კანანიანს თავისი დებულების გასამართლებლად, თუნდაც ერთი სერიოზული გამოკვლევა მაიც რომ დაესახელებინა, კიდევ შეიძლებოდა მისთვის რალაცა ანგარიშის გაწევა, თორემ თვითონ, რომ ძველი ისტორიის სპეციალისტი არ არის და ეტყობა არც შუა საუკუნეებისა, ეს მისი წერილიანაც ცხადად ჩანს. მთელ ტექსტში წინააღმდეგობებით გაჯერებული ერთმანეთის გამომრიცხველი დებულებები მონაცვლეობს, რომელთა მიზანი თუმცა კი ჯავახეთის სომხური სამყაროსათვის კუთვნილების დამტკიცებაა, მაგრამ მისადაუნებურად საპირისპიროზე უფრო მეტყველებს. მაგალითად, ალ. კანანიანის თქმით, ქართული ეთნიკური ელემენტის შექრა ჯავახეთში უძველეს დროში ხდებოდა და ამ პროცესს მუდმივი ხასიათი ჰქონია, რაც XIX ს. პრესაზე დაყრდნობით დაუდგენია. IX ს-იდან მოყოლებული, განაგრძობს წერილის ავტორი, ჯავახეი ბაგრატიონების არტანუჯელი დინასტიის გავლენის ქვეშ ექცევა და ძლიერ ქალკედონურ ზენოლას განიცდის. შედეგად, სომხეთის ამ კუთხის მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილს, თავის პოლიტიკურ ხელისუფალთა მსგავსად, ქალკედონურ საქართველოსთან აქვს შეხება, მართლმადიდებლობას იღებს და ქართველება. ქალკედონური რწმენის აღმსარებელი ფეოდალები აშენებენ ეკლესიებს, სადაც ღვთისმასაურება წმინდა ბერძნული იყო, ოღონდ ქართულად აღსარულებოდა. ალ. კანანიანის შენიშვნით, ქართული ეპიგრაფიკა ჯავახეთში IX ს. გამოჩნდა და XIV ს. შეწყდა (აშენა ცრუობს ან არ იცის). XIV ს-იდან იქ მხოლოდ სომხურ ეპიგრაფიკას ვხვდებით (სინამდვილეში სომხური ეპიგრაფიკა აქ XIV ს-მდე არცა ჩანს) და განაგრძობს: ქართველთა მრავალსაუკუნოვანმა პოლიტიკურმა ბატონობამ ვერ შერყვნა ჯავახების ეთნიკური სახეო. ქალკედონიზმის მიმდევრებმა და გაქართველებულმა სომხებმა თურქეთის ბატონობის დასაწყისშივე მიიღეს ისლამი. სომხური მოსახლეობა კი, უმძიმესი წნევის გამო, თანდათან შემცირდა. ამრიგად, 1830 წ. ჯავახეში სომეხი მოსახლეობის გადასახლება უნდა განვიხილოთ არა როგორც საქართველოს ტერიტორიის „კოლონიზაცია“, არამედ სომხური მოსახლეობის მიგრაცია მისი ერთი რეგიონიდან მეორეშით.

თუკი ალ. კანანიანისავე დაკვირვებით ქართული ეთნიკური ელემენტის, ძირითადად, მესაქონლეების ჯავახეთში შექრა უძველესი ხანი-

¹⁶ იხ. ლიტერატურული საქართველო, 2-8 მაისი, 2003 წ.

დანვე ხდებოდა და ამ პროცესს მუდმივი ხასიათი ჰქონდა, ე. ი. „ქართული ელემენტი“ იქ მყარად იჯდა, თუ IX ს-იდან მოყოლებული იქ ქართველი ბაგრატიონები ბატონობდნენ და მათ „სომხეთის ამ კუთხის მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი“ გაუქართველებიათ კიდეც, ხოლო სომხეთა კვალის მანიშნებლი ეპიგრაფიკა მხოლოდ XIV ს-იდან ჩნდება, აქედან როგორდა გამოჰყავს დასკვნა, რომ ქართველთა მრავალ-საუკუნოვანმა პოლიტიკურმა ბატონობამ ვერ შერყვნა „ჯავახების“ ეთნიკური სახეო? ანდა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური ბატონობა, რომ ალ. კანანიანის მიხედვით, ოსმალთა ბატონობით შეიცვალა, რის შედეგაც სომხური მოსახლეობა ძალზე შემცირდა, ასეთ პოლიტიკურ სურათზე სადღარა „ჯავახების“ ადგილი? რა თქმა უნდა, ქართლის ეს განაპირა მხარე ანუ ქართული წყაროების ზემო ქართლი ძველ და შუა საუკუნეებში ყოველთვის ჯავახეთად შეიცნობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სომხური დაპყრობების რამდენიმე უმნიშვნელო ეპიზოდს. რაც შეეხება ეთნოგრანეზთან დაკავშირებით ალ. კანანიანის მიერ დასახელებულ ფაქტორებს, უნდა შევნიშნოთ, რომ ისევე როგორც მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ჯავახეთის ტოპონიმიაშიც შეინიშნება ზანური ენის ნაკვალევი. ფიქრობენ, რომ სახელებში – ჭობარეთი, ტოლოში, დადეში, ორხოფია, მირაშენი, კორუშეთი, კვარშა, ბურნაშეთი, სალოშეთი, არეშტი, ბარალეთი, ჯანჯალა, ორჯა, ჩუნჩხა, ოლოდა, ეშტიონ და სხვა მრავალი უნდა იყოს შემონახული უძველესი ზანური სახელწოდებანი. არქეოლოგიურ მასალაშიც კარგად ჩანს კოლხური ბრინჯაოს კვალი. ჯავახეთში დადასტურებულია როგორც დასავლურქართული, ისე აღმოსავლურქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ნივთები¹⁷. ჯავახეთის ტოპონიმების უდიდესი ნაწილი, ცხადია, ქართულია, თუმცა, როგორც დ. ბერძენიშვილი ვარაუდობს, სომხეთა მიერ დროდადრო დაპყრობილ ჯავახეთში ძველთაგანვე იქნებოდა სომხური მოსახლეობაც, რის მონ-მობადაც გაისმის ჯავახეთის ძველი ცენტრის – წუნდის სომხური სახელწოდება. მიუხედავად ამისა, განაგრძობს ქართველი მკვლევარი, ჯავახეთში არ შემოგვრჩენია უძველესი სომხური წარწერები, ასეთი აქ მხოლოდ ქართული ჩანს¹⁸, რაც ხსენებულ დაპყრობათა ეპიზოდურ და უმნიშვნელო ხასიათზე უნდა მიუთითებდეს.

¹⁷ იხ. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფი-იდან, თბილისი, 1985, გვ. 125.

¹⁸ იქვე, გვ. 126.

ასე რომ, ალ. კანანიანის უმთავრეს მიგნებას, თითქოს, „1830 წელს ჯავახები სომხეთი მოსახლეობის გადასახლება უნდა განვიხილოთ არა როგორც საქართველოს ტერიტორიის „კოლონიზაცია“, არამედ სომხური მოსახლეობის მიგრაცია მისი ერთი რეგიონიდან მეორეში“, არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გაჩნია.

მეცნიერულ პრობლემებზე და თუნდაც პოლიტიკურ საკითხებზეც კამათი, რა თქმა უნდა, შეიძლება და საჭიროცაა, მაგრამ პატიონსად, ობიექტურად, არგუმენტებისა და საბუთების წარმოდგენით. მაგრამ, როცა ამის სანაცვლოდ, მეცნიერის პრეტენზის მქონე პირი ცილისნამებას მიმართავს და ისეთ დიდ მეცნიერებს, როგორიც ივანე ჯავახეშვილი და ნიკო ბერძენიშვილი იყო, მეცნიერული კეთილსინდისიერების და პრიცეპულობის ნამდვილ ეტალონებს, აუგად და ცუდ ტონში მოიხსენიებს, წერილის ავტორი პირველ რიგში საკუთარ პიროვნულ ღირსებაზე იღებს ხელს. აშკარაა, რომ ალ. კანანიანს ნ. ბერძენიშვილის „არქეოლოგიური დღიურები“, როგორც ამას სომხეთი ავტორი უწოდებს ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის საანგარიშო მოხსენებას, ნამდილად არ წაუკითხავს და ზეპირ გადმოცემას ემყარება, თორემ ანტისომხურს იქ ვერაფერს ნახავდა. ამ „დღიურებში“ საუპარია იმ დიდ სიძნელეებსა და დაბრკოლებებზე, რასაც ექსპედიციის მუშაობას უქმნიდა ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში ჩათესილი უნდობლობა ქართველთა მიმართ. ასე იყო ნ. ბერძენიშვილამდეც და იგივე ვითარებაა დღესაც¹⁹, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები და მასზე გაკეთებული წარწერებიც დღესაც მიზანმიმართულად და თანმიმდევრობით ნადგურდება. ეს ფაქტია და ამის მიზეზი მხოლოდ დროთა სვლა და ბუნებრივი სტიქიები არ არის.

ალ. კანანიანი გვეფიცება მთელ საქართველოს კი არა, მხოლოდ სომხებით დასახლებულ ჯავახეთს გედავებითო (ეტყობა, ამისთვის უნდა მადლობაც გვათემევინს) და თან დღევანდელი საქართველოს ბოლნისის, დამანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის რაიონებსაც ჩუმ-ჩუმად ხელსა ჰქვევს. მისი მტკიცებით, ის გარემოება, რომ სომხეთს მრავალი საუკუნის მანძილზე გაუქმებული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა და ჩრდილო სომხეთის ზოგიერთი კუთხე ნახევრად დამოუკიდებელი ქართული პოლიტიკური წარმონაქმნების შემადგენლობაში შედიოდა, არ აძლევს საქართველოს უფლებას, ეს ტერიტორიები ისტორიულ კუთვნილებად

¹⁹ იხ. შურნ. „არტანუჯი“, № 7, 1998, გვ. 32-34.

გამოაცხადოსო და განაგრძობს – შეუცნობელია გზანი ისტორიისა – ალბათ, ამიტომაც ჯავახქი, რომლის სომხური სახე შუა საუკუნეებში დასუსტდა, XIX ს. კვლავ აღდგა, როგორც წმინდა სომხური რეგიონი, იმ დროს, როცა ჩრდილო-აღმოსავლეთი გუგარქი – ბოლნოფორი, ქვე-შაფორი, წობოფორი, კოლბო ფორი, მანგლეაციორი, პრაქტიკულად თურქული ეთნიკური ელემენტებით არის დასახლებულით (როგორც ჩანს, ამასაც ჩვენ გვსაყვედურობს). რადგანაც ალ. კანანიანი ქართველ ავტორებსა და მათ შრომებს ეჭვის თვალით უყურებს, სომებთა მიერ „გუგარქად“ წოდებულ ქვემო ქართლის ეთნოსტორიაზე მოუყვან ცნობილი სომეხი მეცნიერის ლეონ მელიქსეთ-ბეგის თვალსაზრისს. ისიც სომხეთის პატრიოტი იყო და ამის გამო გარკვეულწილად სუბიექტურ დამოკიდებულებასაც იჩინდა მწვავე საკითხების განხილვისას, მაგრამ არა იმდენად, რომ მეცნიერული სინდისისთვის აშკარად ედალატა. აი, რას წერდა დვანლმოსილი სომეხი მკვლევარი ე. ნ. გუგარქის წარსულზე: „ეს კუთხე თუ პრეისტორიულ ხანაში არა, ყოველ შემთხვევაში პირველ საუკუნეებში ქრ. ნ., როგორც სტრაბონის გაკვრითი ცნობებიდან ირკვევა და აგრეთვე თვით ამ კუთხის ტოპონიმიკაც გვიდასტურებს, იბერთა (ვერთა) მონათესავე ანუ ქართველთა მოდგმის ტომთა სადგომი ყოფილა“²⁰. დღეს მეცნიერებისათვის ცნობილია, რომ ამ ძველქართული ტომის სახელი გოგარები ყოფილა, საიდანაც წარმოსდგა კიდეც მათი სადგომი ქვეყნის ბერძნული სახელი „გოგარენე“ და სომხური „გუგარქი“. ეს სახელი ბოლო დრომდე შემორჩენილი ჰქონდა მდ. დებედა-ჩიას სათავის სოფელ „გოგარანს“, რომელიც გუგარქად გადააკეთებს²¹. ძველქართული პროვინცია „გუგარეთი“ (სომხ. „გუგარქი“) ქ. ნ. II ს. შემდგომ ხუთჯერ გადავიდა ხელიდან ხელში იბერიასა და სომხეთს შორის სასაზღვრო დავისას, ვიდრე IV ს. მეორე ნახევრიდან საბოლოოდ არ შეუერთდა ქართლს. სომხურივე წყაროების მოწმობით, გუგარქის მკვიდრი მოსახლეობა ქართული იყო²².

სომხურ ისტორიოგრაფიაში მდარე, მეცნიერებას დაცილებული ნაშრომების მომრავლებამ ბოლო ხანს, ჩვენი მუდმივი ოპონენტის პ-ნ

²⁰ ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომებთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, ტფილისი, 1928, გვ. 22.

²¹ დ. ლ. მუხელიშვილი, Из исторической географии Восточной Грузии, Тбилиси, 1982, с. 11-15.

²² იქვე, გვ. 6-15, აგრეთვე, დ. ბერძნიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიდან, ქვემო ქართლი, ნაკ. I, თბილისი, 1979, გვ. 21-23.

პ. მურადიანის შეშფოთებაც გამოიწვია და მას შემდეგ, რაც სომხურ ისტორიულ დასახლებათა სერიის ბუკლეტებისა და ს. კარაპეტიანის რუკა-ცნობარის გამოსვლას ქართულმა საზოგადოებამ მწვავე რექციით უპასუხა, ისიც შეუერთდა უმნიფარი ავტორის კრიტიკას. ერევანში გამომავალ გაზეთ „პზორ ჰაირენიქ“-ში დაბეჭდა ნერილი სათაურით „სინდისისა და მოვალეობის გზაჯგარედნზე“, რომელიც შემდეგ ქართულ ენაზეც ითარგმნა და გაზეთ „ახალ ეპოქაში“ გამოაქვეყნეს რუსუდან ჭუბაბრიამ და ბონდო კუპატაქემ 2001 წ. 27 აპრილი – 4 მაისის ნომერში. პ. მურადიანის კრიტიკა ძირითადად მიმართულია ს. კარაპეტიანისა და ზოგადად RAA-ს თანამშრომლებისადმი, რომლებიც ცოდნის ნაკლებობის გამო სრულიად აშკარა ფაქტებს თითქოს „უნბურად“ აყალბებენ. მამხილებელი საილუსტრაციო მასალაც საკამაოდ უხვად მოჰყავს. ეკლესიების ეთნოკულტურული კუთვნილების განსაზღვრის ს. კარაპეტიანის მეთოდზე პ. მურადიანი წერს: „გაურკვეველია, „სომხური ეკლესიის“ საბირისპიროდ არასომხურ ეკლესიებს რატომ უწოდებთ „მართლმადიდებლურს“, „ბერძნული წესის ეკლესიას“ (აბული, აზავრეთი, ალასტანი, ბავრა, ეხტილა, ხორენია და სხვ.), როცა ისინი ქართული ეკლესიებია და ასეც უნდა ეწოდოს. რას უწოდებდა სომეხი მკითხველი იმ ნაშრომს, რომელშიც „სომხური ეკლესია“ შეცვლილი იქნებოდა ტერმინებით „მონოფიზიტური“ ანდა „იაკობიტურ-ასურული წესისა?“ ყოველი ერი თავის ქმნილებას იმსახურებს და ამის არცოდნა არავის ეპატიება. პ. მურადიანი იძულებულა ლექცია წაუკითხოს და ელემენტარული ჭეშმარიტება შეახსენოს ს. კარაპეტიანს, რომ მეცნიერის ყურადღებას უნდა იმსახურებდეს ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ძეგლები და არა ნებისმიერი ნაგებობა. პირობითად დაუშვათ, განაგრძობს პ-ნი პ. მურადიანი, რომ საქართველოში მართლაც 650 სომხური ეკლესიაა, როგორც სჯერა ს. კარაპეტიანს, მაგრამ მათგან რამდენია ისტორიულ-კულტურული ღირებულების ქერნე და ყურადღების ღირსი? ჯავახეთში, მაგალითად, კარინის სომხობის დამკვიდრების შემდეგ აგებულ ათეულობით საკულტო ნაგებობიდან მე გამოვყოფდი სოფლების „არაკოვას“ და „განძას“ ეკლესიებს. სხვები ძირითადად XIX ს. მეორე ნახევარშია აგებული ან გადაქცეულია სამლოცველოებად, როგორნიც ყველგანაა, მათ შორის სომხეთში და სრულებითაც არაა მეცნიერული შესწავლის საგანი.

ხელოვნურად და გაუმართლებლად მიიჩნევს პ. მურადიანი ქართული და სომხური ეკლესიების განსახვავებლად ს. კარაპეტიანის მიერ გამოყენებულ ხერხს. მისი თქმით, სომხები თავიანთ ლეთისმსახურებას ასრულებენ კიოლნში, პროტესტანტებისგან სიმბოლურ ფასად და-

ქირავებულ ეკლესიაში. გვაქვს ჩვენ უფლება ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით კიოლნის ეს ეკლესია სომხურად მოვნათლოთ? კითხულობს ბ-ნი პ. მურადიანი და თავადვე პასუხობს მის მიერ დასმულ კითხვას: ცხადია, არა. ამ შემთხვევაში, რა მეცნიერული და ზნეობრივი უფლებით შეგვაქვს, მაგალითად, სოფელ ხოსტიას (X-XIII სს.) „ბერძნული წესის ეკლესია“ სომხურ ეკლესიათა წუსხაში? მხოლოდ იმიტომ, რომ 1829 წლიდან მოყოლებული აკურთხეს წმინდა 12 მოციქულის სახელზე „სომხური ეკლესიის წესით“. უწინარესად აღვნიშნავ, რომ ის არაა „ბერძნული წესის“, არამედ ქართულია, როგორიც მრავლადაა ჯავახეთში. მეორეც, რატომ მოხდა, რომ 1829 წლის ხელშეკრულებამდე 7-8 საუკუნის განმავლობაში ქართველთა სამასახურში მყოფი და მათ მიერ აშენებული ნაგებობა აღარ ეკუთვნოდა თავის ნამდვილ მეპატრონეს? ათეული წლების წინ ისლამურ სალოცავებად გადაქცეული მრავალი სომხური ეკლესია ახლა აღარაა სომხური? კონსტანტინოპოლის აია სოფიას ტაძარი ამჟამად აღარ არის ბიზანტიის ხუროთმოძღვრების ძეგლი? ასევე სიმართლის დამახიჯების სხვა არანაკლებ შთამბეჭდავი მაგალითების მოყვანის შემდეგ ბ-ნი პ. მურადიანი დაასკვნის: ეთნოკონფესიური წარსულის უგულებელყოფა და ქართული ეკლესიის სომხურად მონათვლა სრულებით არ შევენის ჩვენს კულტურასა და ისტორიას, არც მეცნიერებასთან აქვს კავშირი. საგებით სწორია და პ. მურადიანის პოზიციას ამჯერად მივესალმებით. სომხური კულტურა საკმაოდ მდიდარია და იგი ს. კარაპეტიანისა და მისი მსგავსების „დახმარებას“ ნამდვილად არ საჭიროებს.

ბ-ნი პ. მურადიანის ამ ახალ მიდგომას ქართულ-სომხური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობებისადმი სასიამოებო სიახლედ აღვიქვამთ, რამდენადაც მისი მრომების მნიშვნელოვანი ნაწილი, მისივე სიტყვები რომ გამოვიყენოთ, სწორედ „მეზობლის საკარმიდამოს ხარჯზე საკუთარის გადიდებისა და მისივე ვენახის ნაყოფის მითვისებისაკენ“ იყო ყოველთვის მიმართული, მხოლოდ ს. კარაპეტიანისაგან განსხვავებით, ეს კეთდებოდა საქმის ცოდნითა და, ძირითადად, მეცნიერული ტაქტის დაცვით. ბ-ნი პ. მურადიანის ამჟამინდელი სახეცვლილების მიზეზი, ვფიქრობ, არც ისე ძნელი გამოსაცნობი უნდა იყოს. ათეული წლების მანძილზე, რა თქმა უნდა, სხვა მის კოლეგებთან ერთად, მისმა ამგვარმა ძალისხმევამ ს. კარაპეტინები, ალ. კანანიანები, ს. მამულოვები და მათი მსგავსები შევს, რომელთა შიშველმა აგრესიამ და პრიმიტივიზმა, ბოლო ხანს მაინც, კურიოზული სახე მიიღო. ამით შეშფოთებული „მასწავლებელი“ ახლა მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობს და

„აკადემიზმის არტახებში“ დაბრუნებას უკიუინებს თავგასულ მოსწავლებსა და მის ამჟამინდელ ახალგაზრდა კოლეგებს.

ასეთი „სახეცვლილების“ მიუხედავად ბ-ნმა პ. მურადიანმა ხსენებულ წერილში საყვედურის საბაზი მაინც მოგვცა, ვის და ქართული ლიტერატურის კარგ მოცოდნეს ბ-ნ პ. მურადიანს არ ეკადრება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვნის ილია ჭავჭავაძის (ხსვათა შორის ერის მამად აღიარებულისა და ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულის) არაეთილსასურველ ასპექტში მოხსენიება. მართალია, ჩვენს ოპონენტს ილია ჭავჭავაძე გულზე არ ეხატება, მაგრამ მე მაინც მისი რამდენიმე სტრიქონი უნდა შევახსენო: „ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინა-დელი საქართველოს უძლურება დაინყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა კი პირქვე დაემხო სომხეთი – ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვიცავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით. მინამ სომხეთი იყო, საქართველოს რომ თათრობა მოესევონდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოელახა. ამიტომ ჩვენი უდიდესი მეფენი და სამეფო კაცი არაფერს არ ჰქოგავდნენ, რომ ეშველნათ სომხეთი-სათვის, როცა კი გაუჭირდებოდათ“²³. ასე გულდაჯერებით ქადაგებდა დიდი ილია ქართველებისა და სომხების ურთიერთთანადგომისა და თანამშრომლობის ისტორიულ აუცილებლობას, იმ დროს, როცა გარეშე ძალების ზეგავლენითა და წაქეზებით, თუ სხვა რამ მიზეზით, სომხური ინტელიგენციის ერთი ნაწილი, თვით საქართველოშივე ანტიქართულ პროპაგანდას აღვივებდა და ქართველთა წარსულსა და ტერიტორიულ მთლიანობას სადაც ხდიდა. ილიას სიბრძნემ განაპირობა, რომ მმართველი ბიუროკრატიისა და მეცნიერ-ინტელიგენციის ამ წანილის საძრახისი განწყობილება სომხური მოსახლეობის დიდ წანილს არ გადაედო.

ამ წერილში ბ-ნ პ. მურადიანის კრიტიკას ვერც ქართველი ისტორიკოსები აცდნენ. განსაკუთრებით გაღიზიანებულია იგი ბონდო არველაძის მონოგრაფიის რუსულ ენაზე გამოქვეყნებით, სადაც ნათქვამია, რომ მცხეთის ჯვრის სომხური წარწერა „ნაკანრია“, „შემთხვევითი ხასიათი აქვს“, ქართული წარწერის თანაბარმნიშვნელოვანი არ არის და არ შეიძლება ის მიჩნეული იყოს ქტიორულ წარწერად. ერთადერთი უზუსტობა, რომელიც დაშვებული აქვს პ. არველაძეს ისაა, რომ სომხური წარწერის ადგილად პოსტამენტის ნაცვლად „ცოკოლს“ ასახელებს²⁴. ამ არარსებით მცირე შეცდომაზე ხმაურის ატეხვით ბ-ნი

²³ ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. V, თბილისი, 1987, გვ. 110.

²⁴ ბონდო არველაძე, „Армянские“ или грузинские церкви в Грузии?!, Тбилиси, 1996, с. 4-5.

პ. მურადიანი ცდილობს საკითხის არსებითი ნაწილის გადაფარვას, რისთვისაც გ. ჩუბინაშვილსაც იმოწმებს, თუმცა ამ უკანასკნელს მის სასარგებლოდ არაფერი აქვს ნათქვამი. თავის გამოკვლევაში „Памятники типа Джвари“, Тбилиси, 1984 г., ბ-ნი გიორგი ჩუბინაშვილი წერს: „На задней широкой грани (саუბარია მცხეთის ჯვრის პოსტამენტზე) вверху имеются три строки армянской надписи (?) или графитти, очень неясно резанной (გვ. 83). Романцуз ვხედავთ, სომხური „ნარნერის“ ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის გამო, ის კითხვის ნიშნის ქვეშა აქვს დაყენებული და უფრო გრაფიტისაკენ იხრება. ხოლო გამოქვეყნებულ ფოტოებზე (გვ. 31) იმდენად აშკარაა სხვაობა მცხეთის ჯვრის პოსტამენტის ქართულ ნარნერასა და მის გვერდით ნახნაგზე მქრქალად გამოკვეთილ სომხურ ნარნერას შორის, რომ არასპეციალისტისთვისაც სრულიად გასაგებია, გრაფიკულად მაინც, მათი არათანაბარი მნიშვნელობა. ეტყობა, ამიტომაცაა, რომ ამ სომხურ „ნარნერას“ გამოკვლევის ავტორი ამჯერად უკვე უყოფმანოდ გრაფიტთა რიცხვს აკუთვნებს. გ. ჩუბინაშვილის კვალიფიკაციასა და მეცნიერულ კეთილსინდისიერებაში კი, ვგონებ, პ. მურადიანსაც კი არ უნდა ეპარებოდეს ეჭვი. ასე რომ, თუ ბონდო არველაძე მცხეთის ჯვრის პოსტამენტის სომხურ „ნარნერას“ ნაკანრს უწოდებს, ეს სულაც არაა მისი „დანაშაული“. იგი მხოლოდ ავტორიტეტულ სპეციალისტებს ემყარება. რაც შეეხება ამ წერილში ჩემს მიმართ გამოთქმულ ბრალდებას, თითქოს, საქართველოში მცხოვრებ სომხებთან დაკავშირებულ საკითხებს ნაციონალისტური პოზიციებიდან ვიხილავდე, ესეც მის სინდისზე იყოს. და კიდევ ერთი, ამ წერილის მენტორული ტონი, არა გვგონია, მაინცდამანც ღირსებას სძენდეს მას.

ქართულ-სომხურ ისტორიულ ურთიერთობათა თემაზე ბოლო ხანებში შექმნილ არასერიოზულ ნაშრომთა შორის უანრის ორიგინალობით გამოიჩინა სერგო მამულოვის ორი წიგნი ერთნაირი სათაურით „სომხები საქართველოში“. პირველი გამოიცა მოსკოვში 1995 წ. 5000-იანი ტირაჟით, მეორეც – იქვე, 2002 წ. სულ 800 ეგზ. ს. მამულოვი ერთგულად იცავს რა ცნობილ ტენდენციას კავკასიაში სომხეთა განსაკუთრებულ ისტორიულ-კულტურულ უპირატესობათა თაობაზე, მთელი ძალისხმევით ცდილობს საქართველო სომხეთად დაუხატოს მკითხველს. ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრაში მისი კომპეტენციის დონის მაჩვენებლად, ვფიქრობ, გამოგვადება 1993 წ. მოსკოვში დიდი ტირაჟით (20 ათასი ეგზ.) გამოცემული მისივე თხზულება – „საოცარი სასწაულების ქვეყნიდან (სომხეთი და სომხები – ცივილიზებული მსოფ-

ლიოს უნიკალური ფენომენი)“. სულ რამდენიმე დამახასიათებელ სტრიქონს მოვიყვან ამ თხზულებიდან და მერე მკითხველმა განსაჯოს რამდენად ხელენიფება მის ავტორს სერიოზულ საკითხებზე მეცნიერული მსჯელობა. სომხეთისა და სომხები ხალხის ღირსებათა ჩამოთვლისას იგი წერს: „სომხეთი კაცობრიობის აკვანია... ადამი და ევა ცხოვრობდნენ სამოთხეში, რომელიც სომხეთის ზეგანზე მდებარეობდა (გვ. 24)“, „გადმოცემის თანახმად კი, ადამი და ნოე სომხურად ლაპარაკობდნენ“ (გვ. 18). სომხეთი და სომხები ხალხი – ესაა მჭვერმეტყველი ფაქტების პალიტრა, რომელიც უმეტესად გამოკვლენს პირველს, საუკეთესოს, განუმეორებელს, სომხეთია სამშობლო ხორბლის, ვაზის, გარგარის, ლუდის და ა. შ. (გვ. 24-25). სომხეთი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არასოდეს არსებულან კასტები, მონები, ყმები (გვ. 27). XX საუკუნის ყველაზე დამანგრეველი მიწისძრაც სომხეთში იყო 1988 წ. (გვ. 29). ნუთუ ესეც სომხები ხალხის ღირსებას უნდა მიენეროს? და კიდევ, ბაბილონისა და ეგვიპტის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის პირველი ადგილი სომხებს ეკუთვნოდათ, ბალდადისა და მარკოს არაბმა ხალიფებმა ძალიან ბევრი ქვეყანა სომხების ხელით დაიპყრეს (გვ. 36), ბიზანტიის იმპერიაში მაკედონელთა ანუ სომხური დინასტია რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგა სახელმწიფოს. იქაურ ტახტზე იჯდა არანაკლებ 15 სომხები იმპერატორისა და ბერძნულის გვერდით, სომხური სახელმწიფო ენა იყო (გვ. 37) და ა. შ. და ა. შ. ამის მერე მკითხველს, ალბათ, ალარ უნდა გაუკვირდეს, თუკი ს. მამულოვი საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის გადმოცემისას წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს, თითქმის, ანეგდოტურ ფორმამდე დასულ მოარულ გადმოცემებსა და მოძეველებულ, უაღრესად ტენდენციურ ლიტერატურას (დაწვრილებით მათ შესახებ იხ. ჩემი რეცენზია „რამდენიმე შენიშვნა სერგო მამულოვის წიგნზე „სომხები საქართველოში“, რომელიც გამოკვეყნდა გაზ. „7 დღე“-ში 1998 წ. 24-26 ივლისის ნომერში), რის წყალობითაც ქართველთა წმ. ნინო მის წიგნში (მხედველობაშია 1995 წ. გამოცემული წიგნი) ერთ-ერთ სომები წმინდანად იქცა²⁵, ჩვენ კი გვეგონა, რომ წმ. ნინო ბერძნულად მეტყველი, კაბადიკიელი რომაელი ქალი იყო, როგორც ამას ქართული და უცხოური წყაროები მონმობს²⁶. მისივე, ე. ი. ს. მამულოვის ძალისხმევით კახაბერისძეთა რაჭის ერისთავის ასული და დავით ულუს მეუღლე

²⁵ Мамулов С. С., Армияне в Грузии, Москва, 1995, с. 229.

²⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 72-93.

გვანცა დედოფალი სომეს ვართუშად გარდაისახა. ილია ჭავჭავაძეც სანახევროდ გაასომხა, რამდენადაც ილიას დედა მარიამ ბებურიშვილი სომეს ბებურიანად გამოგვიცხადა, რა თქმა უნდა, ყოველგვარი საბუთის გარეშე. როგორც ჩანს, ამჯერადაც ზოგიერთ წრეში გავრცელებულ ჭორებს დაეყრდნო. არადა, კარგადაა ცნობილი, რომ ბებურიშვილები კახელი თავადები იყვნენ. ეს გვარი ქართული საკუთარი სახელი – ბებურიდან წარმოდგა, რომელიც საკმაოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების საქართველოში. ჯერ კიდევ XVI ს. ალექსანდრე კახთა მეფის ბაზიერთუზუცესს ერქვა ბებური²⁷. ეს სახელი პოპულარული იყო ვაჩინაძეთა თავადურ გვარში. ეს სახელი ჰქვია ამჟამად ლაგოდეხის რაიონის ერთ სოფელს. ამ საკუთარი სახელიდანაა ნანარმოები გვარები – ბებურიშვილი, ბებურია, ბებურიძე²⁸. გასაგებია, რომ უცხო ანთროპონიმი ასე ღრმად ვერ შეიქრებოდა ქართულ ონომასტიკაში და ასე ფართოდ ვერ მოიცავდა მის სფეროებს.

ყოველგვარი საბუთიანობისა და კვლევის გარეშე ქართველ მოღვაწეთა და ისტორიულ პირთა გასომხურების შემთხვევები წიგნში სხვაც არა ერთია, რითაც, ეტყობა, მათი ავტორი ცდილობს აღმოსავლეთი საქართველო, ს. მამულოვის ტერმინით „სომხური სულისა“ და შემოქმედების ასპარეზად წარმოგვიდგინოს და ამით გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია სომხეთის ისტორიის ნანილად აქციოს. მისი თქმით, საქართველოში განსაკუთრებული ძალით და ყველაზე ფართოდ გაისხნა და გამოვლინდა სომეხი ხალხის მრავალმხრივი ტალანტი, ხოლო სომეხთა ეროვნულმა სულმა, თანდაყოლილმა ფხიანობამ და შემოქმედების უზარმაზარმა ნიჭმა თავისი განვითარების ყველაზე კეთილსასურველი ნიადაგი სწორედ აქ ჰპოვა²⁹. ავტორის თვალსაწირი მაინც უმთავრესად თბილის უტრიალებს, რადგანაც მისივე განცხადებით: „თბილისი დიდხანს იყო სომხური სულის გამოხატვის ასპარეზიო“³⁰. ყურადღების გამახვილებას „სომხურ სულზე“ და „სომხურ სისხლზე“ ნაშრომში მრავალჯერ ვხვდებით და მისი გამოვლინის ცდებს წიგნის უმეტესი ნანილი ეძღვნება. გარდა იმისა, რომ ასეთ ძიებებს ხშირ შემთხვევაში რეალური საფუძველი არ გააჩნია, ის მკვეთრად ემიჯნება მსოფლიო საკაცობრიო ლირებულებების თანამედროვე გა-

გებას და მის ფონზე მხოლოდ ლიმილისმომგვრელი ხდება. წიგნისთვის დამახასიათებელი დილეტანტიზმი ცუდ სამსახურს უწევს ავტორის მიერ შესავალ ნანილში გაცხადებულ კეთილშობილურ მიზნებს. ფაქტების ზერელე ინტერპრეტაცია და მათი მნიშვნელობის გაზიადება მკითხველის თვალში საეჭვოს ხდის საქართველოს სომხური მოსახლეობის მიერ საუკუნეთა განმავლობაში ქვეყნისათვის გადაბულ სასიკეთო ლგანლსაც.

თავისი ნაღვანის ერთგვარი გაუმჯობესება და „გაკეთილშობილება“ სცადა ს. მამულოვმა ამავე სათაურის მქონე მეორე წიგნში, რომელსაც დასკვნით ნანილს უწოდებს, თუმცა გვერდების რაოდენობით ის 170-ით აღემატება პირველს. გაუმჯობესება კი იმით გამოიხატება, რომ აქ არა მარტო შენარჩუნებული, არამედ განვითარებულიც კია ის არაჯანსაღი ტენდენცია, რაც ასე ნიშანდობლივი იყო პირველი წიგნისათვის. აქაც ცალკე პარაგრაფი ეთმობა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ზოგად მიმოხილვას, თუმცა ეს მიმოხილვა მხოლოდ XII-XIII სს-ით ითარგლება და მთლიანად ს. ერემიანის მეცნიერულ-პიპულარული წერილების საფუძველზე არის აგებული. შემოქმედებითად გადმოგვცემს რა ავტორი ტეტული მეცნიერის დებულებებს, გზადაგზა უხეშ შეცდომებსაც უშვებს. ს. მამულოვის მტკიცებით, XII-XIII სს. მიჯნაზე ქართული სახელმწიფო ფედერაციული ხასიათისა იყო. ის მოიცავდა „შვიდ სამეფოს“, რომელთა რიცხვში ჩრდილო სომხეთიც იყო. მისი თქმით, ივანე ჯავახიშვილის აზრითაც, იმ ეპოქის ქართული სახელმწიფო ძირითადად ორი ხალხის – ქართველებისა და სომხების გაერთიანება იყო და ქართულ-სომხური ფედერაციული სახელმწიფოს ხასიათს ატარებდა³¹. რას ემყარება ს. მამულოვი ამ ცნობის მოწოდებისას გაუგებარია, რამდენადაც მსგავსი მოსაზრება ივ. ჯავახიშვილს არც ერთ თავის ნაშრომში არა აქვს გამოთქმული. ს. მამულოვი არ უარყოფს, რომ ამ დროის საქართველო ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქია იყო და მისი შემდგომი გაძლიერებით სომეხი ხალხიც სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული³², იმას კი არ უწევს ანგარიშს, თუ სახელმწიფოს ცენტრალიზებულობა რამდენად შეიძლებოდა შეპგუბოდა მის ფედერალურ მოწყობას. მისივე აზრით, ქართველ მეფეთა ტიტულატურაც (მეფე აფხაზთა და

²⁷ ქართული სამართლის ძეგლები, II, თბილისი, 1965, გვ. 196.

²⁸ ილია მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბილისი, 1981, გვ. 33.

²⁹ ს. მამულოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 5.

³⁰ იქვე, გვ. 16.

³¹ ს. მამულოვის დასახელებული წიგნის 2002 წლის გამოცემა, გვ. 10.

³² იქვე, გვ. 11-15.

ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შაპანშა...) ადასტურებს შვიდი სამეფოს მომცველი შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს ფედერაციულ ხასიათს. ასეთი დასკვნა პრინციპულად ეწინააღმდეგება ცენტრალიზებული ქართული ფეოდალური მონარქიის პოლიტიკურ აღნაგობას. საქართველოს მეფის ხელისუფლება მის დაქვემდებარებაში მყოფ ჩამოთვლილ ქვეყნებში, მათ შორის სომხეთშიც, მპყრობებობას ემყარებოდა და არა ყმადნაფიცობას, რის გამოც „სამეფოებად“ მათი მოხსენიება მხოლოდ სიმბოლური და წარსულის ანარეკლია. თანადროული ქართული წყაროები განმარტავდნენ, რომ ეს „სამეფოები“ სხვა არაფერი იყო, თუ არა საქართველოს „ამერ-იმერის შვიდი თემი“ – საკუთრივ საქართველოს შემადგენელი ნაწილები. გავიხსენოთ თუნდაც დავით ალმაშენებლის სიტყვები დიდი ქართული ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიის შექმნის საშუალებებზე: „ბოროტად გარდავ და საზღვართა და შევპროე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მივჰურეჭე ნაწილი მათი და ვიღუწიდ უმეზობლობასა, ვითარმცა მარტო ვმკ დრობდ ქუყანასა ზედა“³³. სამეფო ხელისუფლების ეს თვითმპყრობელური ბუნება სავსებით იყო შენარჩუნებული თამარისა და მისი მემკვიდრეების დროსაც.

ცენტრალიზებული ქართული ფეოდალური მონარქიის სომხური ნაწილის ავტონომიურობაში მკითხველის დასარმმუნებლად ს. მამულოვი მიმართავს ნაცად ხერხს და იმეორებს მისი წინამორბედების ლეგნდებს მხარგრძელთა სომხური წარმომავლობის თაობაზე და მიმართავს მათი მოღვაწეობის ჰიპერბოლიზაციას. ამ საკითხებზე უკვე საკმაოდ ითქვა და მათი გამეორების აზრს ამჯერად მაინც ვერ ვხედავ. ასევე უკომენტაროდ ვტოვებ ს. მამულოვის მიერ გამოჩენილ ისტორიულ პირთა გასომხურებით გატაცებასაც, რამდენადაც ის იქაც სხვას იმეორებს, რომელთა შესახებ ჩვენი დამოკიდებულება უკვე გამოვხატეთ.

ქართველ და სომეხ ბაგრატოვანთა საერთო წარმომავლობაზე საუბრისას ს. მამულოვი საგანგებოდ შენიშნავს, რომ სომხეთის ეს გავლენიანი არისტოკრატიული საგვარეულო შემდგომში საქართველოშიც გამოჩენდა, თითქოს, ჯერ სომხეთში დაეწყოთ მეფობა, შემდეგ კი საქართველოშიც გაეგრძელებინოთ მაშინ, როდესაც, მისივე მონმობით, მათი მეფობა თავთავიანთ ქვეყნებში დაახლოებით ერთდროულად დაიწყო. სომეხ ბაგრატოვანთა მეფობა დაიწყო 886 წ. და 1044 წ. შეწყდა,

³³ დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, სოლ. ყუბანეიშვილის შედგენილი, თბილისი, 1946, გვ. 375.

ქართველ ბაგრატოვანთა მეფობა კი 888 წლიდან 1801 წლამდე გაგრძელდა. თუნდაც ამიტომ ქართველი ბაგრატოვნები სომეხ ბაგრატიდთა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ტრადიციების გამგრძელებლად ვერ ჩაითვლებიან, რის დამტკიცებასაც გულდაჯერებით ცდილობს ს. მამულოვი³⁴. თითქმის მთელი ამიერკავკასიის მომცველ ცენტრალიზებულ ქართულ ფეოდალურ მონარქიაში, სადაც ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა და ქართული ფეოდალური კულტურა დომინირებდა, ს. მამულოვი საკუთრივ ქართულ სამეფოდ (ინსტენი გრუზინის კარსტვა-ად) მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ მცირე ნაწილს მიიჩნევს, რომელსაც ამ დროისათვის (XII-XIII სს-თვის) სრულიად შეუფერებელ და გაუგებარ სახელს – „ქართლ-კახეთის სამეფოს“ უწოდებს, სადაც, ამასთანავე, მმართველი დინასტიის მფარველობის წყალობით სომხური მოსახლეობა ყოფილა გაბატონებული. გამოდის, რომ არც ეს, ს. მამულოვის მიერ საკუთრივ ქართულ სამეფოდ მიჩნეული ქვეყანა, ყოფილა ქართული.

XIX და XX ს. პირველი ათეული წლების ისტორიის გადმოცემისას ს. მამულოვი, ისე როგორც პირველ წიგნში, ძირითადად ემყარება მოძველებულ და ტენდენციურ ლიტერატურას. საქართველოს ქალაქებში სომხური მოსახლეობის რიცხოვნობაზე წარმოდგენის შესაქმნელად, ჩვეულებრივ, გაზ. „კავკაზ“-ში გამოქვეყნებულ საეჭვო ცნობებს მიმართავს მაშინ, როდესაც მისთვის საინტერესო ქალაქების ისტორიაზე (გორი, თელავი, სიღნაღი და სხვ.) მეცნიერული გამოკვლევები და მონოგრაფიებია გამოქვეყნებული. არაპროფესიული მიდგომის შედეგად მის თხზულებაში საკმაო რაოდენობით ვხვდებით ფაქტობრივ შეცდომებს. მაგალითად, გაზ. „კავკაზ“-ზე დაყრდნობით (1867, № 89) ს. მამულოვი გვამცნობს, რომ თელავი დაუარსებია 1010 წ. კვირიკე III-ს, სინამდვილეში კი ქ. თელავი ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ავტორებისათვისაც იყო ცნობილი. უბრალოდ, კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკემ თელავში სამეფო ტახტი დაიდგა. ს. მამულოვი იქვე უხეშ შეცდომას უშვებს, როცა ფრჩხილებში განმარტავს, თითქოს, კვირიკე III დიდი სომხური დინასტიის წარმომადგენელი ყოფილიყოს. არც იმაშია მართალი, როცა ამტკიცებს „ახალქალაქეში ყოველთვის სომხური მოსახლეობა პრევალირებდა“³⁵. ვიდრე გენერალი პასკევიჩი ამ რაიონ-

³⁴ ს. მამულოვის წიგნის 2002 წლის გამოცემა, გვ. 21-22.

³⁵ იქვე, გვ. 53.

ში არზრუმიდან 30 ათას სომებს გადმოასახლებდა, ქართული მოსახლეობა აქ 90%-ს შეადგენდა.

როგორც პირველ წიგნში, აქაც საკმაო ადგილი უკავია რამდენადმე გამოჩენილ სხვა ეროვნების პირთა საყოველთაო გასომხურების აშკარად მავნე ტენდენციას. გვარის მიხედვით ეროვნული კუთვნილების განსაზღვრა ძალზე რთული საქმეა, მით უფრო საქართველოში, სადაც შეასაუკუნებიდან მომდინარე ტრადიციის ინერციით საზოგადოებრივი აზრი XIX ს.ც ეთნიკურ კუთვნილებას, ძირითადად, კონფესიური კუთვნილების მიხედვით განსაზღვრავდა, ამასთან, იგივე საზოგადოებრივი აზრი „სომხის“ ცნებაში სოციალურ შინაარსსაც დებდა და ვაჭრობა-ხელოსნობაში ჩაბმულ ადამიანებს ერთიანად სომხებად მიიჩნევდა. საქართველოში ტრადიციულად ფართოდ გავრცელებული აღმოსავლური და ბიბლიური საკუთარი სახელების საფუძველზე აღმოცენებული გვარების ქართულ-სომხური პარალელური ფორმების მსგავსების გამოც (მაგალითად, ასლან-ი-შვილი – ასლან-იან; შაჰშულ-ა-შვილი – შაჰშულ-იან; ისაკა-ძე – ისაკ-იან; სააკ-ა-ძე, სააკ-ა-შვილი – სააკ-იან; თუმან-ი-შვილი – თუმან-იან; აგრეთვე, ბიბლიურ-ქრისტიანული აპრამიშვილი – აპრამიან; იაკობაშვილი – ჰაკობიან; აზარიაშვილი – აზარიან; პეტრიაშვილი – პეტრისიან; პავლიაშვილი – პოლოსიან; ივანიშვილი – პოვთანისიან; მარკოზაშვილი მარკოსიან; ლუკაშვილი – ლუკასიან და სხვა უამრავი), კონკრეტული ვითარების გაუთვალისწინებლად, თითქმის შეუძლებელია ამ გვარების მიხედვით ეროვნული კუთვნილების გამოცნობა. ამიტომაც ცალკეული გვარების სპეციალური კვლევის გარეშე ვერც გვარის წარმომავლობა დადგინდება და ვერც პიროვნების ეროვნული კუთვნილება. ს. მამულოვი კი ყოველგვარი თავის შენუხების გარეშე, მათ შორის, უეჭველი ქართული საკუთარი სახელების საფუძველზე აღმოცენებული გვარების მქონე (მაგალითად, მამულა-შვილი, მამა-სახლისი, ორბელი და სხვ.) მოღვაწებაც ერთიანად სომხურ წარმომავლობას მიაწერს. სხვათაშორის, აქ მოყვანილი ორივე გვარის მანარმოებელი მამა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი ქართული სახელია, რის გამოც ის საფუძვლად უდევს მრავალ ქართულ გვარსახელს, მათ შორის წარმოქმნილფუძიანებს: მამულაიშვილი, მამულაშვილი, მამულია, მამულოძე, მამულაძე და სხვ. აგრეთვე, რთულფუძიან სახელებსაც: მამასახლისაშვილი, მამაგულაშვილი, მამისთვალიშვილი და სხვ.³⁶ სომხური ისტორიოგრაფიის კლასიკოსი ნიკოლოზ ადონციც აღნიშნავდა ამ

ქართული სიტყვის დიდ სიძველეს და ფიქრობდა, რომ ის გვაროვნული ხანის სიტყვაა, რომელიც საფუძვლად დაედო, აგრეთვე, მამიკონიანთა ცნობილი გვარის წარმოქმნას. მისი აზრით, ამ გვარის მთავარი შემადგენელი ძირეული სახელი მამიკ-მამაკ სხვა არაფერია, თუ არა არმენიზირებული ფორმა იძერიული მამასი³⁷. ს. მამულოვი კი ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე რუსული ფორმით გადმოცემულ ქართულ და სომხურ გვარებს ერთიანად სომხურად აცხადებს. ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოღვანის გასომხებით გატაცებული ს. მამულოვი ველარ ხსნის, თუ რატომ არის, რომ XIX ს. მცხოვრები ბევრი „სომხი“ ქართულ გვარს ატარებდა იმ დროს, როცა მთავრობის ანტიქართული პოლიტიკის პირობებში სომხური გვარის ტარება გაცილებით მომგებიანი იყო, ვიდრე ქართულისა.

ორივე წიგნში საკითხებისადმი არაპროფესიული, ზოგჯერ პრიმიტიული მიდგომის შემთხვევები სხვაც არაერთია. ყველა მათგანზე პასუხის გაცემა, ალბათ, არცაა საჭირო. რაც წარმოვადგინეთ, ვფიქრობ, ისიც საკმარისია სამწუხარო ტენდენციის მავნე ხსასიათში დასარწმუნებლად.

ბოლოს, აღვნიშავ კიდევ რამდენიმე ნაშრომს, რომლებიც „აკადემიზმის“ პოზიციებიდანაც კი უაღრესად ტენდენციურად აშუქებს ქართულ-სომხური ისტორიული ურთიერთობის მთელ რიგ საკითხებს. ესაა 2001 წ. მოსკოვში გამოცემული მართლმადიდებლური ენციკლოპედიის III ტომში, ტერმინ „არმენია“-სთან დაკავშირებული ცალკეული სტატიები, რომლებიც მკითხველს აწვდის ცნობებს სომხეთის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე. პირველი წერილი ინცეპა ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვით, სადაც სომხეთის ისტორიულ ოლქებს შორის დასახელებულია ორი ქართული ისტორიული პროვინცია – გუგარეთი ანუ ქვემო ქართლი და ტაო, რა თქმა უნდა, ამ ტოპონიმთა სომხური ფორმით („გუგარე“ და „ტაიე“). გეოგრაფიული მიმოხილვის ავტორის განმარტებით, პირველი მათგანი მოიცავს ბამბაკის მთებსა და სევანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებს, ხოლო მეორე – მდ. ჭოროხისა და მისი შენაკადების ხეობებს. საენციკლოპედიო სტატიაში პოლემიკის გამართვა და საკუთარი არგუმენტების მოყვანა, შესაძლოა, უადგილოც იყოს, მაგრამ ის მაინც უნდა აღნიშნულიყო, რომ ხსენებულ ისტორიულ პროვინციებზე სომხური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისის გარდა არსებობს არანაკლებ არგუმენტირებული მისი საპირისპირ შეხედულებაც.

³⁶ ილია მაისურაძე, ქართული გვარსახელები, გვ. 100-101.

³⁷ Հ. Ածոնց, Արմենիա և էպոխ Յուստինիա, Երևան, 1971, շ. 402-403.

სომხეთის პოლიტიკური ისტორიის გადმოცემისას სტატიის ავტორი ხელოვნურად ზრდის ქვემო ქართლის ტერიტორიაზე X ს. 80-იანი წლების დასაწყისში შექმნილი ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფოს არსებობის დროს და მას 979-1256 წლებით საზღვრავს. ჯერ კიდევ ბაგრატ IV-მ 1065 წ. ტაშირ-ძორაგეტის მეფეს წაართვა სამშვილდე, ხოლო ქვეყანა თავისი ხელისუფლების კონტროლს დაუმორჩილა, რის შემდეგ ქართველი მემატიანის თქმით, „მონებდეს სომეხნი“. მალე კვირიკიანთა სომხური სამეფო სელჩუკიანი თურქების ხელში გადადის. 1110 წ. დავით აღმაშენებელი თურქებს სამშვილდეს ართმევს, 1118 წ. კი – ციხე-ქალაქებს – ლორეს და აგარანს, რითაც ასრულებს კიდევ ქვემო ქართლის შემორტებას. ასე რომ, ამ სამეფოს შექმნელი პირველი კვირიკიანის გამეფების თარიღად თუ უფრო სანდო წყაროს მხითარ აირივანეცის ცნობას 981 წ. მივიღებთ, მაშინ ამ სამეფოს არსებობის ხანგრძლივობა 277 წლით კი არ უნდა განისაზღვროს, როგორც ამას საენციკლოპედიო სტატიის ავტორი აკეთებს ($1256 - 979 = 277$), არამედ 137 წლით ($1118 - 981 = 137$, ე. ი. მთელი 140 წლით ნაკლები და უფრო მეტადაც, რადგან დიდი თურქების დროიდან (1080 წლიდან) აქ კვირიკიანთა ხელისუფლება ერთობ საეჭვო ჩანს.

XII-XIV სს. საქართველოს შემადგენლობაში შემოსულ სომხურ თემებს და მათ მმართველ საქართველოს მოხელეებს – მხარგრძელებს, საენციკლოპედიო სტატიის ავტორები სომხური ისტორიოგრაფიის ტრადიციის მიხედვით განიხილავენ, როგორც იმ დროისთვის ძლევამოსილი ქართული სამეფოს შემადგენლობაში მყოფ და „განსაზღვრული დამოუკიდებლობის“ მქონე სომხურ სამთავროებს, მხარგრძელებს კი – ზაქარიანებად. სომხეთის ისტორიის ფაქტების გადმოცემისას, მათდა უნებურად, თავს იჩენს ე. წ. „ზაქარიადთა სომხური სამფლობელოების“, თუ „სომხეთის ჩრდილო რაიონების“ დანარჩენ საქართველოსთან მუდმივი და განუყრელი, ორგანული კავშირი, რის გამოც არც მონლოლებისათვის, რომლებმაც „გურჯაისტანის ვილაიეთში“ შეიყვანეს მთელი ქვემო ქართლი და არც რუსებისათვის, რომლებმაც აღმოსავლეთი საქართველო ლორე-ბამბაკ, შამშადინთან ერთად 1801 წ. რუსეთს შეუერთეს, სადაც არ ყოფილა ამ ტერიტორიების საქართველოსადმი კუთვნილება.

ფაქტების გაყალბების ოსტატობით ამ გამოცემაში განსაკუთრებით გამოიჩინა სტატია „სომეხ ქალკედონიტა ხელოვნება“, რომლის ავტორი, თავისი წინამორბედების ნ. ტოკარსკისა და ტ. მარუთანის მსგავსად, ტაოს ქართულ ტაძრებს (ოშკი, ხახული, იშხანი, ბანა, პარხალი,

ოთხთა ეკლესია და სხვები) სომხურ ძეგლთა წრეში აქცევს. მთავარი საყრდენი ამ საქმეში მისთვისაც ტაოსა და ქვემო ქართლში სომხე ქალკედონიტთა ეთნოკულტურული უმრავლესობის უნივერსალური ფორმულაა, რომლის საშუალებითაც, სომეხი ავტორები, ჩვეულებრივ, ადვილად წყვეტენ ქართულ-სომხური ურთიერთობის ნებისმიერ კულტურულ-პოლიტიკურ პრობლემას. თავის დროზე ნ. ტოკარსკისა და ტ. მარუთანის მსგავსი ცდები, როგორც ითქვა, სააშკარაოზე გამოიტანეს და სიყალებში ამხილეს აკადემიკოსებმა სიმონ ჯანაშიამ და ვახტანგ ბერიძემ. ეს უკანასკნელი ტ. მარუთანის ახსენებდა, რომ ის ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საკუთრივ არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა განხილვას, ე. ი. ძეგლთა არსები ჩანვდომას, რაშიც უშუალოდ ვლინდება მათი ნაციონალური თავისებურება. ჩანს, საენციკლოპედიო სტატიის ავტორმა კარგად დაიმახსოვრა ქართველი ხელოვნებათმცოდნის ეს შენიშვნა და მის საპირისპიროდ ტაოსა და ქვემო ქართლის ქართულ ძეგლთა სტილისა და მოხატულობის თავისებურებანი, რომელთაც სომეხ ქალკედონიტთა შემოქმედების ნაყოფად მიიჩნევდა, თვალთმაქცურად ქართულ ხელოვნებასთან კავშირითა და მისი გავლენით ახსნა. ამას გარდა, სომეხ ქალკედონიტთა სამშენებლო მოღვაწების ასპარეზიც გააფართოვა და მათვე მიაწერა პეტრიონის მონასტრის მშენებლობაც და მათსავე კუთვნილებად გამოაცხადა დავით გარეჯის მონასტერთა კომპლექსში საბერების VII ეკლესიაც და ა. შ. (გვ. 316). ნაშანდობლივა, რომ ამგვარი ვარაუდები და დასკვნები ისეთ ვითარებაში კეთდება, როცა სახეზეა ტაო-კლარჯეთის ხელებულ ძეგლებზე ამოკვეთილი უამრავი ქართული წარწერა ქართველი ქტიტორების, ხუროთმოძღვრების, მშენებლობის ხელმძღვანელების კონკრეტული ჩვენებით (მაგალითად, ქართველი მეფე-მთავრები: ადარნასე II ქართველთა მეფე, ბაგრატ ერისთავთერისთავი, დავით მაგისტროსი და შემდგომში ტაოს სახელგანთქმული მეფე დავით კურაპალატი, ხუროთმოძღვარი ივანე მორჩასძე იშხანში, გრიგოლ ოშკელი და სხვ.). ასეთ კონტექსტში ძალაუნებურად გვახსენდება წყაროების უგულებელყოფისა და მისი საშუალებით ქვეყნის ისტორიის გადაკეთების რამდენიმე კონკრეტული შემთხვევის სამართლიანი კრიტიკა პ. მურადიანის მიერ, რომელიც მან სამველ კარაპეტიანთან კამათისას მოგვცა თავის ცნობილ წერილში „სინდისისა და მოვალეობის გზაჯვარედინზე“. მისი თქმით, არის შემთხვევები, როცა ძეგლის კედელზე არსებული წარწერაში იხსენიება აგების თარიღი და ქტიტორის ვინაობა, მაშინ როცა კარაპეტიანი იძულებულია, რომელიღაც საუკუნეები ივარაუდოს და ჰიპოთეზები წამოაყენოს.

მაგალითად კი მოჰყავს სოფ. ღრტილას შუაგულში მდებარე ეკლესიის წარწერა, სადაც ნათქვამია: „გასრულდა ქვეშელი ლიპარტის მეუღლისა და თმოგველების ასულის რუსუდანის მიერ ღმერთო შეინყალე ქ-ნი 528 (1308 წ. მ.) ჭორმანის ქე იოანე ღმერთო შეინყალე“. პ. მურადი-ანის მართებული კომენტარით, თმოგველების ასული და ქვეშის გამგებლის ლიპარტის მეუღლე რუსუდანი, რა თქმა უნდა, ქართულ ეკლესიას ააგებდა. ასეთი პრინციპით რომ მიდგომიდნენ საკითხის განხილვას საენციკლოპედიო სტატიების ავტორები, გასაგებია, არც ჩვენ გვექნებოდა რამე მათთა საპრეტეზიო.

სამველ კარაპეტიანის კრიტიკისას ბ-ნ პ. მურადიანის განცხადება, რომ წარსულის გაყალბება „არ შემვენის ჩვენ კულტურასა და ისტორიას და არც მეცნიერებასთან აქვს კავშირი“, ვფიქრობ, ერთობ დროული და საჭირო მოწოდებაა არა მარტო სომხური ისტორიოგრაფიის ღირსების დასაცავად, არამედ საერთოდ, წარსულის იდეალიზაციის ტენდენციებისა და „ეროვნული განსაკუთრებულობის“ იდეისგან თავისუფალი ისტორიული აზრის ნორმალური და ობიექტური განვითარებისათვის კავეასიაში. ამგვარ განწყობათა გაჩენა, თუნდაც ჩანასახვან მდგომარეობაში, თავისთავად, დადებითი მოვლენაა და მეზობელი ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა შორის მეტი ურთიერთგაგების იმედს გვისახავს.

ასევე საყურადღებოა, ქართულ-სომხური ისტორიული ურთიერთობის განსაზღვრულ ეტაპებზე მეზობელთა შორის დაპირისპირებისა და შემდეგ ისტორიოგრაფიაში მისი ასახვის გლობალური პოლიტიკური მოვლენებით ახსნის მცდელობა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის ბ-ნ აშორ მელქონიანის მოხსენებაში „სომხურ-ქართულ ურთიერთობათა გაკვეთილები: ისტორია და თანამედროვეობა“, რომელიც მან წაიკითხა თბილისში რუსთაველის საზოგადოების სხდომაზე. მეზობელთა ურთიერთობის ცალკეული რთული პრობლემების საგარეო ფაქტორით ახსნამ მის ავტორს საშუალება მისცა უფრო მეტად გაემახვილებინა ყურადღება ისტორიული მეზობლების გამაერთიანებელ ინტერესებზე, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობის ფაქტორებზე. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ რიგის მასალის წარმოდგენისას სომხურ ისტორიოგრაფიაში არსებულ ტენდენციურ შეფასებებზე აღმოჩნდა მთლიანად დამოკიდებული, თუმცა მათი შერბილება-შელამაზებაც სცადა და ისტორიული ტოპონიმებიც პარალელური სომხური და ქართული ფორმებითაც წარმოგვიდგინა (მაგალითად, ტაიქ-ტაო, ჯავახქ-ჯავახთი და ა. შ.), რითაც ხაზი გაესვა

მათზე განსხვავებული აზრის არსებობასაც. ამასთან ერთად, მოხსენებაში, შესაძლოა მისდა უნებურადაც, დაშვებულია უხეში შეცდომებიც. მაგალითად, იგი წერს: „Х ს.ათვის უკვე გადასახლებულ სომეხთა რიცხვი საქართველოში იმდენად გაიზარდა, რომ კერძოდ, ჰერეთსა და კამბეჩანში დაარსდა ქართულ-სომხური სამეფო“. ასეთ ფაქტს არათუ ქართული ისტორიოგრაფია, არამედ სომხურიც არ უნდა იცნობდეს. სრულ გაუგებრობაზეა დამყარებული სქოლიში ჩატანილი შენიშვნა, თითქოს, ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობით, IV ს. დასაწყისისთვის ჯავახეთში საკონტაქტო ენა სომხური ყოფილიყოს. ლეონტის მიხედვით საქართველოსკენ მომავალმა წმ. წინომ სომხეთის საზღვართან („საზღვართა სომხითისათა“) გამოიზამთრა. რამდენადაც სომეს მიაფორთან ყოფილისას მცირედ სომხური ესწავლა, ჩანს, გამოზამთრების პერიოდში, ენის მხრივ მას წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ვითარება იცვლება ჯავახეთში, ფარავნის ტბის მიდამოებში მოსვლისას, სადაც მწყემსებთან კონტაქტის დასამყარებლად საჭირო ხდება სომხური ენის მცოდნის მოქებნა და „პოვა მწყემსთა მათ შორის სომხურად მზრახველი“, ე. ი. მრავალ მწყემსთაგან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა სომხურის მცოდნე. სომხური იქ ყველას რომ სცოდნოდა და, როგორც ბ-ნი აშ. მელქონიანი ფიქრობს, სომხური საკონტაქტო ენა ყოფილიყო ჯავახეთში, მასინ ხომ სომხურის მცოდნის ძებნაც არ იქნებოდა საჭირო? ცხადია, რომ ამ შემთხვევაში, სასურველი სურათის დახატვასთან უფრო უნდა გვქონდეს საქმე, ვიდრე მეცნიერულ ძიებასთან. მოხსენების ტექსტში დაშვებული ხსენებული უხეში შეცდომები კი მხოლოდ იმაზე მიგანიშნებს, რომ ძველი და შუა საუკუნეების ამიერკავკასიის ისტორია, უბრალოდ, ბ-ნ აშ. მელქონიანის სპეციალური კვლევის ობიექტი ჯერ არ გამხდარა.

გაცილებით საინტერესო და დამაჯერებელია მისი მსჯელობა XIX-XX სა. ამიერკავკასიის ისტორიის გადმოცემისას. მისი დაკვირვებით XIX ს. მეორე ნახევრიდან შეიმჩნევა ხარისხობრივად ახალი ეტაპის დაწყება სომხურ-ქართულ ურთიერთობაში, რაც განპირობებული იყო ორივე ხალხის ეროვნული თვითშეგნების ზრდითა და საკუთარი სახელმწიფო-ბრიობის აღდგენისაკენ სწრაფვით. ამასთან აღნიშნავს, მისი თქმით, სხვადასხვა ფაქტორების (სინამდვილეში კი იმპერიული პოლიტიკის შედეგად. — გ. მ.) ზეგავლენით ურთიერთობის გაციებას სომხურ და ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებს შორის. ქართულ და სომხურ საზოგადოებებს შორის ურთიერთობის დაძაბვა, რა თქმა უნდა, ძირითადად, ოფიციოზის მიერ იყო პროვოცირებული, რაც ბ-ნი აშ. მელქო-

ნიანის მიერ შენიშნული გარემოებიდანაც საკმაოდ კარგად ჩანს. მისი მართებული დაკვირვებით, ქართველთა უკმაყოფილებას განსაკუთრებით ის ვითარება იწვევდა, რომ საქართველოს მოსახლეობის ზრდა რუსეთის მფლობელობის პერიოდში, უმთავრესად სხვა ხალხთა ხარჯზე ხდებოდა. იმპერიის ეს დემოგრაფიული პოლიტიკა ქართველთა დენაციონალიზაციას და ამით მისი წინააღმდეგობის დათრგუნვას ითვალისწინებდა, რის გამოც ამ პროცესში სომეხთა აქტიური მონანილეობა, ბუნებრივია, მხარეთა ურთიერთობის „გაციებას“ კი არა და ურთიერთ-დამოკიდებულების უკიდურეს გამწვავებასაც იწვევდა. გამონაკლის შეადგნდა მაშინდელი ჩვენი საზოგადოების შორსმჭვრეტელი ნაწილი – დიდი მოღვაწების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ოვანეს თუმანიანის, გაბრიელ სუნდუკიანისა და სხვა ცნობილ მოაზროვნეთა მეთაურობით, რომლებიც წარმოშობილი დაძაბულობის ჩაცხრობისათვის იღვწოდნენ და კეთილმეზობლობისა და ურთიერთპატივისცემის მრავალ-საუკუნოვანი ტრადიციების დაცვისაკენ მოუნოდგბდნენ ისტორიულ მეზობლებს, რაზეც ყურადღებას ამახვილებს მომხსენებელიც.

XX საუკუნეში წარმოშობილი პრობლემებიდან ერთ-ერთ უმთავრე-სად, საცხებით მართებულად, მიჩნეულია ამიერკავკასიის ადმინისტრაცი-ულ-ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი, რაც შემდგომში კიდევ უფრო გართულდა საგარეო ფაქტორის ზეგავლენით. თავდაპირველად ეროვნუ-ლი საბჭოების მოქმედების პერიოდში 1917 წ. ქართველ მოღვაწეთა ერთი ნაწილი სომხური მხარის მიერ წარმოყენებული ეთნიკური პრინციპის მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი, მაგრამ 1918 წ. მაისის ბოლოს ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნამ ცხადყო ტერიტორიული მთლიანობის დაცვის აუცილებლობა. ბ-ნი აშ. მელქონი-ანი სინაულს გამოთქვამს ქართველ პოლიტიკოსთა იმ ნაწილის პოზიციის შეცვლის და საერთოდ „ეთნიკური პრინციპის“ უარყოფის გამო.

ბ-ნი აშ. მელქონიანი აღნიშნავს აგრეთვე საქართველოს სომხური მოსახლეობის სეპარატისტულ მიღრეკილებებს საბჭოთა ხელისუფლებ-ის დასაწყის ხანაში და ამ მოვლენას ბოლშევიკური ხელისუფლების მეცნიერი პოლიტიკით ხსნის, რამაც მთელი მოსახლეობის მასობრივი უკ-მაყოფილება გამოიწვია.

ქართულ-სომხური ურთიერთობის თანამედროვე პრობლემებიდან უმთავრესად მიიჩნევს რეგიონალური კონფლიქტების მიმართ საქართვე-ლოსა და სომხეთის განსხვავებულ, უფრო ზუსტად, საპირისპირ მიდგ-ომას. ტერიტორიული ინტერესებიდან გამომდინარე, სომხეთი მხარს უჭერს

ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპით საკითხის გადაწყვეტას, რათა ამ გზით შეძლოს ყარაბალის მიერთება. საქართველო კი აზერ-ბაიჯანთან ერთად ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს ანიჭებს უპი-რატესობას. ამიტომ არისო, განაგრძობს ბ-ნი აშ. მელქონიანი, რომ საქართველოს მთავრობამ უფრო მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები დაამყარა აზერბაიჯანთან, ვიდრე სომხეთთან. საქართველო-აზერბაიჯანის აღიანის შექმნას ყოველმხრივ ხელი შეუწყო თურქეთმა და დასავლეთის სახელმწიფოებმა, რომლებიც კავკასიიდან რუსეთის გან-დევნს ცდილობენ. ამ პროცესს გასაღრმავებლად დასავლეთმა რუსე-თის სანინააღმდეგოდ ბაქო-ჯეიპანის სანავთობო კონტრაქტის ხელმოწ-ერას მიაღწია. ასეთ პირობებში საქართველომ შეინარჩუნა რა სომხეთთან ნორმალური ურთიერთობა, აეტომატურად აღმოჩნდა ეკონომიკური და პოლიტიკური შუამავლის როლში როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანს, ისე სომხეთსა და თურქეთს შორის. რეგიონში ძალთა ასეთმა განლაგებამ სომხეთი აიძულა უფრო მჭიდრო კონტაქტები დაემყარებინა რუსეთთან, მათ შორის სამხედრო-პოლიტიკურ დარგშიც. ყველაფრიდან ჩანს, გა-ნაგრძობს მომხსენებელი, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ ხანებში სომებ-ქართველთა ურთიერთობა არც თუ ისე ადგილად ვითარდებოდა. იყო მომენტები, როცა ჩვენი ურთიერთობანი, არცთუ მესამე ძალის მონაწილეობის გარეშე, შეიძლებოდა საბრძოლო სიტუაციაში გადაზრდილიყო. საბედნიეროდ ეს არ მოხდა. გაიმარჯვა გონიერებამ და თვითგადარჩენის ინსტინქტმა. სამაგალითოდ იმომებს გენერალ ანდრანიკის სიტყვებს, რომელიც მას ნოე რამიშვილთან და ევგენი გეგეჭკორთან საუბრისას 1919 წ. აპრილში წარმოუთქვამს: ქართვ-ელ-სომხეთა საომარი კონფლიქტის გამეორების შემთხვევაში ორივე ქრისტიანი ერის დაღუპვა გარდაუვალი იქნებაო. ბ. აშ. მელქონიანის აზრით, სომები გენერლის ეს სიტყვები დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას. ამჟამად ჩვენი ქვეწები, მათდა უნებურად, აღმოჩნდნენ ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ინტერესთა მიჯნაზე, რამაც აიძულა ისინი ეზრუნათ ამიერკავკასიაში კოლექტიური უსაფრთხოების ზონის შექმნაზე. დასასრულს, გამოთქვამს იმედს, რომ პრობლემები დაიძლევა, რისი დასტურიცაა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიაო.

ასეთ ოპტიმისტურ ნოტზე ამთავრებს ბ-ნი აშ. მელქონიანი თავის მოხსენებას და ჩვენც გვიჩნდება იმედი, რომ სომხურ ისტორიოგრაფი-აში ბოლო ხანს გაჩინილი პოზიციური დერების ნიშნები თავის ლოგიკურ განვითარებას პოვებენ. პეტერბურგის უნივერსიტეტის ჯერ კიდევ მე-

სამე კურსის სტუდენტი, დიდი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ძველ ხანას და ძველ ადამიანებს მიეტევებათ ლეგენდების შექმნა, მაგრამ თავის მხრივ ჩვენ გვევალება განვასხვავოთ ლეგენდები ისტორიული ჭეშმარიტებისაგან“³⁸. ცხადია, რომ გაყალბებული ფაქტებიდან და მოვლენებიდან მხოლოდ მცდარი დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი, რაც ისტორის გაკვეთილებს ქმედითუნარიანობას უკარგავს. ამიტომაც არის აუცილებელი ყოველმა ერმა იცოდეს „უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზიადებული, ყალბი“³⁹. მხოლოდ ამ პრინციპის დაცვის შემთხვევაში შეუძლია ისტორიოგრაფიას სარგებლობა მოუტანოს ხალხს, რომელსაც ის ემსახურება.

დასკვნა

ქართულ-სომხური ისტორიული ურთიერთობის ტენდენციური გაშუქება, ძირითადად ძველი სომხური ისტორიოგრაფიის ყველაზე გავლენიანი ნარმომადგენლის – მოვსეს ხორენაციდან იღებს სათავეს, მისი შემდგომი განვითარება კი საგარეო ფაქტორის ზემოქმედების შედეგი იყო, რამაც მეტადრე ნეგატიური სახე კავკასიაში რუსული მფლობელობის დამყარების დროიდან მიიღო, რომლის გამოძახილი დღესაც საკმაოდ იგრძნობა.

სომხური ისტორიოგრაფიის „ოქროს საუკუნე“ მაშინ დადგა (V ს.) როცა სომხური სახელმწიფოებრიობის დიდმა მარცხმა (ეროვნული ხელისუფლება დასავლეთ სომხეთში 391 წ. გააუქმეს რომაელებმა, აღმოსავლეთში სპარსელებმა – 428 წ.) ეროვნულ თვითშეგნებას სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქცია დააკისრა. ასეთ სიტუაციაში სომებს ისტორიკოსთა პატრიოტულ მოვალეობად იქცა ძლიერების ხანის სომხეთის ისტორიის მთელი დიდებულებით, თუნდაც გაზიადებით, ნარმოჩენა, ოღონდაც მას დამოუკიდებლობისათვის ხალხის დარაზმა და სულიერად განმტკიცება შესძლებოდა. აქედან გამომდინარე, სომხეთისა და სომებთა გამორჩეულობის იდეამ შუა საუკუნეების სომხურ ისტორიოგრაფიაში მყარად დაიმკვიდრა ადგილი და სახელმწიფოებრივი მარცხით შელახული ღირსების დაცვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად იქცა.

სომხეთის განვითარების იდეა თავის აპოგეას მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“, სადაც სომებთა გამორჩეულობის აზრი კონცეფციის დონეზეა აყვანილი. მიზნის მისაღწევად თხზულების ავტორი ფაქტებისა და მოვლენების არათუ შელამაზებას, არამედ, რიგ შემთხვევებში, გაყალბებასაც არ ერიდება. მემატიანისათვის დამახასიათებელია, რომ კავკასიის ქვეყნებსა და ხალხებს ვერ ამჩნევს (ნ. ბერძენიშვილი) და მას მხოლოდ ზოგადი, გეოგრაფიული ტერმინით „ჩრდილოეთით“ და „ჩრდილოელებით“ აღნიშნავს, რითაც, ეტყობა, ცდილობს კავკასიაზე მკითხველს სომხეთს დაქვემდებარებული ქვეყნის შთაბეჭდილება შეუქმნას. ამიტომაა მის თხზულებაში ქართლი სომხეთის ნაწ-

³⁸ სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი, 1981, გვ. 43.

³⁹ ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, თხზულებანი, ტ. XII, გვ. 68.

იღად, ხოლო ქართველი ხელისუფლები სომხეთის სამეფოს მოხელეებად წარმოდგენილი. უფრო მეტიც, მ. ხორენაცი ქართლსა და მასთან ერთად კავკასიას პოლიტიკურადაც და სულიერი კულტურითაც სომხეთზე დამოკიდებულ ქვეყნად წარმოგვიდგენს, როგორც ძველ წარმართულ, ისე ქრისტიანულ ხანაშიც. ეს კონცეფცია ერთობ მიმზიდველი აღმოჩნდა საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლი პოლიტიკური წრეებისათვის, რომელთა საშუალებით, ეტყობა, მისი გავლენა მთელ სომხურ ისტორიოგრაფიას გადასწვდა მრავალი საუკუნის განმავლობაში.

სომხური ისტორიოგრაფიის ზვიადობას და მის შემდგომ განვითარებას არანაკლებ უწყობდა ხელს საგარეო ფაქტორით გამოწვეული მისთვის ზოგჯერ ხელსაყრელი ძალთა თანაფარდობა კავკასიაში. მაგალითად, სასანიანები სომხეთს, როგორც აღმოსავლური ტრადიციების მატარებელ ქვეყანას, თავიანთი პოლიტიკის საყრდენ პაზად ითვალისწინებდნენ ამ რეგიონში. ამასთან, სომხური ეკლესიის დოგმატური უთანხმოება პიზანტიასთან ირანს საშუალებას აძლევდა მასზე დაყრდნობით იდეოლოგიური სიტუაცია კავკასიაში თავისი მთავარი მეტოქის საწინააღმდეგოდ წარემართა. აქედან გამომდინარე, სომხური ეკლესიის მფარველობა სპარსული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. ცნობილმა სპარსულმა საეკლესიო კრებამ 614 წ. კტეზიფონში სომხური სარწმუნოება სავალდებულოდ გამოაცხადა მისი ქვეშვერდომი ქრისტიანებისათვის, რის შემდეგაც სომხური ეკლესიის იერარქიულმა პრეტენზიებმა აქ ფართო გასაქანი მიიღო და მსახურმა ისტორიოგრაფიამაც არა მარტო სომხური ეკლესიის, არამედ კავკასიის პოლიტიკური ისტორიის სურათის წარმოსახვაც ამ თარგზე სცადა. ანალოგიური ვითარების მოწმენი ვხდებით სახალიფო-პიზანტიის დაპირისპირების პერიოდშიც, როცა არაბთა ეგიდით აღდგენილი სომხური სახელმწიფოს მესვეურები მფარველთა პოლიტიკურ ინტერესებთან გარკვეული თანხვედრით იწყებრ მთელი კავკასიის დასაუფლებლად ბრძოლას, ამ ხანის სომხური ისტორიოგრაფია, თავის მხრივ, კავკასიაში სომხეთი ბაგრატუნი მეფეების განუსაზღვრელი ძალაუფლების ილუზიურ სურათს ჰქმნის და მხოლოდ სომხური სამეფოების დასუსტებისა და თანდათანობითი გაქრობის კვალობაზე, შუა საუკუნეების სომქე ავტორთა თხრობის მედიდური ტონი და ჰეგემონისტური მიდრეკილებები თანდათან ცხრება და საპირისპირო იცვლება.

ქართველთა ქრისტიანული წარსულის მნიშვნელობის ეჭვევეშ დაყენებისა და მისი დამცრობის ცდები სომხურ ისტორიოგრაფიაში საკ-

მაოდ არგუმენტირებულად იყო ადრიდანვე „მოქცევა ქართლისა“ კრებულში შესული „წმ. ნინოს ცხოვრებით“ (ძეგლი თარიღდებოდა VII-IX სს-ით, ბოლო ხანს კი V ს. მეორე წახევარით). ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორის დასკვნით, ქართლისა და წმ. ნინოს მნიშვნელობა აღმოსავლეთის საქრისტიანოს წინაშე გაცილებით დიდია, ვიდრე სომხეთისა და მისი განმანათლებლის გრიგოლ ბართელისა. ქრისტიანული რწმენის სიძეველითაც ქართლი წინ უსწრებს სომხეთს, რამდენადაც ქართლის განსაკუთრებული როლი ქრისტიანობის გავრცელებამდე წინასწარ იყო განსაზღვრული და ქართლის ამ უპირატესობას თავისი პირით აღიარებდა დვინებილი სომეხი მიაფორიც. ამიტომ მოხდა, რომ ქრისტიანული რწმენის ჩასახვისას სომხეთი მთლიანად ქართლზე აღმოჩნდა დამოკიდებული, ვინაიდან სომეხთა ეკლესიის საფუძველი იმ ადამიანთა ძვლებზე დაიდო, რომლებიც წინოს მიერ იყენენ მოქცეული (ე. ი. რიფსიმიანელები) და მათთან ერთად მოევლინენ სომხეთს (კ. კეკელიძე).

XI ს. შუა ნლებში, როცა შუა საუკუნეების სომხურმა სახელმწიფო-ბრიობამ საბოლოო მარცხი განიცადა, საქართველო კი მოწმოდებული აღმოჩნდა იმ ცენტრად ქცეულიყო, რომლის გარშემო მთელი კავკასია ერთიანდებოდა, საჭირო გახდა ისეთი იდეურ-მორალური საყრდენის შექმნა, რომელიც კავკასიაში საქართველოს წამყვანი როლის სამართლიანობას ისტორიული განვითარების კანონზომიერებითაც გაამართლებდა. ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ XI ს., თითქმის ერთდროულად, რამდენიმე ქართველი ისტორიკოსი (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, „მატიანე ქართლისა“) ავტორი და სუმბატ დავითის ძე) წერს უძევესი დროიდან XI ს-მდე თავისი ქვეყნის გაბმული ისტორიის სხვადასხვა ნაწილებს, რომლებიც ქმნის დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნვების გმირული ბრძოლის მთლიან სურათს, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას კავკასიის ერთიანი ქრისტიანული სამყაროს წარმოქმნა-განვითარების წარმოსაჩენად. კავკასიის გაერთიანების პროცესის ავანგარდში მყოფი ქვეყნის პოლიტიკური ამოცანებიდან გამომდინარე ქართული ისტორიოგრაფია (ლეონტი და სხვები) კავკასიის ისტორიის იმგვარ მოდელს ქმნიან, რომელსაც ქართველთა მიმართ სომეხთა გაუცხოება უნდა გამოერიცხა, რათა სომხეთის მემკვიდრეობისათვის ბიზანტიასთან ბრძოლაში ხელი არ შეშლოდა. ამიტომ, ამ დროისათვის პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული მ. ხორენაცის კონცეფციის კრიტიკის ნაცვლად ლეონტი მროველმა მისი ძირითადი დებულებები და მათს საფუძველზე გაშუქებული

ფაქტები შეასწორა და ხორენაცის ექსპანსიურობას კავკასიის ხალხთა სისხლით ნათესაობისა და ძმობის საკუთარი კონცეფცია დაუპირისპირა, რითაც არა მარტო მორალური უპირატესობა მოიპოვა „სომხეთის ისტორიის მამაზე“, არამედ დროის მოთხოვნასაც უკეთ მოერგო. რამდენადც კავკასიის შემკრების პოლიტიკური ლიდერობა კულტურული ლიდერობითაც უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, ლეონტი ქართული დამნერლობისა და მნიღნობრობის დიდ სიძველეს (სომხეთთან შედარებით 7-8 საუკუნით) აღნიშნავს და შესანიშნავად ასაბუთებს ძველი ქართული სახელმწიფოს შექმნისთანავე გაჩენილი კულტურულ-პოლიტიკური მოთხოვნილებებით, მკითხველის ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე, კავკასიის პოლიტიკური ლიდერის სხვა უპირატესობებზეც.

ისტორიული სომხეთის დიდი ნანილის საქართველოს ცენტრალიზებული მონარქიის შემადგენლობაში შემოსვლის შემდეგ სომხეთის ისტორია საქართველოს ისტორიის ნანილად იქცა, რის გამოც სომებს ავტორთა ინტერესი მის მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა და მათი დამოკიდებულება ამ ისტორიისადმი დათბა. გასაგებია, რომ XII-XVIII სს. სომხური ისტორიოგრაფის პროდუქცია თანადროულ ქართველთა განსაკუთრებულ კომენტარს უკვე აღარ საჭიროებდა.

ქართული სახელმწიფოებრიობის მარცხთან ერთად (1801 წ.) სომხური ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის მიმართ ერთბაშად შეიცვალა და, ძირითადად, წევაზე მიიღო. ამის მიზეზი სხვა პირობებთან ერთად, ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა იყო, რომლის უშუალო გამტარებლები ქართველი ხალხის წინააღმდეგობის ძალისმიერი დათრგუნვის ღონისძიებებთან ერთად მისი ისტორიისა და კულტურის წაშლა-აღმოფხვრასაც ცდილობდნენ. ამ უღირს საქმეში ადგილზე თავიანთ მოკავშირედ და საყრდენ სოციალურ ბაზად რუსული ბიუროკრატია სომხურ ელემენტს და მის ბურჟუაზიას მიიჩნევდა, რომლის გაძლიერებაც მან თავისი ბატონობის დამყარებისთანავე დაიწყო. იმპერიის ადმინისტრაციის კეთილგანწყობილებისა და მფარველობის პირობებში სომხური ბურჟუაზის ინტერესების გამომხატველი ისტორიოგრაფია საქართველოს ისტორიისა და კულტურის მნიშვნელობის დამცრობის გზით კავკასიის ისტორიის თანამდევრულ გადაკეთებას შეუდგა, რასაც თან ახლდა სომხეთა „გამორჩეულობის“ ხორენაციისეული იდეებისა და ტერიტორიული პრეტენზიების ფართო პროპაგანდა. XIX ს. მეორე ნახევრიდან მაინც საქართველოს ისტორიის გაყალბებამ სომხურ ისტორიოგრაფიაში, თითქმის, სისტემატური ხასიათი მიიღო, რამაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა

მნვავე რეაქცია გამოიწვია. ქართული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული რუსული და სომხური ისტორიოგრაფიის ეს ერთობლივი კაბპანია მიზნად ისახავდა რუსეთისათვის ხელსაყრელი საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის შექმნას, რომელიც საქართველოს დაპყრობას გაამართლებდა და მას რუსეთის ჰუმანურ აქციად, ხოლო სომხეთისათვის ისტორიული საქართველოს მთელ ტერიტორიას მოსახლეობითაც და პოლიტიკური წარსულითაც სომხეთად წარმოსახავდა. ამ მთავარ პოლიტიკურ ამოცანას დაექვემდებარა სომხურ ისტორიოგრაფიაში ქართულ-სომხური ურთიერთობის ნებისმიერი საკითხის განხილვა რუსეთის მფლობელობის თითქმის ორი საუკუნის მანძილზე. ამ თვალსაზრისით, ერთობ მცირეა სხვაობა ბურჟუაზიული და საბჭოთა სომხური ისტორიოგრაფიების პოზიციებს შორის. XIX ს. დაწყებული შეტევა საქართველოს ისტორიაზე მისი მნიშვნელობის დამცრობისა და გაბიაბრუების მიზნით, XX ს. 40-იანი წლებიდან უკვე ფართო ფრონტით, თანადმიმდევრულ და გეგმაზომიერ ლაშქრობაში გადაიზარდა, რომელმაც საისტორიო კვლევის თითქმის ყველა სფერო და დარგი მოიცვა. ამჯერად კვლევის მიზანი დაშნავური პარტიის ფანტასტიკური რუკების მიხედვით, ე. წ. „დიდი სომხეთის“ ჩრდილო ნანილში ქართულის ნაცვლად სომხური ცივილიზაციის ნაკვალევის დადასტურება იყო. ასეთი განწყობილება სრულიად თავისუფლად იყითხება მთელ რიგ საბჭოთა სომებს მეცნიერთა გამოკვლევებში, რომლებიც ეხება სომხეთის ისტორიულ გეოგრაფიას, ტოპონიმებს, პოლიტიკურ ისტორიას, სასტორიო მწერლობას, ხელოვნების ისტორიას, კულტურის ისტორიას და სხვ. როგორც ამ ნაშრომთა კრიტიკულმა განხილვამ დაგვარწმუნა ტენდენციურად განწყობილი სომები აეტორები მიზნის მიღწევას ფაქტებზე ძალდატანებითა და ისტორიული მოვლენების გამრუდებით ცდილობენ. მაგალითად, ტაოკლარჯეთისა და ქვემო ქართლის ქართული არქიტექტურული ძეგლების სომხური არქიტექტურისათვის მისათვლელად საკმარისად მიაჩნიათ მათი გამოცხადება ქართული წესის სომებს ქალკედონიტა ნახელავად, ამ ძეგლების ქართულ წარწერებსა თუ სხვა წერილობით ძეგლებში მოხსენიებული ისტორიული პირები კი ქართულ ენაზე მეტყველ სომხებად. ქართული წესის სომებს ქალკედონიტა მაგიური ფორმულა ამ ავტორებმა ფაქტების გაყალბების ხელისშემსლელი წყაროების ავთენტური ცნობების წინააღმდეგობის დაძლევის უნივერსალურ იარაღად აქცია, „დაივიწყეს“ რა, რომ ტაოკლარჯეთში, ისტორიულ ნიადაგზე რომ არაფერი ითქვას, ქართული იყო არა მარტო არქიტექტურა, არამედ ლიტერატურა, ხელნაწერი წიგნები, მინიატიურები, მონუმენტური ფერწერა, ჭედური

ხელოვნების ნაწარმოებები და ყველა ისინი ორგანულად იყვნენ დაკავშირებულნი საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ეროვნული ხელოვნების საერთო განვითარებით. ამგვარივე დამოკიდებულება შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებისა და ისტორიული პერიოდების გაშუქებისას. ერთი სიტყვით, აღმოსავლეთ საქართველოს ტოტალურ გასომხურების ტენდენცია წითელ ზოლად გასდევს სომხურ ისტორიოგრაფიას მთლიანად საბჭოთა პერიოდში.

საბჭოთა და თანამედროვე სომხური ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან ნაკლად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, ქართული ისტორიოგრაფიის თითქმის, სრული იგნორირება და მის მონაცემთა გაუთვალისწინებლობა.

გაშული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებელი ქართული და სომხური სახელმწიფოების წარმოქმნის შემდეგ, სრული თავისუფლების შეგრძნების პირობებში, სომხური ისტორიოგრაფიის რიგმა წარმომადგენელმა დაუფარავად გამოხატა შორს მიმავალი გეოპოლიტიკური ზრახვები. წარსულის კრიტიკული შესწავლის ნაცვლად, წინამორბედი და უფროსი თაობის მიერ გაყალბებული ისტორიის პაზაზე მათ დაშნაუთა იდეების პროპაგანდას მიჰყევეს ხელი და ამ პროცესში არასერიოზულობის ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯეს. ამასთან ერთად, ამ ბოლო ხანს სომხურ ისტორიოგრაფიაში პოზიტიური ძვრების ნიშნებიც შეიმჩნევა. მაგალითად, ქართულ-სომხური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის თემაზე მდარე, მეცნიერებას დაცილებული, პრიმიტიული ნაშრომების მომრავლებით შეშფოთებული, ჩვენში ტენდენციურ ავტორად ცნობილი ბ-ნი პ. მურადიანიც კი კრიტიკულად განეწყო და საჯაროდ დაგმო თავისი ახალგაზრდა კოლეგის ს. კარაპეტიანის მიერ ფაქტების აშკარად ზღვარს გადაცილებული გაყალბება, რაც მისი ავტორის ცოდნის უკმარისობით ახსნა. მიუხედავად ამისა, პ. მურადიანის ეს გამოსვლა ურთიერთგაგებისკენ გადადგმულ სასიკეთო ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ. მისასალმებელია, აგრეთვე, XIX-XX სს. ქართულ-სომხური ურთიერთობის შედარებით ახლებური გააზრება სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის აშ. მელქინიანის მოხსენებაში, რომელიც მან თბილისში წაიკითხა.

ცხადია, გაყალბებული ფაქტები სწორი დასკვნის საშუალებას არ იძლევა, ამიტომ, ივ. ჯავახიშვილს რომ დავესესხოთ, აუცილებელია ყოველმა ერმა იცოდეს უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზიადებული, ყალბი.

Guram Maisuradze

FROM THE OF GEORGIAN – ARMENIAN RESATIONS

Summary

The subject of our research has various interpretations in historiography. Opposite evalution of the facts and events in interpretations of one and the same sources have long been attracting the interest of the readers. This paradox needs scientific explanation. The given work is the first attempt of such an explanation.

The tendentious interpretation of the history of Georgian – Armenian relations originates mainly from the most influential representative of the old Armenian historiography Movses Khorenats. The further development of tendentious interpretation of Georgian history was the result of external factor attaining the mosts negative quality after the all-powerful government of Russians in the Caucasus, the echo of which sounds strongly even today.

The „Golden Age“ of Armenian historiography started (the 5th century) when Armenian state suffered the great defeat (Romans abolished national government in western Armenia in 391 and Persians in the east part of the country in 428) and the national self-idenification attained the decisive function. In this situation the supreme patriotic duty of Armenian historians was to show in full greatness, even though exaggerated, the history of Armenia, to unite the nation for liberation movement and strengthen the spirit of Armenian people. As a result, the idea of uniqueness of Armenia and Armenians was firmly established in medieval Armenian historiography and had become one of the main sources of defending shaken national honour.

The idea of the glorification of Armenia reaches its climax in „The History of Armenia“ by Movses Khorenats where the idea of Armenians’ uniqueness gains conceptual character. To reach the aim the author of the history is not only coloring the facts and events but in some cases even falsifies them. The chronicle disregards the Caucasian countries and peoples (N. Berdzenishvili) and denotes them with generalgeographical term „the north“ and „norterners“. Thus, apparently he tries to make readers believe that the Caucasus is a country subordinated to Armenia. That is why in account Kartli is a part of Armenia

and Georgian authorities are the officials of the Armenian kingdom. More than that according to Movses khorenats the Caucasus together with kartli had been a country politically and culturally (meaning spiritual culture) subordinated to Armenia both in pre-Christian and Christian periods. The concept seems to be quite attractive for the Armenian political circles trying to rebuilt abolished statehood. These circles must have promoted the concept and established it in the and its further development was also supported and encouraged by advantageous distribution of forces in the Caucasus conditioned by exterior factors. For example, Armenia as the country bearer of the oriental traditions was considered by Sasanian as a support of their policy in the region. Besides, the dogmatic disagreement of the Armenian Church was a significant factor of the policy of Iran. The well known Persian church council in Kteziphon in 614 announced Armenian religion as obligatory for his Christian subjects which caused the wide extension of the pretensions of the Armenian Church hierarchs. Armenian historiography was ready in trying to picture not only the history of the Armenian Church but also the political of the Caucasus in the given frame. The similar situation can be witnessed in the period of caliphate – Bizantium opposition where the authorities of Armenian state was restored under the aegis of Arabs. Sharing the political interests of their protectors, Armenian political forces started the fight for gaining the whole Caucasus. The Armenian historiography of those days created the impression that Armenian kings-Bagratuns- had an absolute power in the Caucasus. Only after weakening and gradual disappearance of the Armenian kingdom the arrogant tone and hegemonic tendentious of the medieval Armenian authors gradually died down and changed to the opposite. The attempts raising doubts about the importance of Georgia's Christian past and of belittle it, had been reasonably criticized already in „The Life of St. Nino“ (the monument was dated earlier to the 7th -9th centuries, and according to current investigations to the II half the 5th century) which is a part the collection „Moktsevai kartlisai“ (The Conversion of Kartli). The author of the Georgian historiographic account concludes that the contribution of Kartli and St. Nino towards Eastern Christianity is much more important than that of Armenia and its enlightener Grigorius the special role of Kartli before the dispersion of Christianity was determined beforehand. Armenian miafor himself (a person who looks after the sanctuary) from Dvini admits this priority of kartli. So, when the Christian faith had been conceived in kartli, Armenia became wholly depended on it, as the Church of Armenia was founded on the

holy bones of those martyrs (i. m. ripsimians) who were converted by St. Nino ans had crossed the frontier with her (K. Kekelidze).

In the middle of the 11 th century, when the medieval Armenian state underwent the final collapse and Georgia became the centre uniting whole Caucasus, the creation of ideological and moral basis for justifying the leading role of Georgia in history of the Caucasus was necessary. It must not have been accidental that in the 11 century some Georgian historians (Leonti Mroveli, Juansher, the author of “The Chronicle of Georgia” and Sumbat the son of David) wrote different parts of the country history from the ancient times till the 11 century almost simultaneously displaying the whole picture of the centuries-long heroic struggle the creation and development of the united Christian world of the Caucasus.

In the process of uniting the Caucasus, determined by the political aims of the vanguard country, Georgian historiography (Leonti and others) creates the model of the Caucasian history which should have overcome the Armenian estrangement to fight freely with Byzantium for the heritage of Armenia. That's why instead of criticizing M. Khorenats' concept, that had no practical importance for those period, Leonti Mroveli corrected his main statements and treatments of the facts and opposed his own concept of the Caucasian peoples' kinship and brotherhood to Armenian historians' expansion. Thus, Leonti gained not only moral priority over „The father of Armenian history“, but met well the demands of the time. The political leader had to the cultural leader as well. So, Leonti speaks about the ancient origin (7-8 century older in comparison with Armenian script) of Georgian script and literature and proves the cultural leadership of newly established ancient Georgian state had from the very beginning. Leonti draws the attention of the readers to other priorities of Caucasian political Leader as well.

When the great part of the historical Armenia became a part of the Georgian centralized monarchy, the history of Armenia had become a part of Georgian history as well. Because of this the interest of Armenian historians towards history of Georgia had grown and the attitude became warmer. Naturally, there was no need for making special comments on the Armenian historiography of the 12th -13th centuries at that time.

With the downfall of Georgian history was completely changed. The reason, among other circumstances, was the colonial policy of Tsarism. Besides the violent repression of the Georgian resistance the main figures of this policy

were trying to wipe out its history and culture. Russian bureaucracy found Armenia and its bourgeoisie to be their supporters in carrying out this unhonourable job. Supported by the empire administration, Armenian historiography, expressing the interests of Armenian bourgeoisie, started changing the Caucasian history diminishing the value of Georgian history and culture; consequently, wide propagation of Khorenats' ideas about Armenians' „Exceptionality“ and territorial pretensions. From the second half of the 19th century distortion of the Georgian history in the pretensions. From the second half of the 19th century distortion of the Georgian history in the Armenian historiography gained almost systematic character causing the sharp reaction and activities of Georgian national liberation movement. The united campaign of Russian and Armenian historiography against Georgian mentality aimed at the creation of suitable international opinion favored by Russia; it justified the annexation of Georgia, as a humane action and favored by Armenia which was to show that historic Georgia with its whole territory, population and political past belonged to Armenia. Any subject of Georgian-Armenian relations during almost two centuries of Russian domination served this main political aim in Armenian historiography. From this point of view bourgeois and Soviet Armenian historiography have mostly the same positions. The attack on Georgian history started at the beginning of the 19th century and gained its speed in the 40s of the 20th century; it developed into well planned and organized attack, embracing almost all fields and trends of investigation.

On this stage of investigation Armenian historiography basing on absolutely absurd maps of Dashnaks' party aimed to prove that the northern part of so called „Great Armenia“ traced the existence of Armenian civilization in the place of Georgian one. The attitude and position can be well seen in the investigations dealing with historical geography, toponymy, political history, chronicles, the history of art, the history of culture etc. The critical investigation of these works has proved that the Armenian scientists tried to reach the aim by distortion of the historical facts and events. For instance, Georgian architectural monuments in Tao-Klardjeti (historical province of Georgia, now in Turkey) and Kvemo Kartli (one of the regions of east Georgia) were declared to be Armenian because they were built by Chalcedonit Armenians of Georgian canon and declare historical persons mentioned in the inscriptions of these monuments or in historical sources as Armenians speaking Georgian; the magic formula „Armenian Chalcedonits of Georgian right“ became a universal means for overcoming the obstacles on the way of distortion of the

authentic records. They have „forgotten“ that in Tao-Klardjeti not only architecture was Georgian but also rich literature, manuscripts, miniatures, monumental paintings, engravings and all of them were united by the centuries-old common Georgian culture development process to say nothing of historical reasons. The same attitude can be traced in the treatment of the history of other regions of east Georgia and historic epochs.

Thus, the tendency of total Armenisation of past Georgia runs through the whole Soviet Armenian historiography.

The serious demerit of the Soviet and current Armenian historiography is also, almost total ignoring of the Georgian historiography and its data.

After establishing independent Georgian and Russian states in the 90s of the last century, feeling absolute freedom, some representatives of Armenian historiography openly unveiled their far going geopolitical interests. Instead of critical study of the past on the ground of the history destroyed by elder generation, they began the propagation of Dashnaks' ideas and had exceeded all limits. But the positive tendencies can also be viewed in the Armenian historiography lately. For example even Mr. P. Muradian, notorious in Georgia for his young colleague S. Karapetian's exceeding all limits and explained it as lack of knowledge. Despite this evaluation, Muradian's position is realistic and positive. Comparatively modern interpretation of the 19th-20th centuries Georgian-Armenian relations by the head of the Institute of History of the Academy of Armenia, Ash. Melkonyan presented in Tbilisi is welcomed, indeed.

It is obvious that interpretation of the facts enables us make right conclusions. That is why Iv. Javakhishvili used to say that each people should know the true and not falsified history of his nation.

Гурам Майсурадзе

**ИЗ ИСТОРИОГРАФИИ
АРМЯНО-ГРУЗИНСКИХ ОТНОШЕНИЙ**

Резюме

Наблюдаемое в историографии совершенно отличающееся друг от друга отношение грузинских и армянских историографов к исследуемой теме, при наличии одной и той же источниковой базы – в основном противоположное освещение и оценка фактов и явлений – давно обращает на себя внимание читающей общественности и требует объяснения создавшейся парадоксальной ситуации. Представленная работа является одной из первых попыток её оценки.

Тенденциозное освещение грузино-армянских отношений берёт начало от одного из влиятельнейшего представителя армянской историографии – Мовсеса Хоренаца. Дальнейшее же её развитие было уже итогом внешнего воздействия, получившего особо негативный характер после установления на Кавказе русского владычества, отголоски чего достаточно чувствительно проявляются и по сей день.

«Золотой век» армянской историографии настал, когда (V в.) полная ликвидация армянской государственности (местная власть в Западной Армении была упразднена римлянами в 391 году, а в Восточной Армении – персами в 428 году) возложила на национальное самосознание армян жизненно важную функцию. В такой ситуации армянские историки сочли за свою патриотическую обязанность представлять историю могущественной Армении во всей её красе, пусть даже за счет преувеличения, лишь бы это способствовало сплочению и духовной стойкости народа в борьбе за независимость. Исходя из этого, идея «исключительности» Армении и армянского народа в средневековой армянской историографии прочно закрепилась и превратилась в одно из основных средств защиты чести, поруганной утерей государственности.

Идея возвеличения Армении достигает своего апогея в «Истории Армении» Мовсеса Хоренаца, в которой «исключительность» армян

возведена до уровня концепции. Для достижения этой цели автор не постеснялся не только подкрашивания фактов и явлений, но и, в ряде случаев, фальсификации их. Для этого летописца характерно, что он не «замечает» (Н. Бердзенишвили) другие страны и народы Кавказа, поминая их общими терминами «Северные» и «северяне», пытаясь, по-видимому, создать этим у читателя впечатление о Кавказе как о стране, подвластной Армении. Именно поэтому в его сочинении Картли представлена в качестве части Армении, а грузинские властители – как сановники армянского царского двора. Более того, Картли, а вместе с ней и Кавказ, М. Хоренац представляет таким образом, будто эта страна зависела от Армении как политически, так и по духовной культуре и во времена язычества, и в пору христианства. Такая концепция оказалась весьма привлекательной для политических кругов, борющихся за восстановление собственной государственности и она, видимо не без помощи указанных сил, оказывала влияние на армянскую историографию и в последующем.

Немало способствовали спесивости армянской историографии и дальнейшему её развитию и определённые соотношения сил на Кавказе, возникающие время от времени благодаря внешним факторам и оказывающиеся весьма выгодными для этих целей. Так, например, Армению, как страну восточных традиций, Сасаниды считали опорной базой своей политики в этом регионе. При этом, догматические разногласия армянской церкви с византийской позволяли Ирану направлять идеологическую ситуацию на Кавказе против своего главного противника и, исходя из этого, покровительство армянской церкви стало немаловажным фактором его политики. Известное персидское церковное собрание 614 года в Ктесифоне постановило считать армянскую религию обязательной для персидскоподанных христиан, после чего иерархические претензии армянской церкви получили широкий простор и послушная ей историография попыталась отобразить по этому образцу картину политической истории не только армянской церкви, но и всего Кавказа. Аналогичное положение можно засвидетельствовать и в период противостояния Халифата с Византией, когда деятели армянского государства, восстановленного под эгидой арабов, используя определённое совпадение своих чаяний с политическими интересами покровителей, начинают борьбу за овладение Кавказом полностью. Армянская историография этого времени, в свою очередь, создаёт иллюзорную картину неограниченной власти армянских Багратуни на Кавказе и только после ослабления

армянских царств и постепенного их исчезновения надменный тон повествования армянских авторов и их гегемонические наклонности постепенно затихают и меняются на противоположные.

Попытки поставить под сомнение и умалить христианское прошлое грузин весьма аргументированно были отвергнуты в своё время «Житиём Св. Нины», вошедшем в сборник «Мокцеваи Картлисай» («Обращение Картли в христианскую веру»). Указанный источник датировался VII-IX веками, в последнее же время – второй половиной V века. По заключению автора этого грузинского агиографического произведения, роль Картли и Св. Нины перед христианством Востока гораздо значительны, чем Армении и её просветителя – Григола Парфянского. Картли опережает Армению и по давности веры, поскольку особая роль Картли в распространении христианства была заранее предопределена и это преимущество Картли признавал своими устами армянин Миафор из Двина. Потому и произошло так, что в момент зарождения христианской веры Армения оказалась всецело зависящей от Картли, ибо основание армянской церкви оказалось заложенным на костьях рифсимян, т. е. людей, обращенных в своё время Св. Ниной и вместе с ней появившихся в Армении (К. Кекелидзе).

В середине XI века, когда окончательно прекратила существование средневековая армянская государственность, а Грузия оказалась призванной послужить центром единения всего Кавказа, стало необходимым создание такой идеально-моральной опоры, которая послужила бы оправданием справедливости ведущей роли Грузии на Кавказе и объяснила это закономерность исторического развития. Не случайно, по-видимому и то, что в XI веке, почти одновременно несколько грузинских историков (Леонтий Мровели, Джуваншер, автор «Обращения Картли», Сумбат сын Давида) пишут разные части, начиная с древнейшего времени, сквозной истории своей страны, составляющих единую картину многовековой героической борьбы грузинского народа за независимость и прогресс – одну из значительнейших условий отражения формирования и развития кавказского единого христианского мира. Исходя из политических задач страны, стоящей в авангарде процесса объединения Кавказа, грузинская историография (Леонтий Мровели и др.) создают такую модель истории Кавказа, которая исключала отчуждение армян от грузин, чтобы это не могло помешать в борьбе с Византией за наследование Арменией. Поэтому, взамен критики утратившей к этому времени практическое

значение концепции М. Хоренаца, Леонтий Мровели подправил её основные положения и освещенные на их основе факты и противопоставил экспансивности Хоренаца собственную концепцию кровного родства и братства народов Кавказа. Этим он не только добился морального преимущества над «Отцом армянской истории», но и более адекватно откликнулся на требования времени. В виду того, что политическое лидерство объединителя Кавказа должно было быть подкреплено лидерством и в сфере культуры, Леонтий Мровели указывает и на большую древность (на 7-8 веков по сравнению с армянской) грузинской письменности и литературы и замечательно обосновывает их возникновение культурно-политическими требованиями, появившимися сразу же при создании древнегрузинского государства. Он заостряет внимание читателей также и на другие преимущества политического лидера Кавказа.

После включения большой части исторической Армении в состав централизованной монархии Грузии, история Армении стала составной частью истории Грузии, вследствие чего интерес армянских историков к ней еще более возрос и их отношение к ней потеплело. Отсюда вполне понятно, что продукция армянской историографии XII-XVIII веков уже не требовала каких-либо особых комментариев со стороны современных грузинских историков.

Вместе с приходом к концу грузинской государственности (1801 г.) отношение армянской историографии к истории Грузии сразу и резко изменилось, приняв, в основном, негативный характер. Причиной этому, наряду с другими, послужила и колониальная политика царизма, основные исполнители которой, вместе с проведением мероприятий силового подавления противоборства грузинского народа, пытались стереть и изъять его историю и культуру. В этом недостойном деле русская бюрократия своим союзником и опорной социальной базой на месте считала армянский элемент и его буржуазию, укрепление которой она начала сразу же после установления своего господства. Армянская историография, отражающая интересы армянской буржуазии, в условиях благожелательности и покровительства со стороны имперской администрации, приступила к последовательной переделке истории Кавказа путём умаления истории и культуры Грузии, сопровождая это широкой пропагандой Хоренацкой идеи «исключительности» армян и терриориальными претензиями. Фальсификация истории Грузии в армянской историографии приняла,

особенно во второй половине XIX столетия, почти систематический характер, вызвав тем самым резкую реакцию деятелей национально-освободительного движения Грузии, ибо эта совместная кампания русской и армянской историографии, направленная против грузинского самосознания, ставила целью создания такого, выгодного для России мнения международной общественности, которое оправдало бы завоевание Грузии Россией и объяснило бы этот акт как гуманную акцию России, представив, наряду с этим, всю территорию исторической Грузии как по населению, так и по политическому прошлому, Арменией. Этой главной задаче было подчинено рассмотрение в армянской историографии любого вопроса грузино-армянских отношений на протяжении двух веков русского господства. С этой точки зрения весьма незначительна разница в позициях армянской историографии буржуазной и советской эпох. Начатая в XIX веке атака на историю Грузии с целью умаления и принижения её значения, она с 40-ых годов XX столетия переросла в осуществляемый уже широким фронтом последовательный и планомерный поход, охвативший почти все сферы и отрасли исторических исследований. На этот раз задачей исследований являлось подтверждение в северной части составленной партией дашнаков фантастической карты т. н. «Великой Армении» следов армянской цивилизации вместо грузинской. Такой настрой легко читается в исследованиях целого ряда армянских советских историков, касающихся исторической географии, топонимики, политической истории, исторической литературы, истории искусства, истории культуры и т. д. Критическое рассмотрение этих работ подтверждает, что достижения своей задачи тенденциозно настроенные армянские авторы стараются путём насиления фактов и искажения исторических явлений. Так, например, для причисления расположенных в Тао-Кларджети и Квемо Картли памятников грузинского зодчества к армянской архитектуре, они считают достаточным провозглашение их рукотворением «армянских халкедонитов грузинского порядка», или же – упоминаемых в грузинских надписях этих памятников или в других письменных памятниках исторических личностей – грузиноговорящими армянами! Магическую формулу - «армянские халкедониты грузинского порядка» эти авторы превратили в универсальный инструмент для преодоления имеющихся в аутентичных источниках противоречий, препятствующих фальсификации фактов, «позабыв», при этом, что в Тао-Кларджети грузинской была, не говоря уже об исторической почве, не

только архитектура, но и богатая литература, рукописные книги, миниатюры, монументальная живопись, произведения чеканного искусства, и всё это было органически связано между собой общим развитием грузинского национального искусства на всём протяжении веков. Подобное же отношение наблюдается и при освещении других периодов истории и других регионов Восточной Грузии. Одним словом, попытка тотального «обарменивания» Восточной Грузии красной нитью прослеживается в армянской историографии на всём протяжении советского периода.

Серьёзным недостатком советской и современной армянской историографии следует считать также и почти полное игнорирование грузинской историографии и непринятие во внимание предоставляемой ею информации.

В начале 90-х годов прошлого столетия, после образования независимых грузинского и армянского государств, в условиях ощущения полной свободы, рядом представителей армянской историографии совершенно открыто были высказаны идущие далеко геополитические замыслы. Вместо критического рассмотрения прошлого, они занялись пропагандой дашнакцутюнских идей на базе истории, извращенной их предшественниками и старшим поколением и переступили в этом процессе все мыслимые рубежи несерьёзности. Вместе с этим, в последнее время в армянской историографии отмечается и признаки позитивных сдвигов. Так, например, даже известный у нас как тенденциозный автор г-н П. Мурадян, обеспокоенный умножением низкопробных, далёких от науки примитивных работ на тему грузино-армянских культурно-исторических отношений, настроился критически и публично осудил явную и необузданную фальсификацию фактов своим молодым коллегой С. Карапетяном, объяснив это недостаточными знаниями автора. Это выступление П. Мурадяна мы воспринимаем как шаг доброй воли на пути к взаимопониманию. Следует приветствовать, также, и осмысление, сравнительно по-новому, грузино-армянских отношений в XIX-XX веках, изложенное в докладе директора института истории Академии наук Армении А. Мелконяна, прочитанном им в Тбилиси.

Ясно, что подделанные факты никогда не дадут возможность сделать правильные выводы. Поэтому, следуя Ив. Джавахишвили, можно сказать, что каждый народ обязательно должен знать свою достоверную, истинную историю, а не преувеличенную, поддельную.

საპირადო

პირთა სახელები

პ

- აბასიანები 195
აბაშიძები 208
აბგარი (სომეხთა მეფე) 29
აბგარ IX ედესის მეფე (179-214) 29
აბგარ უკამა, ედესის მეფე (დაახლ. I ს.) 29
აბდალაძე, ალ. 21(სქ.), 28(სქ.), 29(სქ.), 58(სქ.), 68(სქ.), 90(სქ.), 135(სქ.), 193(სქ.), 205(სქ.)
აბელანი მ. 16, 17(სქ.), 20, 29(სქ.), 31
აბრამიანი 270
აბრამიშვილი 270
აბულაბას სომეხთა ერისთავი 85
აბულასანი 148
აბულაძე ილ. 71, 102(სქ.)
აბუსერი, ხიხათა, ციხისჯვრისა და ანურის ციხის ჰატრონი 231
აგათანგელოსი 15, 16, 19, 28, 40, 76, 102
ადარნასე ბაგრატიონი 196
ადარნასე II ქართველთა მეფე 32, 86, 228, 229, 273
ადარნასე, გურარმ მამფალის ძმა 85
ადერკი 55, 56, 59, 102
ადონცი 6. 152, 194, 271
ავალიშვილი 211
ავალიშვილი ზ. 126
ავეტიქი 210
აზარიანი 270
აზარიაშვილი 270
აზონი, აზო 50, 68
აზორკ (ფარსმანისა და კაისის მემკ.) 60, 61

- ალექსანდრე კახთა მეფე 266
ალექსანდრე მაკედონელი 26, 49, 50, 80
ალექსანდრე I (რუსეთის იმპ.) 98, 99
ალექსიძე ზ. 38, 129, 130(სქ.), 181(სქ.), 211(სქ.), 244
ალიძანი მ. 145
ამაზაბე 65
ამილახორები 208
ამირქურდ არწრუნი 148
ანაიტი ღვთაება 28
ანა კომენი 165, 170, 171, 174, 179
ანდრიანიკი, გენერალი 277
ანდრია ბოგოლუბსკი 147
ანთაძე კ. 110(სქ.)
ანტიოქიო 49, 68
ანტიოქიო, ასურასტანის მეფე 50, 51, 52
ანტიოქოს III 52
ანტონიუსი 27
აჟდალან სპარსთა მეფე 68
არამაზდი, ღვთაება 28, 80
არამასი (არამანეაკის ძე) 23
არამანეაკი (ჰაიკის ძე) 22, 23
არაქელ დავრიულეცი 92
არაქელიანი პ. 154
არდშირ სასანიანი (იგივე არტაშირი) 66
არველაძე პ. 140, 263
არისტაკეს ლასტივერტეცი 174, 175, 176, 177, 230,
არმაზელ (ფარსმანისა და კაოსის მემკ.) 60, 61
არმაზი 28, 79, 80

- არსენ საფარელი 38
არტაბანი (პართიის მეფე) 66
არტაგი 55
არტავაზდი 62
არტავაზდ II 27
არტაშეს I, სპარსთა მეფე (ძვ. 6. II ს.) 27, 29
არტაშესი 52, 54, 61
არტემ არარატელი 117, 120
არტემ შავერდოვი (სომეხი ვაჭარი) 98
არუთინიანი პ. ტ. 135
არუთინოვა-ფიდანიანი ვ. 173, 177, 179, 181, 182, 189, 190, 191, 192, 198, 229
არშავი 52, 53, 54, 55, 56, 57,
არშავი (პართიის პირველი არშავიდი მეფე) 26, 44, 75
არშავიდები (პართელი) 27
არშავიდები, არშავუნიანები, არშავუნები 16, 21, 27, 53, 54, 55, 56, 57, 58, 67, 91
არშუშა ქართლის პიტიახში 129, 242
არწრუნები 53, 148
ასლანიანი 270
ასლანიშვილი 270
ასტერატურ მღვდელი 203
ასფაგური 65, 67, 72
აფროდიტოს 80
აფციაური 6. 243, 244(სქ.)
ალა-მაჰმად ხანი 137
აშოტ I 32, 33,
აშოტ II 33
აშოტ I ბაგრატიდი 132, 227, 230
აშოტ I დიდი, ადარნასეს ძე 197
აშოტ II კურაპალატი, ადარნასე II-ის ძე 86
აშოტ მსაკარი (ხორციჭამია) ბაგრატუნიანი 196
აშოტ სმბატის ძე 32, 228

ბ

- ბაბაიანი ლ. 232, 239
ბაგრატი, ქართველთა მეფე 189
ბაგრატ III 87, 88, 229

- ბაგრატ IV 37, 38, 53, 87, 88, 130, 230, 231, 250, 272
ბაგრატი, გურამ მამფალის ძმა 85
ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი 273
ბაგრატ გხეაცი (ვიხიკელი), სმბატის მამა 179, 180, 181
ბაგრატიონები 39, 54, 56, 185, 196, 216, 229, 258, 268, 269
არტანუჯელი ბაგრატიონები 184, 185, 186, 257
ტაოელი ბაგრატიონები 157
ბაგრატუნები, ბაგრატუნიანები, ბაგრატიდები 31, 33, 53, 86, 124, 125, 144, 145, 150, 184, 191, 196, 216, 222, 226, 227, 228, 230, 233(სქ.), 254, 268, 269, 280
ქართველი ბაგრატიდები 226, 236
სომეხი ბაგრატიდები 226, 227
შირაკელი ბაგრატიდები 226, 227, 229
ბაკალოვა ე. 172
ბაკური, სომეხთა პიტიახში 84
ბაკურიანი, ძე ბალდადისი (VIII ს. მოღაწე) 168
ბაკურიანი (გრიგოლის მამა), ტაოს ერისთავთ-ერისთავი 167, 171, 179
ბაკურიანი (ხუასროვანის ძე, გრიგოლ ბაკურიანის ბიძაშვილი) 167
ბალაზორი 250
ბარათაშვილი 211
ბარდოსი 44
ბარსელი 215
ბარტამი 64, 76
ბარტომი 55, 57, 59
ბასილი I 54, 55
ბასილი II 187
ბაქრაძე 211
ბაქრაძე დ. 103, 104
ბაყათარ, ოსთა მთავარი 87
ბიზანტიონი 49
ბიჭიანცი 216
ბიჭიაშვილი 216
ბორიანი პ. 200
ბებური 266
ბებურია 266

* საძიებლები დაურთო ირმა ბერიძემ.

ბეპურიანი 266
ბეპურიშვილი 266
ბეპურიშვილი მარიამი 266
ბეპურიძე 266
ბეგთაბეგისშვილები 203
ბეზობრაზოვი პ. 172
ბერიძე ვ. 143, 162, 163, 273
ბერძნიშვილი დ. 9, 128(სქ.), 248, 249,
250, 251, 253, 254, 258, 260(სქ.)
ბერძნიშვილი ხ. 26, 37(სქ.), 40,
57(სქ.), 69, 70, 71, 81, 83, 119(სქ.),
182, 238, 259, 279
ბერძნიშვილი მ. 208(სქ.)
ბეშქენ ჯაყელი, თუხარისის ერისთავი
198
ბოგვერაძე, ა. 21(სქ.), 168(სქ.), 171,
192(სქ.), 194(სქ.), 198(სქ.)
ბლუფოვი, გრაფი 98
ბროსე, მ. 69, 102
ბურნამოვი ს. 132
ბუტკოვი პ. გ. 117, 119
ბულა თურქი 85

გ

გაბრიელ სუნდუკიანი 276
გაგელები 141, 236
გაგიკ I 228
გაგიკ II 227
გაგიკ, სომეხთა მეფე 189
გაგიკ I შაჰანშა (ანისის მეფე) 87
გაი 79
გაცი 79
გეგეჭკორი ევგენი 277
გელამი (ჰაიკის შთამომავალი) 24
გელასი კვიზიკელი 243
გვანცა დედოფალი 266
გიორგაძე 211
გიორგი I 88, 174, 176, 177, 229
გიორგი III 103, 104
გიორგი ბრწყინვალე 148
გიორგი კედრენი 190(სქ.)
გიორგი მერჩულე 37
გიორგი მთამინდელი 198
გიორგი მწერალი 198

გიორგი სააკაძე 93
გიორგი (წმინდა) 203, 214, 215, 216
გიუნაშვილი ე. 37(სქ.)
გრიგოლ აკანეცა 91
გრიგოლ არტანუჯელი 198
გრიგოლ ბაკურიანის ძე 162, 164, 165,
166, 167, 168, 169, 170, 171, 172,
173, 174, 177, 178, 179, 180, 181,
182, 183, 192(სქ.)
გრიგოლ განმანათლებელი (წმინდა) 17,
18, 19, 30, 36, 66, 85, 215, 216,
241, 242, 243, 244, 281
გრიგოლ დარანალცი 92, 93(სქ.)
გრიგოლ მამიკონიანი 195
გრიგოლ ოშკილი (ოშკის მშენებლის
ხელმძღვანელი) 163, 273
გრიგოლ ორბელიანი 110, 113
გრიგოლ ხანძთელი 186, 196
გრიგოლ ხლათეცი 240
გრიგორიანი გ. 233, 235
გუარაბ გოდერძის ძე, ბეჭის ციხის
პატრონი 231
გუარამ მამფუალი 85
გუგუშვილი პ. 100(სქ.)
გუზან ტაოსკარელი 148
გურგენი (ტაშირ-ძორაგეტის კვირი-
კიანი მეფე) 228, 254
გურგენი, ადარნასეს ძე 86

დ

დავით აღმაშენებელი 101, 118, 130,
132, 157, 239, 268(სქ.), 272
დავით ბატონიშვილი (ბაგრატიონი)
202
დავით ბეგი 93
დავით ზარგაროვი (სომეხი ვაჭარი) 98
დავით კურაპალატი 86
დავით სოსლანი 146, 148
დავით უმინაწყლო (ლორე-ტაშირის
მეფე) 229
დავით II, ადარნასე II-ის ძე 86
დავით III კურაპალატი 87, 88, 157, 174,
186, 187, 188, 192, 199, 225, 229,
273

დავით VII ულუ 265
დავითი 203
დავლიანიძე-ტატიშვილი ლ. 88(სქ.),
228(სქ.), 254(სქ.)
დანინა 80
დემეტრე II 236
დერიბერი მ. 172
დოლიძე ი. 210
დონდუა ვ. 154, 155, 157, 158, 159
დონ პიედრო ავიტაბელე (მისიონერი)
212, 213

ვ

ზაბილონი (წმინდა ნინოს მამა) 35
ზაგურსკი ლ. 97
ზადენი 80
ზარენი, სომეხთა მეფის ძე (ან ზა-
რეპი) 61, 62
„ზაქარე სპასალარი“ 124, 125
„ზაქარია ერკაინბაზუკი“ 146
ზაქარია ვალაშეერტელი 178
ზაქარია მხარგრძელი 135, 146, 147,
148, 180
ზაქარია I (სარგის მხარგრძელის მამა)
147
ზაქარია ქანაქერცი 93
„ზაქარიანები“ 145, 147, 148, 232, 233,
234, 235, 272
ზაქარიდები 158, 233
ზედგენიძეები 208
ზიადი 178
ზუბალაშვილი სტეფანე 113
ზუბოვი ვალერიან 119

თ

თადეოსი (ქრისტეს მოწაფე) 29
თამაზოვა 112
თამარაშვილი მ. 111(სქ.), 113, 114,
214(სქ.)
თამარ მეფე 146, 148, 158, 232, 234
თარგამოსი 40, 41, 42, 44, 45, 46, 47,
81, 89, 90
თარგამოსიანები 46, 47, 50, 51, 59
თარსინიშვილები 206
თეიმურაზ II 93
თემურ-ლენგი 240
თეოდორიტე 243

თეოდოროს რშტუნი (სომხეთის მმართველი) 31, 222
თმოგველები 147, 236
თოვმა მეწოდეცი 90, 91 (სქ.), 92
თორნიკე ერისთავი 190, 192, 193
თოროსანი ხ. 233, 234
თოფჩიშვილი რ. 110(სქ.)
თრდატი 18, 19, 43, 44, 76, 77, 78, 79
თრდატ დიდი 92
თრდატ I 55
თრდატ III 22, 74, 84, 85
თრდატ სომეხთა მეფე 27
თუმანიანი 270
თუმანიშვილი 270

ღ

იაზერტ სპარსთა მეფე 129
იაკობაშვილი 270
იარვანდი (სომეხთა მეფე) 59, 60
ივანე დადიანი 231
ივანე ერისთავი 231
ივანე მორჩიასძე (იშხნის ხუროთმოძღვარი) 163, 273
ივანე მხარგრძელი 147, 148, 180
ივანიშვილი 270
ივანოვი ი. 172
იოანე ბატონიშვილი 120
იოანე დრასხანაკერტცი 32, 101, 228
იოანე ვარაზვაჩე 190
იოანე ზოსიმე 37
იოანე თორნიკე 178, 190
იოანე მამიკონიანი 250
იოანე საბანისძე 34
იოანე ჭორმანისძე 274
იობ სომხად წოდებული ქართლის მთავარეპისკოპოსი 218, 220
ინგოროვა პ. 53
იონნისიანი ა. 154
იოსებ ორბელი 228
ისაკაძე 270
ისააკიანი 270
იუზბაძიანი, კ. 6. 55(სქ.), 176, 188, 191, 222, 230, 231, 233(სქ.)
იური ანდრიას ძე ბოგოლუბსკი 148

ჰ

კადმისი (არამანეავის ძე) 22
კავკასოს 89, 90
კაზარვი დ. 172
კაკაბაძე ს. 100(სქ.)
კანანიანი ა. 256, 257, 258, 259, 260, 262
კაოსი (აღერეის შვილიშვილი) 59, 60
კაჯდანი ა. 172
კარაპეტ 250
კარაპეტიანი ს. 251, 252, 253, 254, 255, 256, 261, 262, 273, 274, 284
კარენ ფაჭლავი 66
კახაბერისძეები 265
კეკელიძე კ. 35, 36(სქ.), 37(სქ.), 197, 218(სქ.), 219(სქ.), 220(სქ.), 240, 241, 281
კვაჭანტირაძე ე. 89(სქ.), 196(სქ.)
კვირიკე III 269
კვირიკიანები 130, 254, 272,
კირაკოს განძაკეცი 91, 237
კირაკოს დაკვანი 216
კონსტანტი, აფხაზთა მეფე 87
კონსტანტინე დიდი, რომის იმპერატორი 18, 19, 43, 44, 78, 79
კონსტანტინე კეიისარი (VIII ს.) 196
კონსტანტინე I (1407-1411) 90
კონსტანტინე პორფიროგენეტი 171
კორონი 15, 19, 28, 30, 83, 217
კოსარო (ხოსრო) სომეხთა მეფე 65
კოსტოვა ა. 172
კოსტოვი ა. 172
კუპატაძე ბ. 261
კუცია კ. 92(სქ.), 93(სქ.), 116(სქ.)

ჸ

ლაზარ ფარსეცი 129, 156, 242
ლაზარევი გ. 172
ლალაიანი ე. 145
ლაფი (სენატორი) 126
ლევონდი 177, 195(სქ.), 196(სქ.)
ლეონტი მროველი 11, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 56, 57, 58, 59, 60, 61,

62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 88, 89, 216, 217, 218, 275, 281, 282
ლეო (არაქელ ბაბახანიანი) 123, 124, 127, 128, 129, 130, 133, 135, 136, 137, 139, 145
ლიპარიტი 86, 178
ლიპარიტ ბალვაში (ბაგრატ IV-ის თანამედროვე) 198
ლიპარიტ ბალვაში 38
ლიპარიტ ქვეშელი 274
ლომიძე 211
ლომოური ნ. 28(სქ.), 71(სქ.)
ლომსაძე შ. 97(სქ.), 111(სქ.)
ლორთქიფანიძე მ. 68(სქ.), 233
ლოლოთეტი 80
ლუბარსკი ი. 172
ლუი პტი 164, 172
ლუკაშვილი 270

მ

მაჟუან სპასპეტი 67, 68, 69, 71, 73
მათევოსიანი რ. 188
მაზნიაშვილი გიორგი 127
მათეოს განძასარელი 90
მათეოს ურჰაეცი 171, 179, 180, 181, 182(სქ.), 230
მაისურაძე გ. 9, 81(სქ.)
მაისურაძე ი. 266(სქ.), 270
მამაგულაშვილი 270
მამამისთვალიშვილი 270
მამასახლისიაშვილი 270
მამასახლისი 270
მამიკონიანები 20, 195, 196, 271
მამუკაძე 270
მამულაშვილი 270
მამულაშვილი 270
მამულია 270
მამულივი ს. 99, 262, 264, 265, 266, 267, 268, 269, 270, 271
მამულელი 270
მანანდიანი პ. 145, 146, 151, 152, 194, 230

მანანოვი დავით (სომეხი ვაჭარი) 98
მარი ნიკო 96, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 179, 182, 183, 184, 185, 186, 193, 198, 205, 241
მარიამ დედოფლალი (ბაგრატ IV-ის დედა) 53
მარკოვი ა. 100
მარკოზაშვილი 270
მარკოსიანი 270
მარუთანი ტ. 162, 163, 242, 272, 273, მაჩაბელი 211
მგალობლიმვილი მ. 208(სქ.)
მენაბდე ლ. 172, 173(სქ.)
მელიქიშვილი გ. 52, 58, 151(სქ.)
მელქესტ-ბეგი ლ. 18(სქ.), 66(სქ.), 91(სქ.), 92, 145, 146, 260
მესროპ მაშტოცი 16, 19, 30, 83, 219
მესხი ს. 99
მესხია შ. 147, 148, 206(სქ.), 233
მიაფორი დვინელი 36, 217, 218, 275, 281
მირვან ნებროთიანი (ფარნაჯომის ვაჟი) 55
მირდატი 63
მირიანაშვილი ნ. 141(სქ.)
მირიანაშვილი პ. 113
მირიან მეფე 27, 28, 43, 44, 51, 52, 53, 55, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80
მიჟრდატი 26, 27
მერტუმიანი გ. გ. 223, 227
მნაცაკანიანი ა. შ. 186, 187, 242
მოავია ხალიფა 31, 222
მოვსეს ხორენაცი 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 39, 40, 41, 43, 44, 45, 46, 51, 52, 53, 54, 58, 60, 61, 62, 64, 65, 67, 70, 72, 73, 74, 77, 79, 83, 84, 101, 102, 105, 141, 174, 193, 221, 242, 243, 279, 280, 281, 282
მოსე 209
მურადიანი პ. 159, 160, 161, 162, 173, 175, 176, 177, 179, 189, 199, 200, 201, 202, 203, 204, 207, 209, 210,

211, 212, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 236, 240, 241, 242(სქ.), 261, 262, 263, 264, 273, 274, 284,
მურვან ყრუ (736-738) 195
მუსხელიშვილი 215, 216
მუსხელიშვილი დავით 21(სქ.), 43, 128(სქ.), 153, 193(სქ.), 195(სქ.), 196, 197(სქ.), 260(სქ.)
მუსხელოვები 215
მუშეღ მამიკონიანი 20, 156
მუშელი, ყარსის მეფე 229
მუჩაძე 211
მუხრანბატონები 208
მხარებრძელები 124, 130, 145, 146, 147, 158, 233, 235, 239, 268, 272
მხითარ აირივანეცი 88, 89, 228, 254, 272
მხითარ გოში 147, 209, 210, 237

5

ნაბუქოლონისორი 82
ნაპოლეონი 120
ნასრა, გუარამ მამფალის ძე 86, 87
ნახაპეტიანი 112
ნებრძოთი (სპარსთა მეფე) 52, 53, 68, 84
ნებრძოთიანი 75
ნერსეს III კათალიკოსი 195
ნერსეპი ასურეთის მეფე 29
ნიკოლოზ I 109
ნიკოლოზ მისტიკოსი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი 32
ნიკოლოზ ჩოლოფაშვილი 213
ნინო წმინდა 28, 30, 34, 35, 36, 193, 216, 217, 218, 242, 243, 244, 265, 275, 281
ნოე 75, 85
ნოვოსელცევი ა. 152, 153
ნოზაძე ვ. 126, 251(სქ.)
ნუნე 30, 242

6

ომეადთა დინასტია 222

ონიანი ალექსანდრე 160
ორბელი 103, 104, 233
ორბელი 270
ორბელიანები 147, 208, 235
ორმანიანი მალაქია 145
ოსტროგორსკი გ. 172

ჰ

პავლიაშვილი 270
პაპაშვილი მ. 113(სქ.)
პაპი, სომხეთის მეფე (369-374) 20
პასკევიჩი 249, 269
პატრიანიანი ქ. 101-106
პეროვსკი 111
პეტრიაშვილი 270
პეტრე დიდი 106, 136
პეტროსიანი 270
პოლოსიანი 270
პოლოსიანი ს. 187
პროტიჩი ა. 172

ჟ

ჟანენი რემონ 242, 243, 244
ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი (ფრან-გი მოგზაური) 207
ჟორდანია ნოე 137, 138 (სქ.)

რ

რამიშვილი ნოე 277
რატი 178
რევი 80
რევი (მირიანის ძე) 78
რიფსიმე 30, 35
რიფსიმიანელები 281
როზენი ბარონი 98
რტიშჩევი ნ. თ. (ინფანტერიის გენერალი) 98, 99
რუსულანი, ლიპარიტ ქვეშელის, მეუღლე 274
რუფინუსი 243

ს

სააკაძე 270

სააკაშვილი 270
სააკიანი 270
სააკ ბაგრატუნი 156
საბა (წმინდა), იშხნის აღმდგენელი ან მშენებელი 184
საბინინი 37(სქ.)
სალია კალისტრატე 221
სალომე (თრდატის ქალიშვილი) 79
სარგის ვესტი 230
სარგის ზაქარიანი 234
სარგის თმოგველი 240, 241
„სარგის თმოგვეცი“ 239
სარგის მხარგრძელი 147
სარგის სარკავაგი 203
სარუხანი 112
სარქისიანი გ. 151
სარჯველაძე ზ. 160
სასანიანები, სასანიდები 66, 68, 75, 194
საურმაგი 52, 80, 156
საპაკი, კათალიკოსი 16
სებეოსი 31, 101, 222
სენკოვსკი ო. 101, 102, 104, 105, 107
სენ-მარტენი 107
სერაპიონ ზარზმელი 241
სეფელია ლოლოთეტის ას. (რევის ცოლი) 80
სილვესტრი, რომის პაპი 19
სიმეონი, სომეხთა კათალიკოსი 94
სიმონ I 92, 93
სისაკი (გელამის ძე) 24
სმბატ ბივრიტიანი (სომეხთა სარდალი) 60, 62
სმბატი (გურგენის ძმა) 228, 254
სმბატ I ბაგრატიდი 33, 227, 228
სმბატ ბაგრატის ძე 179
სმბატ II შირაკის მეფე 229, 187
სოზიმენე 243
სოკრატე 243
სოსთენი, სომეხი წინამდღვარი 37
სპანდიატ საპარსთა მეფე 48
სულა კალმახელი 198
სულხან-საბა ორბელიანი 69, 70, 73

სუმბატ დავითის ძე 39, 53, 84, 85, 86, 87, 88, 229, 281
სუმბატ იორბელი 235
სმბატ ტიტერაკალი, სომეხთა მეფე 87

სურენიანთა გვარი 67
სურენიანი ა. 67
სტალინი 139
სტეფანიანი გ. 240
სტეფანოს ორბელიანი 91, 103, 104, 235
სტეფანოს ტარონეცი ასოლიკი 32, 193, 229
სტრაბონი 27, 131, 193, 194, 260
სტრუვე 151
სუჯი დედოფლალი 35

ტ

ტარსაიჭ ორბელი 236
ტაციტუსი 64, 131
ტერაკოფ 250
ტერ-მკრტიჩიანი კ. 145
ტერ-სარქისიანი ა. 252
ტერ-ლევონდიანი ა. 6. 222, 223, 224
ტიგრან ერვანდიანი 22, 25, 27
ტიბერიოსი, რომის კეისარი 29
ტიგრან I 28
ტიგრან II 27, 121
ტოკარსკი 6. 142, 143, 144, 149, 159, 162, 163, 242, 272, 273

უ

ულუმბაბიანი ბ. 235
უმეკი, სომეხთა მთავარი 203
უხტანესი 181, 211(სქ.)

ჰ

ფადლონი, განძის ამირა 87
ფავსტოს ბუზანდი 15, 20, 28
ფარნავაზი 43, 48, 50, 51, 52, 68, 72, 79, 80, 81, 82, 89, 104, 193
ფარნავაზი (ფარსმანის სპასპეტი) 63

ფარნავაზიანები 20, 53, 54, 56, 57, 58, 67, 75
ფარნაჯომი 54, 55, 56, 57, 80
ფარსმან არმაზელი (ადერკის შვილი-შვილი) 59, 60
ფარსმან I 64
ფარსმან II ქველი 63, 64, 65
ფილარტოს ვარაუნუნი, (ანტიოქიის თემის ბიზანტიელი გამგებელი) (1078-1084) 182
ფევდო შაპუჟ ბაგრატუნი 32

ქ

ქართამი (ადერკის ძე) 55, 59
ქართლისი 42, 44, 49, 50, 79, 81, 89, 90
ქართლისიანი 50, 81, 82
ქარძმი, ქართველა მეფე 62
ქასრე სასანიანი, სპარსთა მეფე 65, 69, 75, 84
ქიქძე გ. 105
ქიშმიშვილი ს. 117, 118, 119, 120
ქუჯი 48, 55

ღ

ღარღაძე 216
ღარღაძეანცი 216
ღუკასი (ლუკა), სომეხთა კათალიკოსი 93
ღუკასიანი 270

ყ

ყაუხჩიშვილი ს. 168
ყუბანეიშვილი სოლ. 268

Ⴢ

Ⴢაბური, სპარსეთის მეფე 156
Ⴢავერდოვი ამირან (სომეხი ვაჭარი) 98
Ⴢანძე ა. 167(სქ.), 169, 170, 172, 173, 177, 190(სქ.)
Ⴢაპუჟ ამატუნი 196
Ⴢარა არამაირის ძე 23
Ⴢარდენი 208(სქ.)

შაპამირიანი იაკობ 94
შაპამირიანი შამირ 94
შაპენზარიანი ას. 145, 233, 235, 236
შაპულაშვილი 270
შაპულიანი 270
შირინენი გენ. 100
შოთა რუსთაველი 241
შოშიაშვილი 6. 89(სქ.), 196(სქ.)
შუშანიკი 129

ჩ

ჩამჩიანი მ. 145
ჩორდვნელის ძეები (კარინელი მემა-მულები) 192
ჩუბინაშვილი გ. 159, 264
ჩხარტიშვილი მ. 34(სქ.), 244

ც

ცაგარეიშვილი, ელ. 31(სქ.), 32(სქ.), 104(სქ.), 174, 175, 176, 179, 182, 192(სქ.), 195(სქ.), 228(სქ.)
ცანკოვა-პეტკოვა გ. 172
ცინცაძე ი. 120(სქ.)
ცოციშვილები 208

ც

ცერეთელი აკაკი 276
ჭ
ჭავჭავაძე ილია 106, 107, 108, 109, 113, 116, 263, 266, 276
ჭიჭინაძე ზ. 112, 113, 114, 211, 212
ჭუბაბრია რ. 261

ხ

ხანლარიანი, 6. ა. 92(სქ.)
ხატისოვი ალ. 121
ხაჩატურ 250
ხაჩატური 203
ხაჩატური, სომეხთა არქიეპისკოპოსი 215
ხაჩიკიანი ლ. 240
ხეჩატური 210

ხორხორუნთა გვარი 23
ხოსროვი, თრდატ დიდის მამა 92
ხოსროვ სომეხთა მეფე 66, 77
ხუარანძე, ვახტანგ გორგასლის და 84
ხუასრუეანი (ბაკურიანის ძმა) 167
ხუდაბაშევი ალ. 106, 107
ხურშუდიანი ლ. 246

ჯ

ჯავადი, განჯის ხანი 116
ჯავახ (ზევახ) 249
ჯავახიშვილი ი. 13, 19, 123, 126, 127, 128, 130, 131, 132, 133, 134, 135, 140, 151(სქ.), 209(სქ.), 259, 267, 278, 284
ჯალა 217
ჯანაშია ლ.-ნ. 21(სქ.), 27, 28, 129(სქ.)
ჯანაშია ს. 91, 142, 143, 144, 155, 159, 222, 224(სქ.), 273
ჯანდიერი გ. 249
ჯაოშვილი ვ. 97(სქ.), 207(სქ.)
ჯორბენაძე ს. 13(სქ.), 278(სქ.)
ჯუანმერი 39, 75, 84, 85, 88, 281

ჰ

ჰაიკი 22, 23, 24, 44, 45, 46, 88, 89
ჰაკიანი არამი 24
ჰაკობიანი 270
ჰაბამ ამატუნი 196
ჰაოსი 42, 44, 46, 48, 49, 50, 51, 52, 68, 90
ჰერაკლე 28
ჰმაიაკ მამიკონიანი 129
ჰოვჰანნეს დრასხანაკერტცი 32
ჰონიგმანი ე. 172

Bagratuns 286
Berdzenishvili N. 285
David 287
Grigorius 286

Javakhishvili Iv. 289
Juansher 287
Karapetian S. 289
Kekelidze K. 287
Leonti Mroveli 287
Melkonyan Ash. 289
Movses Khorenats 285, 286, 287, 288
Muradian P. 289
St. Nino 286, 287
Sumbat 287

აბეგანი 16(სქ.), 19(სქ.), 20(სქ.), 28(სქ.)
ადონი 194(სქ.), 271(სქ.)
არაკელიან ბ. 154(სქ.)
არველაძე ბ. 221(სქ.), 263(სქ.)
არიჩხეს ლასტივერცი 175(სქ.), 188(სქ.)
არუთიონა-ფიდანიან ვ. ა. 180(სქ.), 182(სქ.), 190(სქ.), 229(სქ.)
არუთიონან პ. თ. 135(სქ.)

Бабаян Л. О. 233(სქ.)
Багратиди 31(სქ.), 54(სქ.), 191(სქ.), 222(სქ.), 233(სქ.)
Беридзе В. 143(სქ.), 162(სქ.), 197(სქ.)
Борян Б. 200(სქ.)
Бутков П. Г. 119(სქ.)

Григорий (св.) 19
Григорий Бакурианис-дзе 170(სქ.), 177(სქ.), 190(სქ.)
Григорян Г. М. 233(სქ.)

Дарбінян-Меликян М. О. 32(სქ.)
Джанаша С. 91(სქ.), 142(სქ.)
Дондуа В. 154 (სქ.)

Еремян С. Т. 90(სქ.), 148(სქ.)
Загурский Л. 97(სქ.)
Захарий Канакерци 93(სქ.)

Иоаннисян А. Р. 154(սյ.)

Киракос Гандзакеци 92(սյ.), 93(սյ.), 237(սյ.)

Корюн 19(սյ.)

Кишишев С. Г., генерал-Лейтенант 117(սյ.), 119(սյ.)

Ломоури Н. 189(սյ.)

Лукин В. Г. 17(սյ.)

Мамулов С. С. 99(սյ.), 265(սյ.)

Манандян Я. А. 194(սյ.)

Марков А. 100(սյ.)

Н. Я. Марр 18(սյ.), 96(սյ.), 164(սյ.), 183(սյ.), 184(սյ.)

Маштоц 19(սյ.)

Мкртумян Г. Г. 223(սյ.), 227(սյ.)

Мкрян М. М. 31(սյ.)

Мнацаканян А. Ш. 186(սյ.)

Мовсес Хоренаци 31(սյ.)

Мурадян П. М. 175(սյ.), 199(սյ.), 203(սյ.), 207(սյ.)

Мусхелишвили Д. Л. 260(սյ.)

Новосельцев А. П. 152(սյ.)

Ониани А. 160(սյ.)

Орбели И. А. 228(սյ.)

Патканов К. 102(սյ.)

Петр Великий 117(սյ.)

псевдо-Шапух Багратуни 32(սյ.)

Сарджвеладзе З. 160(սյ.)

Тер-Гевондян А. Н. 195(սյ.), 222(սյ.), 224(սյ.)

Тигран второй 194(սյ.)

Торосян Х. 233(սյ.)

Токарский Н. М. 91(սյ.), 142(սյ.)

Улбабян Б. А. 235(սյ.)

Ханларян Л. А. 92(սյ.)

Шанидзе А. Г. 170(սյ.), 177(սյ.), 190(սյ.)

Эзов Г. 117(սյ.)

Юзбашян К. Н. 31(սյ.), 54(սյ.), 188(սյ.), 221(սյ.), 233(սյ.)

Юрий Боголюбский 148(սյ.)

Юстиниан 194(սյ.), 271(սյ.)

Ա 120 (սյ.)

Ա 176 (սյ.)

Ա 176 (սյ.)

Ա 187 (սյ.)

Ա 146 (սյ.)

Ա 146 (սյ.)

Ա 124 (սյ.), 128 (սյ.), 135 (սյ.)

Ա 92 (սյ.)

Ա 195 (սյ.)

Ա 146 (սյ.), 230 (սյ.)

Ա 179 (սյ.)

Ա 237 (սյ.)

Ա 234 (սյ.)

Ա 19 (սյ.)

Ա 187 (սյ.)

Ա 17 (սյ.)

Ա 37

Ա 193 (սյ.)

Ա 223 (սյ.)

Ա 20 (սյ.)

ՅՈՒՆՈՒՐՈ ՍԱԽՈԼԵՑՈ

Ճ

Ճաճիցո 177

Ճշլանո 93(սյ.), 116 (սյ.)

Ճնշրծագանելո 122, 123

Ճլանո 19, 61, 62

Ճղձանելո, ճղցանելո 19, 26, 27, 30, 31

Ճմորշացյասուս ხալեն 170, 221, 226

Ճրանո 31, 84, 152, 195, 196, 198, 222, 223, 224, 225, 250, 280

Ճղթածո 12, 19, 86, 87, 97, 175, 177

Զ

Զերժենո 16, 18, 25, 34, 48, 50, 64, 65, 78, 164, 171, 175, 184, 185, 186, 225, 243

Զօზանթոյելո 157, 191, 225, 226, 230, 231, 243

Զրանջոտա յրո 35

Ց

Ցըրմանելո 99

Ցոցարցի (Քոմո) 260

Ցշտենո 76

Շ

Շաղեսթնելո 137

Շոֆորելո 60

Շործույո 60

Յ

Յերայելո 82

Յցրույելո 55

Յըկանելո 190

Ո

Յատար-Թոնդռոլո 240

Յուրյո 47, 48, 102, 136, 187, 272

Յուրյմանո 92, 238

Յովին 98

Օ

օձերոյելո 101, 171

օզերոյելո 20, 26, 175

օմերոյելո 99

օնցլույելո 126, 127, 139

օրանյելո 15, 17, 18

օթալոյելո 213

Յ

յածագոյելո 26, 265
յացասոյելո, յացասուս ხալեն 27, 40, 41, 42, 44, 45, 46, 48, 53, 58, 60, 62, 79, 81, 89, 282

հիրք. յացասոյելո 72

յաելո 266, 267

Ը

Ըակե 165, 184
Ըատոն 64, 243
Ըցե 40, 48, 60, 65, 116, 136

Ձ

ձակեգոնելո 265
ձեցրելո 40, 48, 99, 165, 184
ձեսեն 198, 256
ձոնդռոլո 238, 272

Ր

րօն 48, 50, 61, 65, 72, 87
րօմալո 92, 121, 250, 251, 258

Ճ

ճարտելո 75

ճաჭանյո 60

Ր

րօմայելո 15, 18, 27, 30, 52, 66, 72, 171, 179, 265, 279
րոյս 99, 107, 134, 136, 138, 148, 204, 221, 553, 272

ს

საბჭოთა კავშირის ხალხი 221
სარკმიზი 84, 86
სელჩუკი 179, 227, 235, 236
სელჩუკიანი თურქი 40, 45, 130, 232, 239
სირიელი 15, 16, 164
სომეხი 13, 15, 21, 22, 24, 25, 28-30, 35, 38-42, 44-53, 56-68, 70, 72-75, 78, 84-87, 90-92, 97-100, 102, 105-109, 112, 113, 115, 116, 120, 122, 124-138, 140-142, 148, 150, 151, 153, 154, 156, 157, 165, 169-172, 174, 175, 177, 178, 180-182, 184, 186, 187, 189, 190, 191, 194, 196, 198-203, 205, 206, 209, 211(სქ.), 212, 214, 215, 218, 219, 222, 226-228, 234, 237-244, 247-249, 253, 256-261, 263-267, 270-273, 275, 277, 279, 280, 282,
სომეხი ქალკედონიტები 163-166, 168, 172, 174, 177, 178, 181-183, 185, 189, 193, 198, 273, 283
სომეხი მოსახლეობა 96, 97, 122, 123, 166, 199, 207, 208, 209, 210, 211, 213, 215, 216, 219, 220(სქ.), 247, 249, 250, 251, 253, 259, 267, 269, 270, 276
სპარსელი 15, 47, 50, 51, 58, 62, 63, 64, 65, 67, 68, 69, 73, 75, 76, 77, 78, 92, 93, 117, 130, 156, 243, 279

ჟ

ურარტუელი 249

ჰ

ფრანგი 102

ჸ

ქართველი 9, 13, 19, 26, 27, 30, 31, 34, 35, 37, 40, 44, 45, 46, 47, 48, 49,

50, 51, 52, 53, 54, 56, 57, 59-68, 72-75, 78-80, 82, 84-89, 91, 92, 93, 94, 96, 99, 101, 102, 104, 105, 107, 108-116, 121, 122, 123, 124, 125, 127, 129, 131-138, 141, 149, 154, 156, 157, 164-166, 168, 169, 171, 173-178, 180, 181, 184-186, 189-192-194, 196, 197, 198, 202, 204-210, 211(სქ.), 212-214, 216, 219, 226-228, 230, 231, 236-238, 240, 241, 243, 250, 252, 256-258, 260, 262, 263, 266, 267, 270, 272, 273, 276, 277, 280-282
„ქართველი გრიგორიანი“ 211, 213-215

ჴ

ყივჩაღი 72, 118, 148

ჶ

ხაზარი 46, 47, 65, 68
ხევსური 98

ჸ

ჯიქი 60

ჵ

ჰერი 40

ახავეც 18(სქ.), 19

ალან 18(სქ.), 19

ალбанეც 19

არმანინ 18(სქ.), 99(სქ.), 123(სქ.), 148(სქ.), 265(სქ.)

грузин 18(სქ.), 19, 123(სქ.), 148(სქ.)

ქვერი 20(სქ.), 22(სქ.), 93(სქ.), 106(სქ.), 151(სქ.), 187(სქ.), 223(სქ.), 240(სქ.)

გეოგრაფიული სახელები**ა**

აბოცი 43, 85
აბული 261
აგარანი 272
აგულისი 160
ადარბადაგანი 76, 87
ადრინინბოლი 55
ავლაბარი 120
აზავრეთი 261
აზია 26, 199, 202
აზერბაიჯანი 12, 122, 139, 140, 277
ათონის ქართველთა მონასტერი 171, 178, 190, 192, 197
აკანის 160
აკსიგომსი 160
აკურა 201
ალასტანი 261
ალბანეთი 16, 18, 31, 152, 186, 223, 224
ალბერის 160
ამერიკა 126
ამიერკავკასია 9, 12, 14, 20, 32, 35, 43, 100, 101, 102, 105, 111, 115, 119, 122, 123, 125, 127, 135, 141(სქ.), 144, 149, 151, 152, 153, 154, 174(სქ.), 176(სქ.), 188, 189, 198, 221, 222, 223, 224, 225, 226, 229, 230, 231, 232, 237, 244(სქ.), 252, 253, 254, 269, 275, 276, 277
ანანური 120
ანისი (ქ.) 87, 124, 179, 190, 192, 236
ანისის სამეფო 38, 225, 227, 229, 230, 231
ანისის ციხე 228, 229
ანტიოქია 181, 243
აგარანი 132
არაბეთი 31(სქ.),
არაბთა სახალიფო 226
არაგაცი (მთა) 23, 130
„არაეოვა“ 261
არანი 222

არარადის ქვეყანა (ვანის ტბის სახ.)
22

არას მთები 130
არარატის გავარი 205
არარატის მთა 46
არარატის ოლქი 124
არაქსი 43, 45, 107
არეშტი 258
არზრუმი, ერზრუმი 247, 256, 269
არმავირი (დასახ. პუნქტი) 23
არმაზი (გეოგრაფ. პუნქტი) 250
არმაზის ციხე 68, 85
„არმინა“ 222, 223, 225, 226,
არნის 160
არტაანი 196
არტანი 59, 61
არტანუჯის საერისთავო 198
არტანუჯის ციხე 197
არცახი 93, 124, 130, 239
ასისფორი 196
ასურასტანი 49, 50, 51, 52
ასურეთი 26
ატროპატენა 26
აფხაზეთი 97
აშოცი 132
აშშ 121
აჭარა 196
ახალი ნახიჭევანი 205
ახალი ჯულფა 205
ახალქალაქი 128, 140, 247, 249, 250, 251, 256, 269
ახალქალაქის მაზრა 121, 122, 125, 139
ახალქალაქის წყალი 248
ახალციხე 256
ახალციხის მაზრა 125
ახპატი 148
ახურიანი მდ. 93

ბ

ბაბილონი 22, 44, 52, 265
ბაგრევანდი 60, 62
ბავრა 261

ბაზარი 201
ბათუმი 97, 126, 127(სქ.)
ბათუმის ოლქი 126
ბამბაკის მთები 271
ბამბაკ-შორაგელი 97
ბანა 197, 272
ბარალეთი 258
ბარდავი 223
ბასიანი 60, 187
ბალდაჭი 265
ბეირუთი 255
ბერდუჯი მდ. 42, 43
ბერლინი 121
ბიზანტია 156, 17, 32-34, 37, 38, 41, 55, 68, 74, 131, 156, 162, 171, 174, 182, 187, 189, 191, 192, 196, 224, 226, 227, 231, 241, 262, 265, 280, 281
ბოდბე 35
ბოდბისხევი 201
ბოლნისი 132, 160, 161, 259
ბოლნისის სიონი 219
ბოლნოფორი 260
ბორჩალონ 93, 97, 139
ბორჩალოს მაზრა 121, 122, 125, 126, 134, 139
ბრეძა 215
ბრეძის გრიგოლ განმანათლებლის მონასტერი 215, 216
ბრეძის წმ. გიორგის ეკლესია 215, 216
ბრიტანეთი 125
ბულგარეთი 167(სქ.), 173(სქ.)
ბურნაშეთი 258
ბუქარესტი 164

გ

განძა 87, 136, 261
განძაკი 93
განჯა 116, 126
გარდაბანი 131
გელაქუნი 24, 130
გელი 24
გერმანია 121, 125
გოგარანი სოფ. 260

გოგარენე 27, 155, 194, 260
გორი 97, 126, 201, 216, 269
გორისთავი 201
გორისჯვრის სომხური ეკლესია (ჩალაბანდის საყდარი) 203
გუგარეთი 128, 131, 132, 133, 135, 154, 239, 271
გუგარქი 20, 124, 128, 155, 194, 217, 239, 247, 251, 254, 260, 271
აღ. გუგარქი 130
ჩრ.-აღ. გუგარქი 260
გუმბრი 121
გურგენის ზღვა 42, 87
გურჯისტანის ვილაიეთი 238, 239, 250

დ

დადეში 258
დავით გარეჯის ველი 140
დავით გარეჯის მონასტერი 273
დავისი 160
დამასკო 222
დარიალი 89
დარიალის ციხე 61
დარუბანდი 89
დასავლეთის ზღვა 26
დებედა-ჩაი მდ. 260
დემოთის ციხე 61
დერბენდი 222
დვინი 223, 236
დვლისწყალი 248
„დიდი სომხეთი“ 107, 123, 125, 141, 193, 244, 146, 247, 283
დმანისი 132, 160, 161, 259
დუისი 161

ჰ

ეგვიპტე 265
ეგრისი 43, 47, 50, 75
ევროპა 126, 199, 202
ევფრატი 107
ელდარის ველი 140
ელარბინი 217
ელიას მთა 253
ელიზავეტოპოლი 126

ელიზავეტოპოლის გუბერნია 128
ერასთი მდ. 23
ერევანი 89(სქ.), 93, 97, 133, 142, 149, 154, 174, 177, 188, 199, 203(სქ.), 246, 247, 261

ერევნის გუბერნია 122
ერუშეთი 34
ეშტიო 258
ეხტილა 261

ჸ

ვანის ტბა 22, 23, 24, 42, 44, 188, 192
ვასპურაკანი 35
ვასპურაკანის სამეფო 54, 227
ვალარშაპატი 94
„ვაჰრამიანთა სამთავრო“ 235, 236
ვიხიკი სოფ. 181
ვლადიკავკაზი 118

ზ

„ზაბასა“ 249
ზადენის მთა 80
ზაქათალის ოლქი 140
ზაქარიანთა სამთავრო 235
ზემო უბანი 108
ზემო ქართლი 178, 258
ზერტი 204, 214
ზერტის წმ. გიორგის ეკლესია 214
ზინდისი 161

თ

თავფარავნის წყალი 248
თამარაშენი 201
თბილისი 13(სქ.), 19(სქ.), 21(სქ.), 27(სქ.), 28(სქ.), 29(სქ.), 31(სქ.), 32(სქ.), 34(სქ.), 36(სქ.), 37(სქ.), 38(სქ.), 43(სქ.), 53(სქ.), 57(სქ.), 58(სქ.), 66(სქ.), 68(სქ.), 69(სქ.), 71(სქ.), 83(სქ.), 88(სქ.), 89(სქ.), 90(სქ.), 92(სქ.), 93(სქ.), 94, 97(სქ.), 99, 100, 102(სქ.), 103(სქ.), 104(სქ.), 105(სქ.), 107(სქ.), 110(სქ.), 111(სქ.), 112, 113(სქ.), 116(სქ.), 117(სქ.), 118(სქ.), 119(სქ.), 120, 121, 123,

125, 126, 127, 129(სქ.), 132, 135, 137, 138, 141(სქ.), 148, 151(სქ.), 153(სქ.), 154(სქ.), 159(სქ.), 160, 161, 164(სქ.), 167(სქ.), 168(სქ.), 172(სქ.), 173(სქ.), 174(სქ.), 181(სქ.), 193(სქ.), 196(სქ.), 197(სქ.), 199, 203, 206, 207, 208, 210(სქ.), 218(სქ.), 220(სქ.), 221(სქ.), 222(სქ.), 223(სქ.), 225(სქ.), 228(სქ.), 231(სქ.), 238(სქ.), 243(სქ.), 244, 251(სქ.), 252, 254(სქ.), 255, 258(სქ.), 264, 266, 268(სქ.), 278(სქ.), 284

თბილისის გუბერნია 122, 254
თბილისის სამების ტაძარი 253
თბილისის წმ. გიორგის სომხური ეკლესია 203
თეთრიწყარო 259
თელავი 134, 206, 269
თეტალია 26
„თრელქ“ 245
თრიალეთი 132
თურქეთი 97, 120, 125, 126, 139, 257, 277
თუხარისი 46
თუხარისის საერისთავო 198
„თფლის“ 239

ი

იბერია 18, 19, 21(სქ.), 131, 154, 155, 156, 171, 185, 190, 191, 192, 193, 194, 198, 223, 226, 249, 250, 260
„იბერიის თემი“ 225
იბერიის საკატეპანი 225
იერუსალიმი 35, 82
ივერია 20
იმერეთი 252
ინგლისი 121, 125, 126
ინდოელთა ქვეყანა 66
ირანი 15, 17, 27, 33, 65, 66, 152, 156, 200, 205, 224, 280
ირანის აზერბაიჯანი 97
იტალია 200

იშხანი 163, 165, 166, 184, 197, 272, 273

ქ

კავკასია 11, 12, 17, 18, 19, 21(სქ.), 24, 26, 27, 28, 30, 31, 32, 33, 36, 38, 39, 40, 41, 44, 45, 46, 59, 64, 70, 72, 73, 74, 75, 76, 79, 81, 84, 86, 87, 88, 89, 90, 92, 93, 95, 96, 98, 100, 101, 105, 106, 109, 110, 112, 119, 121, 123, 124, 126, 136, 139, 141, 144, 149, 150, 151, 152, 154, 155, 157, 159, 221, 222, 226, 229, 232, 236, 239(სქ.), 241, 242, 243, 244, 249, 264, 274, 277, 279, 280, 281, 282

სამხრ. კავკასია 22, 23, 96, 139, 140

ჩრდ. კავკასია 72

კავკასიონი, მთა კავკასია 31, 42, 46, 62

კალა 208

კალმახის საერისთავო 198

კალმახის ციხე 196

კამბეჩანი 275

კარი 232

კარინი 190, 192, 261

კარინის ოლქი 154, 155

კარწახი 131

კასპიის ზღვა 88, 90, 126

კახეთი 93, 114, 199, 200, 203, 204, 206, 212, 245, 251, 252

კახეთ-ჰერეთი 269

კესარია 243

კვარძა 258

კვირიკიანთა სამეფო 130

კილიკია 126

კიოლნი 162, 262

კლარჯეთი 42, 43, 148, 164, 184, 185, 193, 194, 195, 196

„კლარჯე“ 245

კოლა 43, 196

კოლბოფორი 260

კონსტანტინოპოლი 32

კონსტანტინოპოლის აია სოფიას ტაძარი 262

კორუმეთი 258

კოხტასთავი 240

კრწანისი 160

კტეზიფონი 17, 280

ლ

ლაგოდეხის რაიონი 266

ლილო 206

ლიხი 42

ლორჯ 234, 272

ლორჯ-ბაბაკი 272

ლორჯ-ტაშირი 128, 130, 135, 229

მ

მაგნეზია 52

მადრასი 94

მანგლისი 34, 160, 161

მანგლეაცფორი 260

მარნეული 259

მაროკო 265

მარტყოფის ველი 93

მაღარო 201

მაჩანი 201

მახლ. ალმოსავლეთი 22, 151(სქ.), 155, 158, 225

მაჰკანაბერდი 148

მესოპოტამია 152

მესეხთი 97, 126, 198, 251(სქ.)

„მეფის ქალაქი“ 206

მირაშანი 258

მირზაანი 201

მიჯნაძორი 166

მოვაკანი 75, 76

მოსკოვი 53(სქ.), 106, 174, 188, 264, 271

მტკვარ-არაქსის წყალგამყოფი 193

მტკვარი 20, 33, 42, 43, 44, 45, 59, 79, 87, 107, 126, 131, 155, 239

მტკვერის ციხე 46

მუდროსი 125

მუხრანი 204

მცირე აზია 152, 197

მცხეთა 57, 67, 76, 80, 82, 85, 126, 162, 220

მცხეთის ჯვრის მონასტერი 220, 263, 264

ნ

ნასომხარი 201

ნახჭევანი 60

ნიგალი 296

ნიზიბინი 26

ნიჩბისი 204

ნუკრიანი 201

ო

ოთხთა ეკლესია 273

ოლოდა 258

ორეთის ზღვა 42

ორხოფია 258

ორჯა 258

ოსეთი 67

ოსმალეთი 122, 134

ოშკი 163, 181, 197, 272

პ

პალნ-კურდანი 87

პალესტინა 26

პართა 26, 64, 66, 75, 84, 155

პარიადრის სანახები 131

პარიადრის ფერდობები 155

პარიზი 19(სქ.), 127, 220

პარხალი 197, 272

პეტრინინი 164, 167

პეტრინინის მონასტერი 165, 166, 169, 170, 171, 173, 178, 183, 190(სქ.), 273

პონტო 27

პონტოს ზღვა 26, 42, 88, 90

რ

რაბატი 217

რანი 75, 76, 224

რახსი 43, 79

რომი 18, 19, 28, 66, 72, 155, 156

რუსეთი 95, 86, 98, 99, 100, 101, 109, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 126, 130, 133, 134, 139, 140, 152, 200, 206, 221, 255, 256, 272, 276, 277, 283,

რუსეთის იმპერია 253

რუსი 160

რუსი 201

ს

საბერებები 273

საბერძნეთი 49, 77, 78, 80, 244

საბჭოთა კავშირი 143, 149, 159, 221, 246

საბჭოთა საქართველო 161

სალოშეთი 258

სამშვილდე 42, 130, 272

სამშვილდის საერისთავო 43,

სამცხე 195, 247

სამცხე-ჯავახეთი 97, 245, 256

სამწევრისი 161

სანკტ-პეტერბურგი 18(სქ.), 101, 106, 110, 277

სასანიანთა ირანი 17, 72

სასანიანთა სახელმწიფო 66

საფრანგეთი 121, 221

საფურცლე 217

საქართველო 12, 13, 16, 21(სქ.), 29(სქ.), 31(სქ.), 37(სქ.), 38-41, 43(სქ.), 44,

45, 49, 51(სქ.), 53-56, 57(სქ.), 58-60, 64(სქ.), 67-69, 70(სქ.), 74, 75,

81, 82, 83(სქ.), 88, 90-93, 95-99, 101, 103-107, 110(სქ.), 112, 113(სქ.), 115-119, 120(სქ.), 121, 122, 124, 125, 126(სქ.), 127, 128(სქ.), 129(სქ.), 130-135, 137-141, 144-151, 153(სქ.), 154, 156-164, 174, 176, 190, 191, 193, 195, 199-202, 203(სქ.), 204-

208, 209(სქ.), 210-215, 218, 219, 220(სქ.), 224(სქ.), 225(სქ.), 228, 230-234, 236-240, 243, 244(სქ.), 245,

246, 249, 251-257, 258(სქ.), 259, 260(სქ.), 261, 263-270, 272, 275-277, 280, 282-284

აღმ. საქართველო 100, 114, 155, 190, 201, 220, 221, 226, 239, 266, 269, 284
დას. საქართველო 64, 65, 230
სამხრ. საქართველო 143, 154, 251, 252
სამხრ-დას. საქართველო 149, 163, 197, 258
სალორე (სოფ.) 201
საცხენისი 160
სახალიფო 280
სევანის ტბა 24, 271
სელევკია 16
სელევკიდების სამეფო 49, 54
სივწინეთი 24, 31, 35, 37, 93, 137, 235, 236,
სივწინეთის სამთავრო 235
სირია 152, 222, 244
სიუნიქი 130, 239
სილნაძი 134, 269
სვანეთი 144
სპარსეთი 15, 20, 38, 52, 57, 63, 64, 65, 71, 72, 75-78, 80, 84, 117, 120, 129, 131, 133, 134, 156
სპარსეთის აზერბაიჯანი 126
სპერი 131, 193
სპერის ზღვა 43
სპერის ოლქი 154, 155
სომხეთი 9, 12-22, 24-33, 35, 36, 41, 43-46, 49, 51, 53, 54, 56-60, 62-65, 66(სქ.), 67-69, 71-78, 81, 84, 88, 90-94, 105, 106, 108, 114, 121-125, 127, 128, 130-135, 137, 139, 140, 142, 144-147, 149-157, 161, 162, 170, 183-185, 187, 193-195, 202, 211, 212, 218-230, 232-239, 241-243, 246, 247, 251, 252, 254-261, 263-265, 268, 271, 272, 275-277, 279-283
აღმ. სომხეთი 156, 224
დას. სომხეთი 16, 224, 279
ზაქარიანელი სომხეთი 234
„ზაქარიანული სომხეთი“ 232

ჩრდილო სომხეთი 124, 125, 158, 232, 234, 269
ჩრდ-აღმ. სომხეთი 234, 240, 284
ჩრდ-დას. სომხეთი 184, 185
ცენტრალური სომხეთი 232
სომხითი 49, 51, 52, 59, 63, 76, 78, 132, 134, 254, 275
სოხუმი 97
სტამბოლი 93
სხვილისი 161
ტ
ტაბახმელა 201
„ტაიქ“ 245, 271, 274
ტაო 42, 43, 131, 148, 157, 162, 164, 174, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 199, 227, 229, 272, 273, 274
სამხრ. ტაო 189, 190, 191, 193, 195, 196
ტაო-კლარჯეთი 142, 143, 144, 162, 163, 164, 165, 168, 169, 170, 171, 172, 178, 179, 182, 183, 184, 185, 186, 193, 196, 197, 197, 198, 199, 245, 273, 283
ტარონ 227
ტაშირი 128, 132
ტაშირ-ძმრაგეტის სამეფო 228, 272
ტაძრისი 161
ტეკორის ტაძარი (სომხეთი) 242
ტიბაანი 201
ტირქისი 161
ტოლოში 258
ტრაპიზონი 89
ტფილისი 18(სქ.), 66(სქ.), 105(სქ.), 131, 145(სქ.), 260(სქ.)
უ
უფლისციის 87
ვ
ვაზისი 160
ვანიანი 201
ვარავნის ტბა 217, 275

ფხოველი 201

გ
ქალაქინი არარატისანი 47
„ქარასუნ ალბიურ“ (ორმოცი წყარო) 248
ქართლი 20, 21(სქ.), 26-38, 43, 49-52, 54, 56-64, 66-69, 71-74, 76-83, 86, 87, 89, 93, 114, 132, 152, 153, 155, 177, 185, 191-195, 198-200, 203, 204, 206, 212, 216, 218, 219, 221-224, 228, 239, 244, 249-252, 258, 260, 279, 280, 281
„ქართლის ახალქალაქი“ 206
ქართლ-კახეთი 35, 94, 98, 112, 115, 117, 118, 120, 206
ქვემო უბანი 208
ქვემო ტაო 196
ქვემო ქართლი 20, 21(სქ.), 27, 97, 128(სქ.), 129, 130, 132, 133, 134, 178, 206, 219, 228, 239, 240, 245, 247, 251, 252, 254, 260, 271, 272, 273, 283
ქვემო ხაჩენი 235
ქვენაფორი 260
ქინძარი 217
ქუთაისი 138, 160, 201
ღ
ღადო 42
ღრტილა 37, 274
ყ
ყაზახი 93
ყანდა 216
ყარაბალი 12, 123, 137, 277
აღმ. ყარაბალი 122
ყარია 206
ყარაი-შირაქის ველი 140
ყარსი 236
ყარსის სამეფო 229
ყვიბისი 161
ყირსბულახი 248
ყულალისი 161
ჟ
შავი ზღვა 126
შავშეთი 196
შავშეთ-კლარჯეთი 197
შამი 76
შამშადინი 272
შარვანი 87
შატბერდი 166, 197
შიდა ქართლი 12, 46, 86
შირაკი 23, 38, 226, 228, 229
შირაკუანი 60, 62
შუა აზია 256
ჩ
ჩიხორი 201
ჩუნჩხა 258
ჩხარი 201
ც
ცელის ტბა 61
ცურტავი 128, 129, 210, 219
ძ
ძოროგეტი 145
ნ
ნალკა 97
ნინა აზია 44, 75, 244
ნეადისი 161
ნნისი 161
ნობოფორი 260
ნუნდა 57, 59, 61, 258
ნუნდის საერისთავო 250
ჭ
ჭობარეთი 258
ჭორის ციხესიმაგრე 31
ჭორობ-ევფრატის წყალგამყოფი 193
ჭორობი მდ. 43 107, 196, 271
ჭორობის ხეობა 107
ბ
ხაზარეთი 46, 47
ხანდთა 197

ხაჩენი 124
ხაჩენის სამთავრო 235
ხაული 197, 272
ხერთვისი 160
ხმელთაშუა ზღვა 42, 44, 126
ხორენი 261
ხორზენი 131
ხორძენე 155
ხოსპია სოფ. 262
ხუნანი 43, 46
ხრამი მდ. 127

კ

ჯავახეთი 57, 60, 61, 140, 217, 218,
239, 247, 248, 249, 250, 251, 252,
254, 255, 256, 257, 258, 259, 262
„ჯავახე“ 239, 245, 254, 256, 257, 258,
259, 260, 274
ჯაზირეთი 76
ჯანჯღა 258
ჯიქეთი 87

ჰ

ჰაიკაშენი (სოფ.) 22
ჰაიქი 23
ჰარქი (ზეგანის სახელი) 22
ჰერეთი 37, 42, 43, 75, 76, 275
ჰიონ ძორი (სომხთა ხევი) 23
ჰოლანდია 200
ჰორანი (სირია) 244

Armenia 285, 286, 287, 288, 289

Byzantium 287

Caucasus 285, 286, 287

Dvini 286

Georgia 285, 286, 287, 288, 289

Iran 286

Kartli 285, 286, 288

Kteziphon 286

Russia 287, 288

Tao-Klardgeti 288, 289

Tbilisi 289

Turkey 288

არაბის ხალიფათ 195(ს.ქ.), 222(ს.ქ.),
224(ს.ქ.)

არმენია 20(ს.ქ.), 91(ს.ქ.), 96(ს.ქ.), 142(ს.ქ.),
151(ს.ქ.), 194(ს.ქ.), 195(ს.ქ.), 200(ს.ქ.),
205(ს.ქ.), 222(ს.ქ.), 223(ს.ქ.), 224(ს.ქ.),
233(ს.ქ.), 237(ს.ქ.), 271(ს.ქ.)

ახალცხე 97(ს.ქ.)

ბაკუ 123(ს.ქ.)

ბოლგარია 170(ს.ქ.)

ვან 102(ს.ქ.)

ვიზანტიური იმპერია 180(ს.ქ.), 190(ს.ქ.),
229(ს.ქ.)

ვიზანტია 31(ს.ქ.), 54(ს.ქ.), 191(ს.ქ.),
222(ს.ქ.), 233(ს.ქ.), 236(ს.ქ.), 239(ს.ქ.)

ვოსტოчная გრუზია 128(ს.ქ.), 260(ს.ქ.)

გრუზია 99(ს.ქ.), 199(ს.ქ.), 201(ს.ქ.), 207(ს.ქ.),
211(ს.ქ.), 221(ს.ქ.), 263(ს.ქ.), 265(ს.ქ.)

ერევან 16(ს.ქ.), 19(ს.ქ.), 20(ს.ქ.), 28(ს.ქ.),
31(ს.ქ.), 32(ს.ქ.), 90(ს.ქ.), 99(ს.ქ.),
142(ს.ქ.), 151(ს.ქ.), 154(ს.ქ.), 180(ს.ქ.),
186(ს.ქ.), 194(ს.ქ.), 195(ს.ქ.), 199(ს.ქ.),
201(ს.ქ.), 207(ს.ქ.), 222(ს.ქ.), 223(ს.ქ.),
228(ს.ქ.), 233(ს.ქ.), 235(ს.ქ.), 171(ს.ქ.)

ვაკავკაზე 100(ს.ქ.), 119(ს.ქ.), 152(ს.ქ.),
205(ს.ქ.), 236(ს.ქ.), 239(ს.ქ.)

ირან 17(ს.ქ.), 151(ს.ქ.)

კავკაზურია 186(ს.ქ.)

კართლი 199(ს.ქ.), 201(ს.ქ.), 211(ს.ქ.)

კახეთია 199(ს.ქ.), 201(ს.ქ.), 211(ს.ქ.),
223(ს.ქ.), 227(ს.ქ.)

მოსკოვი 17(ს.ქ.), 31(ს.ქ.), 54(ს.ქ.), 92(ს.ქ.),

93(ს.ქ.), 99(ს.ქ.), 135(ს.ქ.), 151(ს.ქ.),
152(ს.ქ.), 188(ს.ქ.), 191(ს.ქ.), 233(ს.ქ.),
237(ს.ქ.), 265(ს.ქ.)

პეტრიციონის მონასტერი 177(ს.ქ.),
189(ს.ქ.)

პეტროგრადი 96(ს.ქ.), 205(ს.ქ.)

პერდია აზია 102(ს.ქ.)

რიმ 194(ს.ქ.)

სანქტ-პეტერბურგი 119(ს.ქ.), 136(ს.ქ.)

სამხრეთ აზია 151(ს.ქ.)

სიუნიკი 233(ს.ქ.)

თაო-კლარდეთი 143(ს.ქ.), 162(ს.ქ.),
197(ს.ქ.)

თბილისი 91(ს.ქ.), 128(ს.ქ.), 142(ს.ქ.),
143(ს.ქ.), 162(ს.ქ.), 179(ს.ქ.), 195(ს.ქ.),
201(ს.ქ.), 207(ს.ქ.), 221(ს.ქ.), 260(ს.ქ.)

თერეთი 263(ს.ქ.)
თერეთი 112(ს.ქ.), 117(ს.ქ.)

ხახულის მიმდევარი 235(ს.ქ.)

128(ს.ქ.)

17(ს.ქ.), 20(ს.ქ.), 120(ს.ქ.),
35(ს.ქ.), 146(ს.ქ.), 51(ს.ქ.), 175(ს.ქ.),
76(ს.ქ.), 87(ს.ქ.), 89(ს.ქ.), 230(ს.ქ.),
234(ს.ქ.), 237(ს.ქ.), 239(ს.ქ.), 240(ს.ქ.)

128(ს.ქ.)

92(ს.ქ.), 106(ს.ქ.)

187(ს.ქ.), 237(ს.ქ.)

124(ს.ქ.), 128(ს.ქ.)

187(ს.ქ.)

255(ს.ქ.)

37(ს.ქ.), 177(ს.ქ.),
193(ს.ქ.), 195(ს.ქ.)

179(ს.ქ.)

გამოცემის რედაქტორები

ლეილა სიხარულიძე

რუსიკო კაიშაური

გამოცემის პირობები ართანული

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17 ბ.

25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22.

www.artanuji.ge

artanuji@telenet.ge